ზოთა მესხია

საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1979

9(с41)
9 (47.922)
ბ 587

ნაშრომში განხილულია და ახლებურად გადაწყვეტილი XII ს-ის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკვანძო საკითხები: საქართველოს ფეოდალური მონარქიის ცენტრალური გამგებლობის სისტემის შექმნა; სავაზიროს წარმოქმნის პრობლემა; მეფის თვითმპყრობელობის საკითხი XII—XIII სს-ის მიჯნაზე („ერთნებობისა და თანადგომის“ პრობლემა); „დარბაზის რიგის“ მოხელეთა ვინაობა და ფუნქციები; XII ს-ის საქართველოს ფეოდალურ საგვარეულოთა ისტორია (მხარგრძელთა გვარის ისტორიასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები).

წიგნი განკუთვნილია ისტორიკოსებისა და საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორები: ა. სურგულაძე, ნ. შოშიაშვილი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1979

10604
M———————
M 608(06)-79

რედაქციის წინასიტყვაობა

შოთა მესხია ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელია. ის ნაყოფიერად იკვლევდა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ისეთ საკვანძო პრობლემებს, როგორიცაა: ფეოდალური საქართველოს სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების საფეხურები (საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია), ქალაქები და საქალაქო წყობილება ფეოდალურ საქართველოში, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია, ქართული წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია, საქართველოს ისტორიის სწავლების მეთოდიკა და სხვა. ამ პრობლემებს მიუძღვნა მან თავისი ნაშრომები: „ქალაქები და საქალაქო წყობილება ფეოდალურ საქართველოში“ (რუსულ ენაზე), „საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში“, „დავით აღმაშენებელი“, „ძლევაი საკვირველი“ და სხვა. მან გამოსცა საისტორიო წყარო „ძეგლი ერისთავთა“, მასალები შუა საუკუნეების საქართველოს ეკონომიკური ისტორიის, კლასობრივი ბრძოლისა და სამოხელეო წყობის შესახებ. მას ეკუთვნის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ხასიათის გამოკვლევები ძველი ქართველი ისტორიკოსების: ლეონტი მროველის, დავით აღმაშენებლისა და თამარის ისტორიკოსების, ვახუშტი ბატონიშვილის, თეიმურაზ ბაგრატიონის, ნიკოლოზ დადიანის შესახებ. მონოგრაფია თავისი მასწავლებლის, გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის სიმონ ჯანაშიას ცხოვრებასა და სამეცნიერო მოღვაწეობაზე.

შოთა მესხია თანაავტორია საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოსი (1958), აგრეთვე საქართველოს ისტორიის საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებისა, „თბილისის ისტორიის“, „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ II და III ტომებისა (რედაქტორი II ტომისა). მისი მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევები საქართველოს ისტორიაზე გამოქვეყნდა რუსულად და უცხო ენებზე (ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად).

განსაკუთრებით ინტენსიურად მუშაობდა შ. მესხია XII ს-ის საქართველოს ისტორიაზე. მისთვის დამახასიათებელი იყო ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების მარქსისტული მეთოდოლოგიით გაანალიზება და შეფასება.

შ. მესხიას ნაშრომი: „საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში“ მისი უკანასკნელი წიგნია. იგი წარმოადგენს XII ს-ის საქართველოს შესახებ მის მიერ ჩაფიქრებული მონოგრაფიის ნაწილს.

ნაშრომში განხილულია და ახლებურად გადაწყვეტილი XII ს-ის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შემდეგი საკვანძო საკითხები:

1. საქართველოს ფეოდალური მონარქიის ცენტრალური გამგებლობის სისტემის შექმნა. საქართველოს გაერთიანებამდე, ე. ი. XII ს-მდე, ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებში სახელმწიფო მმართველობა დამყარებული იყო ადგილობრივი გამგებლობის სისტემაზე (ერისთავები, სპასალარები, ხევისუფლები,

ციხისთავები და სხვა). საქართველოს ფეოდალური მონარქიის შექმნის შემდეგ იქმნება ცენტრალური მმართველობის აპარატი („დარბაზის რიგის" მოხელეთა სისტემა). ამიერიდან ერთმანეთს უპირისპირდება ორი სისტემა: უწყებათა მეთაურების—უხუცესებისა (სახელმწიფო მინისტრების) და ადგილობრივი გამგებლების—ერისთავებისა. ამ პრობლემასთან დაკავშირებით დგება საკითხი ცენტრალური მმართველობის აპარატის წარმოქმნის დროის შესახებ, საკითხი, თუ როდის წარმოიქმნა ამირსპასალარის, მანდატურთუხუცესის, მსახურთუხუცესის სახელოები. ჭყონდიდელ მწიგნობართუხუცესის სახელოს წარმოქმნაზე წყაროები საკმაოდ ზუსტ ცნობებს გვაწვდიან და ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია[1]. დანარჩენი სახელოების წარმოქმნის თარიღის დადგენას დიდად აბრკოლებს საისტორიო წყაროებში ამ საკითხზე შემორჩენილ ცნობათა სიმცირე. სწორედ ამის გამო ი. ჯავახიშვილმა, რომელმაც განიხილა აღნიშნული სამოხელეო ინსტიტუტების წარმოქმნა განვითარება, ღიად დატოვა საკითხი მათი წარმოშობის თარიღის შესახებ[2]. შ. მესხიამ ამ ნაშრომში კვლავ დასვა ეს საკითხი. ქართული და სომხური ეპიგრაფიკული მასალის კრიტიკული კვლევისა და ქართულ ნარატიულ წყაროებთან მათი შეჯერების საფუძველზე, შ. მესხიამ დამაჯერებლად, დოკუმენტურად დაასაბუთა, რომ ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის სახელოები წარმოიქმნა XII ს-ის I მეოთხედში. ამავე პერიოდში ივარაუდა მან მეჭურჭლეთუხუცესის სახელოს წარმოქმნაც. თურქოლოგიაში ახლად გამოყენებული მასალების საფუძველზე შ. მესხიამ გაარკვია ტერმინ ამირსპასალარის ქართულში შემოსვლის წყაროც, დაადგინა, რომ ის გადმოღებულია თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოდან, თუმცა ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ ამ შემთხვევაში ნასესხებია მხოლოდ ტერმინი და არა თვით ინსტიტუტი, რადგანაც ქართული ამირსპასალარის ინსტიტუტი არსებითად განსხვავდება შესატყვისი თურქული ინსტიტუტისაგან. შ. მესხიამ პირველწყაროების ახლებური ანალიზით არა მარტო დაადგინა ცენტრალური მმართველობის აღნიშნულ უწყებათა წარმოქმნის დრო, არამედ გაარკვია აგრეთვე ამირსპასალართა, მანდატურთუხუცესთა, მეჭურჭლეთუხუცესთა, მსახურთუხუცესთა ვინაობა და ქრონოლოგიური რიგი XII ს-ში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული ინსტიტუტების შესწავლისათვის

2. ხავაზიროს წარმოქმნის პრობლემა. საქართველოს ფეოდალური მონარქიის ცენტრალური მმართველობის ძირითად უწყებათა მეთაურებს გარკვეული დროიდან ეწოდათ ვაზირები, ხოლო ვაზირთა საბჭოს — საქართველოს მთავრობას — სავაზირო. როდის მოხდა ეს? როდის წარმოიქმნა სავაზირო? როდის იწოდნენ უხუცესები ვაზირებად? ი. ჯავახიშვილი, „ხელმწიფის კარის გარიგებაზე" დაყრდნობით, მიიჩნევდა, რომ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს, ამირსპასალარს, მანდატურთუხუცესს, მეჭურჭლეთუხუცესს თავიდანვე ეწოდებოდათ ვაზირები და, მაშასადამე, სავაზირო ჩამოყალიბდა ამ სამოხელეო ინსტიტუტების წარმოქმნასთან ერთად. 1212 წლიდან სავაზიროში შევიდა ათაბაგი, ხოლო რუსუდანის მეფობის ხანაში — მსახურთუხუცესი[3]. ი. ჯავახიშვილის ეს თვალსაზრისი დამკვიდრდა ქართულ საისტორიო მეცნიერებაში[4]. შ. მესხიამ

[1] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1928, გვ. 125—126.

[2] იქვე, გვ. 141, 157, 167, 182.

[3] იქვე, გვ. 121—124.

[4] საქართველოს ისტორია, I, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედ., 1958, გვ. 208—210; საქართველოს ისტორია, სახელმძღვანელო საშუალო სკოლებისათვის, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედ.,

წარმოდგენილ ნაშრომში არ გაიზიარა ეს თვალსაზრისი. მან ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ „ხელმწიფის კარის გარიგების“ ცნობები ამ საკითხზე სრულიად განსხვავდება XII ს-ისა და XIII ს-ის დასაწყისის წყაროთა ცნობებისაგან. თამარის ისტორიკოსების, XIII ს-ის ქართული საბუთებისა და ეპიგრაფიკული მასალის გულდასმით განხილვის შედეგად შ. მესხია მივიდა დასკვნამდე, რომ XII ს-ში და XIII ს-ის პირველ ათეულში საქართველოს სამეფო კარზე მხოლოდ ერთი ვაზირი იყო-ჰყონდიდელი-მწიგნობართუხუცესი და, მაშასადამე, ამ პერიოდში სავაზიროც არ არსებობდა. შ. მესხიას დასკვნით, „ხელმწიფის კარის გარიგება“, სადაც ვაზირებად, გარდა ჰყონდიდლისა, მოხსენიებულნი არიან აგრეთვე: ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, ასახავს თამარის მეფობის შემდგომი პერიოდის ვითარებას, როცა ვაზირთა რაოდენობა გაზრდილია ექვსამდე. შ. მესხიას დასკვნა ამ საკითხზე ასეთია: „ამრიგად, ვაზირი XII საუკუნისა და XIII ს. პირველი ათეული წლების საქართველოს სამეფო კარზე მხოლოდ ერთი იყო — ეს თანამდებობა, მეფის შემდეგ სამეფოს პირველ პირს, პირველ მოხელეს მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელს ჰქონდა. რაკი სამეფო კარზე მხოლოდ ერთი ვაზირი იყო, ცხადია, არ არსებობდა სავაზირო, როგორც საგანგებო დაწესებულება, ვაზირთა სათათბირო, საკრებულო ორგანო. საქართველოს მთავრობას თამარის დროს „დარბაზის რიგის“ მაღალი რანგის მოხელეები შეადგენდნენ, რომელთა სათავეშიც იდგა მეფის უპირველესი მოხელე — ვაზირი — მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში XII ს. საქართველოს სამოხელეო წყობის შესწავლა არსებითად დაემყარა შედარებით გვიანდელ ძეგლს — „ხელმწიფის კარის გარიგებას“. ეს ძეგლი, დღესდღეობით მიღებული თვალსაზრისით, XIV ს. პირველ ნახევარს ეკუთვნის და, მაშასადამე, თითქმის საუკუნენახევრით არის დაშორებული თამარის ეპოქას. ამას გარდა, ეს საუკუნენახევარი მრავალი ახალი, არსებითად განსხვავებული მოვლენებით აღინიშნა ქვეყნის არა მარტო საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკურ ცხოვრებაშიც, სამოხელეო წყობაშიც, რომელსაც არ შეიძლებოდა ასახვა არ ეპოვა ამ შედარებით გვიანდელ ძეგლში. აი, ამიტომ ვფიქრობთ, რომ „ხელმწიფის კარის გარიგებით“ XII XIII სს. მიჯნის საქართველოს სამოხელეო წყობის მეტნაკლებად სწორი სურათის ასახვა შეუძლებელია. მით უფრო, რომ „კარის გარიგების“ მონაცემები არსებითად ეწინააღმდეგება თამარის დროის ნარატიული თუ სხვა სახის წყაროების მონაცემებს“[1].

შ. მესხიას ეს დასკვნა დამაჯერებლად უარყოფს ქართულ საისტორიო მეცნიერებაში ხანგრძლივი დროის მანძილზე ურყევად მიჩნეულ ტრადიციულ თვალსაზრისს XII ს-ის საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთ ძირითად საკითხზე და სრულიად ახლებურად წარმართავს აღნიშნული პერიოდის საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების კვლევას.

3. მეფის თვითმპყრობელობის საკითხი XII—XIII სს-ის მიჯნაზე („ერთნებობისა და თანადგომის“ პრობლემა). საქართველოს ფეოდალური მონარქიის წარმოქმნის შემდეგ სახელმწიფოს განაგებდა თვითმპყრობელი მეფე. ფეოდალური ოპოზიციის ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მიზნად ისახავდა შეეზღუდა მეფის იურისდიქციის რეალური ფარგლები და გაეფართო-

---

1958, გვ. 136—139; შ. მესხია, ე. გუჩუა, სახელმძღვანელო საშუალო სკოლებისათვის, 1970, გვ. 81; დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, I, 1962, გვ. 76—90. შ. ლორთქიფანიძე, რუსთაველის ეპოქა, 1966, გვ. 72—74 და სხვ.

[1] იხ წინამდებარე ნაშრომი, გვ 70—71.

ებინა დიდ თეოდალთა დამოუკიდებლობა. ეს ბრძოლა გარდამაუალი უპირატესობით მიმდინარეობდა XI– XV სს ში, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს პოლიტიკური დაშლა. ეს ბრძოლა გრძელდებოდა XV ს-ის შემდეგაც ცალკეული ქართული სამეფო-სამთავროების შიგნით. მაგრამ რა ეტაპზეც არ უნდა ყოფილიყო ეს ბრძოლა და ვის მხარეზეც არ უნდა ყოფილიყო ბრძოლის სასწორი გადახრილი (მეფისა თუ ფეოდალური ოპოზიციისა), მეფის თვითმპყრობელობა საქართველოში იურიდიულად არ შეზღუდულა. არ არსებობდა ისეთი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შეზღუდავდა ამ თვითმპყრობელობას. ასეთი ორგანოს შექმნის ცდა იყო ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლა XII ს ის 80-იან წლებში, რაც მარცხით დასრულდა. მეფის თვითმპყრობელობა შეუზღუდავი დარჩა. ი. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია თამარის პირველ ისტორიოსთან ნახმარ ფორმულას: „ერთნებობითა და თანადგომითა“ და გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს ფორმულა მიუთითებდა თამარის ხელისუფლების შეზღუდვას დიდებულთა სასარგებლოდ, რომ ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა დასრულდა ურთიერთკომპრომისით და მეფეს უცვლია დიდებულთა უფლება მეფესთან ერთად განეგოთ სახელმწიფო, ყოფილიყვნენ „თანაზიარ მეფობისა“, მეფე ამიერიდან სახელმწიფოს განაგებდა დიდებულთა „ერთნებობითა და თანადგომითა“. ამრიგად, ი. ჯავახიშვილის დასკვნით, „თამარის მეფობის დროს საქართველოში ე. წ. შეზღუდული მონარქია დამყარებული“ [1]. ი. ჯავახიშვილის ეს თვალსაზრისი გაიზიარეს და გააღრმაევს სხვა მკვლევრებმაც. ეს თვალსაზრისი დღემდე საყოველთაოდ იყო გაზიარებული და დამკვიდრებული ქართულ ისტორიოგრაფიაში [2].

შ. მესხიამ წარმოდგენილ ნაშრომში უარყო ეს თვალსაზრისი. მან დეტალურად განიხილა „ისტორია აზმანის“ ცნობები ამ საკითხზე და ნათელყო, რომ ფორმულა „ერთნებობითა და თანადგომითა“ არ დამკვიდრებულა თამარის მეფობის ხანაში, რომ ეს ფორმულა არსებობდა გიორგი III-ის დროსაც და ალბათ უფრო ადრეც და სრულიადაც არ ნიშნავდა მეფის უფლებების რაიმე შეზღუდვას: იგი წარმოადგენდა ზოგად გამოთქმას იმის შესახებ, რომ მეფეს „თანაუდგნენ“, ე. ი. მხარს უჭერდნენ დიდებულები. შ. მესხიამ განიხილა ძველთაგე ქართული და სომხური ეპიგრაფიკული მასალა, განსაკუთრებით, ცნობილი გუნია-ყალის „ხელი“ და გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ ეპიგრაფიკულ საბუთში მეფესთან ერთად მოხსენიებული არიან არა ვაზირები (ან თუნდაც უხუცესები), არამედ ადგილობრივი მოხელეები. ამასთან, შ. მესხიამ სომხური ეპიგრაფიკული ძეგლებით დაასაბუთა. რომ მეფესთან ერთად საბუთებში სხვადასხვა დიდებულთა (ადგილობრივ გამგებელთა) მოხსენიების ფაქტები გვხვდება არა მარტო თამარის მეფობის ხანაში, არამედ ამაზე ადრეც. ამდენად, თვალსაზრისი, რომ გუნია ყალის წარწერა ადასტურებს სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას[3], არ არის მართებული.

ამრიგად, შ. მესხიას დასკვნით: „მიუხედავად დიდგვარიანთა არაერთი გამოსვლისა, თამარმა თავისი მეფობის მანძილზე შეძლო ძირითადად შეენარჩუნებინა თვითმპყრობელური მეფის ხელისუფლების სამოხელეო წყობა და ამ მხრივ თავისი მამის — გიორგი III-ის საშინაო პოლიტიკური კურსი გაეგრძელებინა“[4]. ავტორის ეს დასკვნა აგრეთვე ახლებურად აშუქებს საქართველოს სამეფო ხელისუფლების ისტორიას.

[1] ი. ჯავახიშვილი, ქსი, II, გვ. 176—181.
[2] ე. აბაშიძე, ნარკვევები... გვ. 180—181.
[3] იხ. ნ. ბერძენიშვილი, იქვე, I, გვ. 163, შენ. 61.
[4] იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 78.

4. „დარბაზის რიგის“ მოხელეთა ვინაობა და ფუნქციები. შ. მესხიამ წარმოდგენილ ნაშრომში დაადგინა XII ს-ის საქართველოს მაღალი რანგის მოხელეთა („დარბაზის რიგის“ მოხელეთა: მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის, მანდატურთუხუცესის, მეჯურჭლეთუხუცესის, მსახურთუხუცესის, ჩუხჩარხისა და ამირახორის) ვინაობა, შეაესო აგრეთვე ი. ჯავახიშვილის კვლევითი შედეგები ამ სამოხელეო ინსტიტუტების შინაარსზე. გაადევნა რა თვალი მეფის მიერ უმაღლეს მოხელეთა ცვლას, შ. მესხიამ განსაზღვრა შინაკლასობრივი ბრძოლის მიმართულება XII ს-ის საქართველოში; დაადგინა, თუ ვის სასარგებლოდ წარიმართა ეს ბრძოლა XII ს-ში: მეფის, თუ ფეოდალური ოპოზიციისა. ავტორმა უურადღება გაამახვილა ვაზირის ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სამხედრო ფუნქციებზე, რაც აქამდე ერთგვარად უგულებელყოფილი იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში, და დაასაბუთა, რომ XII ს-ში „ამირსპასალარის ხელისუფლებას და მის გავლენას ზღუდავდა არა მარტო მეფე-სარდალი, არამედ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელიც ვაზირი სამეფო ხელისუფლებისა, რომლის საგამგეოშ სამხედრო უწყებაც იყარაუდებოდა“ [1].

ავტორი საგანგებოდ განიხილავს XII ს-ის მიწურულის ვითარებას უმაღლესი სამოხელეო წყობის თვალსაზრისით და უარყოფს ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ თვალსაზრისს, თითქოს ამ დროს ადგილი ჰქონდა რაღაც ტეხილს სამოხელეო წყობაში. დიდგვარიანთა რესტავრაციას, დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ის პოლიტიკის მარცხს, მეფის დათმობას და მის მიერ უგვაროთა დაწინაურებაზე ხელის აღებას. ავტორის დასკვნები ასეთია: „ა) გიორგი III-ის სასინაო პოლიტიკური გეზის შესაცვლელად თამარის მეუობის პირველ წელსვე დიდგვარიანების გამოსელის და ამის შედეგად შექმნილი მძიმე პოლიტიკური კრიზისის მიუხედავად, თამარის სამეფო ხელისუფლების ძირითადი მიმართულება არსებითად არ შეცვლილა; ბ) დიდგვარიანთა მოთხოვნით გადაყენებულ „უგვაროთა და უხმართა“ (ყუბასარი, აფრიდონი) ადგილები ძირითადად ისევ გიორგი III-ის „გაზრდილებმა“, მის მიერ და მის დროს დაწინაურებულმა პირებმა თუ საგვარეულოს წარმომადგენლებმა დაიკავეს. გ) თამარის დროს არ მომხდარა გიორგი III-ის მიერ დამხობილ საგვარეულოთა თუ „ორბელთა აჯანყებამდე არსებული მდგომარეობის“ რესტავრაცია; დ) თამარის თვითმპყრობელური ხელისუფლების სიძლიერისა და ოპოზიციურ ძალებზე გამარჯვების ძირითადი მოწმობა იყო გამეფების პირველ წელსვე, გიორგი III-ის „გაზრდილის“ და უერთგულესი ვაზირის ანტონის აღდგენა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის თანამდებობაზე [2]: ე) თამარის მეფობის ბოლო წლამდე არ შეცვლილა სამეფო კარის მოხელეობის ძირითადი პრინციპები — „დარბაზის რიგის“ მოხელეებს სათავეში სამეფოს ვაზირ ედგა: ვ) უველაფერი ეს იმაზე მიგვითითებს, რომ თამარს თავისი სამეფო ხელისუფლება არც დიდგვარიანებისთვის გაუნაწილებია და არც „დიდებულთა თანადგომითა და ერთნებობით“ შეზღუდულა“ [3].

შ. მესხიას კვლევის შედეგები XII ს-ის საქართველოს ს მოხელეო წყობაზე, ცენტრალური მმართველობის სამოხელეო ინსტიტუტების წარმოქმნაზე, ვაზირსა და სავაზიროზე, შინაკლასობრივ ბრძოლაზე, სამეფო ხელისუფლების

---

[1] იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 80.

[2] შ. მესხია ასაბუთებს, რომ ანტონი მწიგნობართუხუცესად თამარმა აღადგინა თავისი მეფობის პირველსავე წელს და არა XII ს-ის 90-იან წლებში, როგორც ეს მიღებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.

[3] იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. 98.

ხასიათზე, დიდმოხელეთა ვინაობასა და მათ ცხლაზე ახლებურ შუქს ჰფენს აღნიშნული პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას.

5. XII ს-ის საქართველოს ფეოდალურ საგვარეულოთა ისტორია. ფეოდალური ქვეყნის პოლიტიკური ისტორია განუყოფლადაა დაკავშირებული დიდ ფეოდალურ საგვარეულოთა ისტორიასთან, რამდენადაც ეს საგვარეულოები წარმართავდნენ მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. საქართველოს ფეოდალურ საგვარეულოთა კვლევა დაიწყო XIX ს-ის ღვაწლმოსილმა ქართველოლოგმა მ. ბროსემ, მაგრამ მას გამგრძელებელი არ აღმოაჩნდა ამ დარგში. საბჭოთა ქართულ ისტორიოგრაფიაში ფეოდალურ საგვარეულოთა შესწავლას მიუძღვნეს წერილები ს. კაკაბაძემ, პ. ინგოროყვამ, ნ. ბერძენიშვილმა, ლ. მუსხელიშვილმა და სხვებმა. მაგრამ ამ მიმართებით ჯერჯერობით ძალიან მცირე მუშაობაა ჩატარებული.

შ. მესხიამ წარმოდგენილ ნაშრომში, ქართული და სომხური საისტორიო წყაროების, აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურის გულდასმით განხილვის საფუძველზე, დაადგინა მხარგრძელთა გვარის ისტორიასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი საკითხი: ა) მხარგრძელთა წინაპრების წარმომავლობა, ბ) მხარგრძელთა წინაპრების საქართველოში გადმოსახლების დრო და მიზეზები, გ) მხარგრძელთა კონფესიური კუთვნილება და რელიგიური პოლიტიკა, დ) საქართველოში მხარგრძელთა დაწინაურების ვითარება, ე) მხარგრძელთა გენეალოგია.

• •

ამრიგად, შ. მესხიას ნაშრომში გარკვეულია და ახლებურად გადაჭრილი XII ს-ის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი. ამის საშუალება ავტორს მისცა საკვლევი საკითხების წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოებამ, წინამორბედ მკვლევრებთან შედარებით, წყაროების ახლებურმა კვლევამ და ინტერპრეტაციამ, ქართული ისტორიოგრაფიის უახლესი მიღწევების გამოყენებამ, გამოცდილი. მაღალკვალიფიციური ისტორიკოსის ალღომ, ტრადიციულ თვალსაზრისთა კრიტიკული შემოწმებისა და გადასინჯვის უნარმა.

ნაშრომში გამოთქმული ზოგიერთი ახლებური თვალსაზრისი შესაძლოა საყოველთაოდ არ იქნეს გაზიარებული მკვლევართა მიერ, მაგრამ გამოკვლევაში მოტანილი უხვი საისტორიო მასალა, ამ მასალის ღრმამეცნიერული ანალიზი, საკითხის ახლებური დაყენება ერთნაირად საინტერესო იქნება ყველა მკითხველისათვის.

თავი I

საკითხისათვის XII ს. საქართველოში

ფეოდალური საქართველოს ისტორიაში XII საუკუნეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მიუხედავად ამისა, საქართველოს ისტორიის ეს მეტად მნიშვნელოვანი პერიოდი დღემდე არ არის მონოგრაფიულად შესწავლილი. ეპოქის შეუსწავლელობა განსაკუთრებით თავს მაშინ იჩენს, როცა საქმე ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიას, სახელმწიფოებრივ წყობას თუ სამეფო ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკას შეეხება. ი. ჯავახიშვილის შემდეგ (იხ. მისი „ქართველი ერის ისტორია", წიგნი II), ამ 50—60 წლის მანძილზე, არსებითად არავის უკლევია XII ს. პოლიტიკური ისტორია. მომდევნო თაობის ისტორიკოსთა ყურადღება ძირითადად ფეოდალური საქართველოს სოციალური და ეკონომიკური ისტორიის შესწავლისაკენ იყო მიპყრობილი. ამან კი, მნიშვნელოვან დადებით შედეგებთან ერთად, გამოიწვია პოლიტიკური ისტორიისადმი ინტერესის შენელება და ცალმხრიობა კვლევაში. ამასთანავე, XII ს. საქართველოს პოლიტიკური ისტორიისადმი ყურადღების შენელებამ გასაქანი მისცა ყოველგვარი შესაძლო, დაუსაბუთებელი ვარაუდების ჰეშმარიტებად გამოცხადებას, ზოგჯერ საქართველოს ისტორიის გაყალბების ცდებსაც.

XII ს. საქაოთველოს პოლიტიკური ისტორიის კვლევის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ მსხვილ ფეოდალურ საგვარეულოთა ისტორიის შესწავლას. რომელთაც მინდობილი ჰქონდათ მაშინდელი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური ცხოვრებ ს ცალკეული უბანი, როძელნიც სათავეში ედგნენ ამა თუ იმ სამეფო (სახელმწიფოებრივ) სამოხელეო უწყებას და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საქართველოს ფეოდალურ საგვარეულოთა ისტორიის კვლევას თავის დროზე წარმატებით აწარმოებდა მ. ბ რ ო ს ე. „ქართლის ცხოვრების" ფრანგული თარგმანის შენიშვნებსა თუ განსაკუთრებით „Addition"-ში უხვი მასალა მოიპოვება ამა თუ იმ ქართველი ფეოდალური საგვარეულოს ისტორიისათვის. ასე მაგალითად, მ. ბროსეს შეკრებილი და სათანადო კომენტარებით გამოქვეყნებული აქვს იმდროისათვის არსებული ყველა მასალა მხარგრძელების, ორბელებისა და სხვა საგვარეულოთა ისტორიისათვის.

XIX ს. მეორე ნახევრის ქართულმა ისტორიოგრაფიამ გამოაელინა დიდძალი მასალა, რომელიც ახალ შუქს ჰფენს საქართველოს პოლიტიკური ისტორიისა და ფეოდალურ საგვარეულოთა ისტორიის საკითხებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილისა და სხვების ღვაწლი სხვადასხვა სახის მასალათა გამოვლინებისა და კომენტირების თვალსაზრისით.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ფეოდალურ საგვარეულოთა ისტორია ცალკე კვლევის საგნად იშვიათად თუ გამხდარა. ამ მხრივ გამონაკლისს

შეადგენს ორბელთა. თორელთა და სხვა გვარეულობების ისტორ ისა და მათ-დან დაკავშირებული საკითხებისადმი მიძღვნილი ნ. ბერძენიშვილისა და ლ. მუსხელიშვილის წერილები. თითქმის ყველა სხვა შემთხვევაში საქართველოს ფეოდალურ საგვარეულოთა ისტორიის კვლევა არსებითად დაკავშირებული იყო შოთა რუსთაველის ვინაობის პრობლემასთან. ამ პრობლემამ წარმოშვა პ. ინგოროყვას ვრცელი ნაშრომი „რუსთველიანა" და „რუსთველიანას ეპილოგი", ს. კაკაბაძის „თმოგველთა გვარის ისტორიისათვის", „ვეფხისტყაოსნის" 1927 წლის გამოცემის წინასიტყვაობა და „შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი" (1966 წ.). დიდი მუშაობა გასწიეს ს. კაკაბაძემ და პ. ინგოროყვამ შოთა რუსთაველისა თუ მასთან დაკავშირებულ საგვარეულოთა კვლევის მიმართულებით, მაგრამ სამწუხაროდ, ამ მუშაობის შედეგები ასეთივე დიდი ვერ არის, იმ მეთოდების წყალობით, რომელთაც ზემოხსენებული ავტორები კვლევის დროს იმარჯვებდნენ. მათ ნაშრომებში უხვად არის დაუსაბუთებელი, ხშირ შემთხვევაში წინასწარი სქემის მიხედვით შემუშავებული თვალსაზრისები და წყაროების თვითნებურად გასწორება-გამოყენების შემთხვევები. რამაც ხელი შეუწყო რუსთაველის თუ სხვა საგვარეულოთა შესახებ ფანტასტიკური მოსაზრებების წარმოქმნას. ცხადია. ჩვენთვის საინტერესო პრობლემების ამგვარ კვლევას არ შეეძლო რაიმე მნიშვნელოვანი სარგებლობა მოეტანა XII ს. საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის. პირიქით, ზოგ შემთხვევაში იგი, ნებით თუ უნებლიეთ, XII ს. საქართველოს ისტორიის გაყალბების საფუძვლად იქცა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე იყო მსჯელობა პ. ინგოროყვას მიერ წარმოებული კვლევის მეთოდებისა და შედეგების შესახებ. მხედველობაში გვაქვს მ. ლორთქიფანიძის[1], დ. მუსხელიშვილის[2]. ნ. შოშიაშვილისა და სხვათა წერილები. კერძოდ, ნ. შოშიაშვილმა ჯერ თავის კრიტიკულ წერილში — „XII—XIV სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიისა და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი" [3], ხოლო შემდეგ საგანგებო გამოკვლევაში — „თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი" [4], არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი აღძრა როგორც XII ს. ფეოდალურ საგვარეულოთა. ასევე საერთოდ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისით. ნ. შოშიაშვილის წერილები ქართულ ფეოდალურ საგვარეულოთა ისტორიის უდაოდ წარმატებით დაგეირგვინებული კვლევაა, მიუხედავად იმისა, ყოველთვის გავიზიარებთ თუ არა მის მოსაზრებებს.

ამჯერად არაფერს ვამბობთ სხვა წერილებისა და გამოკვლევების შესახებ, რომლებიც უშუალოდ არ ეხება ჩვენთვის საინტერესო საკითხებს, მაგრამ ხელს უწყობს მათ გადაწყვეტას: ასეთი წერილები და მასალები გზადაგზა იქნება გამოყენებული და დასახელებული. წინამდებარე ნაშრომი კი მხოლოდ ზოგიერთი საკითხით იფარგლება. მას არ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია ქართულ ისტორიოგრაფიაში XII ს. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ირგვლივ წამოჭრილ ყველა საკითხს შეეხოს და ამ მხრივ არსებული ხარვეზების შევსება სცადოს. ჩვენი მიზანი უფრო კონკრეტულია — ნაწილობრივ მაინც გადაისინჯოს

---

[1] მ. ლორთქიფანიძე, რამდენიმე შენიშვნა, გვ. 307—336.

[2] დ. მუსხელიშვილი, კახეთ-ჰერეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, „ცისკარი", № 2, 1965, გვ. 138—155; მისივე, კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII—XIII სს., III, 1967, გვ. 55—130.

[3] იხ. „ცისკარი", № 9, 1965, გვ. 114—151.

[4] იხ. კრებული: შოთა რუსთაველი, ისტორიულ ფილოლოგიური ძიებანი, 1966, გვ. 7—77.

აღნიშნული პერიოდის სახელმწიფოებრივი წყობისა და საშინაო პოლიტიკის შესახებ დღემდე გაბატონებული შეხედულებანი და ამით ხელი შეეწყოს ამ საკითხების სწორ გაგებას.

ამას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ცალკეული ფაქტების დადგენისა და გაგების, არამედ საერთოდ ამ პერიოდის პოლიტიკური მოვლენების შეფასების თვალსაზრისით. ეს მით უფრო საჭიროა, რომ მკვლევრები, ჩვეულებრივ, ხაზს ეუსვამდით თამარისდროინდელი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის დიდმნიშვნელოვან შედეგებს ისე, რომ ყოველთვის მართებულად არ იყო შეფასებული სამეფო ხელისუფლების საშინაო პოლიტიკა.

ჩვეულებრივ, ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული შეხედულების მიხედვით, თვითმპყრობელი მეფის გიორგის გარდაცვალებით ხელგახსნილმა დიდგვაროვნებმა თამარის მეფობის დასაწყისში აიძულეს სამეფო ხელისუფლება არა მარტო რიგ დათმობებზე წასულიყო ცალკეულ პოლიტიკურ გამოსვლათა (საერო და საეკლესიო დიდგვაროვანთა და ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა) წყალობით, არამედ არსებითად შეეცვალა საშინაო პოლიტიკა და დიდგვაროვნებრ გადაექცია „თანაზიარი მეფობისა“, მხოლოდ მათი „თანადგომითა და ერთნებობით“ გადაეწყვიტა როგორც საშინაო, ასევე საგარეო სახელმწიფოებრივი საქმეები.

ასე რომ, ამჟამად განმტკიცებული თვალსაზრისით, თამარის საშინაო პოლიტიკური გეზი, დიდებულების ნება-სურვილისამებრ, ასცდა მისი წინაპრების – დავით IV აღმაშენებლისა და გიორგი III-ის საშინაო პოლიტიკურ კურსს; თამარის დროს სამეფო ხელისუფლებამ დაკარგა თავისი თვითმპყრობელური ხასიათი, დასუსტდა და არსებითად გზა გაუხსნა სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგე დიდგვაროვანთა გაბატონებას. გარდა იმისა, რომ ამგვარი მოსაზრებანი, ჩვენი აზრით, წყაროების ანალიზით არ დასტურდება, ნებით თუ უნებლიეთ ხელს უწყობენ ზოგ შემთხვევაში ყალბ მოსაზრებათა გავრცელებას ამ პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ცალკეულ მოხელეთა განსაკუთრებული და გადამწყვეტი როლის შესახებ. სწორედ ასეთი არასწორი თვალსაზრისის ლოგიკური შედეგი იყო ს. კაკაბაძის მიერ ჯერ კიდევ 1912 წ. გაკეთებული შემდეგი განცხადება: „სომეხი დიდგვაროვან არისტოკრატიის დაწინაურებით ის (თამარი, შ. მ.) ცდილობდა ქართველ დიდებულთა დაშოშმინებას და ამავე დროს თავისი ტახტის საქმის მოგებას. უპირველესი ადგილები საქართველოს სამეფოში მიეცა აჯანყებს შემდეგ სომეხ დიდგვაროვან დიდებულთ, მაგალითად. მხარგრძელთ და გაგელთ; ყველამ იცის, რომ საქართველოს სამეფოს ბედს თამარის დროს და შემდეგაც განაგებდნენ მხარგრძელნი — ტომით. მართალია ქურთნი, მაგრამ უკვე კარგა ხანია გასომხებულნი და სარწმუნოებითაც სომეხ-გრიგორიანნი“ [1]. ან კიდევ: „ათაბაგი გახდა უპირველესი ვაზირი მეფისა, ფაქტიური გამგე სამეფოსი. ამ ახალ ფრიად დიდმნიშვნელოვან თანამდებობაზე თამარმა დანიშნა არა ქართველი დიდებული ქართველ დიდებულთა წრეებს ის ვერ მიანდობდა ასეთ სახელმწიფოებრივ და ეროვნულ მნიშვნელობის თანამდებობას — არამედ იუანე მხარგრძელი – შთამომავლობით სომეხი“ [2].

ჩვენ ამჟამად არაფერს ვიტყოდით ს. კაკაბაძის მიერ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინანდელი, არსებითად მცდარი, თვალსაზრისის შესახებ (მით უფ-

---

[1] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, თამარ მეფე, გვ. 10.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 13.

რო, რომ მან თავის დროზე ი. ჯავახიშვილის მკაცრი შენიშვნა დაიმსახურა)[1], რომ მსგავსი შეხედულებანი მას არ ჰქონდეს გამოთქმული თავის უკანასკნელ ნაშრომში და რომ ს. კაკაბაძის ეს ყალბი დასკვნა დღესაც სათანადო ავტორიტეტულ მტკიცებად დამოწმებული არ იყოს სამეცნიერო ლიტერატურაში[2].

როგორც ვხედავთ, აღნიშნული პერიოდის შინაპოლიტიკური ვითარების შესახებ სწორი თვალსაზრისის შემუშავების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება „დარბაზის რიგის“ (ე. ი. ცენტრალური აპარატის) მოხელეთა როლის, ადგილისა და ვინაობის გარკვევას, ამას გარდა, ე. წ. სავაზიროს საკითხის შესწავლას წინამდებარე გამოკვლევაც ძირითადად სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება.

1. საქართველოს ფეოდალური მონარქიის სამოხელეო წყობის ისტორიიდან

საქართველოს ისტორიის მკვლევართა უმეტესობა სავაზიროს, როგორც საგანგებო დაწესებულებას, ვაზირთა (მინისტრთა) სათათბირო ორგანოს არსებობას გიორგი III-ის მეფობის (1156– 1184) დროიდან მაინც ვარაუდობს. ეს თვალსაზრისი ჩვენ არ მიგვაჩნია მართებულად და, ამდენად, საჭიროდ ვთვლით ამ საკითხის განხილვას. მაგრამ, ვიდრე მას უშუალოდ შევეხებოდეთ, საჭიროა მოკლედ განვიხილოთ წინა პერიოდის, XII ს. დამდეგის, ქართული ფეოდალური მონარქიის სამოხელეო წყობის ზოგიერთი ძირითადი საკითხი.

საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბება X ს. მიწურულსა და XI ს. დამდეგს თავისთავად გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების მართვის ცენტრალური აპარატის ჩამოყალიბებასაც, ასე რომ „დარბაზის რიგის“ მოხელეობის დაწესება ბაგრატ III-ის (975– 1014) მეფობის დროიდან უნდა ვიეარაუდოთ. ამ დროს უნდა გაჩენილიყო ერთიანი საქართველოს მეფის მწიგნობართუხუცესის, სპასალარის თუ სპასპეტის (შემდეგ ამირსპასალარად წოდებულის), მეკურჭლეთუხუცესის და „დარბაზის რიგის“ სხვა ხელისუფალთა თანამდებობანიც, რომელთა შესახებ, სამწუხაროდ, წყაროები გვაკლია.

დარბაზის რიგის მოხელეობამ, მმართველობის ცენტრალურმა აპარატმა უფრო გამოკვეთილი სახე, ცხადია, დავით აღმაშენებლის (1089—1125) დროიდან მიიღო. ჯერ ერთი, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია გარკვეული, დავით აღმაშენებლის დროს გაერთიანდა მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდებობანი და შეიქმნა მეფის ცენტრალური აპარატის უპირველესი ხელისუფლების მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სახელო. ამიერიდან მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელი, „მეფის მამა“, უმაღლესი საერო და ასევე საეკლესიო თანამდებობათა „ერთად მქონებელი“, სამეფო ხელისუფლების ძირითად საყრდენ ძალად იქცა. ამ თანამდებობის ერთბუნებიანობა (ის მთლიანად და სავსებით მხოლოდ მეფის ხელისუფლებაზე იყო დამოკიდებული) მას სახელმწიფო ცენტრალურ აპარატში განსაკუთრებულ როლსა და ადგილს ანიჭებდა. ჩვენ ვფიქრობთ (მიუხედავად წყაროების დუმილისა), რომ უკვე აღმაშენებლის დროიდან მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს, „დარბაზის რიგის“ სხვა ხელისუფალთაგან განსხვავებით, „ვაზირი“ ეწოდებოდა[4].

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქეი, II, გვ. 291.

[2] ლ. ბაბაიანი, სომხეთის ისტორია (რუს.), გვ. 19.

[3] ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო, გვ. 5—56; იქვე, ჯავახიშვილი, ქსე, II, გვ. 124 და შემდეგ.

[4] შეადარ. შ. ლორთქიფანიძე, კარის მოხელენი, მსკი, ნაკვ. 32, 1955, გვ. 69.

დავით IV-ის დროს უფრო სრულყოფილ სახეს იღებს აგრეთვე საქართველოს ლაშქრის მთავარსარდლის — სპასალარის ანუ ამირსპასალარის თანამდებობა. ივანე ორბელი, რომელიც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში მხოლოდ ერთგან და ისიც ყოველგვარი ტიტულის გარეშე მოიხსენ ებაა, ჩვენი აზრით, უკვე იწოდებოდა ამირსპასალარად. ამას, შედარებით გვიანდელი წყაროს გარდა, ამ პერიოდის ეპიგრაფიკული მასალაც ადასტურებს.

აღსანიშნავია, რომ XII ს. ქართული და სომხური წყაროები ზოგ შემთხვევაში სპასპეტს, სპასალარსა და ამირსპასალარს ერთი და იმავე მნიშვნელობით და შინაარსით ხმარობენ. ასე მაგალითად, გიორგი III ის თანამედროვე და მისი მთავარსარდალი ივანე ორბელი, შვილიშვილი დავით აღმაშენებლის თანამედროვე დიდი ივანე ორბელისა, სანაინის ერთ სომხურ წარწერაში თავისთავს მხოლოდ სპასალარს უწოდებს და ამავე ტიტულით მოიხსენიებს მის წინაპრებსაც: „მეფობასა ქართველთა გიორგისა მე, ორბელიანი (*Որբէլեան*) ივანე, სპასალარი (*սպասալար*) შვილიშვილი დიდი ივანე სპასალარისა და ძე სუმბატ სპასალარისა, წინაპართა სიყვარულისათვის მოვედი წმინდა ღვთის მშობლის სანაინის ძმობაში“ და ესა და ეს გავაკეთეო[1]. ეს მაშინ, როცა ამ წარწერის ავტორი, გიორგი III-ის თანამედროვე ივანე ორბელი, ჩვენთვის ცნობილ ქართულ და სომხურ წყაროებში უფრო ხშირად ამირსპასალარის ტიტულით მოიხსენიება. როგორც ივანე ორბელის მოტანილი წარწერიდან ჩანს, მისი წინაპრები მამაც (სუმბატი) და პაპაც (დიდი ივანეც) იმავე წოდებას ატარებდნენ; სპასალარი სამეფოში რამდენიმე შეიძლებოდა ყოფილიყო, ხოლო მთავარსარდალი ერთი, ამიტომ, სხვა სპასალართაგან მთავარსარდლის განსასხვავებლად, დიდი სპასალარის ან კიდევ ამირსპასალარის (სპასალართა თავის) წოდება შეიმოდის. ყურადსაღებია, რომ დავითის თანამედროვე ივანე ორბელს სტეფანოს ორბელიანი „დიდ სპასალარს“ (*մեծ սպասալար*) უწოდებს[2].

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ უფრო ადრინდელ წყაროებში იგივე ივანე, დავითის თანამედროვე, ამირსპასალარადაც კი არის წოდებული. მხედველობაში გვაქვს ჰნევანქის („ძელი ჯუმშარიტის“) ქართული წარწერა: ...„ღირს ვიქმენ მე, სოჯბატ [ძე ივანე მანდატურთუხუცე]სისა და ამირსპასალარისა, მეორედ განახლებად და შემკობად დიდებულისა საყდრისა წმიდისა [ძელისა ჯუმშარიტი]სა, საოხად და სალხინებლად სულთა ჩუენთა და მშობელთა ჩუენთა-თჳს და ყოველთა მომავალთა ჩუენთა-თჳს საუკუნოდ... ქრონიკონი იყო ტოვ“ (— 1156)[3]. აღსანიშნავია, რომ ლ. მელქისეთ ბეგმა პირველად ჰნევანქის „მეორედ განმაახლებელი“ სუმბატი დავით IV აღმაშენებლის სპასალარს ივანეს ძედ მიიჩნია[4], მაგრამ შემდეგ, ამ ტექსტის ხელახლა გამოქვეყნებისას, თავისი ადრინდელი მოსაზრება საეჭვოდ გახადა და შესაძლებლად ჩათვალა როგორც პირველი სუმბატის, ე. ი. დიდი ივანე ორბელის შვილის, ასევე მეორე

[1] კ. კოსტანიანცი, მატიანე ქვებზე (სომხ.), გვ. 35; კ. კაფადარიანი, სანაჰინის ეკლესია (სომხ.), გვ. 189. როგორც პირველი, ისე მეორე გამომცემლის მიერ ეს წარწერა 1183 წლითაა დათარიღებული, რაც, რა თქმა უნდა, შეცდომაა. ივანე ორბელი 1178 წლიდან უკვე ცოცხალი აღარ იყო. ეს შეცდომა გაასწორა ლ. მელ-ქსეთ-ბეგმა (იხ. მისი „ჩრდილო მხარეთა“ სომეხთა მოძღვარნი, 1928, გვ. 35) და წარწერაც სამართლიანად 1173 წლისად მიიჩნია.

[2] სტეფანოს ორბელიანი, სივნიეთის ისტორია (სომხ.), გვ. 379.

[3] ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ დაბეჭდილ ტექსტში ქრონიკონი შეცდომით ტოგ – იკითხება, უნდა იყოს ტოვ და მხოლოდ ამ შემთხვევაში მიღებული 1156 წ. (იხ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ლორე-ტაშირის ეპიგრაფიკა, თსუ შრომები, 108, 1964, გვ. 318).

[4] ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ჩრდილო მხარეთა“, გვ. 35.

სუმბატის — გიორგი III-ის თანამედროვე ივანეს ძის დაშვებაც[1]. ლ. მელიქსეთ-ბეგის მართებული მოსაზრებით, აქ შეიძლება უფრო იგულისხმებოდეს ის სუმბატი, რომელიც სანაინის ჩვენ მიერ ზემომოტანილ 1173 წლის წარწერაშია მოხსენიებული და რომლის საფრესკო პორტრეტიც წარმოდგენილია ბეთანიის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე, შესასვლელ კარებთან[2], სათანადო წარწერითურთ. ეს სუმბატი, მართლაც, ცნობილია თავისი სააღმშენებლო მოღვაწეობით და სათახადო წყაროებს მიერ „დიდ სუმბატადაც“ არის წოდებული.

ჩვენ საკუთარ ვიზიარებთ ლ. მელიქსეთ ბეგის ამ მოსაზრებას, მაგრამ „ძველი ვეშმარიტის“ წარწერაში მოხსენიებული სუმბატის ვინაობის დასადგენად პირველ რიგში ბეთანიის ჩრდილოეთის კედელზე ხელშეტაძრის მოდელით გამოსახული სუმბატის ვინაობის გარკვევა იქნებოდა საჭირო.

ბეთანიის ტრესკასა და წარწერას 1027 წ. შეესო ს. კაკაბაძე და შესაძლებლად ჩათვალა იგი გიორგი III ის დროინდელ სუმბატ ორბელად მიეჩნია. ს. კაკაბაძე იქვე სხვა შესაძლებლობასაც უშვებდა და იმასაც კი ფიქრობდა, რომ იქნებ სუმბატი თამარისდროინდელი მანდატურთუხუცესი და ამ თანამდებობაზე ჰყავდა მოადგილე (შემცვლელი) ყოფილიყო[3].

ლ. მელიქსეთ-ბეგსაც ბეთანიის ტრესკის სუმბატი სუმბატ მეორედ, ე. ი. დიდი ივანეს შვილიშვილის – ივანეს ძედ და, მაშასადამე, გიორგი III-ის თანამედროვედ მიაჩნია[4]. ასევე ვაკაუდობს შ. ამირანაშვილიც; მისი აზრით, ბეთანიის ტაძრის სუმბატი ორბელთა აჯანყების მონაწილეა თავისი ძითურთ— ლიპარიტითურთ. ლიპარიტ სუმბატის ძემ გაქცევით უშველა თავს, ხოლო სუმბატი (აჯანყების შემდეგ) მონაზვნად შედგა და თამარის ისტორიკოსის მიერ „სუმბატ სჳმონ ქმნილად“ მოიხსენიება[5]. პირველ რიგში შემონაზვნებული სუმბატის შესახებ: „სუმბატ სჳმონ ქმნილი“ თამარის პირველ ისტორიკოსს მოხსენიებული ჰყავს გიორგის მეფობის დასაწყისში, XII ს. 60-იან წლებში და არა ორბელთა აჯანყების შემდეგ, XII ს. 80 იან წლებში. ისტორიკოსის სიტყვით, ანისს სალაშქროდ მიმავალ გიორგი III ს „თანავაზირობდეს იოვანე მწიგნობართუხუცესი და სუმბატ, სჳმონქმნილი“[6]. ეს კი ანისში მეორედ გალაშქრების დროს, ორბელიანთა აჯანყებამდე 16-17 წლით ადრე იყო და, ცხადია, ორბელთა აჯანყებას სუმბატის მონაზვნად აღკვეცის მიზეზად ვერ მივიჩნევთ. ასე რომ ისტორიკოსის „სუმბატ სჳმონქმნილი“ სხვა პირია და აჯანყების მონაწილე სუმბატი კი სულ სხვა. მართალია, ორივე ივანეს ძეა, მაგრამ პირველის მამა დაეით აღმაშენებლის დროს მოღვაწეობდა, ხოლო მეორისა — გიორგი III-ისა. ამრიგად, „სუმბატ სჳმონქმნილი“ დიდი ივანე ორბელის, დავით IV-ის თანამედროვისა და თანამებრძოლის ძეა; სუმბატს, როგორც ჩანს, მოღვაწეობის უკანასკნელ წლებში, გარკვეული მიზეზებით, მონაზვნობა მიუღია, მაგრამ გამოცდილი მოლაშქრე და პოლიტიკური მოღვაწე ჯერ კიდევ არ ანებებდა თავს საერო საქმეებს და საჭართველოს მეფეს საჭირო შემთხვევაში თანავაზირობდა და სალაშქროდაც მიჰყვებოდა.

ბეთანიის ფრესკის სუმბატის ვინაობის გასარკვევად გადამწყვეტი მნიშვ-

---

[1] ლ. მელიქსეთ-ბეგი, ლორე-ტაშირის ეპიგრაფიკა, გვ. 318.

[2] იქვე, გვ. 318 –319.

[3] ს. კაკაბაძე, ვეფხისტყაოსნის წინასიტყვაობა, გვ. XXXVII.

[4] ლ. მელიქსეთ-ბეგი, დასახ. ნაშრ., გვ. 318

[5] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1961, გვ. 282.

[6] ისტორიანი, გვ 58.

ნელობა მაინც იქვე გაკეთებულ ასომთავრულ წარწერას აქვს: „დიდისოვმბატ მანდატოვრთოვხოვც[ესი]“ [1].

ზედმეტად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ აქ მოხსენიებული სუმბატი შეიძლება მხოლოდ ორბელი იყოს და სხვა არავინ. როგორც ცნობილია, ბეთანია იმთავითვე ორბელთა საძვალე იყო; სტეფანოს ორბელიანის მოწმობით, აქ დაიმარხა პირველი სახელგანთქმული ორბელი „ლიპარიტ აფხაზი“ [დასავლელი] სპასალარი, მამა დავითის თანამედროვე ივანესი[2], დიდი ივანეც და თვით სემბატიც[3], ალბათ უკანასკნელი ორბელი, რომელიც ბეთანიაში დაიმარხა. იგი ორბელთა სამარხად დარჩა ორბელთა ცნობილ აჯანყებამდე, 1177 78 წლამდე. ამ დროიდან კი იგი გიორგი III-მ სამეფოდ აქცია და ამასთან დაკავშირებით ტაძარი ხელახლა მოიხატა კიდეც. შემთხვევითი არ არის, რომ ბეთანიის ფრესკებზე ორბელებზე გამარჯვებული საქართველოს მეფის მთელი საგვარეულოა გამოსახული და რომ ასეთ ვითარებაში ერთ-ერთი ორბელის—სუმბატ მანდატურთუხუცესის ფრესკა ხელუხლებელი დარჩა. არც ის არის შემთხვევითი, რომ ბეთანიის ფრესკებში დიდი ადგილი დაეთმო ისეთ სცენებს, როგორიცაა „მაცხოვრის ვნება“, „იუდას ამბორი“, „საიდუმლო სერობა“ და სხვ., რომ იგრძნობა „მწუხარების გამოძახილი“ და რომ ეს სცენები „თავისებური დრამატიული ელემენტების“ გაცხოველებითაა წარმოდგენილი[4]. ბეთანია, როგორც ჩანს, სამეფო ხელისუფლებისა და დ დ ორბელთა საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენლების ბრძოლისა და გიორგი III-ის გამარჯვების ერთგვარ სიმბოლოს წარმოადგენდა.

ამრიგად, უკვე მოტანილი მასალებიდანაც კარგად ჩანს, რომ ბეთანიის ფრესკაზე გამოსახულია დემეტრე I-ისა და გიორგი III-ის სამეფო ხელისუფლების წინაშე გარკვეული დამსახურების მქონე დიდი სუმბატ ორბელი, მანდატურთუხუცესი და არა მოწინააღმდეგე, ორბელთა აჯანყების მონაწილე და გიორგი III-ის მიერ სიკვდილით დასჯილი სუმბატ ორბელი, გიორგი III ის ამირსპასალარის და მანდატურთუხუცესის ივანეს ძე. განა წარმოსადგენია, რომ, მაშინ როცა მეფის განკარგულებით ყველა საისტორიო წიგნებიდან შლიდნენ ორბელიანთა სახელებს[5], ორბელთა აჯანყების მონაწილე სუმბატის ფრესკა გიორგი III-ისა და მისი სახლეულის გვერდით დაეტოვებინათ, ან გამოესახათ?

ამას გარდა, ბეთანიის ფრესკის სუმბატ ორბელის ვინაობას ნათელს ჰფენს მისი მოხსენიება მანდატურთუხუცესად. უდავოა, რომ ამ თანამდებობით შეიძლებოდა მხოლოდ სუმბატ პირველი, დიდი ივანეს (დავითის თანამედროვის) ძე, მოეხსენებინათ. გიორგი III-ის ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის ივანეს ძეს, სუმბატს, ქართული ნარატიული წყაროები საერთოდ არც ახსენებენ. მის შესახებ მოკლე ცნობას მხოლოდ სტეფანოს ორბელიანი გვაწვდის და მას გიორგი III-ის მიერ სიკვდილით დასჯილთა შორის მოიხსენიებს[6]. ასე რომ ეს მეორე სუმბატი, მამა ივანესთან ერთად, 1177-78 წლებში ცოცხალი აღარ არის. მამამისს ივანეს კი გიორგი III-ის სამეფო კარზე, XII ს. 60-იანი წლებიდან გარდაცვალებამდე (უკეთ, სიკვდილით დასჯამდე) ორი სახელო—ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის ერთად ეპყრა. ამ ტიტულებით მოიხსენიება იგი ანისის

[1] მელიქსეთ-ბეგი, ლორე-ტ შირის ეპიგრაფიკა, გვ. 319.
[2] სტეფანოს ორბელიანი, სივნიეთის ისტორია (სომხ.), გვ. 378.
[3] იქვე, გვ. 383.
[4] შ. ამირანაშვილი, დასახ ნაშრ., გვ. 282
[5] სტეფანოს ორბელიანი, სივნიეთის ისტორია (სომხ.), გვ. 389.
[6] იქვე.

აღების დროს: გიორგი მეფემ ანისში „დამგდებელმან ივანე ორბელისა, მანდატურთუხუცესისა და ამირა-სპასალარისამან“, დატოვა ქალაქიო — წერს თამარის პირველი ისტორიკოსი[1]. ივანეს ეს თანამდებობანი მხოლოდ სიკვდილმა დაათმობინა 1177 78 წწ. მაგრამ იმავე წელსვე სიკვდილით დაისაჯა მისი შვილი სუმბატიც, რომელიც ცხადია, საქართველოს სამეფო კარზე მანდატურთუხუცესის თანამდებობას ვერ მიიღებდა. როგორც ჩანს, მას არც რაიმე სხვა თანამდებობა ჰქონია, ალბათ, ჯერ კიდევ სიყმაწვილის გამო და, ცხადია, ვერც „დიდი სუმბატის“ საპატიო წოდებას დაიმსახურებდა. სხვა სუმბატი ორბელი კი XII ს. დიდ ორბელთა საგვარეულოში აღარაივინ იყო[2].

ამრიგად, „ძელი ჭეშმარიტისა“, ბეთანიის ტაძრისა და სანაინის წარწერებში მოხსენიებული სუმბატი ერთი და იგივე პირია და იგი დაჟით აღმაშენებლის თანამედროვის, სპასალარის, ივანე ორბელის ძეა.

სუმბატის მოღვაწეობის წლები ძირითადად დემეტრე I-ის (1125 – 1155 წ.წ.) მეფობის წლებს ემთხვევა, მაგრამ იგი შეესწრო დავით აღმაშენებლის მეფობის უკანასკნელ წელს. სტეფანოს ორბელიანის მოწმობით, დემეტრე I-ის მეფობის პირველ წლებში სუმბატი ლაშქრობებში იღებს მონაწილეობას – მამამ ივანემ და სუმბატმა, მისივე ცნობით, ერთად დაიპყრეს ხუნანი 1128 წელს[3]. სუმბატი შეესწრო აგრეთვე გიორგი III-ის მეფობის პირველ წლებს, მაგრამ უკვე როგორც მონაზონი -– „სჯმონქმნილი“.

ოდის უნდა იყოს გაკეთებული ზემოხსენებული წარწერები? პირველ, ჰნევანქის („ძელი ჭეშმარიტის“) წარწერაში, როგორც ვნახეთ, სუმბატი ყოველგვარი ტიტულის გარეშე მოიხსენიება. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მას ჯერ კიდევ არა აქვს მიღებული მამის თანამდებობანი; როგორც ჩანს, დიდი ივანე ამ წარწერის გაკეთების დროს ცოცხალია, ამასთანავე წარწერაში არ არის მოხსენიებული თვით სუმბატის არც ერთი ძე, წარწერა ზოგადად მიუთითებს მის „ყოველთა მომავალთა“, ასე რომ წარწერა არ შეიძლება ეკუთვნოდეს 1156 წელს, როცა სუმბატი მონაზვნად შემდგარიცა და სამი შვილის პატრონიც იყო. ამრიგად, ჰნევანქის წარწერა, დიდი ივანეს გარდაცვალებამდე უნდა იყოს გაკეთებული.

ბეთანიის ფრესკის მოკლე წარწერა კი შედარებით უფრო გვიანდელია: სუმბატს უკვე მიღებული აქვს მამის, დიდი ივანეს თანამდებობა მანდატურთუხუცესისა; ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ დიდი ივანე უკვე გარდაცვლილია და წარწერის ქვედა თარიღად 1128 წელი უნდა მივიჩნიოთ. ამას გარდა, სუმბატს „დიდის“ ტიტულიც აქვს მოპოვებული, იგი ამ წარწერის გაკეთების დროს უკვე სახელმოხვეჭილ, ქვეყნის წინაშე-დამსახურებულ პირად ჩანს. ბეთანიის წარწერაში სუმბატის მხოლოდ მანდატურთუხუცესის თანამდებობით მოხსენიება

---

[1] ისტორიანი. გვ. 57.

[2] სტეფანოს ორბელიანის ცნობა სუმბატ ივანეს ძის სიკვდილით დასჯის შესახებ სწორიც რომ არ იყოს და ის თამარის დროს ცოცხლად და საქართველოში მოღვაწედ (რაც საეჭვებით გამორიცხულია და არც ერთი წყაროთი არ დასტურდება) მიგვეჩნია, როგორც ამას შესაძლებლად თვლიდა ს. კაკაბაძე, თამარის დროს მისი მანდატურთუხუცესობა მაინც გამორიცხულია. ცნობილია თამარისდრო ხელი მანდატურთუხუცესები (ყუბასარი, ჭიაბერი, ზაქარია მხარგრძელი) და მათი ამ თანამდებობაზე ყოფნის თარიღებიც, ასე რომ სუმბატის მანდატურთუხუცესობისათვის თამარის დროს ადგილი აღარ რჩება.

[3] სტეფანოს ორბელიანი, სიენიეთის ისტორია (სომხ.), გვ. 379.

იმას არ ნიშნავს, რომ მას სხვა თანამდებობაც არ შეიძლებოდა ჰქონოდა: წარწერებში თუ სხვა სახის წყაროებში ორი სახელის მქონე პირის ერთი თანამდებობით მოხსენიება ჩვეულებრივი ამბავია და საამისო მაგალითის მოტანაც არაერთისა შეიძლებოდა. ამასთანავე, გავიხსენოთ სანაინის 1173 წლის წარწერა, სადაც იგივე სუმბატი მხოლოდ სპასალარად (ამირსპასალარად) არის მოხსენიებული. ასე რომ დიდ სუმბატ ორბელს, მამის გარდაცვალების შემდეგ, ორივე – მანდატურთუხუცესისა (ბეთანიის წარწერით) და ამირსპასალარის (სანაინის წარწერით) თანამდებობა ჰქონია.

ახლა ისღა დაგვრჩენია გაეარკვიოთ, თუ როდის უნდა დაეკარგა სუმბატ ორბელს ეს თანამდებობანი და აღკვეცილიყო მონაზვნად? სუმბატის მიერ ზემოაღნიშნული თანამდებობების დაკარგვა და ბერად აღკვეცა, ჩვენი აზრით, დავით V-ის ხანმოკლე მეფობისას უნდა იყოს მომხდარი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საგულისხმო ჩანს სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობა: „ივერიის მეფე დემეტრე 32 წლის მმართველობის შემდეგ გარდაიცვალა. მისმა შვილმა დავითმა... მიიღო მისი გვირგვინი. დავითმა გაათავისუფლა თ. ქაში, მრსი მამის მიერ ჯურღმულში ჩაგდებული და დანიშნა იგი მხედართმთავრად (*զօրագլուխ*), თვით კი გარდაიცვალა ერთი თვის შემდეგ. ზოგიერთნი ამბობენ, რომ ის (დავითი) დაიღუპა სუმბატ და ივანე ორბელების ღალატის წყალობით, რაკი თირქაში მათ ადგილზე დანიშნა. ისინი (ორბელები) ადრევე შეთანხმებიან ამაზე გიორგის, დავითის ძმას, რომელიც შეჰპირდა მათ ზორგარად მხედართმთავრად (*զօրավար*), დანიშვნას“ [1]. ჩვენ დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით, თუ რამდენად სწორია „ზოგიერთთა ნაამბობი“ ორბელთა ღალატით დავით V-ის დაღუპვის შესახებ. მაგრამ ფაქტია, რომ 1155 წ. დავით V ის გამეფებისთანავე სუმბატს ამირსპასალარობა დაუკარგავს (ცხადია, ამირსპასალარობასთან ერთად იგი მანდატურთუხუცესობასაც დაკარგავდა) და მის ადგილზე დავით V-ს თირქაში დაუნიშნავს. აი, სწორედ ამასთან, სუმბატის თანამდებობებიდან გადაყენებასთან, ე. ი. პოლიტიკური ცხოვრებიდან ჩამოშორებასთან უნდა იყოს დაკავშირებული მისი მონაზვნად აღკვეცა.

როგორც ცნობილია, დავით V-მ ტახტზე დიდხანს ვერ გაძლო და 1156 წელს ისევ დემეტრემ, ხოლო შემდეგ გიორგი მესამემ მიიღო მეფობა, მაგრამ სუმბატი, „სჯობნქმნილი“, თავის თანამდებობებს არ დაბრუნებია, თუმცა გიორგის გამეფების პირველ წლებშივე ორბელებმა ისევ დაიბრუნეს დავით V-ის მიერ წართმეული თანამდებობები და სუმბატის შვილი ივანე XII ს. 60-იანი წლებიდან ისევ ისე, თავის წინაპრების მსგავსად, იწოდებოდა მანდატურთუხუცესად და ამირსპასალარად.

მოტანილი მასალები და ბეთანიის წარწერაში სუმბატის მოხსენიება ერისკაცობის სახელითა და თანამდებობით ერთხელ კიდევ მიგვითითებს იმაზე, რომ სუმბატის ფრესკა და წარწერა შეუძლებელია 1155 წელზე გვიანდელი იყოს. ამრიგად, ბეთანიის ფრესკა და წარწერა 1128 1155 წწ. ეკუთვნის.

ჩვენ ასე ვრცლად იმიტომ შევჩერდით ზემომოტანილ წარწერებზე, რომ მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ერთიანი საქართველოს სახელმწიფო სამოხელეო წყობის ისტორიისათვის.

განხილული წარწერები შუქს ჰფენს XII ს. სამოხელეო წყობის ისტორიას. წარწერებიდან ირკვევა, რომ: ა) დავით აღმაშენებლის თანამედროვე ივანე ლი-

[1] ვარდანი, მსოფლიო ისტორია (სომხ.), გვ. 165, რუს., გვ. 154.

პარიტის ძე იყო მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი. ამრიგად, „ამირსპასალარის“ არსებობა XII ს. პირველ მეოთხედში ეპიგრაფიკული მასალით დასტურდება; ბ) ამირსპასალარობა და მანდატურთუხუცესობა, დავით აღმაშენებლის მეფობის გარკვეული დროიდან, ორბელების ხელში იყო; გ) ორბელები ფლობენ ამ თანამდებობას დემეტრე I-ის დროსაც, სამეფოს მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი ამ დროს ჯერ ივანე, ხოლო შემდეგ სუმბატ ივანეს ძე ორბელი იყო; დ) დავით V-ის მეფობის დროს ორბელებმა, დროებით, რამდენიმე წლით დაკარგეს აღნიშნული თანამდებობანი, მაგრამ XII ს. 60-იანი წლებიდან ისევ დაიბრუნეს და შეინარჩუნეს 1177 წლამდე.

ამრიგად, ამირსპასალარის სახელოს ისტორია XII ს. 60-იანი წლებიდან კი არ უნდა დავიწყოთ, როგორც ეს დღემდე მიღებულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ XII ს. დამდეგიდან, დავით აღმაშენებლის დროიდან.

ი. ჯავახიშვილი წერდა: „მარტო ის გარემოება, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს „ამირსპასალარი“ მოხსენებული არ ჰყავს, ვერავითარ საბუთად ვერ გამოდგება იმიტომ, რომ საზოგადოდ მას ხელისუფალთა შესახებ ძალიან ცოტა ცნობები აქვს აღნიშნული... იქნებ მომავალში, თუ ყველა მასალები შესაფერისი გულისხმიერებით განხილული იქნება, გამოირკვეს კიდეც, რომ საქართველოს სამხედრო მინისტრს მართლაც მხოლოდ XII ს-ში ეწოდა „ამირსპასალარის“ სახელი“ [1]. მართლაც, ამჯერად, ზემომოტანილი მასალების განხილვის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ჯარების სარდალს ამირსპასალარი XII ს. პირველი მეოთხედიდან ეწოდა. ეს ღონისძიებაც, როგორც ჩანს, დავით IV აღმაშენებლის სახელთან არის დაკავშირებული. ამაში ჩვენ დაგვარწმუნებს, გარდა ზემომოტანილი მასალებისა, თვით ტერმინ „ამირსპასალარის“ ქართულში შემოსვლისა და დამკვიდრების დროის გათვალისწინებაც.

ი. ჯავახიშვილის მიხედვით, არაბულ-სპარსული წარმოშობის ტერმინი „ამირსპასალარი“ არც არაბულსა და არც სპარსულში არ იხმარებოდა ლაშქრის მთავარსარდლის აღსანიშნავად: „არაბულად მთავარსარდალს ამირსპასალარს კი არ უძახდნენ, არამედ, „ამირ ალ-ჯუაუშ“-ს. სპარსეთში კი ჯარის მბრძანებელს მარტივად „სიფაჰ-სალარი“... ანუ სპასალარი ეწოდებოდა და თავში ქართულისავით „ამირ“-ი არ უჯდა“ [2]. ასე რომ ამირსპასალარი ი. ჯავახიშვილს არაბული და სპარსული სიტყვებისაგან ნაწარმოებ, არსებითად ქართული სამყაროსათვის დამახასიათებელ სამხედრო ტერმინად მიაჩნდა. მაგრამ ამ ბოლო დროს „დიდ სელჩუკთა“ სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ გამოქვეყნებული მასალებისა და გამოკვლევებიდან ჩანს, რომ „ამირსპასალარის“ სახელო XII ს. დამდეგისათვის „დიდ სელჩუკთა“ სამხედრო წყობისათვის იყო დამახასიათებელი. უკანასკნელი „დიდი სელჩუკის“ სანჯარის (1117—1157 წ.) ბრძანებებში „ამირსპასალარი“ amir-i isfahsālār-ის ფორმით არაერთხელ მოიხსენიება ამ თანამდებობის მფლობელ პირებთან ერთად[3]. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სანჯარის ერთ-ერთი ბრძანების მიხედვით, რომელიც იმად ად დინ აბუ ლ-ფატჰის ვალი-დ დანიშვნას შეეხება, აბუ ლ-ფატჰის მამასა და პაპასაც თავის დროზე ამირსპასალარის თანამდებობანი ჰქონიათ[4]. ასე რომ ამირსპასალარის პატივი სანჯარის დროს კი არა, მასზე ადრე XI ს. მიწურულს,

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქსი, II, გვ. 141.

[2] იქვე, გვ. 142.

[3] ჰ. ჰორსტი, სახელმწიფო განმგებლობა.. (გერმ.), გვ 104, 114—119.

[4] იქვე, გვ. 116.

მელიქ-შაჰის შემდეგ უნდა იყოს დამკვიდრებული „დიდ სელჩუკთა“ სამოხელეო წყობაში.

როგორც ჩანს, ქართულმა სამოხელეო წყობამ ლაშქრის მთავარსარდლის აღმნიშნველი ტერმინი — „ამირსპასალარი“ სელჩუკთა სამოხელეო ტერმინოლოგიიდან შეითვისა უკვე XII ს. დამდეგს (საამისოდ ყველაზე უკეთესი დრო, ცხადია, დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდი იყო); ამაში ჩვენ ჰნევენჰის ზემოხსენებული წარწერაც გვარწმუნებს. „დიდ სელჩუკთა“ ამირსპასალარისა და ქართული ამირსპასალარის უფლება-მოვალეობათა შესწავლა, ურთიერთშედარება საფუძველს გვარწმუნებს, რომ ამირსპასალარის ქართული სამოხელეო ინსტიტუტი შინაარსობრივად არსებითად განსხვავდებოდა ამავე სახელწოდების სელჩუკური ინსტიტუტისაგან, მაგრამ ამაზე ამჯერად სიტყვას ვერ გავაგრძელებთ. ასე რომ ტერმინოლოგიური ნასესხობა, ცხადია, სრულებით არ ნიშნავდა, აო გულისხმობდა თვით ინსტიტუტის ნასესხობას; მით უფრო, რომ ქართულ სამოხელეო ინსტიტუტს საერთოდ და კერძოდ „ლაშქრის თავს“ — სპასპეტს შეუდარებლად დიდი ტრადიცია ჰქონდა, ვიდრე სელჩუკურ სამოხელეო წყობასა და მისთვის დამახასიათებელ „ამირსპასალარის“ ინსტიტუტს.

დავუბრუნდეთ ჩვენს ძირითად საკითხს, კერძოდ, ქართული ფეოდალური პონარქიის პირველ ამირსპასალართა ვინაობას.

პ. ინგოროყვას მიერ შედგენილ „ვაზირთა სიის“ მიხედვით, პირველ ამირსპასალარად გვევლინება აბულეთი 1125—1130 წლებში, ე. ი. დემეტრე I-ის მეფობის პირველ წლებში; შემდეგ, მისივე მტკიცებით, 1130 წლიდან ეს თანამდებობა ივანე აბულეთის ძეს ჰქონდა 1145 წლამდე, ხოლო 1145 წლიდან— ივანე სუმბატის ძე ორბელს[1]. ნ. შოშიაშვილმა თავის კრიტიკულ წერილში ნათლად უჩვენა, რომ პ. ინგოროყვას ეს სქემა მოკლებულია მყარ მეცნიერულ საფუძველს. წყაროების ჩვენებით არ დასტურდება აბულეთის ძეთა ამირსპასალარობა დემეტრე I-ის დროს[2]. ჩვენ მიერ განხილული მასალები ერთხელ კიდევ ადასტურებენ ნ. შოშიაშვილის შენიშვნის სისწორეს. ირკვევა, რომ ტერმინი ამირსპასალარი XII ს. დამდეგიდან მკვიდრდება და პირველი ამირსპასალარები (ამ წოდების მატარებელნი), დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის დროს, ივანე ლიპარიტის ძე და სუმბატ ივანეს ძე ორბელები იყვნენ. აბულეთის ძეებმა (კერძოდ თირქაშმა) მხოლოდ მცირე ხნით შეძლეს ამირსპასალარობის მიღება დემეტრე I-ისა და გიორგი III-ის მოწინააღმდეგე დავით V-ის წყალობით. გიორგის გამეფების შემდეგ, თირქაშ აბულეთის ძემ, როგორც მოსალოდნელი იყო, დაკარგა ეს თანამდებობა და ისევ ორბელებმა დაიბრუნეს — ამიერიდან ამირსპასალარი ივანე სუმბატის ძე ორბელი იყო. XII ს. 60-იან წლებზე ადრე ივანეს არ შეეძლო ამ თანამდებობის მიღება, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ თანამდებობას 1155 წლამდე მისი მაძა სუმბატი ფლობდა, ხოლო შემდეგ ერთხანს თირქაშ აბულეთის ძე; ასე რომ პ. ინგოროყვას ვარაუდი ივანე სუმბატის ძე ორბელის 1145 წლიდან ამირსპასალარობის შესახებ ასევე არ მართლდება[3].

---

[1] პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 621, 622.

[2] ნ. შოშიაშვილი, სახელმწიფო სამართლის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 124, 126

[3] პ. ინგოროყვას ზემომოტანილი მოსაზრების დასადასტურებლად დამოწმებული აქვს ოთხი წყარო — ა) დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება, სადაც 1145 წ. ამბებზე არ შეიძლება იყოს რაიმე ცნობა და სადაც არც ივანე სუმბატის ძე ორბელი, პ. ინგოროყვას მიერ 1145 წლიდან ამირსპასალარად მიჩნეული, და არც მისი მამა სუმბატი საერთოდ არ არის მოხსენიებული, ბ) მეორე წყარო კი — თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულება, წინააღმდეგ პ. ინგოროყვას მოსაზრებისა, ივანე სუმბატის ძე ორბელს მხოლოდ 1161 წლიდან იხსენიებს

ამრიგად, ამირსპასალარის სახელოს შემოღება, ორბელთა საგვარეულოს დაწინაურება და მათთვის ამირსპასალარის სახელოს ბოძება დავით აღმაშენებლის სახელს, მის ღონისძიებებს უკავშირდება.

დავითის მრავალმხრივ ღონისძიებებთან უნდა იყოს დაკავშირებული აგრეთვე მანდატურთუხუცესის სახელოს შემოღებაც. სამეცნიერო ლიტერატურაში, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაზე დაყრდნობით, სათანადოდ არის შესწავლილი ის ღონისძიებანი, რაც დავით აღმაშენებელმა „ჟეოდალურ ქაოსში წესრიგის“ დასამყარებლად გაატარა. ამ ღონისძიებებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საპოლიციო, „მსტოვართა“ ინსტიტუტის გაძლიერებას. დავითის ისტორიკოსის მოწმობით, მეფეს არაფერი დაემალებოდა „არცა სამეფოთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა, დიდთა და მცირედთა, საქმე კეთილი, გინა სიტყუა ბოროტი, სიტყუა თქმული, არა რა დაეფარებოდა ყოელადვე, არამედ რაოდენც ვის ფარულად ექმნის, ანუ თუ ეთქუის, ყოველდღე ცხად იყო წინაშე მისსა“ [1]. ასეთი ღონისძიება კი, ისტორიკოსის სიტყვითვე, „მრავალთა კეთილთა მიზეზ ექმნა... ორგულობასა, ზაკვასა და ღალატსა... ვერვინ დიდთა ანუ მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებადცა“... „ვერცა მსოფლიო ვინმე და ვერცა მოქალაქე, ვერ მხედარი და ვერ რომელი პატიჳი და ასაკი იკადრებდა განდრეკილად სლვად“ [2]. აქვე ისტორიკოსი ხაზს უსვამს იმასაც, რომ წესიერება ქვეყანაში კანონად იქცა, „რამეთუ ყოველთა კაცთა იყო წესიერება, ყოველთა კანონ“...[3] ისეთი მკაცრი რეჟიმის დამყარება, რომლის წყალობითაც „შიში დიდი და ზარი“ მეფისა „განითქუა კიდეთა ქუეყანისათა“, სამეფო ხელისუფლებასთან ძლიერი და მოკნილი საპოლიციო აპარატის შექმნით იყო შესაძლებელი. სამეფო ხელისუფლებას ქვეყნის შინაგანი წესრიგის დამცველი საშინაო საპოლიციო აპარატი მანამდეც უნდა ჰქონოდა, მაგრამ რაკი დავითის ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს ამ ფაქტებს და მათ აღწერას რამდენიმე გვერდსაც კი უთმობს, ცხადია, ამ შემთხვევაში საამისო განსაკუთრებული ღონისძიების გატარების შესახებ უნდა იყოს საუბარი. დავითის შემტევი საშინაო და საგარეო პოლიტიკა მართლაც მოითხოვდა მკაცრი რეჟიმისა და შინაგანი წესრიგის დამყარებას. ეს კი სამეფო ხელისუფლებასთან სათანადო საგანგებო უწყების შექმნით იქნებოდა შესაძლებელი. ასეთ ორგანოს კი ქართულ ფეოდალურ მონარქიაში მანდატურთუხუცესის ინსტიტუტი და მისი საუწყებო შეადგენდა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ განსაკუთრებით მანდატურთუხუცესის სახელო, ასე ჩამოყალიბებული სახით, დავით აღმაშენებლის დროს უნდა იყოს შექმნილი.

ამირსპასალარად (იხ. ისტორიანი, გვ. 57); გ) მესამე წყაროში — ვარდანის „მსოფლიო ისტორიაში“ სუმბატი და ივ ნე მართლაც მოიხსენიებიან ეს ადგილი ვარდანის „ისტორიიდან“ ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ კიდეც), მაგრამ არაფერია მინიშნებულიც კი ივანე სუმბ ტის ძის 1145 წლიდან ამირსპასალარობის შესახებ; დ) პ. ინგოროყვას მეოთხე წყაროს — სტეფანოს ორბელიანს კი საეჭვო სანდოობის ცნობა აქვს დაცული: ივანეს მამა სუმბატი მოკედა ღრმა მოხუცებული და დამარხეს თავისი წინაპრების გვერდით, — ხელისუფლება გადავიდა მის შვილებზე — ივანესა და ლიპარიტზე (სტეფანოს ორბელიანი, სივნეთის ისტორია (სომხ), გვ. 383). ასე რომ მამის (სუმბ ტის) თანამდებობანი ივანეს, ამ ცნობის მიხედვით, სუმბატის გარდაცვალების შემდეგ მიუღია და არა მის სიცოცხლეში, 1145 წელს; ამრიგად, პ. ინგოროყვას მიერ დამოწმებული არც ერთი წყაროთი არ დასტურდება, რომ ივანე ორბელი 1145 წლიდან ამირსპასალარი ყოფილიყო, პირიქით, პ. ინგოროყვას წყაროები მის მოსაზრებათა წინააღმდეგ მეტყველებენ მხოლოდ.

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 355.

[2] იქვე, გვ. 355—356.

[3] იქვე, გვ. 356.

ასეთი ზოგადი ხასიათის მოსაზრების დადასტურებად მიგვაჩნია ზემოგანხილული წარწერები. ჰნევანქის (ძელი ჭეშმარიტის) წარწერაში, როგორც ვნახეთ, დავითის თანამედროვე ივანე ლიპარიტის ძე მანდატურთუხუცესადაა მოხსენიებული. მაგრამ ამ წარწერის მიხედვით კატეგორიული დასკვნის გაკეთება მაინც გაძნელდებოდა, რადგან წარწერაში ჩვენთვის საინტერესო ტერმინი აღარ იკითხება და ლ. მელიქსეთ-ბეგის მიხედვით, მისი მხოლოდ ბოლო ასოებიღაა (...„სისა“) შემორჩენილი, რაც, რა თქმა უნდა, მარტოოდენ „მანდატურთუხუცესის“ დაბოლოებად არ შეიძლება მივიჩნიოთ. სამაგიეროდ, ფრიად საინტერესო მასალას გვაძლევს ამ მხრივ ბეთანიის ფრესკის წარწერა — „ს ჳ მ ბ ა ტ მ ა ნ დ ა ტ ო ჳ რ თ ო ჳ ხ ო ჳ ც ე ს ი“. ამ წარწერის არც წაკითხვა და არც თარიღი არ იწვევს ეჭვს. იგი დემეტრე I-ის თანამედროვე მანდატურთუხუცესს ეკუთვნის. ამასთანავე ისიც ცხადია, რომ XII ს. 30—50-იან წლებში მანდატურთუხუცესი ჩვეულებრივ, გავრცელებულ, ხმარებულ ტერმინად და შესაბამისი სახელოს აღმნიშველად მოჩანს, ასე რომ იგი მაინც და მაინც დემეტრე I-ის დროს შემოღებულად არ შეიძლება მიგვეჩნია, მისი სათავე დავით აღმაშენებლის დროს უნდა ვეძიოთ, მით უფრო, რომ დემეტრე I რაიმე განსაკუთრებული საშინაო ღონისძიებით XII ს. საქართველოს ისტორიაში ცნობილი არ არის.

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული წყაროებით, საქართველოს პირველი მ ა ნ დ ა ტ ურ თ უ ხ უ ც ე ს ი, თ უ ი ვ ა ნ ე ლ ი პ ა რ ი ტ ი ს ძ ე ა რ ა, მ ი ს ი შ ვ ი ლ ი ს უ მ ბ ა ტ ი იყო. მ ა ნ დ ა ტ ურ თ უ ხ უ ც ე ს ო ბ ა ს უ მ ბ ა ტს 1128 1155 წ ლ ე ბ შ ი ე პ ყ რ ა. ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

პ. ინგოროყვას პირველ მანდატურთუხუცესად ასათ გრიგოლის ძე მიუჩნევია, რომელიც ამ თანამდებობას, მისივე ვარაუდით, 1117/20—1145 წლებში ფლობდა, ხოლო შემდეგ, 1145 წლიდან, სუმბატ ორბელი[1]. მაგრამ იმ ორი წყაროდან, რომელთაც ამ შემთხვევაში პ. ინგოროყვა დამყარებია, ერთში ასათ გრიგოლის ძე მანდატურთუხუცესად არ მოიხსენიება, ხოლო მეორეში საერთოდ ნახსენებიც კი არ არის[2].

1145 წლიდან სუმბატ ორბელის მანდატურთუხუცესის თანამდებობაზე ყოფნის დასამტკიცებლად პ. ინგოროყვას ისევ თამარის პირველი ისტორიკოსი, ვარდანი, სტეფანოს ორბელიანი და ბეთანიის ფრესკა აქვს დამოწმებული. თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში სუმბატი არათუ მანდატურთუხუცესად, სხვა რომელიმე თანამდებობის პირადაც არ არის დასახელებული. ერთხელ იგი მოიხსენიება მხოლოდ როგორც ლიპარიტის მამა — „სუმბატის ძე ლიპარიტი“[3], ხოლო მეორედ როგორც შემონაზვნებული — „სუმბატ სჳმონქმნილი“[4]; რაც შეეხება ვარდანს და სტეფანოს ორბელიანს, მართალია, ისინი, როგორც ზემოთ ვნახეთ, სუმბატ ორბელს ასახელებენ, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერს ამბობენ მისი მანდატურთუხუცესობის და მით უფრო ამ თანამდებობაზე მის 1145 წლიდან ყოფნის შესახებ. პ. ინგოროყვას მეოთხე წყარო — ბეთანიის ფრესკა და მისი წარწერა, რომელზეც ჩვენ საგანგებოდ შევჩერდით, ერთადერთია, სადაც სუმბატი მანდატურთუხუცესადაა მოხსენიებული, მაგრამ ამ მოკლე წარწერიდან, ასევე, სამწუხაროდ, არ ჩანს, თუ რომელი წლიდან იყო იგი ამ თანამდებობაზე. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ასათ გრიგოლის ძე, პ. ინ-

---

[1] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთველიანას ეპოქაში, გვ. 574, 575, 621, 622.

[2] შდრ. ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი, სახელმწიფო სამართლის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 126.

[3] ისტორიანი, გვ. 59, 68.

[4] იქვე, გვ. 58.

გოროყვას აზრით, ამ თანამდებობაზე სუმბატ ორბელის წინამორბედი, საერთოდ არ ყოფილა მანდატურთუხუცესი. ასეთ ვითარებაში, პ. ინგოროყვას მიერ 1145 წლის გამოცხადება სუმბატის მანდატურთუხუცესის თანამდებობაზე და ნიშვნის თარიღად, სავსებით ნებისმიერი ჩანს. ასევე, წყაროებისათვის ანგარიშგაუწევლობის შედეგია პ. ინგოროყვას მოსაზრება სუმბატის მანდატურთუხუცესის თნამდებობაზე 1163 წლამდე ყოფნის შესახებაც[1].

როგორ შეიძლებოდა სუმბატს ამ დროს მანდატურთუხუცესის თანამდებობა ჰქონოდა, როცა მისი შვილი ივანე უკვე 1161 წლიდან, თამარის პირველი ისტორიკოსის უტყუარი მოწმობით, მანდატურთუხუცესიც იყო და ამირსპასალარიც[2]. კიდევ უფრო უსაფუძვლოა გრიგოლ II ასათ I ის ძის მიჩნევა მანდატურთუხუცესად 1163— 1177 წლებში[3], მაშინ როცა ასევე თამარის პირველი ისტორიკოსის მოწმობით, მანდატურთუხუცესობა ამ დროს. 1161 წლიდან, ვიდრე ორბელთა აჯანყებამდე, ისევ ივანე ორბელს ეპყრა. აღსანიშნავია, რომ პ. ინგოროყვა გრიგოლ II-ის მანდატურთუხუცესობის დამადასტურებელ ვერც ერთ წყაროს ვერ ასახელებს და თავის ნაშრომზე, „რუსთველიანას" ერთ ერთ თავზე მიუთითებს (იხ. გვ. 591), სადაც არც ერთი საამისო მასალა არ არის და არც შეიძლება იყოს მოტანილი, რადგან ისე როგორც ასათ გრიგოლის ძის, ასევე გრიგოლ ასათის ძის მანდატურთუხუცესობა არც ერთი წყაროთი არ დასტურდება. ფაქტია, რომ ასათი, გრიგოლი თუ ჰერეთის სხვა ერისთავები XII ს-ის მანძილზე საერთოდ არ ყოფილან მანდატურთუხუცესის თანამდებობაზე. ყოველივე ეს პ. ინგოროყვას მიერ ხელოვნურად არის შექმნილი წინასწარ განსაზღვრული მოსაზრებით – მის მიერ შოთა რუსთაველის წინაპრებად მიჩნეული ე. წ. ჰერეთის ბაგრატიონების განდიდების მიზნით. პ. ინგოროყვა, საშუხაროდ, არავითარ ანგარიშს არ უწევს იმას, რომ ყოველივე ეს შოთა რუსთაველის დიდ სახელს სრულებით არაფერს მატებს.

არც პ. ინგოროყვას მიერ დამოწმებულ და არც სხვა წყაროდან არ ჩანს, რომ 1145 წლიდან მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის თანამდებობანი მამა-შვილს — სუმბატ დიდსა და მის ძეს ივანეს შორის განაწილებული ყოფილიყო და ერთს (მამას) მხოლოდ მანდატურთუხუცესობა ჰქონოდა, ხოლო მეორეს (შვილს) ამირსპასალარობა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამის წინააღმდეგ მიუთითებს ჯერ სანაინის 1173 წ. სომხური წარწერა, შემდეგ კი ჰნევანქის (ძველი ჰეშმარიტის) ქართული წარწერა, სადაც, როგორც ვნახეთ, ივანე ლიპარიტის ძე ორბელი მისი შვილის სუმბატის მიერ მანდატურთუხუცესად და ამირსპასალარად არის მოხსენიებული (ამირსპასალარი აქ გარკვევით იკითხება). სანაინის 1173 წ. ზემომოტანილ სომხურ წარწერაში კი უკვე ივანე სუმბატის ძე თავის მამას სუმბატ ივანეს ძეს და ასევე პაპასაც — ივანე ლიპარიტის ძეს იმავე (სპასალარის — ამირსპასალარის) ტიტულით იხსენიებს, რომელსაც თვითონ ამ დროს, ე. ი. 1173 წ. ატარებდა. 1173 წ., ისე როგორც წინა წლებში, XII ს. 60 იანი წლებიდან, ივანე სუმბატის ძე ქართულ წყაროებში ამირსპასალარად იწოდებოდა[4]. ყველაფერი ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ სუმბატსაც თავის დროზე ოგივე თანამდებობა ჰქონია, რაც მის შვილს ივანეს გარკვეული დროიდან — მამის სუმბატის მონაზვნად შედგომისა და გიორგი III-ის გამეფების დროიდან; ეს თანამდებობანი კი მამასა და შვილს, როგორც ზემომოტანილი

[1] პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 575.

[2] ისტორიანი, გვ. 57.

[3] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 626, 575.

[4] ისტორიანი, გვ. 57, 63, 65, 68.

ორიეე წარწერა გეიდასტურებს, მიღებული ჰქონდათ დავით აღმაშენებლის თანამედროვე წინაპრისაგან — დიდი ივანე ლიპარიტის ძისაგან.

ამრიგად, ამირსპასალარის თანამდებობა ორბელებს დავით აღმაშენებლის მეფობის მეორე ნახევრიდან ეპყრათ 1177 წლამდე, თუ არ მიეიღებთ მხედველობაში დავით V-ის მეფობის რამდენიმე თვეს.

ორბელების მოხსენიება ზოგ შემთხვევაში მხოლოდ ერთი თანამდებობით, მაგალითად, სუმბატისა მანდატურთუხუცესად, ან კიდევ ივანესი სპასალარად, როგორც ითქვა, იმას არ ნიშნავს, რომ მათ მხოლოდ ეს ერთი თანამდებობა ჰქონდათ, რომლითაც ამა თუ იმ წყაროში მოიხსენიებიან. წყაროებით დასტურდება, რომ, მაგალითად სუმბატს, რომელსაც მისი შვილი მხოლოდ სპასალარის წოდებით მოიხსენიებს, მანდატურთუხუცესის თანამდებობაც ჰქონია. ან კიდევ, ივანე სუმბატის ძე ორბელს, რომელიც თავისთავს მხოლოდ სპასალარს უწოდებს, თამარის ისტორიკოსის მოწმობით, XII ს. 60-იანი წლებიდან ორივე — მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის — თანამდებობა ჰქონდა.

მანდატურთუხუცესობა (შინაგანი საპოლიციო სამსახურისა და მეფის დაცვის უფროსობა) თავისი ბუნებით ახლო იდგა ამირსპასალარობასთან, ამიტომაც ამ ორი თანამდებობის გაერთიანება ერთი პირის ხელში იშვიათი შემთხვევა არ ყოფილა XII ს. მანძილზე. ორბელების გარდა, ამ თანამდებობებს აერთიანებდნენ მათი შემცვლელი ყუბასარიც, შემდეგ მხარგრძელებიც (ზაქარია, ივანე), თუმცა თამარის მეფობის დასაწყისიდან იყო შემთხვევა მათი გაყოფისაც.

ამრიგად, ორბელები არა მარტო ამირსპასალარობას, არამედ მანდატურთუხუცესობასაც ფლობდნენ — ეს ორი თანამდებობა 1177 წლამდე, როგორც ჩანს, ორბელთა სახელო იყო [1].

არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ ერთ მნიშვნელოვან გარემოებასაც: ნარატიულ თუ ეპიგრაფიკულ ქართულ-სომხურ წყაროებში ხშირ შემთხვევაში თითქმის მთელი XII ს. მანძილზე ჯერ მანდატურთუხუცესის სახელო მოიხსენიება, ხოლო შემდეგ ამირსპასალარისა; მაგალითად, ივანე სუმბატის ძე თამარის ისტორიკოსის მიერ XII ს. 60-იან წლებში მანდატურთუხუცეს-ამირსპასა-

[1] ორბელთა ასე აღზევება დაეთ აღმაშენებლის დროიდან დაიწყო და ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს — კლდეკარის საერისთაოსა და სხვა საფეოდალოთა წინააღმდეგ გამართულ სამეფო სასიცოცხლო ბრძოლაში დავით IV წინ სწევს ახალ ფეოდალურ საგვარეულოებს. ერთი მათგანი ორბელთა საგვარეულო იყო, როგორც ჩანს, სამხრეთ საქართველოდან. პირველი მისი წარმომადგენელი, რომელიც, სტეფანოს ორბელიანის მოწმობით, დიდი გაულენით სარგებლობდა სამეფოში, ლიპარიტ ორბელი იყო, რომელიც თავის თავს „ლიპარიტ აფხაზს" (*ქსნ ჩხაირიძე Ashxazaw*) უწოდებდა, სტეფანოს ორბელიანი, სივნიეთის ისტორია (სომხ.), გვ. 375. სტ. ორბელიანის ცნობით, ლიპარიტი დავით მეფის დროს, 1049 წლიდან გამოჩნდა. ცხადია, ლიპარიტის ცდება ქრონოლოგიაში. ამ დროს დავითი მეტად არ ყოფილა, მაგრამ ის სწორი უნდა იყოს საერთოდ ლიპარიტის დაწინაურების დროის განსაზღვრაში. შემთხვევითი არ შეიძლება იყოს მისი ცნობა ბეთანიაში ლიპარიტის დასაფლავების დროს დავითის დასწრების შესახებ (სტეფანოს ორბელიანი, სივნიეთის ისტორია (სომხ.), გვ. 378).

ორბელთა წარმომავლობის გასარკვევად ყურ დღებას იქცევს ლიპარიტის „აფხაზობა" (დასავლეთი) და აგრეთვე სტეფანოსის ცნობა ორბელთა წინაპრების ჰენში (*ქსნისაw*) ცხოვრების შესახებ (სტეფანოს ორბელიანი, სივნიეთის ისტორია, (სომხ.), გვ. 380). თუ ამ „ჰენს" (სტეფანოსის მიხედვით ნიშნავს ჩინს, ჩინეთს) შუასაუკუნეებში ჩვეულებრივ მიღებულ ლეგენდარულ გარსს შემოაცლით, შეიძლება მასში „ჰანი" გეეგულისხმა, და იგი ორბელთა ჰანურ-ლაზური წარმოშობის მოწმობად მიგეჩნია, როგორც ეს თავის დროზე სავსებით მართებულად შენიშნა ლ. მელიქსეთ-ბეგმა (იხ. მისი „ტოპონიმიკური შტუდიები" „მარჯანიშვილის ენათმეცნიერებისათვის", 1934, გვ. 153, 154; მისივე, სტეფანე სივნიელის „ორბელთა ისტორიის" ქართული ვერსია, გვ. 42—43).

ლარად იწოდება. ზაქარია მხარგრძელიც სომხურ ეპიგრაფიკულ მასალებში თითქმის ყოველთვის ჯერ მანდატურთუხუცესად მოიხსენიება, შემდეგ ამირსპასალარად. ამან ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეული შენიშვნაც გამოიწვია — ამ ორ სამხედრო ხელისუფლებას შორის მანდატურთუხუცესის პირველობის შესახებ. იქნებ ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ არა მთელ XII ს. მანძილზე, არამედ მხოლოდ გარკვეულ დროს, ჩვენი აზრით, სწორედ დავით აღმაშენებლის ზეობაში. დავითის, თვით დიდი სარდლის, მეფობის პერიოდში, ცხადია, ამირსპასალარის სახელო უფრო ფორმალური იქნებოდა, ვიდრე ფაქტიური. დავით აღმაშენებლის დროს ამირსპასალარის სახელოს დამცრობას ხელს უწყობდა, როგორც ეს სავსებით მართებულად შენიშნა ნ. ბერძენიშვილმა, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის პირველობა, მისი გავაზირება: „დიდგვარიანთა პოლიტიკური ბატონობის ხანის სპასალარის პირველობა ხელისუფალთა შორის ახალი (დავითის დროის, შ. მ.) სახელმწიფო წყობილებისათვის მიუღებელი იყო. ამიერიდან სპასალარს პირველობა უნდა დაეთმო გამარჯვებული ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლისათვის. ასეთი იყო მწიგნობართუხუცესი და ამიერიდან სწორედ ის იქმნა „ვაზირი მეფისა“ [1].

მეორე მხრივ, დავით აღმაშენებელი აძლიერებდა აგრეთვე მანდატურთუხუცესის სახელოს. სწორედ დავით აღმაშენებლის ზეობაში უნდა მიეღწია მანდატურთუხუცესს პირველობისათვის, ამ დროს უნდა მიჩნეულიყო მანდატურთუხუცესი სამეფო კარზე ერთ-ერთ უძლიერეს ხელისუფლად, ცხადია, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის შემდეგ.

მართალია, შემდეგ, როგორც დავინახავთ, მდგომარეობა იცვლება, უკვე XII ს. მეორე ნახევრიდან ამირსპასალარი აშკარად მეორე ადგილს (მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის შემდეგ) იჭერს „დარბაზის რიგის“ მოხელეთა შორის, მაგრამ ძველთაგან მომდინარე ტრადიცია ამირსპასალარზე ადრე მანდატურთუხუცესის დასახელებისა, როგორც ჩანს, მაინც გრძელდებოდა.

ზემომოტანილი მასალების განხილვა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ: დავით აღმაშენებლის მეფობის დროს, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის სამოხელეო წყობა დასრულებულ სახეს იღებს. ამ დროს ჩამოყალიბდა: ა) მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელის სახელო, ბ) მანდატურთუხუცესის სახელო, გ) ამირსპასალარის სახელო და მათი საუწყებონი სათანადო მოხელეებითურთ. ამავე დროს უნდა ვიგულისხმოთ აგრეთვე მეჯურჭლეთუხუცესის სახელოს ჩამოყალიბებაც სამეფო კარზე. „მეჯურჭლის“ თანამდებობა, როგორც ცნობილია, ძველთაგანვე არსებობდა მთავართა კარზე და, ცხადია, იქნებოდა მეფეთა სასახლეებშიც. ამ ხელისუფლების ფუნქციათა გაფართოებამ ერთიანი ფეოდალური მონარქიის წარმოქმნასთან და ზრდასთან დაკავშირებით, აუცილებელი გახადა მეჯურჭლეთა უფროსის, ანუ მეჯურჭლეთუხუცესის თანამდებობის შექმნა. ამრიგად, დავით აღმაშენებლის დროს ჩამოყალიბდა ცენტრალური სამოხელეო აპარატის ის ძირითადი ბირთვი, რომელიც შემდეგ, XIII ს. დამდეგიდან, საფუძვლად დაედო ე. წ. „სავაზიროს“ წარმოქმნას.

2. ვაზირი XII ს. მეორე ნახევარში

ტერმინ „ვაზირის“ ქართულში დამკვიდრების დროსა და მასთან დაკავშირებით „სავაზიროს“ წარმოქმნის საკითხს პირველად ი. ჯავახიშვილი შეეხო.

[1] ნ. ბერძენიშვილი, საუზირო, გვ. 39.

მისი დაკვირვებით, სიტყვა „ვაზირი" თამარ მეფისა და გიორგი III-ის ისტორიკოსს გარდა არც ერთ სხვა ქართველ მემატიანეს არსად ნახმარი არა აქვს. იქნებ სწორედ გიორგი III და თამარ მეფის დროს შემოსულა ეს სიტყვა ქართულში" [1]. მართლაც, დღესდღეობით ჩვენთვის ცნობილი მასალებით, ვაზირი, როგორც ქართული ფეოდალური მონარქიის „დარბაზის რიგის" მოხელის აღმნიშვნელი ტერმინი, პირველად თამარის ისტორიკოსების თხზულებაში გვხვდება. თუმცა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ამ სახელწოდების შესატყვისი მოხელე უკვე დავით აღმაშენებლის დროიდან იყო სამეფო კარზე.

ი. ჯავახიშვილისაც გამოკვლევით, ტერმინი „ვაზირი" ქართულში „განსაკუთრებით მინისტრთა საზოგადო სახელად იქცა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა, რომ საქართველოში მე XII-ე საუკუნეში ერთს უზენაესს მინისტრს კი არ რქმევია ვაზირის სახელი... არამედ რამდენიმე ვაზირი ყოფილა" [2]. გიორგი III-ისა და თამარის მეფობის დროს, ი. ჯავახიშვილის აზრით, ჯერ 4 ვაზირი იყო, ხოლო შემდეგ, თამარის მეფობის დასასრულს, 5 ვაზირი (მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელი. ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი და ათაბაგი). ამ მოსაზრების დასადასტურებლად ი. ჯავახიშვილი თამარის ისტორიკოსების თხზულებებში „ვაზირის" მრავლობით რიცხვში — „ვაზირნი" - ხმარების მაგალითებს იშველიებდა. ამასთან ი. ჯავახიშვილი ემყარება „ხელმწიფის კარის გარიგებაში" დაცულ სათანადო ცნობებს ვაზირებისა და სავაზიროს შესახებ.

ი. ჯავახიშვილის ზემოგანხილული მოსაზრებანი ძირითადად გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში და ეინც კი შეხებია XII ს. ვაზირებსა და სავაზიროს (გამოკვლევებში სახელმძღვანელოებსა თუ დამხმარე სახელმძღვანელოებში), არსებითად იმეორებდა მას[3].

სავაზიროს წარმოქმნის საკითხს საგანგებოდ შეეხო მ ლორთქიფანიძე და მან, სრულიად მართებულად, საჭიროდ მიიჩნია ზოგიერთი შეხედულების გადასინჯვა. მ. ლორთქიფანიძემ სწორად შენიშნა, რომ „თამარის ისტორიაში... გიორგი III სიცოცხლეში არც ერთი ხელისუფალი, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის გარდა, ვაზირობით არ იხსენიება", და რომ გიორგი III-ის გარდაცვალების დროს სამეფო ხელისუფლებას მარტო ერთი ვაზირი ჰყავდა[4]. ასევე, სწორია მისი მოსაზრება, რომ „ვაზირის" მრავლობით რიცხვში ხმარება თამარის ისტორიკოსთა თხზულებებში ყოველთვის არ ნიშნავს რამდენიმე ვაზირის არსებობას სამეფო კარზე[5]. მაგრამ მ. ლორთქიფანიძემ ეს სავსებით სწორი მოსაზრებანი ბოლომდე ვერ განავითარა და ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ შეხედულებათა გაელენით, აგრეთვე „ისტორია-აზმანის" ზოგ არასწორად აღდგენილ ტექსტზე დაყრდნობით, ვაზირების და სავაზიროს ჩამოყალიბება თამარის მეფობის დროისათვის დამახასიათებელ ფაქტად მიიჩნია.

მ. ლორთქიფანიძის მიხედვით თამარის დროს მსხვილმა ფეოდალებმა „გამარჯვება მოიპოვეს და მიიღეს სახელმწიფო საქმეთა გადაწყვეტაში „ერთნე-

[1] ი. ჯავახიშვილი, ქსი, II, გვ. 120.

[2] იქვე, გვ. 121.

[3] საქართველოს ისტორია, 1, ნ. ბერძენიშვილის რედ., 1958, გვ. 208 210; საქართველოს ისტორია, სახელმძღვანელო საშუალო სკოლებისათვის, ნ. ბერძენიშვილის რედ., 1958, გვ. 136 139; შ. მესხია, ვ. გუჩუა, საქართველოს ისტორია, სახელმძღვანელო საშუალო სკოლებისათვის, 1970, გვ. 81; დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, I, 1962, გვ 76 90; მ. ლორთქიფანიძე, რუსთაველის ეპოქა, 1966, გვ. 72—74.

[4] მ. ლორთქიფანიძე, კარის მოხელენი, მსკი, ნაკვ. 32, 1955, გვ. 70.

[5] იქვე, გვ. 70—71.

ბობისა და თანადგომის“ უფლება, ამას კი მოჰყვა ამ რასპასალარისა და მანდატურთუხუცესის გაჯიბრება, ხოლო შემდეგ მეჯუჯულეთუხუცესისა, ათაბაგისა და მსახურთუხუცესისა. ეს უველაფერი, ავტორის აზრით, ძირითადად თამარის მეფობაში ხდება და „მსხვილ ფეოდალებთან ჭიდილში ცენტრალური ხელისუფლების მარცხს უნდა უკავშირდებოდეს“[1]. აქ არ შეეუდგებით მ. ლორთქიფანიძის მიერ დამოწმებულ წყაროთა მონაცემების გარჩევას. თამარის პირველი ისტორიკოსის ის ცნობები, რომლებიც ავტორს ამ შემთხვევაში მოშველიებული აქვს, ჩვენ მიერ ქვემოთ საგანგებოდ იქნება განხილული.

სავაზიროს წარმოქმნის საკითხს შეეხო პ. ინგოროყვაც. მისი აზრით, „საქართველოს სახელმწიფოს მთავრობის — სავაზიროს — ინსტიტუტი, როგორც იგი მოქმედებდა მე-12 — მე-14 სს. ჩამოყალიბდა მე-12 საუკუნის დასაწყისში, დავით აღმაშენებლის დროს“[2].

პ. ინგოროყვამ, ჩვენი აზრით, სწორად შენიშნა ქართული ფეოდალური მონარქიის სამოხელეო წყობაში XII ს. დამდეგს, დავით აღმაშენებლის დროს, მომხდარი ცვლილებანი, მაგრამ ეს მაინც არ იქნებოდა საკმარისი დავითის დროს სავაზიროს არსებობის დასამტკიცებლად.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პ. ინგოროყვა თავის ნაშრომში კიდევ უფრო შორს წავიდა და გიორგი III-ისა და თამარის დროის „დარბაზის რიგის“ უველა მოხელე — დიდი თუ მცირე — ვაზირად გამოაცხადა. მაგრამ რაკი ყოველივე ეს ეწინააღმდეგებოდა „ხელმწიფის კარის გარიგების“ მონაცემებს, იძულებული შეიქნა ვაზირები ორ ძირითად ჯგუფად — „უფროს“ და „უმცროს ვაზირებად“ დაეყო, რაც ქართული წყაროების მონაცემებით არ დასტურდება.

პ. ინგოროყვას ეკუთვნის აგრეთვე XII საუკუნის მანძილზე ქართული სავაზიროს ისტორიაში ოთხი ძირითადი პერიოდის გამოყოფა, შესაბამისი სქემებისა და ვაზირთა სიის შედგენაც. პ. ინგოროყვას ეს სქემა და ვაზირთა სიაც საკმაოდ კარგადაა გაჩეული და საფუძვლიანად გაკრიტიკებული ნ. შოშიაშვილის მიერ[3] და მასზე ამჟამად საგანგებოდ შეჩერებას საჭიროდ არ მივიჩნევთ, გზადაგზა კი, ცხადია, მოგვიხდება მასზე საუბარი.

როცა ი. ჯაჯანიშვილი სავაზიროს არსებობის ისტორიას გიორგი III-ისა და თამარის დროიდან იწყებდა, ძირითად წყაროებად იყენებდა თამარის ისტორიკოსების მონაცემებს, ჟამთააღმწერლის თხზულებასა და „ხელმწიფის კარის გარიგებას“. XII ს. სამოხელეო წყობის შესწავლისას ძირითადი წყარო, ცხადია, თამარის ისტორიკოსთა თხზულებანი უნდა იყოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უფრო გვიანდელი (XIV ს.) წყაროები საამისოდ არ შეიძლება იყოს გამოყენებული. უველაზე უხვ მასალებს ამ მხრივ „ხელმწითის კარის გარიგება“ შეიცავს, მაგრამ ეს ძეგლი XIV ს. პირველ ნახევარს ეკუთვნის და, ჩვენი აზრით, უფრო სრულყოფილად სწორედ იმდროინდელ სახელმწიფოებრივ წყობას წარმოგვიდგენს, ვიდრე თვით ეს ძეგლი არის შექმნილი, თუმცა „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ სავაზიროს ისტორიისათვის სათანადო მასალებიც არის დაცული[4].

---

[1] მ. ლორთქიფანიძე, კარის მოხელენი, მსკე, ნაკვ. 32, 1955, გვ. 71—72.

[2] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 561.

[3] ნ. შოშიაშვილი, სახელმწიფო სამართლის ისტორიის ზოგიერთი საკითხი.

[4] ის ფაქტი, რომ „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ზოგ ისეთ სახელოზე (მაგ., მწიგნობართუხუცეს ჰყონდიდელისა) არის საუბარი, რომელიც ამ დროს უკვე აღარ არსებობდა (უკანასკნელ მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდლად წყაროებით ცნობილი ბასილი 1265 წ. სიკვდილით დასჯის და ამას უნდა მოჰყოლოდა, ჩვენი აზრი, ამ სახელოს გაუქმებაც), იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ „კარის გარიგება“ უფრო ისტორიული ხასიათის ნაშრომია, ვიდრე XIV ს. მოქმედი სახელმწიფო სამართლის ძეგლი.

იგივე შეიძლება ითქვას ქამთააღმწერლის თხზულების შესახებაც. ქამთააღმწერელიც დაახლოებით იმ დროს მოღვაწეობდა, როცა „ხელმწიფის კარის გარიგება“ შეიქმნა და გასაკვირი არ უნდა იყოს, თუკი მის თხზულებაში XIII—XIV სს. უკვე ფაქტად ქცეულ მოვლენებზეა საუბარი და რომ ამ გვიანდელ ძეგლებში ყოველთვის ზუსტ ასახვას ვერ პოულობს XII ს-ში მომდინარე პროცესები, კერძოდ სავაზიროს ისტორიის ცალკეული მომენტები.

ამიტომაც, ჩვენი აზრით, XII ს-ში სავაზიროს არსებობის საკითხის შესასწავლად უმთავრესად იმავე დროის მასალები, ნარატიული თუ დოკუმენტური წყაროები უნდა იყოს გამოყენებული, ცხადია, შემდეგდროინდელი მონაცემების გათვალისწინებით.

ი. ჯავახიშვილი და სხვა მკვლევრებიც, ვინც კი ვაზირებსა და სავაზიროს შეხებია, უეჭველად მიიჩნევენ რამდენიმე ვაზირისა და თვით სავაზიროს არსებობას გიორგი III-ისა და თამარის დროს. საამისოდ პირველ რიგში ყოველთვის დამოწმებულია, როგორც აღვნიშნეთ, „ვაზირის“ მრავლობით რიცხვში მოხსენიება თამარის ისტორიკოსთა თხზულებებში.

მართლაც, თამარის ისტორიკოსების თხზულებებში არაერთხელ გვხვდება ეს ტერმინი: ასე მაგალითად, თამარის პირველ ისტორიკოსს იგი სულ 9-ჯერ აქვს ნახმარი, ამათგან 5-ჯერ მრავლობით რიცხვში, ხოლო ოთხ შემთხვევაში მხოლობითში და მხოლოდ მოხელის მნიშვნელობით. ცხადია, რიცხვების ასეთი შეფარდებიდან რაიმე დასკვნის გაკეთება შეუძლებელია, თუ ჩვენ ცალკეულ კონკრეტულ მაგალითებს საგანგებოდ არ განვიხილავთ.

ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ვაზირს, როგორც ეს ი. ჯავახიშვილს აქვს შენიშნული, გარდა მოხელისა, სხვა უფრო ზოგადი — მრჩევლის, თანაშემწის, მეშკელის — მნიშვნელობითაც ხმარობდნენ[1]. საამისო მაგალითებიც არაერთია თამარის ისტორიკოსების თხზულებებში. ასე მაგალითად, პირველი ისტორიკოსის ცნობით, ანისს სალაშქროდ მიმავალ გიორგი III-ს „თანავაზირობდეს იოვანე მწიგნობართუხუცესი და სუმბატ სჯმონქმნილი“[2]. ცხადია, უკვე მონაზვნად აღკვეცილი სუმბატის „თანავაზირობა“ ამ შემთხვევაში მხოლოდ რჩევას (მრჩევლობას) შეიძლება ნიშნავდეს და არა სუმბატის მოხელეობას სამეფო კარზე. მრჩეველი კი არაერთი შეიძლებოდა ყოფილიყო და, ბუნებრივია, თუ ასეთ შემთხვევებში თამარის ისტორიკოსნი „ვაზირს“ მრავლობით რიცხვში იხმარდნენ. ბასილის ცნობით, შანქორის ომის წინ გამართულ თათბირზე მეფემ „მოუწოდა ყოველთა ვაზირთა თუისთა და შეიქმნა გამორჩევა“[3]. ბრძოლის წინ „საქმის გამოსარჩევად“ ბუნებრივია, თუ „ყოველნი მრჩეველნი“ („ყოველნი ვაზირნი“), საქმის მცოდნენი იქნებოდნენ მოწვეულნი და არა მარტო ის ოთხი მოხელე, რომლებიც მკვლევართა მიერ ვაზირებად არიან მიჩნეულნი. „ვაზირმა“ მრჩევლის, თანაშემწის მნიშვნელობა შეინარჩუნა XIV და შემდეგ საუკუნეებშიც. მაგ., „ხელმწიფის კარის გარიგებით“, „ამირახორი ვაზირი არის ამირსპასალარისა“[4]. ასეთივე ვაზირები, თანაშემწეები შეიძლებოდა ჰყოლოდა (და ჰყავდათ კიდეც) „დარბაზის რიგის“ სხვა მაღალი რანგის მოხელეებსაც.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ტერმინ „ვაზირის“ მრავლობით რიცხვში ხმარება თამარის ისტორიკოსების თხზულებაში ყოველთვის არ მიუთითებს ვაზი-

---

[1] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქსი, II$_1$, გვ. 120.

[2] ისტორიანი, გვ. 58.

[3] ბ ა ს ი ლ ი, გვ. 20.

[4] ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 86.

რის წოდების მქონე რამდენიმე მოხელის ყოფნას სამეფო კარის ცენტრალურ აპარატში.

თამარის ისტორიკოსის თხზულებებში სხვა შემთხვევებიც გვაქვს, როცა ვაზირი მრავლობით რიცხვშია ნახმარი; მოვიტანოთ და განვიხილოთ ეს მასალებიც: პირველი ისტორიკოსის სიტყვით, გიორგი III-მ თამარი „მეფე ყო თანადგომითა ყოველთა: პატრიაქთა და ეპისკოპოზთა, დიდებულთა იმერთა და ამერთა, ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა“[1]. როგორც ვხედავთ, მრავლობითი რიცხვით მოიხსენიებიან არა მარტო დიდებულები, სპასალარნი და სპასპეტნი, არამედ აგრეთვე პატრიარქიცა და ვაზირიც, მაშინ როცა დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იმდროინდელ საქართველოში მხოლოდ ერთი პატრიარქი იყო. ამ შემთხვევაში ჩვენ, როგორც ჩანს, საქმე გვაქვს ჩვეულებრივ მოვლენასთან წინადადებაში, მსაზღვრელისა და საზღვრულის შეთანხმებასთან რიცხვში, კერძოდ, მრავლობითში — „ყოველთა: დიდებულთა, პატრიაქთა და ვაზირთა“ მსგავსი შეთანხმება უნდა გაქონდეს სადმე ქვემოთაც, როცა ისტორიკოსი წერს: „ოდეს უგრძნეს ვაზირთა და დიდებულთა განკჳრდესო“[2]. ან კიდევ, შანქორის ბრძოლის წინ ლაშქრის წვევისა და ბრძოლის დღის გადასაწყვეტად გამართულ საგანგებო მზადებისას, იმავე ისტორიკოსის სიტყვით, „შეკრბეს თამარს წინაშე ყოველნი: ვაზირნი და სპანი“[3]. სახელთა მრავლობითში შეთანხმების სხვა შემთხვევებიც გვაქვს თამარის ისტორიკოსის თხზულებაში, რომელიც კარგად გვიხსნის „ვაზირთა“ მრავლობითში ხმარების ზემომოტანილ მაგალითებს.

ეჭვმიუტანელია, რომ გიორგისა და თამარის მეფობისას მხოლოდ ერთი ამირსპასალარი იყო და მიუხედავად ამისა, ისტორიკოსი ზოგ შემთხვევაში, რაკი ამას მოითხოვდა ძველი ქართული ენის სინტაქსი, ამირსპასალარსაც მრავლობითი რიცხვით მოიხსენიებს. ანისისათვის ბრძოლის დროს „ამირსპასალართა, დიდებულთა და ლაშქართა... ადიწეს ღუარი სისხლისა“[4], მაშინ როცა ამ ბრძოლაში ერთი ამირსპასალარი მონაწილეობდა. მსგავსი მაგალითების გამრავლება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ესეც საკმარისი იქნება იმის საჩვენებლად, რომ „ვაზირის“ ზოგ შემთხვევაში მრავლობით რიცხვში ხმარება თამარის ისტორიკოსის მიერ არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს გიორგი III-ისა და თამარის სამეფო კარზე რამდენიმე ვაზირის არსებობის უტყუარ მოწმობად. პირიქით, თამარის ისტორიკოსების თხზულებათა თუ XII ს. სხვა წყაროების საგანგებო შესწავლა ამგვარი მოსაზრების საწინააღმდეგოდ განგვაწყობს. განვიხილოთ ეს მასალებიც.

თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვით, გარდაცვლილ გიორგი III-ს თავზე ადგნენ: „მიქაელ პატრიაქი, ყოველთა ეპისკოპოზთა თანა მდგომი და ვაზირი ანტონი და ამირსპასალარი ყუბასარ და სხუანი კელისუფალნი: ყუთლუ-არსლან მეჳურჭლეთ-უხუცესი, ვარდან დადიანი ჩუხჩარხი, ჭიაბერი მეჯინიბეთ-უხუცესი, აფრიდონი მსახურთ უხუცესი, ივანე (...) და დიდებულნი, აზნაურნი, მონანი და მოსამენი“[5]. როგორც ვხედავთ,

---

[1] ისტორიანი, 69, ქართლის ცხოვრ., II, გვ. 21.

[2] იქვე, გვ. 84, ქართ. ცხოვრ., II, გვ. 41.

[3] იქვე, გვ. 104; ქართ. ცხოვრ., II, გვ. 67.

[4] იქვე, გვ. 59; შდრ. ქართლის ცხოვრება. ტ. II, გვ. 9; მართალია ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში ეს ადგილი სხვაგვარად იკითხება, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო „ამირსპასალარი“ მაინც მრავლობითშია ნახმარი — „ამირსპასალარნი“.

[5] ისტორიანი, გვ. 72, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 25.

გიორგი III-ის მეფობის დასასრულს ზემოდასახელებული „დარბაზის რიგის“ შვიდი მოხელიდან (უუბასარს, როგორც ვიცით, ამირსპასალარობასთან ერთად, მანდატურთუხუცესობაც ჰქონდა), მხოლოდ ე რ თ ი, ანტონი, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ი წ ო დ ე ბ ა ვ ა ზ ი რ ა დ. ამას გარდა, პატრიარქი, ვაზირი და ამირსპასალარი გამოყოფილი არიან „სხუათა ხელისუფალთაგან“. როგორც ჩანს, ამირსპასალარი უკვე დარბაზის რიგის მოხელეთა შორის, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის შემდეგ, მეორე ადგილზე იხსენიება. სხვა ხელისუფალთაგან გამოყოფილია და მათზე მაღლა დგას. მიუხედავად ამისა, არც ამირ სპასალარია მოხსენიებული „ვაზირის“ წოდებით.

მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდლის გარდა, ყველა დანარჩენი ექვსი მოხელე მხოლოდ თავიანთი თანამდებობებით მოიხსენიება; ასე რომ არც ერთი მათგანი, როგორც ჩანს, ვაზირის წოდებას არ ატარებდა. ამრიგად, ამ უ ტ ყ უ ა რ ი ძ ო წ მ ო ბ ი თ, გ ი ო რ გ ი III-ი ს ა მ ე ფ ო კ ა რ ზ ე ე რ თ ა დ ე რ თ ი ვ ა ზ ი რ ი ი ყ ო: ვაზირის წოდება მხოლოდ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის პრეროგატივას შეადგენდა.

სამოხელეო წყობას რაიმე ცვლილება არ განუცდია თამარის მეფობის დასაწყისში, კერძოდ, დიდგვარიანებისა და უუთლუ არსლანის გამოსვლების შემდეგაც. თამარის პირველი ისტორიკოსი თამარის მიერ ახალ ხელისუფალთა დანიშვნას შემდეგნაირად გადმოგვცემს: „პირველად გარდაცვალებასა[1] და გამორჩევასა შინა ორთა — ვაზირთა და სპასპეტთასა — თანადგომითა და ერთნებობითა (შჯდთაენ სამეფოთა დიდებულთანა)[2], ბ რ ძ ა ნ ა დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა დ ჭ ყ ო ნ დ ი დ ლ ა დ, მ წ ი გ ნ ო ბ ა რ თ უ ხ უ ც ე ს ა დ და[3] ვ ა ზ ი რ ა დ ანტონი... და განაჩინა ამირსპასალარად სარგის მჯარგრძელი... და უბოძა ლორე... და განაჩინა და უბოძა ჭიაბერსა მანდატურთ-უხუცესობა... და კუალად უბოძა მეჯურჭლეთ-უხუცესობაჲ ვარდანის ძესა კახაბერს და მსახურთ-უხუცესობაჲ დადიანსა ვარდანს, ჩუხჩარხობაჲ მარუშიანსა, ძესა ჩუხჩარხისასა... და უბოძა ამირახორობაჲ გამრეკელსა თორელსა“[4]. მოტანილი ტექსტი სხვა საკითხთან დაკავშირებით ჩვენ საგანგებოდ გვაქვს განხილული, სადაც გარკვეულია, თუ რას ნიშნავს „გარდაცვალებასა“, „გამორჩევასა“ და ამიტომ ამ და მსგავს საკითხებზე შეჩერებას ამჟამად საჭიროდ არ მივიჩნევთ.

აღსანიშნავია, რომ თამარის პირველი ისტორიკოსის ამ ცნობის გარკვეული ადგილი, სადაც „ვაზირი“ მრავლობითშია ნახმარი („ვაზირთა და სპასპეტთასა“), ივ. ჯავახიშვილის აზრით, იმას ნიშნავს, რომ „მწიგნობართ უხუცესი და ამირსპასალარი ვაზირებად იწოდებოდნენ“[5]. ამ შემთხვევაში ი. ჯავახიშვილი

---

[1] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ გამოცემულ ტექსტში აქ ჩამატებულია: [„ქართლისა კათალიკოსისა ჭყონდიდელისა და მწიგნობართ-უხუცესისა მიქაელ მირიანის ძისსა და ამირსპასალარისა გამრეკელისა თორელისა“]. ტექსტს ამგვარი დამატება არ სჭირდება, როგორც ეს ნაჩვენები გვექნება ქვემოთ.

[2] ეს ჩამატებაც ზედმეტი ჩანს.

[3] ჯ. კ ე კ ე ლ ი ძ ე უმატებს: „[ვაზირთა]“, რაც ტექსტის ნათელ აზრს არა მარტო აბნელებს, არამედ არსებითად სცვლის მის შინაარსსაც; ასეთი ჩამატებით ანტონი ვაზირად კი არ დაინიშნა, არამედ „ვაზირთა-ვაზირად“, ე. ი. არა მარტო ანტონი, არამედ აქვე მოხსენებული სხვა ხელისუფალნიც ვაზირები ყოფილან, ანტონი კი მხოლოდ მათი უფროსი „ვაზირთა ვაზარი“ იყო. ასეთი რ მ ისტორიკოსის ზემომოტანილი ცნობიდან სრულებით არ გამომდინარეობს,

[4] ისტორიანი, გე. 78—79: ქ ართლის ცხოვრება, II, გე. 32—33.

[5] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქსი, II$_1$, გე. 121—122.

ტექსტის ამ ჩვენთვის საინტერესო ადგილს ისე წარმოგვიდგენს, თითქოს საქმე შეეხებოდეს გამორჩევას „ორთა ვაზირთა"; მაგრამ ტექსტის ამგვარად წაკითხვისას სავსებით გაუგებარი იქნებოდა, თუ რას უნდა ნიშნავდეს იქვე მოხსენიებული „სპასპეტთასა": „გამორჩევასა შინა ორთა ვაზირთა და სპასპეტთასა". ასეთი წაკითხვისას, ცხადია, „დასპასპეტთასა" ზედმეტად უნდა მიგვეჩნია და სრულად ამოგვეღო ტექსტიდან, რაც, რა თქმა უნდა, გაუმართლებელი იქნებოდა. ტექსტს ამგვარი ოპერაცია არც დასჭირდება, რადგან ისტორიკოსის სიტყვით, საკითხი შეეხებოდა არა ორთა ვაზირთა გამორჩევას, არამედ „გამორჩევას ორთა ვაზირთა და სპასპეტთა".

სარწმუნო არ არის ამ მხრივ არც მ. ლორთქიფანიძის ვარაუდი, რომლის მიხედვითაც „ორთა ვაზირთა გამორჩევა" იქნება ჯყონდიდელ მწიგნობართუხუცესსა და ამირსპასალარს კი არ შეეხებოდეს, რაკი მწიგნობართუხუცეს ჯყონდიდელი ისედაც ვაზირი იყო, არამედ ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცესს და იქნებ მათ გავაზირებას ნიშნავდეს. ამასთანავე, მ. ლორთქიფანიძეს, ამ ცნობიდან გამომდინარე, ეჭვი არ ეპარება, რომ ამ დროს ამირსპასალარი უკვე ვაზირად იქცა[1].

საქმე ისაა, რომ თამარის ისტორიკოსის ზემომოტანილ ცნობაში ამა თუ იმ ხელისუფლის ვაზირის ხარისხზე აყვანის შესახებ კი არ არის საუბარი, არამედ ვაზირისა და სპასპეტის გამორჩევაზე, ე. ი. ამ გათავისუფლებულ თანამდებობაზე ახალ პირთა დანიშვნაზე. ამას გარდა, როგორც აღვნიშნეთ, აქ საგანგებოდ არის გამოყოფილი „ორთა" გამორჩევის საკითხი და მასში არა მარტო ვაზირის დანიშვნა იგულისხმება, არამედ აგრეთვე სპასპეტისაც. როგორც ეს ტექსტში ქვემოთ არის ნათქვამი. ამასთანავე, ეს ორი ხელისუფალი (ვაზირი და სპასპეტი), როგორც ზემოთ ვნახეთ, გიორგი III-ის, ასევე თამარის დროსაც, გამოყოფილია „სხვათა ხელისუფალთაგან" და ამ „ორთა" შორის მანდატურთუხუცესის ვარაუდი გამორიცხულია.

თამარის ისტორიკოსის ზემომოტანილი ცნობის ასე სხვადასხვაგვარად გაგების ერთგვარ საცდურს ქმნის „ვაზირის" მრავლობითი რიცხვი — „ვაზირთა"; მაგრამ ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ეს გამოწვეულია, როგორც ჩანს, საზღვრულის — „ვაზირთა და სპასპეტთას" შეთანხმებით მსაზღვრელთან — „ორთა" — რიცხვით სახელთან. ეს რომ ასეა, ნათლად დასტურდება ტექსტის ზემომოტანილი ადგილის გაგრძელებიდან. ისტორიკოსის სიტყვით, „გამორჩევა ორთა — ვაზირთა და სპასპეტთა" იმით დამთავრდა, რომ თამარმა ბრძანა „დამტკიცებად ჯყონდიდლად, მწიგნობართუხუცესად და ვაზირად ანტონი... და განაჩინა ამირსპასალარად სარგის მხარგრძელი". როგორც ვხედავთ, ამ ორთაგან ერთი (ანტონი) ვაზირად დაინიშნა, ხოლო მეორე, სარგისი ამირსპასალარად (სპასპეტად). ამრიგად, „ვაზირთა" და „სპასპეტთა" მრავლობითობა ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთ ვაზირს და ერთ ამირსპასალარს გულისხმობს და არა რამდენიმე ვაზირსა და რამდენიმე სპასპეტს. შემდეგ კი ტექსტში, როგორც ზემოთ ვნახეთ, გრძელდება თხრობა სხვა ხელისუფალთა დანიშვნის შესახებ: ჭიაბერისა — მანდატურთუხუცესად, კახაბერ ვარდანის ძისა - მეჭურჭლეთუხუცესად, ვარდან დადიანისა — მსახურთუხუცესად და ა. შ.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ: ა) თამარის მეფობის დასაწყისში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობათა შემდეგაც, მონარქიის სამოხელეო წყობის ძირითადი პრინციპი უცვლელი

[1] მ. ლორთქიფანიძე, ქარის მოხელენი, გვ. 71.

დარჩა — „დარბაზის რიგის“ ხელისუფალთა სათავეში დგას მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელი, რომელიც ისევე ეაზირად იწოდება; ბ) მეორე ადგილზეა ამირსპასალარი, რომელიც, მიუხედავად სამეფო კარზე მისი განსაკუთრებული მდგომარეობისა, ეაზირად არ იწოდება[1]; გ) ეაზირი და ამირსპასალარი კლავე გამოყოფილნი არიან „სხვა ხელისუფალთაგან“. ისტორიკოსი საგანგებოდ აცალკევებს ამ „ორთა ეაზირთა და სპასპეტთა“ გამორჩეულსა და დანიშნის ამბავს სხვა ხელისუფალთა დანიშვნისაგან: დ) არც ამირსპასალარი და მით უმეტეს არც სხვა ხელისუფალნი ეაზირებად არ იწოდებიან და მხოლოდ თავიანთი თანამდებობებით მოიხსენიებიან, მაშინ როცა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ანტონი სახელოთიც მოიხსენიება და ეაზირობითაც.

თამარის მეფობის შუა წლებში სამეფო კარზე ერთადერთი ეაზირი იყო ანტონი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი. შანჭორის ბრძოლაში საქართველოს სამეფოს თითქმის ყველა ხელისუფალი იღებდა მონაწილეობას დავით მეფისა და ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელის სარდლობით, მაგრამ ამ ხელისუფალთაგან არც ერთი, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის გარდა, ისტორიკოსს ეაზირად არა ჰყავს მოხსენიებული. შანჭორის ბრძოლის გამარჯვებით დამთავრების შემდეგ „შემოიქცა მეფე წინა და მიეგება ანტონი ეაზირი, ქველგაპყრობით მადიდებელი ღმრთისაჲ, და თჳთ აღუსილი ლარითა და საჭურჭლითა ათაბაგისაჲთა, რომელმან რიდობითა მონაზნობისაჲთა არა იკადა მახჳლი და მისრულმან ორითა [სამითა, ს. ყაუხჩიშვილი] ურმითა შემოაქცია სამასი ჯორი და აქლემი. მაშინ მოვიდეს დიდებულნი სხუანი [მადიდებელნი სპანი, ს. ყ.] და სპასალარნი და სპასპეტნი, თჳთ შარავნაშა და ამი მირმანი“[2].

მოტანილი მასალების მიხედვით ჩვენ შეგვეძლო დაგვესკვნა, რომ თამარის მეფობის შუახანებშიც ეაზირის წოდება საქართველოს ფეოდალური მონარქიის სამოხელეო წყობაში მხოლოდ ერთ მოხელეს ჰქონდა. მაგრამ ამგვარ დასკვნას თითქოს ეწინააღმდეგება თამარის ამავე (პირველი) ისტორიკოსის თხზულების ერთი ადგილი, რომელიც ამჟამად მის გამომცემელთა მიერ შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: შანჭორის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ მეფე დავითი, სხვებთან ერთად, „გაემართა განძას“, „აღვიდა და დაჰდა ტახტსა სულტნისასა. შეიქმნა დარბაზობაჲ, და დასხნეს ამირ-მირმან და შარვანმა თჳთოეული თჳსსა ადგილსა. აგრეთვე ეაზირნი: მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი და შემდგომნი წესისაებრ, რომელ აქუნდა წესი ჯდომისა და დგომისაჲ, დასვეს“[3].

---

[1] როცა ამირსპასალარის განსაკუთრებულ მდგომარეობას ეუსვამთ ხაზს, მხედველობაში გვაქვს ეაზირთან ერთად მისი გამოყოფა „სხვა ხელისუფალთაგან“. ამირსპასალარის ეს განსაკუთრებულობა XII ს. მეორე ნახევარში (და არა მაინცდამაინც თამარის დროს, როგორც ამას, ჩვეულებრივ, ხაზს უსვამენ) კარგად გამოჩნდა ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის სახელოს გაყოფის, ორ სხვადასხვა პირთათვის ბოძების დროს. როგორც ვნახეთ, თამარის მეფობის დასაწყისში ამირსპასალარი ეაზირის შემდეგ მეორე მოხელეა, ხოლო მანდატურთუხუცესი „სხვა ხელისუფალთა“ შორის, მართალია პირველი, მაგრამ საერთოდ კი მესამე. ასეთი მდგომარეობა ამირსპასალარს გიორგი III-ის დროს უნდა მოეპოვებინა. შემთხვევითი არ არის, რომ გიორგი III-ის მეფობის დასასრულს ყუბასარი მხოლოდ ერთი ტიტულით — ამირსპასალარად მოიხსენიება და, ცხადია, მეორე ადგილზე ეაზირს, ანტონის შემდეგ; მაგრამ როცა ეს ორი თანამდებობა ერთი პირის ხელში ერთიანდებოდა და იგი ორივე თანამდებობით იხსენიებოდა, მაშინ ამა თუ იმ პირის ტიტულატურაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დავითის დროიდან მომდინარე ტრადიციის მიხედვით, მახდატურთუხუცესობა პირველ ადგილს იკავებდა.

[2] ისტორიანი, გვ. 107—108; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 72.

[3] ისტორიანი, გვ. 108; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 73; ს. ყაუხჩიშვილის შენიშვნით, ტექსტის ეს ადგილი ამგვარად აღდგენილი იყო ი. ჯაჯანიშვილის მიერ და მერე უცვლელად

ამგვარად, აღდგენილი ტექსტის მიხედვით, როგორც ვხედავთ, პირველად თამარის ისტორიკოსის თხზულებაში მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი ვაზირებად არიან მოხსენიებული.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თამარის ისტორიკოსებს სხვა შემთხვევებში არსად არც ამირსპასალარი და არც მანდატურთუხუცესი ვაზირებად არ მოუხსენებიათ. სწორედ ამგვარად წაკითხულ ტექსტს დაემყარა მ. ლორთქიფანიძე, როცა შანქორის ბრძოლის შემდეგ არა მარტო ამირსპასალარის, არამედ მანდატურთუხუცესის ვაზირობაც უეჭველად მიიჩნია[1]. ეს ფაქტიც და თვით აღდგენილი ტექსტის არასრულობა თავისთავად მიგვითითებს, რომ აქ რაღაც შეცდომა უნდა იყოს დაშვებული. აღსანიშნავია, რომ აღდგენილი ტექსტის მიხედვით, სადარბაზოდ დასხდომილთ შორის არ ჩანს მწ გნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ვაზირი ანტონი, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ბრძოლაში მონაწილეობდა და პირველი მიეგება გამარჯვებულ მეფეს. ცხადია, გამარჯვების აღსანიშნავ დარბაზობაშიც ვაზირი ანტონი პირველი უნდა ყოფილიყო, ისტორიკოსი კი, აღდგენილი ტექსტის მიხედვით, დარბაზობად დასხდომილთა შორის მას არც კი ასახელებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ამ გარემოებას უნდა დაეეჭვებინა ტექსტის ამგვარად აღმდგენელნი და გამომცემელნი. მართლაც, ამ შემთხვევაში თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულების ეს ფრიად ღნიშვნელოვანი ადგილი რომ არასწორადაა აღდგენილი და ტექსტის შინაარსი დამახინჯებულია, კარგად ჩანს „ქართლის ცხოვრების" მარიამისეული და სხვა ნუსხების შესაბამისი ადგილებიდან.

მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში" ჩვენთვის საინტერესო, ზემოთ ხაზგასმული ადგილი ამგვარად იკითხება: „ეგრეთვე ვაზირ მანდატურთ უხუცესი და ამირსპასალარი და შემდგომნი"[2]. ამგვარადვე — „ვაზირ" (და არა „ვაზირნი") მეორდება „ქართლის ცხოვრების" საეკლესიო მუზეუმის, რუმიანცევსეულ, თეიმურაზისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებში. ხოლო „ქართლის ცხოვრების" დანარჩენ ნუსხებში, სადაც კი შეტანილია თამარის ისტორიკოსის ეს თხზულება, ყველგან იკითხება „ვაზირი": „ეგრეთვე ვაზირი, მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი" და ა. შ.[3] ამრიგად, „ქართლის ცხოვრების" ყველა ნუსხაში, მარიამისეულიდან მოკიდებული, ტექსტის ეს ადგილი სავსებით სწორად იყო წარმოდგენილი და მას რაიმე შესწორება არ სჭირდებოდა. ტექსტის პირვანდელი სახის აღდგენით ნათელი ხდება მისი შინაარსიც განძის დარბაზობას, როგორც ვხედავთ, ვაზირიც (ე. ი. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ანტონი) დასწრებია და იგი ხელისუფალთაგან (მოხელეთაგან) პირველი დაუსვამთ, ხოლო შემდეგ მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი, „წეს სამებრ დარბაზობისა".

რაც მთავარია, მოტანილი ამონაწერი (თავისი პირვანდელი სახით) ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას — XII ს. 90-იანი წლების მწუხრულშიც სამეფო კარზე ერთი ვაზირი იყო, ვაზირად იწოდებოდა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი. სხვა „დარბაზის რიგის" მაღალი რანგის მოხელეები ვაზირად არ იწოდებოდნენ და მხოლოდ თავიანთი თანამდებობებით (მან-

---

შეტანილია კ. კეკელიძისა და ს. ყაუხჩიშვილისეულ გამოცემებში.

[1] მ. ლორთქიფანიძე, კარის მოხელენი, გვ. 71.

[2] მარიამისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 470.

[3] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 73, მე 4 სტრ-ის სქოლიო.

დატურთუხუცესი, ამირსპასალარი) მოიხსენიებოდნენ. ვაზირი ერთადერთი მოხელეთა შორის, ის პირველია დარბაზობაშიც.

ამრიგად, ჩვენ ვერ მოვიტანთ ვერც ერთ მაგალითს თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებიდან, სადაც, გარდა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლისა, რომელიმე სხვა მოხელე (ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი თუ სხვები) ვაზირად იყოს მოხსენიებული. მათ არაერთხელ ასახელებს ისტორიკოსი, მაგრამ ყოველთვის მხოლოდ თანამდებობით. დამატებით კიდევ მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი: „ივანე ორბელი — „მანდატურთ-უხუცესი და ამირსპასალარი", „ივანე ამირსპასალარი", „მეჯინიბეთუხუცესი ჭიაბერი", „ამირსპასალარი ყუბასარი", „ყუთლუ არსლან მეჭურჭლეთ-უხუცესი", „ვარდან დადიანი ჩუხჩაოხი", „აფრიდონი მსახურთ უხუცესი, „ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთ-უხუცესი... თავისა თჳსისა ამირსპასალარად მწოდებელი"; ყუბასარი იყო „ამირსპასალარი და მანდატურთ-უხუცესი", „ამირსპასალარი სარგის მჭაკრძელი", „ჭიაბერი მანდატუოთუხუცესი", „ამირსპასალარი გამრეკელი", „სარგისის ძე ივანე მსახურთუხუცესი", „ამირ სპასალარი ზაქარია მჭარგრძელი", „ზაქარია ამირსპასალარი და მსახურთუხუცესი ივანე" (ძეორდება არა ერთხელ), „ძენი სარგის ამირსპასალარისანი", მეფემ ივანეს „უბოძა ათაბაგობაჲ", „მსახურთუხუცესობაჲ უბოძა ვარამს" [1] და სხვ. როგორც ვხედავთ, თამარის პირველი ისტორიკოსი არცთუ იშვიათად მოიხსენიებს „დარბაზის რიგის" მოხელეებს, მათ სხვადასხვა ეპითეტებსაც არ აკლებს – „წარჩინებულნი", „დიდებულნი" და სხვა მსგავსი მაგრამ აოც ერთ მათგანს არც ერთხელ არ მოიხსენიებს ვაზირად, მათ შორის ათაბაგსაც კი. მაშინ როცა მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელი თამარის ამავე ისტორიკოსს სულ ხუთჯერ ჰქავს მოხსენიებული და აქედან ოთხჯერ ვაზირის წოდებით [2]. ეს კი, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ შეიძლებოდა მომხდარ ყო. როგორც ჩანს, ისტორიკოსს ყოველივე ეს იცდრო სათვის მოძველი სახელმწიოებრივი სამართლის ნორმებს მიხედვით აქვს მიცემული.

ამგვარადვე იქცევა თამარის მეორე ისტორიკოსიც ბასილ ეზოსმოძღვარიც. ბასილი „ვაზირს" მთელი თხზულების მანძილზე მხოლოდ ორჯერ ახსენებს, ერთ შემთხვევაში მრავლობით რიცხვში „ვაზირნი", „მრჩეველთა" მნიშვნელობით (ეს ჩვენ უკვე განვიხილეთ კიდეც), მეორედ მხოლობითში „ვაზირი" და აქ უკვე მოხელის მნიშვნელობით. ბასილიც, პირველი ისტორიკოსის მსგავსად, ვაზირად ანტონს, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს მიიჩნევს: „ძოიყვანა ანტონი გლონისთავის ძე გარეჯით, რომელ პირველ ჭყონდ დელ იყო და მიჭაელ კათალიკოზ ნ მას მისტაცა... ესე მოიყვანეს... ესე დასუეს ვაზირად, ძისცეს ჭყონდიდი სამთავისი, კის კევი და მწიგნობართუხუცესობა" [3]. ამ ცნობის მიხედვით, ანტონის „ვაზირად დასმა" (დან შუნა) ნიშნავდა პირველ რიგში სწორედ ჭყონდიდლობისა და მწიგნობართუხუცესობის მიცემას, ე. ი. ამ თანამდებობებზე ყოფნას. ბასილიც, მართალია, არც ისე ხშირად, როგორც პირველი ისტორიკოსი, მაგრამ რამდენჯერმე მაინც ასახელებს „დარბაზის რიგის" მოხელეებს. ყოველთვის თავიანთი თანამდებობებით და არც ერთხელ „ვაზირის" წოდებით. ასე მაგალითად. ბასილის მიერ გამრეკელ თო-

[1] ისტორიანი, გვ. 57, 63, 68, 72, 76, 77, 78, 92, 95, 99. 115, 126, 130, 132. 138 და სხვ

[2] იქვე, გვ. 72, 78, 107, 108.

[3] ბასილი, გვ. 18.

რელი მოხსენიებულია მხოლოდ ამირსპასალარად „მოკუდა ამირსპასალარი გამრეკელი“[1]. ასევე, თანამდებობებით იხსენიებიან მის თხზულებაში სარგის, ზაქარია და ივანე მხარგრძელები, ჭიაბერი და სხვებიც: „მოიყუანეს სარგის ამირსპასალარისა მჭარგრძელისა ორსი ძენი, ზაქარია და ივანე. კაცნი ბრძენნი, ჰკსენი, პოძოლათა შინა დიდად გამოცდილნი და გუარეულადაც ერთგულნი მეთეთანი... და ზაქარიას უბოძა ამირსპასალაროპა და უმცროსსა დღითა, ივანეს მსახურთ-უხუცესობაჲ[2]. ან კიდევ: „მოიყვანეს ჭიაბერი, კაცი ესეცა მართალი და ერთგული, და მისცეს მანდატურთ-უხუცესობაჲ“[3]. „ცხენი მოუკლეს ივანეს, მსახურთუხუცესსა“[4]. ამრიგად, თამარის მეორე ისტორიკოსის მიხედვითაც სამეფო კარზე მხოლოდ ერთი ვაზირი იყო, დანარჩენი მოხელეები კი თავიანთი თანამდებობებით მოიხსენიებოდნენ.

ასეთია თამარისდროინდელ ნარატიულ წყაროთა ჩვენებანი ვაზირისა და XII ს. სამეფო კარის ცენტრალური აპარატის სხვა მოხელეთა შესახებ.

ნარატიულ წყაროთა მონაცემები დოკუმენტური მასალითაც დასტურდება. XII ს. დოკუმენტები, რა თქმა უნდა, გვაკლია: გიორგი III-ისა და თამარის ხანის სულ რამდენიმე სიგელია შემონახული ჩვენს დრომდე. მაგრამ ის, რაც გვაქვს და სადაც კი XII ს. სამოხელეო წყობაზე, კერძოდ ვაზირზე რაიმე ცნობა მოიპოვება, ზემოთ ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს. XIII ს. დამდეგის (1202 წ.?) დოკუმენტში, თამარის მიერ შიო მღვიმის მონასტრისადმი ბოძებულ სიგელში თვით მეფის მიერ მწიგნობართუხუცესჲ ყონდიდელი ვაზირადაა წოდებული: „მოვიდა ჩუეს წინაშე ვაზირი ჩუენი ანტონ ჰყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მწიგნობართუხუცესი და პროტოოპერტიმოსი“... „დაგუაჯერა ღმერთმან და ვისმინეთ ჰაჯაი და მოკსენებაი მისი, ვაზირისა ჩუენისა, ანტონ მთავარეპისკოპოზისა, მწიგნობართუხუცესისა და პროტოპეოტიმოსისა“[5]. XII ს. და XIII ს. დამდეგის დოკუმენტებში „ვაზირის“ მოხსენიების სხვა შემთხვევა ჩვენ არა გვაქვს და ამ ერთადერთ დოკუმენტში კი, როგორც ვხედავთ, ვაზირად ისევ მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი დასახელებული. ამას გარდა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის საინტერესო ხანის დოკუმენტებში არცთუ იშვიათად მოიხსენიება „დარბაზის რიგის“ ესა თუ ის მოხელე. ამ მხრივ ყუოადღებას იქცევს ისევ თამარისდროინდელი დოკუმენტი ჭიაბერის სიგელი, რომელიც, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, XII ს. 90-იან წლებს ეკუთვნის. ჭიაბერი სიგელში მანდატურთუხუცესად და ამირსპასალარად იწოდება. თამარ მეფეც, რომელიც ამ სიგელის პირველი დამამტკიცებელი იყო, ჭიაბერს მხოლოდ ერთი თანაძდებობით – მანდატურთუხუცესობით მოიხსენიებს: „ესე მანდატურთ-უხუცესისაგან შეწირული განაჩესი ჩემგან მტკიცეა“ — ნათქვამია თამარის ხელრთვად მიჩნეულ ძინაწერში. შიო-მღვიმის ზემომოტანილ სიგელთან ამ დოკუმენტის შედარებით ნათლად ირკვევა, რომ ერთი და იგივე მეფე ერთ მოხელეს თანამდებობითა და ვაზირად მოიხსენიებს, ხოლო მეორეს მხოლოდ თანამდებობით. ეს კი

---

[1] ბასილი, გვ. 18.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 20.

[5] ი. დოლიძე, ქსძ, II, გვ. 30, 31.

[6] იქვე, გვ. 30.

ელავ ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს და იმაზე მიუთითებს, რომ XIII ს. დამდეგსაც საქართველოს სამეფო კარზე ძირითად ერთი ვეზირი იყო ამრიგად, ვერ დავასახელებთ XII ს. და XIII ს. დამდეგის, გიორგი III-ისა და თამარის ხანის ვერც ერთ სარატიულ და დოკუმენტურ წყაროს, სადაც ვაზირად, გარდა მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდლისა, რომელიმე სხვა „დარბაზის რიგის" მაღალი თუ დაბალი რანგის მოხელე იყოს წოდებული.

იგივე შეიძლება ითქვას ეპიგრაფიკული მასალის შესახებაც. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს XII ს. მდიდარი სომხური ეპიგრაფიკა, სადაც ძალიან ხშირად მოხსენიებულნი არიან იმდროინდელი საქართველოს სამეფოს მოხელეები, განსაკუთრებით ამირსპასალარი, მ ნდატურთუხუცესი და მსახურთუხუცესი-მხარგრძელები. აღსანიშნავია, რომ სომხურ წარწერებში სა ქართველოს სამეფოს მოხელენი თავიანთი თანამდებობების ქართული სახელწოდებებით იხსენიებიან; მაგ., ანისის 1209 წ. წარწერაში ზაქარია მხარგრძელი იწოდება *„ամենապատիւ խուցիս"* (მანდატურთა ხუცეს) *„ամիր սպասալար"*-ად (ამირსპასალარ) [1]. ამასთანავე, წარწერის გამქეთებელნი მხარგრძელებს ათასგვარი წოდებებითა და ტიტულებით მოიხსენიებენ, ზოგჯერ კი ბაგრატიონებად და „სომეხთა მეფეებადაც" ასახელებენ, მაგრამ მათ არასოდეს აზრად არ მოსვლიათ, რომ მათ მიერვე ასე განდიდებული მხარგრძელები თამარ მეფის ვაზირებად მიეჩნიათ და წარწერებშიც ვაზირის წოდებით მოეხსენიებინათ. მიუხედავად იმისა, რომ ეს სამოხელეო ტერმინი – ვაზირიც, მათთვის ისეთ კარგად იყო ცნობილი, როგორც სხვა ზემოდასახელებული ქართული სამოხელეო ტერმინები.

თამარის ხანის თუ მისი ახლო დროის ლიტერატურულ ძეგლთა შორის „ვაზირისა" და „ვაზირობის" შესახებ საინტერესო მასალებია დაცული როგორც „ვისრამიანში", ასევე, განსაკუთრებით, „ვეფხისტყაოსანში". აღნიშნულ ძეგლთა მონაცემები მნიშვნელოვანია ჩვენ მიერ წამოყოილი საკითხის შესასწავლად და საჭიროდ მივიჩნევთ გაკვრით მაინც შევეხოთ მასზე.

„ვისრამიანის" მიხედვითაც, „ვაზირობა" შეკრებას. თათბირს, რჩევას ნიშნავდა, ხოლო „ვაზირი" კი მოხელეს, და ამ მნიშვნელობით აქ მეფის მხოლოდ ერთი ვაზირი ჩანს – „ზარდი... ვაზირი იყო შაჰი მოაბადისი" [2]. საერთოდ კი ამ ძეგლის მიხედვით, ვაზირი ისევე ერთია, როგორც მზე (მეფე) და ცა. ამას უნდა ნიშნავდეს მისი ავტორის ხატოვანი თქმა: „აღმოსავლეთით გამოვიდა მზე, რომლის ვაზირია მთუარე და საჯდომი ცა" [3].

„ვისრამიანი" მაინც ქართულად გადმოკეთებული ძეგლია და არა საკუთრივ ქართული, ამიტომ მისი გამოყენება ქართული სამოხელეო წყობის შესასწავლად იქნებ შეუძლებლად მოგეჩვენოს, თუმცა ტერმინ „ვაზირის" ქართულში დამკვიდრების დროის განსასაზღვრავად ამ ძეგლის მნიშვნელობა თავისთავად ცხადია.

უფრო მნიშვნელოვანი და უხვიცაა „ვეფხისტყაოსნის" მონაცემები ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. „ვეფხისტყაოსანში", ისე როგორც თამარის დროის სხვა ძეგლებში, „ვაზირი" გუხვდება როგორც მოხელის, ასევე მრჩეველთა მნიშვნელობითაც და, მაშასადამე, როგორც მხოლობით, ასევე მრავლობ-თ რიცხვში. ასე მაგალითად, როცა როსტევანმა თინათინის გამეთება გადაწყვიტა:

---

[1] კ. კოსტანიანცი, მატიანე ქვებზე (სომხ.), გვ. 49; შდრ. აგრეთვე ჰარიჰის წარწერა, იქვე, გვ. 43 და სხვა.

[2] ვისრამიანი, ა. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით, 1938, გვ. 5.

[3] ვისრამიანი, გვ. 23.

„მეფემან იხმნა ვაზირნი, თჳით ზის ლაღი და წყნარია,
აქ იოლია დაისხა, დაჭყო ძაძა ამო საუბარია“ (სტრ. 34)[1].

როგორც ქვემოთ დავინახავთ, როსტევან მეფეს მხოლოდ ერთი ვაზირი ჰყავდა და ამ თათბირზე ვაზირთა სიმრავლე, ცხადია, სხვას არაფერს შეიძლება ნიშნავდეს, თუ არა მრჩეველთა, თანამოთათბირეთა სიმრავლეს. ამავე მნიშვნელობითაა ნახმარი „ვაზირნი“ სხვა სტროფებშიაც:

„გეერდსა დაისხნეს ვაზირნი, ეიუბნეთ, გაეიზრახენითო“ (სტრ. 417).

— ამბობს ტარიელი ხატაეთის ომის წინ მოთათბირეთა, მრჩეველთა შეკრების შესახებ და იქვე დასძენს:

„მეკეთა ესე თათბირი, ვაზირთა ნავაზირები“ (სტრ. 419).

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ხატაეთის წინააღმდეგ საბრძოლველად გამზადებულ ტარიელს აქ ვაზირი მოხელეები კი არა ჰყავდა, არამედ თანამებრძოლები და მრჩეველები. ამასვე ნიშნავს ავთანდილის მიერ შერმადინის „დასმა საავაზიროსა“: „გაზრდილი მისი შერმადინ დაისვა საავაზიროსა“ (148 სტრ.). ცხადია, შერმადინი ავთანდილის მოხელე-ვაზირი არ ყოფილა და არც ავთანდილს ჰქონია „საავაზირო“ დაწესებულება. მაშასადამე, შერმადინის „საავაზიროს დასმა“ სხვა არაფერია, თუ არა მისი საავაზიროდ, სათათბიროდ მიწვევა ავთანდილის მიერ. ასევე სათათბიროდ, სავაზიროდ, სარჩევად იყო მიწვეული ტარიელი „რჩევაზე ნესტან-დარეჯანის გათხოვებისა“. ამიტომაც საყვედურობდა ნესტან ღარეჯანი ტარიელს:

„შენ არ იცი ხვარაზმშაი საქმროდ ჩემად მოყვანება?!
შენ ჯდომილხარ საავაზიროდ, შენი რთულა ამას ნება“ (სტრ. 518).

ასე რომ „ვეფხისტყაოსნის“ „საავაზიროდ დაჯდომა“ და ვაზირთა მრავლობითობა სრულებით არ ნიშნავს საავაზიროს, როგორც დაწესებულების არსებობაზე მითითებას და არც იმას, რომ მეფეს რამდენიმე მოხელე ვაზირი ჰყავდა.

„ვეფხისტყაოსნის“ მონაცემებით სავსებით დასტურდება, რომ მეფეს მხოლოდ ერთი ვაზირი (მოხელე) ჰყავდა და არა რამდენიმე. ასე მაგალითად, როსტევან მეფის მოხელე იყო „ვაზირი ბერი სოგრატი“ (სტრ. 44,57), მეფესთან დაახლოებული პირი და მისი უპირველესი ხელისუფალი, რომლის გარეშეც. პოემის ავტორის სიტყვებით, სამეფო სახლში (დარბაზში) არაფერი კეთდებოდა და რომელსაც არაფერი დაემალებოდა:

„რა ჭალაბი გაიყარა, ყმა ვაზირსა ეუბნების,
ეტყვის: „შენი დამალული დარბაზსა რა არ იქმნების,
რაცა გწადდეს საურავი, მეფე იქმს და შენ გეთნების“ (სტრ. 773).

„ვეფხისტყაოსნის“ სხვა სტროფების მიხედვით „ვაზირი“ „გულის გულია“ მეფისა (სტრ. 805). მეფის ამ ერთადერთი მოხელე-ვაზირისა და მეფის ურთიერთობის შესახებ საინტერესო მასალებია დაცული „ვეფხისტყაოსნის“ თავებში — „დათხოვნა ავთანდილისა როსტევან მეფესთანა და ვაზირს საუბარი“ და „ცნობა როსტევან მეფისაგან ავთანდილის გაპარვისა“, მაგრამ სათანადო სტროფების მოტანას ამჯერად ზედმეტად მივიჩნევთ.

---

[1] „ვეფხისტყაოსნის“ სტროფები აქაც და ქვემოთაც მითითებულია 1966 წ. საიუბილეო გამოცემის მიხედვით.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ „ვეფხისტყაოსანში“, არცთუ იშვიათად, იხსენიებიან სამეფო კარის მოხელენი: ამირსპასალარი, ამირბარი, ამილახორი, მანდატური, სპასპეტი, სპასალარი, ეჯიბი და სხვ., მაგრამ არც ერთი მათგანი, არც ერთხელ, ვაზირად არ არის წოდებული. ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ — XII ს. ორიგინალური ლიტერატურული ძეგლის მონაცემები საესებით მხარს უჭერს და ადასტურებს ამავე ხანის ქართულ საისტორიო წყაროთა ცნობებს სამეფოში ერთი ვაზირის ხელისუფლების არსებობის შესახებ.

მაგრამ ჩვენ მაინც ისევ წმინდა ისტორიული ხასიათის წყაროებს მიეცუბრუნდეთ და საგანგებოდ განვიხილოთ წალკის ერთ-ერთი ეპიგრაფიკული ძეგლი (გუნია-ყალის წარწერა), რომელსაც მკვლევრები XII— XIII საუკუნეთა მიჯნის სამოხელეო წყობის, კერძოდ „საავაზიროს“ შესასწავლად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

8. გუნია-ყალის წარწერა და მისი მნიშვნელობა საშოხელეო წყობის ისტორიისათვის

გუნია-ყალის წარწერა რამდენჯერმეა გამოცემული. პირველად, პ. ინგოროყვას წაკითხვით, ეს წარწერა გამოაქვეყნეს გ. ჩიტაიამ და ვ. ბარდაველიძემ [1], ხოლო შემდეგ ნ. ბერძენიშვილმა [2], ა. ბაქრაძემ [3] და უკანასკნელად ი. დოლიძემ [4]. თვით წარწერას კი არაერთი მკვლევარი შეეხო — პ. ინგოროყვა, ლ. მუსხელიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ა. ბაქრაძე, ვ. ცისკარიშვილი, ნ. შოშიაშვილი და სხვ. როგორც ჩანს, წარწერა მართლაც იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას და ჩვენც საჭიროდ მიგვაჩნია მისი საგანგებო განხილვა.

პირველ რიგში თვით წარწერის ტექსტის შესახებ. არსებობს ამ წარწერის წაკითხვის ორი ვარიანტი. ერთი პ. ინგოროყვას ეკუთვნის [5], მეორე ნ. ბერძენიშვილს და ა. ბაქრაძეს.

ლ. მუსხელიშვილმა გაიზიარა პ. ინგოროყვასეული წაკითხვა და ამ წარწერის შესახებაც მთელი თავისი მსჯელობა ამის მიხედვით წარმართა [6]. პ. ინგოროყვას მიერ წარწერის წაკითხვისას დაშვებული ერთი, პრინციპული მნიშვნელობის შეცდომა გაასწორეს ნ. ბერძენიშვილმა და ა. ბაქრაძემ: წარწერაში იკითხება არა „ივანესითა“, არამედ „ვაჩესითა“; ასე რომ ივანე წარწერაში საერთოდ ნახსენები არ არის. ამრიგად, ნ. ბერძენიშვილისა და ა. ბაქრაძის სწორი წაკითხვით, წარწერას ასეთი სახე აქვს: „სახელითა ღმრთისაჲთა, ბრძანებითა ღმრთის სწორთ თამარის და გიორგისითა, ჰყონდიდელის, ზაქარია, შალვა, ოსიყმა, ვაჩესითა, ჯულაბაჲს მოჰირვებაჲთა, სანობაჲს ძისა ინაჲსა ქელითა დაჲსუაქელი ესე ღმრთისა სწორთა მეფეთ-მეფისა გიორგჲსი“ [7]. ამგვარად კითხულობდნენ წარწერას სხვა მკვლევრებიც — ნ. შოშიაშვილი, ვ. ცისკარიშვილი და ასევე აქვს იგი გამოცემული ი. დოლიძეს. ამრიგად,

---

[1] გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე, ქართული ხელოვნური ორნამენტი, I, 1939, გვ. 19.

[2] ნ. ბერძენიშვილი, მიწათმფლობელობის ფორმებისათვის, სს, III.

[3] ა. ბაქრაძე, XIII ს. წარწერა გუნია-ყალიდან, ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, 1953, გვ. 26.

[4] ი. დოლიძე, ქსძ, II, გვ. 35.

[5] პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 569.

[6] ლ. მუსხელიშვილი, იქვე, გვ. 66.

[7] ს. ბერძენიშვილი, მიწათმფლობელობის ფორმებისათვის, III, გვ. 160. ა. ბაქრაძე, წარწერა გუნია-ყალიდან, გვ. 219 –220.

ყველა მკვლევრის მიერ ერთხმად შენიშნულია, რომ „ივანეს“ მაგიერ წარწერაში იკითხება „ვაჩე“. მიუხედავად ამისა, ეს არსებითი ხასიათის შესწორება პ. ინგოროყვას უკანასკნელ გამოკვლევებშიც რატომღაც გათვალისწინებული არა აქვს.

გუნია-ყალის ძეგლი ყველა მკვლევრის მიერ 1207—1212 წწ. არის მიჩნეული (ლ. მუსხელიშვილი, ა. ინგოროყვა, ნ. ბერძენიშვილი, ა. ბაქრაძე, ნ. შოშიაშვილი და სხვ.).

წარწერა, ნ. ბერძენიშვილის მართებული დასკვნით, „არის თრიალეთის საუფლისწულო (სახასო) ქვეყნად დამტკიცების აქტი. ჯვრის დასმის ადგილი, წალკა, თრიალეთის ცენტრი, ამასვე უნდა მიუთითებდეს“[1].

მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს წარწერაში მოხსენიებულ პირთა ვინაობა და მათი სამოხელეო, თანამდებობრივი მდგომარეობა სამეფო კარზე. ცხადია, წარწერის მნიშვნელობის შესახებ ლაპარაკი ყოველივე ამის გარკვევის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

პ. ინგოროყვას აზრით, გუნია ყალის წარწერაში XII—XIII სს. მიჯნის საქართველოს სამეფოს სავაზიროა (ხუთი ვაზირის შემადგენლობით) წარმოდგენილი[2]. ასევე ფიქრობს ლ. მუსხელიშვილი — ჰყონდიდელი, ზაქარია, შალვა. ოვსიყმა, ივანე — „ხუთივე ვაზირი რიგზე არის ჩამოთვლილი“[3]. ნ. ბერძენიშვილსაც ეჭვი არ ეპარება, რომ აქ „მოხსენებულნი პირნი ვაზირებია“, რომ ბრძანების გამცემი თამარის დროს სხვა ვინ უნდა იყოს, თუ არა სავაზირო[4]. ა. ბაქრაძის დასკვნთაც. „ამ ძეგლის სახით ჩვენ გვაქვს პირველი ეპიგრაფიკული წყარო, სადაც სრულიად საქართველოს მეფეებთან ერთად იხსენიებიან სავაზიროს ყველა წევრები“[5].

გუნია-ყალის წარწერას გაკვრით შეეხო ნ. შოშიაშვილიც და მან, ძეგლის ჯერ კიდევ შეუსწავლელობასთან ერთად, ისიც აღნიშნა, რომ აქ მოხსენიებული პირები, გარდა ვაჩესი, ყველანი ვაზირები უნდა იყვნენო[6]. თუმცა ნ. შოშიაშვილმა თავისი ეს მოსაზრება მალე შეცვალა და გუნია ყალის წარწერის ვაზირთა სრულ სიად მიჩნევა შეცდომად ჩათვალა. მისი აზრით, აქ მხოლოდ რამდენიმე ვაზირია დასახელებული, დანარჩენები კი იმ მხარის, სამეფო დომენის გამგებლები არიან[7].

ს. კაკაბაძემ თავის უკანასკნელ გამოკვლევაში საერთოდ უარყო გუნია-ყალის წარწერაში ვაზირთა მოხსენიების შესახებ გამოთქმული ვარაუდები; მისი აზრით, ვაზირების მოხსენიება ასეთ წარწერაში საჭირო არც იყო. მას ეეპვება წარწერაში „ჰყონდიდელის“ წაკითხვის შესაძლებლობაც კი. წარწერაში ს. კაკაბაძის მიხედვით მხოლოდ „ჰია“ იკითხება და ეს რომელიღაც პირის სახელი შეიძლება იყოს. ასევე, მას ვაზირად არ მიაჩნია იქვე მოხსენიებული ოვსიყმა, რომელიც, ს. კაკაბაძის აზრით, შესაძლებელია აზნაურიც კი არ ყოფილა[8].

ამრიგად, არც ერთ მკვლევარს, ნ. შოშიაშვილისა და ს. კაკაბაძის გარდა, ეჭ-

---

1 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

2 პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 567.

3 ლ. მუსხელიშვილი, აე, გვ. 66.

4 ნ. ბერძენიშვილი, მიწათმფლობელობის ფორმებისათვის, გვ. 160, 161.

5 ა. ბაქრაძე, წარწერა გუნია-ყალიდან, გვ. 224.

6 ნ. შოშიაშვილი, სახელმწიფო სამართლის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 123—124.

7 ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია, გვ. 20, 21.

8 ს. კაკაბაძე, შიო რუსთაველი, გვ. 307.

ეი არ შეპარვია, რომ აქ, გარკვეული რიგის მიხედვით დასახელებული არიან XIII ს. დამდეგის საქართველოს სამეფოს სავაზიროს წევრები. კერძოდ, პ. ინ ბოროყვას მიხედვით, „მეფის ბრძანების გამცემელნი არიან: მეფეთ-მეფენი: თამარი და გიორგი ლაშა; ვაზირნი: I. მწიგნობართ უხუცესი: ანტონი გლონის თავის ძე ჭყონდიდელი; II. ამირსპასალარი: ზაქარია მხარგრძელი; III. მანდატურთ უხუცესი: შალვა თორელი — ახალციხელი; IV. მეჭურჭლეთ-უხუცესი: ოვსე ყმა [ჯახ ერისთავი]; V მსახურთ-უხუცესი: ივანე მხარგრძელი“[1].

ლ. მუსხელიშვილმაც ასევე წარმოგვიდგინა იმდროინდელი სავაზიროს წევრები გუნია ყალის წარწერის მიხედვით[2]. ოღონდ წარწერაში ლ. მუსხელიშვილმა ვაზირთა ოიგი ოდნავ დარღვეულად მიიჩნია; მისი აზრით, ჭყონდიდელის შემდეგ ამირსპასალარი კი არ უნდა ყოფილიყო, როგორც წარწერაშია, არამედ მანდატურთუხუცესი, რომელიც აქ მხოლოდ მესამედ მოიხსენიება.

სანამ კონკრეტულად წარწერაში მოხსენიებულ ცალკეულ პირებს შეეხებოდეთ, საჭიროა შეენიშნოთ, რომ პ. ინგოროყვასა და ლ. მუსხელიშვილის ამ გვარი ეარაუდი ირღვევა წარწერაში „ივანეს“ მაგიერ „ვაჩეს“ წაკითხვის შემდეგ. როგორც ცნობილია, იმ წლებში, როცა ეს წარწერაა გაკეთებული, მსახურთუხუცესობა მართლაც ივანე მხარგრძელს ჰქონდა, მაგრამ ის ამ წარწერაში მოხსენიებული არც არის, ხოლო ვაჩეს მსახურთუხუცესობა საეჭვოდ გამოიცხადა. ამას გარდა, ისიც უნდა დავძინოთ, რომ მსახურთუხუცესი, ოვით „სელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვითაც კი, სავაზიროში რუსუდან მეფის დროს შეიყვანეს და არა თამარის მეფობისას. მარტო ეს ფაქტებიც, სხვას რომ თავი დავანებოთ, უკვე საეჭვოდ ხდის მოსაზრებას გუნია-ყალის წარწერაში „ვაზირების სრული სიის“ წარმოდგენის შესახებ. როგორც ჩანს, აქ მაღალი რანგის „დარბაზის რიგის“ მოხელეებს გარდა, სხვა პირებიც არიან წარმოდგენილნი.

ნ. ბერძენიშვილის მიხედვით, მართალია, წარწერაში მოხსენიებულ პირთაგან ორს გარდა, ყველა უცნობია, მაგრამ „ის გარემოება, რომ ჩვენ მათ თანრის ვაზირებად არ ვიცნობდით, მხოლოდ ჩვენი ცოდნის ნაკლებობის მოწმობაა.“ ასე რომ აქ დასახელებული პირები თამარის ვაზირები არიან: „ზაქარია, ეფიქრობთ, მხარგრძელია, — ამირსპასალარი, შალვა თორელია, მანდატურთუხუცესი (შალვა თორელის მანდატურთუხუცესობა სხვაგანაცაა დამოწმებული). ოვსიყმა მეჭურჭლეთუხუცესადაა საგულვებელი, ვაჩე კი, უნდა ვიფიქროთ, ამირახორია. მის მსახურთუხუცესობას ვერ ვივარაუდებთ: მსახურთუხუცესი ამ დროს თითქოს უდავოდ ივანე მხარგრძელი იყო, ხოლო მისი აქ მოხსენიებლობა იმ ცნობის სისწორის მოწმობაა, რომ რუსუდანის დრომდის მსახურთუხუცესი სავაზიროში არ შედიოდა“[3].

ჩვენ საგანგებოდ მოვიტანეთ ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებანი ასე ვრცლად. მის შესახებ ქვემოთ გვექნება მსჯელობა, მაგრამ აქ ის მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ „ხელმწიფის კარის გარიგებით“ არც თამარის დროს და არც არასოდეს ამირახორი ვაზირი არ ყოფილა და მისი აქ „ვაზირთა“ გვერდით დასახელება, მაშინ როცა მსახურთუხუცესიც კი არ არის მოხსენიებული, თუ აქ მართლა „დარბაზის რიგის“ მაღალი რანგის მოხელეებთან გვაქვს საქმე, საეჭვოდ ხდის საბაბამო და გაუგებარი იქნებოდა. ესეც, როგორც ვხედავთ, ისევ საეჭვოდ ხდის

[1] პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 569.

[2] ლ. მუსხელიშვილი, თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა, გვ. 36—37.

[3] ნ. ბერძენიშვილი, მიწათმფლობელობის ფორმებისათვის, გვ. 160, შენ.-შვ. 58.

ყველა აქ დასახელებული პირის ვაზირობას. მაგრამ წამოკრილი საკითხები უფრო ნათლად გაირკვევა, თუკი ს-განგებოდ, ცალ-ცალკე განვიხილავთ დასახელებულ პირთა ვინაობას.

1. პირველ რიგში ჭყონდიდელის შესახებ. გუნია-ყალის წარწერაში მეფეთა შემდეგ ჭყონდიდელის მოხსენიება საკმაოდ კანონზომიერია. ჭყონდიდელის მარტო ერთი ტიტულით და სახელის გარეშე დასახელება მხოლოდ წარწერის სიმოკლით აიხსნება. ამას გარდა, ვაზირის მარტო ამ პატივით მოხსენიება. როგორც ეს სავსებით მართებულად შენიშნა ა. ბაქრაძემ. სრულებით არ არის გასაკვირი და როგორც ზემოთ დავინახეთ, თამარის ეპოქაში ჭყონდიდლობა თავისთავად გულისხმობდა ამ პატივის მქონე პირის ვაზირობას, ჭყონდიდლობასა და მწიგნობართუხუცესობას. როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, წარწერებში საქართველოს სამეფოს ვაზირი მხოლოდ ჭყონდიდელის ტიტულით მოიხსენიება სხვა შემთხვევაშიც.

თუმცა ამჯერად ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მაინც საინტერესოა, თამარის რომელი ვაზირია გუნია-ყალის წარწერაში ნაგულისხმევი, ანტონი თუ თევდორე? პ. ინგოროყვას მიხედვით, როგორც ვნახეთ, ამ დროს ჭყონდიდლად ანტონ გლონისთავიძეა; ასევე ფიქრობს ლ. მუსხელიშვილიც, ოღონდ არ გამორიცხავს წარწერის გაკეთების დროისათვის თევდორეს ჭყონდიდლობის შესაძლებლობასაც [1].

ანტონს ვაზირობა, მწიგნობართუხუცესობა-ჭყონდიდლობა, როგორც ცნობილია, უკვე გიორგი III-ის მეფობის ბოლო წლებში ჰქონდა, ხოლო შემდეგ მან ეს თანამდებობა ხელახლა მიიღო თამარის გამეფების პირველ წელსვე. მართალია, შანქორის ბრძოლის დროს იგი ჯერ კიდევ „შესახედავადაც ჭაბუკი“[2] ყოფილა, მაგრამ ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევით. ანტონი 1204 წლის შემდეგ (ვაჭანის ქვაბის წარწერა) წყაროებში მაინც აღარ იხსენიება და 1205—1207 წლებიდან მწიგნობართუხუცესობა და ჭყონდიდლობა თევდორეს უნდა ჰქონოდა[3]. ასე რომ, თუ გუნია ყალის წარწერას 1207—1212 წწ. დავათარიღებთ, იქ მოხსენიებულ ჭყონდიდლად, ცხადია, თევდორე უნდა მიგვეჩნია.

აღსანიშნავია, რომ გუნია-ყალის წარწერაში დასახელებულ პირთაგან თანამდებობით (სახელის გარეშე) მხოლოდ ერთი პირი ჭყონდიდელი მოიხსენიება, დანარჩენები კი მხოლოდ სახელებით. ესეც შემთხვევითი არ უნდა იყოს და მოხელეთა შორის ვაზირის (ჭყონდიდლის) განსაკუთრებულ მდგომარეობაზე უნდა მიგვითითებდეს.

2. ჭყონდიდლის შემდეგ მოხელეთა შორის მეორედ იხსენიება ზაქარია მხარგრძელად და ამირსპასალარად მიჩნეული ყველა მკვლევრის მიერ, ვინც კი ამ წარწერას შეხებია. მართლაც, ჭყონდიდლის შემდეგ, ყოველთვის, როგორც ეს ზემოთ ვნახეთ, თამარის ისტორიკოსების თხზულებებში ამირსპასალარია დასახელებული და ეს ორი მოხელე სხვა ხელისუფალთაგანაცაა გამოყოფილი[4]. წარწერაშიც, რა თქმა უნდა, ზაქარია მხარგრძელი ამირსპასალარი იგულისხმება, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. მაგრამ მკვლევრები ასევე ერთხმად მიუთითებენ, რომ ამ დროს ზაქარია მხარგრძელს თითქოს მ ხ ო ლ ო დ ა მ ი რ ს პ ა ს ა ლ ა რ ი ს თანამდებობა ჰქონდა; ზოგის მიერ კიდევ მომდევნო პირის – შალვა მანდატურთუხუცესად მიჩნეულის დასახელება მესამე ადგი-

---

[1] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, აე, გვ. 66.

[2] ისტორიანი, გვ. 105.

[3] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საეპისკოპოსო, გვ. 13 და იქვე შენ. 36,37.

[4] იხ. ისტორიანი, გვ. 121, 78 და სხვ.

ლსე, ამირსპასალარის შემდეგ, ვასირთა რიგის ერთგვარ დარღვევადაც არის გამოცხადებული და ეს დარღვევაც ზაქარიას პიროვნების მდგომარეობით, განსაკუთრებით სპასპეთ კაცად მისი მიჩნევით არის ახსნილი [1].

ცხადია, ჭყონდიდლის შემდეგ ამირსპასალარის მეორედ მოხსენიება არ შეიძლება აიხსნას ზაქარიას პიროვნული დამსახურებით. როგორც არაერთხელ აღინიშნა, გიორგი III-ის შემდეგ ამირსპასალარი ერთ-ერთი პირველი მოხელეა და მით უფრო მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის თანამდებობათა ერთი პირის სელში გაერთიანების შემთხვევაში, იგი ყოველთვის მეორე ადგილზე იხსენიება ვახტრის შემდეგ. მაგრამ ყოველივე ამის დასაზუსტებლად მაინც მთავარია გაირკვეს ზაქარია მხარგრძელის თანამდებობრივი მდგომარეობა XIII ს. დამდეგს და მისი ადგილი საქართველოს სამეფოს სამოხელეო წყობაში. ამ საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გუნია-ყალის წარწერის შინაარსის გასახსნელად და მასზე უფრო ერცლად შეჩერებას მივიჩნევთ საჭიროდ. ამასთანავე, იგი მჭიდროდ უკავშირდება ამავე წარწერაში მოხსენიებული შალვას ვინაობისა და მისი მანდატურთუხუცესობის პრობლემას.

როგორც ვნახეთ, არც ერთ მკვლევარს ეჭვი არ ეპარება წარწერაში მოხსენიებული შალვას თორელობასა და მანდატურთუხუცესობაში. ამ აზრისანი არიან: პ. ინგოროყვა, ლ. მუსხელიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ნ. შოშიაშვილი, ა. ბაქრაძე და სხვები. ზოგი მკვლევარი ამის საბუთად თვით გუნია-ყალის წარწერას მიიჩნევს, ზოგი, ამასთან ერთად, დამატებით მასალებსაც იშველიებს. მაგრამ სანამ შალვას მანდატურთუხუცესობის შესახებ მკვლევართა მიერ მოტანილ დამატებით მასალებს განვიხილავდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ თვით გუნია-ყალის წარწერა „შალვა" სახელის გარდა, არაფერს გვეუბნება ამ პირის ცენტრალურ აპარატში რაიმე თანამდებობაზე ყოფნასა და მით უფრო მანდატურთუხუცესობაზე. ამ შემთხვევაში მკვლევართა ამოსავალს არსებითად სამეფო კარის ცენტრალური აპარატის დიდმოხელეთა დასახელების იმდროისათვის მიღებული წესი, რიგი წარმოადგენს, თუმცა ამავე მკვლევართა აზრით, ეს რიგიც, მოხელეთა დასახელებისას, შეიძლებოდა დარღვეულიყო კიდეც.

ასე რომ ზაქარია მხარგრძელის თანამდებობრივი მდგომარეობისა და შალვას ვინაობის გასარკვევად საჭირო იქნება XII ს. და XIII ს. დამდეგის საქართველოს სამეფოს მანდატურთუხუცესები დაგვედგინა. საამისო უტყუარი მასალები კი ჩვენ მოგვეპოვება როგორც ქართულ, ისე სომხურ წყაროებში.

თამარის პირველი (და ასევე მეორე) ისტორიკოსის მოწმობით, თამარის გამეფების პირველ წელსვე მანდატურთუხუცესობა ებოძა გიორგი III-ის გაზრდილსა და მისსავე მეჯინიბეთუხუცესს ჭიაბერს. იგი ამ თანამდებობით არაერთხელაა მოხსენიებული თამარის ისტორიკოსის თხზულებაში: ჭიაბერი ერთგულად ემსახურებოდა სამეფო ხელისუფლებას მთელი სიცოცხლის მანძილზე და თუ დაწინაურებული არა (ერთხანს იგი ამირსპასალარიც იყო), დაქვეითებული არ ყოფილა. ჭიაბერი ცოცხალია 1203 წ. ბასიანის ომის დროსაც და მას ამ ხნის მანძილზე თამარის გამეფებიდან ბასიანის ომამდე — მანდატურთუხუცესობა, ცხადია, შენარჩუნებული ექნებოდა. არაა სავარაუდებელი, რომ მისთვის სიცოცხლეშივე ჩამოერთმიათ ეს თანამდებობა. ამიტომაც იყო, რომ ლ. მუსხელიშვილმა საჭიროდ მიიჩნია თამარის პირველი ისტორიკოსის ტექსტში (რომელსაც ჩვენ საგანგებოდ ქვემოთ განვიხილავთ) ერთგვარი შესწორება შეეტანა და იქ, სადაც შალვა მანდატურთუხუცესადაა მოხსენიებული, ჩაემატებინა

---

[1] ლ. მუსხელიშვილი, იქ. გვ. 66.

„ჰიაბერი [გარდაცვლილი იყო]“. ლ. მუსხელიშვილს ეჭვი არ ეპარება, რომ ჰიაბერის შემდეგ, კერძოდ 1206 წ. ბასიანის ბრძოლის დროიდან ვიდრე 1208 წლამდე, მანდატურთუხუცესობა შალვა თორელს ჰქონდა.[1] საბუთად ამ შემთხვევაში გუნია-ყალის წარწეროს გარდა, მოტანილია ღაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის ცნობა ზაქარიას მანდატურთუხუცესად მოხსენიების შესახებ და ასევე ჰარიჭის სომხური წარწერა, სადაც ზაქარია მანდატურთუხუცეს-ამჩინოსპალატად იწოდება. ასე რომ ჰიაბერის შემდეგ, ლ. მუსხელიშვილის აზრით, მანდატურთუხუცესად ჯერ შალვა თორელი იყო, ხოლო 1208 წლიდან ზაქარია მხარგრძელი. პ. ინგოროყვა შალვას მანდატურთუხუცესის თანამდებობაზე ყოფნას 1205 1210 წწ. ათარიღებს, ზაქარია მხარგრძელისას კი 1210 11 წლებით.[2] ნ. შოშიაშვილი, ლაშას მემატიანის ცნობითა და ჰარიჭის 1201 წლისაღ აღნიშნული წარწერის მისედვით ფიქრობს, რომ ჰიაბერი მანდატურთუხუცესად 1201 წ. უკვე აღარ არის, ის ამ დროს გარდაიცვალა და ამით უნდა აიხსნას 1201 წ. ჰარიჭის წარწერაში მანდატურთუხუცესად ზაქარია მხარგრძელის მოხსენიება. ასე რომ, მისი აზრით, ჰიაბერის შემდეგ 1201/1207 წლამდე ზაქარია მხარგრძელი იყო მანდატურთუხუცესად, ხოლო შემდეგ 1201/1207 წლებიდან 1226 წლამდე შალვა ახალციხელი[3]. როგორც ვხედავთ, მკვლევარნი XII ს. დამდეგის მანდატურთუხუცესთა შესახებ სხვადასხვა მოსაზრებისანი არიან და ამ თანამდებობაზე მათი ყოფნის დროს სხვადასხვაგვარად ათარიღებენ.

ჩვენ ამჯერად სიტყვას არ გავაგრძელებთ ისეთ საკითხებზე, რომლებიც ამ შეხედულებათა გაცნობისთანავე წამოიჭრება: ასე მაგალითად: ლ. მუსხელიშვილის მტკიცებაში გაუგებარია, თუ რატომ უნდა დაენებებინა 1208 წ. თავი მანდატურთუხუცესობისათვის შალვა თორელს? შალვას მანდატურთუხუცესობის ხანმოკლეობის მისი პირადი განწყობილებით ახსნა, ცხადია, დაუჯერებელია, ასევე გაუგებარია, თუ რაზე დაამყარა პ. ინგოროყვამ მოსაზრება ზაქარია მხარგრძელის ამ თანამდებობაზე მხოლოდ ერთი წლით ყოფნის შესახებ ან კიდევ შალვას მანდატურთუხუცესობის ზემომოტანილი თარიღები? ნ. შოშიაშვილის მიერაც ვერ არის ახსნილი მიზეზი ზაქარია მხარგრძელის მიერ მანდატურთუხუცესობის დაკავებისა 1207 წლიდან. მისივე სიტყვით, ზაქარია თამარის მეფობის პერიოდში არასოდეს დამცრობილა[4] და როგორ მოხდა, რომ მან ეს თანამდებობა (მანდატურთუხუცესობა) დაკარგა და შალვა ახალციხელს გადაეცა?

ასეთი და სხვა მსგავსი მეუსაბამობანი ზემომოტანილ მოსაზრებებში გამოწვეულია იმით, რომ მკვლევარნი ყოველთვის საკმაო სისრულით არ ითვალისწინებენ XII ს. და XIII ს. დამდეგის მანდატურთუხუცესების შესახებ არსებულ წყაროებს.

ჩვენ მართებულად მიგვაჩნია მოსაზრება (ლ. მუსხელიშვილი, პ. ინგოროყვა), რომლის მიხედვითაც ჰიაბერმა მანდატურთუხუცესობა გარდაცვალებამდე, ე. ი. 1205 თუ 1206 წლამდე შეინარჩუნა. უეჭველია, რომ ჰიაბერი ბასიანის ბრძოლის დროს ცოცხალია და მისი მონაწილეობა. თამარის ისტორიკოსის მიერ მისი მოუხსენიებლობა ამ ბრძოლის შემდეგ სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ჰიაბერი მაინცდამაინც ბასიანის ბრძოლის დროს, თუ იმავე წელს გარდაიცვალა. მაგრამ ამ მოსაზრების ავტორები არ არიან მართალნი, როცა ჰიაბერის

[1] ლ. მუსხელიშვილი, იქვე, გვ. 65.

[2] პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპოქა, გვ. 579.

[3] ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია, გვ. 22–23.

[4] იქვე, გვ. 68.

შემდეგ მანდატურთუხუცესად შალვა თორელს მიიჩნევენ. არც ნ. შოშიაშვილია სწორი, როცა ჭიაბერის შემდეგ 1201 წლიდან მანდატურთუხუცესად ჯერ ზაქარია მხარგრძელს ასახელებს, ხოლო 1207 წლიდან შალვა თორელს, ვიდრე 1216 წლამდე. ჩვენ ამაში გვარწმუნებს სომხური ეპიგრაფიკული ძეგლები.

პირველ რიგში შევეხოთ ჰარიჭის წარწერას, რომელიც მის გამომცემელთა მიერ 1201 წლით არის დათარიღებული და ნ. შოშიაშვილის მიერ დამოწმებულია ზაქარია მხარგრძელის 1201 წლიდან მანდატურთუხუცესობის დასამტკიცებლად. ჰარიჭის წარწერაში ეკითხულობთ: „. .ბე ზაქარია მანდატორთა ხუცეს (*մանդատուրթա խուցես*) ამირსპასალარმან (*ամիր պասալար*) სომეხთა და ქართველთა, ძემან დიდი სარგისისა. შევუქმენ სიმდიდრე ჰარიჭის წჱდა ძმობის განთქმულ მონასტერს... ჩემი უფლის სიცოცხლისათვის კეთილმსახურისა თამარ დედოფლისა და ჩემი ღეიძლი ძმის ივანეს ცხოვრებისათვის და მემკვიდრეთა ჩვენთა შაჰან-შაჰისა და ავაგისა... და ავაშენე მასში სიმაგრე და ტაძარი... და შევკაზმე ყოველი ნივთითა და სიწმინდითა“...[1] თუმცა წარწერაზე თარიღი არ იკითხება, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, კ. კოსტანიანცის და სხვების მიერაც იგი 1201 წლით არის დათარიღებული. ამ თარიღის სისწორეში, გარდა ლ. მუსხელიშვილისა, არც ერთ ქართველ მკვლევარს ეპვი არ შეუტანია. მაგრამ, ჩვენი აზრით, წარწერის დათარიღებისას, როგორც ჩანს, მხედველობაში არ არის მიღებული ერთი მეტად მნიშვნელოვანი და მისი არსებითად დამათარიღებელი გარემოება – მასში ზაქარია მხარგრძელის მემკვიდრის შაჰან შაჰის (შანშა, შანშე) მოხსენიება.

სომეხი ისტორიკოსების (კირაკოსი, ვარდანი) ცნობები საშუალებას გვაძლევს დაახლოებით მაინც განვსაზღვროთ შანშე მხარგრძელის დაბადების თარიღი. კირაკოსის ცნობით, ზაქარიას დარჩა ერთადერთი მცირეწლოვანი შვილი შაჰანშა[2]. ვარდანის მიხედვით კი, ზაქარიას გარდაცვალებისას შაჰანშა ხუთი წლისა ყოფილა[3]. თვით ზაქარია, ამავე ისტორიკოსების ცნობით, 1212/13 წლებში გარდაიცვალა. ასე რომ შანშე მხარგრძელი 1207/8 წ. ადრე არ შეიძლება დაბადებულიყო და წარწერაც, ცხადია, მისი დაბადების შემდეგ და ზაქარიას გარდაცვალებამდე. ე. ი. 1212/13 წლამდე უნდა იყოს გაკეთებული. ამრიგად, ჰარიჭის წარწერა 1201 წელს კი არ ეკუთვნის, აოამედ 1207 – 1213 წლებს. წარწერის ამგვარად დათარიღების შემდეგ სავსებით გასაგები ხდება ზაქარია მხარგრძელის მოხსენიება მასში მანდატურთუხუცესის თანამდებობით. ისიც ნათელია, რომ ამ წარწერის დამოწმება ზაქარია მხარგრძელის მანდატურთუხუცესის თანამდებობაზე 1201 წლიდან ყოფნის დასადასტურებლად შეუძლებელია. ეს წარწერა გამოიცხავს აგრეთვე 1207 წ. შალვა თორელის ყოფნას მანდატურთუხუცესის თანამდებობაზე. მით უფრო, რომ 1208 წლისა თუ მასზე ადრინდელ და მომდევნო წლების სომხურ წარწერებში ზაქარია მხარგრძელი თითქმის ყველგან ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის წოდებით მოიხსენიება.

მოვიტანოთ ეს წარწერებიც: ამჯერად ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით იქცევს ანისის ერთ ერთი, გამომცემელთა მიერ 1208 წლით დათარიღებული წარწერა, რომელიც თვით ზაქარია მხარგრძელს ეკუთვნის. ზაქარია წარწერებში, რომელიც კი მისი ბრძანებითაა გაკეთებული, შანშეს დაბადების შემდეგ, ყოველთვის იხსენიებს, თავის ერთადერთ მემკვიდრეს; მაგრამ ანისის 1208 წ.

[1] კ. კოსტანიანცი, მატიანე ქვებზე, (სომხ.), გვ. 43.

[2] კირაკოს განძაკეცი, ისტორია (რუს.), გვ. 97.

[3] ვარდანი, მსოფლიო ისტორია (რუს.), გვ. 172.

მრწყულ წარწერაში. რომელიც ზაქარია მხარგრძელს ეკუთვნის, იგი მსოლოდ თავის მშობლებს მოიხსენიებს. ხოლო შანშე საერთოდ არაა ნახსენები, რაც გვაფიქრებინებს, რომ ანის ს ჩვენთვის სა ინტერესო წარწერა შანშეს დაბადებამდე, ე. ი. 1207 წლამდე უნდა იყოს გაკეთებული. ამ წარწერაში კი ზაქარია მანდატურთუხუცესად და ამირსპასალარად არის წოდებული: „მე მანდატურთა ხუცეს ამირსპასალარ შაჰანშაჰ ზაქარია შევამკე ესი ჯვარი და აღვმართე ეს ქედელი ჩემი შობელთა ჩემთა სახსენებლად“.[1] როგორც ამ წარწერიდან ირკვევა, ზაქარიას მანდატურთუხუცესობა ჯერ კიდევ შანშეს დაბადებ ძდეც 1205 1206 წლებშიც ჰქონია.

მომდევნო წლების წარწერებში ზაქარია ისევ ორივე თანამდებობით აის მოხსენიებული. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ახპატის უთარიღო წარწერა, რომელსაც კ. კოსტანიანცია და კ. კაფადარიანიც 1210 წლით ათარიღებენ, თუმცა წარწერის თარიღი, როგორც ჩანს, არ იკითხება. წარწერაში დაცული მოხაზებები მისი უფრო ზუსტად დათარიღების საშუალებას იძლევა: „ესე დაწერილი ანდერძი მუდმივი ამოიკვეთა წელსა კურთხევისა ღ(მრთის)ა [სწორისა] მეფეთ-მეფისა გიორგისა. ძისა დიდისა მეფისა თამარისა. რომლის დროსაც მის ცა ღ(მერთ)მა ხელთ ორ ღვიძლ ძმას ზაქარიას და ივანეს საკუთარი ციხე სიმაგრე ჩვენი ბერთა კ. კაფადარიანი კითხულობს: [ან] ბერდი), აშენებული ჩვენი წინაპრებისაგან და მრავალი სხვა ციხეები... მე მანდატურთა ხუცესმა ამირსპასალარმა შაჰანშა ზაქარიამ, ძემან სარგისისამან, მივეცი ახპატის წმინდა მონასტერს მამული ჩემი აშოცი, ჰალალაშენი. მეფის სიცოცხლისა და მზეგრძელობისათვის ძისა ჩემისა შაჰ ნშასი და ჩემი ძმისა ივანესი და მისი ძისა ავაგისა“[2]. წარწერა, როგორც ვხედავთ, გაკეთებულია „წელსა კურთხევისა“ თამარის ძის გიორგისა. წარწერაში დ ვით სოსლანი ნახსენები არ არის: ამასთან იგი თამარის სიცოცხლეშივე არის გაკეთებული – ზაქარია მხარგრძელი, როგორც ცნობილია, თამარზე ადრე გარდაიცვალა, ასი რომ წარწერაში იგულისხმება ლაშა-გიორგის თამარის სიცოცხლეშივე მეფედ კურთხევის წელი, ე. ი. 1207 წელი. ამრიგად, ეს წარწერა 1207 წ. ეკუთვნის და არა 1210 წელს და, მაშასადამე, ზაქარია მხარგრძელი 1207 წლის წარწერაშიც მანდატურთუხუცესად არის მოხსენიებული.

ზაქარია მანდატურთუხუცესად ხსენიება მომდევნო წლების წარწერებშიც. ანისის 1208 წლის წარწერაში ვკითხულობთ: „წყალობითა ღმრთისა, უფლებასა შანდატურთ-ხუცეს ამირსპასალარ შაჰანშა ზაქარიასი“ სარგისმა დავსვი სეტ (ჯვარი) და სხვ[3]. ამგვარადვე, ზაქარია მანდატურთუხუცესად იწოდება აგრეთვე ანისის 1210 წლის[4], 1210 1213 წლების[5] და 1212 წლის[6] წარწერებშიც ზაქარიას მანდატურთუხუცესად იხსენიებს აგრეთვე ტიგრან ჰონენცის 1213 წლის წარწერა[7].

---

[1] სომხური წარწერების კრებული, I (სომხ), გვ. 6; შდრ მ. ე მ ი ნ ი, სომხური წარწერები (რუს.), გვ. 10; კ. კ ო ს ტ ა ნ ი ა ნ ც ი, მატიანე ქვებზე (სომხ.), გვ. 49.

[2] კ. კ ო ს ტ ა ნ ი ა ნ ც ი, მატიანე ქვებზე (სომხ.), გვ. 50 –51; კ. კ ა ფ ა დ ა რ ი ა ნ ი, ახპატი (სომხ.), გვ 168 168

[3] სომხური წარწერების კრებული, I (სომხ.). გვ 5: მ. ე მ ი ნ ი, სომხური წარწერები (რუს) გვ. 9; კ. კ ო ს ტ ა ნ ი ა ნ ც ი, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

[4] სომხური წარწერების კრებული, I (სომხ.), გვ. 55.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 58.

[6] მ. ე მ ი ნ ი, სომხური წარწერები (რუს.), გვ. 9. კ ო ს ტ ა ნ ი ა ნ ც ი, მატიანე ქვებზე (სომხ), გვ. 54.

[7] მ. ე მ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 88; კ. კ ო ს ტ ა ნ ი ა ნ ც ი, დასახ. ნ შრ., გვ. 54.

ამრიგად, ძოტანილი ძასალების მიხედვით ძტკიცდება, რომ ზაქარია ძხარგრძელს მახდატურთუხუცესობა ჰქონდა 1203 წლიდან ვიდრე გარდაცვალებამდე, ე. ი. 1213 წლამდე[1]. მაგრამ იქნებ საქარიას გარდაცვალების შემდეგ მხარგრძელთა სახლმა დაკარგა მანდატურთუხუცესობა და იქნებ მართლაც თორელების ხელში გადავიდა ეს თანამდებობა ამ დროიდან მაიცა?

სომხურ-ქართული ეპიგრაფიკული მასალებიდან საკმაოდ ნათლად ირკვევა, რომ ზაქარიას გარდაცვალების შემდეგაც, მიუხედავად მისი მემკვიდრის მცირეწლოვანებისა, მხარგრძელების ფეოდალურმა საგვარეულომ შეინარჩუნა როგორც ამირსპასალარობა, ასევე მანდატურთუხუცესობა. შაჰანშას (შანშეს) მცირეწლოვანების გამო მისი მამის თანამდებობანი ამირსპასალარობაცა და მანდატურთუხუცესობაც ბიძის, ზაქარიას ძმის, ივანეს ხელში გადავიდა. ივანე მხარგრძელი ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ იყო ათაბაგიც, ამირსპასალარიცა და მანდატურთუხუცესიც. ამიტომაა, რომ ქართულ და სომხურ წარწერებში იგი არაერთხელ მოიხსენიება მანდატურთუხუცესის წოდებითაც. კოშის ქართულ წარწერაში ვკითხულობთ: „ჩუენ, მანდატურთუხუცესმან ივანე და შანშეს და მისთა ძმათა დედამან ხოშამან, გაგიშჳთ თქუენ, კოშელთა, ზემოისა მზღვრისა შარიადი ჩუენისა, ჩუენთა შვილთა შაჰანშეს და მისთა ძმათა დღეგრძელობისათჳს"[2]. ამ მრავალმხრივ მნიშვნელოვან წარწერაში ჩვენ ამჟამად ივანე მხარგრძელის მანდატურთუხუცესად მოხსენიება გვაინტერესებს. წარწერა, როგორც ირკვევა, გაკეთებულია ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ, შანშეს მცირეწლოვანებისას, როცა ის ჯერ კიდევ თავისი ბიძის სახლში იზრდებოდა. ამიტომაცაა წარწერაში ხოშაქი (ივანეს მეუღლე) შანშეს დედად, ხოლო ივანესა და ხოშაქის შვილი ავაგ-სარგისი შანშეს ძმად მოხსენიებული. ამას გარდა, სრულიად კანონზომიერი ჩანს ამ წარწერაში ივანეს მარტო მანდატურთუხუცესის ტიტულითა და მხოლოდ

---

[1] აქვე საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ ზაქარია მანდატურთუხუცესად მარტო სომხურ წყაროებში არ იხსენიება. არ იყო მართალი ს. კაკაბაძე, როცა უაოყოფდა ქართულ წყაროებში ზაქარიას მანდატურთუხუცესად მოხსენიებას და ამიტომ მანდატურთუხუცესობას ზაქარიას მხოლოდ სააბატიო სახელად თელიდა (იხ. „ვეფხისტყაოსნის" წინასიტყვაობა, გვ. LXXXVII). ზაქარია მხარგრძელი ლაშა-გიორგის დროინდელ მემატიანეს ორჯერ ჰყავს ამ თანამდებობით მოხსენიებული — ერთხელ თამარის მეფობისას, დეინში ლაშქრობის დროს, ხოლო მეორედ ლაშა გიორგის გამეფების შემდეგდროინდელ ამბებთან დაკავშირებით (იხ. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, გვ. 15, 18). ლ. მუსხელიშვილი რატომღაც ფიქრობს, რომ ამ მეორე შემთხვევაში ლაშას მემატიანემ ზაქარია მანდატურთუხუცესად ლაშა-გიორგის დაბადების დროს 1193 წ. მოხსენია დ, ამდენად, აქ ანაქრონიზმთან გვაქვს საქმე. ნამდვილად კი ლაშას მემატიანე მეორე შემთხვევაში ზაქარიას მანდატურთუხუცესად თამარის გარდაცვალებისა და ლაშას გამეფების შემდეგ ასახელებს. თუმცა ესეც ანაქრონიზმია; ზაქარია მხარგრძელი თამარზე ადრე გარდაიცვალა და ლაშას მეფობას არც მოსწრებია. მსგავსი ანაქრონიზმი ლაშას მემატიანის თხზულებაში იშვიათი არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველი წყაროებიც კარგად იცნობდნენ ზაქარიას, არა მარტო როგორც ამირსპასალარს, არამედ როგორც მანდატურთუხუცესსაც.

თამარის ისტორიკოსების მიერ ზაქარიას მხოლოდ ერთი ამირსპასალარის თანამდებობით მოხსენიება, როგორც ეხედავთ, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მას მაშინ დრო მანდატურთუხუცესობა არ ჰქონოდა, ანდა იმას, რომ ეს სახელო მისთვის მხოლოდ სააბატიო ყოფილიყო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ წყაროები ხშირ შემთხვევაში ორი და მეტი თანამდებობის მქონე პირს ჩვეულებრივ ერთი რომელიმე (უფრო საპატიო) თან მდებობით იხსენიებენ. ასე მაგ., ივანე მხარგრძელი, რომელიც გარკვეული დროიდან ათაბაგობასთან ერთად ამირსპასალარობასაც ფლობდა და მახდ ტურთუხუცესობასაც, წყაროებში თითქმის ყველგან, ათაბაგად დანიშნის დროიდან, მხოლოდ ათაბაგობით იხსენიება.

[2] ა. შანიძე, კოშის წარწერა (რუს.), გვ. 8 9.

შანშეს (და ისიც ივანეს და სოშაძის შვილად) მოხსენიება ამ თანამდებობისა ა. ამაღლების მიძღვნილი მენეკრილეში მხარგრძელთა ფეოდალურ სასლში შანშა იყო. სედმეცია ლაპარაკი იმაზე, რომ ივანე მანდატურთუხუცესად შეიძლებოდა წოდებულიყო ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ, ე. ი. მაშინ, როცა ივანეს აგრეთვე ჰქონდა ათაბაგისა და ამირსპასალარის ტიტულები.[1] ივანე მხარგრძელი მანდატურთუხუცესად მოხსენიებულია სანაინის ერთ-ერთ სომხურ უთარიღო წარწერაშიც [2].

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ივანეს სიცოცხლეშივე დაახლოებით 20-21 წლის შანშა შირაკანის სომხურ წარწერაში მანდატურთუხუცესადაა მოხსენიებული: „წყალობითა უფლისა, მე, ათაბაგმა ივანემ და ხოშაქმა, ჩვენი შვილების მანდატურთუხუცესის შანშას დღეგრძელობისათვის და ამირსპასალარ ავագისა"...[3] ეს წარწერა 1228 წლითაა დათარიღებული. როგორც ვხედავთ, ივანეს სიცოცხლეშივე მხარგრძელთა საგვარეულოს მემკვიდრეებს პიუღიათ მამისა და ბიძის თანამდებობანი: შანშას — მანდატურთუხუცესობა, ავագ-საოგისს ამირსპასალარობა.

მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის სახელოების ისტორიისათვის ინტერესმოკლებული არ არის ისიც, რომ ჯერ კიდევ არსებითად მცირეწლოვანი, 8 10 წლის შანშა სომხური წარწერების გამკეთებელთა მიერ მამის გაოდაცვალების შემდეგ მის პირდაპირ მემკვიდრედ მანდატურთუხუცესად და ამირსპასალარად იყო მიჩნეული და ამავე წოდებით მოიხსენიებოდა. ანისის 1215 წ. წარწერაში ნათქვამია: „მფლობელობასა მანდატურთა ხუცეს ამირსპასალარ შაჰანშა (—შანშა) სარგისისა, მე, მხითარის ძემ, განძაკში შობილმა ქრისტეს მონამ" — ესა და ეს გავაკეთეთ [4]. ასე რომ, ანისის მცხოვრებთა აზრით, მცირეწლოვანი შანშა უკვე იყო ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი. მაგრამ მოვლენები, როგორც ზემოთ ითქვა, სხვაგვარად განვითარდა ივანეს სიცოცხლის უკანასკნელ წელს მანდატურთუხუცესობა შანშას ებოძა, ამირსპასალარობა კი ავაგ-სარგისს. ამის შემდეგ შანშა ქართულ თუ სომხურ წყაროებში არაერთხელ იხსენიება ამ თანამდებობით. ისე რომ შანშას შემდეგაც, „ხელმწიფის კარის გარიგების" საუსებით სწორი ცნობით, მანდატურთუხუცესობა „უფრო შანშათ სახლისა არის"[5].

მოტანილი მასალების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ: ჭიაბერის შემდეგ მანდატურთუხუცესის თანამდებობა საქართველოს მეფის მიერ მხარგრძელთა სახლს ებოძა. მხარგრძელთაგან მისი პირველი მფლობელი იყო ზაქარია, ოომე-

---

[1] წარწერის გამომცემელის —ა შანიძის აზრით, წარწერა გაკეთებულია ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების (1215 წ.) ახლო ხანებში, როცა ივანე ჯერ კიდევ მსახურთუხუცესი იყო და არ ატარებდა ათაბაგის ტიტულს (გვ. 13) ივანემ ათაბაგობა ზაქარიას გარდაცვალებისთანავე მიიღო, ამავე დროს მან დათმო მსახურთუხუცესობა (ეს თანამდებობა მხარგრძელთა მეორე შტოს გადაეცა) ასე რომ წარწერის გაკეთების დროს ივანე უკვე იყო ათაბაგი, ამიტომ სპასალარიც და, როგორც თვით ამ წარწერიდან ჩანს, მანდატურთუხუცესიც. ივანე მხარგრძელის ფეოდალური სახლი ზაქარიას გარდაცვალების შემდეგაც ამ სახელოებს მცირეწლოვან მემკვიდრეთა (შანშა, ავაგ-სარგისი) დავუკაცებამდე ინარჩუნებდა.

[2] კ. კაფადარიანი, სანაჰინის ვანქი (სომხ.), გვ. 113.

[3] მ. ემინი, დასახ. ნაშრ., გვ. 51; კ. კოსტანიანცი, მატიანე ქვებზე (სომხ.), გვ 71.

[4] მ. ემინი, დასახ. ნაშრ., გვ. 8. სარგისი ერქვა ზაქარიას შვილსაც; შანშა კი მისი მეორე სახელი იყო. სარგისად იწოდებოდა ივანეს შვილიც, რომელიც უფროსი იყო და ამიტომაც მას ავაგ-სარგისს, ან კიდევ ავაგს უწოდებდნენ, ზაქარიას ძე სარგისს კი — შანშა (შანშა) სარგისს, ან კიდევ შანშ ს.

[5] ი. დოლიძე, ქსძ, II, გვ. 96.

ლ(ც ამ თან მოგბობაში დარჩა გარდაც ლებამდე. მის შემდეგ ეს თანამდებო-
ბა ერთხანს ძმისძმის ხელში იყო, სიდან ზაქარიას შვილს შან
ძას ეპყრა. ასე, რომ XIII ს. დამდეგიდან შანდატურობის სახელო მხო-
ლოდ მხარგრძელთა ხელში იყო. ეს კი საეჭვოდ გამორიცხავს შალვა თორე-
ლის (ახალციხელის) ორი თუ სამი წლით და მით უფრო 1207-დან 1226 წლამდე
შანდატურთუხუცესობას

ამოიგდა, გუნია-ყალის წარწერაში მოხსენიებულ ზაქარია არის როგორც ამირსპასალარი (1191 წლიდან), ასევე მანდატურთუხუცესიც (1205-6 წლიდან); ზაქარიას შემდეგ მოხსენიებული შალვაარც გუნია-ყალის წარწერის გაკეთების დროს (1207 1212 წწ.) და არც შემდეგ არ ყოფილა მანდატურთუხუცესი; გუნია-ყალის წარწერის შალვა მანდატურთუხუცესი არ არის.

3. გუნია-ყალის წარწერაში მოხსენიებულ შალვას მანდატურთუხუცესობის დასადასტურებლად ზემოხსენებულ მოსაზრებათა ავტორებს სხვა წყაროებიც აქვთ მოშველიებული. თუმცა ზემომოტანილი მასალების შემდეგ ამ წყაროებს აო შეიძლება ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, მაგრამ საკითხის შესწავლის სისოულისათვის მაინც საჭიროდ მივიჩნევთ ეს წყაროებიც საგანგებოდ განვიხილოთ. პიოველ რიგში შევეხოთ თამარის პირველი ისტორიკოსის ერთ ცხობას, სადაც შალვა თორელი თითქოს მანდატურთუხუცესადაა მოხსენიებული. მხედველობაში გვაქვს მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ შემდეგი ადგილი: „წინა მებრძოლად იყო ზაქარია მჯარგრძელი ამირსპასალარი და ორნიცა იგი ძმანი ახალციხენი შალვა და ივანე დაღათუ შალვა მანდატურთუხუცესი იყო ჭიაბერი და სხუანი თორელნი“ [1]. ტექსტის მოტანილი ადგილის მიხედვით, ზაქარია მხარგრძელთან ერთად ბასიანის ბრძოლის დროს „წინამებრძოლნი“ ყოფილან ძმები შალვა და ივანე ახალციხელები, ჭიაბერი და სხვა თორელები. ახალციხელთაგან ერთი — შალვა — მანდატურთუხუცესი ყოფილა.

ი. ჯავახიშვილმა ადრევე შენიშნა ტექსტში აოსებული წინააღმდეგობა. კერძოდ, შალვა ახალციხელის მოხსენიება მანდატურთუხუცესად და იქვე ჭიაბერის დასახელება ბასიანის ბრძოლის მეწინავეთა შოოის. მართლაც, გიორგი III ისა და თამარის ერთგული მოხელე ჭიაბერი თუ ცოცხალი იყო და ისე მხნედაც გრძნობდა თავს, რომ ბასიანის ომშიც მონაწილეობდა. რატომ უნდა დაეკარგა მას მანდატურთუხუცესობა და რატომ უნდა გადაეცათ იგი შალვა ახალციხელისათვის? ასე რომ ტექსტში ან „შალვა“ იყო მეორედ ზედმეტად დასახელებული, ანდა ჭიაბერი. ი. ჯავახიშვილმა, სოულიად მართებულად, „შალვას“ განმეორება ზედმეტად ჩათვალა და ტექსტს შემდეგი სახე მისცა: „წინამებრძოლად იყო ზაქარია მჯარგრძელი, ამირსპასალარი და ორნიცა იგი ძმანი ახალციხელნი შალვა და ივანე, დაღათუ მანდატუოთუხუცესი იყო ჭიაბერი და სხუანი თორელნი“ [2]. ამას სინათლე შეჰქონდა ტექსტში — შალვა კი აო გამოდიოდა მანდატურთუხუცესად, არამედ ჭიაბერი, რომელსაც მართლაც ჰქონდა ეს თანამდებობა თამარის გამეფების პირველი წლიდახე და რომელიც, მიუხედავად თავისი თანამდებობისა, ბასიანის ბრძოლაშიც მონაწილეობდა.

---

[1] მარიამისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 501.

[2] ი. ჯავახიშვილი, ქეი, II, გვ 276

ა. კეკელიძემაც ასე გაიგო თამარის ისტორიკოსის ეს ადგილი და ტექსტი ამგვარადვე გაასწორა[1].

ს. ყაუხჩიშვილმა „ქართლის ცხოვრების“ უკანასკნელ გამოცემაში უცვლელად დატოვა მარიამ მირსეული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ზემომოტანილი ადგილი და ასევე ის წინააღმდეგობაც, რომელიც მას თან ახლავს[2]. მკვლევრებმა, რომლებმაც ტექსტის ადგილი შალვას მანდატურთუხუცესობის დასამტკიცებლად გამოიყენეს, სცადეს ეს წინააღმდეგობა სხვა გზით გადაელახათ.

ასე მაგალითად, ლ. მუსხელიშვილმა, რომლის აზრით, ჭიაბერს მანდატურთუხუცესობა გარდაცვალებამდე ჰქონდა, საჭიროდ ჩათვალა მოტანილ ადგილში ჭიაბერის გარდაცვალების შესახებ საგანგებო ფრაზა ჩაემატებინა: „დაღათუ შალვა მანდატუოთუხუცესი იყო, ჭიაბერი (გარდაცვლილი იყო)“[3]. ასეთი შესწორების საჭიროების საბუთად ლ. მუსხელიშვილს მიაჩნია ჭიაბერის მოხსენიებლობა 1195 წ. შემდეგ და აგრეთვე გუნია-ყალის წარწერა, სადაც, ლ. მუსხელიშვილის აზრით, უკვე სხვა მანდატუოთუხუცესი — შალვა იხსენიება. ცხადია, ტექსტის ამგვარად შესწორებისა და ამის მიხედვით ჭიაბეროს გარდაცვლილად მიჩნევის შემდეგ, ასეთი დასკვნის გაკეთება ძნელი არ არის. მაგრამ განა გამართლებულად შეიძლება მივიჩნიოთ ისტორიკოსის მიერ ბასიანის ბრძოლის მონაწილედ მიჩნეული პირის უფრო ადრე გაოდაცვლილად გამოცხადება და ამგვარად ტექსტის შინაარსის არსებითად შეცვლა? მით უფრო, რომ გუნია-ყალის წარწეოა, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, შალვას მანდატურთუხუცესობის საბუთად არ გამოდგება.

თამარის პირველი ისტორიკოსის ტექსტის ზემომოტანილი ადგილის შესწორებას საჭიროდ მიიჩნევს ნ. შოშიაშვილიც, მაგრამ ის ამ მხრივ სხვა ვარიანტს გვთავაზობს — კერძოდ, მას ხედმეტად მიაჩნია საერთოდ ჭიაბერის მოხსენიება. ნ. შოშიაშვილის ვარაუდით, შალვა კი არ არის ჩამატებული, არამედ ჭიაბერი. ხოლო შალვას მანდატურთუხუცესობის მოწმობად ნ. შოშიაშვილიც ისევე გუნია-ყალისა და აგრეთვე განძანის წარწერებს მიიჩნევს. ჭიაბერის ჯერ კიდევ ადრე, 1201 წლამდე გარდაცვალების საბუთად ნ. შოშიაშვილს ჰარიჭის წარწერა აქვს მოტანილი, სადაც ზაქარია მხარგრძელი უკვე მანდატურთუხუცესად იხსენიება[4].

გუნია ყალის წარწერის შესახებ უკვე ზემოთ ითქვა და მის გამეორებას საჭიროდ არ მივიჩნევთ. ხოლო ჰარიჭის წარწერა, როგორც გამოირკვა, 1201 წ. კი არ ეკუთვნის, არამედ 1207/8—1212/13 წწ. ასე რომ იგი ჭიაბერის 1201 წლისათვის გარდაცვალების დასამტკიცებლად აღარ გამოდგება. ამრიგად, არც გუნია ყალისა და არც ჰარიჭის წარწეოით არ დასტურდება ზემომოტანილი ტექსტის ჩვენთვის საინტერესო ადგილიდან ჭიაბერის ამოღების აუცილებლობა. მაგრამ გუნია-ყალის წარწერაში მოხსენიებული შალვას, აგრეთვე თამარის ისტორიკოსებთან ნახსენები შალვა ახალციხელის მანდატურთუხუცესობის დასამტკიცებლად ნ. შოშიაშვილი, ასევე ნ. ბერძენიშვილი და ლ. მუსხელიშვილი იყენებენ განძანის წარწერებსაც, სადაც შალვა მანდატურთუხუცესადაა მოხსენიებული.

---

[1] ისტორიანი, გვ. 126.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 95.

[3] ლ. მუსხელიშვილი, იქ, გვ 65

[4] ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია, გვ. 20—23.

განძანის ეკლესიის წარწერებს ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის მარ-ლაც დიდი მნიშვნელობა აქვთ და მათზე საგანგებოდ შევჩერდებით.

განძანის წარწერები გამოსცა მ. ბროსემ[1], ხოლო შემდეგ ი. როს-ტომაშვილმა[2]. განძანის წარწერები ჯერ კიდევ 1933 წ. გადმოუღია ნ. ბერძენიშვილს, მაგრამ თვით წარწერები და მასთან დაკავშირებით ნ. ბერძე-ნიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი გამოქვეყნდა გაცილებით გვიან, 1964 წ.[3]; უკანასკნელად კი განძანის წარწერები დაბეჭდა ე. ცისკარიშვილმა[4]. მანვე მოგვცა ამ წარწერების სათანადო შეფასება, წინა გამოცემებში დაშვე-ბული შეცდომებისა და წარწერების დაზიანებული ადგილების აღდგენისა და დაზუსტების, ჩვენი აზრით, სწორი დასაბუთება.

განძანის ზედა ეკლესიაზე ვკითხულობთ: ა) „ქრისტე ღმერთო ადიდე ორ-თავე შინა ცხორებათა მ ე პ უ რ ჭ ლ ე თ უ ხ უ ც ე ს ი შალვა, ძითა, ძმითა მათითა ცოცხალთა, ვაშენეთ წმიდაჲ ესე საყდარი ჩუენ, ქებასა და ნიკოლას ძეთა". ბ) „ქრისტე ღმერთო ადიდე ორთავე შინა ცხორებათა ძლიერი და უძ-ლეველი ყოელთა მტერთაგან, მეპურჭლეთუხუცესი შალვა, რომელმან ძალი-თა ღმრთისაჲთა და მკლავითა თჳსითა შეძრწუნება ყოველი სოფელი სპარსე თისაჲ" [5].

ქვედა ეკლესიის წარწერებში კი იკითხება: ა) „ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე ცხოვრებათა მ ა ნ დ ა ტ უ რ თ უ ხ უ ც ე ს ი შალვა, ძითა და ძ მ ი თ ა მ ა თ გ ა ნ ც ო ც ხ ა ლ თ ა. ვაშენეთ მეორე წმინდაჲ ესე საყდარი ჩუენ, ნიკოლას ძეთა. შალვას მონასა მანგლაფს მეოხ ექმენ ღმერთო ყოელ-თაო. საყდარი დედისა ღმრთისაჲ". ბ) „ქ. ღმრთივ გჳრგჳნოსანი მეფობაჲ გიორ-გისი, ლაშქარნი და სამეფო დაიფარენ დედაო ყოველთა მკსნელისაო"[6].

არც ერთ მკვლევარს, რომელიც კი ამ წარწერას შეხებია, ეჭვი არ ეპარება, რომ: ა) ზედა ეკლესია უფრო ადრეა აშენებული (რამდენიმე წლით), ვიდრე ქვედა; ბ) ორივე ეკლესიის წარწერებში მოხსენიებული „შალვა" ერთი და იგივე პირია; გ) შალვას პირველი ეკლესიის შენების დროს ჰქონია მეპურჭ-ლეთუხუცესის თანამდებობა, მეორე ეკლესიის შენებისას კი — მანდატურთ-უხუცესისა.

მაგრამ მთავარი მაინც ისაა, თუ ვინ არის ეს შალვა და როდის მოღვა-წეობდა იგი? განძანის არც ერთ წარწერას, სამწუხაროდ, თარიღი არ ახლავს. წარწერის მტკიცედ დათარიღების საშუალებას არ იძლევა არც ბოლო წარწე-რაში მოხსენიებული „მეფე გიორგი". ამ საკითხების გარკვევას კი გადამწყვე-ტი მნიშვნელობა აქვს.

მ. ბროსემ თავის დროზე, ჩვენი აზრით, სავსებით სწორი ვარაუდი გამო-თქვა, როცა განძანის წარწერებში სამჯერ მოხსენიებული შალვა ჯაყელად, ბექა I-ის შვილად და გიორგი V, ბრწყინვალის თანამედროვედ მიიჩნია. როსტომა-შვილის მოსაზრებებს არ განვიხილავთ: მან წარწერა XI საუკუნისად, გიორგი I-ის დროინდელად მიიჩნია, რაც მიუღებელი ჩანს როგორც წარწერების პალე-ოგრაფიული, ისე მათი შინაარსობლივი მონაცემებით.

ნ. ბერძენიშვილმა, თვით წარწერებში დაცული მასალების მიხედვით, შე-

---

[1] მ. ბროსე, აზიური კრებული, II, (ფრანგ.), გვ. 157.

[2] ი. როსტომაშვილი, ახალციხის მაზრა (რუს.), გვ. 48—52.

[3] ნ. ბერძენიშვილი, სის, I, გვ. 85—87.

[4] ე. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 97—105.

[5] იქვე, გვ. 97—99.

[6] იქვე, გვ. 100—101.

საძლებლად მიიჩნია აღენიშნა: „სანამ სხვა რაიმე ცნობა არა გვაქვს, თითქოს არაფერია იმის საწინააღმდეგო, რომ ესენი არიან მეფე გიორგი V- ბრწყინვალე და შალვა, ძე ბექა მანდატურთუხუცესისა“ [1]. მაგრამ მან იქვე შენიშნა, რომ ეს მსჯელობა „ამ წარწერათა შესახებ შეიძლება მცდარიც აღმოჩნდეს“, რაკი საეჭვო ხდება XIV საუკუნეში ჯაყელთა პატრონობა (მფლობელობა) ჯავახეთში. ამიტომ, ნ. ბერძენიშვილის აზრით, უფრო მართებული იქნებოდა განძანის შალვა მეკურჭლეთუხუცესსა და მანდატურთუხუცესში „XII XIII ს. დიდი მოღვაწე შალვა თორელი ვიგულისხმოთ, თუ ამის ნებას ამ ძეგლის არქიტექტურა და დამწერლობის ხასიათი (პალეოგრაფია) მოგვცემდა“ [2]. ასე რომ ნ. ბერძენიშვილს განძანის წარწერებში მოხსენიებული შალვას ვინაობისა და მოღვაწეობის დროის შესახებ კატეგორიული დასკვნა არ გაუკეთებია.

ამ წარწერების უკანასკნელმა გამომცემელმა ვ. ცისკარიშვილმა ყურადღება გაამახვილა როგორც წარწერებში დაცულ მასალებზე, ასევე პალეოგრაფიულსა და თვით განძანის ძეგლების (ეკლესიების) ხუროთმოძღვრულ მონაცემებზე, რითაც კიდევ უფრო დაასაბუთა მ. ბროსესა და სხვების ვარაუდი განძანის წარწერებში მოხსენიებული შალვას გიორგი ბრწყინვალის თანამედროვედ, ე. ი. XIV ს. დამდეგის მოღვაწედ მიჩნევის შესახებ.

წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით, მ. ცისკარიშვილის აზრით, უფრო ახლოა XIV ს., ვიდრე XII ს. წარწერებთან. ამ წარწერების XIV ს. პირველი ნახევრით დათარიღებას მხარს უჭერს აგრეთვე თვით ეკლესიათა არქიტექტურული თავისებურებანი. ვ. ცისკარიშვილს ამ შემთხვევაში დამოწმებული აქვს ვ. ბერიძის მიერ ზეპირად გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც განძანის ეკლესიები XIII ს. მიწურულის ძეგლებად უნდა იქნეს მიჩნეული. ასე რომ ვ. ცისკარიშვილის მტკიცებანი სავსებით მხარს უჭერენ მ. ბროსესა და ნ. ბერძენიშვილის ვარაუდს განძანის წარწერებში მოხსენიებული შალვას ჯაყელად მიჩნევის შესახებ.

განძანის წარწერებს საგანგებოდ შეეხო ნ. შოშიაშვილი და ზემომოტანილი მტკიცებანი მან სარწმუნოდ არ მიიჩნია. ნ. შოშიაშვილის აზრით, განძანის წარწერების შალვა თორელია და არა ჯაყელი; შალვას ჯაყელობას, მისი აზრით, გამორიცხავს შემდეგი: ა) შალვა ჯაყელს ორი ძმა ჰყავდა — სარგისი და ყვარყვარე, წარწერა კი მხოლოდ ერთს იხსენიებს; ბ) ბექას ძე შალვა სხვა წყაროებში არ იხსენიება არც მეკურჭლეთუხუცესად და არც მანდატურთუხუცესად; გ) შალვა ჯაყელისათვის შეუფერებელია ისეთი დახასიათება, როგორიც ერთ-ერთ წარწერაშია მოცემული — „შეაძრწუნა სოფელი სპარსეთისა“: ის არ ჩანს ასე სახელგანთქმულ მებრძოლად და დროც არ იყო შესაფერისი — საქართველო მაშინ თვით იყო შეძრწუნებული; დ) ნ. შოშიაშვილის მეოთხე და უმთავრეს საბუთს შეადგენს ნ. ბერძენიშვილის მიერ ადრევე აღნიშნული გარემოება — ჯაყელთა საპატრონო ქვეყანაში ამ დროს ჯავახეთი არ შედიოდა და იგი თორელების სამფლობელო იყო, კერძოდ კი ჯავახეთის ის აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც განძანი და მისი ეკლესიები მდებარეობს[3].

მაშასადამე, ასკვნის ნ. შოშიაშვილი, განძანის წარწერების შალვა არის თორელ-ახალციხელი და არა ჯაყელი [4]. ავტორს აქვე მოაქვს, მისი აზრით, შალ-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, სის, გვ. 86.

[2] იქვე, გვ. 87.

[3] ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია, გვ. 38 -39

[4] იქვე, გვ. 40.

ვას ახალციხელობის დამადასტურებელი საბუთებიც. ნ. შოშიაშვილის მიხედვით, განძანის წარწერებში მოხსენიებული შალვას თორელობა-ახალციხელობას ამტკიცებს შემდეგი: ა) XIII ს. დამდეგს ჯავახეთი თორელთა საგამგებლო იყო: ბ) გუნია-ყალის წარწერა; გ) განძანის წარწერაში შალვას მოხსენიება ერთი ძმითა და ძით[1].

სანამ ნ. შოშიაშვილის მიერ მოტანილ საბუთებს ცალ-ცალკე განვიხილავდეთ, უნდა შევნიშნოთ, რომ მკვლევარი ამ შემთხვევაში არაფერს ამბობს წარწერის პალეოგრაფიულ და თვით განძანის ეკლესიების არქიტექტორულ მონაცემებზე. ნ. ბერძენიშვილი კი, როცა განძანის წარწერას ეხებოდა, ზემოაღნიშნული საკითხების გარკვევაში გადამწყვეტ მნიშვნელობას სწორედ ამას ამ ძეგლების არქიტექტურასა და დამწერლობის ხასიათს ანიჭებდა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ განძანის წარწერების ამ თვალსაზრისით შემსწავლელის — ე. ცისკარიშვილის აზრით, პალეოგრაფიულად იგი უფრო XIV ს. მიეკუთვნება და არა XII ს. ამას გარდა, ე. ბერიძის დაბეჭდითებითი განცხადებით, განძანის ეკლესიები არ შეიძლება მივიჩნიოთ XII ს. ძეგლად. ის უფრო გვიანდელია, კერძოდ, XIII ს. მიწურულსა თუ XIV ს. დამდეგისა. ყველა ფერი ეს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როცა ვცდილობთ განძანის წარწერები დავათარიღოთ და აქ მოხსენიებული შალვას ვინაობა დავადგინოთ. ამ მონაცემებით კი განძანის წარწერების შალვა არ შეიძლება მივიჩნიოთ XII ს. მიწურულისა და XIII ს. დამდეგის მოღვაწედ.

ახლა კი ნ. შოშიაშვილის მიერ მოტანილ დასაბუთებათა შესახებ:

ა) შალვას მოხსენიების შესახებ ერთი ძმით: მართლაც, შალვა ჯაყელი, რომელსაც ორი ძმა ჰყავდა — სარგისი და ყვარყვარე — წარწერაში ერთი ძმით იხსენიება; მაგრამ ნ. შოშიაშვილს, როგორც ჩანს, მხედველობიდან გამორჩა წარწერის ერთი ნიშანდობლივი მონაცემი, კერძოდ ის, რომ წარწერაში ნახსენებია შალვას მხოლოდ იმ დროს „ცოცხალი ძმა". წარწერიდანვე ჩანს, რომ თავის დროზე შალვას სხვა ძმაც უნდა ჰყოლოდა.

ზედა ეკლესიის წარწერაზე იკითხება: „ადიდე ორთაეე შინა ცხოვრებათა მეპურპლეთუხუცესი შალვა ძითა ძმითა მათითა ცოცხალთა". როგორც ვხედავთ, წარწერის გამკეთებელი შესთხოვს დიდებას თვით შალვასი. მისი ძისა და მისივე ცოცხალი ძმისა. ჩანს, შალვას, გარდა ერთი ძმისა, სხვაც ჰყოლია, რომელიც იმ დროს (ე. ი. წარწერის გაკეთების დროს) უკვე ცოცხალი აღარ იყო. სხვას რაღას უნდა ნიშნავდეს წარწერის გამკეთებლის ასე საგანგებო მითითება — „ძმითა მათითაჲ ცოცხალთა?"

ეს კიდევ უფრო ნათლად ჩანს განძანის ქვედა ეკლესიის წარწერიდან: „ადიდე ორთაეე ცხოვრებითა მანდატურთუხუცესი შალვა, ძითა და ძმითა, მათგან ცოცხალთა". ნ. შოშიაშვილის მიერ „ძმითა" სიტყვის შემდეგ დასმული წერტილი გაუგებარს ხდის წარწერის შინაარსს. სავსებით ნათელია — „მათგან ცოცხალთა" შეეხება შალვას ძმებს და არა ძესა და ძმებს საერთოდ. ასე რომ წარწერის გაკეთების დროს შალვას, მართალია, ერთი ძმა ჰყოლია ცოცხალი, მაგრამ მას საერთოდ სხვა, ე. ი. მეორე ძმაც უნდა ჰყოლოდა, რომელიც ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო. სხვა შემთხვევაში სავსებით გაუგებარი იქნებოდა ასე საგანგებოდ და ისიც ორჯერ ხაზგასმით „ძმათაგან ცოცხალის" გამოყოფა და აღნიშვნა.

ამრიგად, განძანის წარწერა იმაზე კი არ მიგვითითებს, რომ შალვას ერთი

[1] ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 40—41

ძმა ჰყოლია, არამედ იმაზე, რომ შალვას ძმათაგან იმჟამად მხოლოდ ერთი ყოფილა ცოცხალი და შალვას, ამ ერთი ცოცხალ ძმის გარდა, სხვაც ჰყოლია. როგორც ვხედავთ, წარწერაში ლაპარაკია შალვაზე, რომელსაც ორი ძმა ჰყოლია და არა ერთი.

მართლაც, შალვა ჯაყელს, ბექა I-ის ძეს, ორი უფროსი ძმა ჰყავდა — სარგისი და ყვარყვარე, რომელთაგან ერთი, როგორც ჩანს სარგისი, განძანის ეკლესიების შენების დროს. უკვე გარდაცვლილი ყოფილა.

შალვა თორელ-ახალციხელს კი, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, მხოლოდ ერთი ძმა — ივანე ჰყავდა. წყაროებში მინიშნებაც კი არ მოგვეპოვება შალვა თორელის მეორე ძმის შესახებ.

ამრიგად, განძანის წარწერაში შალვას მოხსენიებული ერთი ცოცხალი ძმით მისი ჯაყელობის დამამტკიცებელია და არა თორელობისა, როგორც ნ. შოშიაშვილი ფიქრობს[1].

ბ) ახლა ნ. შოშიაშვილის მეორე საბუთის სხვა წყაროებში შალვა ბექას ძე ჯაყელის მეუფურჭელეთუხუცესად და მანდატურთუხუცესად მოუხსენიებლობის შესახებ; ჯერ ერთი, ასეთი საბუთი მტკიცებისათვის საერთოდ არ გამოდგება — კაცმა რომ თქვას, თვით განძანის წარწერებიც საკმარისი იქნებოდა შალვას ვინაობისა და თანამდებობრივი მდგომარეობის შესახებ ჩვენი ცოდნის შესავსებად და იმის საჩვენებლად, რომ შალვა ჯაყელი მეუფურჭელეთუხუცესიც ყოფილა და მანდატურთუხუცესიც. ამას გარდა, განა შალვა თორელი მოიხსენიება სადმე ამ თანამდებობით, რომ ასეთი უტყუარი მონაცემებით გაგვებათილებინა შალვა ჯაყელის მეუფურჭელეთუხუცესობა და მანდატურთუხუცესობა? წარწერაში მოხსენიებული სადავო პიროვნების მიხედვით სადავო საკითხების გადაწყვეტა შეუძლებელია; ასე რომ სანამ საბოლოოდ არ გაირკვევა განძანის წარწერების შალვას ვინაობა, მანამ შეუძლებელია, ამ წარწერ-ს მიხედვით, რომელიმე შალვას — ჯაყელის თუ ახალციხელის მანდატურთუხუცესად თუ მეუფურჭელეთუხუცესად მოხსენიების მტკიცება.

ამასთან ისიც ფაქტია, რომ ჩვენ უფრო მეტი მასალა შეგვიძლია მოვიტანოთ შალვა ჯაყელის მეუფურჭელეთუხუცესობისა და მანდატურთუხუცესობის, ვიდრე შალვა თორელის თავის დროზე ამაზე თანამდებობებზე ყოფნის შესახებ.

სადავო არ უნდა იყოს, რომ ყვარყვარე ჯაყელის შემდეგ, მეუფურჭელეთუხუცესობა ერთხანს თორელებს აქვთ. მაგრამ მალე ის ისევე ჯაყელების ხელში გადადის. ამ თანამდებობით მოიხსენიება წყაროებში სარგის I ჯაყელი, ბექა I-ის მამა. ამ დროიდან ეს თანამდებობა ჯაყელების ხელშია. წყაროებიდან არ ჩანს, რომ ეს თანამდებობა ჯაყელებს დაეკარგოთ; ასე რომ შალვას მეუფურჭელეთუხუცესობა ბუნებრივი ჩანს და ეს თანამდებობა მას თავისი უფროსი ძმის სარგისის გარდაცვალების შემდეგ უნდა მიეღო, როცა მომდევნო ძმა ყვარყვა

---

[1] აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ განძანის წარწერაში შალვას მხოლოდ ერთი, ცოცხალი ძმით მოხსენიება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ წარწერების დათარიღებას. სარგისი, შალვას უფროსი ძმა გარდაიცვალა 1334 წელს, განძანის ეკლესია აუშენებიათ და წარწერა გაუკეთებიათ ამის, ე. ი. 1334 წლის შემდეგ. მეორე, ასევე უფროსი ძმა — ყვარყვე რე კი ცოცხალია 1345 წლამდე, მაშასადამე, წარწერა ამავე წლამდეა გაკეთებული. ამრიგად, განძანის წარწერები 1334- 1345 წლებით უნდა დათარიღდეს. აღს ნიშნაია, რომ ნ. ბერძენიშვილი, სხვა მონაცემების მოშველიებით, ამგვარადვე ათარიღებს განძანის წარწერებს: „ჩანს, განძანის ეკლესიათა წარწერები 1334 წლის შემდეგაა ამოკრილი, მაგრამ არა უგვიანეს 1346 წლისა (გიორგი მეფის სიკვდილის თარიღი) (ნ. ბერძენიშვილი, სის, I, გვ. 86).

რე ათაბაგი და ამირსპასალარი გახდა[1]. ამ დროს ჯაყელების ხელში იყო აგრეთვე მანდატურთუხუცესობაც. სხვადასხვა სახის წყაროებში (ქართაალმწერელი. აღაპები. ფრესკები, წარწერები) ბექა I ჯაყელი იმდენად ხშირად არის მოხსენიებული მანდატურთუხუცესად, რომ მათზე მითითებას ამჯერად საჭიროდ არ მივიჩნევთ, მით უფრო, რომ ეს არავის სადავოდ არ გაუხდია[2].

ეს ის დროა, როცა ჯაყელთა საგვარეულო აღზევებას განიცდის და წარმოუდგენელია, რომ ბექა I-ის შემდეგ ჯაყელებს მანდატურთუხუცესობა დაეკარგოთ. არ უნდა იყოს მართალი ნ. შოშიაშვილი, როცა ფიქრობს, რომ მეჰურპელეთუხუცესობა სარგის I-ისა და მანდატურთუხუცესობა ბექა I ის შემდეგ ჯაყელთა გვარში არ ჩანს[3].

ასეთ ვარაუდს, ზემოთქმულს გარდა, შეიძლება ზოგი მასალაც დაეუპირისპიროთ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ზარზმის ტაძრის ფრესკები და მათი წარწერები. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სარგის II-ის ფრესკაზე გაკეთებული წარწერა. ე. თაყაიშვილი მას შემდეგნაირად კითხულობდა: „სამცხის სპასალარი სარგის და მხატჳრთ ოჯხჳცესი“[4]. ვ. ბერიძემ წარწერის წაკითხვაში მნიშვნელოვანი შესწორება შეიტანა. მისი ვარაუდით, წარწერა მთლიანად ასე უნდა წავიკითხოთ: „სამცხის სპასალარი სარგის და მხატვართუხუცეს-ამირსპასალარი უუარუუარა“[5]. ჩვენთვის ამჟამად გადამწყვეტი მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს იმას, თუ ვის ეკუთვნის წოდება „მხატვართუხუცესისა“ — სარგისს თუ უვარუვარეს, მაგრამ ვ. ბერიძის მიერ შეტანილი შესწორება სწორი რომ უნდა იყოს, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. წარწერა, როგორც ჩანს, გაკეთებულია იმ დროს, როცა ბექას მეორე შვილს უკვე ჰქონდა „მხატვართუხუცესის“ და ამირსპასალარის ტიტული, ეს კი მას მამის — ბექასა და თვით უფროსი ძმის — სარგისის გარდაცვალების, ე. ი. 1334 წ. შემდეგ შეეძლო მიეღო.

მაგრამ მაინც რას უნდა ნიშნავდეს უვარუვარეს მოხსენიება „მხატვართუხუცესად“ და მით უფრო ამ თანამდებობის დასახელება ამირსპასალაროაბაზე უწინ?

წარწერაში მხატვართუხუცესის ამოკითხვამ თავის დროზე გააოცა ე. თაყაიშვილი და იქვე ასეთი შენიშვნა დაურთო: „Слово мхатвартухуцеси вызвало во мне сомнение, не было ли раньше слово мсахуртухуцеси ..Поэтому я заставил смыть надпись, она была обведена только углем, и оказалось, что тут никакого подновления не было, так что, если это ошибка, то ошибка первоначальная“[6]. წარწერა „მხატვართ-

---

[1] იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 1, გვ. 86—87.

[2] ბექა I, როგორც ჩანს, „დიდი მანდატურთუხუცესის“ წოდებასაც ატარებდა. ამაში ჩვენ ლიხაურის ხატის წარწერა გვარწმუნებს: „მე დიდისა [.....] თ ხცესისა ბქისა ათაბაგ და სამჯ ხისა... ს ლ რ ი შალუა“ (დ. ბაქრაძე არქეოლოგიური მოგზაურობა (რუს.), გვ. III) დ. ბაქრაძე და თ. ერრდანია (იხ. ქრონიკები, II, გვ. 183) ყვადრატულ ფრჩხილებში ჩასმულ ნაკლულ ადგილს აღადგენენ, როგორც „ს ხ ლ“ და ბექას „სახლთუხუცესად“ მიიჩნევენ. რაც, რა თქმა უნდა, გამორიცხულია. ასეთი თანამდებობა იმ დროს არც არსებობდა და. ცხადია, ბექას არ შეიძლებოდა ჰქონოდა. აქ ისევ „მნდტურ“ — [მანდატურ]თუხუცესი“ უნდა ვიგარაუდოთ, რა ტიტულითაც ბექა I ჩვეულებრივ მოიხსენიებოდა. ამას გარდა, განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ ამ წარწერით შალვა გველიანება ათაბაგადაც და სამცხის სპასალარადაც: როგორც ჩანს, შალვაზე გადასული ჯაყელთა ყველა მთავარი პატივი და სახელო. ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

[3] ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

[4] ე. თაყაიშვილი, აე, I (რუს.), გვ. 48.

[5] ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, გვ. 125.

[6] ე. თაყაიშვილი ,დასახ. ნაშრ., გვ. 47.

უხუცესი“ გაკვრებას იწვევს სხვა მკვლევრებშიც. მართლაც, XII XIV სს-ში ასეთი თანამდებობა სამეფო თუ სამთავრო კარზე არ არსებობდა; არც ერთი წყაროთი არ დასტურდება საერთოდ მხატვართუხუცესის თანამდებობის არსებობა იმ დროს. ამასთანავე, ასეთი (ხელოსანთა უფროსის) თანამდებობა თუნდაც რომ არსებულიყო, შეუძლებელია იგი მაღალი წარმოშობის პირებს ჰქონოდათ და ისიც ამირსპასალარის თანამდებობაზე უწინ დაესახელებინათ. ასე რომ აქ მართლაც წარწერის გამკეთებლის მიერ დაშვებულ უხეშ შეცდომასთან უნდა გვქონდეს საქმე. აღსანიშნავია, რომ წარწერის გამკეთებელს, როგორც ეს ვ. ბერიძემ შენიშნა, სხვა შეცდომაც არა ერთი მოსდენია და მას არა მარტო ტიტული, არამედ საკუთარი სახელიც კი დაუმახინჯებია.

მაგრამ მაინც რა შეიძლებოდა ამ შემთხვევაში „მხატვართუხუცესის“ მაგიერ გვეფიქრა? ცხადია, იმ სახელოთაგან ერთ-ერთი, რომელიც ამ დროს ჯაყელთა ხელში იყო და არა „მსახურთუხუცესი“, რომელიც ჯაყელებს არ ჰქონიათ, არც „სახლთუხუცესი“, რომელიც ამ დროს საერთოდ არც არსებობდა, და არც მეჭურჭლეთუხუცესი. ჩვენი აზრით, მოტანილ წარწერაში „მხატვართუხუცესის“ მაგიერ „მ ა ნ დ ა ტ უ რ თ უ ხ უ ც ე ს ი“ უნდა წავიკითხოთ და ეს უხეში შეცდომაც მხოლოდ ამგვარად შეიძლება გავასწოროთ. მანდატურთუხუცესი კი, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, ჩვეულებრივ, არსებული ტრადიციით ამირსპასალარზე უწინ მოიხსენიებოდა.

ამრიგად, მანდატურთუხუცესის სახელო ჯაყელებმა ბექა I-ის შემდეგაც შეინარჩუნეს — ბექა I-ის შემდეგ ეს თანამდებობა მის უფროს შვილს სარგისს უნდა ჰქონოდა, ხოლო შემდეგ ყუარყუარეს. მაგრამ თუ ამის შესახებ ჩვენ, ზემომოტანილთა გარდა, სხვა მასალა არაფერი გაგვაჩნია, ეს წყაროთა სიმცირით უნდა აიხსნას და არა იმით, რომ ჯაყელებს ეს თანამდებობა დაეკარგოთ.

როგორც ირკვევა, ყუარყუარეს სიცოცხლეშივე ჯაყელთა ყველაზე უმცროს ძმას — შალვას მეჭურჭლეთუხუცესობის შემდეგ მიუღია მანდატურთუხუცესის თანამდებობა, ყუარყუარეს კი, როგორც ათაბაგების მემკვიდრეს, ცხადია, ამირსპასალარობაც შეუნარჩუნებია[1].

ამრიგად, XIV ს. პირველ ნახევარში მანდატურთუხუცესობა ჯაყელთა ხელშია და ამის ერთ-ერთ დადასტურებად განძანის წარწერაში შალვა მანდატურთუხუცესის მოხსენიებაც უნდა მივიჩნიოთ. როგორც ჩანს, შალვა ჯაყელის რანგი თანდათან იზრდებოდა — ჯერ მეჭურჭლეთუხუცესი ყოფილა, შემდეგ მანდატურთუხუცესი, ბოლოს კი, როგორც ლიხაურის ხატის მოტანილი წარწერიდან ირკვევა, ათაბაგიცა და სამცხის სპასალარიც. ეს თანამდებობანი კი, როგორც აღვნიშნეთ, XIII ს. უკანასკნელ მესამედსა და XIV ს. პირველ ნახევარში ჯაყელთა ფეოდალური საგვარეულოს ხელთ იყო.

გ.) ნ. შოშიაშვილის მესამე საბუთის შესახებ: ნ. შოშიაშვილის აზრით, შალვა ჯაყელი შეუძლებელია ისეთ პირად მივიჩნიოთ, რომელმაც „შეაძრწუნა სოფელი სპარსეთისა“. შალვა ბექას ძის შესახებ ჩვენ ცნობები მართლაც გვაკლია; ქამთააღმწერელი სამცხის ათაბაგებსა და საერთოდ XIV ს. ისტორიაზე საუბარს სწორედ მაშინ წყვეტს, როცა შალვა ჯაყელი ის-ის იყო სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიოდა. ბექას შემდეგ „დაიპყრეს სამცხე სამთავე ძეთა მისთა: უხუცესმან სარგის და შემდეგმან ყუარყუარე და უმრწემესმან შალვა“...[2] და აქვე თავდება ქამთააღმწერლის მოთხრობა. ამიტომაა, რომ შალვას

[1] შდრ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სის. I, გვ 67.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 323

მოღვაწეობის შესახებ ბევრი არაფერი ვიცით. ქართული ნარატიული წყაროების ესა და სხვა მსგავსი ნაკლი სხვა ხასიათის მასალებით (ეპიგრაფიკით თუ სხვ.) ივსება და, ნ. ბერძენიშვილისა არ იყოს, განძანის წარწერებიდან „იმ დასკვნის გამოტანაც შეიძლება, რომ საქართველოს ამ დროს ხანგრძლივი ბრძოლა აქვს სპარსეთთან. ამ ბრძოლაში სახელი გაუთქვამს შალვა ჯაყელს"[1]. ამას გარდა, თუნდაც საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური დაუძლურება, შედარებით XII საუკუნესთან, განა გამორიცხავს ცალკეულ მებრძოლთა, გმირ სარდალთა თუ სახელმოხვეჭილ პიროვნებათა არსებობას, რომელთაც მართლაც შეეძლოთ სახელი გაეთქვათ „სპარსთა (უცხოელთა) სოფლის შეძრწუნებაში?" განა ამ და შემდეგდროინდელი პოლიტიკური დაუძლურების ეპოქებმა არ წარმოშვეს გმირები, რომლებმაც, მართლაც, შეაძრწუნეს უცხოელი დამპყრობლები? ასე რომ აღნიშნული ეპითეტი ისეთია, რომელიც ერთნაირად შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც განძანის წარწერების შალვა ჯაყელის, ასევე გუნია-ყალის წარწერის შალვა თორელ-ახალციხელის დასახასიათებლად.

დ) ახლა ნ. შოშიაშვილის მეოთხე და უმთავრესი საბუთის — ჯავახეთის იმ ტერიტორიების კუთვნილების შესახებ, სადაც განძანის ეკლესიებია აშენებული. თუკი ჯავახეთის ეს ნაწილი ამ დროს ჯაყელთა საგამგებლოში არ შედიოდა და იგი თორელებს ეკუთვნოდათ, როგორ შეეძლო შალვა ჯაყელს აქ ეკლესიები აეშენებინა და ასე მრავლისმეტყველი წარწერებიც გაეკეთებინა? მართლაც, ნ. შოშიაშვილის ეს მოსაზრება და მის მიერ საამისოდ მოტანილი მასალებიც ანგარიშგასაწევია.

ე. ცისკარიშვილმა, როცა ამ საკითხს ეხებოდა, საწინააღმდეგო მოსაზრების დასამტკიცებლად სათანადო მასალებიც მოიშველია. მისი მტკიცებით, ჯაყელთა აღზევების პერიოდში, ჯავახეთის, თორელთა ადრინდელი სპათაროსის, ნაწილი XIV ს. პირველ ნახევარში ჯაყელთა ხელში იყო. მისი დასკვნა ამ მხრივ ძირითადად მართებული ჩანს -- „ჯაყელებს ჯავახეთის ხელში ჩაგდება ჯერ კიდევ XIII საუკუნეში დაუწყიათ და XV ს. დაუმთავრებიათ"[2].

მართლაც, ჟამთააღმწერლის ზოგი ცნობა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ბექა I-ის ხელისუფლება ჯავახეთზეც ერცელდებოდა და თორელებიც, სხვებთან ერთად, მის სახელისუფლოში ივარაუდებოდა. ასე მაგალითად, ჟამთააღმწერლის ცნობით, „ბექა განდიდებულ იყო და აქუნდა ტასისკარითგან ვიდრე სპერამდე და ვიდრე ზღუამდე: სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალისხევი, ჭანეთი სრულიად მისცა ბერძენთა მეფემან... ამასეე აქუნდა უმრავლესი ტაო, არტანი, კოლა, კარნიფორა და ა მ ა თ შ ო რ ი ს ქ ვ ე ყ ა ნ ი ნი და ციხენი, არტანუჯი და უდაბნონი ათორმეტნი კლარჯეთისანი"[3]. ამ ცნობით ბექა I ჯაყელი არსებითად მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს მჭონებლად გამოდის და ძნელი წარმოსადგენია ამ ვრცელი ტერიტორიიდან ტასისკარიდან სპერამდე და ზღვამდე ჯავახეთი გამორიცხული ყოფილიყო. მით უფრო, რომ თორელები და თმოგველები, იმავე ისტორიკოსის სიტყვით, ბექას ემორჩილებოდნენ. სწორედ ამიტომ შეეძლო ბექას თავისი სურვილისამებრ შეეკრიბა და გამოეყენებინა ლაშქარი, რომელშიც შედიოდნენ „თორელნი, თმოგველნი და ტაოელნი"[4].

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სის, I, გვ. 87.

[2] ე. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 105.

[3] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 104.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 306.

ჟამთააღმწერლის სიტყვით, „მოუწოდა (ბექამ - შ. მ.) ყოველთა მის ქუეშე დაწესებულთა. ტასისკარითგან ვიდრე ბასიანამდე — მესხთა, შავშეთა, კლარჯთა, კოლა-არტან-კარნიფორელთა და უმრავლესთა ტაოელთა, რამეთუ ამას აქუნდა ესე ყოველი ქვეყანა, ამათ-თანა თმოგუელთა და თორელთა“[1]. მოტანილი ამონაწერიდან თითქოს ჩანს, რომ თმოგველთა და თორელთა „ქვეყნები“, მართალია, არ ივარაუდებოდა იმ „ყოველ ქვეყანაში“, რაც „ბექას აქუნდა“ მაგრამ მას რომ თორელებსა და თმოგველებზეც მაუწყებლობა ხელი და ისინი „მის ქუეშე დაწესებულთა“ რიცხვში შედიოდნენ, ეს უდავოა; ამას გარდა, ისიც ფაქტია, რომ ჯაყელებს ამ დროს ჰქონდათ „მრავალნი სოფელნი ჯავახეთს“[2]. ასეთ ვითარებაში განძანის ტერიტორიაზე შალვა ჯაყელის მიერ ეკლესიის აგება მართლმადიდებლისათვის გასაკვირი და შეუძლებელი არ უნდა ყოფილიყო.

ჩვენს განკარგულებაში არსებული წყაროებით, მართალია, ძნელია კონკრეტულად დავადგინოთ ჯავახეთის ამ „მრავალ სოფელში“, რომელიც ჯაყელებს ჰქონიათ, განძანი ივარაუდებოდა თუ არა. ჩვენ არ ვიცით კონკრეტულად რა „სოფლები“ ეკუთვნოდათ ჯავახეთში ჯაყელებს ბექას დროს, ან რა მიემატა მათ შალვას ათაბაგობისას, მაგრამ, უეჭველია, რომ ჯაყელებს ჯავახეთის სოფლები და მათ შორის განძანიც შეეძლოთ ჰქონოდათ არა მარტო მთელი ჯავახეთის შემოერთების გზით, როგორც ფიქრობს ნ. შოშიაშვილი, არამედ სხვაგვარადაც თორელთა და ჯაყელთა მოყვრობა-ნათესაობით.

თორელ-ჯაყელთა ნათესაობა ხაზგასმულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, ამის შესახებ საკმაო საბუთიანობით მიუთითა ლ. მუსხელიშვილმა. იგი თორელთა და ჯაყელთა დამოყვრება-დანათესავებას ჯერ კიდევ თამარის დროიდან, კრავაი ჯაყელის და მისი მეუღლის (გამრეკელ თორელის?) ქორწინებით იწყებს. საამისოდ მას თორელ ჯაყელთა „მოყვრობის წიგნიც“ აქვს დამოწმებული.

ბექა ჯაყელისა და კახა თორელის „კეთილმოყვარეობის წიგნიდან“ ირკვევა, რომ ჯაყელთა და თორელთა სახლები ჯერ კიდევ ადრე, სარგის I-ის დროს „ნათესავნი ყოფილან“; შემდეგ ეს კეთილმოყვრობა კიდევ გაგრძელებულა, ბექას ძეს კახა თორელის და შეურთავს, შემდეგ თვით ბექა და კახა „დამძახებულან“ და ასე შემდეგ. აღსანიშნავია, რომ კეთილმოყვარეობის წიგნის მიხედვით, ეს ორი ფეოდალური სახლი „გაუყრელნი და მოდაწერალნი და უღალატონი“ უნდა ყოფილიყო[3].

აღსანიშნავია, რომ ამ „კეთილმოყვრობის წიგნში“, რომელიც ე. თაყაიშვილის ვარაუდით 1285- 1308 წწ. უნდა ეკუთვნოდეს, არც ბექას მეუღლე (მაშინ როცა კახა თორელი ცოლშვილით არის მოხსენიებული) და არც უმცროსი შვილი შალვა მოხსენიებულნი არ არიან. როგორც ჩანს, „მოყვრობის წიგნის“ შედგენის დროს ბექას პირველი მეუღლე გარდაცვლილი უნდა იყოს, ხოლო შალვა ჯერ კიდევ არ ყოფილა დაბადებული.

ჟამთააღმწერლის მონაცემებ დან და სხვა მასალებიდანაც ირკვევა, რომ ბექას პირველ ცოლად ვახახი ჰყოლია[4], ხოლო მეორედ მარინე[5]. ჟამთააღმწე-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 312.

[2] იქვე, გვ. 273.

[3] ე. თაყაიშვილი, სს, II, გვ. 7—8.

[4] ჟამთააღმწერელი, გვ. 310; ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა ღწერილობა, 1947, გვ. 246. ქრონიკები. II, გვ. 169

[5] მ. ბროსე, რაპორტები (ფრანგ.), I, გვ. 126; V, გვ. 28; ქრონიკები, II, გვ. 170.

რელი, მართალია, მარტო ვახახს ასახელებს, მაგრამ მას ორჯერ აქვს მოცემული ბექას მეუღლეთა დახასიათება. მეორე შემთხვევაში, როგორც ჩანს, ბექას მეორე მეუღლე იგულისხმება[1]. ჩვენ, სამწუხაროდ, არ ვიცით არც ვახახის და არც მარინეს ვინაობა — რომელ საგვარეულოს ეკუთვნოდა ერთი ან მეორე; მაგრამ, ეფიქრობთ, რომ შალვა ბექას სწორედ მეორე მეუღლისაგან, მარინესაგან უნდა ჰყოლოდა. მარინეს ვინაობის გარკვევაში კი, ჩვენი აზრით, დაგვეხმარება თვით მისი ძის საკუთარი სახელი „შალვა“, რომელიც ერთგვარი გამონაკლისია იმ დროს ჯაყელთა საგვარეულოში ასე მიღებულ და გავრცელებულ სახელთაგან (ყვარყვარე, სარგისი, ბექა, მზეჭაბუკი).

როგორც თავის დროზე ნ. ბერძენიშვილმა მიუთითა, „სახელი შალვა ჯაყელთა სახლის ონომასტიკონში შესული ჩანს თორელთა სახლიდან: თორელთა სახლში ეს სახელი გვარის მეთაურის („თორელის“) საკუთარ სახელად გვხვდება, ჯაყელთა სახლში კი შალვა უმცროსი ძმის სახელია (ჩვეულებრივ, უფროს ძმას პაპის ან მამის სახელს არქმევდნენ, უმცროს ძმებს კი ბიძათა, მამის ან დედის ძმის, სახელებს)“[2]. ასე, რომ ბექას უმცროსი ძის საკუთარი სახელი შალვა თორელთა და ჯაყელთა მოყვრობის კიდევ ერთ საბუთად და შალვას დედის მარინეს თორელობის მაუწყებლად უნდა მივიჩნიოთ.

ჩვენი აზრით, შალვას (და საერთოდ ჯაყელებს) სწორედ უფრო დედის ხაზით, ჯაყელ-თორელთა მოყვრობის გზით უნდა ჰქონდეს მიღებული „მრავალნი სოფელნი ჯავახეთს“, კერძოდ განძანი.

როგორც ჩანს, განძანის მდებარეობა ჯავახეთის აღმოსაელეთ ნაწილში და ისიც, რომ ეს ტერიტორიები იქნებ ჯერ კიდევ არ შედიოდა ჯაყელთა საერთო საპატრონო თუ სახელო ქვეყნებში, სრულებით არ გამორიცხავს შალვა ჯაყელის მფლობელობას კერძოდ განძანში და მის მიმდგომ სოფლებში.

ამრიგად, ყველა ზემოგანხილული მონაცემის მიხედვით, განძანის წარწერების შალვა მეუხრწლეთუხუცესი და მანდატურთუხუცესი არის XIV ს. მოღვაწე შალვა, ბექა I-ის ძე ჯაყელი და არა შალვა ახალციხელი, XII ს. დასასრულისა და XIII ს. დამდეგის ცნობილი ისტორიული პიროვნება. ამიტომ, ცხადია, განძანის წარწერებით შალვა თორელის მანდატურთუხუცესობის დასამტკიცებლად გამოყენება შეუძლებელია.

როგორც ვხედავთ, შალვა თორელი არსად იხსენიება მანდატურთუხუცესად: ა) თამარის ორიენ ისტორიკოსი არაერთხელ მოიხსენიებს ძმებს ახალციხელებს, როგორც გმირ მეომრებს, სამეფო ხელისუფლებისათვის თავდადებულ პირებს, მაგრამ არც ერთხელ „დარბაზის რიგის“ რაიმე თანამდებობით. სხვა წყაროებიც (გუნია-ყალის წარწერა) ასევე არაფერს გვეუბნებიან შალვას მეუხრწლეთუხუცესობისა და მანდატურთუხუცესობის შესახებ: ბ) მანდატურთუხუცესობა თამარის სამეფო კარზე ჯერ ჭიაბერს ჰქონდა, შემდეგ კი ზაქარია მსარგრძელს და ამის შემდეგ ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში იგი საერთოდ არ ჰქონია თორელთა სახლს. ასე რომ თამარის ისტორიკოსის ტექსტის ზემომოტანილი ადგილის იმგვარად შესასწორებლად, როგორც ამას აკეთებდა ლ. მუსხელიშვილი და ახლა გვთავაზობს ნ. შოშიაშვილი, არავითარი საფუძველი არ არსებობს.

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 273, 323.

[2] ნ. ბერძენიშვილი, სის, I, გვ. 233.

ჩვენი აზრით, სავსებით სწორად მოიქცნენ თაეის დროზე ი. ჯავახიშვილი[1], კ. კეკელიძე[2] და ს. კაკაბაძე[3], როცა აღნიშნულ ტექსტში შალვას მეორედ დასახელება ზედმეტად მიიჩნიეს და მას ასეთი სახე მისცეს: „წინამბრძოლად იყო ზაქარია მჭარგრძელი, ამრისპასალარი და ორნიცა იგი ძმანი ახალციხელნი შალვა და ივანე, დაღათუ მანდატურთუხუცესი იყო ჰიაბერიცა და სხუანი თორელნი“.

მაგრამ მაინც საინტერესოა, თუ როგორ უნდა გაჩენილიყო მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ ცნობა შალვა თორელის მანდატურთუხუცესობის შესახებ ან, უკეთ, რატომ უნდა იყოს ჩამატებული სახელი „შალვა“ მეორედ სადავო ტექსტში? ჩვენ ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს „ქართლის ცხოვრების“ ერთგვარ ახალციხურ რედაქციასთან — ცნობა შალვას მანდატურთუხუცესობის შესახებ თამარის დროის დიდი პოლიტიკური მოღვაწის შალვა ახალციხელის კიდევ უფრო განდიდების მიზნით უნდა იყოს ჩამატებული; ან კიდევ, ტექსტის ამგვარი რედაქცია შეიძლება განძანის წარწერებს გაცნობილ პირს ეკუთვნოდეს, რომელსაც წარწერებში მოხსენიებული შალვა „სპარსთა შემაძრწუნებელი“ შეეძლო თამარის ისტორიკოსების შალვა ახალციხელად მიეჩნია[4].

გუნია ყალისა და განძანის წარწერების ასე დეტალური განხილვით აშკარად მტკიცდება, რომ გუნია ყალის წარწერაში მოხსენიებული შალვა არის შალვა ახალციხელი-თორელი, მაგრამ არა მანდატურთუხუცესი, არამედ საქვეყნოდ გამრიგე მოხელე, ერისთავი.

ნ. ბერძენიშვილმა კიმოთისმანში მიაკვლია უთარიღო წარწერას, სადაც მოიხსენიება „შალვა ერისთავთა ერისთავი“, მისივე დასკვნით, „შალვა თორელ-ახალც ხელი. დიდი სამხედრო მოღვაწე. მონაპირე ჯავახეთის მხარისა“[5] ასე რომ გუნია-ყალის წარწერის „შალვა“ არამარტო უებრო სარდალი იყო, არამედ აგრეთვე ერისთავთ-ერისთავიც ჯავახეთის მხარისა და მისი მოხსენიება „ჯავახთ უფლის“ ლაშას „ხელის“ დამამტკიცებელთა შორის სავსებით ბუნებრივი ჩანს.

მას შემდეგ, რაც გაირკვა გუნია-ყალის წარწერის შალვას ვინაობა, ცხადი

---

[1] ნ. შოშიაშვილის აზრით, ი. ჯავახიშვილმა თამარის ისტორიკოსის ტექსტიდან „შალვა“ იმიტომ ამოიღო, რომ იმ დროს თითქოს ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი წყაროები შალვა თორელის მანდატურთუხუცესობის შესახებ (იხ. ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია, გვ. 19). ნ. შოშიაშვილს მხედველობაში უნდა ჰქონდეს განძანის წარწერები, თორემ სხვა არც ერთი წყარო, ი. ჯავახიშვილის შემდეგ მოპოვებული, შალვა თორელს მანდატურთუხუცესად არ იხსენიებს. განძანის წარწერები კი ი. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ II წიგნის დაწერისა და გამოქვეყნების დროს ორჯერ მაინც იყო გამოცემული. მაგრამ, როგორც ჩანს, ი. ჯავახიშვილმა კარგად იცოდა, რომ განძანის შალვა თორელი კი არ არის, არამედ ჯაყელი. ასე რომ შალვას მანდატურთუხუცესობის შესახებ ი. ჯავახიშვილი ამაეე მასალებს იცნობდა, რასაც ჩვენ დღეს.

[2] ისტორიანი, გვ. 126.

[3] ს. კაკაბაძე, შოთა რუსთაველი, გვ 123.

[4] მსგავს ჩამატებათა და შეუსაბამობათა მაგალითი ჩვენ სხვაც გვაქვს. ასე მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ არაერთ ნუსხაში ჩამატებულია ცხობა შალვას ძმის — ივანე ახალციხელისათვის, კარის ამირთ-ამირობასთან ერთად, ათაბაგობის ბოძების შესახებაც (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 92), მაშინ როცა თამარის იმაეე ისტორიკოსის უტყუარი მოწმობით, პირველი ათაბაგი ივანე მხარგრძელი იყო და არა ივანე ახალციხელი.

[5] ნ. ბერძენიშვილი, სის, I, გვ. 232, 233.

გახდა, რომ წარწერაში მარტო „დარბაზის რიგის" მოხელეები, მკვლევართა სიტყვით — ვაზირები, კი არ არიან მოხსენიებულნი, არამედ საქვეყნოდ გამრიგენიც. ეს კიდევ უფრო ნათელი იქნება, როცა მომდევნო ორი პირის ვინაობასაც შევეხებით.

4. გუნია ყალის წარწერაში რიგით მეოთხედ დასახელებულია ვინმე ო ვ ს ი უ მ ა (პ. ინგოროყვას წაკითხვით— ოვსეყმა), თითქმის ყველა მკვლევრის (პ. ინგოროყვა, ლ. მუსხელიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ა. ბაქრაძე) მიერ, ნ. შოშიაშვილის გარდა, მეჯურჭლეთუხუცესად მიჩნეული. ამ შემთხვევაშიც მკვლევართა ერთადერთ ამოსავალს „ხელმწიფის კარის გარიგების" სქემა წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც მეჯურჭლეთუხუცესი რიგით მეოთხე ვაზირი იყო; და რა კი გუნია-ყალის წარწერა „ვაზირთა სრულ სიად" იყო მიჩნეული, მეოთხე ადგილზე მოხსენიებული პირი მკვლევრებმა მეოთხე ვაზირად — მეჯურჭლეთუხუცესად გამოაცხადეს. მაგრამ მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ აქვე მოხსენიებულ ზაქარია მხარგრძელს ამ დროს ორი თანამდებობა (მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი) ერთად ჰქონდა, ცხადია, ოვსიყმა მეოთხე მოხელედ კი არ გამოდის, არამედ რიგით მეხუთედ. ამასთანავე როცა მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის თანამდებობანი ერთ პირს ჰქონდა, დარბაზის რიგის მოხელეთა შორის მეჯურჭლეთუხუცესი ყოველთვის მესამედ მოიხსენიება, ხოლო როცა მანდატურთუხუცესობა და ამირსპასალარობა სხვადასხვა პირებს ეპირათ — მეოთხედ. ასე მაგალითად, თამარის პირველი ისტორიკოსის მიერ მეჯურჭლეთუხუცესი ყუთლუ არსლანი მესამედ არის დასახელებული ვაზირ ანტონისა და მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარ ყუბასარის შემდეგ[1], მაგრამ იგივე ისტორიკოსი მეჯურჭლეთუხუცეს კახაბერ ვარდანის ძეს მეოთხედ ასახელებს ვაზირ ანტონის, ამირსპასალარ სარგის მხარგრძელისა და მანდატურთუხუცეს ჭიაბერის შემდეგ[2]. ასე რომ თვით ეს დეტალიც ოვსიყმას მეხუთე თანამდებობის მქონე პირად მოხსენიება გუნია ყალის წარწერაში უკვე გამორიცხავს მის მეჯურჭლეთუხუცესობას. ამასთანავე, ჩვენ უკვე ვიცით, რომ შალვა თორელი „საქვეყნოდ გამრიგე" ხელისუფალია და მას „დარბაზის რიგის" რაიმე თანამდებობა არ ჰქონია. ესეც იმის მაუწყებელია, რომ გუნია-ყალის წარწერაში, შალვადან მოკიდებული, „საქვეყნოდ გამრიგე" მოხელეთა დასახელება იწყება და, მაშასადამე, მომდევნო პირებიც „საქვეყნოდ გამრიგენი" უნდა იყვნენ.

მართლაც, ოვსიყმას მეჯურჭლეთუხუცესობა არათუ თამარის დროს, არამედ საერთოდ XII— XIII საუკუნეებში არც ერთი წყაროთი არ დასტურდება, არსად იგი ამ თანამდებობით აო არის დასახელებული. თვით გუნია-ყალის წარწერაში მოხელეთა დასახელებისას დაცული რიგიც, როგორც ვნახეთ, ოვსიყმას მეჯურჭლეთუხუცესობის წინააღმდეგ მიუთითებს.

ამრიგად, ოვსიყმას მეჯურჭლეთუხუცესობა საკმაოდ გამორიცხულია და, ცხადია, მკვლევართა მიერ მეჯურჭლეთუხუცესის თანამდებობაზე ოვსიყმის ყოფნის წლებიც თვითნებურადაა დადგენილი. მაგალითად, ლ. მუსხელიშვილის ვარაუდით, ოვსიყმა აბულასანის შემდეგ 1190-91 წლიდან შეიძლებოდა ყოფილიყო ამ თანამდებობაზე[3], პ. ინგოროყვას აზრით კი, 1205—1212 წლებში[4], რაც, რა თქმა უნდა, სავსებით დაუსაბუთებელია. აღნიშნულ წლებში ოვ-

---

[1] ისტორიანი, გვ. 72.

[2] იქვე, გვ. 78—79.

[3] ლ. მუსხელიშვილი, იქვე, გვ. 66.

[4] პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 580.

სიყმას მეპურპლეთუხუცესობის დამადასტურებელ საბუთად პ. ინგოროყვა ისევ გუნია-ყალისა და აგრეთვე ქვემო ჯინისის წარწერებს ასახელებს. მაგრამ გუნია-ყალის წარწერა, როგორც ვნახეთ, სა მისოდ არ გამოდგება. ჯინისის წარწერა კი. მართალია, იხსენიებს ოვსიყმას, მაგრამ იგი უფრო პ. ინგოროყვას საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს, ვიდრე სასარგებლოდ. სავსებით სწორია ნ. შოშიაშვილი, როცა მან ოვსიყმა. შემდგომ მოხსენიებულ ვაჩესთან ერთად, უფრო ადგილობრივ მოხელედ მიიჩნია, ვიდრე ვაზირად[1]. ამას სავსებით ადასტურებს ნ. შოშიაშვილის მიერ იქვე დამოწმებული ქვემო ჯინისის წარწერა: „მომმადლა ღმერთმან მე ხოშაქსა, ერისთავთ ერისთავისა მსახურთ უხუცეს სისა აფრიდონის ცოლსა, ოსიყმის ასულისა, აღგებაჲ წმიდისა ამის ეკლესიისა ვარძიის ღმრთისმშობლის სამსახურად"[2].

ნ. ბერძენიშვილმა საგანგებო ყურადღება მიაქცია მოტანილ წარწერას და საგულისხმო დასკვნაც მოგვცა. ნ. ბერძენიშვილის მიხედვით, თრიალეთის სა ერისთაო. ბაღვაშთა სახლის გადაშენების შემდეგ. აღარ იხსენიება, მაგრამ ქვემო ჯინისში და თრიალეთში გაქეთებულ წარწერაში ერისთავთ-ერისთავის მოხსე ნიება თამარის დროისთვის აქ საერისთაოს არსებობის მ ეუყებელი უ ღა იყოს და მის ერისთავად აქვე დასახელებული აფრიდონი უნდა მიგვეჩინა; მაგრამ ამას მხარს არ უჭერს თამარის ისტორიკოსის ცნობა, რომლ ის მიხედვი თაც აფრიდონი თმოგვის მფლობელია და, მაშასადამე, მისი ერისთავთ-ერის თავიც და არა თრიალეთისა. თუ აფრიდონი თრიალეთის ერისთავი არ იყო, მაშინ გაუგებარი იქნებოდა მისი მეუღლის ხოშაქის საქმიანობა თრიალეთში ქვემო ჯინისში ეკლესიის აგება ვარძიის ღვთისმშობლის მსახურად, საქმე ისაა, რომ. ნ. ბერძენიშვილის მართებული ვარაუდით, თრიალეთის ერისთავი თუ ხოშაქის მეუღლე არა. მაშა —ოვსიყმა მაინც უნდა ყოფილიყო; ასე რომ ქვე მო ჯინისის წარწერაში მოხსენიებული ოვსიყმა თრიალეთის ერისთავად ჩანს. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ჯინისის წარწერის მსახურთუხუცესი აფრი დონი და იქვე მოხსენიებული ოვსიყმა თამარის თანამედროვენი არიან. XII—XIII სს. წყაროები მსახურთუხუცესის თანამდებობის მქონე სხვა აფრიდონს არ იცნობს. ამრიგად, გუნია-ყალის წარწერაში მეოთხედ დასახელებული ოვსიყმა მეპურპლეთუხუცესი კი არ არის, არამედ „სა ქვეყნოდ გამრიგე". მოხელე — თრიალეთის ერისთა ვი[3] და საუფლისწულო მხარის ერთერთი გამგებელი. ამიტომაც არის იგი, ამ მხარის სხვა გამგებლებთან ერთად, „ლაშას ხელის" დამადასტურებელი.

5. გუნია-ყალის წარწერაში რიგით მეხუთედ (თანამდებობით მეექვსედ) მოიხსენიება ვინმე „ვაჩე". როგორც აღნიშნული იყო, პ. ინგოროყვამ ამ შემთხვევაში შეცდომით „ივანე" წაიკითხა. ეს შეცდომა გაიმეორა ლ. მუსხელიშვილმაც და ორივე მკვლევარმა იგი ივანე მხარგრძელად და, მაშასადამე, მსახურთუხუცესად მიიჩნია. მაგრამ ეს შეცდომა ჯერ ნ. ბერძენიშვილმა გაასწორა,

---

[1] ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 51—52.

[2] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 162.

[3] ქვემო ჯინისში (თრიალეთში) მოხსენიებული ოვსიყმა, ნ. შოშიაშვილის მართებული შენიშვნით, არ უკავშირდებოდა კახეთს და ოვსიყმას პანკელად გამოცხადება პ. ინგოროყვას მიერ, გაუგებრობად უნდა მივიჩნიოთ (იხ. პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 580), მით უფრო რომ ოვსიყმის შესახებ მას მიერვე მითითებული წყაროებიდან (გუნია-ყალისა და ჯინისის წარწერები) სრულებით არ ჩანს ოვსიყმის პანკელობა, სხვა წყაროებში კი ოვსიყმა საერთოდ არ იხსენიება.

შემდეგ ა. ბაქრაძემ და ამჯერად წარწერაში „ვაჩეს" წაკითხვა ივანეს მაგვერ ეჭკს არ იწვევს. ამან კი საეჭვოდ გამორიცხა ამ წარწერაში მსახურთუხუცესის მოხსენიების ვარაუდი (საყოველთაოდ ცნობილია რომ გუნია-ყალის წარწერის გაკეთების დროს და მასზე ადრეც მსახურთუხუცესად ივანე მხარგრძელი იყო, ივანე კი წარწერაში არ იკითხება) და ამიტომაც წარწერის ვაჩე ს. ბერძენიშვილმა ამირასორად და ეახიად მიიჩნია, ხოლო ივანეს მოუხსენიებლობა იმის დადასტურებად, რომ თამარის დროს მსახურთუხუცესი სავახიროში მართლაც არ შედიოდა[1]. მაგრამ არც თამარის დროს და არც შემდეგ „ხელმწიფის კარის გარიგებითაც", ამირახორი ეახიო და სავახიროს წევრი არ ყოფილა. ასე რომ გუნია-ყალის წარწერის ვაჩე არც მსახურთუხუცესად შეიძლება მიეჩნიოთ და არც ამირახორად. ის, როგორც ჩანს, საერთოდ არ ეკუთვნოდა სამეფოს ცენტრალური აპარატის მოხელეებს. თამარის ხანის წყაროები არ იცნობენ „დარბაზის რიგის" მოხელეთა შორის ვაჩეს.

გუნია-ყალის წარწერაში მოხსენიებული ვაჩეს ვინაობის გასარკვევად მასალები გვაკლია, მაგრამ იგი შალეასა და ოვსიყმასთან ერთად რომ „სჯქეყნოდ გამრიგე" მოხელეა, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ასე ვარაუდობს ნ. შოშიაშვილიც, თუმცა მას საამისო მასალა არ მოუშველებია.

ვაჩეს მოხელეობის გასარკვევად, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან დახმარებას გაგვიწევს სამშვილდის ერთ-ერთი ეკლესიის დაზიანებული წარწერა, სადაც, ე. თაყაიშვილის მიხედვით, გარკვეული იკითხება: „ღ[ითი ე]ე მან ვ[ა]ჩ მან"... („ღვთით ეოისთავთა-ერისთავმან ვაჩემან"...)[2]. წარწეროდ ნ იერკვება, რომ ერისთავთ-ერისთავს ვაჩეს და მის მეუღლეს, დარეჯანს ენებათ „ციხესა შინა შენება", მაგრამ კონკრეტულად თუ რა ააშენეს, წარწერის დაზიანების გამო. სამწუხაროდ, არ ჩანს.

აღსანიშნავია, რომ ამაუე ეკლესიის კიდევ ერთ, მარჯვენა მხარეს გაკეთებულ წარწერაზე მოიხსენიებიან ერისთავთ-ერისთავი და ოპერტიმოსი ავაგ ხურსიძე (?), „დ[ავით], მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა კახთა" და მისი ძე[3].

როგორც ცნობილია, სამშვილდე დიდი ხნის მანძილზე იყო უცხოელთა (არაბთა, თურქ-სელჩუკთა) ბატონობის ქვეშ. საკმაო ხანს იგი სომეხთა მეფეებსაც ეპყრათ. სამშვილდეს განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან და შემოერთება დავით აღმაშენებლის დროს 1110 წელს მოხდა. ასე რომ როგორც ერთი, ასევე მეორე წარწერა XII ს. დამდეგზე ადრინდელი არ შეიძლება იყოს. ამიტომ ამ უკანასკნელ წარწერაში მოხსენიებული „დავით მეფე" დავით IV აღმაშენებელი უნდა იყოს და შესაძლებელია თევდორეს სახელობის ეკლესიაც და ეს წარწერაც გაკეთებული იყო სამშვილდის შემოერთებისა და თურქ სელჩუკებზე დავით IV-ის გამარჯვების აღსანიშნავად.

სტეფანოს ორბელიანის მოწმობით, სამშვილდე თურქთაგან გათავისუფლების შემდეგ, კერძოდ 1123 წლიდან, დავით IV-მ ორბელიანებს უბოძა: „მახ (ივანემ— შ. მ.) წაართვა თურქებს ტავუში, გაგი, ტერუნაკანი, ლორე და ანისი 572 (1123) წელს, რის გამოც კიდევ უფრო შეიყვარა იგი მეფემ და კიდევ უფრო მეტად იქნა პატივცემული მეფისაგან და თავის სამამულოს (ქვეყნებს) გარდა მეფემ მას უწყალობა ლორე სანახებითა, აგარაკი, ადგილი სადაობასე

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, სის. I, გვ. 160.

[2] ე. თაყაიშვილი, თეთრი წყაროს ძეგლები (რუს.), გვ. 44.

[3] იქვე, გვ. 45.

და სამშვილდე, წინანდელი მამული მათი კელავ მიეცა სანახებითა"[1] როგორც ჩანს, 1110 წლიდან 1123 წლამდე, სამშვილდე სამეფო იყო და ერისთავთ-ერისთავ ხურსიძის წარწერაც, სადაც დავით მეფეც არის მოხსენიებული, იმ დროს უნდა იყოს გაკეთებული. როცა მას შეიძლებოდა ჰქონოდა სამშვილდის მხარის ერისთაობა, ე. ი. 1110 1123 წლებს შორის. ორბელებისათვის სამშვილდის გადაცემის შემდეგ კი, ვიდრე ორბელთა აჯანყებამდე, ე. ი. 1123 წლიდან 1177 წლამდე, სამშვილდეში მეფის სხვა ხელისუფალი, გარდა ორბელებისა, არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ასე რომ სამშვილდის თევდორეს სახელობის ეკლესიის ზემომოტანილი წარწერა, სადაც „ეროისთავთ-ერისთაი ვაჩეა" მოხსენიებული, ამის შემდეგ, ე. ი. სამშვილდის ისევ სამეფოდ დაბერის (1177 წ) შემდეგ, უნდა იყოს გაკეთებული. ვაჩეს ორბელობა გამორიცხულია: დავით-ს, დემეტრეს და გიორგი III-ის დროინდელ ორბელთა შორის ვაჩე არ მოიხსენიება და ეს სახელიც ორბელთა საგვარეულოში საერთოდ დადასტურებული არ არის. ამრიგად, „ერისთავთ-ერისთაი ვაჩე" ამ მხარის ერისთავად მხოლოდ გიორგი III-ის მეფობის ბოლო წლებში, ორბელთა დამხობის შემდეგ და თამარის დროს, შეიძლებოდა ყოფილიყო.

ზემოაღნიშნულის შემდეგ თითქოს არაფერი გვიშლის ხელს გუნია-ყალის წარწერის ვაჩე და სამშვილდის ეკლესიის წარწერის ერისთავთ-ერისთავი ვაჩე ერთი და იმავე პირად მივიჩნიოთ. როგორც ჩანს, „ლაშას ხელს" სამშვილდისა და მისი მიმდგომი მხარის ერისთავთ-ერისთავის ვაჩეს დასტურიც დასჭირვებია.

ვაჩეს შემდეგ გუნია-ყალის წარწერაში მოხსენიებულ პირთა— ჯალაბაძსა და ინაძს — როლი და ადგილი ამ წარწერაში სავსებით გარკვეულია: ეს ძეგლი ერთის — ჯალაბაძს „მოჭირვებითა" და მეორის — ინაძს — ხელით დაისვა; ორივე, ნ. ბერძენიშვილის სიტყვით, საქმის ტექნიკური შემსრულებლები არიან[2] და სამეფოს სამოხელეო წყობაში მათ რაიმე მნიშვნელოვანი ადგილი არ უნდა ჰქონდეთ.

ამრიგად, გუნია-ყალის წარწერა არ არის XII—XIII სს. „ვაზირთა სრული სია". აქ მოხსენიებულ პირთაგან მხოლოდ ორი არის „დარბაზის რიგის" მაღალი რანგის მოხელე: ერთი ვაზირია, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი (თევდორე), მეორე მანდატურთუხუცესი-ამირსპასალარი (ზაქარია); დანარჩენი სამი კი „საქვეყნოდ გამრიგე" მოხელეა: შალვა ჯავახეთის მხარის ერისთავთ-ერისთავი, ოვსიყმა — თრიალეთის ერისთაკი, ხოლო ვაჩე — სამშვილდის მხარის ერისთავთ-ერისთავი. სამივე სწორედ იმ მხარეთა ერისთავთ-ერისთავები არიან, რომელთა საგამგეო უშუალოდ შედიოდა ამ დროს შექმნილ ერეულ სახასო ქვეყანაში — „თბილისიდან ალმართ კარნუ-ქალაქის სანახებამდის"[3]. ასევე სავსებით გასაგებია მოხელეთა შორის ვაზირის პირველობა და მონაწილეობა ამ სახელმწიფოებრივი აქტის თრიალეთისა და ჯავახეთის საუფლისწულოდ დამტკიცების ბრძანებაში. სახასო, საუფლისწულო ქვეყნები, რა თქმა უნდა, მის სახელოს შეადგენდა, მის საგამგეო უწყებაში შედიოდა. ამას გარდა, მოხელეთა შორის მხოლოდ ვაზირის მოხსენიება თავისი თანამდებობით — ჭყონდიდელით (-მწიგნობართუხუცეს-ჭყონ-

[1] სტეფანოს ორბელიანი, სივნიეთის ისტორია (სომხ.), გვ. 379.
[2] ნ. ბერძენიშვილი, სის, III, გვ. 161.
[3] იქვე, გვ. 163.

დიდელს, ვაზირს), ხოლო ყველა დანარჩენისა მხოლოდ სახელით ერთხელ კბდეე ხაზს უსვამს მის უპირველეს ადგილს, მის ვაზირობას სამეფო კარზე.

შემთხვევითი არ არის ვაზირის შემდეგ ამირსპასალარის მოხსენიება. როგორც არაერთხელ იყო აღნიშნული, ვაზირი და ამირსპასალარი თამარის ეპოქაში ყოველთვის გამოიყოფიან სხვა ხელისუფალთაგან ამას გარდა, „ხელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით, ამირსპასალარის მოწმობის გარეშე „ქვეყანა არ გაიცემის, არცა ვინ სამამულოდ შეიწყალების". ასე ოომ სახასო ქვეყნის გამოყოფის შესახებ მეფეთა (თამარი, ლაშა) ბრძანებას ადასტურებენ და ამოწმებენ როგორც „დარბაზის რიგის" მოხელენი — ვაზირი, ამირსპასალარ მანდატურთუხუცესი, ასევე „საქვეყნოდ გამრიგენიც" — საუფლისწულოდ დამტკიცებული ქვეყნის სამართლისთავთ-ერისთავი.

ამრიგად, გუნია-ყალის წარწერა არის ვაზირთა თათბირის, ვაზირთა ბრძანების აქტი. ამ წარწერიდან და ასევე განხილული მასალებიდან სრულებით არ ჩანს, რომ თამარის დროს თითქოს „საავაზირო" ყოფილიყო ბრძანებათა გამცემი. გუნია-ყალის წარწერით არ დასტურდება საერთოდ ასეთი ორგანოს — „სავაზიროს" არსებობა და არც აქ დასახელებულ (ერთის გარდა) მოხელეთა ვაზირობა. ამ წარწერებში, ჩვეულებრივ, ისე როგორც სხვა მსგავს აქტებში, მხოლოდ ის პოხელეები — „საქვეყნოდ გამრიგენი" თუ „დარბაზის რიგისა" – არიან მოხსენიებულნი, რომელთაც თავიანთი თანამდებობით უშუალოდ ხელი მიუწვდებოდათ საუფლისწულოდ დასამტკიცებელ ქვეყნებზე.

4. „ერთნებობითა და თანადგომით"

ზემოაღნიშნულის შემდეგ ზედმეტი უნდა იყოს ისევ გუნია-ყალის წარწერაზე სიტყვის გაგრძელება, მაგრამ არ შეიძლება შენიშვნის გარეშე დაეტოვოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში განმტკიცებული შეხედულება თამარის დროს დიდებულთა „თანადგომითა და ერთნებობით" ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის საკითხთა გადაწყვეტის შესახებ. მით უფრო, რომ გუნია ყალის წარწერა მკვლევართა მიერ საგანგებოდ არის დამოწმებული ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა დასამტკიცებლად. მაგალითად, პ. ინგოროყვას აზრით, გუნია-ყალის წარწერიდან ჩანს, რომ ბრძანებათა გამცემნი მეფეებთან ერთად არიან ვაზირები. ვაზირები კი თამარმა დაამტკიცა „თანადგომითა და ერთნებობითა შეიდთაე სამეფოთა დიდებულთა". ასეთი უფლება დიდგვარიანებმა ყუთლუ-არსლანს გამოსელის შემდეგ მოიპოვეს [1].

ნ. ბერძენიშვილის მიხედვითაც, გუნია-ყალის წარწერა „ეს გახლავთ სახელმწიფო მნიშვნელობის ბრძანების გაცემა მეფეთა და ვაზირთა სახელით. ჩვენი წარწერა უნიკალური დოკუმენტია ამ რიგისა და ერთბაშად ნათელს ჰფენს თამარის დროს ცნობილ პოლიტიკური მოძრაობის შედეგად შემუშავებულ სახელმწიფო წესწყობილების უაღრესად მნიშვნელოვან მომენტს, შესამჩნევად მეტი შუქი ეფინება და მტკიცე დასაყრდენიც უჩნდება თამარის ისტორიკოსის მიერ, თუ სხვა წყაროებით დამოწმებულ ცნობებს, სახელმწიფო მმართველობაში „დიდებულთა" „თანადგომა-ერთნებობისა" თუ „მეფობის თანაზიარობის" შესახებ" [2].

როგორც ეხედავთ, გუნია-ყალის წარწერა მეფის ძალაუფლების „დიდე-

---

[1] პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპოლოგი, გვ. 569, 629.

[2] ნ. ბერძენიშვილი, სის, I, გვ. 163.

ბულთა ერთნებობითა და თანადგომით" შეზღუდვის დამამტკიცებლად არის გამოყენებული, ხოლო თვით წარწერა „მეფეთა და ვაზირთა სახელით" გამოცემულ ბრძანებადაა მიჩნეული.

მას შემდეგ, რომ გაირკვა გუნია-ყალის წარწერაში მოხსენიებულ პირთა ვინაობა, ცხადია, ზედმეტია ლაპარაკი გუნია ყალის წარწერის „ვაზირთა სახელით" გამოცემულ ბრძანებად მიჩნევის შესახებ.

მაგრამ ჩვენს ყურადღებას ამჟამად განსაკუთრებით იქცევს ფორმულა თამარის სახელმწიფო მმართველობაში „დიდებულთა ერთნებობისა და თანადგომის" შესახებ. ამ ფორმულაზე პირველად ი. ჯავახიშვილმა მიუთითა და მანვე გამოთქვა მოსაზრება თამარის ხელისუფლების შეზღუდვის შესახებ „დიდებულთა ერთნებობითა და თანადგომით" [1].

პირველ რიგში უნდა შევნიშნოთ, რომ გუნია-ყალის წარწერა ზემომოტანილი ფორმულის დასასაბუთებლად და თამარის ხელისუფლების შეზღუდვის დამამტკიცებელ არგუმენტად არ გამოდგება, იგი არც უნიკალურია. მსგავსი წარწერები, მეფეთა და მის მოხელეთა სახელით გაკეთებული, სხვაც მოგვეპოვება და არა მარტო თამარის დროისა; მაგრამ მოხელეთა მოხსენიება ამა თუ იმ აქტის დამოწმებაში ან თუნდაც ბრძანების გაცემაში, არავის მიუჩნევია მეფის ხელისუფლების შეზღუდვის დამამტკიცებლად. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა გიორგი III-ის დროინდელი აღარწინის სომხური წარწერა, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა. უკანასკნელად აღარწინის წარწერა გამოაქვეყნა და მას საგანგებო გამოკვლევა უძღვნა ს. ერემიანმა. აღნიშნული წარწერა მრავალმხრივ იქცევს ჩვენს ყურადღებას, მაგრამ ამჯერად მას მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით შევეხებით, წარწერას კი საგანგებოდ ქვემოთ განვიხილავთ. წარწერის გამომცემელთა მიერ იგი 1155 წლით (ს. ჯალალიანცი, მ. ბარხუდარინი, კ. კოსტანიანცი) და ან კიდევ 1185 წლით (ტერ-მოვსესიანი) იყო დათარიღებული.

ლ. მელიქსეთ-ბეგმა ორჯერ გამოსცა ეს წარწერა და დათარიღებაში დაშვებული შეცდომაც გაასწორა. წარწერა უეჭველად ეკუთვნის გიორგი III-ის მეფობის ბოლო, 1184 წელს. ამ დათარიღებას იზიარებს ს. ერემიანიც. ამას გარდა, ლ. მელიქსეთ-ბეგმა წარწერაში ამოიკითხა „ჰყონდიდელიც", რომელიც ს. ჯალალიანცმა. მ. ბარხუდარიანმა და კ. კოსტანიანცმა საერთოდ გამოტოვეს მისი საკუთარი სახელით — ანტონითურთ, ხოლო ტერ-მოვსესიანმა „ჰპუნტელი" (Հպունտէլի) ამოიკითხა. მიუხედავად ამისა, წარწერის ტექსტი სრული უეჭველობით ჯერ კიდევ არ არის აღდგენილი — ს. ერემიანი დღესაც ლ. მელიქსეთ-ბეგისა და სხვა გამომცემელთაგან განსხვავებულ წაკითხვას იძლევა.

წარწერაში იკითხება: „სომეხთა წელთაღრიცხვის 633 წელს [—1184] მეფობასა ზედა აფხაზთა გიორგისა, მამათმთავრობასა სომეხთა უფლისა გრიგორისისა, მე ხაჩატუო მოძღვარმა და სუქიასმა განვაახლეთ წმიდა გრიგოლის [ეკლესია] მეფისა და მის დიდ იშხანთა(Մեծաւորաց իշխանացն): სარგის ამირასი[2](Սարգսի

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქსი, II₂, გვ. 176—191

[2] როგორც ვხედავთ, სარკისი აქ მოიხსენიება მხოლოდ ამირად: მიუხედავად ამისა, ლ. მელიქსეთ-ბეგი ამ შემთხვევაშიც „ამირსპასალარს" აღადგენს, რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ არის — სარგისმა ამირსპასალარობა თამარის გამეფების შემდეგ, არა უადრეს 1185 წლისა მიიღო, ამის გამო ს. ერემიანი „ამირას" უმატებს „ჭურს", ე. ი. სარგისის შემდეგ კითხულობს „ამირ-ჭურს", რაც ვგრძნობთ გაუმართლებელია; ამ წარწერის არც ერთ გამომცემელს აქ ამირ-ჭურდი არ წაუკითხავს, რადგან წარწერა არ იძლევა ამის არავითარ საფუძველს. გარდა ამისა, გიორგი III ის თანამედროვე მოხელე ამირ ჭურდი, რომელსაც ვარაუდობს აქ ს. ერემიანი,

ათრეთ[ბსას]), ანტონ ჭყონდიდელისა (*ძეს ჴახტანგ*), ელიბეკისა[1] [და სხვათა] ბრძანებითა (*ქრისტესი*) და მეფეთ ძალით და ახალი ქონება [მონასტრისა] სრულით დაუტკიცა წმ. გრიგოლის [ეკლესიას]: ხეხილის ბაღი მიჯნაშენისწყალთან, ტეარნ-ხიჩი იმ მოსახლეთა შორის, რომელიც მათ ჰყოფს მიჯნაშენ საგან, სოფელი ქურდევანი, აბასაძორი, ტანძეუთი. და ბრძანა მეფემ წმიდა ჯვრის ყოველ დღესასწაულს იღოცონ მის მოსახსენებლად... წყეული იყოს ეარძიის ღმრთისმშობლისა და 318 მამათაგან" ყველა ის, ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებს[2]. აღარწინის ეკლესია და ის მიწებიც, რომელიც ეკლესიას გადაეცა, კაენის ოლქში მდებარეობდა. კაენის მხარე კი, როგორც ამაზე ს. ერემიანშაც მიუთითა, იმ დროს სამეფო დომენი იყო და, ბუნებრივია, სამეფო დომენიდან მიწის გაცემა მეფისა და მის ხელისუფალთა ბრძანებით უნდა მომხდარიყო.

მართლაც, წმ. გრიგოლის ეკლესიისათვის სახასო ქვეყნიდან რამდენიმე სოფლის ბოძების შესახებ ბრძანების გამცემებად გიორგი III-სთან ერთად გამოდიან ჭყონდიდელი ანტონი, ამირა სარგისი და ელიბეკი. ანტონის როლი ამ შემთხვევაში სავსებით გასაგებია, როგორც ჭყონდიდელი, ვაზირი, იგი სამეთო ხელისუფლების ცენტრალური აპარატის წარმომადგენელია, დანარჩენი აქ დასახელებული პირები კი ადგილობრივი ფეოდალები, საქვეყნოდ გამრიგენი არიან. მათგან ერთი, სარგისი, თანამდებობით (ამირა) მოიხსენიება, მეორე კი ძხოლოდ სახელით (ელიბეკი), გუნია-ყალის წარწერის მსგავსად.

ამრიგად, ეკლესიისათვის სამეფო დომენიდან მიწების (სოფლების) გადაცემა გიორგი III-ის დროსაც მეფისა და მისი ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა ბრძანებით ხდებოდა. მოხელეთა მიერ მეფესთან ერთად ასეთ შემთხვევაში ბრძანების გაცემა, როგორც ჩანს, ფეოდალურ ქვეყანაში მიღებული იყო, რომელიც ერთნაირად მოქმედებდა როგორც გიორგი III-ის, ასევე თამარის მეფობის დროსაც. თამარის მეფობაში ამ მხრივ რაიმე ცვლილებას ადგილი არ ჰქონია. ისე როგორც აღარწინის „ბრძანება" არ გამოდგება გიორგი III-ის ხელისუფლების შეზღუდვის დამადასტურებელ დოკუმენტად, ასევე გამოუსადეგარია გუნიაყალის „ბრძანებაც" დიდებულთა მიერ თამარის სამეფო ხელისუფლების შეზღუდვისა და „დიდებულთა თანადგომისა და ერთნებობის" ფორმულის მნიშვნელობის გასარკვევად.

თამარის მეფობაში არ ყოფილა შემოტანილი ავრეთვე მკვლევრების მიერ ასე ხშირად ხაზგასმული ფორმულა „დიდებულთა თანადგომისა და ერთნებო

1177/78 წ. განდევნილ იქნა მეფის მიერ საქართველოდან და ამდენად შეუძლებელია მას გიორგ ს ს მეფო კარზე რაიმე თანამდებობა ჰქონოდა. ასე რომ „ამირა" სარგისს ეკუთვნის და არა ქურდს. როგორც ჩანს, ამ დროს სარგის მხარგრძელს მხოლოდ ამირობა ჰქონდა, მაგრამ ამაზე ჯეემოთ.

[1] ელიბეკი ს. ერემიანს ყუბასარის მეორე სახელად მიაჩნია, მაგრამ ამ მოსაზრების სასარგებლოდ არ მოაქვს რაიმე ანგარიშგასაწევი საბუთი. ელიბეკი, როგორც ჩანს, ერთ-ერთი იმ ადგილობრივ ფეოდალთაგანია, რომლის სამფლობელოშიც შედიოდა წარწერაში დასახელებული ეკლესიისათვის გადაცემული ადგილები და სოფლები.

[2] ლ. მელიქსეთ-ბეგი, აღარწინის ერთი წარწერა (რუს.), გვ. 197; მისივე, ჩრდილო მხარეა, გვ. 210; ს. ერემიანი, აღარწინის წარწერა 1184 წ. (რუს.), გვ. 82 83.

ბის“ შესახებ, მაგრამ მისი მნიშვნელობის გარკვევა თამარის საშინაო პოლიტიკის შესასწავლად მაინც აუცილებელია.

ფრაზა დიდებულთა „ერთნებობისა და თანადგომის“ შესახებ, მკვლევრების მიერ აღებულია თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებიდან; მათივე აზრით, „თანადგომა და ერთნებობა“ თითქოს ბუნებრივი შედეგი იყო იმ საშინაო ვითარებისა, რაც თამარის მეფობის პირველ წელს შეიქმნა.

„ერთნებობისა და თანადგომის“ ფორმულას საგანგებო ყურადღება მიაქცია და ამ მხრივ საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა ამ ბოლო დროს ვ. აბაშმაძემ. მისი აზრით, „ერთნებობა“ თამარის წინადროინდელი ხანის (ცერძოდ, დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ის დროის) პოლიტიკური დოკტრინაა და მეფის მ ერ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების „ერთპიროვნულად, თვითმპყრობელური მეთოდებით“ განხორციელების მაუწყებელი იყო. მაგრამ, მისივე აზრით, „თამარის ეპოქაში მებრძოლ გაბატონებულ კლასთა შორის კომპრომისის დამყარების შემდეგ, მეფე სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას ახორციელებს არა მარტო „ერთნებობით“, არამედ ამ ურთიერთდაპირისპირებული კლასების „თ ა ნ ა დ გ ო მ ი თ ა ც“ [1]. ასე რომ, ვ. აბაშმაძის აზრით, „თ ა ნ ა დ გ ო მ ი ს“ ფ ო რ მ უ ლ ა თ ა მ ა რ ი ს ხ ა ნ ა შ ი ა შ ე მ უ შ ა ე ბ უ ლ ი და იგი „შესანიშნავად გვიხასიათებს იმ ცვლილებებს, რაც მოხდა სამეფო ხელისუფლებაში“ [2] თამარის დროს, კერძოდ იმას, რომ „მეფეს ამიერიდან განუსაზღვრელად და შეუზღუდველად აღარა აქვს უფლება მართოს ქვეყანა“ [3].

როგორც ეხედავთ, თამარის პირველი ისტორიკოსის მიერ ხმარებულ ფრაზაში „ერთნებობისა და თანადგომის“ შესახებ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი შინაარსია ჩადებული და იგი თამარის ეპოქისათვის დამახასიათებელ პოლიტიკურ დოკტრინადაა გამოცხადებული. მაგრამ, ჩვენი აზრით, თამარის ისტორიკოსის ჩვენთვის საინტერესო ცნობის ანალიზი ასეთი მრავალსმომქმელი დასკვნის ნებას არ იძლევა.

ჯერ ერთი, მკვლევრებმა უყურადღებოდ დატოვეს მნიშვნელოვანი გარემოება: ეს ფრაზა მხოლოდ თამაროის პირველ ისტორიკოსს აქვს ნახმარი, ისიც მხოლოდ ორჯერ მთელი თხზულების მანძილზე; რაც მთავარია, „თანადგომა“ ერთხელ გიორგი III-ის მეფობის ბოლო წლის მოვლენასთან დაკავშირებით არის ნახმარი, ხოლო მეორეჯერ კიდევ თამარის მეფობის პირველი წლის ამბების მოთხრობისას. სხვა შემთხვევაში კი პირველ ისტორიკოსს იგი არსად არა აქვს ნახმარი, ხოლო თამარის მეორე ისტორიკოსისათვის ხომ ასეთი ფორმულა საერთოდ უცნობია. ასე რომ „დიდებულთა ერთნებობისა და თანადგომის“ მხოლოდ თამარის ეპოქისათვის დამახასიათებელ და თამარის ისტორიკოსების მიერ საერთო-საყოველთაო მიღებულ ფორმულად გამოცხადება სწორი არ არის; ამიტომ საამისოდ თამარის ორივე ისტორიკოსის დამოწმება შეცდომად უნდა მივიჩნიოთ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ „პოლიტიკური დოკტრინა“ „თანადგომის“ შესახებ, რომელიც ვ. აბაშმაძეს თამარის ეპოქაში შემუშავებულად მიაჩნია, თამარის ისტორიკოსისაც ცნობით, სწორედ იმ მეფის, გიორგი III-ის დროისთვისაა დამახასიათებელი, რომელიც, ვ. აბაშმაძის სიტყვით, „ერთპიროვნულად, თვითმპყრობელური მეთოდებით“ „ახორციელებდა სამეფო ხელისუფლებას“.

---

[1] ვ. აბაშმაძე, ნარკვევები, გვ. 180.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 181.

განვიხილოთ პირველი ისტორიკოსის მონაცემები: გიორგი III მ, ორბელთა აჯანყების შემდეგ, გადაწყვიტა თავის სიცოცხლეშივე გაემეფებინა თამარი. ამასთან დაკავშირებით ისტორიკოსი წერს: „შემყრელმან შჯდთაენ სამეფოთა მისთამან... **გ ა ნ რ ჩ ე ვ ი თ ა დ ა გ ა მ ო რ ჩ ე ვ ი თ ა**, განგებითა და გაგოხებითა ზენისა მის ხუედრისა შარავანდედთა მნებებელისაჲთა, **მ ე ფ ე - ყ ო თ ა ნ ა დ გ ო მ ი თ ა** ყოველთა, პატრიარქთა და **ე პ ი ს კ ო პ ო ზ თ ა**, **დ ი დ ე ბ უ ლ თ ა ი მ ე რ თ ა დ ა ა მ ე რ თ ა**, ვაზირთა და სპასალართა და **ს პ ა ს პ ე ტ თ ა**. და დაისუა მარჯუენით მისსა მეფე და დედოფალი“ [1]. როგორც ვხედავთ, ისტორიკოსის მიხედვით, გიორგი III-მ თამარი მეფედ აკურთხა „შჯდთაენ სამეფოთა“ საეკლესიო და საერო „დიდებულთა თანადგომით“, მათივე „განრჩევითა და გამორჩევით“. ამრიგად, „თანადგომის“ ფორმულა თამარის დროს „სამეფო ხელისუფლების განხორციელებაში მომხდარი“ ცვლილებების დასახასიათებლად არ გამოგვადგება, — იგი ჯერ კიდევ გიორგი III ის დროისათვისაც ყოფილა დამახასიათებელი.

ამასთანავე, თუ რას ნიშნავდა ამ შემთხვევაში „დიდებულთა თანადგომა“, მაგრამ „განრჩევა და გამორჩევაც“, ე. ი. ფაქტიურად „ერთნებობა“ კარგად ვამოჩნდა გიორგის გარდაცვალებისთანავე: იმავე „შჯდთაენ სამეფოს“ დიდებულებმა თამარს მეფობა საცილობელი გახადეს და მისი ხელმეორედ კურთხევა მოითხოვეს, რაკი გიორგი III-მ ფაქტიურად თვით გადაწყვიტა თამარის გამეფება და, არსებითად, ასე ფართო „გამორჩევა და გარჩევა“ არც უწარმოებია თამარის გამეფების საკითხთან დაკავშირებით. ყოველივე ეს კი ნათელს ხდის იმას, თუ რა შინაარსი უნდა ჰქონოდა ისტორიკოსის ამ ფრაზას — „განრჩევასა და გამორჩევასა“ და მით უფრო „თანადგომას ყოველთა — დიდებულთა იმერთა და ამერთა“.

მ გრამ, რაც მთავარია, თამარის ისტორიკოსს ამგვარი მითითების გამო, არავის უმტკიცებია გიორგი III-ის საშინაო პოლიტიკის თუ საერთოდ სამეფო ხელისუფლების შეზღუდვა „თანადგომით ყოველთა დიდებულთა იმერთა და ამერთა“, არავის შეპარვია ექვი გიორგი III-ის თვითმპყრობელური ხელისუფლების შეუზღუდველობაში. ყოველივე ამის შემდეგ სავსებით გაუგებარი ჩანს, თუ რატომ ანიჭებენ გადამწყვეტ მნიშვნელობას მკვლევრები ისტორიკოსის ამავე ფრაზას თამარის სამეფო ხელისუფლების შეზღუდულობის დასამტკიცებლად, მაშინ როცა იგი, როგორც ვნახეთ, ამავე მნიშვნელობითა და შინაარსით იხმარებოდა გიორგი III-ის საშინაო პოლიტიკის დასახასიათებლადაც.

ასე რომ „დიდებულთა თანადგომა“ აქ შემთხვევაში არსებითად ზოგადი ფრაზაა, რომლის მიხედვით არ შეიძლება გაკეთდეს ანგარიშგასაწევი დასკვნა გიორგი III-ის თუ თამარის დროს „დიდებულთა თანადგომით“ სამეფო ხელისუფლების შეზღუდვის შესახებ.

ჩვენ არ გაგვაჩნია საფუძველი ვიეარაუდოთ, რომ ამ ფორმულას ახალი შინაარსი მისცემოდა და განსაკუთრებული მნიშვნელობა მინიჭებოდა თამარის მეფობაში. თამარის პირველი ისტორიკოსი საგანგებოდ ეხება ახალ მოხელეთა დანიშვნას თამარის გამეფების პირველსავე წელს და წერს: „პირველად გარდაცვალებასა და **გ ა მ ო რ ჩ ე ვ ა ს ა** შინა ორთა: ვაზირთა და სპასპეტთასა, **თ ა ნ ა დ გ ო მ ი თ ა დ ა ე რ თ ნ ე ბ ი თ ა** [შჯდთაენ სამეფოსა დიდებულთაჲთა]. **ბ რ ძ ა ნ ა დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა დ** ჰყონდიდლად, მწიგნობართუხუცესად და ვაზირად ანტონი... და **გ ა ნ ა ჩ ი ნ ა** ამირსპასალარად სარგის მკარგძელი... და გა-

[1] ისტორიანი, გვ. 69; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 21.

ნაჩინა და უბოძა ჭიაბერს მანდატურთუხუცესობაჲ და მისცა არგუნი დაკუალად უბოძა მეჯურჭელეთუხუცესობაჲ... ვარდანის ძესა კახაბერს და მსახურთუხუცესობაჲ დადგინა ვარდანს, ჩუხჩარხობაჲ მარუშანსა... უბოძა ამირახორობაჲ გამრეკელსა თორელსა“ [1]. ესაა და ეს, სხვა შემთხვევაში თამარის ამ ისტორიკოსს არსადა აქვს ნახმარი ფრაზა „თანადგომისა და ერთნებობის“ შესახებ. ამ შემთხვევაშიც ისტორიკოსი არსებითად იმეორებს იმასვე, რაც პირველ შემთხვევაში, თამარის კურთხევასთან დაკავშირებით, დიდებულთა საერთო სურვილის გამოსახატავად ჰქონდა ნათქვამი.

აღსანიშნავია, რომ ისტორიკოსს მხოლოდ ანტონის ვაზირად დანიშვასთან დაკავშირებით აქვს ნახმარი „გამორჩევა“ და „ბრძანებად“, ხოლო ყველა სხვა მოხელის დანიშვნისას — „განაჩინა“, „უბოძა“, „კუალად უბოძა“ და სხვა მსგავსი. როგორც ქვემოთ, საგანგებო პარაგრაფში იქნება ნაჩვენები, ანტონის ვაზირად დანიშვნა მართლაც მოითხოვდა „გამორჩევას“, ხოლო შემდეგ ამ „გამორჩეულის“ მეფის „ბრძანებით დამტკიცებას“. სხვა მოხელეთა დანიშვნისას კი მეფე თვით მოქმედებდა და თვით ნიშნავდა ამა თუ იმ პირს ამა თუ იმ თანამდებობაზე. ამიტომაც იხმარება ზმნები მოტანილ ამონაწერში მხოლობით რიცხვში: — „განაჩინა“, „განაჩინა და უბოძა“, „მისცა“, „კუალად უბოძა“, „უბოძა“ და სხვ. როგორც ვხედავთ, არც მეფის „ბრძანების“ („ბრძანა დამტკიცებად“) და არც „ბოძების“ თუ „მიცემის“ მონაწილედ სხვა, გარდა მეფისა, არავინ ჩანს. ასე რომ ისტორიკოსის მიერ ამ შემთხვევაში ყველგან ხაზგასმულია მეფის პირადი გადაწყვეტილება და არა ვინმეს მონაწილეობა ამ გადაწყვეტილების მიღებაში, მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ეს, ისტორიკოსის სიტყვით, „დიდებულთა თანადგომით“ მომხდარა.

ისტორიკოსი, ცხადია, შემთხვევით არ ხმარობს „უბოძა“, „მისცა“ და სხვა ზმნებს მხოლობით რიცხვში; დამახასიათებელია, რომ დავით სოსლანთან თამარის დაქორწინებისა და თამართან ერთად დავითის მეფობის შემდეგ, ბრძანების გამცემი თუ მბოძებელი მხოლოდ ერთი პირი არ შეიძლებოდა ყოფილიყო და თამარის ისტორიკოსიც სრულიად კანონზომიერად იმავე ზმნებს, ისევ მოხელეების დანიშვნასთან დაკავშირებით, უკვე მრავლობით რიცხვში ხმარობს: „ამას შინა მიიცალა გამრეკელი ამირსპასალარი და თმოგჳსაგან კიდე არა დააკლეს შეილთა მისთა. მაშინ უბოძეს ამირსპასალარობაჲ ზაქარიას მჭარგრძელსა.. მოუმატეს ქალაქიცა რუსთავი... და ჭიაბერსა მანდატურთუხუცესსა მოუმატეს და უბოძეს ჟინვანი... და შეიწყალეს სარგის ვარამის ძე, დალოცეს და უბოძეს თმოგუი. და ჭუემო წირქუალელნი, ზარტიბის ძენი, გრიგოლის ძენი, ჭიაბერის ძენი, მახატლის ძენი და თავნი კახეთისანი— თორღაძ ძენი შეიწყალნეს თჳთოეული თჳსითა წესითა...“ [2] ზემომოტანილ ამონაწერში ზმნების — „შეიწყალეს“, „უბოძეს“, „დალოცეს“ მრავლობითი რიცხვი, ცხადია, სხვას არ შეიძლება ნიშნავდეს, თუ არა იმას, რომ თამარის ქორწინების შემდეგ, მწყალობელ მბოძებლად, თამართან ერთად, მისი მეფე ქმარიც გამოდიოდა და არა დიდებულნი, რომელთა „ერთნებობისა და თანადგომის“ შესახებ ამჯერად არაფერია ნათქვამი ისტორიკოსის მიერ. ამრიგად, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში საუბარია გამორიცხულია დიდებულთა მონაწილეობა ახალ მოხელეთა დანიშვნის დროს.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ არ შეიძლება გაეიზიაროთ მოსაზრებანი,

---

[1] ისტორიანი, გვ. 79.

[2] იქვე, გვ. 95.

რომელთა მიხედვითაც „ახალი საეზირო" თამარმა დაამტკიცა „თანადგომითა და ერთნებობ თ შჯდთაეე სამეფოთა დიდებულთა"[1] და რომ „თანადგომის დოქტრინა" თამარის დროს იყო შემუშავებული.

ამ გად, მკვლევართა მიერ სამეფო ხელისუფლების დასუსტების, დიდებულთა ნება-სურვილის გ ხედვით მისი შეზღუდვის მაჩვენებლად მიჩნეული დოქტრინა თუ ფორმულა სხვა არა არის რა, თუ არა ზოგადი ფრაზა დიდებულთა მხარდაჭერისა, მათ მიერ სამეფო ხელისუფლების ბრძანებათა და გადაწყვეტილებათა ერთსულოვნად, უყოყმანოდ მიღების, სამეფო ხელისუფლებასთან მათი „თან დგომისა" და მეფეთა ბრძანებებისადმი ერთი ნების გამოხატვის აღმნიშვნელი. ასე ესმოდათ იგი როგორც გიორგი III-ის, ასევე თამარის მეფობის ხანაში. არაფრით მტკიცდება, რომ „დიდებულთა თანადგომა და ერთნებობა" მხოლოდ თამარის მეფობისათვის ყოფილიყო დამახასიათებელი, ანდა მას ამ პერიოდში სხვა შინაარსი მისცემოდა.

როგორც აღვნიშნეთ, თამარის მეორე ისტორიკოსი საერთოდ არც ხმარობს ასეთ გამოთქმას „დიდებულთა თანადგომასა და ერთნებობას". ასე რომ ეს ფრაზა არ შეიძლება მივ ჩნიოთ გიორგი III-ისა თუ თამარის მეფობის ხანისათვის დამახასიათებელ „პოლიტიკურ დოქტრინად". როგორც ჩანს, თამარის მეფობის დროს საერთოდ არც არსებულა ისეთი საგანგებო ფორმულა, რომელიც სამეფო ხელისუფლებაში მომხდარი ცვლილების აღმნიშვნელად შეიძლებოდა გვეჩნია; „დიდებულთა ერთნებობასა და თანადგომას" კი, როგორც ვხედავთ, გაუგებრობის ნიადაგზე მკვლევართა მიერ ხელოვნურად აქვს მინიჭებული ასეთი შინაარსი.

ასევე ხელოვნურად გვეჩვენება მკვლევრების მიერ თამარის პირველი ისტორიკოსის ერთი გამოთქმის „თანაზიარი მეფობისა მათისა"— გამოცხადება მეფესა და დიდებულთა შორის ხელისუფლების განაწილების მოწმობად[2]. ამ შემთხვევებშიც ისევ გუნია-ყალის წარწერაა მოშველიებული, როგორც მეფეთა და „ეაზირთა" საერთო ბრძანების საბუთი და დიდებულთა „მეფობის თანაზიარობის" მოწმობა[3].

გუნია-ყალის წარწერის შინაარსის გარკვევის შემდეგ, ცხადია, იგი ამგვარ საბუთად არ გამოდგება, მაგრამ ისტორიკოსის ზემომოტანილ გამოთქმაზე შეჩერება კი მაინც საჭიროდ მიგვაჩნია.

როცა თამარის პირველი ისტორიკოსი ეხება გიორგი რუსის აჯანყების მონაწილეთა სამოხელეო მდგომარეობას და მათ ადგილს სახელმწიფო მმართველობაში, სხვათა შორის, შენიშნავს: თამარს სწორედ ისინი აუჯანყდნენ, „რომელნი თანაზიარ მეფობისა მათისა დაუხუად დაგულსავსედ წყალობითა აღესილ იყვნეს, მათაცა ქმნეს საქმე ყოველთა ძუელთა გინა ახალთაგან უბოროტესი"[4]. როგორც ვხედავთ, ისტორიკოსს ამ შემთხვევაში სურს ხაზი გაუსვას აჯანყებულთა მაღალ მდგომარეობას სამეფოს სამოხელეო წყობაში, მათ უხვად შეწყალებას მეფის მიერ და გაოცება გამოთქვას ასეთ პირთა მონაწილეობის გამო თამარის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში.

ამ ტომაა, რომ ისტორიკოსი ცალ-ცალკე ახასიათებს მათ და იქვე ასახელებს ყველა იმ წყალობას, რაც მათ სამეფო ხელისუფლებისაგან ჰქონდათ მი-

---

[1] ვ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 629.

[2] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქსი, II$_2$, გვ. 179.

[3] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სმს, III, გვ. 163

[4] ისტორიანი, გვ. 90.

ღებული. პირველი მათ შორის, გუზანი, ისტორიკოსის სიტყვით, იყო „პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისაჲ, რომელი ძუელთა მეფეთა ტაოელთა დიდებულთა ადგილსა ზედა შეეწყალა პატრონსა“, მეორე კიდევ ბოცო, „სამცხისა სპასალარი და სისრულისაცა აღმატებითა შეწყალებული“. მესამე — „ვარდან დადიანი, მსახურთ-უხუცესი ლიხთ-აჭადთ პატრონი ორბეთისა და კაენისაჲ, ლიხთ იქით-ნიკოფსამდი უცილობლად მჭონებელი“ [1].

ყოველივე ეს აჯანყების დასახელებულ მონაწილეებს მეფისაგან ჰქონდათ მიღებული. ასე „აღმატებით შეწყალებულნი“ თითქოს მეფის ხელისუფლების მოზიარენიც („თანაზიარ მეფობისა მათისა“) კი იყვნენ და რაღა ჰქონდათ ასაჯანყებელიო, წერს გაოცებული ისტორიკოსი. ასე რომ ისტორიკოსს აჯანყების მონაწილეთა ასეთი დახასიათება საგანგებოდ მათი მოქმედების გამართლებლობის დასამტკიცებლად აქვს ხაზგასმული და არა თამარის საშინაო პოლიტიკის დასახასიათებლად. ზემოდასახელებული დიდებულები და აჯანყების სხვა მონაწილენი მართლა რომ „მეფობის თანაზიარი“ ყოფილიყვნენ, ცხადია, სავსებით გაუგებარი იქნებოდა აჯანყების მიზეზებიც და მიზანიც — დიდებულთა ხელისშემყურე გორგი რუსის დაპირისპირება თამარის თვითმპყრობელური ხელისუფლებისადმი და მისი გამეფების ცდა.

ამრიგად, თამარის პირველი ისტორიკოსის ზემომოტანილი გამოთქმა არ შეიძლება მივიჩნიოთ თამარის სამეფო ხელისუფლების შეზღუდვისა და ძეფესა და დიდებულთა შორის ხელისუფლების განაწილების მოწმობად.

6. საავაზიროს წარმოქმნის საკითხი (დასკვნა)

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ეპიგრაფიკულ მასალებიდან ირკვევა, რომ გუნია ყალის წარწერა არ არის თამარის მეფობის დროის საავაზიროს წევრთა სია. გუნია-ყალის წარწერას, მართალია, დიდი მნიშვნელობა აქვს XIII ს. დამდეგის სამოხელეო წყობის შესასწავლად, მაგრამ იგი არაფერს გვაძლევს თამარის მეფობის ეპოქაში საავაზიროს არსებობის შესახებ წარწერაში „დარბაზის რიგის“ მხოლოდ ორი მოხელე (ერთი ვაზირი და ერთიც მანდატურთუხუცესი-ამირსპას ლარი) მოიხსენიება. ასე რომ გუნია-ყალის წარწერა თამარის მეფობის ხანაში საავაზიროს არსებობის დასამტკიცებლად არ გამოდგება. საავაზიროს რსებობა არ დასტურდება არც ნარატიული და არც დოკუმენტური წყაროებით.

თამარის მეფობის პერიოდის წყაროები — ნარატიული, დოკუმენტური, ეპიგრაფიკული — მხოლოდ ერთ ვაზირს იცნობენ.

ამრიგად, ვაზირი XII საუკუნეში და XIII ს. პირველ ათეულ წლებში საქართველოს სამეფო კარზე მხოლოდ ერთი იყო — ეს თანამდებობა მეფის შემდეგ სამეფოს პირველ პირს, პირველ მოხელეს მწიგნობართუხუცეს-ჴუონდიდელს ჰქონდა. რაკი სამეფო კარზე მხოლოდ ერთი ვაზირი იყო, ცხადია, არ არსებობდა საავაზირო, როგორც საგანგებო დაწესებულება, ვაზირთა სათათბირო, საკრებულო ორგანო. საქართველოს სამეფოს მთავრობას, თამარის მეფობის ხანაში „დარბაზის რიგის“ მაღალი რანგის მო-

[1] ისტორიანი, გვ. 90—91.

ხელეები შეადგენდნენ, რომელთა სათაეშიც იდგა მეფის უპირველესი მოხელე – ვაზირი, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში XII ს. საქართველოს სამოხელეო წყობის შესწავლა არსებითად დაემყარა შედარებით გვიანდელ ძეგლს „ხელმწიფის კარის გარიგებას". ეს ძეგლი დღესდღეობით მიღებული თუ ლსაზრისით XIV ს. I ნახევარს ეკუთვნის. თუნდაც რომ ეს ძეგლი შედგენილი იყოს არა XIV ს. I ნახევარში, არამედ XIII ს-ის II ნახევარში (როგორც ჩვენ ვფიქრობთ)[1], ასეთ შემთხვევაშიც ის საკმაოდ დიდი დროით იქნება დაშორებული თამარის მეფობის ხანას. ამასთან ეს პერიოდი (XII—XIII სს. მიჯნიდან ძეგლის შედგენამდე) მრავალი ახალი, არსებითად განსხვავებული მოვლენით აღინიშნა ქვეყნის არამარტო საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკურ ცხოვრებაშიც, სამოხელეო წყობაშიც, რომელსაც არ შეიძლებოდა ასახვა არ ეპოვა ამ შედარებით გვიანდელ ძეგლში. აი, ამიტომ ვფიქრობთ, რომ „ხელმწიფის კარის გარიგებით" XII—XIII სს. მიჯნის საქართველოს სამოხელეო წყობის მეტ ნაკლებად სწორი სურათის ასახვა შეუძლებელია. მით უფრო, რომ „კარის გარიგების" მონაცემები ამ საკითხში, ზოგჯერ, არსებითად ეწინააღმდეგება თამარის მეფობის დროის ნარატიული თუ სხვა სახის წყაროების მონაცემებს.

ჩვენ აქ არ ვაპირებთ „ხელმწიფის კარის გარიგების" ყოველმხრივ განხილვას, მაგრამ ზემოთ წამოჭრილი პრობლემების შესწავლისას არ შეიძლება მას გვერდი ავუაროთ და მის ძირითად მონაცემებზე მაინც არ შევჩერდეთ.

პირველ რიგში ტერმინ „ვაზირის" მნიშვნელობის შესახებ „კარის გარიგების" მიხედვით. როგორც ზემოთ არაერთხელ ითქვა, თამარისდროინდელი

---

[1] ჩვენს ამოცანას ამჯერად არ შეადგენს საგანგებოდ შევჩერდეთ „ხელმწიფის კარის გარიგების" შედგენის დროზე. მკვრამ ის კი უნდა შევნიშნოთ, რომ დღეს უყოყმანოდ გაზიარებული თვალსაზრისი — მისი გამოცხადება XIV ს. პირველი ნახევრის ძეგლად გადასინჯვას საჭიროებს: ა) „კარის გარიგების" მიხედვით, მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელი ჯერ კიდევ ერთ-ერთი უპირველესი ხელისუფალია, მაშინ როცა XIV ს. პირველი ნახევრისათვის მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელის სახელო, როგორც ირკვევა, საერთოდ აღარ არსებობდა. დამახასიათებელია, რომ ქამთაღძწერლის თხზულებაში (რომელსაც ავრეთვე XIV ს. პირველ ნახევარს მიაკუთვნებენ) იმ მრავალრიცხოვან მოხელეთა შორის, რომელნიც აქ სხვადასხვა დროის ამ ბებთან დაკავშირებით არიან დასახელებული, ბასილ ეჯარმელ ჭყონდიდელის შემდეგ, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, როგორც ხელისუფალი, საერთოდ არ იხსენიება ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ სიკვდილით დასჯილი ბასილი ამ თანამდებობის უკანასკნელი მფლობელი იყო. როგორც ჩანს, XIII ს. 70-იანი წლებიდან ათაბაგობამ საბოლოოდ გააქრო მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელო, ბ) ათაბაგობა XII ს. დამდეგს იქნა შემოღებული და ასეთ ვითარებაში საკმაოდ გაუგებარი ჩანს ამ დროიდან საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში შემოღებულ „ხელმწიფის კარის გარიგების" მიერ ათაბაგის სახელის გამოცხადება ახლად შემოღებულ თანამდებობად („ათაბაგი ახალია"); გ) საინტერესოა აგრეთვე, რომ „ხელმწიფის კარის კარგად თ" მნიშვნელობით ტერმინი ათაბაგობასთან ერთად, „უფრო ძველთ სახლისა არის, ისევე ორივე კელი ერთსა აქვს". ასეთი ცნობა კი არ შეიძლება ეკუთვნოდეს XIV პირველი ნახევრის ძეგლს, რაკი მანდატურთუხუცესობა უკვე XIII ს. მეორე ნახევრიდან „ძველთ სახლისა" კი არ იყო, არამედ ჯაყელების სახლ სა. მარტო ზემოაღნიშნული გარემოებანიც, სხვას რომ თავი დავანებოთ, იმაზე მიგვითითებს, რომ „ხელმწიფის კარის გარიგება" მაშინ უნდა იყოს შედგენილი, როცა ჯერ კიდევ არსებობდა მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელის სახელო, როცა ათაბაგობა არც ისე დიდი ხნის დაწესებული იყო და როცა მანდატურთუხუცესობა ჯერ კიდევ „ძველთ სახლს" ეკუთვნოდა, ე. ი. XIII ს. მეორე ნახევრში და არა XIV ს. პირველ ნახევარში, როცა მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელის სახელო აღარ არსებობდა, აღარც ათაბაგი შეეძლოთ მიეჩინათ ახალ ხელისუფლად და როცა მანდატურთუხუცესობაც აღარ ჰქონდა „ძველთა სახლს".

წყაროებით „ვაზირი“ დარბაზის მოხელეობა მთის მსოფლიო ისტორიაში მწიგნობართუხუცეს ჰყონდიდელს ეწოდებოდა. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით კი „კარისა“ თავისი პირველადი მნიშვნელობა არსებითად დაკარგული აქვს და იგი არა მარტო ერთი მოხელის, არამედ სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური აპარატის ცალკეულ უწყებათა საათავეში მყოფ მოხელეთა ზოგად სახელად არის ქცეული. ამრიგად, „კარის გარიგებაში“ კაზირებად იწოდებიან: ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი, ათაბაგი და მსახურთუხუცესი. „ტექსტის „ვაზირის“ შინაარსის ევოლუციის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ „კარის გარიგებაში“ ოფიციალურად მიიღებენ მსჯდელობაში თამარის ისტორიკოსის თხზულებიდან ნაკლებად ცნობილ ადგილებს. მწიგნობართუხუცეს ჰყონდიდელი საერთოდ „ვაზირად“ არც კი იწოდებული და იგი არ შედის არც „ორთა“ და არც „სამთა ვაზირთა“ ჯგუფში. „ხელმწიფის კარის გარიგებით“, იგი ყოველთვის მხოლოდ სასულიერო პირებთან, სამღვდელო ღირსთან ან კიდევ „სპატიო დარბაისელთა“ შორის იხსენიება და არა ვაზირთა შორის „მოძღვართ-მოძღვარი. კათალიკოზი და ჰყონდიდელი“ – „სამი სპატიო დარბაისელია“[1]. ამგვარად, ეს ძველი მხოლოდ სასულიერო პირებთან მონაზენებთან იხსენიებს თამარისდროინდელ ერთადერთ ვაზირს[2], მაშინ როცა ვაზირების ჩამოთვლას იგივე ძველი ათაბაგიდან იწყებს და „სამთა (ან, უკეთ, უპირველეს) ვაზირთა“ ჯგუფში მხოლოდ ათაბაგს, ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცესს ასახელებს. ასევე, მწიგნობართუხუცეს ჰყონდიდელისათვის ადგილი არა ჩანს არც „ორთა (მეორე რანგის) ვაზირთა“ ჯგუფში – მეჭურჭლეთუხუცესისა და მსახურთუხუცესის გვერდით[3], მაშინ, როცა ამაზე „ხელმწიფის კარის გარიგებაში, თამარის ისტორიკოსის თხზულებიდან ჩართული ტექსტის მიხედვით, თამარის ხანის მოხელეთა შორის მხოლოდ მწიგნობართუხუცეს ჰყონდიდელია დასახელებული ვაზირად[4].

აშკარაა, რომ „ვაზირს“ თავისი პირვანდელი შინაარსი XIV ს-ში „კარის გარიგებით“ არსებითად შეცვლილი აქვს და სწორედ ეს ძალიანდა საფუძველს „კარის გარიგების“ შემდგენელს ყველა მოხელე, რომელიც კი ამა თუ იმ ცალკე უწყების სათავეში იდგა, ვაზირად მიეჩნია და ამ ვაზირთა სათანადო ორგანოც „სავაზიროდ“ გამოეცხადებინა.

მაგრამ ყოველივე ეს კანონზომიერი შედეგი იყო იმ ბრძოლისა, რომელიც XII ს. ქართულ სამოხელეო წყობაში მიმდინარეობდა ერთადერთი ვაზირის – მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლების ძირითადი დასაყრდენის, მწიგნობართუხუცეს ჰყონდიდლის წინააღმდეგ.

მწიგნობართუხუცეს ჰყონდიდლის ხელისუფლებას, დავით აღმაშენებლის შემდეგ, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა თამარის მეფობის დროს ენიჭება თამარი, როგორც ეს ქვემოთ საგანგებოდ იქნება ნაჩვენები, ყოველნაირად ცდილობდა ამ თანამდებობაზე სამეფო ხელისუფლების ყველაზე ერთგული პირი ყოფილიყო და ამას მიაღწია კიდეც. ამასთანავე, მწიგნობართუხუცეს ჰყონდიდლის ხელისუფლების კიდევ უფრო გაძლიერების სურვილით უნდა იყოს ნაკარნახევი მისთვის სამეფოს მოხელეთა შორის ყველაზე საპატიო წოდების, „პროტოსებასტოსის“, სახელმწიფოს „პირველი მოქალაქის“ წოდების მინი-

---

[1] ი. დოლიძე, ძსძ, II, გვ. 90.

[2] იქვე, გვ. 90, 93.

[3] იქვე, გვ. 21.

[4] იქვე, გვ. 92.

ება. აღსანიშნავია, რომ XIII ს. დამდეგის წყაროებში ამ ტიტულით პირველად მოიხსენიება თამარის ვაზირი ანტონ გლონწისთავის ძე. მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდლის ასე გაძლიერება სამეფო კარის დიდგვარიანი მოხელეებისათვის ისე დანუ მ უღებელი იქნებოღა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ეს თანამდებობა თამარის სამეფო კარზე ისევ გიორგი III ის დროინდელი ვაზირის – ანტონის ხელში აღმოჩნდა. თამარის მეფობის პერიოდში მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელს მეტოქეობას უწევს ამირსპასალარის სახელო. მართლაც, ამირსპასალარი თამარის დროის წყაროებში თითქმის ყოველთვის ვაზირის შემდეგ მეორედ, სხვა ხელისუფალთაგან გამოცალკევებულად, მოიხსენიება. აშკარაა, რომ ვაზირის შემდეგ ამირსპასალარი რანგით მეორე მოხელეა თამარის კარზე; მაგრამ ამ ორ ხელისუფალს შორის ბრძოლა XII ს მეორე ნახევარში და XIII ს. პირველ წლებში მაინც მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდლის სასარგებლოდ წარიმართა იგი დარჩა უპირველეს მოხელედ და, როგორც თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობიდან ჩანს, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს ამირსპასალარის განსარგებლებზეც სამხედრო უწყებაზეც მიუწვდებოდა ხელი[1]. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის არა მარტო პირველობა, არამედ მეთაურობა, უფროსობა „დარბაზის რიგის“ მოხელეთა შორის, როგორც ჩანს, თამარის ეფობის ბოლო წლამდე გაგრძელდა. ეს კი ცენტრალური აპარატის მაღალი რანგის ხელისუფალთათვის არცთუ სასარგებლო ჩანდა: „მეფის მამას“ მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელს თამარის დროის „დარბაზის რიგის“ მოხელეთაგან, ამირსპასალარის გარდა, ვერავინ უპირისპირდებოდა, ამირსპასალარს კი, თავისი სამოხელეო განსაგებლის განსაზღვრულობის გამო, არ შეეძლო შეეცვალა „მეფის მამა“. სწორედ ამან დაბადა დიდებულთა შორის ათაბაგობის ინსტიტუტის შეშოღების იდეა: ათაბაგს მეორე და ახალ „მამას მეფისა“ — წარმატებით შეეძლო ამირსპასალარისათვის გადაუღახავი წინააღმდეგობის დაძლევა. მართლაც, ათაბაგობის შემოღებამ თამარის მეფობის ბოლო წელს საგრძნობლად დააკნინა ვაზირის ხელისუფლება და შესამჩნევი ცვლილებები გამოიწვია სამოხელეო წყობაში. ამას გარდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ საქართველოს სამეფოს პირველი ათაბაგი ამირსპასალარის სახელოსაც ითავსებდა და მანდატურთუხუცესობასაც. ამიერიდან მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს ათაბაგისა და ამირსპასალარის სახელოები ერთად დაუპირისპირდა. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ათაბაგი, ისე როგორც მწიგნობართუხუცესი, „მეფის მამად“ ცხადდებოდა.

რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო, რომ ივანე მხარგრძელმა სწორედ ამ მომენტს გაუსვა ხაზი და „მეფის მამობის“ ბოძება ითხოვა თამარისაგან: „მით განადიდე წყალობაჲ შენი ჩემზედა, რომელ ახალსა და უაღრესსა პატივისა ღირს მყო და ათაბაგობაჲ მიბოძო... რამეთუ მამად დაგამზრდელად მეფეთა და სულტანთა იწოდების ათაბაგი... ყოცა მეფემან და უბოძა ათაბაგობაჲ, რომელი არა ყოფილიყო საქართველოს მეფეთა წინაშე, არცა ვის ჰბოძებოდა“[2]. ახალმა ათაბაგმა კარგად იცოდა, რომ „მეფის მამობა“ მას უფლებას აძლევდა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელთან ერთად, მის პარალელურად საქმეფო ხელისუფლების ყველა უწყებაში ჩაეხედა და თავისი ხელი ჩაერია.

ამრიგად, თამარის მეფობის დასასრულს თანდათან გამოიკვეთა და, რამდენიმე ხნის შემდეგ, არსებითად ჩამოყალიბდა მეორე ვაზირის თანამდებობა. ვა-

---

[1] შდრ. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქსი, II, გვ. 130—131.

[2] ისტორიანი, გვ. 137—138.

ირის ხელისუფლების გაყოფამ კი. ერთი მხრივ, დასაბამი მისცა მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდლის სახელოს დაკნინებას. ხოლო მეორე მხრივ, მოხელეთა გადაადგილებას სამეფო კარზე და, რაც მთავარია, სავაზიროს ჩამოყალიბებას.

მეფის „ძველი და ახალი მამის“ („ჭყონდიდელი მამა არს მეფისა, ათაბაგი ახალია“) - არსებითად ორი ვაზირის პარალელური ხელისუფლების წარმოქმნა ამ ხელისუფალთა შორის გარკვეულ კოორდინაციას მოითხოვდა. ორი ვაზირის (მეფის ორი მამის) განსაგებლის კოორდინაცია კი თავისთავად გამოიწვევდა პირველის ხელისუფლების განაწილება დაკნინებას. ჩვენი აზრით, სწორედ ამან წარმოშვა ვაზირთა საგანგებო სათათბირო ორგანოს სავაზიროს შექმნის აუცილებლობა. სავაზიროს თამარის დროსვე, მისი მეფობის ბოლო წელს უნდა ჩაჰყროდა საფუძველი. ასე რომ სავაზიროს ჩამოყალიბება მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სახელოს წინააღმდეგ დიდებულთა ბრძოლის ლოგიკური შედეგი იყო.

სავაზიროს ჩამოყალიბების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმანაც, რომ მეორე ვაზირი სწორედ ამ დროს და შემდეგაც, საკმაო ხნის მანძილზე ათაბაგობის გარდა, კიდევ ორ სახელოს — ამირსპასალარობას და მანდატურთუხუცესობასაც ფლობდა. ასე რომ სავაზირო უკვე ფაქტიურად გულისხმობდა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს, ათაბაგს, ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცესს. მაგრამ ამ სათათბირო ორგანოს გარეშე არ შეიძლებოდა დარჩენილიყო თამარის დროის დარბაზის რიგის“ მეოთხე (ათაბაგობამდე) მოხელე მეჭურჭლეთუხუცესი. ამას უნდა ნიშნავდეს „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიერ მიცემა „დიდი არს მეჭურჭლეთ უხუცესი“, ანდა „მეჭურჭლეთ უხუცესი ძველი ვაზირი არის, საბატიო“ [1]. მართლაც, მეჭურჭლეთუხუცესი ისევე ძველი მოხელე იყო, როგორც თვით ერთიანი ფეოდალური საქართველოს სამეფო ხელისუფლება.

თამარის მეფობის მიწურულს დაწყებული სავაზიროს ჩამოყალიბების ეს პროცესი, როგორც ჩანს, ერთგვარად დასრულებულ სახეს რუსუდან მეფის დროს იღებს. სავაზიროში მსახურთუხუცესის შეყვანით დასრულდა სავაზიროს ძირითადი შემადგენლობის ჩამოყალიბება: „მსახურთუხუცესი... რუსუდან მეფეს შეუყვანია სავაზიროსა“ წერს „ხელმწიფის კარის გარიგების“ შემდგენელი[2].

მაგრამ ცვლილებები თამარის მეფობისდროინდელ სამოხელეო წყობაში და ბრძოლა მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელის ხელისუფლების წინააღმდეგ ამით არ დამთავრებულა. თამარის შემდეგ სამოხელეო წყობაში მიმდინარე ცვლილებები მეტ-ნაკლები სისრულით აისახა როგორც „ხელმწიფის კარის გარიგებაში“, ასევე ამავე ხანის ნარატიულ წყაროებში. როგორც ჩანს, თანდათან ჩამოყალიბდა „სამთა ვაზირთა“ და „ორთა ვაზირთა“ ჯგუფი. პირველს სათავეში ახალი ხელისუფალი — ათაბაგი ჩაუდგა, ხოლო „ძველი და საბატიო“ ხელისუფალი — მეჭურჭლეთუხუცესი „ორთა ვაზირთა“ ან უკეთ მეორე რანგის ვაზირთა ჯგუფში მოექცა. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი არც ერთ ვაზირთა ჯგუფში არ ივარაუდებოდა, ნათელი გახდება, თუ როგორ მოექცა სავაზიროს სათავეში „დარბაზის რიგის“ შედარებით ახალი ხელისუფალი — ათაბაგი. მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდლის

---

[1] ი. დოლიძე, ქსძ, II, გვ. 85, 96.

[2] იქვე, გვ. 96.

ცელი ვაზირის ხელისუფლების საბოლოო დამარცხებას. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ჯერჯერობით, თუ ფაქტიურად არა, ფორმალურად მაინც ინარჩუნებდა ასლად წარმოქმნილ ვაზირთა შორის პირველობას. გამოთქმა „ვაზირთა უპირველესი“ -მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდლის ვაზირთა შორის პირველობის მაუწყებელი — სწორედ ამ დროიდან უნდა იყოს დამკვიდრებული და არა თამარის მეფობის დროს, როცა სამეფო კარზე ერთადერთი ვაზირი იყო.

თამარის მეფობის დროის ნარატიულ თუ სხვა სახის წყაროებში მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი არსად იწოდება არც „ვაზირთა ვაზირად“ და არც „ვაზირთა უპირველესად“, რაც, ცხადია, შემთხვევითი არ აოის: არსებობდა ერთადერთი ვაზირი: მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი.

თამარის მეფობის დროინდელ წყაროთა შორის ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს „კარაბადინის“ XIII ს. თარგმანის ცნობილი მინაწეორი, სადაც მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი „ვაზირთა ყოველთა უპირველესად“ მოიხსენიება: „ესე წიგნი სააქიმოჲ, ოდეს რუქანდან სულტანი კარნუ-ქალაქსა კართა ზედა გააქციეს, მუნით ალაფად მოიღეს. ქრისტეს მიერ პატრონმან ჭყონდიდელმან, მისმან მწიგნობართუხუცესობამან, პროტოჲპერტიმოსმან და ვაზირთა ყოველთა უპირველესმან, კაცმან გონებამოსავმან და საღმრთოჲთა მსჯაერითა მართლმსაჯულმან, და კელის ამპყრობელმან უღონოთა და ქურივთამან, ქართულად მათარგმანინა მე, მრწასა მათსა, ხოჯა ყოფილსა“[1]. ჩვენ არ ვიცით, როდის არის გაკეთებული ეს მინაწერი, მაგრამ უეჭველია, რომ იგი ბასიანის ბრძოლის შემდეგ წლებს ეკუთვნის. ბასიანის ბრძოლის დროს ალაფად წამოღებული „სააქიმო წიგნის“ თარგმნას საკმაო დრო მოუნდებოდა; ეს მინაწერიც, რა თქმა უნდა, წიგნის თარგმნის შემდეგ არის გაკეთებული, „სააქიმო წიგნიც“ თვეთორე მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის ბრძანებით უნდა იყოს თარგმნილი. ცხადია, მინაწერი თამარის მეფობის ბოლო წლისა და უფრო კი გიორგი-ლაშას გამეფების პირველი წლის მოვლენებს ასახავს. ამ დროს, მას შემდეგ, რაც ორი ვაზირის ხელისუფლება გამოიკვეთა, მართლაც პირველი ვაზირისათვის „ვაზირთა უპირველესი“ უნდა ეწოდებინათ. არათუ ლაშა-გიორგის. არამედ „ხელმწიფის კარის გარიგების“ შედგენის დროსაც მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელი ჯერ კიდევ „მეფის მამად“ და ვაზირობის პირველ მონაწილედ იყო მიჩნეული: „თუ ვაზირობა იყოს, მათ მოაკსენონ ჭყონდიდელსა და ათაბაგსა, ამირსპასალარსა, მეჭურჭლეთუხუცესსა, მსახურთ უხუცესსა და ამილახორსა“ ნათქვამია „კარის გარიგებაში“[2]. ასე რომ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ჯერ კიდევ ვაზირობის არა მარტო წევრია, არამედ პირველი მონაწილეცაა. მაგრამ ამ ამონაწერში, მრსი ნაკლულობის მიუხედავად (ვაზირობის დამსწრეთა შორის მანდატუოთუხუცესი არ ჩანს), კარგად არის ასახული ჭყონდიდელის ხელის თანდათან დაკნინებაც. ჯერ ერთი, ჭყონდიდელს ისევე „მოახსენებენ ვაზირობას“, როგორც უყელა სხვა ხელისუფალს, მაშინ როცა თამარის დროს „დარბაზ ს რიგის“ მოხელეთა თათბირის ორგანიზატორი თვით ვაზირი ჭყონდიდელი იყო. ამას გარდა, ჭყონდიდელის გეერდით, თითქოს თანაბარი უფლებით, ათაბაგი მოიხსენიება.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სახელოს დამცრობა კიდევ უფრო ნათლად ჩანს „ხელმწიფის კარის გარიგების“ სხვა მონაცემიდან, კერძოდ, ჭყონ-

---

[1] ე. თაყაიშვილი, ხელნაწერთა აღწერილობა (რუს.), გვ. 641; შდრ. მისივე, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 27; თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 156.

[2] ი. დოლიძე, ქსძ, II, გვ. 95.

ღიდელის უკლება მივალეობის გახსასღირიდა". „კარის გარგების" მიხედვით, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის საკითხავს შაედგენდა ა) საჯო კარს ჯდომა და ქერიე ობოლთა და საერთოდ მოჩივართა განკითხვა, ბ) „საეკლესიო დასნი", საყდარნი და მონასტერნი რაც არის" და გ) სამეფო საჭურჭლის კონტროლი. ამას გარდა, ძეგლი ზოგადად მიუთითებდა, რომ ჭყონდიდელს, „ვითა მამას ძეფისა", სამეო სახლის ყველა საურავი. საზრუნავი ეკითხებოდა და უამისოდ არ იქნებოდა: მაგრამ ეს უკვე მხოლოდ ზოგადი ფრაზები იყო, მით უფრო მას შემდეგ, რაც „მეფის მეორე მამის" ათაბაგის სახელო გაჩნდა და სამეფოს „ყველა საურავი (ათაბაგის გარეშე) არ იქნებოდა".

ასე რომ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის საგამგებლოში ფაქტიურად დარჩენილი იყო „საჯო კარი" (სასამართლო უწყება), „სასულიერო დასნი" (საეკლესიო უწყება) და „საჭურჭლე" (საფინანსო უწყება). როგორც ჩანს, სამხედრო უწყება (სამეფო სპა, ლაშქრის წვევა) მწიგნობართუხუცესის სახელოდან გამოსულა და უშუალოდ ათაბაგს დაქვემდებარებია. ეს მით უფრო მაშინ იგრძნობოდა, როცა ათაბაგი ამირსპასალარის თანამდებობასაც ითავსებდა. შემთხვევითი არ არის, რომ თამარის შემდეგ თითქმის წესად იქცა ათაბაგობისა და ამირსპასალარობის ერთი პირის ხელში გაერთიანება. ეს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის ხელისუფლების წინააღმდეგ გამართული ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო[2].

ვაზირთა შორის ხელისუფლების გადანაწილებამ, როგორც ირკვევა, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი თანდათან ჩამოაცილა საერო უწყებათა დიდ ნაწილს; ასე რომ მისი ხერ კიდევ პირველობის განმსაზღვრელად არსებითად რჩებოდა „საჯო კარი" და „სასულიერო დასნი". ამგვარი ნომინალური პირველობაც დიდხანს არ გაგრძელებულა. ბრძოლა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლისა და ათაბაგის სახელოებს შორის ამ უანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა. შემთხვევითი არ შეიძლება იყოს, რომ XIV ს. პირველი ნახევრის ისტორიკოსი ათაბაგს უკვე „ვაზირთა უხუცესად" მოიხსენიებს.

ჟამთააღმწერლის ცნობით, „ცნა სულტანმან ჯალალადინ ავაგ ათაბაგისა და ამირსპასალარისა ბიჭნის ყოფა. ენება ნახვა მისი. მოუვლინა მოციქული და რქუა: „შენ ხარ ვაზირთ უხუცესი მეფისა და ითუალავ საქართველოსა".. [3] ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ამ შემთხვევაში გადმოცემულია არა ჯალალ-ედდინის, არამედ თვით ჟამთააღმწერლის შეხედულება საქართველოს ათაბაგის ხელ სუფლებაზე. ათაბაგს გამოცხადება „ვაზირთა უხუცესად". ცხადია, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სახელოს არა მარტო დაკნინების, არამედ გაქრობის ტენდენცია ნიშანიც იყო. ნ. ბერძენიშვილის სავსებით მართებული დასკვნით, „XIII ს-ში პირველი ვაზირი, „ვაზირთა უხუცესი" ნამდვილად არის არა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, არამედ ათაბაგი, რომელიც ამავე დროს ამირსპასალარიც არის"[4].

ათაბაგობის ინსტიტუტმა არა მარტო პირველობა წაართვა XII ს. საქართ-

---

[1] ი. დოლიძე, ქსძ, II, გვ. 81.

[2] ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ეახუშტის განცხადება: „შემდგომად შესძინეს ათაბაგობა, რამეთუ არღარა იწოდებოდა სპასალარად, არამედ ათაბაგად" (ეახუშტი, აღწერა... გვ. 20).

[3] ქრონიკის ცხოვრება, II, გვ. 172.

[4] ნ. ბერძენიშვილი, სი XIII—XIV სს., გვ 59—60.

ველოს ერთადერთ ვაზირს, არამედ გააქრო კიდეც მისი ხელისუფლება. ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევით, ბასილ ჭყონდიდელ მწიგნობართუხუცესის შემდეგ წყაროებში „არც ერთი მწიგნობართუხუცესი სასულდიერო არ იხსენიება“[1] (ბასილ ჭყონდიდელი კი, როგორც ცნობილია, 1265 წელს სიკვდილით დაისაჯა) მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნ. ბერძენიშვილი მაინც ფიქრობს, რომ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის ხელისუფლება ამის შემდეგაც არსებობდა და ჯვრის მონასტრის აღაპებში მოხსენიებული „ჭყონდიდელი გიორგი“ XIV ს. მეორე ნახევრის მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი იყო. ეს თანამდებობის საბოლოოდ დაშლა-დანაწილებისა და გადაგვარების დროდ ნ. ბერძენიშვილი XV საუკუნეს — საქართველოს ერთიანი სამეფოს საბოლოოდ დაყოფას მიიჩნევს[2].

ჭყონდიდელთა ხელისუფლება, როგორც ნ. ბერძენიშვილს აქვს შენიშნული, XVI საუკუნეშიც და შეიდეგაც არსებობდა, მაგრამ იმდროინდელი ჭყონდიდელები მსოლოდ ჭყონდიდის ეპისკოპოსები იყვნენ და მწიგნობართუხუცესობასთან საერთო არაფერი ჰქონდათ[3]. ჯვრის მონასტრის აღაპების გიორგი ჭყონდიდელის მწიგნობართუხუცესობაც საეჭვო ხდება, მით უფრო, რომ XIII ს. მეორე ნახევრისა და შემდეგი დროის ნარატიულ, დოკუმენტურ თუ სხვა სახის წყაროებში საქართველოს სამეფოს „ეზრდილ-ეელესის“ ხსენება საერთოდ წყდება. ეს კი იმდროინდელი წყაროების სიმცირით არ შეიძლება აიხსნას. მეფის შემდეგ უპირველესი მოხელის წყაროებში მოუხსენიებლობა, ცხადია, თვით ამ ხელისუფლების გაქრობით უნდა იყოს გამოწვეული.

წყაროებში უკანასკნელად მოხსენიებული მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის ბასილის წინააღმდეგ გამართული ბრძოლა როგორც მეფის ხელისუფლების, ასევე ეკლესიის მიერ შემთხვევითი არ შეიძლება იყოს და მარტოოდენ მეფის, ულუ დავითის „მალემრწმენობითა და ლიტონობით“ შეუძლებელია აეხსნათ. აღსანიშნავია, რომ ეკლესიაში მეფის პოლიტიკის ერთგულად გამტარებელი ბასილის უკმაყოფილო იყო არა მარტო ეკლესია, არამედ თვით მეფის ხელისუფლებაც, განსაკუთრებით, აღბათ მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელის მიერ „მთავრობის მიტაცებისა“[4] და ზოგიერთი საკითხის „თვინიერ მეფისა კითხეისა“[5] გადაწყვეტის, ე. ი. დამოუკიდებლობისადმი მისწრაფების გამო. სამეფოს უკანასკნელი მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდლის ამგვარი დახასიათება მისი თანამედროვე წყაროების მიერ, მიგვითითებს როგორც თვით პირველი ვაზირის ხელისუფლების გადაგვარებაზე, ასევე ამ ხელისუფლების მფლობელის უკანასკნელ გაბრძოლებაზე პირველი ადგილის კლავ მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად სამეფო კარზე. მაგრამ ათაბაგის ინსტიტუტის თანდათან გაძლიერება, მისი უეჭველი პირველობა, მეფის ხელისუფლებისა და მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის დაპირისპირება და ამ უკანასკნელი სახელოს გადაგვარების აშკარა ნიშნები მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელს ძველ უფლებებსა და პატივში აღდგენის შესაძლებლობას უსპობდა. პირიქით, ზემოხსენებული მიზეზები (და არა იმდენად ბასილ უკანონელის პიროვნული თვისებები) ქმნიდა ნოყიერ ნიადაგს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სახელოს გასაქრობად, ამ თანამდებობათა განსაცალკევებლად და დასანაწილებლად; ყველაფერ ამას თან ერთოლა

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საეზირო, გვ. 29.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] ქართლის წერილი, ქ. ცხ., II, გვ. 269.

[5] იქვე, გვ. 253; შდრ. ი. ჯავახიშვილი, სოციალური ბრძოლის ისტორია, გვ. 40—57.

მონღოლთა ბატონობა და საქართველოს სამეფოს პოლიტიკური და ეკლესიური დაშლის აშკარა ნიშნებიც.

ამრიგად, XII საუკუნისა და XIII ს. დამდეგის ერთიანი საქართველოს თვითმპყრობელური სამეფო ხელისუფლების უპირველესი მოხელე ეზრი XIII ს. მეორე ნახევრის არსებითად დაკნინებული და დანაწილებული საქართველოს სამეფო ხელისუფლების სათვის შეუფერებელი ჩანდა. ჩვენი აზრით, ყოველივე ამან განაპირობა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სახელოს გაქრობა XIII ს. მეორე ნახევრისათვის.

სავაზიროს წარმოქმნის ზემომოცემული მიმოხილვიდან ჩანს, რომ არსებითი ხასიათის ცვლილებები სამოხელეო წყობაში ხდება თამარის მეფობის ბოლო წელს, ათაბაგობის ინსტიტუტის შემოღების წყალობით. ათაბაგობამ მნიშვნელოვნად შეარყია მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლების ძირითადი დასაყრდენის მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სახელო. ლაშა-გიორგი ამაოდ შეეცადა შეეჩერებინა უკვე ჩასახული მოვლენის შემდგომი განვითარება; რუსუდანის მეფობის დროს ყოველივე ამან ერთგვარი დასრულებული სახე მიიღო.

ამრიგად, მიუხედავად დიდგვარიანთა არაერთი გამოსვლისა, თამარმა თავისი მეფობის მანძილზე შეძლო ძირითადად შეენარჩუნებინა თვითმპყრობელური მეფის ხელისუფლების სამოხელეო წყობა და ამ მხრივ თავისი მაჩის გიორგი III-ის საშინაო პოლიტიკური კურსი გაეგრძელებინა.

თავი II

საქართველოს სამეფოს „დარბაზის რიგის“ მოხელეები და მათი ვინაობა

1. ვაზირი - მნიშვნელობა ვაზირობის ეტიმოლოგიისა

თამარ მეფის სახელოსნო პოლიტიკისა და XII ს-ის 80-იან წლებში დიდგვაროვანთა გამოსვლების შედეგების შესასწავლად, სამოხელეო წყობის ძირითადი საკითხების გარკვევასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს „დარბაზის რიგის“, სამეფო ხელისუფლების ცენტრალური აპარატის, მაღალი რანგის მოხელეთა ვინაობის დადგენას და მათი როლის გარკვევას სამოხელეო წყობაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხს ადრევე მიექცა სათანადო ყურადღება. მაგრამ ამ ეპოქის ყველა მოხელის ვინაობის გარკვევა საგანგებოდ ჯერ არავის უცდია.

მკვლევართა ერთი ნაწილი ცალკეულებს თამარის სამოხელეო პოლიტიკაში დიდგვაროვნობა თუ სხვა ფენების გამოსვლებს უკავშირებდა და ერთი მოხელის მეორით შეცვლას დიდებულთა რეაქციის გამარჯვებად მიიჩნევდა.

ასე მაგალითად, პ. ინგოროყვას აზრით, ქართული სამოხელეო წყობის ისტორიაში 1178 - 1184 წლები „სავაზიროს რეფორმის“ ხანაა; ამ დროს, მისი მტკიცებით, „რადიკალურად შეიცვალა მიღებული წესი ვაზირთა დანიშვნისა“ — დიდებული ერისთავების მაგიერ სავაზიროში შეუვანილ იქნა ყველა წრის წარმომადგენელი, „თვით უბრალო აზნაურის ვასალიც“ [1].

ცხადია, გიორგი III-ის ასეთი რეფორმების შემდეგ, თამარის მეფობის პირველი პერიოდი (1184 - 1191 წწ.), პ. ინგოროყვას მიხედვით, სამოხელეო წყობაში იყო „რესტავრაციის ხანა“. ეს კი, მისივე აზრით, გამოიხატა „დიდებულთა ერთნებობითა და თანადგომით“ და მათივე „დიდი დაობაზის“ გადაწყვეტილებით შერჩეული სავაზიროს თამარის მიერ დამტკიცებაში, ამავე დროს სავაზიროში მხოლოდ დიდებულთა წრის, კერძოდ იმ გვარის წარმომადგენელთა აღდგენაში, რომელნიც ვაზირებად ინიშნებოდნენ გიორგი III-ის რეფორმამდე[2]. პ. ინგოროყვას სიტყვით, „ეს იყო სრული რესტავრაცია: აღდგენილ იქნენ უფლებებში ყველა ის გვარები, რომელთაგან ინიშნებოდნენ ვაზირნი გიორგი III-ის რეფორმამდე. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ორი გვარი — ორბელიანნი და ჰერეთის ბაგრატიონნი... მაგრამ ამ ორი გვარის ნაცვლად სავაზიროში შეუვანილ იქმნენ ვაზირნი იმავე მხარეებიდან, როგორც ამ გვართა შემცველნი“[3]. ასე რომ, პ. ინგოროყვას მიხედვით, სარგის მხარგრძელის და

---

[1] პ. ინგოროყვა, რუსთველიანის ეპოქა, გვ. 625 –626.

[2] იქვე, გვ. 629- 631.

[3] იქვე, გვ. 630.

ნიშნა ამირსპასალარად, ხოლო ჰ[illegible]აბერისა – მანდატურთუხუცესად ფაქტიურად იყო ორბელთა და ჰერეთის ბაგრატიონების სავაჭრეულოთა რესტავრაცია.

შემდგომი ცვლილებები თამარისდროინდელ სამხელეო წყობაში, პ. ინგოროყვას აზრით, გიორგი რუსის აჯანყების შემდეგაც შეინიშნება, მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ მოხელეები შეიცვალნენ და არსებითი ხასიათის ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია: „1191 წლის შემდეგ რადიკალური ხასიათის ცვლილებებს სავაზიროს შემადგენლობაში, როგორც ჩვენ ვხედავთ მე 12 საუკუნის ბანძილზე, ადგილი აღარ ჰქონია. მოხდა სტაბილიზაცია სახელმწიფოებრივი წყობისა, განმტკიცება სახელმწიფოებრივი ტრადიციებისა. მომდევნო პერიოდებში, მე-12 საუკუნის დასასრულიდან (1191 წლიდან) მოკიდებული ვიდრე მე-14 საუკუნის დასასრულამდე, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ სავაზიროს ცვლილებანი დაკავშირებული ყოფილიყო დიდებულთა ჯგუფების შეთქმულებასა და ამბოხებასთან“ [1].

როგორც ვხედავთ, საქართველოს სამოხელეო წყობის ცვლილებების ძირითად მიზეზად პ. ინგოროყვას ყოველთვის „დიდებულთა ჯგუფების შეთქმულება და ამბოხება“ მიაჩნია, თორემ, აბა როგორ შეიძლებოდა ემტკიცებინა თამარის მეფობის დროის სამოხელეო წყობის სტაბილურობა 1191 წლიდან ვიდრე XIV ს. დასასრულამდე; ყველა ძირითადი ცვლილება, როგორც ზემოთ ვნახეთ, თამარის მეფობის ბოლო წელს და მომდევნო ხანაში მოხდა; ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თამარის მეფობის ბოლო წელზე მოდის ახალი თანამდებობის — ათაბაგობის შემოღება, არსებითად ამ დროსვე ჩაეყარა საფუძველი სავაზიროს, ხოლო რუსუდანის დროს სავაზიროს ახალი წევრი მსახურთუხუცესი შეემატა. არაფერს ვამბობთ თვით მოხელეთა, განსაკუთრებით მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სახელის დაცრობასა და გაჭრობაზეც, რომელიც პ. ინგოროყვას მიერ სწორედ სამოხელეო წყობის „სტაბილიზაციის პერიოდად“ მიჩნეული ხანისთვისაა დამახასიათებელი.

როგორც ვხედავთ, „დიდებულთა ჯგუფების შეთქმულება და ამბოხება“ არ გამოდგება საქართველოს ფეოდალური მოსარქვის სამოხელეო წყობის ისტორიის პერიოდიზაციისთვის.

მკვლევართა მეორე ნაწილს XII ს. სამეფო ხელისუფლების, გიორგი III-ისა თუ თამარის საშინაო, კერძოდ სამოხელეო, პოლიტიკის სიფუძვლების განმსაზღვრელად მიაჩნია სხვადასხვა დროს სხვა ეროვნების წარმომადგენელთა მაღალ სამოხელეო თანამდებობაზე აღზევება და ადგილობრივ ქართულ ფეოდალურ არისტოკრატიასთან მათი დაპირისპირება. როგორც ზემოთ ვნახეთ, ამ თვალსაზრისით განიხილავდა ს. კაკაბაძე თამარის სამოხელეო პოლიტიკას და ამით იყო ახსნილი მის მიერ მხარგრძელთა დაწინაურება თამარის სამეფო კარზე[2].

ამ მხრივ კიდევ უფრო შორს წავიდა ს. ერემიანი, რომელმაც გიორგი III-ისა და თამარის დროინდელ ცალკეულ უწყებათა განმგებელი თუ სხვა მოხელეები, თითქმის მთლიანად, არაქართველებად (უცხოელებად, სომხებად) გამოაცხადა.

ს. ერემიანი ჯერ კიდევ 1946 წელს გაკვრით შეეხო ჩვენთვის საინტერესო საკითხს და აღნიშნა, რომ გიორგი III-ის დროს, კერძოდ ორბელთა აჯანყების შემდეგ, მეფემ სახელმწიფოს „პირველი ხუთი ვაზირის ოთხი თანამდებობა“

---

[1] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 634.

[2] ს. კაკაბაძე, თამარ მეფე, გვ. 13–14

ყიჩაყათა სამხედრო ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებს გადასცა[1]. ს. ერემიანის აზრით, ყიჩაყი იყო არა მარტო ყუბასარი-მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი, არამედ აგრეთვე აფრიდონი-მსახურთუხუცესი და ყუთლუ არსლანიც –მეჯურჭლეთუხუცესი[2]. ასეთივე თვალსაზრისი განავითარა ს. ერემიანმა თავის ერთ წერილში, სადაც უფრო გარკვევით შეეხო არა მარტო გიორგი III-ის, არამედ თამარის სამოხელეო პოლიტიკასაც.

ს. ერემიანის მტკიცებით, გიორგი III-მ ოპოზიციური ქართული ფეოდალური ზედაფენის დამორჩილება შეძლო ყიჩაყთა სამხედრო არისტოკრატიის აღზევებით და მასზე დაყრდნობით: „მეტნაკლებად საპასუხისმგებლო თანამდებობანი სახელმწიფო მმართველობაში მეფემ გადასცა სასახლის გვარდიის სამხედრო ხელისუფალთ – ყიჩაყთა ლაშქრის წარმომადგენლებს. ორბელთა ფეოდალური საგვარეულოს დაშხობის შემდეგ ამირსპასალარის სახელო მიიღო მეფის თავდადებულმა მსახურმა ყიჩაყმა ყუბასარმა". მანდატურთუხუცესის თანამდებობაც „გადასცა იმავე ყუბასარს, ორბელთა განადგურებული გვარის უველა სიკეთესთან ერთად. მეორე ყიჩაყმა, სამხედრო ხელისუფალმა აფრიდონმა მიიღო მსახურთუხუცესის თანამდებობა, ხოლო ყიჩაყმა ყუთლუ არსლანმა — ფინანსთა მინისტრისა, მეჯურჭლეთუხუცესისა"[3]. ამრიგად, ს. ერემიანის მტკიცებით, გიორგი III-ის დროს „დარბაზის რიგის" ოთხი მაღალი რანგის თანამდებობა ყიჩაყებს ჰქონიათ დაკავებული. ს. ერემიანი ამ შემთხვევაში ანგარიშს არ უწევს საისტორიო წყაროებს, რომელთა ჩვენებები ეწინააღმდეგება მის აღნიშნულ მსჯელობას: როგორც აფრიდონი, ისე ყუთლუ-არსლანი წყაროების ჩვენებით ქართველები იყვნენ და არა ყიჩაყები, ხოლო ყუბასარი იყო არა ყიჩაყი, არამედ — „ნაყიჩაყარი", ე. ი. უკვე გაქართველებული და შესული ქართველი ფეოდალური არისტოკრატიის რიგებში. ამ საკითხზე ჩვენ უფრო ვრცლად ქვემოთ შევჩერდებით.

ამრიგად, ს. ერემიანის აზრით, გიორგი III-მ ყიჩაყები დააწინაურა, ხოლო თამარმა — სომხები: „ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში გამეფებულმა თამარმა დაიწყო ქართველი და სომეხი დიდებულების დაახლოების პოლიტიკა, რამაც „უგვარო" ყიჩაყთა დიდკაცობის უკმაყოფილება გამოიწვია"[4]. მიუხედავად ამისა, თამარის სამოხელეო პოლიტიკა მაინც ამ მიმართულებით წავიდა, რასაც შედეგად მოჰყვა ძმები დოლგორუკების (ასე უწოდებს ს. ერემიანი მხარგრძელებს) გაბატონება ქვეყნის მმართველობაში: „ზაქარია დოლგორუკმა თავისი მარჯვე და მოქნილი პოლიტიკით შეძლო ქვეყნის ფაქტიური მმართველი გამხდარიყო... თამარი მთლიანად აღმოჩნდა ყოელისშემძლე ძმების ზაქარია და ივანე დოლგორუკების ძალაუფლების ქვეშ"[5].

მკვლევართა ამგვარი მოსაზრებანი ძირითადად დამყარებულია, ერთი მხრივ, ცალკეულ მოხელეთა იდეალიზაციაზე, ხოლო მეორე მხრივ, XII ს. საქართველოს სამოხელეო წყობის არსის გაუგებრობაზე. ამის მაგალითია აგრეთვე ლ. ბაბაიანის გამოკვლევა[6], სადაც იგი საკმაოდ ვრცელ მსჯელობას მართავს საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ. ლ. ბაბაიანის ნაშრომსა და მასში დაშვებულ შეცდომებზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

---

[1] ს. ერემიანი, იერი ბოგოლუბსკი (რუს.), გვ. 399.

[2] ს. ერემიანი, აღარწინის წარწერა (რუს.), გვ. 84—85.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 85.

[5] ს. ერემიანი, იერი ბოგოლუბსკი (რუს.), გვ. 415.

[6] ლ. ბაბაიანი, სომხეთის ისტორია (რუს.), გვ. 14—17.

XII—XIII სს. მიჯნის საქართველოს სამოხელეო წყობის ისტორიის მცდარად გაგების ერთ-ერთი მიზეზი, ჩვენი აზრით, საქართველოს სახელმწიფოს უპირველესი ხელისუფლის ვაზირის, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის როლის შეუფასებლობასა და უგულებელყოფაში უნდა ვეძიოთ.

XII ს. „დარბაზის რიგის“ ყველა მოხელის ვაზირად გამოცხადებამ, ზოგიერთი „ვაზირის“ როლის გაზვიადებამ, ხშ ირ შემთხვევაში მათმა გათანაბრებამ მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელთან, ამ სთანავე თამარის მეფობის ხანაში „სავაზიროს“ (თანასწორუფლებიან ხელისუფალთა, ვაზირთა საკრებულოს) არსებობის მტკიცებამ საფუძველი მისცა ზოგ მკვლევარს ესა თუ ის ვაზირი თვით მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელზე მაღლა დაეყენებინა და ქვეყნის ფაქტიურ გამგებლად გამოეცხადებინა.

მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელი, დავით აღმაშენებლის დროიდან, სახელმწიფოს უპირველესი ხელისუფალი იყო მეფის შემდეგ. ამ ხელისუფლების ერთბუნებიანობამ, რომელიც ასე ხაზგასმულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში[1], იგი მონარქიის სამოხელეო წყობაში მეფის ხელისუფლების ძირითად დასაყრდენ ძალად აქცია. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ხელისუფლება მთლიანად დამოკიდებული იყო მეფის ხელისუფლებაზე და ამიტომაც იგი ყოველთვის იბრძოდა სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელოს ბუნება. მისი არსებითი განსხვავება მონარქიის სხვა „დარბაზის რიგის“ ხელისუფალთაგან, განსაზღვრავდა მის დიდ როლს, მაგრამ ამ თვალსაზრისით უმნიშვნელო არ იყო აგრეთვე ისიც, რომ პერსონალურად ვის ეპყრა ეს თანამდებობა. ამიტომ იყო, რომ სამეფო ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა ამ თანამდებობაზე უველაზე ერთგული და სანდო პირი ჰყოლოდა. შემთხვევითი არ იყო, რომ პირველი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი გიორგი დავით აღმაშენებლის ახლობელი, მისი „თანააღზრდილი“ იყო[2]. შემთხვევითად არც ის შეიძლება მივიჩნიოთ, რომ პირველი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი დაიმარხა „მონასტერსა ახალსა“ გელათს, სამეფო საძვალეში; ეს კი ზოგ მკვლევარს (მაგ., თ. ჟორდანიას) იმის საფუძველსაც აძლევდა, რომ გიორგი ჭყონდიდელის „მეფური წარმომავლობა“, ე. ი. სამეფო საგვარეულოსადმი კუთვნილება ემტკიცებინა[3].

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელ ს თანამდებობაზე უველაზე სანდო პირის დანიშვნა მარტო დავით აღმაშენებლის საზრუნავი საგანი არ ყოფილა. ასევე. გიორგი III-ის დროსაც მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობა ებოძა მის უახლოეს პირს — ანტონ გლონისთაისძეს, რომელიც, თამარის ისტორიკოსის სიტყვით, იყო „გაზრდილი მამისა მათისაჲ“[4], ე. ი. გიორგი III-ისა. თამარის მეორე ისტორიკოსის დახასიათებითაც, ანტონი იყო „პატრონისა ერთგული უზომოდ“[5]. აღსანიშნავია, რომ გიორგი III-ის

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საუბარი, III, გვ. 30—32 და სხვა.

[2] დავითის ისტორიკოსი, გვ. 336.

[3] იქვე, გვ. 337; შდრ. თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 249; ნ. ბერძენიშვილის აზრით კი, გიორგი ჭყონდიდელი არ ეკუთვნოდა სამეფო საგვარეულოს, მაგრამ საეჭვოდ მიიჩნია ქნობა მისი გულთან დამ რხვის შესახებ (იხ. საუბარი, გვ. 34—35).

[4] ისტორიანი, გვ. 78.

[5] ბასილი, გვ. 18.

მოხელეთა შორის „მეფის გაზრდილად“ მხოლოდ სამი მოხელე – ანტონ გლონისთავისძე, უფასარ და ვაჩეგრი მოიხსენება. „გაზრდილი“ ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, საგანგებო ტერმინია, რომელიც ხაზს უსვამს ამ პირთა განსაკუთრებულ სიახლოვეს სამეფო სახლთან, საგვარეულოსთან.

ჩვენ, სამწუხაროდ, დანამდვილებით არ ვიცით, თუ რა დროიდან მიიღო ანტონმა მწიგნობართუხუცესობა-ჭყონდიდლობა. მაგრამ ზოგ ერთი არაპირდაპირი მონაცემიდან ირკვევა, რომ მას ეს თანამდებობანი გიორგი III-ის მეფობის ბოლო წლებში. კერძოდ, ორბელთა აჯანყების შემდეგ უნდა მიეღო. ზოგი მკვლევრის ვარაუდით, ანტონი ვახტანგ V-ის თანამდებობაზე 1179 წლიდან იყო. მართლაც, შანშორის ბრძოლისას შესახედაობით ჯერ კიდევ „ჭაბუკ“ კაცს არ შეიძლებოდა სამეფო კარის ეს უმაღლესი თანამდებობა 1179 წლამდე ადრე მიეღო. ორბელთა აჯანყების შემდეგ, მაშინ როცა გიორგი III ზედიზედ აწინაურებდა მის ეროვნულ პირველს. მიუხედავად მათი წარმომავლობისა, ანტონ გლონისთავისძის დანიშნა ვაზირად, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლად თავისთავად მეტყველებს მის პიროვნულ ღირსებებსა და ერთგულებაზე. იგი, როგორც ჩანს, მართლაც იყო „პატრონისა (მეფისა) ერთგული ეზომოდ“.

ასეთი პირის ვაზირობას მით უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალის, თამარის მეფობისას. ამიტომაც იყო, რომ თამარის მეფობის პირველსავე წელს დიდგვაროვნებმა, როგორც ჩანს, გაილაშქრეს არა მარტო ყუბასარისა და აფრიდონ ს, არამედ ანტონ გლონისთავისძის წინააღმდეგაც. მაგრამ ამ შემთხვევაში ბრძოლის ხერხი სხვაგვარი უნდა ყოფილიყო. შემთხვევითი არ არის, რომ ყუბასარსა და აფრიდონს საერო დიდებულები დაუპირისპირდნენ, ხოლო ანტონ გლონისთავისძეს უზენაესი საეკლესიო ხელისუფალი – კათალიკოსი. ბრძოლა პირველ ხანებში, თამარის ტახტზე ასვლის მომენტისათვის, ანტონის მოწინააღმდეგეთა სასარგებლოდ წარიმართა კათალიკოსმა შეძლო მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის ხელისუფლების „მოვერაგება“, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი წარმატება იყო.

„ისტორიანისა და აზმანის“ ავტორის მიხედვით, ყუთლუ არსლანისა და მისი დასის გამოსვლის დამთავრებისა და ეროვნული საშინაო მშვიდობის დამყარების შემდეგ, თამარის ბრძანებით ახალი მოხელეები დაინიშნა: „პირველად გარდაცვალებასა და გამორჩევასა შინა ორთა ვაზირთა და სპასპეტთასა, თანადგომითა და ერთნებობითა[2] ბრძანა დამტკიცებად ჭყონდიდლად მწიგნობართა უხუცესად[3], ვაზირად, გაზრდილივე მამისა მათისა, ბრძენი და გონიერი, პატრონთათჳს სვიანი დაერთგული და შემცნებელი საურავთა (ანტონი). და განაჩინა ამირსპასალარი სარგის მკარგრძელი, კაცი გუარიანი და აღზრდილი ლაშქრობათა შინა“[4]. მოტანილი ცნობის მიხედვით, თამარმა როგორც უკვე სავსებით დამოუკიდებელმა გამგებელმა, თავისი მოღვაწეობა არსებითად გიორგი III-ის გაზრდილის ანტონის მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლად.

---

[1] ს. ე რ ე მ ი ა ნ ი, აღარწინის წარწერა, გვ. 85. შდრ. ა გ რ ე თ ე ლ ი ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, გვ. 12–13.

[2] ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე უმატებს „შჯდთაჳს სამეფოთა დიდებულთაჲთა“.

[3] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე უმატებს [და ვაზირთა], რაც საკმაოდ ზედმეტია.

[4] მარიამისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 409; შდრ. ი ს ტ ო რ ი ა ნ ი, გვ. 78.

ე. ი. ვაზირად დანიშვნით დაიწყო. ისტორიკოსის ცნობით, ამავე დროს მოხდა აგრეთვე, გადაყენებული ყუბასარის მაგიერ, ასევე თამარის მამის დროს უკვე სახელგანთქმული სარგის მხარგრძელის დანიშვნა ამირსპასალარად. ამ ამბების თანადროული იყო, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სხვა „დარბაზის რიგის" მოხელეთა დანიშვნაც. ყველაფერი ეს კი, ამავე ისტორიკოსის თხრობის თანმიმდევრობის მიხედვით, დიდგვარიანთა და ყუთლუ-არსლანის დასის აჯანყების შემდეგ, თამარის ხელმეორედ კურთხევის პირველ (1184) წელსვე ხდება.

თამარის პირველი ისტორიკოსის მრავალმხრივ საინტერესო ამ ცნობას ეწინააღმდეგება შეორე, ივ. ჯავახიშვილის მიერ ბასილ ეზოსმოძღვრად მიჩნეული, ისტორიკოსის ცნობა.

განვიხილოთ ეს ცნობაც და მასთან დაკავშირებული მოვლენებიც: ბასილის მიხედვით, თამარის გამეფებისთანავე მოწვეული საეკლესიო კრების უმთავრესი მიზანი კათალიკოსის მიქაელის გადაყენება იყო, რომელმაც „რამეთუ წინაუკმო რამე იწყო წესთაგან ეკლესიათა" და ამავე დროს „ჰყონდიდელმაწყუვარელობა და მწიგნობართუხუცესობა მოევერაგა უფლისაგან. არამედ ვერა განაყენეს, დაღაცათუ ფრიად იღუწეს, რომელი ადრე თუით განაყენა სასჯელმან ღმრთისამან" [1]. როგორც ჩანს, მიქაელს, საქართველოს საეკლესიო ხელისუფალს, ვაზირის თანამდებობაც „მოევერაგა უფლისაგან". კონკრეტულად თუ ვის წაართვა ეს ხელისუფლება, მართალია, მოტანილ ამონაწერში მითითებული არ არის, მაგრამ საამისო ცნობები მოეპოვება, როგორც თვით ბასილს, ასევე „ისტორიანისა და აზმანის" ავტორსაც. ბასილის მიხედვით, თამარმა, მიქაელ მირიანის ძის გარდაცვალების შემდეგ, „მოიყვანა ანტონი გლონისთავის ძე გარეჯით, რომელ პირველ ჰყონდიდელ იყო და მიქაელ კათალიკოზმან მას მისტაცა, მოძმაცითა ვიეთამე მეფისა განმძრახთათა, ესე მოიყვანეს"[2]. მაგრამ ანტონისაგან მიქაელს მარტო ჰყონდიდლობა რომ არ მოუტაცნია და რომ ანტონი „პირველ", ე. ი .ადრევე, მარტო ჰყონდიდელი რომ არ იყო, ეს კარგად ჩანს თამარის პირველი ისტორიკოსის თხრობიდან. „ისტორიანისა და აზმანის" ავტორის მიხედვით, გარდაცვლილი გიორგი III-ის ცხედარს თავზე ადგნენ: „მიქაელ პატრიაქი... და ვაზირი ანტონი და ამირსპასალარი ყუბასარი და სხუანი ქელისუფალნი: ყუთლუ-არსლან მეჰურჭლეთ-უხუცესი, ვარდან დადიანი ჩუხჩარხი, ჭიაბერი მეჯინიბეთ-უხუცესი, აფრიდონი მსახურთ-უხუცესი, ივანე (...) და დიდებულნი და აზნაურნი"[3]. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ვაზირად მოხსენიებული ანტონი იგივე ანტონ გლონისთავისძეა, რომელსაც ბასილი ზემოთ მხოლოდ ჰყონდიდლის ტიტულით მოიხსენიებდა. ანტონის ერთ ცნობაში ვაზირად, ხოლო იმავე დროს მეორე ცნობაში მისი ჰყონდიდლად მოხსენიება შეიძლება მხოლოდ ანტონის მწიგნობართუხუცესობა-ჰყონდიდლობას გულისხმობდეს. ცხადია, არც ერთ საეკლესიო ხელისუფალს, გარდა ჰყონდიდელისა, არ შეიძლებოდა ჰქონოდა სამეფო კარზე ვაზირის თანამდებობა; ჰყონდიდლის ვაზირობა კი, როგორც ეს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში სავსებით ნათლად არის ნაჩვენები, ამ საეკლესიო თანამდებობასთან ერთად, საერო, მწიგნობართუხუცესის თანამდებობის გაერთიანებას გულისხმობდა. ჩვენ ასეთი განმარტება არც დაგვჭირდებოდა, რომ კ. კეკელიძეს ზემომოტანილი ცნობების მიხედვით, გიორგი III-ის გარდაცვალების დროისათვის მწიგნობართუხუცე-

---

[1] ბასილი, გვ. 16.

[2] ბასილი, გვ. 18. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 122.

[3] ისტორიანი, გვ. 72.

სობა და ჭყონდიდლობა ერთმანეთისაგან განცალკევებულად, ხოლო ვაზირად მოხსენიებული ანტონი მხოლოდ ჭყონდიდლად არ მიეჩნია [1].

ამრიგად, მიქაელ მირიანის ძეს მწიგნობართუხუცესობა-ჭყონდიდლობა, ე. ი. ვაზირობა სწორედ ანტონისაგან მიუტაცნია, ეს კი, როგორც ზემომოტანილი ცნობებიდან სავსებით ნათლად ჩანს, გიორგი III-ის გარდაცვალების უმალ და თამარის ხელმეორედ კურთხევამდე მომხდარა.

როგორც ირკვევა, გიორგის გარდაცვალებისთანავე ანტონ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის წინააღმდეგ იბრძოდნენ არა მარტო კათალიკოსი, არამედ ერისკაცებიც. საგულისხმოა, რომ, ბასილის ცნობით, მას „ლიპარიტეთის დრკუ ძირისა ნაყოფნი“ კახაბერის შვილნიც ებრძოდნენ, რომელთაც „ორნი ძმანი ანტონ ჭყონდიდელისანი დახოცნეს“ [2]. ეს შემთხვევითი არ შეიძლება იყოს და ვაზირის თანამდებობიდან ანტონის გადაგდომის ერთ-ერთი მიზეზიც უნდა ყოფილიყო. მაგრამ მთავარი მაინც კათალიკოსის მძლავრობა იყო, რომელმაც, როგორც ჩანს, ისარგებლა თვითმპყრობელი მეფის გარდაცვალებით და ახალი მეფის ტახტზე ასვლამდე „მოივერანგა უფლისაგან“ ეს მაღალი საერო თანამდებობაც.

ი. ჯავახიშვილს გარკვეული აქვს, რომ ისტორიკოსის მიერ მოხსენიებული „უფალი“, რომლისგანაც „მოივერაგა“ ვაზირობა მიქაელმა, არ შეიძლება თვით თამარი იყოს, რადგან ხელისუფლების „მოვერაგება“ თამარის ხელმეორედ კურთხევამდე, ამაზე უწინ, სწორედ თამარის კურთხევის უზრუნველსაყოფად მოხდა, თამარის გამეფებისათვის თავდადებით მებრძოლი დასის შეთაურის რუსუდან დედოფლის წყალობით [3]. მართლაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ძნელი წარმოსადგენია მიქაელს თამარისაგან „მოვერაგა“, მიეღო ვაზირობა და იმავე თამარს მეფედ კურთხევისთანავე, პირველ რიგში სწორედ მიქაელის არა მარტო ვაზირობიდან, არამედ საერთოდ ყოველგვარი თანამდებობიდან გადასაყენებელი ღონისძიება (საეკლესიო კრება) ჩაეტარებინა.

ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა თვალსაზრისზე დგას ი. ცინცაძე; მისი აზრით, ანტონს ვაზირობა, ე. ი. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლობა თამარმა

---

[1] ჯ. ქ ე კ ე ლ ი ძ ე „ისტორიანისა და აზმანის“ ერთი ადგილის განმარტებასა და აღდგენის ქ.დასთან დაკავშირებით წერდა: „გიორგი III-ის გარდაცვალებისას, თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით, ანტონი გლონისთავის ძე არის ვ ა ზ ი რ ი... მეორე ისტორიკოსის ცნობით, ის ამავე დროს ჭ ყ ო ნ დ ი დ ე ლ ი ყოფილა... არც პირველი და არც მეორე ისტორიკოსი მას, ანტონს, მწიგნობართუხუცესად ამ დროს არ იხსენიებს, რაც გ.უგებაური იქნებოდა, თუ მას ასეთი ღირსმდებობა მართლაც ჰქონდა მაშინ. მაშასადამე, ამ მომენტში მწიგნობართუხუცესობა და ჭყონდიდლობა ერთმანეთისაგან განცალკევებული: მწიგნობართუხუცესად ივანე ქობულისძეა, ჭყონდიდლად ანტონი (ამ წელს ან მომდევნოს, ჩანს, მიქელ პატრიარქმა ანტონს ჭყონდიდლობა მოსტაცა, ივანეს კი მწიგნობართუხუცესობა“) (ისტორიანი, შესავალი წერილი, გვ. 49), ქ. ქ ე კ ე ლ ი ძ ე ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ: ა) როგორც ითქვა, ანტონის ჭყონდიდლად და ამავე დროს ვაზირად მოხსენიება თავისთავად გ ა ლ ი ს ხ მ ო ბ ა მის მწიგნობართუხუცესობასაც; ბ) ათონის ივერთა მონასტრის აღაპებში მოხსენიებული იოვანე, როგორც ეს ნ. ბერძენიშვილმა გაარკვია, მწიგნობართუხუცესის თანამდებობას ანტონის თანადროულად კი არ ფლობდა, არამედ მ.ს.ზე უწინარეს, კერძოდ 1178/79 წლებშიც და, როგორც ჩანს, სწორედ ანტონმა შეცვალა იგი ამ თანამდებობაზე (იხ ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო, გვ. 12).

ქ. ქ ე კ ე ლ ი ძ ე, ჩანს, თვით არ იყო დარწმუნებული თავისი მოსაზრების სისწორეში და ალბათ ამით აიხსნება, რომ „ისტორიანისა და აზმანის“ ტექსტის საკუთრივ ეს ადგილი აღუდგენლად დატოვა (იხ. გვ. 72) და ივანეს არც ქობულისძეობა შეუტანია და არც მისი მწიგნობართუხუცესობა.

[2] ბ ა ს ი ლ ი, გვ. 24.

[3] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქსი, II, გვ. 145 და სხვ.

გამეფებისთანავე მართლაც „დაუმტკიცა", მაგრამ ანტონი თამარმა ხელახლა კი არ დანიშნა ამ თანამდებობაზე, არამედ მხოლოდ „დაამტკიცა" გიორგი III-ის ბრძანება ანტონისათვის ვაზირობის ბოძების შესახებ. ამას უნდა ნიშნავდეს, ი. ცინცაძის მისედვით, თამარის პირველი ისტორიკოსის ზემომოტანილი სიტყვები — „ბრძანა დამტკიცებად".[1] მაგრამ თამარის მიერ ხელახლა დამტკიცებულ ვაზირს, ი. ცინცაძის აზრით, ეს თანამდებობა მიქაელ მირიანის ძემ „მისტაცა", წაართვა გიორგი რუსი უფლისწულის თამარის მეფე ქმრისა და მის თანამზრახველთა წყალობით, ხელშეწყობით. ასე რომ იმ „უფალში", რომლისგანაც მიქაელს მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდლობა „მოევერაგა", უფრო ადვილი შესაძლებელია რუსი უფლისწული, თამარის მეფე-ქმარი იგულისხმებოდეს" — ასკვნის ი. ც ნცაძე[2]. შემდეგ ამ ეარაუდს იგი უფრო კატეგორიულ ფორმას აძლევს და დაბეჯითებით აცხადებს: „რუსი უფლისწულის ხელშეწყობით და სხვათა მხრდაჭერით მიიღო მიქაელმა მწიგნობართუხუცესობა".[3] ი. ცინცაძე მიქაელის მიერ ვაზირობის მიტაცების დროის განსაზღვრასაც გვთავაზობს და დასკვნის სახით წერს: „ის გარემოება, რომ თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის ცნობით, ანტონი მწიგნობართუხუცესად თამარის მიერ 1185 წელს „თანამდგომობით და ერთნებობით" არის დადგენილი, რუსი უფლისწულის მოყვანა კი საეკლესიო კრებაზე არის დამტკიცებული, ხოლო საეკლესიო კრება 1185 წელზე ადრე არ უნდა იყოს მოწვეული, აგრეთვე გამოთქმა „მეფის განმზრახნი" რომ ეფრო მეფე-ქმრის ხალხს უნდა გულისხმობდეს, გვაფიქრებინებს, რომ მიქაელის მიერ მწიგნობართუხუცესობის მიტაცება ოუსი უფლისწულის სასახლეში შეყვანის შემდეგ მომხდარა"[4]. ამრიგად. ი. ცინცაძის მიხედვით თამარმა 1185 წ. „დაამტკიცა" ანტონი მწიგნობართუხუცესად. ამავე წელს (1185 წ.) მოიწვიეს საეკლესიო კრება, რომელმაც „დაამტკიცა" თამარის საქმროდ გიორგი უფლისწულის ჩამოყვანა[5]; ამის შემდეგ მოხდა გიორგის „სასახლეში შემოყვანა", ე. ი. მისი მიღება თამარის მეფე-ქმრად, თამარის მიერ დამტკიცებული ანტონის მწიგნობართუხუცესის თანამდებობიდან, ვაზირობიდან გადაყენება და მისი მიტაცება მიქაელის მიერ. ასე რომ ანტონის თანამდებობის მიტაცება მიქაელის მიერ საეკლესიო კრებამდე კი არ მომხდაოა. როგორც ი. ჯავახიშვილი ფიქრობდა, არამედ საეკლესიო კრებისა და კიდევ მეტი, გიორგი რუსის მეფე ქმრად კურთხევის შემდეგ.

მაგრამ ყოველივე ეს ეწინააღმდეგება თვით იმავე ისტორიკოსის მონაცემებს, რომელსაც ამ შემთხვევაში ემყარება ი. ცინცაძე. თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობით. როგორც ეს ზემოთაც ენახეთ, საეკლესიო კრების ძირითადი მიზანიც სწორედ „საეკლესიო წესთა შემშლელი", მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის თანამდებობის მიმტაცებელი კათალიკოსის მიქაელ მირიანისძის

---

[1] ი ც ნ ც ა ძ ე, ძ ებანი, გვ. 120.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 121.

[3] ი ქ ვ ე, გვ 123; შდრ. აგრეთვე გვ. 122, 129, 147, 349.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 122.

[5] თამარის საქმროს კანდიდატის „დამტკიცება" არ შეიძლებოდა საეკლესიო კრების კომპეტენცია ყოფილიყო. ისტორიკოსის ცნობით, საეკლესიო კრებ მ კი არ განიხილა ეს საკითხი, არამედ საეკლესიო კრების მონაწილეებმა და „სპასალარებმა და ერისთავებმა" კრების დასასრულს გადაწყვიტეს „ზოგად (ე. ი. ერთად) ღეანონ შემოყუანებად სიძისა და თამარისათჳს. რომელიც ყუესცა" (ბ ა ს ი ლ ი, გვ 16). მაგრამ ის კი ცხადია, რომ „სიძის შემოყუანების" საკითხი მაშინ დადგა, როცა „აღივსებოდა (საეკლესიო) კრება", ე. ი. როცა ის დასრულდა და როცა მის მონაწილეთ „სპასალარები და ერისთავები" შეეკრთდნენ.

გადაუნება იყო. ბასილის სიტყვით, საეკლესიო კრების მონაწილეებმა „არა ინებეს შორის მათსა ყოფად მაშინდელი იგი ქართლისა კათალიკოზი, რამეთუ წინაუკმო რამე იწყო წესთაგან ეკლესიისათა და ჴყონდიდელ-მაწყუერელობა და მწიგნობართუხუცესობა მოეევრაგა უფლისაგან. არამედ ეერა განაყენეს, დაღაცათუ ფრიად იღუაწეს".[1] ცხადია, მიქაელ მირიანის ძეს საეკლესიო კრებამდე მიუტაცნია ჴყონდიდელ-მაწყუერელობა და მწიგნობართუხუცესობა, საეკლესიო კრებამაც მის გადასაყენებლად „ფრიად იღუაწა", მაგრამ ვერ მოახერხა.

ამავე ისტორიკოსის ცნობით, საეკლესიო კრების „აღსების" (დასრულების) შემდეგ კი მისმა მონაწილეებმა და საერო ხელისუფლების წარმომადგენლებმა „ზოგად იღუაწეს" „შემოყუანებად სიძისა თამარისათჳს", ე. ი. გიორგი უფლისწულის ჩამოყუანის საკითხის გადასაწყვეტად.

ამრიგად, „მიქაელის მიერ მწიგნობართუხუცესობის მიტაცება რუსი უფლისწულის სასახლეში შემოყუანის შემდეგ" კი არ მომხდარა, არამედ ამაზე გაცილებით ადრე, საეკლესიო კრების მოწვეევამდე და თამარის საქმროს შერჩევამდე. ამკარაა, რომ გიორგი უფლისწული მიქაელის მიერ ვაზირობის „მოევრაგებაში" მონაწილეობას ეერ მიიღებდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის იმ დროს არათუ საქართველოში არ ყოფილა, თამაროს საქმროდ მისი ჩამოყუანაც კი არ იყო გადაწყვეტილი.

ისტორიკოსის ზემომოტანილი ნათელი ცნობის შემდეგ შეიძლება ზედმეტიც იყოს დამატებითი მასალის მოშველიება, მაგრამ მაინც საჭიროდ მივიჩნევთ უურადღება მივაქციოთ ერთ მნიშნელოვან გარემოებასაც. ზემოხსენებულ საეკლესიო კრებას, ისტორიკოსის ცნობით, ხელმძღვანელობდნენ ყოფილი კათალიკოსი ნიკოლოზ გულაბერისძე და ანტონ ქუთათელი. საეკლესიო კრების დროს ანტონ გლონისთავისძეს რომ მწიგნობართუხუცეს-ჴყონდიდლის თანამდებობა სჴეროდა და იგი უკვე მიქაელს არ ჰქონოდა მიტაცებული, რა თქმა უნდა, კრების უმთავრესი მესვეური და კრებაზე სამეფო ხელისუფლების სურვილის გამტარებელი მეფის ვაზირი მწიგნობართუხუცეს-ჴყონდიდელი იქნებოდა და არა ყოფილი კათალიკოსი და ქუთათელი. ყოფილი ვაზირი ანტონ გლონისთავისძე კრებას იქნებ ესწრებოდა კიდეც, მაგრამ, ცხადია, არა როგორც ჴყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, არამედ როგორც უბრალო, გარეჯელი მონაზონი და, ბუნებრივია, ამიტომაც არ მოიხსენია იგი ისტორიკოსმა საეკლესიო კრების მესვეურთა შორის. ესეც კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართლის კათალიკოსის მიერ ვაზირის თანამდებობის მიტაცებას საეკლესიო კრების მოწვეევამდე და თავისთავად გამოოიცავს გიორგი უფლისწულის რაიმე მონაწილეობას ამ საქმეში. ყველაფერი ეს საფუძველს აცლის ი. ცინცაძის მოსაზრებას „მეფე-ქმრის" თუ მის „განმზრახთა" მიერ სამეფო ხელისუფლების საზიანო ღონისძიებათა გატარების, სამეფო ხელისუფლების დიდი მარცხისა და ყოველივე ამაზე თვით თამარის ნაძალადევი დასტურის შესახებ[2].

ამდენად, ჩვენი აზრით, ი. ჯავახიშვილის ზემომოტანილი მოსაზრება ამ საკითხზე მართებულია. მიქაელ მირიანის ძეს, ჩვენი აზრით, კათალიკოსობაც არ უნდა ჰქონდეს მიღებული კეთილსინდისიერი გზით. ამაში გვარწმუნებს არა მარტო ის, რომ მიქაელს, როგორც პიროვნებას, თანამდებობების მიტაცებისაკენ ჰქონია მიდრეკილება, არამედ აგრეთვე თამარის მეორე ისტორიკოსის საგულისხმო ცნობაც ნიკოლოზ გულაბერისძის მიერ „სიმდაბლის ძალით" კათა-

---

[1] ბასილი, გვ. 16.

[2] ი. ცინცაძე, ძიებანი, გვ. 119—126.

ლიკოსობის დატოვების შესახებ: „პირველად აღმოუწოდა იერუსალიმით ნიკოლოზ გულაბერისძესა, რომელსა სიმდაბლისა ძალითა ექმნა ქართლის კათალიკოზობისაგან“[1]. საფიქრებელია, რომ ნიკოლოზის თავმდაბლობას მომავალი კათალიკოსის მიმძლავრებაც დართვია თან. ამ ეპეს ისიც აძლიერებს, რომ თამარის მიერ მეორედ კურთხევისთანავე სახელდახელოდ მოწვეულ საეკლესიო კრებას, რომლის ძირითადი მიზანიც მიქაელის, როგორც კათალიკოსის, გადაყენება იყო, თამარმა სწორედ ყოფილი კათალიკოსი „მიქაელის წინამადგილე და მოწინააღმდეგე“[2] ნიკოლოზ გულაბერისძე უთავა[3].

და ეს შემთხვევითი არ შეიძლებოდა ყოფილიყო „წესთაგან ეკლესიათა“ შემშლელი კათალიკოსის გადაყენების შემთხვევაში მის ადგილს ალბათ „სიმდაბლისა ძალით“ კათალიკოსობიდან გადამდგარი ნიკოლოზ გულაბერისძე დაიჭერდა. რაც შეეხება მიქაელის, როგორც ვაზირის — მწიგნობართუხუცესჭყონდიდლის გადაყენებას, ეს, რა თქმა უნდა, საეკლესიო კრების კომპეტენცია არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ვაზირობა მას „უფლისგან“ ჰქონდა „მოვერაგებული“ და მისი წართმევაც ასევე „უფლის“, უკეთ უკვე მეფისა და მისი დარბაზის კომპეტენცია შეადგენდა მხოლოდ: „რაკი ეს „მოვერაგება“ უზენაესი სამოხელეო ხელისუფლების ხელში ჩაგდებას ეხებოდა, ამიტომ არსებითად ამ ბრალდების გარჩევა და გადასინჯვა საეკლესიო კრების საქმე არც იყო. მხოლოდ თვით მეფეს და უზენაეს სახელმწიფო ორგანოს, დარბაზს შეეძლო ბრალდებაც წამოეყენებინა და საქმეც გაერჩია“[4] — წერდა ი. ჯავახიშვილი.

როგორც ცნობილია, საეკლესიო კრებამ თავის ძირითად მიზანს ვერ მიაღწია „დაღაცათუ ფრიად იღუაწეს“, მიქაელ მირიანისძე „ვერა განაყენეს“[5]. ისტორიკოსის ამ უკანასკნელ სიტყვებში, რა თქმა უნდა, მიქაელის კათალიკოსობიდან გადაყენების ყოველმხრივი ცდის („ფრიად იღუაწეს“) მარცხით დამთავრება უნდა ვიგულისხმოთ, თორემ, ი. ჯავახიშვილის მართებული შენიშვნით, მიქაელის კათალიკოსობიდან გადაყენებას თავისთავად მოჰყვებოდა მისი გადაყენება ვაზირობიდანაც[6] და სამეფო ხელისუფლების ბრძოლა მიქაელის წინააღმდეგ ამით დამთავრდებოდა.

საეკლესიო კრებას მაინც უშედეგოდ არ ჩაუვლია: ჯერ ერთი, მან საკმაოდ შეარყია საეკლესიო და საერო თანამდებობათა მიმტაცებელი კათალიკოსის ხელისუფლება და გავლენა; მეორე, ეკლესია გაიწმინდა მიქაელის მომხრეთაგან: „ხოლო სხუანი ვინმე ებისკოპოსნი შეიცვალნეს და მათ წილ საღმრთო კაცნი დასხნეს და სხუანი საეკლესიონი წესნი განმართეს“[7]. მესამე, საეკლესიო კრებამ არსებითად მოამზადა ნიადაგი მიქაელის ვაზირობიდან გადასაყენებლად და სამეფო ხელისუფლებას ახალი, უკვე მასზე დამოკიდებული ღონისძიების გატარებისაკენ უბიძგა.

მართლაც, სამეფო ხელისუფლებისათვის ადვილად დასათმობი არ იყო ყოფილი ვაზირი ანტონი. ამასთანავე, მეფე-ქალის ხელისუფლების განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ ვის ექნებოდა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის თანამდებობა. ისტორიკოსის სიტყვით, „უველასათვის საძ-

---

[1] ბასილი, გვ. 15.
[2] ი. ჯავახიშვილი, ქსი, II₂, გვ. 148.
[3] ბასილი, გვ. 15.
[4] ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 149.
[5] ბასილი, გვ. 16.
[6] ი. ჯავახიშვილი, დას ხ. ნაშრ, გვ. 150.
[7] ბასილი, გვ. 16.

ულველი", პირველ რიგში თამარისა და მის მომხრეთა „საძულველი" მიქაელის ყოფნა ამ თანამდებობაზე სავსებით მოუთმენელი ჩანდა. თამარის ხელისუფლება „ღმერთის სასჯელს" (ე. ი. მიქაელის გარდაცვალებას) ვეღარ დაელოდებოდა და ამ უღირსი პიროვნების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა გაეგრძელებინა. ამის ერთ-ერთ ნიშნად მეორედ კურთხევისთანავე თამარის მიერ ანტონის მოწინააღმდეგეთა, მის ძმათა მკვლელების დასჯა — ხუთი ძმის, კახაბერის შვილების ჯერ დატყვევება, ხოლო შემდეგ საქართველოდან მაკედონიაში გაძევება უნდა მივიჩნიოთ[1].

მაგრამ მთავარი მაინც თვით ანტონის ძველ თანამდებობაზე აღდგენა იყო. როგორც ზემოთ ვნახეთ, თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით, სამეფო ხელისუფლებამ ამასაც მიაღწია, მაგრამ არა საეკლესიო კრებით და არც „ღმრთის სასჯელის" წყალობით, არამედ თავისივე გადაწყვეტილებითა და დარბაზის „გამორჩევით". თამარმა გამეფების პირველ წელსვე შექმნილი საშინაო პოლიტიკური კრიზისის პირველი ეტაპის მშვიდობიანად დასრულებით ისარგებლა და ვაზირის თანამდებობაზე ანტონ გლონისთავისძის დამტკიცება ბრძანა: „ბრძანა დამტკიცებად ჭყონდიდლად, მწიგნობართა უხუცესად, ვაზირად" ანტონი.

ანტონის დანიშვნა ვაზირად — მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლად, მიქაელ მირიანისძის ამ თანამდებობიდან გადაყენების გარეშე შეუძლებელი იყო. ამრიგად, თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით, საეკლესიო კრების მარცხის შედეგები, ნაწილობრივ მაინც (ე. ი. იმ სფეროში, რომელიც თვით სამეფო ხელისუფლებას ეკითხებოდა), მეფესა და მისი დარბაზის „გამორჩევას" გაუსწორებია: კათალიკოს მიქაელ მირიანისძისათვის ვაზირობა წაურთმევიათ და ამ თანამდებობაზე მისი ადრეული (გიორგი III-ის მეფობის წლებში) მფლობელი, მეფის გაზრდილი, „პატრონის უზომოდ ერთგული" ანტონი დაუნიშნავთ. თამარის პირველი ისტორიკოსის ამ ცნობის სისწორეში და ანტონის ვაზირად ხელახლა დანიშვნის დროის (1184/85 წწ.) ამგვარად განსაზღვრაში ეჭვის შეტანა ძნელი ხდება.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, დაბრკოლებას ქმნის თამარის მეორე ისტორიკოსის მონაცემები. ბასილის ცნობით, კათალიკოსი მიქაელი მხოლოდ „ღმრთის სასჯელმა", ე. ი. გარდაცვალებამ „განაყენა" თანამდებობიდან. ეს კი თამარის მეფობის პირველ წელსვე კი არა, იმავე ისტორიკოსის მიხედვით, 1190 წ. ახლო დროს მომხდარა. თუმცა ისტორიკოსის ამ ცნობაში ჩვენ „ღმრთის სასჯელით" მიქაელის კათალიკოსობიდან გადაყენება შეიძლება ვიგულისხმოთ და დავასკვნათ: მიქაელმა გარდაცვალებამდე კათალიკოსობა შეინარჩუნა და არა ვაზირობაც — მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლობა.

მაგრამ ასეთი დასკვნის გაკეთებას ისევე წინ ეღობება ბასილისავე მითითება მწიგნობართუხუცესად და ჭყონდიდლად ანტონის ხელახლა დანიშვნის დროის შესახებ. მის მიხედვით, ანტონის მოყვანა და ხელახლა გავაზირება თამარისა და დავით სოსლანის ქორწინების, მეფეყოფილი გიორგი უფლისწულის პირველი აჯანყებისა და მიქაელის გარდაცვალების შემდეგ მომხდარა, ე. ი. არა უადრეს 1190-91 წლებისა: „ხოლო თამარი ეგებრებოდა ღ~თსა და იგონებდა, თუ ვის მიანდოს დავით და სპა თუისი და განსაგებელი სახლისა თუისისა... მოიყვანა ანტონი გლონისთავის ძე გარეჯით, რომელ პირველ ჭყონდიდელ იყო და მიქაელ [ქართლისა] კათალიკოზმან მისტაცა... ესე მოყვანეს... დასუეს ვაზი-

[1] ბასილი, გვ. 24.

რად, მისცეს ჰყონდიდი, სამთავრისი, კისის-კევი და მწიგნობართუხუცესობა"[1]. აშკარაა, რომ ამ ცნობის მიხედვით, თამარს ზრუნვა ახალი ვაზირის მოსაყვანად დაცვითან დაქორწინების შემდეგ დაუწყია და ყველაფერი ეს განუხორციელებია, როგორც აღინიშნა, მიქაელის გარდაცვალებისა და გიორგის აჯანყების, ე. ი. 1191 წლის შემდეგ და არა თამარის მეფობის პირველსავე წელს, როგორც ამაში „ისტორიანისა და აზმანის" ავტორი გვარწმუნებდა.

თამარის პირველი და მეორე ისტორიკოსის ცნობათა შორის ამ საკითხზე არსებული ეს წინააღმდეგობა ქართულ ისტორიოგრაფიაში შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მაგრამ მკვლევართა ერთი ნაწილი, ყოველგვარი შენიშვნის გარეშე, მსჯელობას თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობების მიხედვით წარმართავდა. ასე მაგ., ი. ჯავახიშვილის აზრით, მიქაელმა კათალიკოსობაცა და ვაზირობაც გარდაცვალებამდე შეინარჩუნა: „ანტონ გლონისთავისძის მწიგნობართა-უხუცესად თამარისაგან არჩევა კი მომხდარა უბედური რუსის დასაველეთ საქართველოში მის მომხრე დიდებულთაგან მოყვანისა და მისი განდევნის შემდგომ და ამირსპასალარი გამრეკელ თორელის გარდაცვალების უწინარეს, ე. ი. 1190—1191 წელში. მაშასადამე, საეკლესიო კრების შემდგომ მიქაელ კათალიკოზსა და მწიგნობართ-უხუცესს კიდევ 6 წელიწადი უცოცხლია და წინანდებურად ორივე უზენაესი, საეკლესიო და სახელმწიფო, ხელისუფლება სჭერია"[2]. ამავე აზრისა იყო ნ. ბერძენიშვილიც, იგი წერდა: გიორგი III-ის გარდაცვალების „შემდეგ (და შეიძლება სწორად იმავე წელს) ანტონ გლონისთავის ძეს მწ.-უხუცესობა მიქაელ ქ. კათალიკოზმა მისტაცა და გარდაცვალებამდის ჰქონდა"[3]. არსებითად ამასვე იმეორებდნენ სხვა მკვლევრები, რომელთაც კი ამ საკითხზე ჩამოუგდიათ საუბარი[4].

მკვლევართა მეორე ნაწილი ამ წინააღმდეგობის გადასაჭრელად და თამარის პირველი ისტორიკოსის ტექსტში თითქოს მეტი გაკვეთულობის შესატანად, საჭიროდ მიიჩნევდა საგანგებო წინადადების ჩართვას. ასე მაგ., „ისტორიანისა და ზმანის" ჩვენთვის საინტერესო ადგილის დასაწყისი, ს. ყაუხჩიშვილის მიერ დადგენილი ტექსტის მიხედვით, ამჟამად ასე იკითხება: „პირველად გარდაცვალებასა [ქართლისა ყათალიკოსისა, ჰყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესისა მიქაელ მირიანის ძისა და ამირსპასალარისა გამრეკელისა თორელისა] და გამოორჩევასა შინა ორთა-ვაზირთა და სპასპეტთასა... ბრძანა დამტკიცებად" და ა. შ.[5] კუთხოვან ფრჩხილებში მოქცეული ტექსტი, რომელიც ს. ყაუხჩიშვილმა უცვლელად გაიმეორა, ი. ჯავახიშვილს ეკუთვნის[6] და თამარის ისტორიკოსის მიერ ნახმარ „გარდაცვალებასა" სიტყვის გახმარებას ისახავს მიზნად, მაგრამ ასეთი ჩანართი ხომ არსებითად ეწინააღმდეგება ამავე ისტორიკოსის მონაცემებს?

ჯერ ერთი, როცა ანტონი, სარგის მხარგრძელი და ისტორიკოსის მიერ იქვე ჩამოთვლილი სხვა მოხელეები დაინიშნენ, მიქაელ მირიანისძე არ იყო გარდაცვლილი; მეორე, ამ დროს არ იყო გარდაცვლილი არც გამრეკელ თორელი და, რაც მთავარია, სარგის მხარგრძელმა გამრეკელ თორელის გარდაცვალების შემ-

---

[1] ბასილი, გვ. 18.

[2] ი. ჯავახიშვილი, ქსი, II$_2$, გვ. 151.

[3] ნ. ბერძენიშვილი, საკაზირო, გვ. 12.

[4] ი. ცინცაძე, ძიებანი, გვ. 72, 124; ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 51—52; მ. ლორთქიფანიძე, რუსთაველის ეპოქა, გვ. 33 34 და სხვ.

[5] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 32.

[6] იხ. ი. ჯავახიშვილი, ქსი, II$_2$, გვ. 178; შდრ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 32.

დეგ კი არ მიიღო ამირსპასალარობა, ოამედ ყუბასარის გადაყენების გამო და ᲑᲘᲡ შემდეგ. თამარის პირველ ისტორიკოსს იქვე აღნიშნული აქვს, რომ სარგის მხარგრძელის ამირსპასალარად დანიშვნის დროს გამრეკელ თორელმა ამირახორობა მიიღო, ხოლო იგი „შემდგომ ღ საოგის მხარგრძელისა, ამირსპასალარიც იყო“[1]. ამრიგად, მომხდარა პირიქით და არა ისე, როგორც ჩართული ტექსტი გვაფიქრებინებს. როგორც ვხედ ვთ, ამგვარი ჩანართი ჩვენთვის საინტერესო საკითხს გასამარტავად არ გამოდგება და არც შეესაბამება რეალურ ვითარებას.

ჩანართი ტექსტის ასეთი შეუსაბამობა ერთგვარად გაასწორა პ. ინგოროყვამ, რომელმაც ჩანართი ტექსტის ბოლო წინადადება ზედმეტად ჩათვალა და ჩვენთვის საინტეოესო ადგ ლს ასეთი სახე მისცა: „პირველად გარდაცვალებასა (ქართლისა კათალიკოზისა, ჭყონდიდელისა და მწიგნობართ უხუცესისა მიქაელ Ჭირიანის ძისა) და გამორჩევასა“ და ა. შ.[2] მართალია, აქ ერთი შეუსაბამობა გასწორებულია, მაგრამ დატოვებულია მეორე — 1190/91 წ. გ-რდაცვლილი კათალიკოს-ეაზირის მაგიერის 1184/85 წ., 5 6 წლით ადრე დანიშვნის შესახებ.

ასე რომ თამარის პირველი და მეორე ისტორიკოსის ცნობათა შორის არსებული წინააღმდეგობა ასეთი ჩანართებით ვერ გადაწყდება. ამასთანავე, ზემოდასახელებულ მკვლევართა (ი. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ი. ცინცაძე, პ. ინგოროყვა და სხვ.) მოსაზრებანი ანტონის მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელად 1190/91 წ. ხელახლა დანიშვნის შესახებ, თამარის მეორე ისტორიკოსის აღნიშნულ ცნობებს გარდა, სხვა მასალით დასაბუთებას ვერ პოულობენ.

სანამ ამ ორი ისტორიკოსის ერთმ ნეთის საწინააღმდეგო ცნობათა შედარებას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია შევეცადოთ განვმარტოთ, თუ რას უნდა ნიშნავდეს ისტორიკოსის მიერ ჩვენთვის საინტერესო ცნობაში ნახმარი სიტყვები „გარდაცვალებასა და გამორჩევასა“, და აგრეთვე „ორთა — ეაზირთა და სპასპეტთა“, რომელიც საგახგებოდ აქვს გამოყოფილი „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორს ქვემოთ იქვე დასახელებულ „სხვა ხელისუფალთაგან“, რომელნიც ამავე დროს დაინიშნენ.

ცხადია, ამირსპასალარი, როგორც ზემოთ ითქვა, ყოველთვის (XII ს. მეორე ნახევრიდან) მეორე ადგილზეა ნახსენები ეაზირის — მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის შემდეგ; მართლაც, პირველ რიგში, „პირველად“ სწორედ ეს პირნი (ვაზ რი და ამირსპასალაო) იყვნენ მოსახსენიებელნი.

ამას გარდა, ყუოადღებას იქცევს ისტორიკოსის მიერ ამ „ორთაგან“ ცალკე გამოყოფა „ეაზირისა“ და ცალკე „სპასპეტისა“ (ამირსპასალარისა).

საგულისხმოა, რომ პირველი ისტორიკოსის ცნობით, „თანადგომითა და ერთნებობით“ „გამორჩევა“ და მეფის ბრძანებით დამტკიცება ორთაგან არსებითად პირველს, ე ი. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს შეეხებოდა: „გამორჩევასა შინა ორთა – ეაზირთა და სპასპეტთასა, – თანადგომითა და ერთნებობითა შჯდთაე სამეფოთა დიდებულთათა ბრძანა დამტკიცებად ჭყონდიდლ-დ და მწიგნობართ-უხუცესად და ეაზირად... [ანტონ] ი და განაჩინა ამირსპასალარი სარგის მჯარგრძელი“.

ამავე ისტორიკოსის მიხედვით, ამირსპასალარის გარდა, თვით თამარის მიერ იყვნენ „განჩინ ლნი“ სხვა ხელისუფალნიც“[3].

ასეთი სხვადასხვა შინაარსის ცნებების „ბრძანა დამტკიცებად“

---

[1] ისტორიანი, გვ. 79; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 33.

[2] პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 565.

[3] ისტორიანი, გვ. 78—79.

და „განაჩინა და უბოძა“ – ისტორიკოსის მიერ ასე განსაზღვრულად ხმარება და თვით ამ ცნებათა შორის არსებული განსხვავებაც იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ ვაზირად ანტონი მხოლოდ დარბაზის „გამორჩევის“ შემდეგ „ბრძანებით დაამტკიცა“ მეფემ, დანარჩენები კი თვითვე „განაჩინა“ და მათ თვითვე უბოძა სახელოები.

მართლაც, მას შემდეგ, რაც საეკლესიო კრებამ მიქაელი კათალიკოსობიდან ვერ გადააყენა, ვაზირის თანამდებობის მიმტაცებლისა თუ ამ თანამდებობაზე მისი ყოფილი მფლობელის აღდგენის საკითხი ვის უნდა გაერჩია, თუ არა მეფესა და მის დარბაზს? აი, რაზე უნდა მიგვითითებდეს, ჩვენი აზრით, თამარის პირველი ისტორიკოსის მიერ ასე ხაზგასმით ხმარებული „გამორჩევასა“ და „ბრძანება დამტკიცებად“.[1]

როგორც ჩანს, განმარტებას მოითხოვს აგრეთვე ისტორიკოსის მიერ ხმარებული – „გარდაცვალებასა“. ცხადია, ისტორიკოსი ერთ-ერთი ახალი ხელისუფლის დანიშვნას ეღაცის გარდაცვალებას უკავშირებს. მაგრამ ვინ შეიძლებოდა ამ შემთხვევაში გეგულისხმა? როგორც ზემოთ ითქვა, 1184/5 წ. ამბებთან დაკავშირებით 1190/91 წ. გარდაცვლილ პირთა (მიქაელი, გამრეკელ თორელი) მოხსენიება სავსებით გაძორიცხულია[2]. იქნებ ამ შემთხვევაში თვით გიორგი III-ის გარდაცვალება იგულისხმებოდეს და ისტორიკოსსაც სურდეს სამოხელეო წყობაში თამარის მეფობის პირველ წელს მომხდარი ცვლილებები, ამგვარად, გიორგი III-ის გარდაცვალებას დაუკავშიროს? მაგრამ გიორგი III-ის გარდაცვალებიდან ამ დროს ეოთ წელზე მეტი იყო გასული და, ამასთანავე, ამ ერთი წლის მანძილზე ბევრი მნიშვნელოვანი გამოსვლა მოხდა, რომელმაც საგრძნობლად შეარყია სამეფო კარი და ასეთი მღელვარე პერიოდის შემდეგ სამოხელეო წყობაში მომხდარი ცვლილებების გასამართლებლად გიორგი III-ის გაოდაცვალების მოგონება შეუსაბამო იქნებოდა.

როგორც არაერთხელ იყო აღნიშნული, ისტორიკოსის ჩვენთვის საინტერესო ფრაზა „გარდაცვალებასა და გამორჩევასა“ და სხვ. მის მიერ ასე სანგანგებოდ გამოყოფილ ორ ხელისუფალს — მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს და ამირსპასალარს შეეხება. ზემოთ ისიც ითქვა, რომ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის წინამოადგილე ამ დროს გარდაცვლილი არ ყოფილა და თუ ისტორიკოსი სიტყვა „გარდაცვალებაში“ მაინცდამაინც ახლად დანიშნული ხელისუფალის წინამორბედის გარდაცვალებას გულისხმობდა, ასეთ შემთხვევაში შეიძლებოდა მხოლოდ სარგის მხარგრძელის წინამოადგილის, ე. ი. ყუბასარის გარდაცვალება გეგვარაუდნა.

ყუბასარი კი, თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით, მართლაც მძიმედ იყო დაავადებული „სენისა მიერ ფელენჯად წოდებულისა“ და „მოელებოდა ენაჲ,

---

[1] ი. ცინცაძემ, როგორც აღნიშნა, ისტორიკოსის ამ სიტყვებს ყურადღება მიაქცია და გიორგი III-ის მიერ ერთხელ უკვე დანიშნული ანტონის ამ-ვე თანამდებობაზე თამარისაგან მხოლოდ დამტკიცების მაუწყებლად მიიჩნია. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ თუ ანტონის სამოხელეო კარიერაში რაიმე ცვლილება არ იყო მომხდარი, გიორგი III ის მიერ დანიშნულ მოხელეს თამარის დამტკიცება აღარ დასჭირდებოდა.

[2] ი. ცინცაძის ვარაუდით, „ამ შემთხვევაში შესაძლებელია რომელიმე დიდი თანამდებობის პირი მართლაც გარდაიცვალა, მაგრამ უფრო მოსალოდნელია აჭ ტექსტის რაიმე დამახინჯებასთან გვქონდეს საქმე, თუ სიტყვა „გარდაცვალება“ შეცვლის მნიშვნელობით არ იხმარებოდა“ (ძიებანი, გვ. 119). „გარდაცვალების“ ხმარება „შეცვლის“ მნიშვნელობით გამორიცხულია, მაკრამ ამ შემთხვევაში რომ „რომელიმე დიდი თანამდებობის პირის გარდაცვალება“ იგულისხმებოდეს, ეს კი სავსებით შესაძლებელია.

ჰელი და ფერჯი“.[1] როცა დიდგვარიანებმა ყუბასარის წინააღმდეგ გაილაშქრეს, ძისი უგვარობის (ნაყიცჩაყარობის) გარდა სწორედ ესეც, მისი „უხმარობაც“, თანამდებობისათვის (ავადმყოფობის გამო) უვარგისობის ბრალდებაც წაუყენეს.

როგორც ცნობილია, თამარ მეფე იძულებული გახდა ყუბასარი გადაეყენებინა, მაგრამ დიდგვარიანთა ამ გამოსვლის დამთავრებისთანავე ყუბასარის მაგიერი ხელისუფლის დანიშვნა არ მომხდარა. ამის შემდეგ ჯერ „ბრძოლასა მყოფთა“ დიდგვარიანებმა „ქელისუფლობისა და დიდებისათჳს ურთიერთას დაუწყეს ზიდვაჲ“ (ე. ი. თანამდებობათა დასაკავებლად ურთიერთშორის აწარმოებდნენ ბრძოლას), ხოლო შემდეგ ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლაც დაიწყო. თვით ყუთლუ-არსლანი, იმავე ავტორის ცნობით, ამირსპასალარის გათავისუფლებული ადგილის დასაკავებლად იყო გამზადებული და თავისთავს ამირსპასალარსაც კი უწოდებდა[2]. ასე რომ სანამ ახალი ამირსპასალარი თუ სხვა ხელისუფალი დაინიშნებოდა, „ხელისუფლობისა და დიდებისათჳს ურთიერთ ზიდვაში“ საკმაო დროც გაეიდოდა. ამასობაში დაავადებული და გადაყენებული ყუბასარი, როგორც ჩანს, გარდაცვლილა და ახალ ხელისუფალთა დანიშვნაც მის გარდაცვალებას დაემთხვა.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ვახუშტი ამირსპასალარად სარგის მხარგრძელის დანიშვნას ყუბასარის გადაყენებას კი არა, გარდაცვალებას უკავშირებს: „ხოლო მოკუდა ყუბასარ სპასალარი და მისცეს სარგის მხარგრძელსა სპასალარობა“[3]. ამრიგად, „ისტორიანისა და აზმანის“ ჩვენთვის საინტერესო ეს ადგილი თუ რაიმე ტექსტის ჩართვას მოითხოვს, მას ასეთი შინაარსი უნდა ჰქონდეს „გარდაცვალებასა [ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესისა ყუბასარისა] და გამორჩევასა შინა ორთა“ და ასე შემდეგ.

ზემომოცემულ განმარტებათა შემდეგ საჭიროა განვიხილოთ თამარის ორივე ისტორიკოსის ცნობა მათი სანდოობის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ ბასილი თამარ მეფის მიერ მოხელეთა დანიშვნის, ე. ი. სამოხელეო წყობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ მთელი თხზულების მანძილზე მხოლოდ ერთგან და ისიც რამდენიმე მოხელის შესახებ გვაწვდის ცნობას. ამასთანავე, ასეთ ცვლილებას მოხელეთა გარდაცვალებას და გიორგი რუსის პირველი აჯანყების შემდეგდროინდელ ამბებს უკავშირებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბასილს უმეტეს შემთხვევაში უფრო ადრე მომხდარი მოვლენები, მაგალითად, თამარის მეფობის პირველ წელს მომხდარი ამბები 5—6 წლის შემდეგ მომხდარ აჯანყებასთან აქვს დაკავშირებული.

სახელმწიფო სამოხელეო აპარატის შეცვლა და ახალ მოხელეთა დანიშვნა, „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორის მიხედვით, არსებითად ორ დიდ საშინაო პოლიტიკურ კრიზისთან იყო დაკავშირებული: პირველი თამარის მეფობის პირველ წელსვე შეიქმნა დიდგვარიანთა და ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შემდეგ, ხოლო მეორე—გიორგი რუსის პირველი აჯანყების შემდეგ. ორივე შემთხვევაში, მართლაც, ძალთა მნიშვნელოვანი გადაჯგუფება მოხდა, რაც სამოხელეო წყობაში ცვლილებებს თავისთავად გულისხმობდა. ყოველივე ეს შესანიშნავად აისახა თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში.

ბასილ ეზოსმოძღვრის თხზულება კი ამ მხრივ უთუოდ ნაკლულია: ამ თხზუ-

---

[1] ისტორიანი, გვ. 76; როგორც ჩანს, ყუბასარს „ფილენჯის სენისაგან“ მხოლოდ დროდადრო „მოეღებოდა ენაჲ, ქელი და ფერჯი“, თორემ ხელფეხწართმეული ამირსპასალარი გიორგი III-ის გარდაცვალებისას სამეფო დარბაზში როგორღა აღმოჩნდებოდა? (იხ. იქვე, გვ. 72).

[2] ისტორიანი, გვ. 77.

[3] ვახუშტი, სი, გვ. 179.

ლებაში არაფერია ნათქვამი თამარის გამეფების პირველ წელსვე შექმნილი ეითარების შესახებ (თ.ე არ მიეიღებთ მხედველობაში თამარის მიერ საეკლესიო კრების მოწვევის ფაქტს) და, ბუნებრივია, ისტორიკოსს ერთი სიტყვითაც არ აღუნიშნავს დიდგვარიანთა და ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლათა შედეგებიც — ცვლილებები სამოხელეო წყობაში. სამაგიეროდ იგი შედარებით ერცლად მოგვითხრობს გიორგი რუსის როგორც ჩამოყვანის, დაქორწინების. ასევე საქართველოდან გაძევებისა და შემდეგ აჯანყების შესახებ, როძელსაც იგი სამოხელეო წყობაში ადრე თუ ამ დროს მოსდევ ცვლილებებსაც უკავშირებს.

გიორგი უფლისწულის აჯანყების წინ ბასილს მოთხრობილი აქვს მიქაელისა და გამრეკელ თორელის გარდაცვალება, ხოლო აჯანყების შემდეგ ანტონ გლონისთავისძის დანიშვნა მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდლად, ზაქარიას დალოცვა ამირსპასალარად, ივანესი მსახურთუხუცესად და ყოველივე ამის შემდეგ ჰიაბერისა მანდატურთუხუცესად: „და შემდგომად ამისა (ზაქარიასა და ივანეს დალოცვისა, შ. მ.) მოიყვანეს ჰიაბერი, კაცი ესეცა მართალი და ერთგული და მისცეს მანდატურთუხუცესობა".[1] როგორც ჩანს, ბასილის თხრობის არცთუ სრულყოფილი თანმიმდევრობა და განსაკუთრებით კი ამ დროისათვის ჰიაბერის მანდატურთუხუცესად დანიშვნის შესახებ ასე კატეგორიული მითითება საეჭვოს ხდის ბასილის თხრობის თანძიმდევრობის სისწორეს. რა თქმა უნდა, ბასილი ცდება, როცა ჰიაბერი მაიდატურთუხუცესად დანიშნულად მიიჩნია მას შემდეგ, რაც ზაქარია მხარგრძელი დაინიშნა ამირსპასალარად, ხოლო ივანე მსახურთუხუცესად. როგორც ცნობილია, ჰიაბერი ამ თანამდებობაზე 1190 91 წწ. კი არ დაინიშნა, არამედ თამარის გამეფების პირველ წელსვე, ე. ი. 1184-85 წლებში. ამასთანავე, თუკი მკვლევარს ხელთ არ ექნებოდა თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულება ან სხვა საკონტროლო მასალა, ბასილის მოთხრობის მიხედვით გაუგებარი იქნებოდა. თუ ვინ როდის იყო ამირსპასალარი. ბასილი ერთსა და იმავე დროს საუბრობს ამირსპასალარ გამრეკელის გარდაცვალების, ამირსპასალარო სარგისის შესახებ და იქვე ამირსპასალარად სარგისის შვილის ზაქარიას დანიშვნის შესახებ[2]. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ბასილი ამირსპასალარის — გამრეკელ თორელის გარდაცვალებას გიორგი უფლისწულის აჯანყებამდე, ე. ი. 1191 წლამდე მოიხსენიებს,[3] მაშინ როცა გამრეკელ თორელი ამ აჯანყების დროს ცოცხალი იყო და, თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით, აჯანყებულთა ერთი, „ჯავახეთის ქვეყანაში" შეკრებილი ნაწილის წინააღმდეგ ბოძოლას სარდლობდა[4]. როგორც ეხედავთ, ი. ცინცაძის მართებული შენიშვნისა არ იყოს, მეორე „ისტორიკოსს მოვლენათა თხრობის ქრონოლოგიური თანმიმდევრობა სრულებით არ აინტერესებს და იგი არც იცავს მას"[5].

ამრიგად, ბასილის ცნობები მოხელეთა დ ნიშვნის შესახებ ქრონოლოგიის თვალსაზრისით ნდობას ვერ იმსახურებს და მისი შემოწმება აუცილებელი ხდება; ბასილის მონაცემთა შესამოწმებლად კი, პირველ რიგში, როგორც ჩანს, „ისტორიანისა და აზმანის" ავტორის შესაბამისი ცნობები უნდა მოვიშველიოთ.

მართლაც, თამარის პირველ ისტორიკოსს თამარის მეფობის დროს სახელმწიფო სამოხელეო წყობაში მიმდინარე ცვლილებების ქრონოლოგიური თან-

---

[1] ბასილი, გვ. 19.

[2] იქვე, გვ. 18.

[3] იქვე.

[4] ისტორიანი, გვ. 52.

[5] ი. ცინცაძე, ძიებანი, გვ. 121.

მიმდევრობით ასახვის თვალსაზრისით უფრო სრული და სწორი ცნობები მოეპოვება. „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორის მიხედვით, სამოსელეო წყობაში პირველი დიდმნიშვნელოვანი ცვლილებები თამარის გამეფების პირველ წელსვე მოხდა. ეს მართლაც ასე უნდა ყოფილიყო იმ საეკლესიო კრებისა და გამოსვლების შემდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა თამარის გამეფებისთანავე. მეორე მნიშვნელოვანი ცვლილებები კი ამ მხრივ, ბუნებრივია, უნდა მოჰყოლოდა 1191 წ. იმ გრანდიოზულ ჯანყობას, რომელიც გიორგი რუსის რესტავრაციას ისახავდა მიზნად, და ეს, ისტორიკოსის მოწმობით, ასეც მოხდა, ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ თამარის პირველი ისტორიკოსი ორიენტირებით საგანგებოდ ეხება არა მარტო „დარბაზის რიგის“ მოხელეების, არამედ აგრეთვე „საქვეყნოდ გამრიგე“ მოხელეთა დანიშვნასა და ვინაობას. ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობები ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო საკითხების გასარკვევად უფრო სრულყოფილი და სანდოა, ვიდრე ბასილის ნაკლული და არასწორი ცნობები. აი, ამიტომ მივიჩნიეთ სარწმუნოდ თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობა ანტონის აღდგენის შესახებ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის თანამდებობაზე თამარის მეფობის პირველსავე წელს.

„ისტორიანისა და აზმანის“ ავტორს, როგორც აღვნიშნეთ, ანტონ გლონთისთავისძის მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის თანამდებობაზე ხელახლა „დამტკიცების“ შესახებ მოთხრობილი აქვს უშუალოდ არსლანის დასის გამოსვლის დამთავრების შემდეგ, კერძოდ, საოგის მხარგრძელის ამირსპასალარად დანიშვნასთან ერთად, ე. ი. 1184/85 წლების ამბებთან დაკავშირებით. ასე რომ ანტონის ისევ გაზარება და სარგისის ამირსპასალარად დანიშვნა. ისტორიკოსის ცნობით, ერთდროული ამბავია და მათი განცალკევება – ერთის (ანტონის გაზარების) დაკავშირება მიქაელ მირიანისძის გარდაცვალებასთან. ე. ი. 5—6 წლის შემდეგ მოხდარ ამბავთან, ხოლო მეორისა 1184/85 წლებთან შეუღებელია. არც ერთ მკვლევარს (ი. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, პ. ინგოროყვა ი. ციცაძე და სხვ.) ეჭვი არ შეუტანია ამ ორი პირის (ანტონი, სარგისი) დანიშვნისას „სხვა ხელისუფალთა“ სწორედ ამავე წელს (1184-85 წწ.) სხვადასხვა თანამდებობებზე დამტკიცებაში.

ამ დროს კი არაერთი „სხვა ხელისუფალიც“ დაინიშნა. თამარის პირველი ისტორიკოსი წერს: „პირველად... ბრძანა დამტკიცებად... ვაზირად ანტონი... და განაჩინა ამირ-სპასალარად სარგის მხარგრძელი და განაჩინა და უბოძა ჭიაბერსა მანდატურთუხუცესობაჲ... და კუალად უბოძა მუშურჭლეთ-უხუცესობაჲ... ვარდანის ძესა კახაბერს და მსახურთ-უხუცესობაჲ დადიანსა ვარდანს, ჩუხჩარხობაჲ მარუშიანსა, ძესა ჩუხჩარხისასა... და უბოძა ამირახორობაჲ გამრეკელსა თორელსა, რომელი ამირ-სპასალარიცა იქმნა შემდგომად სარგის მჯარგრძელისა“. ამის შემდეგ ისტორიკოსი იმდროინდელ საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა ვინაობაზეც მოგვითხრობს, მაგრამ ამის შესახებ საუბარი ამჟამად ჩვენს ამოცანას არ შეადგენს.

ისტორიკოსის ზემომოტანილი ცნობის სისწორეში ეჭვი არავის შეუტანია და, ცხადია, ამ საერთო, თანმიმდევრული თხრობიდან ანტონის ვაზირობის გამოყოფა და არსებითად ტექსტის მონაცემების საწინააღმდეგო ჩანართით მისი დაკავშირება მიქაელ მირიანისძის გარდაცვალების ამბავთან სავსებით გაუმართლებლად და პირველი ისტორიკოსის ნათელი ტექსტის მხოლოდ დამახინჯებად შეიძლებოდა მიგვეჩნია.

ამრიგად, თამარის პირველი ისტორიკოსის უტყუარი მონაცემების მიხედ-

ვით ანტონ გლონისთავისძე მწიგნობართუხუცეს-ჴყონდიდლის თანამდებობაზე თამარის ხელმეორედ კურთხევის წელსვე იქნა აღდგენილი.

გიორგი III-ის „გაზრდილის" და მისი პოლიტიკის „უზომოდ ერთგულის" დანიშვნას ვაზირად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც საქართველოს სამეფოს მოხელეთა საქმიანობის, ასევე საკუთრივ თამარ მეფის საშინაო პოლიტიკის გეზის განსაზღვრისათვის.

თამარის ორივე ისტორიკოსი ერთხმად უსვამს ხაზს ანტონის დიდ როლს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, განსაკუთრებით კი მის ერთგულებას სამეფო ხელისუფლებისადმი. პირველი ისტორიკოსის სიტყვით, ანტონი იყო „გაზრდილივე მამისა მათისაჲ, ბრძენი და გონიერი, პატრონთათჳს სუიანი და „ერთგული და შემეცნებული საურავთა შინა".[1] თითქმის ამგვარადვე ახასიათებს მას მეორე ისტორიკოსიც: ანტონი იყო „ნანდური ვაცი ღირსი ქებისა, ჴეშარიტი ქრისტიანე, მართალი, წრფელი, უმანკო, სახიერი, მოწყალე ყოველთა, ტკბილი, მდაბალი, პატრონის ერთგული უზომოდ. ეკლესიათა და მონასტერთათუის რაღადღა საქმარ არს თქუმად, თუით წამებენ ქმნილნი მისნი ყოველთაგან, ვითარცა მღჳძესა და კლარჯეთს თჳთ მის მიერ ქმნილსა მონასტერსა და ყოველი ადგილთა"[2].

თამარის ისტორიკოსებს სამეფოს ერთგული მოხელენი არაერთხელ შეუმკიათ სახოტბო სიტყვებით, მაგრამ ასე სრულყოფილად მათ არც ერთი მოხელე არ დაუხასიათებიათ და ეს შემთხვევითი არ შეიძლება იყოს.

ამის მიზეზი, პირველ რიგში, თვით ანტონის პიროვნული ღირსებების გარდა, სამეფო ხელისუფლების ერთგული ისტორიკოსების თვალსაზრისით, იყო გიორგი III-ის საშინაო პოლიტიკის გამარჯვება თამარის მეფობის ხანაში.

ჩვენ აქ არ შევუდგებით მწიგნობართუხუცეს-ჴყონდიდლის უფლება-მოვალეობის კვლევას და, საქართველოს სამეფოს სამოხელეო წყობაში მისი მხნშვხელობისა და როლის შეფასებას. ჯერ ი. ჯავახიშვილმა, ხოლო შემდეგ ნ. ბერძენიშვილმა სავანგებოდ შეისწავლეს მწიგნობართუხუცეს-ჴყონდიდლის ინსტიტუტი და ხაზიც გაუსვეს მის მაღალსა და განსაკუთრებულ ადგილს ქართულ სამოხელეო წყობაში. მაგრამ გარკვეული მოსაზრებით საჭიროდ მიგიჩნევთ მის განსაგებელთაგან მხოლოდ ერთ სფეროს — სამხედრო უწყებას (და ისიც გაკვრით) შევეხოთ.

მწიგნობართუხუცეს-ჴყონდიდელი, ცხადია, არ ყოფილა სამხედრო ხელისუფალი. მაგრამ მის განსაგებელთა შორის სამხედრო საქმეს ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის, დიდი სარდლისა და პოლიტიკური მოღვაწის, დროსაც არც ერთი მნიშვნელოვანი ლაშქრობა და ლაშქრის ორგანიზაციის არც ერთი საკითხი მწიგნობართუხუცეს-ჴყონდიდლის გარეშე არ წყდებოდა.

ასე, მაგალითად: ა) სამშვილდეში ლაშქრობას და მის გათავისუფლებას სათავეში ედგა მწიგნობართუხუცეს-ჴყონდიდელი. დავითის ისტორიკოსის სიტყვით, „მას ჟამსა მეფე გარდაიცვა იმერით, შეკრბეს გიორგი ჴყონდიდელის წინაშე და მწიგნობართა უხუცესსა, თევდორე, აბულეთ და ივანე ორბელი და სიმარჯუით მოიპარეს სამშვილდე"[3]. როგორც ვხედავთ, მწიგნობართუხუცეს-ჴყონდიდელთან შეკრებილან სამშვილდის ასაღებად გამზადებულნი მოლაშქ-

[1] ისტორიანი, გვ. 78.

[2] ბასილი, გვ. 18.

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 331.

რენი და დიდებულები, მათ შორის იმდროინდელი ამირსპასალარი: ბ) „და წაიღო გიორგი ჭყონდიდელმან რუსთავიცა, მეფის მუხრანს ყოფასა“[1]. რუსთავს ლაშქრობასაც როგორც ჩანს, მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელი ხელმძღვანელობდა; გ) გიორგი ჭყონდიდელი გაჰყვა მეფეს, საქართველოს საშეფოს მუდმივი ლაშქრის შექმნის დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმის გადაწყვეტის მიზნით, ოსეთსა და ყივჩაყეთში: „ბრძანა მეფემან წარსვლა ოვსეთს და სიტყუასავე თანა წარემართა და თანა წარიტანა გიორგი ჭყონდიდელი და მწიგნობართუხუცესი თჳსი, კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და კორცთასა, საესე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი, სჳანი და ფრთხილი, თანააღზრდილი, აღმზრდელი პატრონისა და თანა-განმკაფელი ყოველთა გზათა საქმეთა და ღუაწლთა მისთა“[2]. დავითის ისტორიკოსის ამ შესანიშნავ ცნობაში არა მარტო გიორგი ჭყონდიდელის პიროვნებაა დახასიათებული, არამედ საერთოდ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის უფლება-მოვალეობა და როლი სახელმწიფოებრივ მმართველობაში.

ისტორიკოსის სიტყვით, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი არის მეფის „განმზრახი“ „თანააღზრდილი“ და ამავე დროს „აღმზრდელი პატრონისა“ და, რაც მთავარია „თანა-განმკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა“ მეფისა. აი, ამაში იყო მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის ხელისუფლების დიდი მნიშვნელობა – არც ერთი სახელმწიფოებრივი საქმე მისი „თანა განმკაფელობის“ გარეშე ვერ წარმოიდგინებოდა. ამ მხრივ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს სამეფოს ვერც ერთი მოხელე ვერ შეედრებოდა. იგი ჴშმარიტად „მამა არს მეფისა“[3].

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს ასეთივე ადგილი ეკავა ქართულ სამოხელეო წყობაში გიორგი III-ისა და თამარის დროსაც. ამაში ჩვენ იმდროინდელი ისტორიკოსების ცნობები გვარწმუნებს.

თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობით, სწორედ ანტონ გლონისთაყისძეს დაეკალა მეფისაგან შანქორის ბრძოლის წინ „მკედრობის მსწრაფლ შეკრების“ ბრძანების გაცემა და დაგზავნა[4]. მასვე ებრძანა წინ გასძღოლოდა ლაშქარს და წარემძღვარებინა „ძელი ცხოერებისაჲ, რომელ არს სკიპტრაჲ და ჯაჭჳ-ჭურ მეფეთაჲ“[5]. ანტონმა პირადად მიიღო მონაწილეობა შანქორისა და აგრეთვე ბასიანის ბრძოლაშიც, თუმცა მან „რიდობითა მონაზონობისაჲთა არა იჴადა მახვლი“[6]. მწიგნობართუხუცესი პირველი იყო, რომელმაც მიუღოცა გამარჯვება დავით ნეფესა და პირველ კაცად მონაწილეობდა გამარჯვების აღსანიშნავად გამართულ განძის დარბაზობაშიც.

მიუხედავად იმისა, რომ თამარის დროს ამირსპასალარი საკმაოდ აღზევებულია სამოხელეო იერარქიაში; მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს ისევ მიუწვდებოდა ხელი სამხედრო უწყებაზეც. ამიტომაცაა, რომ დავითისა და თამარის დროინდელი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლების გიორგისა და ანტონის ამ თვალსაზრისით დახასიათება სხვადასხვა დროის ისტორიკოსების მიერ თითქმის ერთნაირად არის მოცემული. ნ. ბერძენიშვილის სავსებით მართებული დასკვნით, დავით აღმაშენებლის დროს საბოლოოდ ჩამოყალიბებულ სახელს

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 333.
[2] იქვე, გვ. 336.
[3] შდრ. ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო, გვ. 38.
[4] ბასილი, გვ. 20.
[5] იქვე; ისტორიანი, გვ. 105.
[6] ისტორიანი, გვ. 107.

ძწიგნი ბათუსუცეს-ჭყონდიდელისას, ვიდრე XIII საუკუნემდის... რაიმე არსებითი ცვლილება არ განუცდია[1].

ამრიგად, ამირსპასალარის ხელისუფლებას და მის გავლენას თამარის დროსაც ზღუდავდა არა მარტო მეფე-სარდალი, არამედ აგრეთვე მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელიც — ვაზირი მეფისა, რომლის საგამგეოში სამხედრო უწყებაც ივარაუდებოდა.

თამარის დროის სამეფო ხელისუფლება კარგად ხედავდა მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდლის სახელოს წინააღმდეგ დიდებულთა შეტევის მიზეზებს. ნ. ბერძენიშვილისა არ იყოს, საეკლესიო თუ საერო დიდი ფეოდალები შორის თვალით უყურებდნენ ამ ყოველისშემძლე ხელისუფალს და მისი ხელის მიტაცებას ას კიდევ მასთან გატოლებას ცდილობდნენ. სამეფო ხელისუფლება კი, თავის მხრივ, ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეწყო მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდლის შემდგომი აღზევებისათვის, სამეფოს მოხელეთა შორის უპირველესი ადგილის შენარჩუნებისათვის.

სწორედ ამ მოტივებით უნდა იყოს ნაკარნახევი საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლისათვის „პროტოუპერტიმოსის“ საპატიო წოდების მისიცემა. შემთხვევითი აოც ის არის, რომ ამ პატივით პირველად, დღემდე ცნობილი ქართული წყაროებით, თამარის ვაზირი ანტონ ვლონისთავისძე მოიხსენიება.

ანტონი „პროტოუპერტიმოსის“ ტიტულით არის ნახსენები თამარის 1202 წლის სიგელში, — „ვაზირი ჩუენი ანტონ ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მწიგნობართუხუცესი და პროტოოპერტიმოსი“[2], ყინცვისის ფრესკის წარწერაზე „ანტონ ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მწიგნობართა უხუცესი, პროტოუპერტიმოსი“[3]. პროტოუპერტიმოსის წოდებით მოიხსენიება მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელი, როგორც ვნახეთ, „სააქიმო წიგნის“ XIII ს. დამდეგის ხელნაწერის მინაწერშიც[4].

„პოროტოუპერტიმოსის“ შინაარსს პირველად მ. ბროსე შეეხო და მან იგი უმაღლეს საეკლესიო ტიტულად, ქართველ მიტროპოლიტთა შორის უპირველესის აღმნიშვნელად მიიჩნია[5]; ი. ჯავახიშვილი კი აღნიშნავდა: „ბიზანტიაში არსებობდა υπερτιμος ჰჯპერტიმოსისა პატივი... მაშასადამე პროტოოპერტიმოსი ჰჯპერტიმოსთ-უხუცესს უნდა უდრიდეს“[6]. მაგრამ, თუ რას უნდა ნიშნავდეს თვით ჰჯპერტიმოსი, ამაზე ი. ჯაყაიშვილს არაფერი აქვს ნათქვამი. კ. ვაჩეიშვილმა, რომელმაც საგანგებო წერილი უძღვნა ყინცვისის ჩვენთვის საინტერესო ფრესკასა და მის წარწერებს, „ჰჯპერტიმოსი“ ბიზანტიაში გავრცელებული სხვა მსგავს ტიტულებთან (პროტოსევინგელოსი, სევინგელოსი და რექტორი) ერთად სასულიერო პატივად მიიჩნია[7]. კ. ვაჩეიშვილი ამ შემთხვევაში ემყარება ნ. სყაბალანოვიჩის ცნობილ გამოკვლევას; მართალია, ნ. სყაბალანოვიჩს თავის წიგნში დამოწმებული აქვს „ვიპერტომოსი“, მაგრამ არა „პროტოუპერტიმოსი“ და, ამას გარდა, ნ. სყაბალანოვიჩს აღნიშნული აქვს მხოლოდ, რომ ამ ტიტულით მოიხსენი-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო, გვ. 39.
[2] ი. დოლიძე, ქსძ, II, გვ. 30 –31.
[3] კ. ვაჩეიშვილი, ყინცვისის მშენებლის... გვ. 750.
[4] ე. თაყაიშვილი, ხელნაწერთა აღწერილობა (რუს.), გვ. 641.
[5] მ. ბროსე, რაპორტები (ფრანგ.), II, გვ. 45.
[6] ი. ჯავახიშვილი, ქსი, II1, გვ. 128.
[7] კ. ვაჩეიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 751.

ებიან მონაზონი ჰსელოსი და მონაზონი მელქისედეკი. პროტიტორის პირველი მისიისტიკის ამის მისაღებად კი, ცხადია, უპერტიმოსის ტიტულით უფრო ადვილად შეიძლებოდა ტიმოსის მხოლოდ სასულიერო პატივად გამოყენება არ არის სარწმუნო.

ზოგი ქართული მასალიდან კარგად ირკვევა, რომ უპეოტიმოსის ტიტული ჩვენში უფრო საერო პირებს ენიჭებოდათ. ასე მაგალითად, სამშვილდის თევდორეს სახ. ეკლესიის წარწერაში, ე. თაყაიშვილის მიხედვით, იკითხება: „ერისთავთ ერისთავმან და ოპერტიმოსმან ავაგ ხურსიძემან... ადიდენ დ[ავით] მეფე"[2]... ამას გარდა, განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ყინცვისის ფრესკაზე მის მშენებელს ანტონს „თავზე აქვს საერთო თავსაბურავი, მეფის გვირგვინის მსგავსი და არა საეკლესიო".[3] ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ანტონ ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსიც იყო, იგი, როგორც უმაღლესი საერო სელისუფლების, ვახირის თანამდებობის მქონე, არსებითად საერო თანამდებობის პირად იყო მიჩნეული. როგორც ჩანს, „უპერტომოსის" და „პროტოუპერტიმოსის" ტიტული XII ს. ქართულ სინამდვილეში დიდ მოსელეებს სასელმწიფოს საერო მოღვაწეებს ენიჭებოდათ.

ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს სწოოი ე. თაყაიშვილი, როცა ზემოდასახელებულ ბიზანტიურ ტიტულებს და აგრეთვე პროტოსტატორსაც, ბიზანტიის ეკლესიის დასავლეთ საქართველოში ბატოხობის დროიდან შემორჩენილ გადმოხადად მიიჩნევს: „პროტო-უპერტიმოსის ტიტული, რომლითაც სხვა ტიტულთა შორის მოხსენებულია ჭყონდიდელი. ტრადიციით მომდინარეობს იმ დროიდან, როდესაც ჭყონდიდელი შედიოდა აფსაზთა სამეფოში და პირველ სანად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ექვემდებაოებოდა".[1]

ამ მოსაზრებათა წინააღმდეგ მიუთითებს თვით ე. თაყაიშვილის მიერ თავის დროზე გამოქვეყნებული მასალები, კერძოდ სამშვილდის ზემომოტანილი წარწერა, რომელიც, მისივე აზრით, XII ს. ადრინდელი არ შეიძლება იყოს და სადაც ერისთავთ ერისთავი იხსენიება უპერტიმოსის ტიტულით. ამას გარდა, ეს ტიტული ქართულ საეკლესიო სელისუფალთა შორის ადრე შუასაუკუნეებში საეოთდ დადასტუოებელი არ არის. XII ს დან, კერძოდ კი დავით აღმაშენებლის დროიდან, როცა ბიზანტიასთან საქაოთველოს სოულიად განსხვავებული ურთიერთობა ჰქონდა ვიდრე X XI სს-ში, როცა ისპობოდა ყოველგვარი გარეგნული ნიშნებიც კი ბიზანტიური გავლენისა და ოდინდელი ვასალობის მაუწყებელი ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები, საეჭოა, რომ ბიზანტიელ ხელისუფალთ საქართველოს სამეფოს მოხელეებისათვის რაიმე ტიტული მიენიჭებინოთ და იგი ქართველ მოხელეებს წარწერებსა და დოკუმენტებში სახეიმოდ აღენიშნათ.

ნ. ბერძენიშვილმა სწორად შენიშნა, რომ „წოდება პროტოოპერტიმოსისა ჭყონდიდელს, შესაძლებელია, სხვა გარემოებასთან დაკავშირებით ჰქონდეს მინიჭებული" და არა როგოოც ფოთის მიტროპოლიტის მემკვიდრეს. აქვე ხაზი უნდა გავესვას იმ გარემოებასაც, რომ ნ. სკაბალანოვიჩს, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა XI ს. ბიზანტიის სახელმწიფოებრივი და საეკლესიო წყობა, პროტოუპერტიმოსის ტიტული საერთოდ დამოწმებული არა აქვს. ყოველივე ეს იმა-

---

[1] ნ. სკაბალანოვიჩი, ბიზანტიის სახელმწიფო (რუს.), გვ. 158 159.

[2] ე. თაყაიშვილი, თეთრიწყაროს ძეგლები (რუს.), გვ. 45.

[3] შ. ამირანაშვილი, შოთა რუსთაველის პორტრეტი.

[4] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, გვ. 27.

[5] ნ. ბერძენიშვილი, საავაზირო, გვ 53.

ზე მიგვითითებს, რომ უპერტიმოსის, პროტოუპერტიმოსის თუ პროტოსტატორის წოდებებს თვით ქართველი მეფეები ასიქებდნენ თავიანთ საერო მოხელეებს, სამეფოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისა გამო, ოღონდ საამისოდ გამოყენებული იყო მათთვის კარგად ცნობილი ბიზანტიური წოდებები.

სამწუხაროდ, ჩვენ მასალა გვაკლია თვით „პროტოუპერტიმოსის“ შინაარსის გასარკვევად. არც ის არის მაინცდამაინც ნათელი, თუ რა მნიშვნელობით იხმარებოდა იგი ბიზანტიაშიც, თუმცა ამგვარი ტიტული ბიზანტიის სამოხელეო წყობილებისათვის ცნობილი იყო.

დუ კანჟის მიხედვით, პროტოუპერტიმოსის წოდება ენიშებოდა უ პ ი რ ვ ე ლ ე ს მ ო ქ ა ლ ა ქ ე ს, ქვეყნის, ქალაქის უპირველეს პირს, როგორც საპატიო წოდება.[1] საქართველოშიც იგი უფრო საპატიო ტიტული უნდა ყოფილიყო და მას რეალური სამოხელეო შინაარსი არ უნდა ჰქონოდა. როგორც ჩანს, პროტოუპერტიმოსის ტიტული საქართველოს სამეფოს უპირველესი მოხელის საპატიო წოდება იყო და ამ წოდებას, დღემდე ცნობილი მასალებით, თამარის მეფობის დროიდან მხოლოდ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი (ანტონი, თევდორე), სამეფოს ვაზირი ატარებდა. ამ ტიტულით მოიხსენიება თამარის შემდეგდროინდელი ზოგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელიც, მაგ., ბასილი XIII ს. 40-იან წლებში[2]. როგორც ჩანს, პროტოუპერტიმოსი თამარის დროს თანდათან საქართველოს მეფის მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის საპატიო ტიტულად ქცეულა.

თამარის მეფობის ხანაში პ რ ო ტ ო უ პ ე რ ტ ი მ ო ს ი ს ტ ი ტ უ ლ ი მ ი ნ ი ჭ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა მ ე ფ ო ს ვ ა ზ ი რ ი ს ა თ ვ ი ს ერთხელ კიდევ ხაზს უსვამდა საქართველოს ამ დიდმოხელის განსაკუთრებულ მდგომარეობას ფეოდალური მონარქიის მმართველობის სისტემაში.

ამრიგად, დიდებულთა ბრძოლა მიქაელ კათალიკოსის მეთაურობით მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სახელოს, კერძოდ გიორგი III-ის დროიდან ამ თანამდებობის მფლობელის — ანტონის წინააღმდეგ, სამეფო ხელისუფლებისა და მისი „უზომოდ ერთგული“ მოხელის გამარჯვებით დამთავრდა. სამეფო ხელისუფლებამ ამ შემთხვევაში აღარ დათმო თავისი მოხელე (როგორც ადრე შეელია უყბასარსა და აფრიდონს). ეს კი ოპოზიციურ ძალებზე სამეფო ხელისუფლების დიდი გამარჯვება იყო, თამარმა არა მარტო შეინარჩუნა გიორგი III-ის დროინდელი სამინაო პოლიტიკის თავდადებით გამტარებელი ვაზირი, არამედ კიდევ უფრო გააფართოვა მისი უფლებები და მას სახელმწიფოს უპირველესი მოქალაქის საპატიო წოდებაც მიანიჭა.

ანტონი თამარის გამეფების პირველი წლიდანვე ისევ ჩაუდგა საქართველოს სამეფოს „დარბაზის რიგის“ მოხელეებს სათავეში და მისი ხელმძღვანელობა თამარის მეფობის ბოლო წლამდე გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში, მთელი ოცი წლის (1185—1205) მანძილზე, ანტონის ვაზირობა ნიშნავდა გიორგი III-ის სამინაო პოლიტიკის გაგრძელებას თამარის მეფობის წლებში.

ჩვენ, სამწუხაროდ, არაფერი ვიცით ანტონის შემცველი ვაზირის, თევდორეს მოღვაწეობის შესახებ. მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ანტონის გარდაცვალების შემდეგ (დაახლოებით იმავე პერიოდში გარდაიცვალა და-

---

[1] დუ კანჟი (ლათ.), გვ. 1463—1464.

[2] ს. ყ ა ყ ა ბ ა ძ ე, არსენ ჭყონდიდელის სიგელი, გვ. 132; შდრ. სკ, II, გვ. 76, ი. ც ი ნ ც ა ძ ე, არსენ ჭყონდიდელის ახლად მოპოვებული სიგელი, გვ. 24, 28.

ვით სოსლანიც) დიდგვარიან მოხელეებს ისეე უნდა წამოეყოთ თავი და ხელახლა დაეწყოთ ბრძოლა მეფის ვაზირის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის შედეგი, როგორც ზემოთ ითქვა, იყო ათაბაგობის შემოღება და მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სახელოს თანდათან დაკნინება, მაგრამ ყველაფერი ეს თამარის მეფობის უკანასკნელ და შემდეგ წლებში მოხდა.

არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ საეკლესიო კრების შედეგები და მასთან დაკავშირებით მოკლედ მაინც არ შეეხოთ ე. წ. „ცეზარპაპიზმის“ საკითხს თამარის მეფობის გარკვეულ წლებში.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, უშედეგოდ არ ჩაუვლია საეკლესიო კრებას, რომელმაც, მართალია, ვერ გადააყენა, მაგრამ მნიშვნელოვნად შეარყია მიქაელ მირიანისძის, როგორც კათალიკოსის, გავლენა. უმნიშვნელო არ ყოფილა ამ თვალსაზრისით მიქაელის მომხრე სხვა საეკლესიო ხელისუფალთა გადაყენებაც. ყველაფერი ეს მიქაელის ძალაუფლებისა და გავლენის არსებითად შეკვეცაზე მიუთითებს, მით უფრო, რომ სამეფო ხელისუფლებამ იგი სავსებით ჩამოაშორა საერო საქმეებს. ამგვარად, ამის შემდეგაც 5 6 წლის მანძილზე მიქაელის კათალიკოსობას არ შეიძლებოდა რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა მოესდინა სამეფო ხელისუფლების საშინაო პოლიტიკაზე.

მიქაელ კათალიკოსს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის თანამდებობაზე, როგორც გამოვარკვიეთ, მხოლოდ რამდენიმე თვე, არა უმეტეს ერთი წლისა (გიორგი III-ის გარდაცვალებიდან თამარის ხელმეორე კურთხევის პირველ წლამდე) დაუყვია. ასე რომ მიქაელის მიერ ვაზირის ხელისუფლების „მოვერაგება“ სახელმწიფო და საერო ცხოვრებაზე ეკლესიის გაბატონების მხოლოდ წარუმატებელი ცდა იყო და არა თვით „ცეზარპაპიზმი“, „ქართული სახელმწიფოებრიეობის დიდი და თვალსაჩინო მარცხი“, როგოც თავის დროზე ფიქრობდა ი. ჯავახიშვილი[1].

პირიქით, სამეფო ხელისუფლებასა და ვაზირის თანამდებობის მიმტაცებელ კათალიკოსს შორის გამართული ბრძოლა -სამეფო ხელისუფლების გამარჯვებით დამთავრდა და ანტონიც აღდგენილ იქნა თავის უფლებებში. თამარის მეფობის პირველ წელსვე მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის თანამდებობიდან გადაყენებულ კათალიკოსს, ცხადია, ამიერიდან ხელი აღარ მიუწვდებოდა სახელმწიფო-საერო საქმეებზე და საკუთარი ნება-სურვილით ვერ დააწინაურებდა მაღალ საერო თანამდებობებზე მისთვის სასურველ პირებს. ამდენად, არ არის მართალი ი. ცინცაძე, როცა აბულასანს და იქნებ ზოგ სხვასაც მიქაელ მირიანის ძის დაწინაურებულად მიიჩნევს ერისთავთ-ერისთავისა თუ მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობაზე[2].

აღსანიშნავია, რომ ქართლის კათალიკოსის — მიქაელ მირიანისძისადმი საქართველოს სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულება და ასევე მიქაელის პოზიცია არსებითად დაახასიათა კიდეც სამეფო ხელისუფლების ერთგულმა ისტორიკოსმა, როცა იგი „ღმრთის სასჯელით განყენებულად“ და „ყოველთა

---

[1] „მიქაელი ორსაე, საერო-სახელმწიფო და საეკლესიო ხელისუფლებას მქონებელი და გამართიანებელი იყო. ეს გარემოება სახელმწიფოსა და საერო ცხოვრებაში აუცილებლად ეკლესიის გაბატონებას მოასწავებდა. ეს ცეზარპაპიზმს უდრიდა და... საქართველოს მეფეთა მთელ გეზსა და პოლიტიკას კი ძირითადად ეწინააღმდეგებოდა“ (ი. ჯავახიშვილი, ქსი, II₂, გვ. 146—147; ი. ცინცაძე, ძიებანი, გვ. 123).

[2] ი. ცინცაძე, ძიებანი, გვ. 126; შდრ. მისივე, რუსეთ-ს ქართველოს ურთიერთობის მე-12 საუკუნის ისტორიიდან, „მაცნე“, 1968, № 5, გვ 222.

(იგულისხმება მეფის მომხრეთა) საძულველ პირად გამოაცხადა: „მოკუდა ქართლისა ქათალიკოზ[ი] მ[ა]ნის ძე მიქაელ... და არავინ შეწუხნა მისთჳს, არცა დიდი, არცა მცირე, რამეთუ ყოველნი სძულობდეს“[1].

ამრიგად, მეფობის პირველ წელსვე თამარის მიერ გატარებული ღონისძიება ანტონს აღდგენა ვ ზირის თანამდებობაზე — სამეფო ხელისუფლების რადიკალური ღონისძიება იყო, რომელიც თ ვისთავად გამორიცხავდა სამხედრო პოლიტიკაში ოპოზ ციონერი დიდგვარიანებისადმი დათმობასა და მათ რესტავრაციას მაღალ თანამდებობებზე.

ი. ჯავახიშვილის მართებული შენიშვნით, ანტონ ს აღდგენა, სარგის მსარგრძელის დანიშვნა ამირსპასალარად, ხოლო ჭიაბერისა — მანდატურთუხუცესად. ამას ნიშნ ვდა, რომ ე ამარის სამეფო ხელისუფლებაც, დიდგვარიან აზნაურთა დასის სურვილის საწინააღმდეგოდ, მაღალ თანამდებობებზე დასანიშნ პირთათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას გვარიშვილობას“ კი არ ანიჭებდა, არამედ, პირიქით, „უმთავრესად პირად ღირსებასა და მეფეთა პოლიტიკის მომხრეობას“[2].

მაგრამ ყველაფერი ეს უფრო ნათლად გამოჩნდება, როცა საგანგებოდ განვიხილავთ იმ ხელისუფალთა ვინაობასაც, რომელნიც ანტონ მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელთან ერთად დაინიშნენ „დარბაზის რიგის“ მაღალ თანამდებობებზე.

2. მანდატურთუხუცესი

„სხუანი ხელისუფალნი“ — ასე უწოდებს თამარის პირველი ისტორიკოსი ვაზირისა და ამირსპასალარის ქვემოთ დასახელებულ მოხელეებს და ჩვენც ვაზირის ვინაობის განხილვის შემდეგ მათზე გვინდა შევჩერდეთ. თუმცა, თუ მოხელეთა დასახელების რიგს დავიცავდით, მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელის შემდეგ ამირსპასალარის სახელო და ამ თანამდებობის მქონე პირთა ვინაობა უნდა შეგვესწავლა, მაგრამ რაკი ეს საკითხი ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, იგი ცალკე, საგანგებო თავში იქნება განხილული. ამიტომ ამჯერად „სხუა ხელისუფალთა“ შორის თამარის ისტორიკოსის მიერ პირველად დასახელებულ მ ა ნ დ ა ტ უ რ თ უ ხ უ ც ე ს ი ს სახელოსა და მისი მფლობელის ვინაობაზე შევჩერდეთ.

გიორგი III-ის უკანასკნელი მანდატურთუხუცესი, ყუბასარი, რომელსაც ამავე დროს ამირსპასალარობაც ჰქონდა, თან გადაჰყვა თავისი „გამზრდელის“ გარდაცვალებას: თამარის გამეფებისთანავე დიდგვარიანმა დიდებულებმა შეუწყნარებლად მიიჩნიეს ნაკ ეჩაყარი და დასნეულებული ყუბასარის მოხელეობა და ერთხმად მოითხოვეს მისი გადაყენება. დიდგვარიანები თავიანთი მოთხოვნის საფუძვლიანობას იმითაც ასაბუთებდნენ, რომ ყუბასარი არა მარტო უგვაროო იყო, არამედ „უქმარიც“, თავისი თანამდებობისათვის შეუფერებელი — „გარნა სენისა მიერ, ფილენჯად წოდებულისა, მოეღებოდა ენაჲ, კელი და ფერკი“[3]. რა თქმა უნდა, ენა და ხელ-ფეხწართმეული ყუბასარის ამირსპასალარობა და მანდატურთუხუცესობა სავსებით ფორმალური იქნებოდა. მაგრამ მთავარი მაინც ეს არ ყოფილა: დიდგვარიანებს, ცხადია, უგვაროო ყუბასარის მიერ „ძუელთა კელისუფალთა და გამგებელთა“, „დარბაზის რიგის“ მოხელეებიდან

---

[1] ბასილი, გვ. 18.

[2] ი. ჯავახიშვილი, ქსი, II₂, გვ 180—181

[3] ისტორიანი, გვ. 76.

გაძევება, მათი დამცრობა აღშფოთებდათ და აწუხებდათ. ამიტომ იყო, რომ დიდგვარიანებმა უუბასარის არა მარტო გადაყენება, არამედ, მისთვის ყოველგვარ დიდებასთან ერთად, „ქონებისა და სიმდიდრის მოღებაც“ მოითხოვეს.

ღსანიშნავია, რომ უუბასარი, ისტორიკოსის სიტყვით, იყო „გაზრდილი პატრონთაგან“ და, ბუნებრივია, სამეფო ხელისუფლების ერთგული („დაღაცათუ ერთგული და კარგი მოყმე“). ასეთი პოხელის დამთმობა ძნელი იყო ახლად გამეფებული თამარისათვის: მაგრამ უგვაროთაგან „დაძრცვილ და უნატოდ გაძეულ გუარიანთა და მსახურეულთა“ პოთხოვნა ამჯერად ისე კატეგორიული აღმოჩნდა, რომ თამარი იძულებული გახდა უუბასარი თანამდებობიდან გადაეყენებინა და ამირსპასალარობისათვის მიცემული ლორეც ჩამოერთმია. სხვა კი „არარაჲ დააკლო და ეგრეცა სიყვარულითა დიდითა და პატივითა დაიჭირა დღემდე მიცვალებისა მისისა“[1].

უუბასარის გადაყენებით სამეფო კარზე ორი თანამდებობა განთავისუფლდა — ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესისა; ამაევ დროს განთავისუფლდა „დარბაზის რიგის“ სხვა თანამდებობაც მსახურთუხუცესისა. დიდგვარიანები გამარჯვებას ზეიმობდნენ — სამეფო ხელისუფლება ერთი შეხედვით დათმობაზე მიდიოდა და გიორგი III ის დროს დამცრობილთა, „დაძრცულთა და უნატოდ გაძეულთა“ დრო დგებოდა, მაგრამ ახლა ბრძოლა თვით მათ შორის. დიდგვარიანთა ცალკეულ სახლებს (გვარებს) შორის გაიშალა. თამარის ისტორიკოსის შესანიშნავი თქმით, „ბრძოლისა მყოფთა ქელისუფლობისა და დიდებისათჳს ურთიერთას დაუწყეს ზიდვაჲ“[2]. ჩვენი ამირსპასალარობისათვის ბრძოლა. მაგალითად, უუთლუ-არსლანი, ისტორიკოსის სიტყვით, უუბასარის გადაყენებისთანავე თავს ამირსპასალარს უწოდებდა და „ლორეს დაჯდომად განმზადებული იყო“. დიდგვარიანთა სხვა წყება კი მანდატურთუხუცესობას თუ მსახურთუხუცესობას ესწრაფოდა. ამიტომ იყო, რომ მათ ამჯერად სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას თავი მიანებეს და ადგილების განაწილებისათვის („ქელისუფლობისა და დიდებისათჳს“) „ურთიერთას დაუწყეს ზიდვაჲ“

სამეფო ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, მოხერხებულად ისარგებლა დიდგვარიანთა „ურთიერთ ზიდვით“ და თავისი საქმის მოგვარებას შეუდგა — გათავისუფლებულ ადგილებზე ისევ „პატრონთაგან გაზრდილი“ პირები ინიშნებოდნენ. სწორედ ასეთი იყო ჭიაბერი, რომელიც თამარმა გამეფების პირველ წელსვე. უუბასარის გადაყენების შემდეგ, მანდატურთუხუცესის თანამდებობაზე დანიშნა: „განაჩინა და უბოძა ჭიაბერსა მანდატურთუხუცესობა და მისცა არგანი ოქროჰასაჲ ქელთა მისთა და შთააცვა ტანსა მისსა სკარამანგი“[3] — წერს თამარის პირველი ისტორიკოსი. ეს კი, როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, თამარის გამეფების დასაწყისშივე, 1185 წელს, მოხდა.

თამარის ისტორიკოსებს საინტერესო ცნობები აქვთ თვით ჭიაბერის ვინაობისა და მისი თანდათან დაწინაურების შესახებ. პირველი ისტორიკოსის მიხედვით, ჭიაბერი „თჳთგაზრდილი მისი“ (გიორგი III-ისა) და გიორგი III-ის მიერვე მეჯინიბეთუხუცესად დანიშნული[4]. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ჭიაბერს მეჯინიბეთუხუცესობა ორბელთა აჯანყების დროს უნდა ჰქონდეს მიღებული. თამარის პირველი ისტორიკოსი ორბელთა აჯანყების დროს ერთდროულად ორ მეჯინიბეთუხუცესს ასახელებს: ჭიაბერს, რომელიც გიორგი

[1] ისტორიანი, გვ. 77.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 78.
[4] იქვე, გვ. 68.

III-ის სხვა ერთგულ მოლაშქრეებთან ერთად ჰერეთს გაიგზავნა აჯანყებულთა მომხრე ჰერ-კახთა და ლეკთა წინააღმდეგ, ხოლო ქვემოთ, იქვე, აჯანყებულთა დამხმარე ძალის საძიებლად „მუნიდაღმიდან სპარსეთს წასულ“ პირებს შორის დასახელებულია „ქართლის ერისთავი სუმბატის ძე ლიპარიტი და მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე“[1].

საინტერესოა, ვინ არის ეს ქავთარ ივანეს ძე? იგი რომ თვით ორბელია და ივანე ორბელის ახლო ნათესავი, უეჭველია, მაგრამ ქავთარი არ უნდა იყოს აჯანყებული ივანე ორბელის ძე. ივანეს, სტეფანოზის ცნობით, მხოლოდ ერთი შვილი — სუმბატი ჰყავდა, მაგრამ სამეფო კარზე მისი მოხელეობის შესახებ არავითარი ცნობები არ გაგვაჩნია. სხვა ძის შესახებ კი სტეფანოსს რაიმე ცნობა არ მოუცია. მართალია, ვარდანი სიკვდილით დასჯილთა შორის ახსენებს ივანეს უმცროს ძეს-ქავთარს[2], მაგრამ ეს ცნობა სწორი არ უნდა იყოს. სიკვდილით დასჯილი ქავთარი, სტეფანოს ორბელიანის ცნობით, ივანეს ძე კი არ იყო, არამედ მისი „უმრწემესი ძმა“[3], ასე რომ აჯანყებულ ორბელთა შორის იყო ქავთარი, მაგრამ არა ძე ივანესი, არამედ ძმა მისი. ქავთარი (ვარდანით თითქოს უმცროსი შვილი ივანესი) თამარის ისტორიკოსის მიერ მეჯინიბეთუხუცესადაა მოხსენიებული, მაშინ როცა ივანეს უფროს შვილს, ამავე ისტორიკოსის ჩვენებით, რაიმე სახელო სამეფო კარზე არც კი ჰქონია. ცხადია, დაუჯერებელია, რომ უფროსს თანამდებობა არ ჰქონოდა სამეფო კარზე და უმცროსი კი მეჯინიბეთუხუცესად ყოფილიყო დანიშნული. ასე რომ ქავთარ მეჯინიბეთუხუცესი უნდა იყოს არა ივანეს ძე, არამედ „ძმა მისი უმრწემესი“. მართლაც, ივანე და ლიპარიტ ორბელებს მესამე ძმაც ჰყავდათ — ქავთარი, რომელიც, როგორც ჩანს, გიორგი III-ის მეჯინიბეთუხუცესი ყოფილა. ამრიგად, ორბელებს გიორგი III-ის კარზე ჰქონიათ ამირსპასალარის, მანდატურთუხუცესის, ამირახორისა და მეჯინიბეთუხუცესის სახელოები; პირველი ორი თანამდებობა უფროსს — ივანეს ეპყრა, ორი დანარჩენი კი, რომელიც აგრეთვე სამხედრო უწყებაში შედიოდა და ამირსპასალარს ექვემდებარებოდა, უმცროს ძმებს — ლიპარიტსა და ქავთარს[4].

---

[1] ისტორიანი, გვ. 68.

[2] ვარდანი, მსოფლიო ისტორია (სომხ.), გვ. 160.

[3] სტეფანოს ორბელიანი, სივნიეთის ისტორია (სომხ.), გვ. 385.

[4] პ. ინგოროყვას მიხედვით, გიორგი III-ის მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე იყო აბულეთის ძე. იგი წერს: „მეფე გიორგი III-ს შემოურიგებია აგრეთვე დასჯილ აბულეთისძეთა გვარეულობა... ქავთარ ივანეს ძე აბულეთის ძე გიორგი III ს შეუყვანია სავაზიროში, მან დაიპირა სპასპეტის, მეჯინიბეთ უხუცესის პოსტი“ (რუსველიანას ეპილოგი, გვ. 623). ეს თვალსაზრისი მცდარად მიგვაჩნია: ჯერ ერთი, მეჯინიბეთუხუცესი სავაზიროს წევრი არასოდეს ყოფილა, მით უფრო გიორგი III-ის დროს, როცა საეჭვირო საერთოდ არც არსებობდა, და არც „ხელშეწყობის კარის გარიგების“ შედგენის დროს, ასევე მეჯინიბეთუხუცესი სპასპეტი არ ყოფილა. რაც მთავარია, არსაიდან ჩანს ქავთარ ივანის ძის აბულეთისძეობა. საამისო წყაროდ ავტორის მიერ მითითებულია „ისტორიანი და აზმანი“, სადაც მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე მართლაც არის დასახელებული, მაგრამ არაფერია ნათქვამი მისი აბულეთისძეობის შესახებ. თამარის ისტორიკოსის მიხედვით, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე, ლიპარიტ სუმბატის ძე ორბელთან ერთად, გაიგზავნა საქართველოს საზღვრებს გარეთ აჯანყებულთა დახმარების საძიებლად (ისტორიანი, გვ. 68). ესაა და ეს თამარის ისტორიკოსს სხვა ცნობა ქავთარ ივანეს ძის შესახებ არაფერი მოაქვს, ამით კი მისი აბულეთისძეობა, ცხადია, არ დასტურდება. ვარდანის მოწმობით, დემეტრეს მიერ დასჯილ ივანე აბულეთის ძეს ერთადერთი შვილი დარჩა (ქართული წყაროებით ქირქინ), რომელიც, მ მის დასჯის შემდეგ, ერთხანს შაჰ-არმენთან იყო შეხვეწილი (ვარდანი, მსოფლიო ისტორია, გვ. 151), ხოლო შემდეგ გიორგის შემოურიგებია და მასთან ერთად იხსენიება ანისისათვის ბრძოლაში (ისტორიანი, გვ. 159). სხვა შვილი, კერძოდ ქავთარი, ივანე აბულეთის ძეს არ ჰყო-

ამრიგად, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარი ორბელთა საგვარეულოს ეკუთვნის, მაგრამ, როგორ მოხდა, რომ სამეფო კარზე ერთდროულ დ ორი მეჯინიბეთუხუცესი აღმოჩნდა? როგორც ჩანს, გიორგი III-მ აჯანყების დროს, როცა ყველა ორბელის პოზიცია საეჭვოდ გარკვეული იყო, რა თქმა უნდა, აჯანყების მონაწილეებს აჯანყების დამთავრებამდე წაართვა თანამდებობანი და მათ ადგილებზე თავისი ერთგული პირები დანიშნა; მით უფრო, რომ საკმაოდ გახანგრძლივებული აჯანყების დასამარცხებლად მეფის ერთგული ახალი მოხელეების მონაწილეობა, განსაკუთრებით სამხედრო უწყებაში, აუცილებელი იყო. ამას უნდა გამოეწვია როგორც ყუბასარის ამირსპასალარად და მანდატურთუხუცესად დანიშვნა, ასევე, ჭიაბერის აღზევება მეჯინიბეთუხუცესად. ახალ თანამდებობაზე აღზევებული ჭიაბერი, როგორც ჩანს, მაშინვე გაიგზავნა აჯანყებას მიმხრობილ ჰერ-კახთა წინააღმდეგ.

ამრიგად, ჭიაბერი, გიორგი III-ის „გაზრდილი", პოლიტიკური მოღვაწე გიორგი III-ის ერთგულთა წრიდან, დიდ ოპოზიციურ ძალებთან ბრძოლის დროს დაწინაურდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გიორგი III-ის საშინაო პოლიტიკის ერთგული ჭიაბერის შემდგომი დაწინაურება ხდება თამარის დროს, კერძოდ მაშინ, როცა დიდგვაროვნები გიორგი III-ის მიერ აღზევებულთა წინააღმდეგ გამოდიოდნენ. როგორც ვნახეთ, გიორგი III-ის მიერ „გაზრდილი ყუბასარის" ერთი თანამდებობა — მანდატურთუხუცესობა ისევ გიორგი III-ის მიერ „გაზრდილმა ჭიაბერმა" დაიკავა. სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო ამ მაგალითიდანაც კარგად ჩანს თამარის სამეფო ხელისუფლების საშინაო პოლიტიკის მიმართულება — არა რესტავრაცია გიორგი III-ის დროს დამცრობილ და „დაჟარცვილ" დიდგვაროვნთა, როგორც პ. ინგოროყვა ფიქრობს, არამედ გაგრძელება გიორგი III-ის საშინაო პოლიტიკისა და სამოხელეო წყობაში ისევ „პატრონთა გაზრდილის" აღზევება. ასე რომ, თუ ამას „რესტავრაციის ხანა" შეიძლება ეწოდოს, იგი სწორედ გიორგი III-ის მიერ ორბელთა აჯანყების დამარცხების შემდეგ აღებული გეზის რესტავრაციად უნდა მივიჩნიოთ და არა პირიქით, სამოხელეო წყობიდან „უნატოდ გაძეულ" „გუარიანთა და მსახურეულ სახლთა" რესტავრაციად.

ჭიაბერის როლი სამეფო კარზე განსაკუთრებით გაიზარდა მანდატურთუხუცესის მაღალი თანამდებობის მიღების შემდეგ. ჭიაბერი აქტიური მონაწილეა გიორგი რუსის აჯანყების ჩაქრობისა. იგი პირველთაგანია იმათ შორის, რომელთაც აჯანყებულთა ერთი ძირითადი, ჯავახეთის დაჯგუფების განადგურების შემდეგ, გადაწყვიტეს თავს დასხმოდნენ მეორე დაჯგუფებას — ქართლში დაბანაკებულ აჯანყებულებს[1].

ჭიაბერის კარიერაში საინტერესოა ერთი დეტალი — მისი დანიშვნა (როგორც ჩანს, დროებით) ამირსპასალარის თანამდებობაზე. როგორც ცნობილია, ამირსპასალარის თანამდებობით ჭიაბერი შიო-მღვიმისადმი ბოძებულ „შეწირულობის წიგნში" მოიხსენიება. იგი ამ სიგელში „მანდატურთუხუცესად და ამირ-

---

ლია. აბულეთის ძენი, დიდ აბულეთის შთამომავალნი, ქართულ წყაროებში მამის სახელით კი არა, ყოველთვის მხოლოდ აბულეთის ძეობით მოიხსენიებიან; მაგ. ჭირჭიშ (თირჭაშ) ივანეს ძე, თამარის ისტორიკოსის მიერ მხოლოდ ჭირჭიშ აბულეთის ძედ იხსენიება და არა ჭირჭიშ ივანეს ძედ; სარგის „ქავთარი" აბულეთისძეებში არ გვხვდება. ამრიგად, ქავთარ ივანეს ძე არ შეიძლება იყოს აბულეთის ძე, გი ორბელია, ივანე ორბელიანის უმცროსი ძმა.

[1] ისტორიანი, გვ. 93.

სპასალარად" არის წოდებული. მართალია, „შეწირულობის წიგნის" დამამტკიცებელნი და მოწმენი ჭიაბერს მხოლოდ მანდატურთუხუცესად მოიხსენიებენ, მაგრამ ჭიაბერს ერთ დროს ამირსპასალარის თანამდებობაც რომ უნდა ჰქონოდა, ეს უეჭველია, თუმცა არც თამარის ისტორიკოსები მოიხსენიებენ მას ამ თანამდებობით.

როდის უნდა იყოს შედგენილი ზემოდასახელებული სიგელი და როდის უნდა ჰქონოდა ჭიაბერს ამირსპასალარის თანამდებობა? თ. ჟორდანია, ჭიაბერის შეწირულობის სიგელის პირველი გამომცემელი, მას 1190 წლით ათარიღებდა[1], ი. ჯავახიშვილი 1184-85 წლებით[2], კ. გრიგოლია კი 1212 - 1213 წლებით.[3] ჩვენ არ შევუდგებით ზემოდასახელებულ მკვლევართა მოსაზრებების დასასაბუთებლად მოტანილი მასალის განხილვას. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ჭიაბერს არც 1184-85 და არც 1212-13 წლებში არ შეიძლებოდა ჰქონოდა ამირსპასალარობა. 1212 წ. ივი, როგორც ირკვევა, საერთოდ ცოცხალიც აღარ იყო. უფრო სწორი ჩანს თ. ჟორდანია, რომელიც სიგელის შედგენის თარიღად 1190 წ. მიიჩნევდა; ს. კაკაბაძის[4], პ. ინგოროყვასა[5] და ნ. შოშიაშვილის[6] მიხედვითაც ჭიაბერი ამირსპასალარად გამრეკელ თორელის შემდეგ ერთხანს, 1190-91 წელს უნდა ყოფილიყო.

მართლაც, თამარის პირველი ისტორიკოსის მონაცემებით, ამირსპასალარი გამრეკელ თორელი 90-იან წლებში, მართალია, ცოცხალი იყო და მასვე ებრძანა აჯანყებული გიორგი რუსისა და მის მომხრეთა წინააღმდეგ გალაშქრება,[7] მაგრამ ამ დროს ამირსპასალარი, ჯერ კიდევ XII ს. 60 იანი წლებისათვის „სახელგანთქმული მოლაშქრე", უკვე მოხუცებული უნდა ყოფილიყო და თავისი მოვალეობის შესრულებაც, ალბათ, ფაქტიურად არც კი შეეძლო. ამასთან, გამრეკელ თორელი, იმავე ისტორიკოსის მოწმობით, თვით აჯანყების მიმდინარეობის თუ ახალ მოხელეთა დანიშვნის დროს გარდაიცვალა; ამას უნდა ნიშნავდეს ისტორიკოსის სიტყვები: „ამას შინა მიიცვალა გამრეკელი ამირ-სპასალარ". ასე რომ გიორგი რუსის აჯანყების მომენტში გამრეკელის მოხუცებულობამ და იქნებ ავადმყოფობამაც, სანამ ახალი ხელისუფალნი დაინიშნებოდნენ, აუცილებელი გახადა ამირსპასალარობის თანამდებობა შეეთავსებინათ სამეფო ხელისუფლების ერთგულ, მეორე, ასევე არსებითად სამხედრო, ხელისუფლისათვის — მანდატურთუხუცესისათვის. ასეთ შეთავსებას, როგორც ვნახეთ, ხშირად ჰქონდა ადგილი გიორგი III-ის მეფობაში. ასე რომ აქ მოულოდნელი და მიუღებელი არაფერი იყო. საინტერესოა, რომ, თამარის ისტორიკოსის ცნობით, გიორგი რუსის აჯანყების მონაწილეთაგან სამეფო ხელისუფლებისაგან შენდობის მთხოვნელებმა „მათ წინაშე საყოფელად" ითხოვეს დედოფალი რუსუდანი, კათალიკოსი, მანდატურთუხუცესი, ეპისკოპოსნი და არა ამირსპასალარი. როგორც ჩანს, ამ დროს „დარბაზის რიგის" მოხელეთა შორის მანდატურთუხუცესი პირველობს, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ გამრეკელ თორელი ან გარდაცვლილი იყო, ან კიდევ აჯანყებულთა საქმეების გარჩევაში მონაწილეობის მიღება არ შეეძლო.

---

1 ქრონიკები, I, გვ. 277.

2 ი. ჯავახიშვილი, ქს, გვ. 176.

3 კ. გრიგოლია, ჭიაბერის შეწირულობის წიგნის დათარიღებისათვის, გვ. 177—182

4 ს. კაკაბაძე, რუსთაველი, გვ. 133.

5 პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, გვ. 107.

6 ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია, გვ. 20.

7 ისტორიანი, გვ. 95.

გიორგი რუსის აჯანყების მარცხის შემდეგ, თამარის მომხრეთა ერთი ჯგუფი ახალ თანამდებობებზე დაინიშნა, ზოგს ქვეყნები უბოძეს, ზოგს კი სახელოებიც და ქვეყნებიც — ამ დროს მიიღო, მსახურთუხუცესობასთან ერთად, კაენი და კაიწონი ივანე მხარგრძელმა. აჯანყებულთა საქმის გარჩევისა და გიორგი რუსის ხელმეორედ საქართველოდან განდევნის შემდეგ, გამრეკელის გარდაცვალების აღნიშვნასთან დაკავშირებით, ისტორიკოსი თითქოს საგანგებოდ ილაპარაკოთხუცესობასთან დაკავშირებით, ისტორიკოსი თითქოს საგანგებოდ ილაპარაკოთს ზაქარია მხარგრძელის ამირსპასალარად დანიშვნასა და ჰიაბერისა-ოვ ს „ყინვანის ქალაქისა და ციხის, მრავალთა მთიულეთითა" ბოძებას. როგორც ჩანს, ჰიაბერის მეორე სახელო ამირსპასალარობა ქ. რუსთაველთან ერთად, ზაქარია მხარგრძელს გადაეცა. მაგრამ ისტორიკოსმა ჰიაბერის დროებითი ამირსპასალარობა არ მოიხსენია და მისთვის ყინვანისა და მიმდგომი მხრის მომატებისა და ბოძების აღნიშვნით დაკმაყოფილდა: „მაშინ უბოძეს ამირ-სპასალარობა ზაქარიას მკარგრძელსა, ძესა სარგის ამირ-სპასალარისასა, ...მოუმატეს ქალაქიცა რუსთავი მოყმესა ღირსსა სპასპეტობისასა და ჰიაბერსა მანდატურთ-უხუცესსა მოუმატეს და უბოძეს ყინვანი ქალაქი და ციხე მრავალითა მთიულეთითა"[1].

---

[1] ისტორიანი, გვ. 95. ჰ ინგოროყვა ჰიაბერს ყინვანისა და რუსთავის სამფლობელოს (რუსთავისა და ყინვანის თემების) ერთი ნაწილის დროებით მქონებლად მიიჩნევს. ჰიაბერი ყინვანს თურმე მხოლოდ 1196 წლამდე ფლობდა, ხოლო შემდეგ „რუსთავის სამფლობელო (რუსთავი და ყინვანის თემები) — გადაეცა ჰერეთის ერისთავთა სახლს". ასე რომ 1196 წლიდან 1206 წლამდე, მისივე მტკიცებით, შოთა ფლობდა რუსთავის თემს, რომელშიც ყინვანში თავისი მფლობელობის შესახებ მართლაც მიუთითა ჰიაბერის სიგელის ჭ ნაწილებისას (რუსთველიანა, გვ. 107—111). ამ მტკიცებაში მრავალ უსწორობასთან გვაქვს საქმე და შეუძლებელია მას გვერდი აუაროთ: ა) ის ფაქტი, რომ ერთ დროს ამდენი ერთდროულად ყინვანსაც ფლობდა და რუსთავსაც, სრულებით არ ნიშნავდა იმას, რომ საერთოდ რუსთავის მფლობელი ყინვანის მფლობელად მიეჩნიათ და, პირიქით, — ყინვანისა რუსთავისად. ასე რომ რუსთავის მფლობელობა ყინვანის თემებს არ გულისხმობდა და არც ყინვანის მფლობელობა — რუსთავის პატრონობას. ეს კარგად ჩანს სამეფო ხელისუფლების ღონისძიებიდან: თამარმა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ყინვანი ჰიაბერს უბოძა, ხოლო რუსთავი, იმავე დროს, ზაქარია მხარგრძელს (იხ. ისტორიანი, გვ. 95); ბ) არსაიდან ჩანს, რომ 1196 წლიდან „რუსთავის სამფლობელო — „რუსთავისა და ყინვანის თემები" ჰერეთის ერისთავთა სახლს გადასცემოდა. პირიქით, თამარის ისტორიკოსის მოწმობით, 1191 წლიდან, როგორც აღვნიშნეთ, ყინვანს ჰიაბერი ფლობდა, რუსთავს კი ზაქარია მხარგრძელი. არც ერთსა და არც მეორეს თავიანთი სიცოცხლის მანძილზე არაფერი დაუშავებიათ სახელმწიფოს წინაშე, რომ მათთვის ეს სამფლობლოები წაერთმიათ და 1196 წ. ჰერეთის ერისთავებისათვის გადაეცათ. პირიქით, ჰიაბერიცა და განსაკუთრებით ზაქარია მხარგრძელი თამარის დროს მაღლა მიიწევდნენ ფეოდალური იერარქიის საფეხურებზე. როგორც ჩანს, ჰიაბერმა და ზაქარიამაც ყინვანისა და რუსთავის მფლობელობა აოა მარტო თავიანთი სიცოცხლის მანძილზე, არამედ შთამომავლობისთვისაც შეინარჩუნეს. ჩვენ არ მოგვეპოვება არავინ რი არაპირდაპირი მითითებაც კი, რომლის მიხედვით შეიძლებოდა გეეფიქრა ამ საგანძურეული სახლებს დამკრობა თამარის ხანაში თუ შემდეგ (მონგოლებამდე) და მათ მიერ ყინვანისა და რუსთავის დაკარგვა. ასე რომ „რუსთავის სამფლობელოს, ყინვანის თემებითურთ" ჰერეთის ბაგრატიონებისათვის და ისიც 1196 წ. გადაცემის შესახებ პ. ინგოროყვას თვალსაზრისი უსაფუძვლოდ უნდა მიეჩნიოთ. უეჭველია, რომ ყინვანი ჰიაბერმა თავისი სიცოცხლის მანძილზე, 1205-06 წლამდე მაინც შეინარჩუნა; ასევე შეინარჩუნებდა რუსთავს ზაქარია მხარგრძელი და მისი მემკვიდრენიც შანშეს ფეოდალური სახლის დაცემამდე. ასე რომ ვერც ჰერეთის ბაგრატიონები და ვერც სხვა ვინმე რუსთავსა და ყინვანს ვერ მიიღებდა ზემოდასახელებულ წლებში. გ) რ ც მთავარია, ჰიაბერის სიგელის განმაპირობებელი შოთა, ჰიაბერის მსგავსად, მხოლოდ ყინვანის მფლობელია და არა რუსთავისა. ყინვანის მფლობლობა კი, როგორც აღვნიშნეთ, სრულებით არ ნიშნავდა რუსთავის მფლობელობას. ასე რომ ჰიაბერის სიგელი და ამგვარვე შოთას მფლობლობა ყინვანში, ჰიაბერის სიგელის განმაპირობებლობის შოთას რუსთაველობის დასამტკიცებლად საკმაოდ გამოსადეგარია. მით უფრო, რომ სწორედ იმ წლებში (1196—1206 წწ.), რომელსაც

აი, ამ შუალედში (აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლიდან გიორგის განდევნამდე) უნდა მიეღო ჭიაბერს ამირსპასალარის თანამდებობა დროებით და მასთან ერთად „ჟინვანი მრავლითა მთიულეთითა“. ცხადია, მხოლოდ ამ დროს, გიორგი რუსზე გამარჯვებისა და ჭიაბერის მორიგი აღზევების აღსანიშნავად, უნდა იყოს გაკეთებული შიო-მღვიმისადმი შეწირულობაცა და საამისო „შეწირულობის წიგნიც“.

ამრიგად, ჭიაბერის ამირსპასალარობა თამარის ხელისუფლების მხოლოდ დროებითი ღონისძიება იყო და ეს კარგად იცოდა თვით მანდატურთუხუცესმაც. აკი ჭიაბერიც იმავე სიგელში, სადაც იგი ამირსპასალარადაა ნახსენები, თაეის თავს მხოლოდ მანდატურთუხუცესს უწოდებს. „ესე დაწერილი მე ჭიაბერსა, მეფეთ-მეფისა თამარის მიწასა მანდატურთ-უხუცესსა თამარის დღეგრძელობისათვის შემოწირავს იგი კაცი და დაწერილი დამიმტკიცებია“...[1] ამიტომ იყო, რომ ჭიაბერს დამცრობილად თავი არასოდეს უგრძვნია და იგი სამეფო ხელისუფლების უერთგულეს მოხელედ დარჩა მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ჭიაბერი, მიუხედავად იმისა, რომ მანდატურთუხუცესი იყო და მის, როგორც ქვეყნის საშინაო საქმეთა გამგებლის, მოვალეობას საგარეო ომების დროს უფრო ზურგის დაცვა შეადგენდა, ვიდრე ბრძოლის ველზე მოქმედება, აქტიურად მონაწილეობდა შანჭორის ბრძოლაში და მისი გამარჯვებით დამთავრების მახარობელიც იყო[2]. საგულისხმოა, რომ შანჭორში გამარჯვების შემდეგ გამართულ დარბაზობის მონაწილეთა, „დარბაზის რიგის“ მოხელეთა შორის ჭიაბერი მეორედ მოიხსენიება ვაზირის შემდეგ და ამირსპასალარის წინ[3]. ეს კი გიორგისა და თამარის წინაშე დიდი დამსახურების მქონე მოხელის განსაკუთრებული პატივის მაუწყებელი უნდა იყოს.

ჭიაბერი აქტიურად მონაწილეობდა ბასიანის ბრძოლაშიც — „დაღაცათუ მანდატურთუხუცესი იყო“.[4] როგორც ჩანს, ეს იყო მისი უკანასკნელი სამსახური სამეფო სახლის წინაშე. ამის შემდეგ ჭიაბერი თამარის ისტორიკოსების თხზულებებში აღარ იხსენიება. როგორც აღვნიშნეთ, იგი ბასიანის ბრძოლის ახლო დროს, 1205-6 წლებში უნდა იყოს გარდაცვლილი.

გარდაცვალებამდე კი ჭიაბერი იყო თამარის სამეფო კარის უცვლელი მანდატურთუხუცესი — ერთ-ერთი პირველი დიდმოხელეთაგანი. ჩვენ ზემოთ უკვე სათანადო მასალებით ვუჩვენეთ, რომ მანდატურთუხუცესობა ჭიაბერს გარდაცვალებამდე არ დაუკარგავს და მისმა შემცვლელმა ამ თანამდებობაზე, ზაქარია მხარგრძელმა ეს თანამდებობა 1201 წლიდან კი არ მიიღო, როგორც ამას ჰარიპის წარწერის მიხედვით ამტკიცებენ მკვლევრები (ს. კაკაბაძე, ნ. შოშიაშვილი), არამედ 1205-1206 წლიდან, ჭიაბერის გარდაცვალების შემდეგ[5].

---

3. ინგოროყვა შოთას რუსთაველობის წლებად მიიჩნევს, რუსთავი ზაქარია მხარგრძელს ეკუთვნოდა და არა ჟინვანის მფლობელს, და მით უფრო არც ჰერეთის „ბაგრატიონებს“; დ) პ. ინგოროყვას ასეთი მტკიცებით, რუსთაველებად უნდა მიგვეჩნია ყველა ისინი, ვინც სხვადასხვა დროს ან ჟინვანს ან რუსთავს ანდა ორივეს ერთად ფლობდა კერძოდ, აბულასანი, ჭიაბერი, ზაქარია მხარგრძელი და სხვები. მაგრამ ცნობილია, რომ არც ერთი მათგანი რუსთაველად არ მოიხსენიება და, ნ. შოშიაშვილის სავსებით მართებული შენიშვნისა არ იყოს, ინგოროყვა ვერ დაასაბუთებს ვერც ერთ საერო პირს XII ს-ში ქ. რუსთაველის მფლობელს, რომელიც ამის გამო რუსთაველად წოდებულიყო (აქ აღძრულ საკითხებზე იხ. ავრეთვე შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 136 –137; მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, რ მდენიმე შენიშვნა, გვ. 317– 322).

[1] ი. დ ო ლ ი ძ ე, ქსძ, II, გვ. 30.

[2] ისტორიანი, გვ. 108.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 126.

[5] არ არის მართალი ს. კაკაბაძე, როცა ჰარიპის 1201 წლისად მიჩნეული წარწერის მიხე-

საშოხელეო წუობის კვლევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რომელი კუთხიდან იყო ჭიაბერი, რომელ საგვარეულოს ეკუთვნოდა იგი, მაგრამ მაინც საჭიროდ მივიჩნევთ მოკლედ შევჩერდეთ იმ მოსაზრებებზე, რაც ამ საკითხზე გამოთქმულა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ს. კაკაბაძეს ეჭვი არ ეპარებოდა ჭიაბერის თორელთა საგვარეულოსადმი კუთვნილებაში. მისი აზრით, იგი თორელთა ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელია[1]. ნ. შოშიაშვილმა არ გაიზიარა ს. კაკაბაძის მოსაზრება და ზოგი მასალის მოშველიებით შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ჭიაბერი თორელთა საგვარეულოს არ ეკუთვნოდა[2]. ჩვენ არ შევუდგებით ამ მასალათა განხილვას, თუმცა, ჩვენი აზრით, ნ. შოშიაშვილის მიერ ამ მიმართულებით წარმოებული კრიტიკა მაინცდამაინც დამაჯერებელი ვერ არის და ჭიაბერის თორელობის საპირისპიროდ ბევრს ვერაფერს ლაპარაკობს. ამასთან, თვით ნ. შოშიაშვილი გარკვევით არაფერს ამბობს ჭიაბერის ვინაობის შესახებ.

პ. ინგოროყვას მიხედვით, ჭიაბერი „ჰერეთის მხარის დიდებულთა წრის წარმომადგენელია"[3], კერძოდ, მანაველია, მანავის თემის არა მარტო მფლობელი, არამედ „სრულიად ჰერეთის საერისთაოს" „მანავის თემის" ერისთავ ერისთავიც[4]. ყოველივე ამის (კერძოდ, ჭიაბერის „ჰერეთის დიდებულთა წრიდან" წარმომაელობის, მისი მანაველობისა და „მანავის თემის" ერისთავთ-ერისთაობის) დასამტკიცებლად პ. ინგოროყვა იშველიებს „იერის ხეობაში" „ჭიაბერის ეკლესიის" არსებობას და ამ ეკლესიის მოხსენებას ალექსანდრე კახთა მეფის სიგელში. მართლაც, მცხეთის XV ს. მიწუურულის სიგელში მოიხსენიება „დავით აღმაშენებლის აღშენებული ჭიაბერთ ეკლესია ფხოელთაკენ წამოველით"[5]. სხვა საბუთი პ. ინგოროყვას არაფერი დაუმოწმებია, ხოლო დავით აღმაშენებლის მიერ აშენებული „ჭიაბერთ ეკლესია" თამარის დროს მოღუაწე ჭიაბერის საგვარეულო კუთვნილებად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული. ასე რომ „ჭიაბერთ ეკლესიის" არსებობა დავით აღმაშენებლის დროიდან ასე შორს მიმავალი დასკვნების — თამარის მანდატურთუხუცესის ჭიაბერის „ჰერეთის დიდგვაროვან დიდებულთა წრიდან" წარმომაელობის, „მანავის თემის საერისთაოს" არსებობისა და ჭიაბერის მანაველობის (მანავის თემის ერისთავთ-ერისთაობის) დასამტკიცებლად ვერ გამოდგებოდა. მით უფრო, რომ „მანავის თემის საერისთაოს" არსებობა საერთოდ თამარისა და მისი ახლო დროის მასალებით არ დასტურდება და არც ჭიაბერი მოიხსენიება არსად ერისთავთ ერისთავის ტიტულით.

ამრიგად, ჭიაბერის საგვარეულო კუთვნილება ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეული ვერ არის. ჭიაბერის შესახებ არსებული მასალები ამ მხრივ რაიმე საგულისხმო დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას ვერ იძლევა. უსაბუთო

დეით აქ მოხსენიებულ ზაქარია მხარგრძელს ამავე წლიდან მანდატურთუხუცესად თელის, ხოლო ჭიაბერს „სიცოცხლის უკანასკნელ წლებში" თავისი ნებით გადამდგარად მანდატურთუხუცესობის თან მდებობიდან (იხ. ვეფხის ტყაოსნის წინასიტყვაობა, გვ. LXXXVII, შენიშვნა). უკანასკნელ გამოკვლევაში კი ს. კაკაბაძემ, ისევ ჰარიჯის წარწერაზე დაყრდნობით, 1201 წლისათვის ჭიაბერი უკვე გარდაცვლილად გამოაცხადა (იხ. მისი რუსთაველი, გვ. 134). ჰარიჯის წარწერის ჩვენ მიერ ზემოდასაბუთებული დათარიღება (1207 1208 წწ.), როგორც ითქვა, საფუძველს აცლის ამ და მსგავს მოსაზრებებს, ჭიაბერის 1201 წ. გარდაცვალებისა და ამ დროიდ ნ ზაქ რია მხარგრძელის მანდატურთუხუცესობის შესახებ.

[1] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ვეფხის ტყაოსნის წინასიტყვაობა, გვ. XCIV.

[2] ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია, გვ. 19, 27 -23.

[3] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 656.

[4] იქვე, გვ. 628; შურ. იქვე, გვ. 602, 629.

[5] ქრონიკები, II, გვ. 310; ე. თაყაიშვილი, სს, გვ. II.

მტკიცებას კი, ცხადია, მეცნიერული ღირებულება არ შეიძლება ჰქონდეს. მაგრამ საესებით გარკვეულია, რომ: ა) ჰიაბერი ყუბასარია და ანტონის მსგავსად არის „გასრდილი პატრონისა“ (გიორგი III-ისა); ბ) ჰიაბერი გიორგი III მ მეჯინიბეთუხუცესად სწორედ ორბელთა აჯანყების შემდეგ დააწინაურა; გ) ორბელთა აჯანყების შემდეგ სამოხელეო წყობაში ფართოდ გაეხსნა გზა წვრილ, მსახურეულ აზნაურებს, მეფის ერთგულ პირებს. ჰიაბერიც უფრო ამ წრის, სამეფო ხელისუფლების დასაყრდენ მსახურეულ აზნაურთა წარმომადგენლ დ უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე დიდგვარიანთა. ფეოდალური არისტოკრატიისა „ჰერეთის მხარის დიდგვარიან დიდებულთა“.

ასე რომ გიორგი III-ის მეჯინიბეთუხუცესის ჰიაბერის მანდატურთუხუცესად აღზევება თამარის მიერ „ჰერეთის დიდგვარიან დიდებულთა“ რესტავრაცია კი არ იყო (როგორც ამას პ. ინგოროყვა ფიქრობს)[1], არამედ, პირიქით, გიორგი III ის საშინაო სამოხელეო პოლიტიკის განუხრელად გაგრძელების მაუწყებელი, თამარის მეფობის ხანაშიც.

3. მეჯერჯლეთუხუცესი

„სხუა ხელისუფალთა“ შორის მეჯურჯლეთუხუცესს, მანდატურთუხუცესის შემდეგ, მეორე, საერთოდ კი „დარბაზის რიგის“ მოხელეთა შორის მეოთხე ადგილი ეჭირა. „ხელმწიფის კარის გარიგებით“. მეჯურჯლეთუხუცესის სახელო ერთ ერთი უძველესია ქართულ ფეოდალურ მონარქიაში. მართლაც, ეს თანამდებობა გაცილებით უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე ქართული ნარატიული წყაროები მას მოიხსენიებდნენ. თამარის პირველი ისტორიკოსი მეჯურჯლეთუხუცესს გიორგი III-ის მეფობის დასასრულს მოიხსენიებს. მაგრამ უეჭველია, რომ ლაბეჭინის ტაძრის ხატის წარწერაში მოხსენიებული „მეჯურჯლეთუხუცესი და პროტოსტატორი“ სვანთა ერისთავი იოანე ვარდანის ძე გაცილებით ადრე მოღვაწეობდა, ვიდრე თამარის პირველი ისტორიკოსის მიერ პირველად მოხსენიებული მეჯურჯლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი. მაგრამ ჩვენ ამჯერად თვით ამ სახელოს ისტორია იმდენად არ გვაინტერესებს, რამდენადაც XII—XIII საუკუნეთა მიჯნის მეჯურჯლეთუხუცესთა ვინაობა.

თამარის პირველი მეჯურჯლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი იყო, ე. ი. ის, ვინც ამ სახელოს გიორგი III-ის მეფობის ბოლო წლებში ფლობდა. ყუთლუ-არსლანის ვინაობის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ მდიდარი ლიტერატურაა შექმნილი და ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია ხელახლა წამოვიწყოთ ვრცელი კამათი ამ საკითხთან დაკავშირებით.

ი. ჯავახიშვილმა, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, ყუთლუ-არსლანი უგვაროთა, „სიმდიდრით აღზევებულთა“ წრიდან გამოსულად და დაწინაურებულ პირად მიიჩნია. ამ მოსაზრებას მხარი დაუჭირა თავის დროზე ნ. მარმა, ხოლო შემდეგ ს. ჯანაშიამ და სხვებმა[2]. მაგრამ ყუთლუ-არსლანის ვინაობის საკითხი

[1] პ. ინგოროყვა, რუსთველი ნას ეპოქაში, გვ. 656

[2] ი. ჯავახიშვილი, ქსი, II$_2$, გვ. 155- 186; ნ. მარი, კორიდეთის სახარების მინაწერები (რუს.), გვ. 216.

შ. მესხია, საქალაქო კომუნა, გვ. 101--110. მისივე, ქალაქები და საქალაქო წყობილება (რუს.), გვ. 74; მისივე, პოლიტიკურ მოძრაობათა ბუნებისათვის XII ს-ში, თსუ საიუბილეო კრებული, 1961, გვ. 341— 372; მისივე, შენიშვნები ძველი რუსეთისა და საქართველოს ისტორიიდან. „მნათობი“, 1970, № 1, გვ. 164 --165; პ. ინგოროყვა შეცდომით ფიქრობს, რომ ს. ჯანაშიას თითქოს ყუთლუ-არსლანი დიდგვარიანთა პროგრესული ნაწილის წარ-

მაინც საკამათოდ რჩება ღა ზოგიერთ ავტორს იგი დიდგვარიანთა, კერძოდ ჯაყელთა საგვარეულოს წარმომადგენლად მიაჩნია[1]. ასე მაგალითად, პ. ინგოროყვამ მთელი თავი უძღვნა ყუთლუ არსლანის ვინაობის საკითხს,[2] სათანადო ლიტერატურაც დაასახელა და ამასთანავე მიუთითა, რომ ზემოდასახელებულმა ავტორებმა თავიანთი მოსაზრების დასადასტურებლად „ისტორიანისა და აზმანის“ დედანი (ასე უწოდებს იგი მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებას“) კი არ გამოიყენეს, არამედ „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქცია, და ამიტომაც მართებულად ვერ გადაჭრეს ყუთლუ-არსლანის ვინაობის საკითხი. მ უხედავად ასეთი შენიშვნისა, თვით პ. ინგოროყვამ გვერდი აუარა „ისტორიანისა და აზმანის“ დედნის მონაცემებს, საჭიროდ არ მიიჩნია მკითხველისათვ ს მიეწოდებინა იგი და განემარტა, თუ კერძოდ რა ვერ გაითვალისწინეს „ისტორიანისა და აზმანის“ დედნიდან ი. ჯავახიშვილმა, ს. ჯანაშიამ და სხვებმა. პ. ინგოროყვამ არც ის ჩათვალა საჭიროდ, რომ მკითხველისათვის ეჩვენებინა, თუ თვით როგორ იყენებდა თამარის ისტორიკოსის თხზულების „დედანს“ თავისი მოსაზრების — ყუთლუ-არსლანის დიდგვაროვნებისა და ჯაყელობის დასამტკიცებლად.

მეორე წყარო, რომელიც, მისი აზრით, ყუთლუ არსლანის ჯაყელობასა და „კორიდეთის თემის“ ერისთავთ-ერისთაობას ამტკიცებს, არის კორიდეთის სახარების მინაწერი, რომელმაც ასევე, რატომღაც, ადგილი ვერ პოვა პ. ინგოროყვას ვრცელ ნაშრომში და კერძოდ ყუთლუ-არსლანისადმი მიძღვნილ საგანგებო თავში[3].

კორიდეთის სახარების მინაწერი დიდი ხანია ცნობილია მკვლევართათვის. იგი ორჯერ გამოსცა (ქართულად და რუსულად) მ. ჯანაშვილმა[4]. ნ. მარმა ვრცელი გაძიკვლევა უძღვნა კორიდეთის სახარების ქართულ მინაწერებს[5]. სწორედ ამ მინაწერების საფუძველზე ჯერ კიდევ მ. ჯანაშვილმა სცადა, წინააღმდეგ ი. ჯავახიშვილის მოსაზრებისა, დაემტკიცებინა ყუთლუ-არსლანის დიდგვაროვნება, ჯაყელობა[6].

პ. ინგოროყვამ, მართალია, შენიშნა, რომ მ. ჯანაშვილმა „შეცდომები დაუშვა ქრონოლოგიისა და გენეალოგიის საკითხებში. ორი გვარეულობა ერთ გვარეულობად მიიღო და სხვ.“[7], მაგრამ მაინც საჭიროდ არ ჩათვალა საგანგებოდ შეხებოდა მ. ჯანაშვილის შეცდომებს და თავისი დასაბუთებული მოსაზრებაც წარმოედგინა კორიდეთის იმ მინაწერების დასათარიღებლად, რომლებიც ყუთლუ-არსლანის დიდგვაროვნებასა და ჯაყელობას დაამტკიცებდა. პ. ინგოროყვას მიერ შედგენილ ყუთლუ არსლანის წინაპართა ხეთი თაობის გენეალოგიას (XI ს-დან მოკიდებული XII ს. 80-იან წლებამდე, ყუთლუ არსლანის ჩათვლით) არ ახლავს დასაბუთება და, ამდენად, პ. ინგოროყვა არსებითად ვერ გასცილდა

მომადგენლად მიაჩნდეს. პირიქით, ს. ჯანაშია ყუთლუ-არსლანს და თვით მისი დასის გამოსელას უგვაროთა გამოსელად მიიჩნევდა (იხ. მისი: შრომები, II, 1952, გვ. 428).

[1] ამ აზრისაა ნ. შოშიაშვილიც (იხ. მისი, ფოთელთა ფეოდალური სახლის ისტორია, გვ. 68), რომელიც ახლოდან გაკვრით მიუთითებს ყუთლუ არსლანის ჯაყელობაზე.

[2] პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 596—601.

[3] იქვე, გვ. 596—601.

[4] იხ. მ. ჯანაშვილი, კორიდეთის ოთხთავის წარწერები, გვ. 74—87. მისივე, ხელნაწერთა აღწერილობა, III (რუს.), გვ. 234—250.

[5] ნ. მარი, კორიდეთის სახარების მინაწერები (რუს.), გვ. 211—240.

[6] მ. ჯანაშვილი, დიდგვარიანი იყო და არა მდაბიოთაგანი, ქართული მწერლობა, II, 1909, გვ. 120.

[7] პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 587.

მ. ჯანაშვილის თვალსაზრისს, რომელიც ასე მკაცრად გააკრიტიკა თავის დროზე ნ. მარმა.

მ. ჯანაშვილის მიერ კორიდეთის სახარების უძველესად (X ს.) მიჩნეული მინაწერი, რომლითაც, მ. ჯანაშვილის მიხედვით, იწყება ყუთლუ-არსლანის წინაპართა გენეალოგია, ნ. მარმა დამაჯერებლად დაათარიღა 1266-1269 წლებით[1]. ყუთლუ-არსლანი კი „უძველეს წარწერაში" მოხსენიებული ივანეს მეექვსე თაობის წარმომადგენელია. აქედან სავსებით ნათლად ჩანს, თუ რა ღირებულება უნდა ჰქონდეს XIII ს. 60 იანი წლების მინაწერში მოხსენიებული პირის შთამომავლობაში მეექვსე თაობის წარმომადგენლის მინაწერს XII ს. 80-90-იანი წლების მოღვაწის — ყუთლუ-არსლანის ვინაობის დასადგენად[2].

ამიტომ წერდა ნ. მარი საერთოდ კორიდეთის სახარების მინაწერთა შესახებ: «В конце концов, вопреки всякой очевидности и исторической, и стилистической, и палеографической, рукописный материал из XIII-го века и более позднего времени переносится в X-й и даже IX-й век и на этой почве поднимается ложная тревога... делается попытка подорвать значение опыта реально-исторического освещения истории Тамары, данного одним из представителей новой школы»[3]. როგორც ეჭვი, სკოლიოშია მითითებული, ნ. მარს ამ შემთხვევაში ხედველობაში ჰქონდა ი. ჯავახიშვილის სათანადო ნაშრომი და მისი თვალსაზრისი ყუთლუ-არსლანის ვინაობის შესახებ, რომელსაც კორიდეთის სახარების მინაწერების მიხედვით აკრიტიკებდა მ. ჯანაშვილი.

ნ. მარის ზემომოტანილი შენიშვნა, შეიძლება ითქვას, დღესაც სავსებით ძალაში რჩება პ. ინგოროყვას მიმართაც, რაკი, როგორც აღვნიშნეთ, პ. ინგოროყვას არ უცდია გასცილებოდა მ. ჯანაშვილის თვალსაზრისს და მოეცა კორიდეთის სახარების მინაწერთა ახალი (ნ. მარისაგან თუ მ. ჯანაშვილისაგან განსხვავებული) დათარიღება და თავისი მოსაზრებანი ამ მხრივ მეცნიერულად დაესაბუთებინა.

დამახასიათებელია, რომ პ. ინგოროყვას თავის გამოკვლევაში თვით ის მინაწერიც კი არ მოუტანია, რომელშიც ყუთლუ-არსლანი არის მოხსენიებული: „ქ. ამა პატრონთა პაპისა და მამისა ჩემისა ბ(ძან)ებისა მე, ყოთლო არსლან მამტკიცებელი ვარ"[4]. როგორც ეხედავთ, ამ მინაწერში მართლც იხსენიება ყუთლუ-არსლანი, რომელიც ამტკიცებს თავისი პაპისა და მამის — „პატრონთა" ბრძანებას. როგორც ჩანს, ის დიდგვაროვანია, მაგრამ არც ამ მინაწერით და არც თვით იმ მინაწერითაც, რომელიც ამ შემთხვევაში ყუთლუ-არსლანს დაუმოწმებია, არ დასტურდება, რომ აქ მოხსენიებული ყოთლო არსლანი არის XII

---

[1] ნ. მარი, კორიდეთის სახარების მინაწერები (რუს.), გვ. 217.

[2] მ. ჯანაშვილის მიერ უძველესად მიჩნეული მინაწერის ნ. მარისეულ დათარიღებას ვერ შეარყევს ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრება კორიდეთის სახარების 249-ე გვერდის პირველი ქარაგმული მინაწერის X საუკუნისად მიჩნევის შესახებ (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, კორიდეთის სახარების მინაწერების დათარიღებისათვის, 1967, გვ. 11- 16; „ჩვენი მეცნიერება", 1924, № 11-12, გვ. 83—86). ამ მინაწერს, რომელიც, როგორც ჩანს, ვინმე სტეფანე დოლისყანელის მიერ არის ვაქეთებული, არაფერი აქვს საერთო ჩვენთვის საინტერესო წარწერებთან, კერძოდ იმათთან, რომელთა მიხედვით შეიძლებოდა დაგვედგინა კორიდეთის მინაწერში მოხსენიებული ყუთლუ-არსლანის წარმომაელობა ვინაობა, ასე რომ სტეფანე დოლისყნელის წარწერა, თუნდაც ის X საუკუნის იყოს, ვერაფერს შეცვლის ზემომოტანილი წარწერის მარისეულ დათარიღებაში და ვერაფერს უმატებს ყუთლუ-არსლანის ვინაობის გარკვევასაც.

[3] ნ. მარი, კორიდეთის სახარების მინაწერები (რუს.), გვ. 216.

[4] ნ. მარი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 234; მ. ჯანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

ს. 80 90 იანი წლების მოღვაწე, სამეფოს მეჭურჭლეთუხუცესი და სახელმწიფოებრივი წყობის შეცვლის პროექტის ავტორი ყუთლუ-არსლანი.

აღსანიშნავია, რომ სახელი ყუთლუ არსლანი გვხვდება XIII ს. 60-იანი წლების საბუთშიც — კახა ერისთავთ-ერისთავისა და მეჭურჭლეთუხუცესის დაწერილშიც[1], მაგრამ სახელთა ამგვარ დამთხვევას საფუძველი არ მიუცია პ. ინგოროყვასათვის ემტკიცებინა რყონის დაწერილის ყუთლუ-არსლანისა და თამარისდროინდელი ყუთლუ-არსლანის იგივეობა. სხვაგვარ საფუძველს კი, როგორც ვნახეთ, არც კორიდეთის სახარების უფრო გვიანდელი მინაწერი იძლევა.

ამრიგად, კორიდეთის ჩვენთვის საინტერესო მინაწერი, რომელიც, ნ. მარის ძიხედვით, XIII საუკუნის შემდგომ ხანას ეკუთვნის, არ გამოდგება თამარის დროინდელი ყუთლუ-არსლანის დიდგვაროვნობისა, და მით უფრო, ჯაყელობის დასამტკიცებლად. ამიტომაც შენიშნავდა ი. ჯავახიშვილი: „მ. ჯანაშვილს ეს მინაწერი ხელის მიხედვით თამარის დროინდელად მიაჩნდა, პროფ. ნ. მარი ამ დებულებას მცდარად სთვლიდა... ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო კორიდეთის სახარების ამ მინაწერის ცნობაზე არც დამყარება შეიძლება და არც რაიმე დასკვნის გამოყვანა“[2].

პ. ინგოროყვას მოაქვს აგრეთვე თამარის პირველი ისტორიკოსის ერთი ცნობა, რომლითაც, მისი აზრით, „ დასტურდება, რომ ყუთლუ-არსლანი ჯაყელ-ბოცოსძეთა გვარეულობას ეკუთვნოდა“. ეს ცნობა ეხება აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად ორი წარჩინებული ქალის გაგზავნას: „ამ დროს, ისტორიკოსის ცნობით, სასახლიდან ყუთლუ-არსლანის დასთან მოსალაპარაკებლად გაუგზავნიათ — „ორნი საპატიონი დიოფალნი, რომელი იყო ერთი ხუაშაქი ცოქალი, დედა ქართლისა ერისთავთ-ერისთავის რატისი, და ერთი კრავაჲ ჯაყელი დედა აწ მყოფთა სამძივართა“ „... ხოლო რის გამოა, რომ მოლაპარაკების საწარმოებლად წარგზავნილ ორ დიოფალთა შორის — ერთი იყო ჯაყელთა გვარისა, დიოფალი კრავაჲ ჯაყელი? ცხადია, იმის გამო, რომ თვით ვაზირი ყუთლუ-არსლანი იმავე გვარისა იყო, ჯაყელი და ყუთლუ-არსლანის დასი კრავაჲ ჯაყელის სიტყვას და დაპირებას უფრო ირწმუნებდა“[3]. იგივე ცნობა ამავე თვალსაზრისით ჯერ კიდევ შ. ჯანაშვილმა გამოიყენა[4], მაგრამ, ამ საბუთით ხომ ასეთივე უფლებით შეიძლებოდა გეგმტკიცებინა ყუთლუ-არსლანის იმ საგვარეულოსადმი კუთვნილება, რომლის წარმომადგენელი იყო ისტორიკოსის მიერ პირველად დასახელებული ხუაშაქ ცოქალი?

როგორც ვხედავთ, პ. ინგოროყვას მიერ მითითებული თუ დამოწმებული არც ერთი წყაროდან არ ჩანს თამარის დროის ყუთლუ-არსლანის არც ჯაყელობა და არც მისი ერისთავთ-ერისთაობა „კორიდეთის თემში“. პ. ინგოროყვას, ამასთანავე, არ უცდია დაერღვია წინამორბედ მკვლევართა მიერ წარმოდგენილი მოსაზრებანი და საამისოდ მოშველიებული არგუმენტები. პ. ინგოროყვას აზრით, ყუთლუ-არსლანი მეჭურჭლეთუხუცესად 1178 წლიდან, ე. ი. ორბელთა აჯანყების დამარცხების შემდეგ დაინიშნა დიდგვარიან ივანე ვარდანისძის მაგიერ[5]. მართლაც, ყუთლუ-არსლანი ორბელთა აჯანყების შემდეგაა აღზევებული ყუბასართან, აფრიდონთან, ჭიაბერთან და სხვებთან ერთად. ორ-

---

[1] ი. დოლიძე, ქსძ, II, გვ. 136.

[2] ი. ჯავახიშვილი, ქსი, II_2, გვ. 158.

[3] პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 601.

[4] შ. ჯანაშვილი, დიდგვარიანი იყო თუ მდაბიოთაგანი, გვ. 120.

[5] პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 576—577.

ბელთა აჯანყების შემდეგ კი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მაღალ სამოხელეო თანამდებობაზე ფართოდ გაეხსნა გზა შედარებით დაბალი სოციალური ფენებიდან გამოსულ პირებს — უგვაროებს, საყვჩაყარს, ახსაურის ყოფილ ეასალსა თუ „სიმდიდრით აღზევებულს". ერთი მათგანი სწორედ ყუთლუ-არსლანი იყო, რომელიც საქალაქო წრეების ზედაფენიდან იყო გამოსული და თავისი ახალი თანამდებობითაც, მეჯურჯლეთუხუცესობითაც, ისევ ასლო იდგა ამ ფენებთან[1].

ზოგი მკვლევარი ყუთლუ-არსლანს ყივჩაყად და ყივჩაყთა სამხედრო-ფეოდალური ზედაფენის წარმომადგენლად მიიჩნევს. ასეთ თვალსაზრისზე დგას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ს. ერემიანი. მაგრამ ს. ერემიანს ამ მოსაზრების დასამტკიცებლად არავითარი წყარო არ მოუშველიებია, ერთადერთი, რასაც შეიძლება ამ შემთხვევაში მკვლევარი ემყარებოდეს, ყუთლუ-არსლანის თურქული სახელი უნდა იყოს. მართლაც, სახელი „ყუთლუ-არსლან" ქართული წარმოშობის არ არის. ამის შესახებ თავის დროზე მიუთითეს ი. ჯავახიშვილმა და ნ. მარმა. მაგრამ მათ იქვე სავსებით მართებულად განმარტეს, რომ უცხოური წარმოშობის სახელების (რომელიც ასე გავრცელებული იყო შუა საუკუნეებში) მიხედვით ამა თუ იმ პირის ეროვნული კუთვნილების შესახებ მსჯელობა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია[2]. სახელის უცხოურობის (არაბული, თურქული, ირანული და სხვ.) მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, XII—XIII სს. სომხური ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელთა ნახევარზე მეტი არასომხური წარმოშობისად უნდა მიგვეჩნია. საქართველოშიც, ცხადია, გავრცელებული იყო არაქართული წარმოშობის სახელები, მაგრამ ამის მიხედვით არავის უმტკიცებია ასეთი სახელების მქონე პირთა არაქართველობა და უცხოური წარმომავლობა.

საჭიროდ ვთვლით აქვე მოვიტანოთ არაქართული წარმოშობის სახელების რამდენიმე მაგალითი, უმთავრესად ქართულ მონასტერთა სააღაპო წიგნებიდან, რათა მკითხველისათვის ადვილად წარმოსადგენი იყოს მათი ეროვნული კუთვნილება. ჯვრის მონასტრის აღაპებში მოიხსენიებიან: „ღობიერი შურავანი", „უნღულ მამლაქანის ძე", „საღირ ბუზაკაგის ძე", „იოსებ ქერიმადინისშვილი", „იჩქით გურგენის ძე", „ვაჰრამი", „არსლანი აფრიდონისძე", „გურგენის შვილი ამირა", „თაგდირის ძე ამირა", „საააკი", „ხალილი" („აღაპი საააკისი", „აღაპი ხალილისი")[3] და სხვა.; ათონის ივერთა მონასტრის აღაპებში: „აბუჰარები", „აბულასანის ძე ოქროპირი", „აბუსალან ქუთათელი"[4]. ამ უკანასკნელი აღაპიდან კარგად ჩანს, რომ თვით ქართველ საეკლესიო ხელისუფალსაც კი (ამ შემთხვევაში ქუთათელს) შეიძლებოდა რქმეოდა ასეთი აშკარად არაქრისტიანული წარმოშობის სახელი. თვით „ყუთლუ-არსლანიც" და „არსლანიც" რომ იმ დროს საკმაოდ გავრცელებული იყო, ამას თამარის ისტორიკოსის ცნობა, რკონის დაწერილი, კორიდეთის სახარების მინაწერებიც ადასტურებს და ჯვრის მონასტრის აღაპების ზემოდასახელებული „არსლანიც".

ამრიგად, სახელის მიხედვით ყუთლუ არსლანის უცხოელად, კერძოდ ყივჩაყური წარმოშობისად და ყივჩაყად მიჩნევა, ცხადია, მცდარია.

---

[1] ს. კაკაბაძემ თავის უკანასკნელ გამოკვლევაში უარყო პ. ინგოროყვას მოსაზრება ყუთლუ-არსლანის ჯაყელობის შესახებ და იგი „სიმდიდრით აღზევებულთა" წრიდან გამოსულად მიიჩნია (იხ. შოთა რუსთაველი; გვ. 302).

[2] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქსი, II₂, გვ. 159.

[3] ე. შ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები, 1962, სვინაქსარის აღაპები: 178, 315, 143, 80, 77, 78, 79, 225, ტიპობრიფისეული ნუსხა: 14, 38, 39.

[4] აღაპები, გვ. 220, 265, 257—258.

თამარის საშინაო, სამხელეო პოლიტიკის შესასწავლად ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დაბალი სოციალური წარმოშობის მეპურპლეთუხუცესი, გიორგი III ის მიერ დანიშნული, მიუხედავად დიდგვარიანთა გამოსვლისა, მაინც დარჩა თავის თანამდებობაზე და მას წინააღმდეგ არც დიდგვარიანებს გაულაშქრიათ და არც სამეფო ხელისუფლებას. როგორც ჩანს, თამარის ხელისუფლებისთვისაც მისაღები ჩანდა უგვარო ყუთლუ-არსლანის მეპურპლეთუხუცესობა და თვით ყუთლუ-არსლანის გამოსვლა რომ არა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ, იგი მეპურპლეთუხუცესად ისევ დარჩებოდა თამარის მეფობის პერიოდშიც. ასე რომ ყუთლუ არსლანი იმსხვერპლა არა დაბალმა სოციალურმა წარმომავლობამ, არამედ მისმა გამოსვლამ მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლების შესაზღუდავად.

ამრიგად, ყუთლუ-არსლანის მეპურპლეთუხუცესის თანამდებობაზე დატოვებით, თამარმა დაამტკიცა, რომ ის ამ შემთხვევაში გამოდიოდა თავისი მამის — გიორგის III-ის სამოხელეო პოლიტიკის გამგრძელებლად.

ყუთლუ-არსლანისა და მისი დასის ორგანიზებული გამოსვლისა და ყუთლუ-არსლანის დატყვევების შემდეგ, ცხადია, სამეფო ხელისუფლება იძულებული გახდა იგი თანამდებობიდან გადაეყენებინა და, როგორც ტახტის წინააღმდეგ მებრძოლი, არსებული სამართლის ნორმების მიხედვით დაესაჯა. ყოველივე ამის შედეგი იყო მეპურპლეთუხუცესის თანამდებობაზე ყუთლუ-არსლანის მაგიერ კახაბერ ვარდანის ძის აღზევება. თამარის პირველი ისტორიკოსი თითქოს საგანგებოდ ხაზს უსვამს კახაბერ ვარდანისძის დიდგვარიანობას და წერს: „კუალად უბოძა მეპურპლეთუხუცესობაჲ დიდსა და გუარიანსა კაცსა ვარდანისძესა კახაბერს“ [1]. აღსანიშნავია, რომ თამარის ისტორიკოსს ამ დროს დანიშნულ მოხელეთაგან ასეთი ეპითეტით — „დიდი და გუარიანი კაცი“ — არც ერთი არ შეუმკია: არც ჭიაბერი, არც ვარდან დადიანი, არც მარუშიანი, არც გამრეკელ თორელი და სარგის მხარგრძელიც კი, რომელსაც ისტორიკოსმა მხოლოდ „გვარიანობის“ აღნიშვნა აკმარა: „კაცი გუარიანი“ — „დიდის“ გარეშე. და ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს — იქნებ ამით ისტორიკოსს სურდა ეთქვა, აქამდე ეს თანამდებობა უგვაროს ეჭირა, ამიერიდან კი ის „დიდსა და გუარიან კაცს“ მიეცაო. მაგრამ მაინც ვინ არის ეს „დიდი და გუარიანი კაცი“ კახაბერ ვარდანისძე?

კახაბერ ვარდანისძის ვინაობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ასე მაგალითად, ს. ერემიანს თამარის მიერ მეპურპლეთუხუცესად დანიშნული კახაბერ ვარდანის ძე ვარდან დადიანის შვილად მიაჩნია[2]. ეს მოსაზრება არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს. მაშინ როცა კახაბერ ვარდანის ძე მეპურპლეთუხუცესად დაინიშნა, იმავე დროს, თამარის ისტორიკოსის სიტყვით, „მსახურთუხუცესობა დადიანსა ვარდანს“ ებოძა. ამას გარდა, ისტორიკოსი იქვე მიუთითებს, რომ ვარდან დადიანს, მისი მამის მოხუცებულობის გამო ებოძა მამის პატივი[3]. ასე რომ თვით ვარდან დადიანი კახაბერ ვარდანისძესთან ერთად წინაურდა. წარმოუდგენელია, რომ მამა და შვილი ერთდროულად დაეწინაურებინოთ და შვილისათვის უფრო დიდი თანამდებობა ებოძებინათ, ვიდრე მამისათვის. ამას გარდა, როგორც აღვნიშნეთ, ისტორიკოსის მიერ საგანგებოდაა ხაზგასმული კახაბერ ვარდანისძის დიდკაცობა და დიდგვაროვნება, მაშინ როცა ვარდან დადიანის შესახებ

[1] ისტორიანი, გვ. 79.

[2] ს. ე რ ე მ ი ა ნ ი, იური ბოგოლუბსკი (რუს.), გვ. 398.

[3] ისტორიანი, გვ. 79.

მსგავსი არაფერია ნათქვამი. ცხადია, კახაბერ ვარდანისძე ვარდან დადიანის შვილი არ არის. საერთოდ, მკვლევრები ამ პერიოდში მოხსენიებულ ვარდანი ძეებთან დაკავშირებით ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ „ვარდანის ძე“ ზოგჯერ გვარსახელია, ზოგჯერ კი მხოლოდ მამის (ვარდანი) სახელი. გიორგისა და თამარის მეფობის დროს სხვადასხვა პირის მოხსენიება ვარდანისძედ რამდენადმე აძნელებს თვით კახაბერ ვარდანისძის ვინაობის დადგენასაც.

პ. ინგოროყვას აზრით, კახაბერ ვარდანისძის დანიშნა მეჭურჭლეთუხუცესად ნიშნავდა 1177 წლამდე (ე. ი. ორბელთა აჯანყებამდე) არსებული ვითარებ ს აღდგენას; კახაბერ ვარდანისძის სახით სავაზიროში შევიდა დემნა უფლისწულის ბოლომდე ერთგული გ-გელ-ვარდანისძეების, კერძოდ ივანე ვარდანისძის მემკვიდრე. თვით ივანე ვარდანის ძე კი, პ. ინგოროყვას აზრით, როგორც გიორგი III-ის წინააღმდეგ შეთქმული, „ბრძოლის ველზე შეიპყრეს“ [1]. ასე რომ, პ. ინგოროყვას აზრით, „ბრძოლის ველზე შეპყრობილი“ ივახე ვარდანის ძე არის გაგელი ვარდანის ძე და მამა კახაბერ ვარდანისძისა. ასეთივე მოსაზრება პ. ინგოროყვას სხვადასხვა სახით გამეორებული აქვს არაერთხელ: „ივანე ვარდანის ძე II-მ, რომელსაც ეჭირა ვაზირის მეჭურჭლეთუხუცესის პოსტი 1150/60—1177 წლებში, როგორც მოხსენებული გვქონდა, მონაწილეობა მიიღო... დემნას აჯანყებაში 1177 წელს, ამის გამო იგი გადაყენებულ იქნა ვაზირობიდან, ვაზირობა ჩამოერთვა ვარდანისძეთა გვარს... ხოლო 1184-5 წელს... მოხდა რესტავრაცია... ვარდანისძეთა გვარს ისევ დაუბრუნდა ვაზირის მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა. მეჭურჭლეთუხუცესის პოსტზე დაინიშ ნა კახაბერ ვარდანის ძე II, რომელსაც უჭირავს ეს თანამდებობა 1184/5 წლიდან 1190 წლამდე“[2]. ან კიდევ: „1150/60 წლებში შემწყდარა არიშიანის სახლის მამრობითი ხაზი. მისი მემკვიდრე ხდება (მდედრობითი ხაზით) ერისთავთ-ერისთავი ივანე ვარდანის ძე (II), რომელიც ჰიიღებს არიშიანის სავაზირო თანამდებობას — მეჭურჭლეთუხუცესობას. ივანე ვარდანისძეს უჭირავს მეჭურჭლეთ-უხუცესის პოსტი 1150/60-იან წლებიდან 1177 წლამდე... 1184/5 წელს ისევ აღდგენილ იქნა მდგომარეობა, რომელიც არსებობდა 1177 წლამდე: მეჭურჭლეთ-უხუცესად ისევ დაინიშნა არიშიანის მემკვიდრე ვარდანისძეთა გვარიდან — ერისთავთერისთავი კახაბერ ვარდანის ძე (II), რომელსაც უჭირავს ეს სავაზირო პოსტი მეჭურჭლეთ-უხუცესისა 1184/5—1190 წლების მაჯილზე“ [3].

ამრიგად, პ. ინგოროყვას აზრით: ა) ვარდანისძეები არიან მემკვიდრენი (მდედრობითი ხაზით) არიშიანებისა; ბ) ამ მემკვიდრეობამ მისცა მათ არიშიანთა სავაზირო თანამდებობა — მეჭურჭლეთუხუცესობა; გ) ვარდანისძეთაგან პირველი მეჭურჭლეთუხუცესი იყო ივანე ვარდანის ძე 1177 წლამდე; დ) ივანე ვარდანისძემ დემნას აჯანყებაში მონაწილეობისათვის დაკარგა ეს თანამდებობა; ე) მეჭურჭლეთუხუცესი ვარდანისძეები გაგელები არიან; ვ) თამარის მეფობის დასაწყისს მოხდა გაგელ ვარდანისძეთა საგვარეულოს რესტავრაცია -- კახაბერ ვარდანისძემ მიიღო მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა.

როგორც ვხედავთ, აქ არაერთი საკითხია წამოჭრილი, რომელიც პასუხის გაცემას მოითხოვს: მაგრამ პირველ რიგში მაინც საინტერესოა, თუ როგორ მიიღეს ვარდანისძეებმა გაგიცა და მეჭურჭლეთუხუცესობაც? ამ შემთხვევაში პ. ინგოროყვას მომარჯვებული აქვს „მეტად მნიშვნელოვანი ორიენტირი“ —

---

[1] პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 655.

[2] იქვე, გვ. 648.

[3] იქვე, გვ. 631—632.

„მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა დაკავშირებული იყო ჰერეთის რუსთავის ერისთავთ-ერისთავის თანამდებობასთან“ [1] — და მეორე, „მდედრობითი ხაზით“ მემკვიდრეობა, რომლის შემოწმება, სამწუხაროდ, ვერ ხერხდება. პ. ინგოროყვას მიხედვით, რუსთავის ძველი მფლობელების — არიშიანთა საგვარეულო სახლის მამრობითი ხაზი შემწყდარა და სათანადო ტერიტორიაც და მეჭურჭლეთუხუცესობაც, „მდედრობითი ხაზით“, გადავიდა ვარდანისძეებზე, რაკი ისინი ჩანან, არიშიანთა შემდეგ, მეჭურჭლეთუხუცესებად. რუსთავის მფლობელობა, პ. ინგოროყვას მიხედვით, განუყრელადაა დაკავშირებული მეჭურჭლეთუხუცესის სახელოსთან; ამასთანავე, დავით აღმაშენებლის დროიდან „გაგი და მისი თემი აგრეთვე რუსთავის ერისთავის არიშიანის მფლობელობაში გადასულა“ [2]. ასე რომ ვარდანისძეები, არიშიანთა მემკვიდრენი „მდედრობითი ხაზით“, ამ მემკვიდრეობის წყალობით იქცნენ რუსთავის, გაგის თემისა და მეჭურჭლეთუხუცესობის მფლობელად.

„არიშიანთა საგვარეულოს“, მათ მფლობელობას და ერისთავთ-ერისთაობას რუსთავში, გაგის თემის რუსთავთან დაკავშირებას, დავით აღმაშენებლის მიერ გაგის თემის არიშიანებისათვის გადაცემასა და სხვა მსგავს საკითხებზე შეჩერებას საჭიროდ არ მივიჩნევთ, რადგან პ. ინგოროყვას მოსაზრებათა უსაფუძვლობა ამ მხრივ სავსებით ნათლადაა ნაჩვენები ნ. შოშიაშვილის მიერ[3]. ჩვენ ამჯერად ვარდანისძეთა გაგელობის, დემნას აჯანყების მონაწილე ივანე ვარდანის ძის ვინაობისა და აჯანყების მონაწილე ივანეს შვილად კახაბერ ვარდანისძის მიჩნევის საკითხი გვაინტერესებს, რამდენადაც ყველაფერი ეს კახაბერ ვარდანისძის ვინაობის გასარკვევადაა საჭირო.

პირველ რიგში გაგის მფლობელ ივანე ვარდანისძის შესახებ: როგორც აღინიშნა, პ. ინგოროყვას მიხედვით, გაგის მფლობელი ივანე ვარდანის ძე არის ორბელთა აჯანყების მონაწილე, ივანე, რომელიც „ბრძოლის ველზე შეიპყრეს“. ჯერ ერთი, წარმოუდგენელია, რომ ორბელთა აჯანყების მონაწილე ივანე ვარდანისძეს მეჭურჭლეთუხუცესობა დაეკარგა და გაგი შეენარჩუნებინა. როგორც ცნობილია, თამარის დროს ივანე ვარდანისძე მართლაც იყო „პატრონი გაგისა“, მაგრამ არა ორბელთა, არამედ გიორგი რუსის აჯანყების მონაწილე[4]. ე. თაყაიშვილი გრძნობდა ამ უხერხულობას და საქმე ცოტა სხვაგვარად წარმოადგინა; მისი აზრით, ორბელთა აჯანყების შემდეგ გიორგი III-ს ივანე გაგში გადაუყვანია და გაგი უბოძებია[5]. მაგრამ ეს ხომ დაუჯერებელია — გიორგი III-ს „შინაგამცემელი“, „ბრძოლის ველზე შეპყრობილი“ ივანე ვარდანის ძე მხოლოდ იმით დაესაჯა, რომ ერთის მაგიერ მეორე წყალობა ებოძებინა. ამას გარდა, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, გიორგი III-ს გაგი XII ს. 60—70-იან წლებში არ შეეძლო გაეცა საპატრონოდ, რაკი ეს ციხე ჯერ კიდევ არ იყო შემომტკიცებული. გაგის შემომტკიცება თამარის მეფობის პირველ წლებში მომხდარა. მარტო ეს გარემოება ცხადყოფს, რომ გაგი ივანე ვარდანისძეს ორბელთა აჯანყებაში მონაწილეობისთვის არა აქვს მღებული და გაგის პატრონი ივანე ვარდანის ძე არ არის ორბელთა აჯანყების მონაწილე ივანე ვარდანისძე.

გაგის პატრონის — ივანე ვარდანის ძის ვინაობის გასარკვევად დახმარე-

---

[1] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 544.

[2] იქვე, გვ. 644.

[3] იხ. მისი, სახელმწიფო სამართლ ის ისტორიის ზოგიერთი საკითხები, გვ 127—132.

[4] ისტორიანი, გვ. 92.

[5] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, გვ. 25.

ბას გაგვიწევს თამარის პირველი ისტორიკოსის შემდეგი ცნობა: თამარს „ქურდეაშრის იქით გასდგომოდ ყოველი სომხითი: ივანე ვარდანისძე, პატრონი გაგისაჲ, მაყა, პატრონი კაენწონისაჲ, კაენი თჳთ ვარდანისა იყო და სხუანი“ [1]. ჩვენს უურადღებას გასასკუთრებით იქცევს ისტორიკოსის სიტყვები „კაენი თჳთ ვარდანისა იყო“. როგორც ჩანს, ისტორიკოსი ამით საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ გაგი, კაენწონი და კაენი ამ დროს ერთ საგვარეულოს ჰქონდა და რომ კაენი ამ საგვარეულოს უფროსს, თვით ვარდანს ეკუთვნოდა. ასე რომ ჩვენთვის საინტერესო ივანე გაგის მფლობელი, კაენის მფლობელი ვარდანის ძედ (შვილად) ჩანს. ამაზე მიგვითითებს აგრეთვე მისი მამის სახელიც — „ვარდანის ძე“, რაც ამ შემთხვევაში გვარსახელი არ არის.

კაენის მფლობელი ვარდანის ვინაობა კი საეჭვოა — იგი ვარდანის ძე კი არა, არამედ ვარდან დადიანია, რომელსაც ჯერ კიდევ გიორგი III ის დროს ჩუხჩარხის თანამდებობა ჰქონდა[2] და სწორედ ამ დროიდან უნდა დაწუებულიყო მისი მფლობელობაც სომხითში. მაგრამ ვარდან დადიანი კაენს გიორგი III-ის მეფობის დროს მაინც ვერ მიიღებდა. ორბელთა აჯანყებამდე, როგორც სტეფანოს ორბელიანის ცნობიდან ირკვევა, კაენი ჰასან კაენელს (*Հասան Կաենեցին*) ჰქონდა. ამ უკანასკნელმა მონაწილეობა მიიღო ორბელთა აჯანყებაში და ამ აჯანყებულთა ბოლომდე ერთგულიც დარჩა[3]. ამას უნდა მოჰყოლოდა ჰასან კაენელის დასჯა და კაენისა და მისი ოლქის სამეფო დომენად გამოცხადებაც.

როგორც ალარწინის ზემომოტანილი წარწერიდან ირკვევა, გიორგი III ის მეფობის უკანასკნელ, 1184 წელს კაენს — სამეფო დომენს ჯერ კიდევ სომეხი ფეოდალები (სარგის ამირა, ელიბეკი) განაგებენ[4]. ასე რომ ვარდან დადიანს კაენი და მისი ოლქი მხოლოდ ამის შემდეგ, ე. ი. თამარის გამეფებისა და მსახურთუხუცესად დანიშვნის შემდეგ შეეძლო მ ეღო. ამ დროს უნდა იყოს შეწყალებული აგრეთვე მისი შვილი ივანეც, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, გაგის საბოლოოდ შემომტკიცებაც სწორედ ამ დროს, თამარის მეფობის პირველ წლებში მომხდარა. ასე გაჩნდნენ კაენისა და გაგის მფლობელებად დადიანები ვარდან დადიანი და მისი მემკვიდრენი.

ამრიგად, გაგის მფლობელობას არაფერი აქვს საერთო არიშიანის მემკვიდრეობასთან „მდედრობითი ხაზით“ და იგი ორბელთა აჯანყების მონაწილე ივანე ვარდანის ძეს კი არ ეკუთვნოდა, არამედ ვარდან დადიანის ძეს ივანეს. ივანეს მამის სახელით, ვარდანისძეობით მოხსენიება და არა დადიანობით, საკვლებით გასაგებია — ეს პატივი დადიანთა საგვარეულოს უფროს წარმომადგენელს ვარდანს ეკუთვნოდა. ვარდანი კი, როგორც ამ საგვარეულოს უფროსი, მთელი სომხითის, „ქურდეაშრის იქით“ ფაქტიური მფლობელი იყო და, როგორც თამარის ისტორიკოსის ცნობიდან ირკვევა, ივანე ვარდანის ძე, მაყა თუ ზაქარია ვარამისძე და სხვანი არსებითად „მისი ქვეყნ სა აზნაურნი და აზნაურის შვილნი“ იყვნენ[5].

კაენისა და ზემოდასახელებული ადგილების მფლობელობა, როგორც ვნახეთ, ვარდან დადიანის დროიდან, მსახურთუხუცესობის სახელოს დაუკავ-

[1] ისტორიანი, გვ. 92.

[2] იქვე, გვ. 72.

[3] ს. ორბელიანი, სიენიეთის ისტორია (სომხ.), გვ. 384.

[4] ს. ერემიანი, ალარწინის წარწერა 1184 წ. (რუს.), გვ. 85—86; ლ. მელიქსეთბეგი, ალარწინის ერთი წარწერა (რუს.), გვ. 197.

[5] ისტორიანი, გვ. 92.

შირდა და ამიტომ იყო, რომ, ვარდან დადიანისა და მისი ძის ივანეს გიორგი რუსის აჯანყებაში მონაწილეობისა და აჯანყების დამარცხების გამო, დადიანებმა დაკარგეს როგორც სახელი, ასევე ქვეყნებიც: კაენი და კაენწონი ახალ მსახურთუხუცესს, იოანე მხარგრძელს გადაეცა, ხოლო გაგი ასევე მხარგრძელთა საგვარეულოს წარმომადგენელს, თვით ვარდან დადიანის „ქვეყნის აზნაურის შვილს“ ზაქარია ვარამისძეს[1], რომელიც აჯანყებას არ მიემხრო და ამ მხრივ ერთადერთი იყო ვარდან დადიანის „ქვეყნის აზნაურთა და აზნაურის შვილთა“ შორის. ასე განაწილდა დადიანთა სამფლობელო ქვეყნები სომხითში XII ს. 90 იანი წლებიდან მხარგრძელებს შორის.

გაგის მფლობელ ივანეს დადიანთა საგვარეულოსადმი კუთვნილების შესახებ ჩვენი მოსაზრების სისწორეში კიდევ უფრო დაგვარწმუნებს ორბელთა აჯანყების მონაწილე ივანე ვარდანისძის ვინაობის გარკვევა.

ორბელთა აჯანყებაში, როგორც წყაროებიდან ირკვევა, ლიხთიმერის დიდგვარიან ფეოდალებს მონაწილეობა არ მიუღიათ. ეს კარგად ჩანს თამარის ისტორიკოსის თხზულებიდან და აგრეთვე სტეფანოს ორბელიანის მონაცემებიდან. თამარის ისტორიკოსის მიხედვით, აჯანყებულებმა გიორგის ორი ფრონტი გაუხსნეს — ერთი, ლორეს გამაგრებულ ორბელთა მეთაურობით და მეორე, ჰერეთს, სადაც მოვიდნენ „ჰერეთის ერისთავი და ყოველნი ჰერნი სრულითა ლეკითა და კავკასითა“. აქ იყვნენ და აჯანყებულთა მხარეზე იბრძოდნენ კერძოდ — გრიგოლ ასათის ძე, ივანე ვარდანის ძე და შოთა ართავაჩოს ძე[2]. სტეფანოს ორბელიანის მიხედვით, ორბელთა აჯანყებას მხარს უჭერდნენ „ქართლის ერისთავ-, ღოღორელები (*ქաւդաւրիքն*), ხოჟორნელები (?), ჯავახურნი, კახა შვილებითურთ, გამრეკელ დიდი, ჯაყელი მემნა, ტაშირელები, ჰასან კაენელი, გრიგოლ აპირატი ანელი“[3]. ზოგმა მათგანმა ადრე დატოვა აჯანყებულთა ბანაკი — მაგ. ხოჟორნელებმა და დიდმა გამრეკელმა; მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ აქ დასახელებულთაგან არც ერთი არ არის დასავლეთ საქართველოდან.

ასე რომ დასავლელ ვარდანისძეთა მონაწილეობა ორბელთა აჯანყებაში, წყაროების მიხედვით, საერთოდ გამორიცხულია; მაშ ვინ არის ჰერებთან ერთად მებრძოლი „შინაგამცემი“, ბრძოლის ველზე შეპყრობილი ივანე ვარდანისძე?

ამის პასუხს იძლევა თამარის ისტორიკოსის იქვე მოტანილი ცნობაც ივანე ვარდანისძის შესახებ: „შეიპყრეს ივანე ვარდანისძე, რომელი ითქმოდა პირველთაგანეე მთხრელად მთხრებლისა“, ანუ, კ. კეკელიძის სიტყვით რომ ვთქვათ, „ივანე, რომელზედაც ამბობდნენ ადრ დანეე უთხრიდაო საფლავს მეფეს“[4]. როგორც ირკვევა, „ბრძოლის ველზე შეპყრობილ“ ივანესა და მის წინაპრებსაც, მართლაც, ადრეეე ჰქონიათ მტრობა მეფესთან, გიორგი III-თან. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისტორიკოსის მ ერ მოთხრობილი ამბავი გიორგი III ის ლაშქრის ბრძოლის შესახებ ელდიგუზ ათაბაგის წინააღმდეგ, გაგის გასათავისუფლებლად. ისტორიკოსის სიტყვით, „ძლევად განმზადებული მეფე“ არ მიუშვეს დასდევნებოდა უკუქცეულ მტერს: „ანტაკია ექმნეს ვეთნიმე დი-

---

[1] ისტორიანი, გვ. 94; შდრ. ი ჭ ე ე, გვ. 92; ე. თაყაიშვილს ზაქარია, რომელსაც გაგი ებოძა, შეცდომით ვარდანის ძედ მიაჩნია (იხ. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, გვ. 25).

[2] ისტორიანი, გვ. 68.

[3] ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიუნიეთის ისტორია (სომხ.), გვ. 384.

[4] ისტორიანი, გვ. 68; შდრ. ისტორიანი (რუს.), გვ. 29.

დებულთაგანნი, ვიდრე სადაეთა დაჭერადმდე, უფროჲსსა ვარდან კოლონკელისძე, რომელსა მას ჟამსა ეროსთაობაცა ეპყრა ჰერეთს, კაცი დიდითა მოშჯსებელი და ბრძოლათა შინა ძლიერი და გამოცდილი. ნუ უკუე შურმან და მტერობამან ყო ერთიერთისამან"[1]. ვარდან კოლონკელისძის „შურმან და მტრობამან ყო". ჩვენი აზრით, აი სწორედ კოლონკელისძეთა ამ „შურსა და მტრობას" იგონებს ისტორიკოსი. როცა ანჯაყების მონაწილე ივანე ვარდანის ძის შესახებ მიუთითებს „პირველთაგანი უთხრიდაო საფლავს მეფეს". სხვა ივანე ვარდანის ძე, რომლის წინაპრის „შური და მტრობა" ჰქონდა გიორგი III-სთან, წყაროებით არ არის ცნობილი.

აღსანიშნავია, რომ პ. ინგოროყვას ყველაზე ეს შენიშნული აქვს და „ბრძოლის ველზე შეპყრობილი" ივანე ვარდანისძეც კოლონკელისძეთა იმ საგვარეულოს წარმომადგენლად მიაჩნია, რომელიც „სახელმწიფო ღალატში ყოფილა გარეული"[2]. მაშასადამე, პ. ინგოროყვას აზრითაც ივანე ვარდანის ძე არის კოლონკელისძის ძე, ვარდან კოლონკელისძის შვილი.

ამრიგად, ივანე კოლონკელისძე, თამარის ისტორიკოსის თხზულებაში ივანე ვარდანისძედ მოხსენიებული, XII ს. 60-იანი წლების ჰერეთის ერისთავის ვარდან კოლონკელისძის შვილია და, ჩვენი აზრით, XII ს. 70-იან წლებში, ვიდრე 1177 წლამდე, ჰერეთის ერისთავიც. წყაროებიდან არ ჩანს, რომ ვარდანის „შურისა და მტრობის" გამო კოლონკელისძეებს ჰერეთის ერისთაობა დაეკარგოთ და იგი გრიგოლ ასათის ძისთვის გადაეცეთ, როგორც პ. ინგოროყვა ვარაუდობს[3]. კოლონკელისძეები ჰერეთის ერისთავად მოიხსენიებიან თამარის მეფობის პირველ წელსვე და, როგორც ჩანს, ეს თანამდებობა მათ გიორგის მეფობის ბოლო წლებშიც ჰქონიათ. თუკი ორბელთა აჯანყებაში მონაწილეობამ გრიგოლ ასათის ძეს ჰერეთის ერისთაობა დააკარგვინა, როგორც პ. ინგოროყვა ფიქრობს[4], მაშინ ეს თანამდებობა არ შეიძლებოდა გადასცემოდა არც კოლონკელისძეებს, რადგან ამ გვარის წარმომადგენელიც ივანე ვარდანისძე კოლონკელისძეც აჯანყებაში აქტიურად მონაწილეობდა და, როგორც „შინაგამცემი", შეპყრობილი წარუდგინეს მეფეს. მიუხედავად ამისა, თამარის ისტორიკოსის მოწმობით, ეს თანამდებობა თამარის მეფობის დასაწყისში ს ღირ კოლონკელისძეს ჰქონდა და მხოლოდ ამის შემდეგ ასათ გრიგოლის ძემ „მძლავრობითა და მორევით მისტაცა" საღირ კოლონკელისძეს „მცირე ჟამს" ჰერეთის ერისთაობა და საბოლოოდაც შეინარჩუნა თავისი მემკვიდრისათვის „კელთ-უდვა შვილსა თჳსსა გრიგოლს ჰერეთის ერისთაობაჲ" წერს ისტორიკოსი[5].

ამრიგად, გრიგოლის ძენი ჰერეთის ერისთავები მხოლოდ თამარის მეფობის პირველ წლებში ხდებიან[6].

---

[1] ისტორიანი, გვ. 62.

[2] პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 170.

[3] იქვე, გვ. 171.

[4] იქვე.

[5] ისტორიანი, გვ. 79.

[6] ნ. შოშიაშვილის აზრით, გრიგოლისძეებმა ჰერეთის ერისთაობა 1191 წლიდან მიიღეს, როცა ასათმა საღირ კოლონკელისძეს მოსტაცა ეს თანამდებობა (იხ. მისი: სახელმწიფო სამართლის ისტორიის საკითხები, გვ. 143). როგორც ჩანს, ჰერეთის ერისთაობის მიტა

მაგრამ ყოველივე ამის დახუსტებას ჩვენი ამოცანის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ ორბელთა აჯანყების მონაწილე ივანე ვარდანისძე არის კოლონკელისძე, ჰერეთის ერისთავის — ვარდან კოლონკელისძის შვილი და იქნებ ჰეოეთის ერისთავიც 1177 წლამდე.

აღსანიშნავია, რომ ასეთივე მოსაზრება, ოღონდ ვარაუდის სახით, გამოთქმული აქვს ნ. შოშიაშვილსაც: ორბელთა „აჯანყებაში მოხაწილე ივანე ვარდანის ძე კი შეიძლება სწორედ იმ ვარდან კოლონკელისძის შვილია, რომელიც XII ს. 60-იან წლებში ჰერეთის ერისთავი უნდა ყოფილიყო"[1]. როგორც ვნახეთ, ეს ვარაუდი საესებით სწორია და ორბელთა აჯანყების მონაწილე ივანე ვარდანისძის კოლონკელისძეობაში და ჰერეთის ერისთავთა საგვარეულოდან წარმომავლობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

ამრიგად, გიორგი III-ისა და თამარისდროინდელი ორი ვარდანისძის ვინაობა გარკვეულად შეიძლება მივიჩნიოთ — ერთი, გაგის მფლობელი ივანე ვარდანისძე, ვარდან დადიანის, კაენის მფლობელის შვილია, მეორე, ივანე ვარდანისძე, ორბელთა აჯანყების მონაწილე და გიორგი III-ის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი, ჰერი დიდებულია, ჰერეთის ერისთავის — ვარდან კოლონკელისძის შვილი და ორბელთა აჯანყების დროისათვის იქნებ ჰერეთის ერისთავიც.

აქედან კი ცხადია, რომ პ. ინგოროყვამ წინასწარ მოფიქრებული სქემის გასამართავად ორი საგვარეულოს წარმომადგენელი, არსებითად სხვადასხვა დროის მოღვაწე ორი ივანე ვარდანისძე ერთ ივანე ვარდანისძედ გამოაცხადა და იგი გაგის მფლობელად და ამავე დროს ორბელთა აჯანყების მონაწილედ მიიჩნია.

პ. ინგოროყვა, როგორც ჩანს, ამითაც არ დაკმაყოფილდა და გაგის მფლობელ და ორბელთა აჯანყების მონაწილე ივანე ვარდანისძესთან მესამე ივანე ვარდანისძეც — მეჭურჭლეთუხუცესი და სვანთა ერისთავიც გააიგივა, ოღონდ პ. ინგოროყვა მას სვანთა ერისთავად კი არ მოიხსენიებს, არამედ გაგელად, გაგის მფლობელად. მესამე ივანე ვარდანისძის გაიგივება გაგის მფლობელ ვარდანისძესთან პ. ინგოროყვას უკარნახა, როგორც ჩანს, სვანთა ერისთავის მეჭურჭლეთუხუცესობამ, რაკი არც ივანე კოლონკელისძე (ვარდანის ძე) და არც ივანე დადიანი მეჭურჭლეთუხუცესად არ მოიხსენიებიან; ხოლო ვარდანისძეთა მეჭურჭლეთუხუცესობის დამტკიცებას პ. ინგოროყვას კონცეფციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა - ამას უნდა დამყარებოდა არიშიანთა მემკვიდრეობის მიღება და შოთას მეჭურჭლეთუხუცესობის მტკიცებაც.

მესამე, თავისი მოღვაწეობის დროით, არსებითად პირველი, ივანე ვარდანის ძე თამარის ისტორიკოსების თხზულებაში არ მოიხსენიება. როგორც ჩანს, იგი უფრო ადრე მოღვაწეობდა და არა გიორგის III-ის მეფობის პერიოდში. ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ივანე ვარდანისძე მხოლოდ ლაბეჭინის და მესტიის ხატის წარწერებით არის ცნობილი. ლაბეჭინის ხატის წარწერაზე იკითხება: „მე იოვანე ვარდანის ძემან, სუანთა ერისთავმან,

---

ცება ასათ გრიგოლის ძის მიერ თამარის მეფობის პირველ წელსვე მომხდარა და არა 1191 წ. მაგრამ მთავარია, რომ ნ. შოშიაშვილის აზრითაც, ასათ გრიგოლისძის მიერ ჰერეთის ერისთავობის მიტაცების დროიდან „ხდებიან მხოლოდ გრიგოლისძეები.. ჰერეთის ერისთავები, მანამდე კი ეს სახელო კოლონკელისძეებს ეპყრათ" (გვ. 143).

[1] იხ. ნ. შოშიაშვილის დასახ. ნაშრ., გვ. 143.

მეჭურჭლეთა უხუცესმან და პროტოსტრატორმან, მოვჭედე ხატი ეს წმიდისა გიორგის და დავასუფე საყდარსა შინა ოჩამჩირისასა (ოჩამჩირისასა?)"[1]. იგივე იოანე ვარდანის ძე მესტი ს ხატის წარწერაში კი მხოლოდ ორი თანამდებობით მოისენიება. „მე იოანე ვარდანის ძემან, სუანთა ერისთავმან და მეჭურჭლეთა უხუცესმან მოქიდე ხატი ესე... რაჲთა ამ ხატითა (ღმერთსა ეყოფოს) დიდისა სუანეთისაჲს"[2]. როგორც ვხედავთ, იოანე ვარდანისძე თავისი დროის დიდმოხელეა სვანთა ერისთავი, მეჭურჭლეთუხუცესი და პროტოსტრატორი. ე. თაყაიშვილის ასოით, ორივე წარწერა თანადროულ ა, აქ მოხსენიებული იოანე ვარდანის ძე გიორგი III ის დროის მოღვაწეა და ორბელთა აჯანყების მონაწილე, რომელიც ამის გამო შემდეგ გიორგი III მ „სვანეთში აღარ დააყენა და გაგში გადაიყენა[3]. როგორც ჩანს, ე. თაყაიშვილის ეს მოსაზრება იქცა პ. ინგოროყვას ზემომოტანილი მტკიცების საფუძვლად.

მას შემდეგ, რაც გარკვეულია გაგის მფლობელის ივანე ვარდანისძის დადიანობა და აგრეთვე ორბელთა აჯანყების მონაწილე ივანე ვარდანისძის კოლონკელისძეობა, სვანთა ერ სთავისა და მეჭურჭლეთ ხუცეს ივანე ვარდანისძის მიჩნევა გაგის მფლობელად და დემნას აჯანყების მონაწილედ არ არის სარწმუნო.

იოანე ვარდანისძე სვანთა ერისთავი, მეჭურჭლეთუხუცესი და პროტოსტრატორი რომ უფრო ადრინდელი მოღვაწეა და არა გიორგი III-ის დროისა, ამაში გვარწმუნებს ამ დიდი მოხელის მოუხსენებლობა გიორგი III-ის ისტორიის იმ ნაწილში, რომელიც თამარის პირველ ისტორიკოსს აქვს მოცემული, აგრეთვე XII ს. მეორე ნახევრის სამოხელეო წყობ სა და „ხელმწიფის კარის გარიგებისათვისაც" უცნობი სამოხელეო ტერმინი -- პროტოსტრატორიც.

ჩვენთვის საინტერესო ზემომოტანილ წარწერებს თარიღები არ ახლავს და ამგვარ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს თვით ხატების, როგორც ხელოვნების ძეგლების, შედარებით ანალიზს. გ. ჩუბინაშვილმა თავის კაპ ტალურ გამოკვლევაში, სადაც ძირითადად VIII—XI სს. ძეგლებია განხილული, სათანადო ადგილი დაუთმო ლაბეჭინისა და მესტიის (ლახჩვანის) ხატებს და მ თი დ თარიღების შესახებაც საგულისხმო დასკვნა მოგვცა. ასე მაგალითად, ლაბეჭინის წმ. გიორგის ხატი, სვანთა ერისთავის, მეჭურჭლეთუხუცესისა და პროტოსტრატორის იოანე (ივანე) ვარდანისძის შეკვეთით გაკეთებული, გ. ჩუბინაშვილის მიხედვით, XI XII სს. მიჯნის ქართული შედეური ხელოვნების ნიმუშია[4], ხოლო ორივე ძეგლზე გ. ჩუბინაშვილი ზოგადად შენიშნავს: «Иконы мечурчлет-ухуцеса и эристава сванов Иване Варданисдзе в Лабечина и в Ланчване Местийского района... которые он (Е. Такайшвили) отнес в XII век... **я полагаю необходимым передвинуть в XI**»[5].

გ. ჩუბინაშვილისავე შენიშვნით, ძეგლთა შედარებითი ანალიზის მიხედვით მის მიერ მოცემულ დათარიღებებში, კვლევის შეთოდების გათვალისწინებით ან სხვა დამატებითი მომენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოხდეს ცვლილებანი, მაგრამ მხოლოდ ნახევარი საუკუნის ფარგლებში. ასე რომ ლაბეჭინისა და მესტიის ხატების წარწერებში მოხსენიებული სვანთა ერისთავისა და

---

[1] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, გვ. 22 -23.

[2] ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 24- 25.

[3] იქვე, გვ. 25.

[4] გ. ჩუბინაშვილი, ქართული ოქრომჭედლობა (რუს.), გვ. 251.

[5] იქვე, გვ. 591.

მეჯურჭლეთუხუცესის იოანეს მოღვაწეობის წლები არ შეიძლება გასცდეს XI ს. მიწურულსა და XII ს. პირველ ნახევარს. ამრიგად, მეჯურჭლეთუხუცესი იოანე ვარდანისძე XII ს. მეორე ნახევრის მოღვაწე კი არ არის, როგორც ფიქრობდნენ ე. თაყაიშვილი და პ. ინგოროყვა, და მით უფრო XIII ს. მეორე ნახევრისა, როგორც ვახუშტი ს. კაკაბაძე[1], არამედ XI ს. დასასრულისა და XII ს. დამდეგისა.

იოსებ ვარდანისძის მოღვაწეობის სასახლეში გვაქვს ცნობა, თავის მხრივ, ასაბუთებს წეიილობითი წყაროების ზოგიერთ პირდაპირი ჩვენებაც, კერძოდ თვით ვარდანისძეთა გენეალოგია.

ე. თაყაიშვილის ვარაუდით, ვარდანისძეთა საგვარეულოს ფუძემდებელი უნდა იყოს გიორგი II-ის (1072 1089) დროინდელი „სვანთა ერისთავი ვარდანი", რომელიც მის თანამედროვეთა შორის სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლით გამოირჩეოდ[2]. ნარატიული წყაროების მიხედვით უფრო ადრინდელი ცნობა ვარდანისძეთა საგვარეულოს შესახებ, მართლაც არ მოგვეპოვება, მაგრამ ამ ნაკლს ნაწილობრივ აკვსებს epigraphikuri მასალები, კერძოდ, ლაბეჭინის, ჯუმათისა და სოგანლუგის ხატის წარწერები.

გ. ჩუბინაშვილის მიხედვით, სოფ. ფაყის (ლენტეხი) ეკლესიის ხატი ეკუთვნის „X ს. არქაულ ხატთა" რიცხვს, ამ ხატზე კი მოხსენიებია მისი შემკვეთი „სულკეთილისა ერისთავთ ერისთავისა ბაკურის ძე" ვარდანი, იგი გ. ჩუბინაშვილის ვარაუდით, შეიძლება იყოს სწორედ ის ვარდან, რომლისგანაც სვანთა ერისთავები დაეალებული არიან თავისი გვარსახელით[3]. ეგევე ვარდანი მოხსენიებულია წარწერაზე ლაბეჭინის ღვთისმშობლის ხატისა, რომელსაც გ. ჩუბინაშვილი, სრული უეჭველობით XI ს. პირველ მესამედს აკუთვნებს[4]. ასე რომ ჯუმათის წმ. გიორგის ხატის წარწერაზე მოხსენიებული ერისთავთ-ერისთავი ვარდან ვარდანისძე ლაბეჭინისა და ფაყის ხატების შემკვეთ ვარდანისძედ უნდა მივიჩნიოთ. თუმცა გ. ჩუბინაშვილი ჯუმათის წმ. გიორგის ხატსაც XI ს. პირველ ნახევარს, ოცდაათიან წლებს აკუთვნებს[5]. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რომ ვარდან ვარდანისძე უეჭველად არის X ს. და XI ს. 30 იანი წლების წარწერებში მოხსენიებული ვარდანის შვილი, პირველი ვარდანისძე, რომლის მოღვაწეობა, მაშასადამე, სცილდება არა მარტო XI ს. 30-იან (საკუთარი მამის მოღვაწეობის) წლებს, არამედ მის პირველ ნახევარსაც. ამას გარდა, ჯუმათის წმ. გიორგის ხატის წარწერის ერისთავთ-ერისთავი ვარდან ვარდანისძე სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა ნარატიული წყაროების „სვანთა ერისთავი ვარდანი", გიორგი II-ის თანამედროვე.

ამრიგად, ჯუმათის წმინდა გიორგის ხატის წარწერის ერისთავთ-ერისთავი ვარდან ვარდანისძე XI ს. მეორე ნახევრის (გიორგი II-ის მეფობის წლების) მოღვაწედ უნდა მივიჩნიოთ. უეჭველია, რომ ვარდან ვარდანისძის შვილია ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ივანე ვარდანისძე, რომელსაც სვანთა ერისთავთ ერისთაობასთან ერთად მეჯურჭლეთუხუცესობაც და პრო-

---

[1] ს. კაკაბაძე, შოთა რუსთაველი, გვ 303.

[2] მატიანე ქართლისაი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 315 –316.

[3] გ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 415. ე. თაყაიშვილმა ეს ხატი XVI ს. მიაკუთვნა (იხ. მისი არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, გვ. 87. წარწერა იხ. იქვე, გვ. 87—89).

[4] იქვე, გვ. 236.

[5] იქვე, გვ. 246— 256

ტოსტრატორობაც ჰქონდა, და რომელიც, მაშასადამე, XI ს. ბოლო წლებისა და XII ს. დამდეგის მოღვაწე უნდა იყოს.

XII ს. მეორე ნახევრის სვანთა ერისთავთ-ერისთავების ვარდანისძეების შესახებ მასალები გვაქვია, აშკარაა, რომ ვარდან სძეებმა გიორგი III-ის დროსაც შეინარჩუნეს სვანთა ერისთავთ ერისთაობა და საერთოდ დიდი გავლენაც. როგორც ცნობილია, თამარის მეფობის დასაწყისში (ე. ი. გიორგი III-ის მეფობის ბოლო წლებშიც) „ბარამ ვარდანის ძე სვანთა ერისთავი“ იყო[1]. ამასთანავე, თამარის მეფედ კურთხევის დროს, ლიხთმერეთის იმ დიდგვაროვან დიდებულთა შორის, რომელთა პეროგატივასაც მეფის კურთხევა შეადგენდა, „დიდებულნი ვარდანისძენიც“ პირველთა შორის მოიხსენიებიან[2].

განხილულ მასალათა მიხედვით ვარდანისძეთა ძირითადი შტოს გენეალოგია, X ს-ის ბოლოდან XII ს-ის დამდეგამდე, შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

ბაკური (ერისთავთ-ერისთავი, X ს. მიწურული, ფაყის ხატის წარწერა);

ვარდანი (ერისთავი, XI ს. 30-იანი წლების ფაყისა და ლაბეჭინის ღვთისმშობლის ხატის წარწერები);

ვარდანისძე — ვარდანისძე (ერისთავთ ერისთავი, XIს. მეორე ნახევარი, ჯუმათის წმ. გიორგის ხატის წარწერა და „მატიანე ქართლისა“);

ივანე – ვარდანისძე (ერისთავთ-ერისთავი, მეჭურჭლეთუხუცესი, პროტოსტრატორი, XI ს. მიწურული, XII ს. დამდეგი, ლაბეჭინის წმ. გიორგის და მესტიის წმ. გიორგის, ჯუმათის გაბრიელ მთავარანგელოზის ხატებზე წარწერები).

წარმოდგენილი გენეალოგია, ცხადია, არასრულია, მაგრამ ის მაინც კარგად ჩანს, რომ ივანე ვარდანისძე მეჭურჭლეთუხუცესი არ არის გიორგი III-ის თანამედროვე, რაც თავისთავად გამორიცხავს ივანე ვარდანისძის მფლობელობას გაგში XII ს. მეორე ნახევარში და აგრეთვე გაგის მემკვიდრეობით მიღებას არიშიანთაგან.

ივანე ვარდანისძის მოღვაწეობის დროის განსაზღვრას XI ს. მიწურულითა და XII ს. დამდეგით (მისი პირველი ნახევრით) დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული სამოხელეო წყობის, კერძოდ მეჭურჭლეთუხუცესისა და პროტოსტრატორის თანამდებობათა ისტორიისათვის. როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, მეჭურჭლეთუხუცესის სახელო, განხილული მასალების მიხედვით, ნახევარი საუკუნითა და მეტი ხნით ადრე დასტურდება ქართულ სამოხელეო წყობაში, ვიდრე ამ თანამდებობას მოიხსენიებდნენ ნარატიული წყაროები.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ივანე ვარდანისძის მეორე თანამდებობა პროტოსტრატორის სახელო. „პროტოსტრატორი“ არც მანამდე, ე. ი. XI საუკუნემდე, და არც შემდეგ, XII- XIII სს. ქართულ სინამდვილეში დადასტურებული არ არის. ერთადერთ წყაროს ამ მხრივ დღესდღეობით ლაბეჭინის ხატის წარწერა შეადგენს. აშკარაა, რომ „პროტოსტრატორი“ რაიმე საპატიო წოდება კი არა, იმ დროის საქართველოს ცენტრალური აპარატის რომელიღაც თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინია; წარმოუდგენელია, რომ პროტოსტრატორის თანამდებობა XI ს. მიწურულს შემოეღოთ და იგი მაშინვე გამქრალიყო. როგორც ჩანს, პროტოსტრატორი იმავე შინაარსის ახალმა სამოხელეო ტერმინმა შეცვალა.

---

[1] ისტორიანი, გვ. 79.

[2] იქვე, გვ. 74.

ყოველივე ამის გარკვევაში კი ჩვენ თვით ტერმინ „პროტოსტრატორის" შინაარსის დადგენა დაგვეხმარებოდა.

ე. თაყაიშვილის მიხედვით, პროტოსტრატორი ქართულ მეჯინიბეთუხუცესს შეიძლება უდრიდეს, „თუმცა ბიზანტიაში მას სხვა ფუნქციებიც ჰქონდა — სამხედრო და საერო და ის ყოველთვის წარჩინებულ კარისკაცთა პირველ რიგში იყო"[1]. ე. თაყაიშვილს საამისოდ, გარდა პ. პეეტერსის განმარტებისა, დამოწმებული აქვს დუ კანჟიც, რომლის მიხედვით პროტოსტრატორი მეფისა და სასახლის მცველთა, სტრატორთა თავია, უფროსია[2]. პროტოსტრატორი, როგორც ჩანს, სამეფო კარზე ერთ-ერთი სამხედრო ხელ სუფალია, მას „სტრატორები" (στρατος — ჯარი, ლაშქარი, შეიარაღებული ძალები) ექვემდებარებოდა. თვით ამ კომპოზიტის შედგენილობის მიხედვით, „პროტოსტრატორი" ლაშქრის თავის „ჯარის უფროსის" ანუ სარდლის აღმნიშნველ ტერმინად ჩანს; მაგრამ ქართულ ნარატიულ თუ სხვა სახის წყაროებში სარდლის აღსანიშნავად პროტოსტრატორი არსადაა ხმარებული. საამისოდ ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში სპასპეტი, სპასალარი და ამ რსპასალარი იხმარებოდა და არა პროტოსტრატორი; ასე რომ ამ შემთხვევაში ჩვენ სამეფო კარის სხვა სამხედრო ხელისუფალთან უნდა გვქონდეს საქმე. საქართველოს სამეფო კარზე ასეთად მანდატურთუხუცესი ჩანს, მაგრამ სამხედრო ხელისუფალი იყო აგრეთვე ამირახორიც, ჩუხჩარხიც და ზოგი სხვაც.

პროტოსტრატორი ბიზანტიის სამოხელეო წყობაში ერთ-ერთი მაღალი რანგის სამხედრო ხელისუფალი იყო. G. Schumberger ის განმარტებით, პროტოსტრატორი იგივეა, რაც ობერშტალმაისტერი (grand—écyers). მის მიერვე აღწერილი საბეჭდავების მიხედვით, ეს თანამდებობა ჰქონია XI ს. ბიზანტიაში კონსტანტინე მონომახის მაგისტროსს რომან სკლიაროსს[3]. პროტოსტრატორი, როგორც ვხედავთ, სახელოს მიხედვით იგივე თანამდებობა ჩანს, რაც შემდეგდროინდელ (XII ს. მეორე ნახევრის) საქართველოს სამოხელეო წყობაში უკვე აღმოსავლური ტერმინით — ამირახორით აღინიშნებოდა.

თუმცა ბიზანტიურიდან თუ აღმოსავლური ენებიდან ქართულში შემოტანილი ესა თუ ის სამოხელეო ტერმინი ჩვენში ყოველთვის არ იხმარებოდა იმავე მნიშვნელობითა და შინაარსით, მაგრამ მაინც საფიქრებელია, რომ XI ს. მეორე ნახევრის ქართული სამოხელეო ტერმინოლოგიის პროტოსტრატორი უფრო ამირახორის აღრინდელი (XI– XII სს. მიჯნის) სახელწოდება იყოს, ვიდრე რომელიმე სხვა სამხედრო ხელისუფლისა.

თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ სვანთა ერ სთავთ-ერისთავს ივანე ვარდანისძეს მეუფურწულეთუხუცესობასთან ერთ დ სამეფო კარზე სამხედრო სა ხელოც მოუპოვებია. მისი, როგორც სამხედრო ხელისუფლის კარიერის შემდეგი საფეხურის მაუწყებელი უნდა იყოს ჯუმათის გაბრიელ მთავარანგელოზის ხატის წარწერა, სადაც იგივე ივანე ვარდანისძე უკვე მანდატურთუხუცესად არის მოხსენიებული: „სუანთა ერისთავსა და მანდა^ურთ ხ^ცს ივან(ე) მსახურთ უხ^ცს...[4]. ვფიქრობთ, ჯუმათის გაბრიელ მთავარანგელოზის ხატის წარწერის „სვანთა ერისთავი ივანე" სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა ლაბე-

---

[1] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ღერ^ხუმ-სვანეთში, გვ. 76.

[2] დუ კანჟი (ლათ.), გვ. 26.

[3] ე. შუმბერგერი, ბიზანტიის იმპერიის სიგილოგრაფია (ფრანგ.). გვ 358.

[4] დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა, გვ. 263.

ჭრნისა და მესტიის ხატების მეპურპლეთუხუცესი და პროტოსტრატორი ივანე ვარდანისძე. როგორც ვხედავთ, ჯუმათის ხატის წარწერაზე ივანე ვარდანისძე ახალი თანამდებობებით იხსენიება[1]. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, გიორგი II-ისა და დავით აღმაშენებლის პირველ ამირახორად და მანდატურთუხუცესად ივანე ვარდანისძე უნდა მიგვეჩნია, ხოლო ტერმინ „მანდატურთუხუცესის“ ქართულში დამკვიდრების დროდ კი XI –XII სს. მიჯნა. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ XII ს. მეორე მეოთხედიდან მანდატურთუხუცესს სახელო ორბელებს, კერძოდ სუმბატ ივანეს ძეს ეპყრა. როგორც ჩანს, ვარდანისძეებს მანდატურთუხუცესის სახელო დავით აღმაშენებლის მეფობის ბოლო თუ დემეტრე I-ის მეფობის პირველ წლებში დაუკარგავთ. ზოგი მათი თანამდებობა ალბათ ამ გვარის განაყოფების წარმომადგენლებმა დაიკავეს, ზოგი კი სხვა საგვარეულოს გადაეცა. ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო ფეოდალურ საქართველოში. მეპურპლეთუხუცესობაც ამჟამად ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზებით სვანთა ერისთავებს, ივანე ვარდანისძის შემდეგ, გიორგი III-ის მეფობის დროისათვის დაკარგული უნდა ჰქონდეთ. ამგვარ ვარაუდს მხარს უჭერს წყაროებში ამ საგვარეულოს წარმომადგენელთა მოუხსენიებლობა მეპურპლეთუხუცესის თანამდებობით, ივანე ვარდანისძის შემდეგ[2]. ამას გარდა, საგულისხმოა ვახუშტი ბაგრატიონ ს ცნობა ორბელთა აჯანყებაში მეპურპლეთუხუცესის მონაწილეობის შესახებ: „დიმიტრიმ (დემნა უფლისწულმა, შ. მ.) კვალად წარავლინნა მეპურპლეთ უხუცესი და სპანი შეკრიბნა“ ჰერ კახებში, ლეკებსა და კავკასიაში[3]. მსგავსი ცნობა არ დაუცავს ორბელთა აჯანყების შესახებ არსებულ არც ერთ წყაროს. თუკი ვახუშტის ამ ცნობაში თვით დემნა ან ორბელთა მეპურპლეთუხუცესი (საგულისხმოა მისი სახელის გარეშე მოხსენიება) არ ივარაუდება, შეგვეძლო დაგვეშვა ორბელთა აჯანყებაში მეფის მეპურპლეთუხუცესის მონაწილეობაც და სამეფო ხაზინის გამოყენებაც აჯანყებელთა დამხმარე ძალების დასაქირაებლად „ლეკებსა და კავკასიაში“. თუ ეს ასეა, მაშინ მეფის მეპურპლეთუხუცესად უნდა მიგვეჩნია იმ ჰერ კახ დიდებულთაგან ერთ ერთი, რომელნიც ამ ლაშქართან ერთად იბრძოდნენ გიორგი III-ის მომხრეთა წინააღმდეგ. ესენი კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყვნენ გრიგოლ ასათისძე, ივანე ვარდანისძე (კოლონკელისძე) და შოთა ართავაზისძე. გადაჭრით რამის თქმა ძნელია, მით უფრო, რომ ვახუშტის ცნობას პირველწყაროს მნიშვნელობა არ შეიძლება მიენიჭოს და ამასთანავე ისიც არ ვიცით, აქ დასახელებული მეპურპლეთუხუცესი მეფისა იყო, თუ აჯანყებული დიდებულისა. მაგრამ ამ ცნობის უყურადღებოდ დატოვება მაინც შეუძლებელია და თუ ამ შემთხვევაში სამეფოს მეპურპლეთუხუცესი ივარაუდება, იგი ჰერეთის იმდროინდელი ერისთავი ივანე კოლონკელისძე უნდა იყოს და სვანთა ერისთავის ივანე ვარდანისძისა და ორბელთა აჯანყების მონაწილე ივანე ვარდანისძის (კოლონკელისძის) შეცდომით ერთ პირად მიჩნევის მიზეზიც აქ არის საძიებელი.

---

[1] ვერაფერს ვტყვით იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის მეორე „მსახურთუხუცესის“ — თანამდებობა, ისევ ივანეს თუ სხვა ვინმეს, რომლის სახელიც, წ რწერის დაზიანების გამო, იქნებ არ იკითხება. სამწუხაროდ, ყოველივე ამის შემოწმება და თვით ძეგლის მხატვრული ანალიზიც ამჟამად შეუძლებელია.

[2] დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა (რუს.), გვ. 109, 261, 263, 264.

[3] ვახუშტი, სი, გვ. 194; ვახუშტის ამ ცნობას ყურადღება მიაქცია თ. ჯორბენაძემ, ოღონდ ვახუშტის მიერ ნახსენები მეპურპლეთუხუცესი, სვანთა ერისთავი ივანე ვარდანისძედ და, მაშ სად მე, გიორგი III-ის თანამედროვედ და ორბელთა აჯანყების მონაწილედ მიიჩნია (იხ. მისი XII—XIII სს. ვაზრების ქრონოლოგიისათვის საქართველოში. „პირნათა სამეცნიერო შრომების კრებული, წ. I, 1950, გვ. 73 74).

ვახუშტის ეს ცნობა ერთგვარად ხელს შეუწყობს აგრეთვე „უგვარო", „სიმდიდრით აღზევებული" ყუთლუ არსლან ს მეჯურჯლეთუხუცესის თანამდებობაზე დანიშვნის მიზეზების ახსნასაც.

რა თქმა უნდა, აჯანყების მონაწილე მეჯურჯლეთუხუცესი, როგორც „შიანათ გამცემელი", დაუსჯელი არ დარჩებოდა და მას, ჰერეთის ერისთაობასთან ერთად, „დარბაზის რიგის" მოხელეობაც, მეჯურჯლეთუხუცესობაც ჩამოერთმეოდა. მაგრამ ვერც ყუთლუ-არსლანმა გაამართლა იმედები – ისიც, უკვე სხვა იდეებითა და მეთოდებით, მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლთა სათავეში აღმოჩნდა. ამან კი თამარი აიძულა ახალი მეჯურჯლეთუხუცესი ამ თანამდებობის ადრევე მფლობელ დიდგვარიანთა საგვარეულოდან დაენიშნა. ასეთი იყო სვანთა ერისთავის, მეჯურჯლეთუხუცესისა და პროტოსტრატორის ივანე ვარდანისძის შთამომაკალი. ჩვენი აზრით, მისი შვილიშვილი, კახბერ ვარდანისძე — „დიდი და გუარიანი კაცი".

ასე რომ კახბერ ვარდანისძის დანიშვნას მეჯურჯლეთუხუცესად თუ შეიძლება რესტავრაცია ეწოდოს, იგი იყო არა ორბელთა აჯანყების, 1177 წლის წინანდელი მდგომარეობის რესტავრაცია, არც საერთოდ ვარდანისძეთა გვარის რესტავრაცია[1], არამედ ვარდანის ძეთა საგვარეულოს რესტავრაცია მეჯურჯლეთუხუცესის თანამდებობაზე. როგორც ვნახეთ, დიდება და გავლენა ვარდანისძეებს არც გიორგი III-ის დროს დაუკარგავთ და სარესტავრაციო მათ არაფერი სჭირდათ.

თამარის სამეფო კარზე ძველი გვარის ამ ახალ წარმომადგენელს დიდხანს არ დაუყოვნებია მეჯურჯლეთუხუცესის თანამდებობაზე. როგორც ჩანს, ვარდანისძეთა საგვარეულოსთვის მეჯურჯლეთუხუცესის თანამდებობის ბოძება ამ უძველესი საგვარეულოსადმი უფრო ხარკის მოხდა იყო, ვიდრე სამეფო ხელისუფლების სამოხელეო პოლიტიკაში გარდატეხის მაუწყებელი. ეს კიდევ უფრო კარგად გამოჩნდა ორიოდე წლის შემდეგ, როცა 1185 წ. დანიშნული კახაბერ ვარდანისძე 1187-8 წელს შეცვალა ახალმა მეჯურჯლეთუხუცესმა, ისევე „უგვაროთა", მოქალაქეთა ხელადფენის წარმომადგენელმა აბულასანმა.

აბულასანის ვინაობაც ქართულ და სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში სადავოდ არის ქცეული. მკვლევართა ერთი ნაწილი (პ. ინგოროყვა[2], ი. ციცქაძე[3]) აბულასანს ქართველ დიდგვარიანად მიიჩნევს, მეორე სომეხ ამირქურდ არწრუნად (ს. ერემიანი)[4]; ჩვენ მიერ კი აბულასანი მიჩნეულია მოქალაქეთა ქართული ხელადფენის წარმომადგენლად და აქედან აღზევებულად დიდებამდე — სამეფო კარის, როგორც „საქვეყნოდ გამრიგე", ასევე „დარბაზის რიგის" მოხელედ. თავის დროზე ნაჩვენები იყო აგრეთვე აბულასანის კარიერის ეტაპებიც – თბილისის ამირას თანამდებობიდან მეჯურჯლეთუხუცესობამდე. აღნიშნული იყო ისიც, რომ აბულასანის აღზევებაში დიდი როლი ითამაშა გიორგი რუსმან[5].

---

[1] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 655– 656.

[2] პ. ინგოროყვა, რუსთველი და, გვ. 98 –104; რუსთველი ხას ეპილოგი, გვ. 648 — 655, პ. ინგოროყვა, ადრე აბულასანს „უღირსეს ფეოდალთა ვარდანის-ძეთა სახელს" აკუთვნებდა (იხ. მისი რუსთველიანა, 1926, გვ. 173).

[3] ი. ციციშვილი, ძიებანი, გვ. 151 152; მისივე, რუსეთ საქართველოს ურთიერთობა, გვ. 215—216 და ა. შ.

[4] ს. ერემიანი, იური ბოგოლუბსკი (რუს.), გვ. 395, 399; მისივე, აღარწინის წარწერა 1184 წ. (რუს.), გვ. 82– 85.

[5] შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 110—144; მისივე, შენიშვნები ძველი რუსეთისა და საქართველოს ისტორიიდან, „მნათობი", 1970, № 1, გვ. 150—167.

აქ არ შევუდგებით როგორც ზემოდასახელებული ავტორების, ასევე ჩვენ მიერ მოტანილი მასალების მიხედვით მიღებული დასკვნების ხელახლა გამეორებას. ყველა დასახელებული ავტორის მოსაზრება სათანადოდ შეფასებულია, საწინააღმდეგო არგუმენტების მოტანით, ჩვენს დასახელებულ საშრომებში. მათში ასახვა ვერ პოვა მხოლოდ პ. ინგოროყვას „რუსთველიანას ეპილოგმა"[1], რომელიც შემდეგ გამოქვეყნდა და სადაც დამატებითი მასალებია წარმოდგენილი აბულასანის დიდგვარიანობის დასამტკიცებლად, ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ მოკლედ მაინც შევჩერდეთ მათზე.

პ. ინგოროყვამ „რუსთველიანას ეპილოგში" თითქმის მთლიანად გაიმეორა ის, რაც მას აბულასანის შესახებ ნათქვამი ჰქონდა „რუსთველიანაში". ამას გარდა, მან საჭიროდ მიიჩნია აღენიშნა აბულასანის ვინაობის შესახებ „სრულიად მცდარ შეხედულებათა" არსებობა და ზოგ მათგანზე ვრცლად შეჩერებულიყო კიდეც. ასე მაგალითად, პ. ინგოროყვამ საკმაოდ საფუძვლიანად გააკრიტიკა ს. ერემიანის შეხედულებანი, ნათლად უჩვენა, რომ აბულასანი არ არის არც ამირჭურდი და არც გუზან ტაოსკარელის მამა. მაგრამ მკვლევარმა საჭიროდ არ ჩათვალა ასევე ვრცლად შეჩერებულიყო ჩვენს მოსაზრებებზეც და საამისოდ მოტანილი მასალების კრიტიკისა თუ გაბათილების ცდაც მოეცა. პ. ინგოროყვა ამ შემთხვევაში იმით დაკმაყოფილდა, რომ ყველაფერი ეს „სრულიად მცდარ შეხედულებად" გამოაცხადა და ზოგი ახალი მოსაზრება მოიტანა აბულასანის დიდგვარიანობის სასარგებლოდ.

განვიხილოთ ეს მოსაზრებანი:

ა) პ. ინგოროყვას აზრით, „აბულასან იობის ძე არის პირველი პირდაპირი მემკვიდრე არიშიანის სახლისა. მასზედ გადასულა არიშიანის სამფლობელოს ძირითადი ნაწილი". აბულასანი არის „არიშიანისა ადგილსა მჯდომი", რა თქმა უნდა, მდედრობითი შტოის ხაზით"; აბულასანი თურმე დედიდან არიშიანის სახლის შვილი იყო[2]. ჩვენ ზემოტად მიგვაჩნია ამ მოსაზრებაზე მსჯელობა, რადგანაც ის არ არის არაფრით დასაბუთებული და ემყარება მხოლოდ ავტორის სურვილს დააკავშიროს რუსთაველისა და მეჭურჭლეთუხუცესის ხელის ყველა მფლობელი არიშიანებთან (ასევე აკავშირებს პ. ინგოროყვა „მდედრობითი ხაზით", როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვარდანის ძეებსაც კი, რომელთაც რუსთავი არასოდეს ჰქონიათ. ამგვარად, „მდედრობითი ხაზით" მემკვიდრეობა ცვლის პ. ინგოროყვას ნაშრომში მეცნიერულ არგუმენტაციას).

ბ) ახალი პ. ინგოროყვას არგუმენტაციაში აბულასანის შესახებ ის არის, რომ მან აბულასანი თბილისისა და მისი თემის „მემკვიდრე მფლობელად" გამოაცხადა. პ. ინგოროყვას ინტერპრეტაციით, „მკვიდრი" ძველ ქართულში „მემკვიდრეს", „მემკვიდრეობით მფლობელს" ნიშნავს[3]. რაკი აბულასანი თამარის ისტორიკოსის მიერ „თბილისის მკვიდრად" („მკჳდრი თბილისისა") მოიხსენიება, იგი „თბილისის მემკვიდრეობით მფლობელი" უნდა ყოფილიყო. ამას თურმე ისიც ადასტურებს, რომ აბულასანს დ იობის ძეებს საერთოდ საგვარეულო სამარხი თბილისში ჰქონდათ („ლურჯი მონასტერი")[4].

აბულასანი მართლაც იხსენიება „თბილისის მკვიდრად", მაგრამ „თბილისის მკვიდრი" ამ შემთხვევაში, როგორც ეს სათანადოდაც არის დასაბუთებუ-

---

[1] პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 652—654.

[2] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 648, 649, 650.

[3] იქვე, გვ. 650.

[4] იქვე.

ლი[1], ნიშნავს არა თბილისის მემკვიდრეობით მფლობელს, არამედ „მკვიდრ თბილისელს", „თბილისში მკვიდრად", თაობიდან თაობამდე მაცხოვრებელს და ძეტს არაფერს. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს „თბილისის მკვიდრობა", თბილისში თაობიდან თაობამდე ცხოვრება ერთ-ერთი მთავარი და აუცილებელი პირობა იყო თბილისის პირველი „მოქალაქის" წოდების მისაღებად. ასე რომ აბულასანის „თბილისის მკვიდრად" გამოცხადებით თამარის ისტორიკოსმა არ სებითად განსაზღვრა მისი სოციალური კუთვნილებაც, მისი თბილისის პირველ-მოქალაქეობა, მოქალაქეთა ზედაფენისადმი კუთვნილება. ყველაფერს რომ თავი დაევანებოთ, განა შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სამეფო (მეფის) ქალაქისა (თბილისის) და „მისი თემის" მემკვიდრეობით მფლობელად მიჩნეულია ქალაქის ამირათ ამირა, სამეფო ქალაქის გამგებლად თვით მეფის მიერ დანიშნული მოხელე? ზედმეტია იმისი მტკიცება, რომ „თბილისი და მისი თემი" მისი შემოერთების (1122 წ.) შემდეგ, არასოდეს ყოფილა არც ერთი დიდგვარიანის, არც ერთი დიდმოხელის „მემკვიდრეობითი სამფლობელო" და არც შეიძლებოდა ყოფილიყო — ის მეფეს ეკუთვნოდა და თვით მეფე ნიშნავდა თბილისისა და მისი თემის ამირებს „ქართლისა და თბილისის საამიროს" გამგებლებს.

აბულასანის მიერ „თბილისისა და მისი თემის" „მემკვიდრეობით მფლობელობის" დასამტკიცებლად არ გამოდგება არც წმ. ანდრიას სახელობის ეკლესიის აგება აბულასანის ძმის ბასილის (ქართლის ყოფილი ეპისკოპოსის) მიერ თბილისში. ამა თუ იმ მოხელის მიერ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას აგებული ესა თუ ის ეკლესია განა ამა თუ იმ კუთხის „მემკვიდრეობით მფლობელობის" საბუთად შეიძლება გამოდგეს? მით უფრო, რომ არც თბილისი და არც მისი მიმდგომი ქვეყანა აბულასანის და საერთოდ იობისძეთა „სამკვიდრო", როგორც აღვნიშნეთ, არასოდეს ყოფილა[2].

გ) პ. ინგოროყვას აზრით, აბულასანი არ შეიძლება ქალაქის ზედაფენის წარმომადგენლად მივიჩნიოთ იმის გამო რომ აბულასანი იყო ერისთავთ-ერისთავი და ვაზირი, მეჭურჭლეთუხუცესი; ხოლო „ამ ეპოქაში, ფეოდალურ საზოგადოებაში განმტკიცებული წოდებრივი ბარიერების არსებობის პირობებში, გამორიცხული იყო, რომ ერისთავთ-ერისთავნი და მით უფრო ვაზირნი დანიშნულიყვნენ არა ფეოდალთა, არა დ დებულთა, არამედ ვაჭართა წრიდან... მე-12—14 საუკუნეებში არ ყოფილა ამისი არც ერთი მაგალითი"[3].

ჯერ ერთი, „ფეოდალურ საზოგადოებაში განმტკიცებული წოდებრივი ბარიერების არსებობის პირობებშიც", როგორც ეს პ. ინგოროყვას სავსებით მართებულად შენიშნა ნ. შოშიაშვილმა, ერისთავთ-ერისთაობა და ასევე საერთოდ მეფის მოხელეობა — თუნდაც ვაზირობა სოციალური წოდება არ ყოფილა[4] და „უგვარონი" არათუ მთელი XII—XIV საუკუნეების მანძილზე,

---

[1] შ. მესხია, საქალაქო კომუნა, გვ. 113—115.

[2] „ლურჯი მონასტერი" აბულასანის საგვარეულო სამარხად პირველ-დ ე თაყაიშვილმა მიიჩნია (იხ. მისი, ათ. IV, გვ. 154). თუმცა, მისივე აზრით, თავიდან ეს ტაძარი გიორგი რუსის საპატიცემლოდ ყოფილა აგებული (იქვე, 153). ს. ჯორბენაძე უარყო ე. თაყაიშვილის ეარ უდი ამ ეკლესიის აბულასანის საგვარეულო სამარხად მიჩნევის შესახებ და „ლურჯი მონასტერი" გიორგი რუსის სამარხად გამოაცხადა (იხ. მისი, იური ბოგოლუბსკი, გვ. 419). წარმოუდგენელია, რომ საქართველოდან სამჯერ განდევნილ გიორგი რუსს სამარხი მაინც თბილისში ეპოვნა. ასევე შეუძლებელია გიორგი რუსის მარცხის შემდეგ მისი თავდადებული მოჭირე აბულასანისათვის „ლურჯი მონასტერი" საგვარეულო სამარხად შეეხარჩუნებინათ.

[3] პ. ინგოროყვა, დასახ ნაშრ., გვ. 652.

[4] ნ. შოშიაშვილი, სახელმწიფო სამართლის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 173.

არამედ ჩვენთვის საინტერესო ეპოქაშიც, კერძოდ გიორგი III ისა და თამარის ს ნში. არაერთხელ აღმოჩენილან უმაღლეს თანამდებობაზე. საკმარისი იქნება გავიხსენოთ ხაყიჭაყარი ყუბასარ ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი და ლორეს მფლობელი, რომელიც, თვით პ. ინგოროყვას სიტყვით, არ ეკუთვნოდა „დიდგვარიან დიდებულთა წრეს“[1], ანდა „აზნაურის ყმა“ აფრიდონი მსახურთუხუცესი და თმოგვის ერისთავთ-ერისთავი, თუ გნებავთ თამარის მეპურპლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი, რომელიც „სიმდიდრით აღზევებულთა“ წრიდან გამოვიდა და რომლის დიდგვარიანობის დასამტკიცებლად პ. ინგოროყვამ ვერავითარი მასალა ვერ მოიშველია. ამას გარდა, გავიხსენოთ ისიც, რომ თამარ მეფეს არსებითად არ შეუცვლია დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ის სამოხელეო პოლიტიკა, რაც ფართო გასაქანს აძლევდა პირადი ღირსებით, მეფის ერთგულებით გამორჩეულ პირთა აღზევებას, მიუხედავად მათი სოციალური კუთვნილებისა.

კიდევ შეიძლებოდა გაგვეგრძელებინა ეს მაგალითები თამარის შემდგომი ხანიდან და მრავალთა შორის გაგვეხსენებინა სადუნ მანკაბერდელი, დიდვაჭარი შადიხი, უმეკი, რომელსაც დავით ულუმ არა მარტო თბილისი, არამედ ერთხანს „თჯთ მეფობაცა შეევედრა“[2]. როგორც ვხედავთ, პ. ინგოროყვას ზემომოტანილი განცხადება XII—XIV სს. წყაროების მონაცემებს არ ემყარება.

ამრიგად, „ფეოდალურ საზოგადოებაში წოდებრივი ბარიერების არსებობა“ აბულასანის დიდგვარიანობის დასამტკიცებლად არ გამოდგება.

დ) პ. ინგოროყვას უკანასკნელი საბუთი ასეთია: „ის გარემოება, რომ ოჯახის წევრთა შორის ერთი ერისთავთ ერისთავი და ვაზირი იყო (აბულასანი), ხოლო მეორე მთავარეპისკოპოსი ქართლისა (ბასილი), მაჩვენებელია ამ სახლის განსაკუთრებული მაღალი მდგომარეობისა“[3]. მართლაც, იობის ძეთა სახლი გარკვეულ დროს „მაღალ მდგომარეობას“ აღწევს, მაგრამ ეს, ცხადია, არ შეიძლება იყოს ამ სახლის XII ს. ფეოდალურ საქართველოში საერთოდ „განსაკუთრებული მაღალი მდგომარეობის“ და მაღალი სოციალური კუთვნილების საბუთი.

ერისთავთ ერისთაობა „უგვაროებსაც“ რომ შეეძლოთ მიეღოთ, ამის შესახებ ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ და სათანადო მაგალითიც მოვიტანეთ. რაც შეეხება მთავარეპისკოპოსობას — არც ეს იყო მოუღწეველი დაბალი სოციალური წრის წარმომადგენელთათვის, განსაკუთრებით დაჟით აღმაშენებლის საეკლესიო რეფორმის შემდეგ (რუის-ურბნისის კრების შედეგები). „ფეოდალურ საზოგადოებაში განმტკიცებული წოდებრივი ბარიერების“ მიუხედავად, მაღალ საეკლესიო თანამდებობას ხშირად იკავებდნენ დაბალი სოციალური წარმოშობის, პირადი ღირსებებით დაჯილდოებული პირები.

ამრიგად, პ. ინგოროყვას მიერ „რუსთველიანას ეპოქაში“ მოტანილი დამატებითი განმარტებებითაც ვერ დასტურდება ვერც აბულასანის დიდგვარიანობა, მარუშიანთა მემკვიდრეობა და ვერც ამის საწინააღმდეგოდ გამოთქმული მოსაზრების უსწორობაც.

აბულასანი, როგორც ირკვევა, „თბილისის მკვიდრთა“, მოქალაქეთა ზედა ფენას, დიდვაჭარ ფინანსისტთა იმ წრეს ეკუთვნის, რომელიც XII ს. საქართვე-

---

[1] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 628.

[2] ჯამთააღმწერელი, გვ. 244.

[3] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 651.

ლოში ანგარიშგასაწევ და ს მეფო ხელისუფლების დასაყრდენ ძალად არის ქცეული. ამიტომ მაო წარმომაგენელია მოხაწილეობა ფეოდალური მონარ-ქიის საძირხულეო სისტემაში ს „ებით ბუნებრივი ჩანს. სწორედ „ობილისის მკვიდრობაძ" ძოუაოვა აბულასახს თვით თბილისის ძირითადი მაცხოვრებლების — ვაჭრებისა და ხელოსნების გამგებლობა: ამირათ-ამირობა გიორგი III-ის მეფობის უკანასკნელ წელს.

აბულასანის კარიერის ისტორიისა და თვით მისი ვინაობის გასარკვევადაც მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ მან თბილისის ამირას თანამდებობა ორბელთა აჯანყების შემდეგ მიიღო და, როგორც ირკვევა, ამ ადგილზე შეცვალა თბილისის ა მ ი რ ა თ-ა მ ი რ ა ქ უ რ დ ი. დავით ქობაირელის „მოსახსენებელის" საინტერესო ცნობით, კაენის ციხეში გასამაგრებლად აყრილ ლიპარიტ ორბელსა და დემნა უფლისწულს „მეფის ბრძანებით დაედევნა კეთილმსახეო თბილისის ამირათმთავარი (*ამ[ი]რ[ა]პ[ა]ხ[ა]ს*) ქურდი, დაეწია მათ ვეწრო გზაზე თავის საკუთარ მზარეში, რომელსაც მაჰკაბერდი ეწოდება. დასცა მათ ბრძოლის ყიეინა და უკანვე გამოაქცია, დაედევნა და წ მოიღო იმ ჯარის დაცლა და ალაფი" [1]. როგორც ვხედავთ, ორბელთა აჯანყების დროს თბილისის ამირაპეტი („ამირათ თაეი", „ამირთმთავარი") ანუ ამირათ-ამირა ყოფილა მანკაბერდელი ქურდი და მას დიდი დახმარება გაუწევია გიორგი III-ისათვის აჯანყებულთა ერთი შტოს წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, გიორგი III მ ქურდს თბილისის ამირას თანამდებობა წაართვა[2] და, როგორც ჩანს, ეს თანამდებობა სწორედ ამ დროს ვე გადაეცა აბულასანს. აბულასანი ხომ თამარის ისტორიკოსის მიერ მისი მეფობის პიოველ წელსავე მოხსენიებულია „ამირად ქართლისა და ტფილისისა"[3]. ასე რომ თამარის გამეფებას აბულასანი ამ თანამდებობით შეხვდა.

ამრიგად, აბულასანის დაწინაურება, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, გიორგი III-ის დროს, ორბელთა აჯანყების დამარცხების შემდეგ. ყუბასარის, აფრიდონის, ყუთლუ-არსლანის აღზევებასთან ერთად ხდება. ესეც

---

[1] გ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, ერთი სომხური წყარო, გვ. 264.

[2] ს. ე რ ე მ ი ა ნ ი არ უარყოფს, რომ, „მიუხედ ავად დიდი დამსახურებისა, გიორგი III-მ ამირა ქურდს წაართვა" თანამდებობ ნი და „შეურაცხყოფილმა ამირა ქურდმა დატოვა საქართველოს სამეფო კარი" (იხ. მისი. ალარწინის წარწერა, გვ 84- 85). მაგრამ ამავე დროს ს. ერემიანი ამირა ქურდს და აბულასანს ერთი და იმავე პიროვნებად წარმოგიდგენს. ყველ-ფერს რომ თავი დავანებოთ (სხვა საბუთებზე ჩვენ ქვეძოთ გვექნება საუბარი), თვით ის ფაქტი, რომ ამიოა ქურდი ორბელთა აჯანყების ნინ იყო თბილისის ამირაპეტი და გიორგიმ იგი ამის შემდეგ გაიგდო თბილისიდან, ხოლო აბულასანი კი გიორგი III-ის მეფობის ბოლო წლებში და თამარის მეფობის დასაწყისშიც ამირა იყო, აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ამ ორ ქურდი და აბულასანი არ შეიძლება იყოს ერთ- და იგივე პირი.

ამას გარდა, არსაიდან ჩანს, რომ ამირა ქურდ (ან თუნდაც აბულასანს) ჭერ კიდევ გიორგი III-ის დროს ჰქონოდეს, თბილისის ამირობასთან ერთად, ერისთავ ერისთავობაცა და მეჯერჭლეთუხუცესის თანამდებობა (იხ. მისი: იერი ბოგოლუბსკო, გვ. 399), ან კიდევ, როგორც ეს ერთ ერთ ბოლო წერილშია აღნიშნული, მაადატურთუხუცე-ის თანამდებობაც კი ორბელთა აჯანყების შემდეგ და უუბასარზე ადრე (იხ. მისი: ალარწინის წარწერა. გვ. 84). თავი რომ დავანებოთ ამირა ქურდს, აბულასანი გიორგი III-ის დროს არც მეჯერჭლეთუხუცესი ყოფილ და არც ერისთავთ-ერისთავი, იგი მხოლოდ თბილისის მ რა ყო და არა მ რტო ამ დროს. არამედ თამარის მეფობის პირველ წელსაც. ხოლო მის მანდ ტურთუხუცესობაზე ხომ ლაპ-რაკიც ზედმეტია; ორბელთა დამარცხების შემდეგ იეანე ორბელის ორიეე თანამდებობა გიორგი III-მ უუბასარს გადასცა. არც ერთ წყაროს არ დაეე ეს არავითარ, თუხდაც არაპირდაპირი მითითება აბულასანისა თუ ამირა ქურდის „ძალიან მოკლე დროითაც" კი მა ტატურო-უხუცეს ობის შესახებ.

[3] ი ს ტ ო რ ი ა ნ ი, გვ. 81.

არაა შემთხვევითი და აბულასანი სოციალური კუთვნილების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის.

ამას გარდა, თამარის სამსახურ, სამხედრო პოლიტიკის გასათვალისწინებლად დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ თამარის მეფობის გარკვეულ წლებამდე აბულასანმა არა მარტო შეინარჩუნა თბილისის ამირას თანამდებობა, არამედ კიდევ უფრო აღზევდა და ერისთავთ-ერისთაობაცა და მეპურპლეთუხუცესობაც მიიღო სწორედ თამარის სამეფო ხელისუფლებისაგან. რა თქმა უნდა, აბულასანის ასეთ აღზევებაში მხიშვნელოვანი როლი შეასრულა, როგორც ეს ჩვენ მიერ არაერთხელაა ხაზგასმული, ჯერ ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლამ, ხოლო შემდეგ გიორგი რუსმა, რომლის უერთგულესი მსახურიც თვითონ იყო.

საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მაინც შევეჩერდეთ აბულასანის კარიერის ოანდათან განვითარებაზეც. თამარის ისტორიკოსის მიხედვით, როგორც აღვსიშნეთ, აბულასანი იყო „ამირა ქართლისა და ტფილისისა". სხვა ცნობა აბულასანის თბილისში ამირობისა და აგრეთვე მისი ადრინდელი სახელოს შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება. როგორც ჩანს, ამით დაიწყო მისი კარიერა. მაგრამ პ. ინგოროყვას მიხედვით, თბილისის ამირობა თუ ამირათ-ამირობა თურმე ნიშნავდა მეპურპლეთუხუცესის მოადგილეობას, საცლობას [1]. ამ თვალსაზრისზე დგას აგრეთვე ს. ერემიანიც; აბულასანი (ამირ ქურდი) მას კარიერის დასაწყისში უკვე მეპურპლეთუხუცესის ნაცვლად მიაჩნია (აღსანიშნავია, რომ ს. ერემიანს ყოველივე ეს აბულასანის არაქართველობის, სომხობის და, მაშასადამე, ამირ ქურდთან იგივეობის დასამტკიცებლად აქვს გამოყენებული) [2]. არც პ. ინგოროყვას და არც ს. ერემიანს არ მოუციათ ამ მოსაზრების დასაბუთება. მაგრამ დ. მუსხელიშვილმა თავის ერთ-ერთ წერილში, გარდა იმისა, რომ პ. ინგოროყვას ეს მოსაზრება სწორად მიიჩნია, წარმოადგინა აბულასანის კარიერის დასაწყისის სხვაგვარი გაგებისა და თბილისის ამირათამირობისა და „მეპურპლეთუხუცესის ნაცვლობის" იგივეობის დასაბუთების ცდაც.

დ. მუსხელიშვილის მიხედვით, აბულასანი ჯერ იყო „ამირა თბილისისა" (თამარის ისტორიკოსის ცნობა), ხოლო შემდეგ „ამირათ-ამირა თბილისისა" („ლურჯი მონასტრის" წარწერა) და, მაშასადამე, „მეპურპლეთუხუცესის ნაცვალი". დ. მუსხელიშვილის ამგვარი მოსაზრება დამყარებულია „ამირათამირის" ხელისუფლების ახლებურ გაგებაზე, კერძოდ იმაზე, თითქოს „ამირათ ამირა" მხოლოდ თბილისის გამგებელს და ისიც გარკვეული დროიდან, სწორედ აბულასანის დროიდან (ე. ი. 1185—1186/7 წწ.) ეწოდებოდა. ასე რომ, დ. მუსხელიშვილის აზრით, აბულასანი იყო პირველი, რომელმაც მიიღო „თბილისის ამირათამირას" წოდება და, მაშასადამე, თანამდებობა „მეპურპლეთუხუცესის ნაცვლისა" [3].

დ. მუსხელიშვილის ეს მოსაზრება არსებითად დამყარებულია თამარის ისტორიკოსის ცნობისა და „ლურჯი მონასტრის" წარწერის ურთიერთშეპირისპირებაზე, კერძოდ პირველ შემთხვევაში აბულასანის „თბილისის ამირად", ხოლო მეორე შემთხვევაში — „ამირათამირად" მოხსენიებაზე. აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ დ. მუსხელიშვილისა და მის წინამორბედ მკვლევართა მიერ, ჩვენი აზრით, სწორად ვერ არის წაკითხული „ლურჯი მონასტრის" წარწერა,

---

[1] პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, გვ. 99; მისივე, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 651.

[2] ს. ერემიანი, ისტორიკოსი, გვ. 399.

[3] დ. მუსხელიშვილი, თბილისის ამირათამირობის... გვ. 213, 214.

ჩვენ შემთხვევა გვქონდა ამის შესახებ საგანგებოდ აღგვენიშნა 1962 წ. დაბეჭდილ ნაშრომში[1].

აბულასანის თანდათან აღზევების, მისი სამოხელეო კარიერის ცალკეული საფეხურების გასათვალისწინებლად დიდი მნიშვნელობა აქვს „ლურჯი მონასტრის" წარწერას. ბასილი, წარწერის გამკეთებელი, აღნიშნავს. ავადგე ეს ტაძარი „ნაცვალსაგებლად ჩემთჳს და საყუარელისა ძმისა ჩემისა ერისთავთ-ერისთავისა ქართლისა ამირაო ამირისა რუჲსთაჳსა და შჳდთა მთეულეთთა პატრონისა აბულასანისათჳს"[2]. წარწერის მოტანილი ადგილის სწორად წაკითხვისა და გაგების საკითხს ჩვენ ჯერ კიდევ ზემოდასახელებულ ნაშრომში შევეხეთ და მაშინ ვწერდით: „იე. ჯავახიშვილი, XI –XII საუკუნეების ქართულის სინტაქსის მიხედვით, როცა, მისი აზრით, განმარტება წინ უძღოდა განსამარტავ სიტყვას (მაგ. „ქართლის ერისთავი") და არა პირიქით, როგორც ეს ადრე, XI ს-მდე იყო („ერისთავი ქართლისა"), ხაზგასმულ ტექსტში მძიმეებს ერისთავთ-ერისთავისა და ამირათ-ამირას შემდეგ სვამდა. ასე რომ, იე. ჯავახიშვილის მიხედვით, წარწერაში მოხსენიებული აბულასანი იყო ერისთავთ-ერისთავი, ქართლის ამირათ-ამირა, რუსთაველისა და „შეიდთა მთეულეთთა" პატრონი. მაგრამ ასეთ წაკითხვას გარკვეული დაბრკოლებაც ახლავს: ჯერ ერთი, ტექსტის ასეთი წაკითხვიდან არ ჩანს, თუ რომელი კუთხის ერისთავთ-ერისთავი იყო აბულასანი. წარმოუდგენელია, რომ მას მხოლოდ ასეთი წოდება ჰქონოდა და ფაქტიურად არც ერთი კუთხის ერისთავი არ ყოფილიყო. ამას გარდა, წყაროებში, მართალია, გვხვდება ტერმინი „ქართლის ამირა", მაგრამ არსად არ გვხვდება „ქართლის ამირათ-ამირა". „ამირათ-ამირა", ძირითადად თბილისისა და აგრეთვე ზოგიერთი სხვა დიდი ქალაქის გამგებელთ ეწოდებოდაო"[3]. მართლაც, თუ ქართლის ერისთავთ-ერისთაობა ამ დროს ქართლის ამირათ ამირობას ნიშნავდა, მაშინ გაუგებარი იქნებოდა, თუ რატომ დასჭირდა წარწერის გამკეთებელს ერთი და იმავე შინაარსის ორი სხვადასხვა ტიტული გამეორებინა. ამას გარდა, არც ერთი წყაროდან არ ჩანს, რომ ქართლის ერისთავთ ერისთავი თუ ქართლის ამირათ-ამირა ამავე დროს თბილისის ამირა ყოფილიყო. პირიქით, წყაროები საწინააღმდეგოს ადასტურებენ. ასე მაგალითად, თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით, სწორედ იმ დროს, როდესაც აბულასანი იყო „ქართლისა და თბილისის ამირა", ქართლის ერისთაობა რატი სურამელს ჰქონდა[4]. ასე რომ „ქართლისა და თბილისის ამირა" სხვა ხელისუფალი იყო, ქართლის ერისთავი კი სხვა; ქართლის ერისთავთ-ერისთაობა არ გულისხმობდა თბილისის ამირათ ამირობას და პირიქით, — ქართლისა და თბილისის ამირობა — ქართლის ერისთაობას. ყველა ამ უხერხულობას კარგად გრძნობდა, როგორც ჩანს, პ. ინგოროყვა და მან საჭიროდ მიიჩნია ზემომოტანილი წარწერის სიტყვა „ქართლისას" შემდეგ ჩაერთო სიტყვები – [„ტფილისის თემისა"][5], რაც, ჩვენი აზრით, ზედმეტია; ასეთ ჩამატებას არ მოითხოვს ზემომოტანილი წარწერა, თუკი მას სწორად წაიკითხავთ.

„XI—XII ს. ქართული სინტაქსი არც ისე ემჯნებოდა მის წინადროინ-

---

[1] შ. მესხია, საქალაქო კომუნ., გვ. 132—134.

[2] ვ. ბერიძე, „ლურჯი მონასტერი", გვ. 96—97, ე. თაყაიშვილი, ად, IV, გვ. 149—150.

[3] შ. მესხია, საქალაქო კომუნა, გვ. 132—133.

[4] ისტორიანი, გვ. 79; შდრ. შ. მესხია, საქალაქო კომუნა, გვ. 119.

[5] პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპოქა, გვ. 651.

დელი ქართულის სისტემის, რომ ამ ს მ ხედვით რაიმე კატეგორიული დასკვნა გაგვეკეთებინა. ამიტომაც ბუნებრივია, თუკი XII ს. ქართულში ხშირად შეგვხვდება უფრო ადრინდელი ქართულისათვის დამახასიათებელი სინტაქსური მოვლენები – კერძოდ წინადადებები, სადაც „განმარტება გასამარტებად სიტყვას“ მოსდევს. სხვაგან რომ ბევრი არ ვეძებოთ, თვით თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში არაერთგან გვხვდება ასეთი ადგილები: „ამირა ქართლისა და ტფილისისა“, „სათავადო და სამთავრო სომხთსა შინა“, „აატრონი კლარჯეთის და შავშეთისა“, „პატრონი ორბეთისა და კაენისა“, და სხვა მსგავსი“[1]. როგორც ვხედავთ, XII ს. ქართულის სინტაქსი სრულებით არ გვიშლის ხელს „ლურჯი მონასტრის“ წარწერის ტექსტში მძიმე დავსვათ სიტყვა „ქართლისა“ ს (და არა ერისთავთ-ერისთავის) შემდეგ. ასე კი, თუ ხელოვნურად არ გავართულებდით საქმეს, ტექსტის პირვანდელ შინაარსს ადვილად აღვადგენდით.

ამრიგად, „ლურჯი მონასტრის“ წარწერის გაკეთების დროს აბულასანი ყოფილა „ერისთავთ-ერისთავი ქართლისა, ამირათ-ამირა რუსთაველისა და შჯდთა მთეულეთთა პატრონი“. როგორც ვხედავთ, აბულასანი „მდედრობითი ხაზთ“ რუსთავის მფლობელი კი არ იყო, როგორც პ. ინგოროყვა ვარაუდობს, არამედ მხოლოდ ამირათ-ამირა, მეფის მოხელე ამ ქალაქში. როგორც ჩანს, რუსთავი იმ დროს (და მასზე ადრეც) სამეთო იყო[2] და მას ჯერ კიდევ მეფის მოხელეები, ამირები განაგებდნენ, ვიდრე იგი საპატრონოდ გაიცემოდა თამარის მიერ. აბულასანს ამ დროს რუსთავის ამირათ-ამირობაზე უფრო დიდი ხელისუფლებაც ჰქონია – იგი ქართლის ერისთავთ ერისთავადაც ქცეულა (გავიხსენოთ ივანე ახალციხელის ამირათ-ამირობა ქ. კარში) და აგრეთვე „შჯდთა მთეულეთთა“ პატრონადაც. ასე რომ ბასილს კარგად სცოდნია თავისი ძმის აბულასანის ყველა თანამდებობა და ზუსტადაც აუსახავს იგი წარწერაში. ან რა საფიქრებელია, რომ „ბასილს თავის წარწერაში თავისი ძმის აბულასანის მოხელეობის ნუსხა სრული სისწორით ვერ აღენიშნა“, როგორც ამას ი. ჯავახიშვილი ვარაუდობდა[3].

ყველაფერ სხვას რომ თავი დავანებოთ, „ლურჯი მონასტრის“ წარწერაძ აბულასანის მოხსენიება „ამირათ-ამირად რუსთავისა“ უკვე საეჭვოდ, კიდევ მეტი, დაუჯერებლად ხდის დ. მუსხელიშვილის მოსაზრებას „ამირათ-ამირას“ მხოლოდ თბილისის გამგებლის წოდებად მიჩნევის შესახებ. თუმცა დ. მუსხელიშვილს ეს მოსაზრება სხვა წინააღმდეგობებსაც აწყდება: ასე მაგალითად, როგორც მის მიერვეა აღნიშნული, ამ მოსაზრებას საეჭვოდ ხდის აბულასანის წინამოადგილის, ქურდის, თბილისის უკვე „ამირაპეტად“, ე. ი. ამირთ ამირად მოხსენიება ჭობაიელის მიერ[4], რაც იმაზე მიგვ თითებს, რომ თბილისის ამირათ-ამირა მარტო აბულასანი არ ყოფილა და არც აბულასანიდან დაწყებულა ამირათ ამირობა თბილისში. ამას გარდა, ნიშანდობლივია თვით ამ ქურდის ზოგჯერ „ამირაპეტად მოხსენიება, ზოგჯერ კი უბრალოდ „ამიოად“[5], რაც, ჩვენი აზრით, საკმაოდ ბუნებრივი იყო, ისევე როგორც ამა თუ იმ ერისთავთ-ერისთავის ზოგ შემთხვევაში უბრალოდ ერისთავად დასახელება. დ. მუსხელიშვილის მოსაზრებას ეწინააღმდეგება აგრეთვე ქ. კარის გამგებლის მოხსენი-

---

[1] შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა, გვ 133.

[2] შდრ. ვ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, რამდენიმე შენიშვნა, გვ. 311.

[3] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქსი, I, გვ. 214.

[4] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული წერილი, გვ. 202—203

[5] იქვე, გვ. 203.

ება თამარის ისტორიკოსის მიერ „ამირათ ამირად". იქანე ახალციხელისათვის ქარის ამირათ-ამირად წოდების ახსნა თვით იქანე ახალციხელის „პირადი ღირსების პატივისცემით", როგორც ამას დ. მუსხელიშვილი ფიქრობს[1], რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ზემოაღნიშნულ მოსაზრებას საეჭვოდ ხდის აგრეთვე თვით აბულასანის მოხსენიებაც თამარის ისტორიკოსის მიერ მხოლოდ „თბილისის ამირად" და არა „თბილისის ამირათ-ამირად" (სხვა ცნობა კი თბილისში აბულასანის ამირათ ამირობის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება). არც ამის ახსნა შეიძლება, ცხადია, ისტორიკოსის მიერ „დაშვებული ლაფსუსით" და არც იმით, თითქოს" ამირა ქართლისა და ტფილისისა თავისთავად უკვე გულისხმობდეს „ამირათამირობას"[2]. ყველა ეს და სხვა მსგავსი წინააღმდეგობანი, რომლებიც ზემოაღნიშნულ მოსაზრებას ახლავს, შეუძლებელს ხდის მის გაზიარებას. ასე რომ თბილისისა თუ სხვა ქალაქის გამგებელი, XII—XIII სს., როგორც ჩანს, შეიძლებოდა წოდებულიყო როგორც უბრალოდ „ამირად", ასევე „ამირათამირადაც" და სამეცნიერო ლიტერატურაში ადრევე გამოთქმული ეს მოსაზრება მართებული ჩანს.

როგორც ჩანს, აბულასანის თბილისში ამირობა თუ ამირათ-ამირობა, რაკი ასეთი წოდება (ამირათ-ამირობა) სხვა ქალაქის გამგებლებსაც ჰქონდათ (რუსუდანი, ქარი და სხვ.), არ გულისხმობს ამირათ-ამირას „მეჭურჭლეთუხუცესობის ნაცვლობას". ასეთ ვითარებაში „მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი" თუ „სჯულის ნაცვალი" არა ერთი, არამედ რამდენიმე პირი უნდა ყოფილიყო, წყაროებით კი ჩვენ მეჭურჭლეთუხუცესის მხოლოდ ერთ „ნაცვალს" ვიცნობთ.

ამასთანავე, ის, რომ თბილისის ამირობა, როგორც დედაქალაქის გამგებლობა, თავისთავად დიდი თანამდებობა იყო, თვით აბულასანიც რომ მნიშვნელოვანი ხელისუფალი იყო და დიდი გავლენით სარგებლობდა დიდებულთა წრეში, აბულასანის თუნდაც „ძირძველი აზნაურობა" (თუმცა პირველ რიგში ამის დამტკიცება იქნებოდა საჭირო), არ გამორიცხავს აბულასანის „მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვლობის" საბუთად. სავსებით გაუგებარია, თუ რატომ უნდა ყოფილიყო „ძირძველ დიდებულ აბულასანისათვის" „მეჭურჭლეთუხუცესის უწყებაში" შესაფერისი თანამდებობა მაინცდამაინც „ნაცვლობა მეჭურჭლეთუხუცესობისა"[3] და არა, ვთქვათ, ამირათ-ამირობა თუ ამირობა, ანდა მეჭურჭლეთუხუცესის საუწყებოში შემავალი სხვა სახელო. განა აბულასანი თავისი საგვარეულოს „ძირძველობით" კარის ამირა იყავნე ახალციხეზე მაღლა შეიძლება მდგარიყო? საქმე ისაა, რომ ფეოდალურ ქვეყანაში მოხელეობა (დიდება) არ იყო სოციალური წოდება და ამიტომ „ძირძველი დიდგვარიანი" ზოგ შემთხვევაში შეიძლებოდა გაცილებით დაბალ თანამდებობაზე დაენიშნათ. ვიდრე „უგვარო", „აზნაურის ყმა", როგორც ეს სწორედ ჩვენთვის საინტერესო ეპოქისათვის (დავითის დროიდან მოკიდებული) იყო დამახასიათებელი.

ამრიგად, აბულასანი არ ყოფილა „მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი"[4]. გიორგის სამეფო კარზე მისი კარიერა ქართლისა და თბილისის ამირობით დაიწყო; შემდეგ, ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლისა და გიორგი რუსის ხელშეწყობით, აბულასანი ქართლის ერისთავთ-ერის-

---

[1] დ. მუსხელიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 204

[2] იქვე, გვ. 208.

[3] დ. მუსხელიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 214.

[4] შ. მესხია, საქალაქო კომუნა, გვ. 140, 189; შდრ. მ. ლორთქიფანიძე, რამდენიმე შენიშვნა, გვ. 328.

თავიც ხდება, რუსთავის ამირათ-ამირაც და „შვიდთა მთეულეთთა“ პატრონიც („ლურჯი მონასტრის“ წარწერა). აძითაც არ დამთავრებულა მისი დაწინაურება სამეფო კარზე — ქართლის ერისთავთ ერისთავი მალე მეუფურჭელეთუხუცესიც ხდება (ანდრია მოციქულის ხატის წარწერა). მაგრამ მოკლე დროის მანძილზე ასე სწრაფად დაწინაურებული აბულასანი ასევე სწრაფად სცილდება ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზს. აბულასანის კრახის მიზეზი, როგორც ეს ჩვენ მიერ 1962 წ. აღინიშნა, იყო გიორგი რუსის განდევნა საქართველოდან. გიორგი რუსისა და მის თავდადებულ მომხრეთა წრის დამარცხებას პირველ რიგში უნდა შეეწირა აბულასანი – გიორგის კანდიდატურის წამომყენებელი და მისი საქართველოში ჩამოყვანის ორგანიზატორი. ასეც მოხდა: აბულასანმა, როგორც ჩანს, დაკარგა მეუფურჭელეთუხუცესობაც და ქართლის ერისთავთ ერისთაობაც... აბულასანის კარიერა დაახლოებით 1188-9 წლისათვის კრახით დასრულდა [1].

სულ სხვაგვარადაა წარმოდგენილი აბულასანის კარიერის საფეხურები პ. ინგოროყვას მიერ: „აბულასანი, როგორც შემდეგ იქნება დადასტურებული, ამ დროს (1185—1187 წლებში) იყო „ნაცვალი მეუფურჭელეთუხუცესისა“, ამ დროს ეკუთვნის ლურჯი მონასტრის წარწერა“ [2]. პ. ინგოროყვა, ზემოთქმულის დასაბუთების ნაცვლად, ახალ მოსაზრებას გვთავაზობს: „ოდნავ ადრე, იმავე 1189/90 წწ. როდესაც აბულასანი ჯერ კიდევ არ იყო ვაზირი მეუფურჭელეთუხუცესი, არამედ „ნაცვალი მეუფურჭელეთ-უხუცესისა“, მას კავშირი დაუმყარებია ექსორია ქმნილ გიორგისთან და მათ გადაუწყვეტიათ აჯანყების მოწყობა“ [3]. ასე რომ აბულასანი გიორგი რუსის დროს კი არ დაწინაურებულა (მისი განდევნის შემდეგაც ისევ მეუფურჭელეთუხუცესის ნაცვლად დარჩენილა), არამედ გიორგი რუსის აჯანყების ორგანიზაციისა და თვით აჯანყების მომენტში თუ შემდეგ, რაკი მეუფურჭელეთუხუცესის ნაცვლის დაკავშირებას „ექსორიაქმნილ გიორგისთან“, თამარის ისტორიკოსის მოწმობით, მაშინვე მოჰყვა აჯანყებაც; ასე რომ „მეუფურჭელეთუხუცესის ნაცვალი“ კარნუ ქალაქიდან, ალბათ, აჯანყებულებთან ერთად დაბრუნდა [4]. ყველაფერი ეს კი დღესდღეობით მიღებული დათარიღებით — 1190/91 წლებში ხდება და სწორედ ამ წლებში, პ. ინგოროყვას აზრით, აბულასანი უკვე მეუფურჭელეთუხუცესია. „ანდრიას ხატის წარწერაში 1190/91 წლებისა, აბულასანი უკვე ვაზირად მეუფურჭელეთუხუცესად მოიხსენიება“ [5] — წერს იგი. ამასვე იმეორებს მკვლევარი სხვაგანაც, ოღონდ ერთი განსხვავებით: ადრეკე მის მიერვე აჯანყების წამომწყებად მიჩნეული „მეუფურჭელეთუხუცესის ნაცვალი“ აბულასანი აჯანყებაში მონაწილეობს რატომღაც როგორც მეუფურჭელეთუხუცესი და აოა მისი ნაცვალი [6]. ამრიგად, პ. ინგოროყვას აზრით, აბულასანს მეუფურჭელეთუხუცესობა აჯანყების დაწყების მომენტში მიუღია. მაგრამ როგორ და რანაირად შეიძლებოდა მოეხდარიყო ყოკელივე ეს, ამის შესახებ მის ნაშრომში პასუხს ვერ ვპოულობთ.

რა თქმა უნდა, სავსებით დაუჯერებელია, რომ გიორგი რუსის განდევნის შემდეგ აბულასანი თავის თანამდებობებზე დარჩენილიყო და კიდევ მეტი,

---

[1] შ. მესხია, საქალაქო კომუნა, გვ. 137—138; შდრ. ვ. ლორთქიფანიძე, რამდენიმე შენიშვნა, გვ. 329.

[2] პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ 651; შდრ. რუსთველიანა, გვ. 99.

[3] პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 658.

[4] ისტორიანი, გვ. 90.

[5] პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 657—658, შდრ. 651.

[6] იქვე, გვ. 633.

ახალი მაღალი თანამდებობაც მიეღო, ისიც იმ აჯანყების მომენტში, რომელიც თვით შეწყალებულს მოუწყვია სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ.

პ. ინგოროყვას ზემომოტანილ არც ერთ მოსაზრებას არ ახლავს საბუთიანობა, გარდა „ლურჯი მონასტრისა“ და ანდრიას ხატის წარწერებისა, მათი თვითნებური დათარიღებისა. სამწუხაროდ, არც „ლურჯი მონასტრის“ და არც ანდრიას ხატის წარწერებს თარიღები არ ახლავს და მათი გამოყენება აბულასანის მოხელეობის წლების ასე ზედმიწევნით განსასაზღვრად და აქედან გამომდინარე კატეგორიული დასკვნების გასაკეთებლად შეუძლებელია.

აბულასანის კარიერის ჯრახის დროის განსასაზღვრად ყურადსაღებია ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაც: „არც აბულასანის პიროვნება და არც მისი თანამდებობები არ ჩანს არც გიორგი რუსის აჯანყების მონაწილეთა და არც ამ აჯანყების მარცხის შემდეგ დასჯილთა თუ ახალ მოხელეთათვის გადაცემულ თანამდებობებს შორის. პ. ინგოროყვა კი წერს: „1191 წ. დიდებულთა ერთმა ჯგუფმა მოაწყო ამბოხება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ორმა ვაზირმა: ვაზირმა მეჯურჭლეთუხუცესმა აბულასანიობის ძემ (რომელიც იყო მეთაური შეთქმულებისა) და ვაზირმა მსახურთუხუცესმა ვარდან დადიანმა. ამბოხების ჩაქრობისა და წესრიგის დამყარების შემდეგ, ორივე ვაზირი გადაყენებულ იქნა“ [1]. თუ მართლა ეს ასე იყო და აჯანყებაში აბულასანიც (მეჯურჭლეთუხუცესი) მონაწილეობდა, ცხადია, საამისო ცნობაც იქნებოდა თამარის ისტორიკოსის თხზულებაში მეჯურჭლეთუხუცესის ხელის სხვა პირისთვის ბოძების შესახებ. თამარის ისტორიკოსის თხზულებაში კი აჯანყების შედეგების შესახებ ვკითხულობთ: „შე წყალეს და უბოძეს სარგისის ძესა ივანეს პირველად მსახურთ-უხუცესობაჲ, ქელი შინაური და საპატიო და კაენი და კაიწონი გელაქუნით და სხუითა მრავლითა სახარაჯოჲთა ქალაქითა და ციხითა. შეიწყალნეს და დალოცნეს სხუანიცა დიდებულნი მრავალნი“ [2]. როგორც ვხედავთ, პ. ინგოროყვას მიერ შეთქმულებას მთავარ მონაწილედ მიჩნეულ ორ „ვაზირთაგან“ მხოლოდ ერთი ხელისუფლის შესახებ არის დაცული ცნობა: ვარდან დადიანისათვის ჩამოურთმევიათ ხელი და სახელო ქვეყნები და ყველა ისინი ივანე მხარგრძელისათვის გადაუციათ; მაგრამ აქვე და ქვემოთაც არაფერია ნათქვამი მეჯურჭლეთუხუცესის თანამდებობაზე ახალი პირის დანიშვნის შესახებ. მეჯურჭლეთუხუცესის სახელო ამ დროს თავისუფალი რომ ყოფილიყო, თამარის ისტორიკოსი პირველ რიგში (მსახურთუხუცესზე ადრე) სწორედ იმას მოიხსენიებდა, ვისაც აბულასანის შემდეგ მეჯურჭლეთუხუცესის ხელი გადაეცა. როგორც ჩანს, იმდროინდელი მეჯურჭლეთუხუცესი ამ აჯანყებაში არ მონაწილეობდა.

თამარის ისტორიკოსი საგანგებოდ ჩამოთვლის აჯანყების მონაწილე ყველა მნიშვნელოვან „საქვეყნოდ გამრიგე“, თუ „დარბაზის რიგის“ ხელისუფალს: „გუზანი, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა“, „ბოცო, სამცხის სპასალარი“, „ვარდან დადიანი, მსახურთუხუცესი“ და სხვები [3], მაგრამ მათ შორის არ არის დასახელებული პ. ინგოროყვას მიერ „შეთქმულების მეთაურად“ მიჩნეული მეჯურჭლეთუხუცესი აბულასანი. რა თქმა უნდა, „შეთქმულების მეთაური“ და ასეთი დიდი თანამდებობის მქონე პირი პირველი იქნებოდა და-

---

[1] პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 657—658.

[2] ისტორიანი, გვ. 94—95.

[3] იქვე, გვ. 90—91.

სასელიბული მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლთა შორის. მაგრამ საქმე ისაა, რომ აბულასანს ამ დროს არავითარი თანამდებობა არ გააჩნდა და თუ იგი აჯანყებაში მონაწილეობდა, ცხადია, ის ამ დროს აღარ იყო მეჭურჭლეთუხუცესი და ქართლის ერისთავთ-ერისთავი, არამედ ადრევე დამცრობილი, სახელოწართმეული და თავისი კანდიდატის ხელახლა გამეფებისათვის თავდადებით მებრძოლი პირი[1].

როგორც ირკვევა, არც აჯანყების მომზადებისას და არც მისი მსვლელობის დროს აბულასანი არ ყოფილა არც მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი და არც მეჭურჭლეთუხუცესი; მეჭურჭლეთუხუცესობა მას გიორგი რუსის პირველად განდევნისთანავე დაატოვებინეს და გათავისუფლებულ ადგილზე კი მაშინვე დანიშნეს ახალი ხელისუფალი.

ზემოთქმულის შემდეგ ზედმეტად მიგვაჩნია ისევ აღვნიშნოთ, რომ თამარის ისტორიკოსის მიერ გიორგი რუსის აჯანყების მოსამზადებლად ქარნუქალაქს ჩასული „ნაცვალი მეჭურჭლეთა უხუცესისაჲ, სჯულითა ბარბაროზი და ქცევითა ტარტაროზი", საერთოდ არ შეიძლება იყოს ქართველი მოხელე და მით უფრო აბულასანი[2].

ს. ერემიანს კი მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვლის „სჯულით ბარბაროზობა", როგორც აღვნიშნეთ, აბულასანისა და ამირა ჭურდის იგივეობის დასამტკიცებლად აქვს გამოყენებული. „სჯულით ბარბაროზი", მისი აზრით, არაქართული სარწმუნოების და. მაშასადამე, მაინცდამაინც სომხურისას უნდა ნიშნავდეს[3]. მართლაც, „სჯულით ბარბაროზი" ნაცვალი არ შეიძლება იყოს ქართველი დიდებული, მაგრამ ამ მონაცემებით არც იმის დამტკიცება შეიძლება, რომ ის სომეხი იყო; იგი მით უფრო არც აბულასანია, რომელიც, როგორც ვნახეთ, ადრევე იყო დამხობილი და იმ დროისათვის მას არავითარი თანამდებობა არ გააჩნდა. როგორც ირკვევა, აჯანყების ორგანიზატორი და გიორგი რუსის აქ ხელმეორედ შემოყვანის ინიციატორი, მართლა არაქართველი მოხელე იყო. ესეც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უკვე გამორიცხავს თამარის ისტორიკოსის მიერ მოხსენიებული „სჯულით ბარბაროზი" ნაცვლისა და აბულასანის იგივეობას.

თუმცა გაგვიგრძელდა აბულასანის ვინაობისა და მისი კარიერის შესახებ მსჯელობა, მაგრამ არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ის ორი სომხური წარწერა, რომლებშიც, ს. ერემიანის აზრით, იხსენიებიან გიორგი რუსი და აბულასანი და რომელთაც ის იყენებს აბულასანის მოხელეობის შესასწავლად.

ორივე წარწერა სანაინის მონასტერზეა გაკეთებული, ერთი მის გამომ-

---

[1] შდრ. მ. ლორთქიფანიძე, რამდენიმე შენიშვნა, გვ. 329.

[2] დამახასიათებელია, რომ პ. ინგოროყვამ ზემოხსენებული „სჯულით ბარბაროზი" ნაცვალისა და აბულასანის იგივეობის დასამტკიცებლად და ავრეთვე იმის ასახსნელად, თუ რატომ უწოდა ისტორიკოსმა ქართველ მოხელეს „სჯულით ბარბაროზი", აბულასანი დაუთ გარეჯის მიერ V ს-ში გაჩრისტიანებულ ბუბაქარს დაანათესავა და „დაუთ გარეჯის ცხოვრებაში" შესაბამის ტექსტში სათანადო შესწორებაც შეიტანა (იხ. რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 658—659). მაგრამ მთელი ამ არგუმენტაციის (XII ს. მოღვაწის აბულასანის წინააღმდეგ V საუკ. ბუბაქარის მიჩნევის) უმეწობა ისე გამჭვირვალეა, რომ მასზე სიტყვის გაგრძელებას ზედმეტად მივიჩნევთ (შდრ. ნ. შოშიაშვილი, სახელმწიფო სამართლის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 137—138).

[3] ს. ერემიანი, იერი ბაგოლუბლი (რუს.), გვ. 413; აღსანიშნავია, რომ ბულასანის შესახებ ჯამოყენებული მოსაზრებები ს. ერემიანს, მისივე განცხადებით, დასაბუთებული აქვს საგანგებო ნაშრომში — „Арцруниди Махканаберда", რომელიც დღემდე (ამ მითითებიდან 45 წლის შემდეგ) არ გამოქვეყნებულა.

ცეველთა მიერ 1181 წლითაა დათარიღებული (ამ წარწერას ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ), მეორე კი 1191 წლით. ამჯერად შევეხოთ მეორე წარწერას, რომელსაც ს. ერემიანი ამგვარად კითხულობს: „მეფობ სა ქართველთა გიორგისა, .მრსპასალარობასა ზაქარესი და ძმისა მისისა ივანესი 640 სა (1191 წ.), მე, ქურთმა [აბულ] ჰასანმა [და] ჰამაზასფა (sic) სარგის, შვილთა სუმბატისა, ძისა ამაზასპისა მარძპანისა, მივეცით ნახევარი ბთშა (ս[ρշա) [და] მიწები ჩვენი სამფლობელოდან ტაოში წმინდა სანაინს“ [1]. წარწერაში მოხსენიებულია აგრეთვე სანაინის წინამძღვარი ოვანესი. კუთხოვან ფრჩხილებში მოქცეული სიტყვების აღდგენა ეკუთვნის ს. ერემიანს, მაგრამ წარწერის ადრინდელ [2] და ახლანდელ [3] გამომცემლებს ასეთი აღდგენა არა აქვთ და არც ისა აქვთ შენიშნული, რომ წარწერის რომელიმე ადგილი დაზიანებული იყოს და აღდგენას საჭიროებდეს.

ს. ერემიანს წარწერის თარიღის სისწორეში ეჭვი არ ეპარება. მოხსენიებულ პირთაგან, მისი აზრით, გიორგი არის გიორგი რუსი, თამარის მეუღლე (ასევე ფიქრობს ამ წარწერის უკანასკნელი გამომცემელი კ. ღაფადარიანიც), ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი, ივანე მისი ძმა, ჰასანი კი აბულასანია, ხოლო შემდეგ მოხსენებულნი — ამაზასპი და ს რგისი — მამიკონიან ამაზასპიანთა საგვარეულოს წარმომადგენლები. როგორც ჩანს, ერემიანის მიხედვით, ორი სხვადასხვა საგვარეულოს წარმომადგენლებმა ერთად შესწირეს სანაინს მანთშას ნახევარი და მიწები მ თი სამფლობელოდან ტაოში, მაგრამ ეს მკვლევარს რატომღაც არ აკერვებს. მეტიც, ს. ერემიანს სავსებით შეუძლებლად მიაჩნია (და ამის დასაბუთებასაც ცდილობს), რომ წარწერაში მოხსენიებული გიორგი მეფე რუსი უფლისწული იყოს, მიუხედავად იმისა, რომ იგი, მისივე აზრით, 1188 წლიდან უკვე გაძღეებული იყო საქართველოდან. ს. ერემიანის დასკვნით, „სომხეთში, როგოროც ჩანს, 1191 წ. ჩათვლით მეფედ მიიჩნევდნენ მხოლოდ გიორგი რუსს“ [4].

ი. ცინცაძეც შეეხო ამ წარწერას და შენიშნა: „თუ აქ თარიღში რაიმე შეცდომა არაა, უნდა დავუშვათ, რომ ეს წარწერა ასახავს 1191 წლის იმ თვალს, როდესაც აჯანყებულებმა გიორგი რუსი უფლისწული ქუთაისში დროებით მეფედ დასვეს“ [5].

ამ მოსაზრებათა გაზიარება შეუძლებელია: ა) თუმცა ს. ერემიანი თარიღში შეცდომას (თუ მის არასწოროდ ამოკითხვას) არ ვარაუდობს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, როგორც ეს საერთოდ დამახასიათებელია სომხური წარწერებისათვის, უეჭველია შეცდომასთან უნდა გვქონდეს საქმე. წარწერა ნამდვილად ამოკვეთილია ზაქარიას ამირსპასალარობის დროს, მაგრამ აია მაინცდამაინც 1191 წელს. ამ დროს გიორგი რუსი საკმაო ხნის გაძევებული იყო საქართველოდან და შეუძლებელია სომეხ ფეოდალებს სწორედ აჯანყების დროს გიორგი მის წინააღმდეგ თავდადებით მებრძოლ ზაქარია მხარგრძელის გვერდით მოეხსენიებინათ; ბ) მეფის დასახელება ამა თუ იმ წარწერაში, ამ შემთხვევაში ოფიციალურ დოკუმენტში, ნიშნავდა ამ დოკუმენტის დამოწმებას და არარსებული მეფის მიერ დამოწმებულ დოკუმენტს, მონასტრისადმი ბოძებული მიწების შესახებ, არავითარი ოფიციალური ძალა არ შეიძლებოდა ჰქო-

---

[1] ს. ერემიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 408—409

[2] კ. ქოსტანიანცი, მატიანე ქვებზე (სომხ.).

[3] კ. ღაფადარიანი, Sასაპის ვახჯი (სომხ.).

[4] ს. ერემიანი, ისტორი ბოგოლუბსკი (რუს.), გვ. 440.

[5] ი. ცინცაძე, ძიებანი, გვ. 167.

ნოდა ასე რომ მეფეთა მოხსენიება ამა თუ იმ დოკუმენტში არასოდეს ყოფილა დამოკიდებული წარწერის გამკეთებლის კეთილ თუ მტრულ განწყობილებაზე მეფისადმი; გ) გიორგი რუსი ქუთაისში თუმცა მეფედ გამოაცხადეს, მაგრამ იგი მართლაც მხოლოდ გამოაცხადეს და ფაქტიურად რამდენიმე დღე თუ ატარებდა ამ ტიტულს. ამიტომ მისი „მეფობის" შესახებ ცნობა სანაინში ვერც კი ჩაიღწევდა და, ცხადია, წარწერის გაკეთებაც მისი უდღეური მეფობის დროს ვერც მოესწრებოდა.

ს. ერემიანისეული დათარიღება დამყარებულია აგრეთვე ოვანესის წინამძღვრობის დროზე, რომელიც მან 1185— 1206 წწ. განსაზღვრა; მაგრამ ოვანესის გარდაცვალების თარიღი ისე მყარი არ არის, რომ მასზე დაყრდნობით შეიძლებოდეს წარწერის ზედა თარიღად 1206 წ. მივიჩნიოთ. ოვანესი დაესწრო 1205 წ. ლორეს საეკლესიო კრებას, იგი 1207 8 წელზე ადრე არ უნდა იყოს გარდაცვლილი. ასე რომ თითქოს არაფერი გვიშლის ხელს წარწერაში მოხსენიებული გიორგი თამარის ძედ, გიორგი-ლაშად მივიჩნიოთ. მით უფრო, რომ ამ დროს ლაშას საუფლისწულო ქვეყანაში შედიოდა სანაინიც და ის მიწე პიც, რომლებიც ჰასანსა და მის ძმებს მონასტრისათვის შეუწირავთ. ამასთანავე, ლაშა, დავით სოსლანის გარდაცვალების შემდეგ, მეფედაც იყო ნაკურთხი, საუფლისწულო ქვეყნების პატრონად კი მხოლოდ ლაშა ითვლებოდა და გასაგებიცაა, რომ ის თავისი დედის თამარის გარეშე მოიხსენიებს ამ ქვეყნების მეფედ. ამრიგად, წარწერა შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ 1207—1212 წლებს და არა 1191 წელს. როგორც ჩანს, წარწერის თარიღი სწორი არ უნდა იყოს.

ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებით საინტერესოა წარწერაში ჰასანის ანუ, ერემიანის მიხედვით, აბულასანის მოხსენიება. ასეთი წაკითხვა მკვლევარმა ჰასანის წინ *ԱԲԼ* —(აბლ)-ის ჩართვით მიიღო. ამას გარდა, ჰასანის შემდეგ, რათა იგი გამოეყო ჰამაზასპ და სარგისისგან, ასევე თვითნებურად ჩაურთო „და"-ც. ერემიანის აღდგენით მივიღეთ: „მე ქურდმა აბულ ჰასანმა და ჰამაზასპ, სარგის, ძეთა სუმბატისათა"... და სხვ. ასე რომ ქურდ აბულ ჰასანს თითქოს არაფერი აქვს საერთო შემდეგ მოხსენიებულ პირებთან, რომელნიც სუმბატის შვილებად არიან გამოცხადებულნი. ჩანართები, როგორც ვნახეთ, საკმაოდ ნებისმიერია. ეს ს. ერემიანს იმისთვის დასჭირდა, რომ დაედასტურებინა აბულასანის მოხსენიება სომხურ წარწერებში და ამით დაემტკიცებინა ამირა ქურდისა და აბულასანის იგივეობა.

წარწერაში კი ნამდვილად იკითხება: *„ես քուրդս, Հասան, Համազասպ, Սամբատ, որդիք Սմբատա, որդւո Համազասպա մարթպանի, տվաք զմանթշա կեսն ի մէր հայրենեացս, ի մէր հողս Տայքս ի Սանահինս"*. „მე, ქურდმა, ჰასანმა, ამაზასპ, სარგის, ძეთა სუმბატისათა, ძისა ამაზასპისა მარზპანისა, მიეცით (შეგწირეთ) ნახევარი მანთშა ჩვენი სამამულო მიწებიდან ტაოში, სანაინს"[1]. როგორც ვხედავთ, წარწერაში მოხსენიებული არიან ძმები: ქურდი, ჰასანი, ამაზასპი და სარგისი სუმბატის ძენი, რომელთაც, ერთად, ურთიერთთანხმობით, შეუწირავთ საერთო მიწების ნაწილი მონასტრისათვის, და არა სხვადასხვა საგვარეულოს წარმომადგენლები, რომელთაც შეუძლებელია საზიარო ქონება ჰქონოდათ და ერთად შეეწირათ ის მონასტრისათვის. ქურდი, ჰასანი, ამაზასპი

---

[1] კ. კოსტანიანცი, მატიანე ჭვებზე (სომხ.), გვ. 37.
ყ. ღაფადარიანი, სანაინის ვანქი (სომხ.), გვ. 105.

და სარგისი წარწერის მიხედვით სუმბატის ძეხი ყოფილან, სუმბატი კი ამაზასპ ს ძე იყო.

ამრიგად, წარწერიდან საკმაოდ ნათლად ჩანს აქ ძოხსენიებული ქურდისა და ჰასანის მთელი გენეალოგია: ამაზასპი→სუმბატი→ქურდი, ჰასანი, ამაზასპი და სარგისი. ასეთი წარმოშობის ჰასანსა და ქურდს, რ ო გ ო რ ც ვ ხ ე დ ა ვ თ, ა რ ა ფ ე რ ი ა ქ ვ თ ს ა ე რ თ ო ა რ ც ა ბ უ ლ ა ს ა ნ ი ო ბ ი ს ძ ე ს თ ა ნ დ ა ა რ ც ა მ ი რ ქ უ რ დ ვ ა ჰ რ ა მ ი ს ძ ე ს თ ა ნ.

ამრიგად, აბულასანი, გიორგი III ის მეფობის ბოლო წლებიდან მოკიდებული, სწრაფად დაწინაურდა სამეფო კარზე — ქართლისა და თბილისის ამირა 1178 წლიდან, თანდათან იქცა ჯერ ქართლის ერისთავთ-ერისთავად, რუსთავის ამირათ-ამირად და „შვ დთა მთეულეთთა" პატრონად, ხოლო შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესად; ყველაფერი ეს ათი წლის მანძილზე, 1178—1188 წლებში, ხდება. მაგრამ „გიორგი რუსის საქართველოდან განდევნასთან ერთად, დაეცა აბულასანიც — მან დაკარგა ყველა თანამდებობა, აბულასანისა და მის მომხრეთა ცდა — ხელახლა დაებრუნებინათ გიორგი რუსი სამეფო ტახტზე, უშედეგოდ დამთავრდა და აბულასანიც საბოლოოდ გაქრა პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზიდან. ცხადია, აბულასანი იმსხვერპლა არა მისმა უგვარობამ, არამედ თამარის სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა ბანაკში ყოფნამ და გიორგი რუსის მომხრეობამ.

აღსანიშნავია ისიც, რომ მეჭურჭლეთუხუცესის სახელო თამარის სამეფო კარზე ყველაზე უფრო „მოძრავი" აღმოჩნდა — იგი ხელიდან ხელში გადადიოდა უგვაროთა და დიდგვარიანთა შორის: ყუთლუ-არსლანი კახაბერ ვარდანისძემ შეცვალა, ეს უკანასკნელი- აბულასანმა. ყველაფერი ეს 1185 1188 წლების მანძილზე მოხდა, რაც, ცხადია, შემთხვევითი არ არის. ამ ფაქტშიც, ჩვენი აზრით, ასახულია უგვაროთა ბრძოლის გაგრძელება, ყუთლუ-არსლანის დასის დამარცხების შემდეგ, „ხელისუფლებისა და დიდებისათვის".

ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესო იქნებოდა იმის გარკვევა, თუ ვინ შეცვალა აბულასანი მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობაზე. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს საკითხიც სადავოდაა ქცეული.

პ. ინგოროყვას აზრით, აბულასანის შემდეგ 1191 96 წლებში მეჭურჭლეთუხუცესობა, როგორც აბულასანის მემკვიდრეობა, მიუღია ასათ გრიგოლისძეს. აძის მოწმობაა, მისი აზრით, ასათის „დასმა სასთაულით" [1]. ეს მოსაზრება სხვადასხვა სახით განმეორებულია ნაშრომის რამდენიმე ადგილას. ასე მაგ., პ. ინგოროყვა წერს: „1191 წ. ახლო ხანებში... ასათ ჰერეთის ერისთავს მოუმატეს ახალი სამფლობელო ქვეყანა -- რუსთავის თემი და დაადგინეს სამეფო კარის ვაზირად (— „მეჭურჭლეთუხუცესად", ე. ი. ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე)" [2]. ხოლო შემდეგ ეს თანამდებობა მიუღია გრიგოლს — შოთას მამას: „თამარის მეფობის მეორე ნახევარში გრიგოლი, ჩანს, კარის ვაზირადაც ყოფილა დადგენილი, „მეჭურჭლეთუხუცესად" (ე. ი. ფინანსთა მ ნისტრის პოსტი ეჭირა)" [3]. ყველაფერი ეს მეორდება „რუსთველიანას ეპილოგშიც": აბულასან ს „შემდეგ, 1192/3 წელს, თანამდებობანი რუსთაუის მხარის ერისთავთ-ერისთაისა და ვაზირის მეჭურჭლეთუხუცესისა გადაეცა ჰერეთის ბაგრატიონს ასათ II გრიგოლის ძეს. იმ დროიდან, 1192 3 წლიდან მოკიდებული, ეს თანა-

[1] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთველი და ეპილოგი. გვ. 104.
[2] ი ქ ვ ე, გვ 172.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 173

ბრებობანი რკინთავ ერისთავთ-ერისთავისა და ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესს სა ჰქონის ბაგრატიონთა გვარში დამკვიდრდა"[1].

განსაკუთრებით ასეთი მოსაზრების სასარგებლოდ და აქვე დასახელებული თარიღების სისწორეც. პ. ინგოროყვას აზრით, ჰერეთის ეროსთავების ვაზირად დამტკიცებას მოწმობს ასათ გრიგოლის ძის „დასმა სასთაულითა", კერძოდ, თამარის ისტორიკოსის შემდეგი ცნობა: „და ერისთავნი მის ჟამისანი ესენი იყვნეს: ჰერეთის ერისთავად გრიგოლის ძე ასათ, რომელმან მისტაცა მძლავრობით და მორეული საღირს კოლონკელისძესა და მცირე ჟამ ქონებასა შინა იყო არიშიანის ადგილსა დაჯდომად სასთაულითა და ჭელთუდვა შვილსა თჳსსა გრიგოლს ჰერეთის ერისთავობა"[2]. პ. ინგოროყვას მტკიცებით, „დაჯდომა სასთაულითა" ვაზირთა პრეროგატივა" იყო[3] და, მაშასადამე, „სასთაულით დამჯდარის" ვაზირობის მაუწყებელიც. რაკი ასათ გრიგოლისძე „დასვეს სასთაულითა", მას რომელიღაც ვაზირის თანამდებობაც უნდა მიეღო, ამ დროს (ე. ი. 1191 წ. ახლო დროს) კი მხოლოდ მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა იყო თავისუფალი და ასათ გრიგოლისძეც ამ თანამდებობას მიიღებდაო — გვარწმუნებს პ. ინგოროყვა[4].

ნ. შოშიაშვილმა სავსებით მართებულად უჩვენა, რომ „სასთაულითა ჯდომა" არ ყოფილა მარტოოდენ მეფისა და „კაიხრთა პრეროგატივა" და რომ „სასთაულით", დიდმოხელეებს გარდა, ისხდნენ სხვა უფრო დაბალი რანგის ხელისუფალნიც, მათ შორის არა მარტო „დარბაზის რიგისა", არამედ „საქვეყნოდ გამრიგენიც[5]. და რომ ეს ასე იყო, ისტორიკოსის ზემომოტანილი სიტყვებიდანაც კარგად ჩანს — ჰერეთის ერისთავი „დაჯდა სასთაულით" და მან ამით თავის მემკვიდრეს „ხელთ-უდვა" არა მეჭურჭლეთუხუცესობა (რომელზედაც აქ საერთოდ ლაპარაკი არ არის), არამედ ჰერეთის ერისთავობა და სხვა არაფერი.

მაგრამ მაინც როდის მოხდა ასათის „სასთაულთა დაჯდომა"? სწორედ იმ დროს, ოცა თამარმა ახალი მოხელეები დანიშნა, ე. ი. 1185 წ.: „დარბაზის რიგის" ახალ მოხელეთა დანიშვნის შემდეგ იქვე, მომდევნო აბზაცში, ისტორიკოსი ეხება „საქვეყნოდ გამრიგე" ხელისუფალთ და ცალ ცალკე ჩამოთვლის იმ დროის ერისთავებს („ერისთავნი მის ჟამისანი"). მათ შორის, როგორც ვნახეთ, ასახელებს ჰერეთის ერისთავსაც. პ. ინგოროყვა ანგარიშს არ უწევს ყოველივე ამას და ასათის „სასთაულით დაჯდომის" თარიღი თვითნებურად 1191 წ. ახლო დროისათვის გადააქვს[6]. მან კარგად იცის, რომ 1185 წ. მეჭურჭლეთუხუცესად კახაბერ ვარდანისძე დაინიშნა, ხოლო შემდეგ აბულასანი და რაკი XII ს. 90-იან წლებამდე მეჭურჭლეთუხუცესის ადგილი თავისუფალი აღარ იყო, პ. ინგოროყვა იძულებული გახდა ასათ გრიგოლის ძის მეჭურჭლეთუხუცესობაც აბულასანის შემდეგ ეეარაუდნა. ამას გარდა, პ. ინგოროყვა წააწყდა მეორე წინააღმდეგობასაც: სწორედ იმ დროს, როცა მან ასათი და მისი მემკ-

---

[1] პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 633.

[2] ისტორიანი, გვ. 79.

[3] პ. ინგოროყვა, რუსთველიან.ს ეპილოგი, გვ. 611

[4] პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, გვ. 104.

[5] ნ. შოშიაშვილი, სახელმწიფო სამართლის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ 143 – 148.

[6] პ. ინგოროყვას მოსაზრებათა კრიტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. მ. ლორთქიფანიძის დასახელებულ წერილში, გვ. 325—331.

ვიდრე რუსთაველის ეროსთავად გაძოაცხადა, თაძარის ისტორიკოსისაგე მოწმობით, რუსთაველი ზაქარია მხარგრძელს მ სცეს ამახ კი პ. ინგოროყვა აიძულა კიდევ ოდნავ შეეცვალა თარიღები და ყველაფერი ეს 1191 -1196 წლებით განესაზღვრა, ხოლო ზაქარია მხარგრძელი, როგორც ზემოთ ეხახეთ, რუსთაველის დროებით მფლობელად (ერთი წლით?!) გამოეცხადებინა.

ჩვენ არაფერს ვაბობთ ამჯერად ოუსთაველის ეროსთაველის ხელისუფლებისა და მისი „არიში ნთა სამემკვიდრეო“ ადგილად გამოცხადების უსწორობის შესახებ. ეს ნათლად აქვთ ნაჩვენები ნ. შოშიაშვილსაც და მ. ლორთქიფანიძესაც, რომლებმაც საგანგებოდ განიხილეს პ. ინგოროყვას შეხედულებანი ამ მხრივ. ოღონდ საჭიროდ მივიჩნევთ აღვნიშნოთ, რომ რუსთაველი აბულასანს მხოლოდ განსაგებლად, სამოხელეოდ ჰქონდა მიცემული და არა საპატრონოდ; იგი რუსთაველის მოხელე, ამირათ-ამირა იყო, ხოლო რუსთაველი, სამეფო და სამეფო-სამოხელეო ადგილი, ჰერეთის ერისთავებს სამემკვიდრეოდ ვერ გადაეცემოდა. ამიტომ იყო, რომ სამეფო ხელისუფლებამ აბულასანის გამგვებლობის კრახის შემდეგ რუსთაველი „მიუმატა ზაქარია მხარგოძელს“. ასე რომ ჰერეთის ერისთაველები არც მეუფურჩლეთუხუცესობის მფლობელები არიან და არც რუსთაველისა, თუმცა რუსთაველის საპატრონოდ მიღება, როგორც ვნახეთ, მაინც აო გულისხმობდა მეუფურჩლეთუხუცესობის თანამდებობის მიღებას.

ამრიგად, აბულასანის შემდეგ მეუფურჩლეთუხუცესებად ჰერეთის ერისთაველები არ ყოფილან. ამიტომაა, რომ არც ასათ გრიგოლის ძე, არც გრიგოლ ასათის ძე და შოთა გრიგოლის ძე (კუპრი), თუმცა მათ ხშირად ასახელებენ ისტორიკოსები, არც ერთხელ მეუფურჩლეთუხუცესობის პატივით მოხსენიებული აო არიან. ჰერეთის ერისთავთა მეუფურჩლეთუხუცესობის შესახებ არავითარი ცნობები არ დაუცავთ აგრეთვე დოკუმენტურსა და ეპიგრაფიკულ წყაროებსაც. ასე რომ პ. ინგოროყვას „სავაზიროს პერსონალური შემადგენლობის“ ნუსხიდან ამოღებულ უნდა იქნენ „V ხანაში“ (1191—1225) მეუფურჩლეთუხუცესებად მიჩნეულნი — ასათ II გრიგოლისძე და გრიგოლ III ასათისძე, რომელნიც, პ. ინგოროყვას აზრით, ამ თანამდებობაზე იყვნენ 1192/3—1204 წლამდე [1]. პ. ინგოროყვას დასახელებული ნუსხიდან მის მიერ მეუფურჩლეთუხუცესად მიჩნეულ სხვა პირთა ამოღებაც დაგვჭირდება, მაგრამ ჯერ ამ საკითხზე სხვა მკვლევართა მოსაზრებებსაც შევეხოთ.

ლ. მუსხელიშვილის აზრით, აბულასანის შემდეგ, რომელიც 1191 წ. გადააყენეს, მეუფურჩლეთუხუცესად უნდა ყოფილიყო ოვსიყმა, რომელიც გუხიაყალის წაოწერაშია მოხსენიებული [2]. ს. კაკაბაძეს კი აბულასანის მეუფურჩლეთუხუცესობა 1198—1205 წლებამდე გადააქვს, ხოლო მის შემდეგ იგი შალვა თორელს გულისხმობს ამ თანამდებობაზე [3]. აღსანიშნავია, რომ ს. კაკაბაძე (1927 წელს) აბულასანზე ადრე ვარაუდობდა შოთას მეუფურჩლეთუხუცესობას, ალბათ კახაბერ ვარდანისძის შემდეგ, — 1195/6 წლიდან [4], ხოლო უკანასკნელ გამოკვლევაში შოთას მეუფურჩლეთუხუცესობა 1212- 1224 წლებით განსაზღვრა და იგი ამ თანამდებობაზე შალვა თორელის შემცვლელად მიიჩნია [5].

ნ. შოშიაშვილის აზრით კი, აბულასანის შემცვლელი მეუფურჩლეთუხუცესის თანამდებობ ზე 1191 წლიდან 1205 წლამდე შალვა თორელი იყო, 1205

[1] პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 580. პ. ინგოროყვას ამ ნუსხის კრიტიკა იხ. აგრეთვე ნ. შოშიაშვილის დასახელებულ ნაშრომში, გვ. 143 —148.

[2] ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები, გვ. 66 და იქვე, შენ.

[3] ს. კაკაბაძე, შოთა რუსთაველი, გვ. 124

[4] ს. კაკაბაძე, „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობა, გვ. CVI.

[5] ს. კაკაბაძე. შოთა რუსთაველი, გვ. 131.

წლიდან 1220 წლ ძდე — შოთა რუსთაველი, ხოლო 1220 წლიდან — ყვარყვარე ჯაყელი[1].

როგორც კისდაყთ, ჩვენთვის საისტორისო საკითხზე მკვლევართა შორის არავითარი თანხმობა არ არსებობს არც მეუთრულეთუხუცესთა თანმიმდევრობაში და არც მათი ამ თანამდებობაზე ყოფნის ქრონოლოგიაშიც. ეს, რა თქმა უნდა, წყაროების სიმწირით აიხსნება. მაგრამ მას შემდეგ, რაც მეტ-ნაკლები სისრულით არის შესწავლილი გუნია-ყალისა და განძანის წარწერები, რომლებზეც ძირითადად დამყარებულია მკვლევართა ზემომოტანილი მოსაზრებანი, ჩვენი აზრით, სინათლის შეტანა თამარის დროის მეუთრულეთუხუცესთა ვინაობის ბნელით მოცულ საკითხში ერთგვარად მაინც შესაძლებელია.

გუნია ყალის წარწერის ანალიზის შემდეგ, ცხადია, უნდა გამოირიცხოს ოსიყმას მეუთრულეთუხუცესობაც, რომელიც ლ. მუსხელიშვილს „უცნობ მეუთრულეთუხუცესად" მიაჩნია, ხოლო პ. ინგოროყვას — ამ თანამდებობაზე შალვა თორელის შემცვლელად. ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ ოსიყმა ლაშა გიორგის საუფლისწულო ქვეყნის „საქვეყნოდ გამრიგე" მოხელეა და არა მეუთრულეთუხუცესი.

ს. კაკაბაძის ზემომოტანილი მოსაზრებები ვერ თავსდება იმ წყაროთა მონაცემებში, რაც ჩვენ აბულასანის შესახებ მოგვეპოვება. სავსებით ნებისმიერია ს. კაკაბაძის მიერ აბულასანის მეუთრულეთუხუცესობის განსაზღვრა 1198—1205 წლებით. რაც შეეხება შალვა თორელის მეუთრულეთუხუცესობას, რომელიც მხოლოდ განძანის წარწერაზეა დამყარებული, ესეც უნდა გამოირიცხოს მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ განძანის წარწერებში მეუთრულეთუხუცესად და მანდატურთუხუცესად მოხსენიებული შალვა არის არა თორელი, არამედ ჯაყელი, XIV ს. პირველი ნახევრის მოღვაწე.

ამრიგად, მკვლევართა მიერ მეუთრულეთუხუცესის პოსტზე აბულასანის შემცვლელად მიჩნეულ პირთა — ოსიყმა, შალვა თორელი — მეუთრულეთუხუცესობა წყაროების მონაცემებით არ დასტურდება. ასე რომ პ.ინგოროყვას „V ხანის" „სავაზიროს პერსონალური შემადგენლობის" ნუსხიდან უნდა ამოვრიცხოთ არა მარტო ასათისძე და გრიგოლ ასათისძე, არამედ ოსიყმაც და შალვა თორელიც, ე. ი. ყველა, ვინც კი ამ თანამდებობის მქონედ არიან მიჩნეულნი აბულასანის შემდეგ, ვიდრე ყვარყვარე ჯაყელამდე[2]. ასევე, ნ. შოშიაშვილის მიერ წარმოდგენილი სიიდანაც ამოსაღებია შალვა თორელი, რომელსაც მეუთრულეთუხუცესის თანამდებობა, მისი აზრით, 1191—1205 წლებში ეკირა[3].

ჩვენს ამოცანას ამჯერად არ შეადგენს საგანგებოდ განვიხილოთ შოთას მეუთრულეთუხუცესობის საკითხი, მაგრამ მკვლევართა ერთი ნაწილი, როგორც ვნახეთ, შოთას მეუთრულეთუხუცესობას თამარის მეფობის ხანაში ვარაუდობს და ამდენად საჭიროდ მიგვაჩნია გაკვრით მაინც შევჩერდეთ მასზე. ს. კაკაბაძე უკანასკნელ გამოკვლევაში შოთას მეუთრულეთუხუცესობას 1212 1224 წლებით განსაზღვრავდა და ამ თანამდებობაზე იგი შემცვლელად მიაჩნდა შალვა თორელისა, რომელიც ამ დროს, მისი აზრით, მანდატურთუხუცესად იქნა დაწინაურებული[4]. ნ. შოშიაშვილის მიხედვითაც, შოთა თორელმა შეცვალა შალვა თორელ-ახალციხელი მეუთრულეთუხუცესის თანამდებობაზე,

---

[1] ნ. შოშიაშვილი, სახელმწიფო სამართლის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 148

[2] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 580.

[3] ნ. შოშიაშვილი, დასახ. წერილი, გვ. 148.

[4] ს. კაკაბაძე, შოთა რუსთაველი, გვ. 371.

მაგრამ არა 1212 წელს, არამედ 1205 წლიდან, იმ დროიდან, როცა შალვა თორელ მანდატურთუხუცესი გახდა. შოთას, მისივე აზრით, ეს თანამდებობა 1220 წლამდე უნდა ჰქონოდა[1], მაგრამ მას შემდეგ, რაც გარკვეულია, რომ შალვა თორელს არც მეჭურჭლეთუხუცესობა ჰქონია და არც მანდატურთუხუცესობა, თავისთავად გამორიცხულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც მეჭურჭლეთუხუცეს ს თანამდებობაზე შოთა შალვას შემდეგ იქნა დანიშნული. ასევე გადასასინჯი, არსებითად შესაცვლელი ხდება შოთას მეჭურჭლეთუხუცესობის ის ქრონოლოგიაც, რომელიც ამ შემთხვევაში ზემოდასახელებულ მკვლევრებს აქვთ შემოთავაზებული. დამახასიათებელია, რომ ს. კაკაბაძეს და ნ. ბოშიაშვილსაც შოთას მეჭურჭლეთუხუცესობა XIII ს. დამდეგისათვის გადააქვთ. კიდევ უფრო საინტერესოა ამ მხრივ პ. ინგოროყვას მოსაზრება, რომლის მიხედვითაც შოთას მეჭურჭლეთუხუცესობა შეიძლება მხოლოდ 1245 წლიდან ვიეარაუდოთ[2]. როგორც ჩანს, პ. ინგოროყვამ შეუძლებლად მიიჩნია შოთას მეჭურჭლეთუხუცესობა თამარის მეფობის პერიოდში ევარაუდა. მართლაც, როგორც ირკვევა, ჯვრის მონასტრის აღაპების „შოთა მეჭურჭლეთუხუცესი" არ უნდა იყოს თამარის მეფობის დროინდელი (1184 1213) მეჭურჭლეთუხუცესი".

ამრიგად, აბულასანი მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობაზე არ შეუცვლია არც ოსიყმას, არც შალვა თორელს და არც შოთას. თამარის ისტორიკოსების თხზულებებში არაფერია ნათქვამი არც აბულასანის გადაყენებისა და არც ამ თანამდებობაზე ახლად დანიშნული პირის შესახებ. არც დოკუმენტურ, ეპიგრაფიკულ თუ სხვა სახის წყაროებს დაუცავთ პირდაპირი მითითება აბულასანის შემდეგდროინდელ მეჭურჭლეთუხუცესზე. ერთადერთი უეჭველი ცნობა ამ მხრივ ეკუთვნის ქამთაალმწერელს, რომელიც XIII ს. ოციანი წლების ამბებთან დაკავშირებით იხსენიებს ყუარყუარე (ივანე) ჯაყელს მეჭურჭლეთუხუცესის პატივით. მონღოლთა პირველ რაზმებთან შეტაკებისას, ქამთაალმწერლის სიტყვით, „ურიცხუ სული ქრისტიანე მოკუდა, სადა იგი დიდიცა ივანე ათაბაგი ძალით ცოცხალი განერა, და სამცხისა სპასალარის და მეჭურჭლეთუხუცესის ყუარყუარას შვილი ბექაი მოიკლა, ძლიერად ბრძოლილი"[3]. მონღოლთა პირველი გამოჩენა და მათთან შე-

---

[1] ნ. ბოშიაშვილი, დასახ. წერილი, გვ. 148.

[2] პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, გვ. 106; რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 664; აღსანიშნავია, რომ, პ. ინგოროყვას მიხედვით, შოთამ მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა, ღრმად მოხუცებულმა მიიღო. შოთა, მისი მტკიცებით, 1166 წ. დაიბადა, მეჭურჭლეთუხუცესად კი 1245 წლიდან, ე. ი. 79 წლისა დაინიშნა; მაგრამ ასე ღრმად მოხუცებული პირის დანიშვნა ახალ თანამდებობაზე, იმ დროს არსებული სახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით, შეეძლებელი იყო. პირიქით, მოხუცნი, მეუხეადად მათი დიდი დამსახურებისა, თანამდებობებიდან თავისუფლდებოდნენ და მათ ადგილებს, შესაძლებელ შემთხვევაში, მათივე მემკვიდრენი იჭერდნენ. საამისოდ გარკვეული მითითება მოეპოვება თამარის პირველ ისტორიკოსს: „კუალად უბოძა... მსახურთუხუცესობაჲ დადიანსა ვარდანს, ჩუხჩარხობაჲ მარუშიანსა, ძესა ჩუხჩარხისასა, ვინაჲცა მათ ორთაე მამაჲ მომყოვრებულ ქმნილ იყუნეს, და დასდვა მათ მამისა პატივი მათისაჲ და დასხნა სათაუღითა" (ისტორიანი, გვ. 79). როგორც ეხედავთ, „მამ ნი მომყოვრებულ ქმნილნი" შეუცვლიათ და მათი პატივი შვილებისათვის უბოძებიათ. ასეთი წესის არსებობის პირობებში წარმოუდგენელია 80 წელს მიღწეული შოთა რუსთაველი მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობაზე დაენიშნათ.

[3] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 165. „ქართლის ცხოვრების" უკანასკნელ გამოცემაში მოტანილი ტექსტი არასწორად იკითხება: „სადა იგი დიდიცა ივანე ათაბაგი, ს მცხის სპასალარი, ძალით ცოცხალი განერა და მეჭურჭლეთუხუცესის ყუარყუარას შვილი ბექაი მოიკ

ტაკება, ი. ჯაჯანიშვილის მიხედვით, 1220 წელს მოხდა[1], როგორც ჩანს, ამ დროს სამეფოს მეჭურჭლეთუხუცესი ყოფილა სამცხის სპასალარი ყვარყვარე.

ნ. შოშიაშვილის მიხედვით, „ყვარყვ რე ჯ-ყელი მეჭურჭლეთუხუცესი ხდება, არა უგვიანეს, 1220-21 წლისა. ამ ხელს ფლობს 1245 წლამდე"[2]. ს. კაკაბაძის აზრით კი – 1224 წლიდან, ე. ი. შოთას გარდაცვალების შემდეგ[3] ნ. შოშიაშვილსაც ყვარყვარე მიაჩნია მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობაზე შოთას შემცვლელად. სხვა აზრისაა პ. ინგოროყვა – ყვარყვარემ შეცვალა ოვსიყმა, რომელიც მეჭურჭლეთუხუცესად 1212 წლამდე იყო, ასე რომ ყვარყვარე ჯაყელი. პ. ინგოროყვას მიხედვით, მეჭურჭლეთუხუცესად 1212 1245 წწ. შორის ყოფილა[4].

რა თქმა უნდა, ყვარყვარე ჯაყელის მოხსენიება 1220 წელს „სამცხის სპასალარად და მეჭურჭლეთუხუცესად" არ შეიძლება იმის საბუთად მივიჩნიოთ, რომ ის სწორედ ამ დროს დაინიშნა ამ თანამდებობაზე, რომ მაინცდამაინც მაშინ მიიღო მეჭურჭლეთუხუცესობაც და სამცხის სპასალარობაც. ეს რომ ასე არ არის, ამაში ბასილის ცნობაც გვარწმუნებს, სადაც ყვარყვარე, შანქორის ბრძოლის შემდეგ, ე. ი. XII ს. 90-იანი წლების მიწურულს, სამცხის სპასალარადაა მოხსენიებული. ამასთან ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ამა თუ იმ, ორი თუ მეტი თანამდებობის მქონე მოხელის ერთი თანამდებობით მოხსენიება ჩვეულებრივი იყო. ყველაფერი ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ყვარყვარე ჯაყელი მეჭურჭლეთუხუცესად, ისე როგორც სამცხის სპასალარადაც, გაცილებით ადრე იყო, ვიდრე ჟამთააღმწერელი მას XII ს. 20-იან წლებში ამ თანამდებობით მოიხსენიებდა.

კიდევ უფრო მიუღებელია ს. კაკაბაძის ვარაუდი ყვარყვარე ჯაყელის 1224 წლიდან მეჭურჭლეთუხუცესობის შესახებ. ს. კაკაბაძემ 1220 წელს ყვარყვარეს მეჭურჭლეთუხუცესად მოხსენიება ჟამთააღმწერლის ტექსტის დამახინჯებად გამოაცხადა, ხოლო თამარის მეორე ისტორიკოსის (ს. კაკაბაძის აზრით, შოთა რუსთაველის) მიერ ყვარყვარეს მხოლოდ სამცხის სპასალარად მოხსენიება იმის საბუთად, რომ მას იმ დროს სხვა თანამდებობა არ უნდა ჰქონოდა და მეჭურჭლეთუხუცესობაც შოთას გარდაცვალების შემდეგ უნდა მიეღო.

ამის დასასაბუთებლად ს. კაკაბაძემ ჟამთააღმწერლის ტექსტი თვითნებურად შეასწორა—„მეჭურჭლეთუხუცესი" ტექსტიდან ამოაგდო და ყვარყვარეს მხოლოდ სამცხის სპასალარის ტიტული დაუტოვა[5]. ჟამთააღმწერლის ჩვენთვის საინტერესო ცნობის ასე უსაბუთოდ გადამწერთა დამახინჯებად გამოცხადება, მასში შესწორების შეტანა და ამით XIII ს. 20 იანი წლებისათვის ყვარყვარეს მეჭურჭლეთუხუცესობის უარყოფა, ცხადია, სარწმუნო ვერ იქნება. მით უფრო, რომ ს. კაკაბაძეს არაფერით აოა აქვს დასაბუთებული შოთას მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობაზე ყოფნა მაინცდამაინც 1224 წლამდე. ზემოდასახელებულ მკვლევართაგან სინამდვილესთან უფრო ახლოა პ. ინგოროყვას თვალ-

---

ლა". გამოდის, რომ ივ ნე ათაბაგი მხარგრძელი სამცხის სპასალარიც იყო. ნამდვილად კი სამცხის სპასალარი ამ დროს და გაცილებით ადრე ე ყვარყვ რე ჯაყელია. ცხადია, „სამცხის სპასალარა" „ცოცხლად გაწერას" შემდეგ უნდა იყოს და წინ უძღოდეს „მეჭურჭლეთუხუცესს", როგორც ეს ჩვენ მიერ ზემოთ არის მოცემული.

[1] ი. ჯავახიშვილი, ქვე., გვ. 7.

[2] ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

[3] ს. კაკაბაძე, შოთა რუსთაველი, გვ. 131.

[4] პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 580.

[5] ს. კაკაბაძე, შოთა რუსთველი, გვ. 125—126.

საზრისი, რომელიც ყვარყვარეს მეჭურჭლეთუხუცესობას 1212 წლიდან მაინც ვარაუდობს, ძაგამ თუ გვ ჯვალ სწორებთ იმას, რომ პ. ინგოროყვას მიერ ყვარყვარეს წინამორბედებად მოხსენიებული შალვა თორელ ახალციხელი და ოსიყმა მეჭურჭლეთუხუცესები არ ყოფილან, ხოლო სხვა მეჭურჭლეთუხუცესები წყაროებით არ ჩანან, ყვარყვარე მეჭურჭლეთუხუცესად გაცილებით უფრო ადრე უნდა გვეპარაკნა და არა 1212 წლიდან.

ამრიგად, ჩვენი აზრით, აბულასანის ძემდეგ მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა ყვარყვარე ჯაყელს უნდა ჰქონოდა, ამაში ჩვენ გვაორწმუნებს თამარის პირველი ისტორიკოსის ზოგი აფაპირდაპირი მითითებაც.

თამარის ისტორიკოსის ცნობით, აჯახყებულ გიორგი რუსს მთელი სამხოეთ საქართველო მიემხრო – გუზანსა და ბოცო სამცხის სპასალართან ერთად აჯანყებულთა მხარეზე იყვნენ სხვა „მესხნი დიდებულნი აზნაურითურთ", „თჳნიერ ივანესა ციხის-ჯუარულისა, რომელსაც ყუარყუარეცა ეწოდების, ესე გამაგრდა თჳსით მოკიდულითურთ, ეითარ გუარეულადაცა მომგონებელი სულაასა ერთგულებისაჲ, რომელმან ბაღუაშსა ზედა უერთგულა ბაგრატს" [1]. როგორც ვხედავთ, ერთადერთი გამოსაკლისი მესხი დიდებულთა შორის ყვარყვარე ყოფილა, ოომელიც აჯანყებულებს არ მიემხრო, „თავის მოკიდულითურთ" გამაგრდა და აჯანყებულთა წინააღმდეგ საბრძოლველადაც კი მოემზადა. ყვარყვარეს ასეთი თაედადებული ერთგულების მიზეზი, ცხადია, მარტოოდენ მის წიხაპართა, კერძოდ სულა კალმახელის მიერ ბაგრატ IV-ისათვის დიდი სამსახურის გაწევა არ შეიძლებოდა ყოფილიყო. მთავარი, ალბათ, ის იყო, რომ გიორგი რუსისა და მის მომხრეთა მარცხმა, კერძოდ გიორგის განდევნამ და აბულასანის კარიერის კრახმა ყვარყვარე ჯაყელს სამეფო კარზე მეჭურჭლეთუხუცესობა მოუპოვა, აჯანყებულთა გამარჯვება კი ამის დაკარგვას მოასწავებდა და არცაა გასაკვირი, თუ ახლად შეწყალებული ყვარყვარე ჯაყელი ასე თავდადებით იბრძოლებდა აჯანყებულთა წინააღმდეგ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აბულასანი გიორგი რუსის განდევნასთან ერთად უნდა იყოს დამცრობილი და ამაღე დროსვე, აჯანყებამდე უნდა ჰქონდეს მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა მიღებული ყვარყვარე ჯაყელს. ამიტომაცაა, რომ იგი არ მოიხსენიება აჯანყების დამარცხების შემდეგ ახლად დალოცვილთა და შეწყალებულთა შორის. მაგრამ გიოორგი რუსისა და მის მომხრეთა აჯანყების დამარცხებას ყვარყვარე ჯაყელის სამოხელეო კარიერაში ცვლილება მაინც უნდა მოეხდინა – ამ დროიდან უნდა ჰქონდეს მას მიღებული, მეჭურჭლეთუხუცესობასთან ერთად, სამცხის სპასალარობაც, აჯანყების ერთ ერთი აქტიური მონაწილის ბოცო ჯაყელის თანამდებობა. აღსანიშნაია, რომ XII ს. 90-იანი წლების საქართველოს მონაპირეთა შორის, თამარის მეორე ისტორიკოსს, ბასილს მოხსენიებული ჰყავს „უუარუუარა, სამცხისა სპასალარი, ჯაყელი, კაცი დიდად გამარჯვებული და ერთგული მეფეთა" [2]. ისტორიკოსს, როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც საგანგებოდ აქვს აღნიშნული, რომ ის იყო „ერთგული მეფეთა". სწორედ ამან მოუპოვა, როგორც ჩანს, ყვარყვარე ჯაყელს „დიდი გამარჯვებები", მეჭურჭლეთუხუცესობაც და სამცხის სპასალარობაც. ყვარყვარე, ჩვენი აზრით,

---

[1] ისტორიანი, გვ. 90—91.

[2] ბასილი, გვ. 23.

პირველია ჯაყელთა შორის, რომელსაც მეპურჭლეთუხუცესობა ებოძა. ამ თანამდებობაზე იგი დიდხანს დარჩა, ქამთააღმწერელი რამდენჯერმე იხსენიებს მას მეპურჭლეთუხუცესის თანამდებობით[1], ზოგჯერ მხოლოდ ერთი თანამდებობით — სამცხის სპასალარობით[2], ზოგჯერ კი მარტოოდენ სახელით[3]. ყვარყვარე ჯაყელი XIII ს. 50 იან წლებამდე აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და, რა თქმა უნდა, „მეფეთა ერთგულ" პიროვნებას მთელი სიცოცხლის მანძილზე ორიენ თანამდებობაც შენარჩუნებული ჰქონდა[4].

ამრიგად, თამარის მეფობის დროს მეპურჭლეთუხუცესები იყვნენ: ყუთლუარსლანი, კახაბერ ვარდანისძე, აბულასანი და ყვარყვარე (იგანე) ჯაყელი.

აბულასანის შემდეგ თამარ მეფის არჩევანი, როგორც ჩანს, შეჩერებულა ისეთ პირზე, რომელიც „გვარეულადაცა მომგონებელი" იყო ერთიანი საქართველოს მეფეთადმი ერთგულებისა. ასე რომ მეპურჭლეთუხუცესის თანამდებობაზეც თამარმა ამიერიდან მანც თავისი ერთგული პირი დანიშნა, რომელიც წლების მანძილზე აქტიურად იბრძოდა მეფის ხელისუფლების გაძლიერებისათვის. ამ თანამდებობაზე ყვარყვარეს დანიშვნის შემდეგ მეპურჭლეთუხუცესის სახელოს მფლობელობა სტაბილური გახდა - ცვლილებები ამ მხრივ, როგორც ვნახეთ, ხანგრძლივი დროის მანძილზე არ მომხდარა.

4. მსახურთუხუცესი, ჩუხჩარხი, ამირახორი

მსახურთუხუცესი თამარის მეფობის პირველ წელს, ახალ მოხელეთა დანიშვნის დროს, მეპურჭლეთუხუცესის შემდეგ მოიხსენიება. ასე რომ იმ დროისათვის მსახურთუხუცესი „დარბაზის რიგის" მოხელეთა შორის რიგით მეხუთე ხელისუფლად ყოფილა მიჩნეული[5]. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ასე არ უნდა ყოფილიყო თამაროს მეფობის წინა ხანაში, გიორგი III ის გარდაცვალების დროს მსახურთუხუცესი დარბაზის მოხელეთა შორის ერთ ერთი უკანასკნელთაგანი უნდა ყოფილიყო. ალბათ ამიტომ იხსენიებდა თამარის ისტორიკოსი მას ჩუხჩარხისა და მეჯინიბეთუხუცესის შემდეგ[6] და ამირახორის წინ. მსახურთუხუცესის სახელო თანდათან გაძლიერდა სამეფო კარზე და რუსუდანის დროს სავაზიროშიც კი შეეიდა. მსახურთუხუცესის აღზევება, როგორც ჩანს, თამარის მეფობის პირველი წლებიდანვე დაწყებულა. ცხადია, თამარის საშინაო პოლიტიკისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმასაც, თუ ვინ დაიკერდა ამ თანამდებობას უკვე გადაყენებული აფრიდონის შემდეგ.

თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით, თამარისაგან ებოძა „მსახურთუხუცესობაჲ დადიანსა ვარდანს"[7]. დადიანთა საგვარეულო ერთ-ერთი უძველესი და ძლიერი იყო. მათი დაწინაურება, როგორც ჩანს, საქართველოს გაერ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ 191—195.

[2] იქვე, გვ. 214.

[3] იქვე, გვ. 213, 215, 217, 219.

[4] ს. კაკაბაძეს XIII ს. 50- ანი წლების ყვარყვარე თამარის დროის მეპურჭლეთუხუცესის შეილშეილად, ბექას ძედ მიაჩნია. ეს ვრცელი ს. კაკაბაძემ მისი და პ. ინგოროყვას მიერ ჯეშმარიტებად მიჩნეულ ერთ სამწუხარო გაუგებრობაზე მამაკაცის სრულ ასაკოვნებად 23 წლის მიჩნევაზე დაამყარა (იხ. შოთა რუსთაველი, გვ. 124—125). ამ გაუგებრობის შესახებ ჩვენ ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდებით.

[5] ისტორიანი, გვ. 79.

[6] იქვე, გვ. 72.

[7] იქვე, გვ. 79.

თიანების, კერძოდ ბაგრატ IV-ის დროიდან უნდა იყოს დ წყებული. სწორედ XI ს. შუა წლებში იხსენიება ბაგრატ IV-ის მიერ ანისში დატოვებულ დიდებულთა შორის ივანე დადიანი [1].

ბაგრატის თანამედროვე ივანე დადიანს ეკუთვნის აგრეთვე ნიკორწმინდაში დაცული XI ს. ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერი: „მეოხ ეყავ წინაშე ღმრთისა მეუფისა ერისთავთ ერისთავსა ივანე დადიანსა... და დაიცავ მშვიდობით“ [2].

აღსანიშნავია, რომ ნ. ბერძენიშვილს ამ ძლიერი გვარის განაყოფად მიაჩნია სვანთა ერისთავების, ვარდანისძეების ასევე ძლიერი საგვარეულო[3], თუმცა საფიქრებელი კი პირიქით იყო. ვარდანისძეთა საგვარეულო დღესდღეობით, ჩვენს ხელთ არსებული წყაროების მიხედვით, თითქოს უფრო ძველი ჩანს, ვიდრე დადიანებისა, მაგრამ ამ მხრივ რაიმეს დაბეჯითებით თქმა ძნელია.

ნ. ბერძენიშვილს „დადიანი“ საგვარეულო სახელწოდებად მიაჩნია და არა თანამდებობად და მას სვანეთში დამოწმებულ საკუთარ სახელს „დადის“ უკავშირებს [4].

დადიანთა საგვარეულოს ისტორიის შესახებ ჩვენ მასალები გვაქვია და მათ შესახებ თითქმის არაფერი ვიცით, ვიდრე გიორგი III-ის დრომდე. დადიანების მფლობელობა სომხითში, როგორც აღნიშნული იყო, გიორგი III ის ბოლო წელსა თუ თამარის მეფობის პირველი წლებიდან იწყება. რა თქმა უნდა, გაუგებრობაზე იყო აღმოცენებული ვახუშტის, ნიკო დადიანისა და მ. ბროსეს ცნობები და მოსაზრებები დადიანების „ქარის მხარესა ზედა დადიანობისა“ და შემდეგ კი გიორგი III-ის დროს ანისში შანშე დადიანის მოღვაწეობისა თუ მისი აჯანყების შესახებ გიორგი III-ის წინააღმდეგ [5]. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ დადიანები ანისის გამგებლად გიორგი III-ის დროს არ უოფილან. ანისისათვის ბრძოლისა და შემოერთების პერიოდში ანისის დროებით თუ მუდმივად მფლობელნი და მათი თანაშემწეებიც, თამარის ისტორიკოსთა ცნობებით თუ სხვა წყაროებით, თითქმის ყველანი ცნობილნი არიან, მათ შორის კი დადიანები არ მოიხსენიებიან.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ კაენი ვარდან დადიანს შეეძლო მიეღო ორ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 300.

[2] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგ. მოგზაურობა რაჭაში, 1963, გვ. 95.

[3] ნ. ბერძენიშვილი, სის, I, გვ. 340.

[4] იქვე, გვ. 340 341. „დადიანს“ გვარსახელად თვლის პ. ინგოროყვაც, მაგრამ ეს გვარსახელი მას „დადის ციხიდან“ ნაწარმოებად მიაჩნია. ასევე ფიქრობდა თავის დროზე მ. ბროსეც (იხ. მ. ბროსე, საქართველოს ისტორია (ფრანგ.), გვ. 395, შენ. 4), რომელსაც „დადის ციხე“ ერისწყალზე საბერიოს ზეგით ეგულებოდა. მაგრამ ამ ადგილების საგანგებო ისტორიული გეოგრაფიული მიმოხილვით არ დასტურდება არც ტოპონიმი „დადის ციხე“ და არც რაიმე გადმოცემა აქ „დადის ციხის“ არსებობის შესახებ (იხ. თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფია დან, სიგ. III, 1967, გვ. 151).

[5] იხ. ვახუშტი, სი, გვ. 14. 190; ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოცემა, 1962, გვ. 63; მ. ბროსე, საქართველოს ისტორია (ფრანგ.), გვ. 385,4; დასახელებული ავტორები ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, დამყარებული იყვნენ „ქართლის ცხოვრების“ ზოგ ხელნაწერსა და XVIII ს. ნუსხებზე, სადაც გადაბეჭდილია და შემდეგ რედაქტორთა წყალობით „შედადინი“, „შადადიანი“ გად წერილია და გაგებულია, როგორც შანშე დადიანი (იხ. ქართლის ცხოვრების მარიამისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 368; შდრ. აგრეთვე, ქართლის ცხოვრება, გვ. 6). შეიძლება თ მ რის ისტორიკოსის ტექსტის ამგვარ გაგებას ხელს უწყობდა აგრეთვე, „ქართლის მატიანის“ ცნობა ბაგრატ IV-ის მიერ ივანე დადიანის ერთხანს ანისში დატოვების შესახებ (ეფრო ერცლად ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. თ. ბერაძის დას ხელეწული წერილი, გვ. 153).

ბელთა აჯანყებისა და მისი მონაწილის -- კაენის იმდროინდელი მფლობელის დამცრობის შემდეგ: ამის შემდეგაც ერთხანს, კაენი და მისი ოლქი, როგორც აღვნიშნეთ, სამეფო დომენი იყო. ასე რომ კაენი ვარდან დადიანს ან გიორგი III-ის მეფობის ბოლო წელს, უფრო კი თამარის მეფობის პირველ წელს, მსახურთუხუცესად დანიშვნის შემდეგ უნდა მიეღო. ასევე გაგი და კაიწონიც დადიანებს თამარის მეფობის პირველ წლებში მიუღიათ.

გაგის შემოსაერთებლად საქართველოს სამეფო, ბაგრატ IV ის დროიდან, როგორც ლ. მუსხელიშვილს აქვს გამოკვლეული, ხანგრძლივ ბრძოლას აწარმოებდა. მართალია, დავით აღმაშენებელმა 1123 წ. იგი საქართველოს შემოუერთა, მაგრამ მისი საბოლოო შემომტკიცება მაინც თამარის დროიდან მომხდარა. კირაკოს განძაკეცის ცნობით, ზაქარია და სარგის მხარგრძელებს შემოუმტკიცებიათ საქართველოსათვის გაგის ციხე ერგვეანქთან, ტაეუშთან, კაწარეთთან. ტერ ,ნაკანთან და სხვებთან ერთად[1]. ეს კი, როგორც დ. მუსხელიშვილი ვარაუდობს, თამარის მეფობის პირველ წლებში უნდა მომხდარიყო[2]. მართლაც, გაგის მფლობელად ივანე ვარდანისძე, ხოლო კაიწონისა მაყა XII ს. 90-იანი წლებიდან ჩანან[3] და ეს სამფლობელოებიც მათ მხოლოდ ამაზე ცოტა ადრე შეიძლოთ მიეღოთ. ასე რომ ვერც არიშიანები დავით აღმაშენებლის დროიდან და ვერც „დედის ხაზით“ მათი „მემკვიდრეები“ — ვარდანისძეები, XII ს. 60-იანი წლებიდან ვერ მიიღებდნენ გაგს, როგორც ამას პ. ინგოროყვა ვარაუდობს. მის შემომტკიცებას და იქ ქართველ დიდებულთა მფლობელობის დამყარებას თამარის მეფობის დასაწყისამდე ვერ ვიეარაუდებთ. ასე რომ პ. ინგოროყვას მოსაზრება XII ს. 50 იანი წლებიდან გაგის მფლობელ ვარდანისძეთა (გაგელ ვარდანისძეთა) შტოს ჩამოყალიბების შესახებ უსაფუძვლო ჩანს[4].

ამრიგად, დადიანთა მფლობელობა სომხითში, როგორც ირკვევა, XII ს. 80 იანი წლებიდან იწყება. ამ დროს მიიღო ვარდან დადიანმა კაენი, 90 ანი წლების დამდეგისათვის ივანე ვარდანისძემ გაგი, მაყამ კი - კაიწონი და მხოლოდ ამ დროიდან შეიძლება ვილაპარაკოთ დადიანთა მფლობელობის შესახებ სომხითში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დადიანთა საგვარეულოს წარმომადგენლები და კერძოდ ვარდან დადიანის წინაპრები სამეფო კარზე ადრევე არ იყვნენ მიღებულნი და საპატიოდ შერაცხილნი. მაგრამ, სამწუხაროდ, იმ დროის დადიანთა შესახებ წყაროები არავითარ მასალას არ იძლევა სამეფო კარზე მათი მოხელეობის შესახებ. ასე რომ პ. ინგოროყვას სქემის მიხედვით დადიანთათვის მიკუთვნებული თანამდებობანი (მაგ., კონსტანტინე დადიანის მსახურთუხუცესობა 1140 1180 წლებში) არც ერთი წყაროთი არ დასტურდება.

მეტნაკლებად სრული მასალა ჩვენ მხოლოდ გიორგისა და თამარის თანამედროვე ვარდან დადიანის შესახებ მოგვეპოვება. მაგრამ მის სამოხელეო კარიერასაც პ. ინგოროყვა რატომღაც მეჯინიბეთუხუცესობით იწყებს და მის მეჯინიბეთუხუცესობას 1178 1184/8 წწ. ათარიღებს[5], მაშინ როცა თამარის პირველი ისტორიკოსის უტყუარი მონაცემებით, ვარდან დადიანი, ზემოდასახელებულ წლებში, ჩუხჩარხი იყო[6]. ამასთანავე, პ. ინგოროყვა იმავე წლებში

[1] კირაკოს განძაკეცი, ისტორია (რუს. თარგმან), გვ. 86; სომხური გამოცემა, გვ. 154– 155.

[2] დ. მუსხელიშვილი, აღჯაყალა-გაგის ციხე, სიგქ, I, 1960, გვ. 131 –132.

[3] ისტორიანი, გვ. 92.

[4] პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 646.

[5] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, I, გვ. 577.

[6] ისტორიანი, გვ. 72.

ასახელებს მეორე მეჯინიბეთუხუცესსაც ჭიაბერს[1], რომელსაც მართლაც ამ წლებში ჰქონდა ეს თანამდებობა (თუმცა, ჭიაბერის მეჯინიბეთუხუცესობა, ცხადია, თავისთავად გამორიცხავს იმავე წლებში, ერთდროულად მეორე, მეჯინიბეთუხუცესის არსებობას). ასე რომ ვარდან დადიანმა თავისი კარიერა, არსებული წყაროების მიხედვით, გიორგი III-ის კარზე ჩუხჩარხობით დაიწყო.

არ ჩანს მართებული პ. ინგოროყვას თვალსაზრისი, თითქოს ვარდანმა დაიწირა ვარდან ვარდანისძის თანამდებობა, ხოლო ვარდან ვარდანისძე გიორგი III-ს გაეყვანოს სავაზიროდან: მეორე პერიოდში „1178 1184 წწ. გიორგი III-ის რეფორმის ხანა: ვარდან ვარდანის ძე, ღრმა მოხუცების გამო, საპატიო სახით გათავისუფლდა თანამდებობიდან და იგი შეცვალა ჩუხჩარხის პოსტზე ვარდან დადიანმა (ამრიგად, ვარდანისძეთა გვარის ორივე შტო გამოყვანილ იქნა სავაზიროს შემადგენლობიდან)"[2]. ყველაფერი ეს პ. ინგოროყვას სჭირდება თამარის დროს ნავარაუდევი რესტავრაციის დასამტკიცებლად. მაგრამ, როგორც ნ. შოშიაშვილმა ნათელყო, არსაიდან ჩანს, რომ ვარდან ვარდანისძეს გიორგი III-ის დროს ჩუხჩარხის თანამდებობა სჭეროდა. არც ის ვიცით, იყო თუ არა ვარდან ვარდანისძე მამა მაინცდამაინც მარუშიანისა[3], როგორც პ. ინგოროყვა ვარაუდობს და, რაც მთავარია, მარუშიანისა და ვარდან დადიანის მამის გადაყენება „ღრმა მოხუცების გამო", „საპატიო სახით" მოხდა არა გიორგი III-ის დროს, როგორც პ. ინგოროყვა წერს, არამედ თამარის მეფობის პირველ წლებში. ისტორიკოსის სიტყვით, თამარმა ვარდან დადიანსა და მარუშიანს „ვინაჲცა მათ ორთავე მამანი მომყოვრებულ ქმნილ იყვნეს და დასდვა მათ მამისა პატივი მათისაჲ და დასხნა სასთაულითა"[4]. ადვილი მისახვედრია, რომ ვარდან დადიანსა და მარუშიანს „მათ მამათა" „ღრმა მოხუცების გამო" „მამისა პატივი მათისაჲ" თამარის დროს მიუღიათ და არა გიორგი III-ისა. ასე რომ თამარის ეს ღონისძიება, რომელიც პ. ინგოროყვამ გიორგი III ს მიაწერა, 1177 წლამდე არსებული მდგომარეობის რესტავრაციის საბუთად არ გამოდგება. პირიქით, როგორც ჩანს, გიორგი III-ს თავისი მეფობის ბოლო წლამდე პატივით შეუნახავს ვარდანისა და მარუშიანის მამა და მხოლოდ თამარს გადაუყენებია იგი თანამდებობიდან და „მამისა პატივი" შვილებისათვის გადაუცია.

თამარის ისტორიკოსის ზემომოტანილი ცნობიდან ისიც კარგად ჩანს, რომ დადიანების მოხელეობა გიორგი III ის კარზე ვარდან დადიანის ჩუხჩარხობით არ დაწყებულა, მის წინაპარსაც ჰქონია სათანადო სამოხელეო პატივი, მაგრამ კერძოდ რა, არ არის ცნობილი. ჩვენთვის უცნობია აგრეთვე თვით მისი მამის ვინაობაც. დაბეჯითებით რამის თქმა წყაროების სიმცირის გამო ძნელდება. მაგრამ ვფიქრობთ, მაინც შეიძლება ზოგი საეარაუდო მოსაზრების გამოთქმა ვარდანისა და მარუშიანის მამის შესახებ.

პ. ინგოროყვა ვარდან დადიანად თვლის ათონის იერთა მონასტრის აღაპებში მოხსენიებულ „ვარდან კოსტანტის ძეს" და, მაშასადამე, ვარდან დადიანის მამად კოსტანტი (თუ კოსტანტინე) დადიანს მიიჩნევს; პ. ინგოროყვას ეს მოსაზრება ახალი არ არის, ამასვე წერდა თაეის დროზე თ. ჟორდანიაც[5].

---

[1] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 577.

[2] იქვე, გვ. 632.

[3] ნ. შოშიაშვილი, სახელმწიფო სამართლის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 126 –128.

[4] ისტორიანი, გვ. 92.

[5] ქრონიკები, II, გვ. 131—132

პ. ინგოროყვას ზემომოტანილი მოსაზრება ნ. შოშიაშვილმა სარწმუნოდ არ მიიჩნია და ვარდან კოსტანტის ძე, იმის გ მო, რომ იგი მოხსენიებულია აგრეთვე სოლის (რაჭაში) ეკლესიის ხელნაწერის მინაწერში [1], „რაჭის დიდგვარიან ფეოდალად“ გამოაცხადა [2]. მაგრამ ამ საბუთით, ჩვენი აზრით, ძნელი იქნებოდა სორის ოთხთავის მინაწერში მოხსენიებული ვარდან კოსტანტის ძის დადიანობის უარყოფა. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რომ ერთ დროს დადიანთა კუთვნილი ხელნაწერები, ოთხთავი იქნებოდა თუ სხვა, რაჭის ეკლესიებში აღმოჩენილიყო; ამის მაგალითი გვაქვს კიდეც. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ერთ დროს ივანე დადიახის კუთვნილი ხელნაწერი „წმ. ნიკოლოზისა და მარიამ მეგვიპტელის ცხოვრება“, ივანე დადიანის მინაწერითურთ, ინახებოდა ნიკორწმინდის ეკლესიაში [3].

ამასთანავე, ანგარიში უნდა გაეწიოს თ. ჟორდანიას მოსაზრებასაც: ათონის მონასტერში ვარდან კოსტანტის ძის აღაპი დაუწესებიათ „ყოველად წმიდის ელაქერნას“ დღეს, „ელაქერნის (ბედიის) ღვთისმშობელი“ კი „დადიანების უმთავრესი ხატი იყო“ და ამიტომაც ამ ხატის „დღესასწაულის დღე განგებ აღაპად განუწესებიათ ვარდანისათვის, ალბათ როგორც დადიანისათვის“. ასე რომ ათონის აღაპებისა და სორის ოთხთავის ვარდან კოსტანტის ძე შეიძლება მართლაც ეთი და იგივე პირი, ვარდან კოსტანტის ძე დადიანი იყოს და პ. ინგოროყვას ვარაუდი ამ მხრივ სწორად მიეჩნიოთ. მაგრამ პ. ინგოროყვა არ ჩანს მართალი, როცა თამარის ისტორიკოსის მიერ ვარდანთან ერთად ჩუხჩარხის თანამდებობაზე დაწინაურებულ მარუშიანს ვარდან ვარდანის ძის შვილად აცხადებს.

ჯუმათის წმ. გიორგის ხატის წარწერის ერისთავთ ერისთავი ვარდან ვარდანის ძე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XI ს. მეორე ნახევრის მოღვაწეა და მისი მიჩნევა XII ს. მიწურულის მოღვაწის, მარუშიანის მამად, ცხადია, შეუძლებელია; სხვა ცნობა კი ვარდან ვარდანისძის შესახებ არ მოგვეპოვება.

ჩვენი აზრით, ვარდან დადიანი და მასთან ერთად დასახელებული მარუშიანი ერთი საგვარეულოს, უკეთ, ერთი ოჯახის წევრები იყვნენ. ამაში თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობა გვარწმუნებს. ხელახლა მოვიტანოთ და განვიხილოთ ეს ცნობა: უბოძა „მსახურთუხუცესობა დადიანსა ვარდანს, ჩუხჩარხობა მარუშიანსა, ძესა ჩუხჩარხისასა, ვინაიცა მათი ორთავე მამანი (მარიამისეულში, „მამა“) მომყოვრებულ ქმნილ იყვნეს და დასდვა მათ მამისა პატივი მათისა და დასხნა სასთაულითა“ [4]. ამ ცნობის მიხედვით, მარუშიანი ყოფილა „ძე ჩუხჩარხისა“. მაგრამ ჩუხჩარხი ამ შემთხვევაში, რა თქა უნდა, საკუთარი სახელი არ არის. ამავე დროს, ახალ ხელისუფალთა დანიშვნის დროს, რაზეც ამ ტექსტშია საუბარი, ჩუხჩარხად ვარდან დადიანი იყო, რომლის ძედ, ცხადია, მარუშიანი არ შეიძლება მიგვეჩნია. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ შემთხვევაში ვარდანის წინადროინდელი ჩუხჩარხი იგულისხმებოდეს და ისტორიკოსს იგი სახელის გარეშე მოეხსენიებინოს. ასე რომ ტექსტში რაღაც შეცდომა უნდა იყოს დაშვებული და აქ თავდაპირველად „ძესა“-ს მაგიერ იქნებ „ძმასა“ ეწერა. მაშინ გასაგები და ლოგიკური იქნებოდა ტექსტის ეს ნაწილიც.

ამ ვარაუდს, ჩვენი აზრით, მხარს უჭერს ამ ცნობის მომდევნო ნაწილ ც,

[1] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, გვ. 33 –35.
[2] ნ შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 127.
[3] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, გვ. 95.
[4] ისტორიანი, გვ. 79.

სადაც ვარდანისა და მარუშიანის შეწყალებასა და მათთვის (ორივესათვის) „მამისა პატივისა მათისა“ ბოძების შესახებაა საუბარი. როგორც ჩანს, თამარმა „დასდვა მათ (ვარდანსა და მარუშიანს, შ. მ.) მამისა (და არა მამათა, შ. მ.) პატივი მათისაჲ“. ამასვე გვაფიქრებინებს ამავე ტექსტში, ზემოთაც, მათი „მამის“ მხოლობითი რიცხვით მოხსენიება მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“. თუმცა არც „მამანი“ (როგორც ეს გამოცემულ ტექსტებშია) ხელს არ შეუშლიდა ტექსტის ჩვენ მიერ შემოთავაზებულ გაგებას. — „მათ ორთაჲვე მამა (თუ მამანი) მ ო მ ყ ო ვ რ ე ბ ე ლ ქ მ ნ ი ლ ი ყ ვ ნ ეს“ — ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში უფრო plur. majestatis უნდა იყოს, ვიდრე ორ სხვადასხვა „მამაზე“ მითითება.

ამრიგად, ჩვენი ვარაუდით, ვარდანი და მარუშიანი ძმები არიან და მათვე დაისაკუთრეს ჯერ გიორგი III-ის, ხოლო შემდეგ თამარის სამეფო კარზე მათივე მამის პატივი; ეს კი გიორგი III-ის დროს, ორბელთა აჯანყების შემდეგ, ვარდან დადიანის ჩუხჩარხის თანამდებობაზე დაწინაურებით დაიწყო [1]. თამარმა კიდევ უფრო დააწინაურა მისი მამის მიერ შეწყალებული ვარდან დადიანი და მსახურთუხუცესობის თანამდებობა უბოძა, ხოლო მარუშიანს მისივე ძმის ყოფილი სახელო - ჩუხჩარხობა. ასე რომ თამარის დროს ვარდან დადიანისა და მარუშიანის ახალ თანამდებობებზე დანიშვნა 1177 წლამდე არსებული მდგომარეობის რესტავრაცია კი არ იყო, როგოც პ. ინგოროყვა აღნიშნავს, არამედ გიორგი III-ის მიერ 1177 წლიდან აღებული კურსის შემდგომი გაგრძელება. როგორც ვხედავთ, თამარი ამ შემთხვევაშიც არ გასცილებია იმ საგ ვარეულოთა წრეს, რომელნიც გიორგი III-ის დროს სამეფო კარზე პატივით იყვნენ მიღებულნი და დაწინაურებულნი.

• • •

გიორგი III-ის დროს დაწინაურებული ჩანს აგრეთვე, თამარის მიერ ახალ მოხელეთა დანიშვნის დროს ამირახორად აღზევებული, გ ა მ რ ე კ ე ლ თ ო რ ე ლ ი ც: „და უბოძა ამირახორობაჲ გამრეკელსა თორელსა, რომელი ამირ-სპასალარიცა იქმნა შემდგომად სარგის მხარგრძელისა“ [2].

თამარის მიერ გამრეკელ თორელის დანიშვნა ამირახორად პ. ინგოროყვას ისეე გიორგი III-ის დროს დამცრობილი საგვარეულოს რესტავრაციად და ორბელთა აჯანყებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენად მიაჩნია. საამისოდ კი პ. ინგოროყვას დასჭირდა კახა თორელისათვის ამირახორის თანამდებობა მიეცა. პ. ინგოროყვას მტკიცებით, გიორგი III-ს ლიპარიტ ორბელიანისათვის, რომელსაც ამირახორის თანამდებობა ჰქონდა, ჯერ კიდევ ორბელთა აჯანყებამდე. 1162 წ. ახლოს ეს თანამდებობა წაურთმევია. „რათა საზღვარი დაედვა ორბელიანთა განსაკუთრებული აღზევებისათვის“ და „მის ნაცვლად დაუ-

[1] ისტორიკოსის სიტყვები — „დასდვა მათ მამისა პატივი მათისაჲ“, როგორც ჩანს, არ ნიშნავს მაინცდამაინც იმ სახელოთა მიღებას, რაც მათ მამას ჰქონია ამ დრომდე. როგორც თვით ტექსტიდან ირკვევა, ჩუხჩარხის პ ტივი ამ დროს მარუშიანის მამას კი არ ჰქონდა, არამედ ძმ ს; ასევე, მსახურთუხუცესად ვარდანზე აღრე მისი მამა კი არ იყო, არამედ ათრიდონი. ასე რომ „მამის პატივი“ ამ შემთხვევაში სამეფო კარზე ახლადშეწყალებულთა მამის საერთოდ მაღალ მდგომარეობაზე მიუთითებდა და არა კონკრეტულად მის (მამის) მსახურთუხუცესობასა თუ ჩუხჩარხობაზე. „მამის პატივის“ ბოძება ამ მაღალი მდგომარეობის მოპოვებას ნიშნავდა და არა მაინცდამაინც მამის სახელოთა უშუალო მემკვიდრეობას.

[2] ისტორიანი, გვ. 79.

ნიშნავს თორის ერისთავი (რომელსაც ისტორიკოსი ასე მოიხსენიებს: დიდი და სახელგანთქმული მოლაშქრე 1162 წელს იგი იქნა ანისს, როგორც სპასპეტი)" [1]. პ. ინგოროყვას მიერ აქ უსახელოდ მოხსენიებული „სახელგანთქმული მოლაშქრე", მისივე „საეპაზიროს პერსონალური შემადგენლობის" ნუსხის მიხედვით, არის კახა თორელი[2], ე. ი. მ მა თამარის მიერ ამირახორად დანიშნული გამრეკელ თორელისა.

ამრიგად, პ. ინგოროყვას მიხედვით, თამარის ისტორიკოსის მიერ დასახელებული „დიდი და სახელგანთქმული მოლაშქრე" და „ანისის განმამტკიცებელი" თორელი არის კახა ამირახორი, რომელსაც ეს თანამდებობა 1177 წლამდე ჰქონია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არც ერთი წყაროდან არ ჩანს, რომ კახა თორელს ამირახორობა ჰქონოდეს ან კიდევ ლიპარიტ ორბელს ორბელთა აღზევების წლებში ამირახორობა დაეკარგოს. აღსანიშნავია, რომ სწორედ იმ დროს, როცა თითქოს გიორგი III-მ განიზრახა „საზღვარი დაედგა ორბელთა განსაკუთრებული აღზევებისათვის", ივანე ორბელი კიდევ უფრო დაწინაურდა და მას მანდატურთუხუცესობა და ამირსპასალარობა ებოძა. დაუჯერებელია. რომ სწორედ ასეთ დროს იყანეს ძმას ლ პარიტს ამირახორობა დაეკარგა და მას იგი არ შეუნარჩუნებინა 1177 წ. ორბელთა აჯანყებამდე. ეს ასეც იყო, ლიპარიტი დარჩა ამირახორად და ამ თანამდებობას კიდევ, გარკვეული დროიდან, მიემატა ქართლის ერისთავობაც. თამარის ისტორიკოსის მიერ ზოგჯერ ლიპარიტის მხოლოდ ერთი თანამდებობით ქართლის ერისთავად მოხსენიება სრულებით არ ნიშნავდა იმას, რომ ლიპარიტს არ შეიძლებოდა მეორე, „დარბაზის რიგის" თანამდებობა, ამირახორობა ჰქონოდა. ქართლის ერისთავს ლიპარიტს ამ თანამდებობას ორბელთა აჯანყებამდე ვერავინ წაართმევდა; აჯანყების შემდეგ კი, გიორგის მეფობის ბოლო წელს, ამირახორად, როგორც ირკვევა. ვინმე ივანე იყო.

თამარის პირველ ისტორიკოსს გიორგი III ის გარდაცვალების დროს სასახლეში მყოფი „დარბაზის რიგის" ყველა მოხელე სახელითა და თანამდებობით ჰყავს დასახელებული გარდა ერთისა, რომელიც მხოლოდ სახელით — „ივანე" — იხსენიება. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ამ შემთხვევაში მისი თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვა გადამწერთაგან გამოტოვებულია, მაგრამ ამ ტერმინის აღდგენა ადვილად ხერხდება, თუ გავითვალისწინებთ. რომ ისტორიკოსს, მოხელეთა და მათ თანამდებობათა დასახელებისას, გამოტოვებული აქვს მხოლოდ ამირახორი, რომელიც მოხელეთა დასახელების იმ დროს არსებული წესის მიხედვით, რვა მოხელეთაგან მერვედ, ე. ი. უკანასკნელად მოიხსენიებოდა[3]. პ. ინგოროყვასაც თამარის ისტორიკოსის „ივანე" ამირახორად მიაჩნია[4], ოღონდ მას თვლის შემცვლელად კახა თორელისა, რომელიც გიორგი III-ს თითქოს ლიპარიტ ორბელის მაგიერ დაუნიშნავს ამირახორად [5]. პ. ინგოროყვას მიერ ამ შემთხვევაში დამოწმებული არც ერთი წყაროთი არ დასტურდება კახა თორელის და საერთოდ თორელების ამირახორობა გიორგი III-ის დროს. ასევე არსაიდან ჩანს, რომ ლიპარიტ ორბელს ქართლის ერისთავობის მიღების შემდეგ ამირახორობა დაეთმოს. როგორც ვხედავთ, სწორედ ზემოხსენებული ივანეა ლიპარიტ ორბელის შემცვლელი ამ თანამდებობაზე,

[1] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 623.
[2] იქვე, გვ. 576.
[3] ისტორიანი, გვ. 72, 79.
[4] პ. ინგოროყვა. დასახ. ნაშრ გვ. 577.
[5] იქვე, გვ. 623, 576.

ცხადია, ორბელთა აჯანყების შემდეგ. მაგრამ ყოველივე ეს მა ნც არ არის საკმაოისი ივანე ამირახორის ვინაობის გასარკვევად.

გიორგი III-ის მიერ აღზევებულ ორბელთა მარცხის შემდეგ, როგორც ჩანს, სამეფო ხელისუფლება ისევ ვარდანის ძეებზე იღებს კურსს და ხელახლა იწყებს მათს აღზევებას იმ თანამდებობაზე, რომელიც ერთ დროს ამ საგვარეულოს წარმომადგენლებს ეპყრათ. ამიტომ ვვარაუდობთ, რომ იქნებ ამირახორი ივანე. ივანე ვარდანისძის შთამომავალი (შვილიშვილი), იყოს თავისი დიდი პაპის – ერთ-ერთი თანამდებობის პროტოსტრატორის ახუ ამირახორის — ხელახლა მქონებელი. თუ ეს ვარაუდი სწორია, ვარდანისძეთა რესტავრაცია გიორგი III ის დროს, კერძოდ ორბელთა აჯანყების შემდეგ დაწყებულა. ამავე საგვარეულოს მეორე წარმომადგენელმა კახაბერ ვარდანისძემ უკვე თამაოის დროს მეჭურჭლეთუხუცესობა მიიღო; მესამე — ბარამ ვარდანის ძე კი, როგორც გიორგი III-ის, ასევე თამარის დროსაც სპანთა ერისთავთ-ერისთავი იყო. ასე დანაწილდა, როგორც ჩანს, სპანთა ერისთავთ ერისთავისა და პროტოსტრატორის ივანე ვარდანისძის თანამდებობანი მის შთამომავალთა შორის გიორგი III-ისა და თამარის დროს.

ვარდანისძეთა ხელახალი აღზევება, ჩვენს განკარგულებაში არსებული წყაროების მიხედვით, შედარებით ხანმოკლე იყო ივანე ამირახორი თამარის გამეფების პირველ წელსვე შეცვალა გამრეკელ თორელმა, ხოლო ორიოდე წლის შემდეგ შეიცვალა მეჭურჭლეთუხუცესი კახაბერ ვარდანისძეც.

ამრიგად, თორელების მოხელეობა სამეფო კარის ცენტრალურ უწყებაში, წყაროების მიხედვით, თამარის დროს გამრეკელ თორელით იწყება. მაგრამ თორელებ გიორგი III-ის დროს (და ამაზე ადრეც) უკვე იყვნენ „საქვეყნოდ გამრიგენი". თორელების მოხელეობა გიორგი III-ის დროს, ჩვენი აზრით, ანისის ამირობით დაიწყო. თამარის ისტორიკოსის მოწმობით, ანისის პირველად აღების დროს გიორგიმ ქალაქში „დააყენა ამირა"[1], კერძოდ ვინ, ამ შემთხვევაში, მართალია, არ ჩანს, მაგრამ გიორგიმ ანისში ამირად რომ ქართველი დიდებული დატოვა, ეს უეჭველია. ამაში გვარწმუნებს იქვე. ქვემოთ, ამავე ისტორიკოსის ცნობა ანისის „განმტკიცების" შესახებ მაჰმადიან მფლობელთა მოსალოდნელი თავდასხმის დასახვედრად. „მას ჟამსა შინა ანისსა განამტკიცებდა თოელი დიდი და სახელგანთქმული მოლაშქრე"[2], ანისის „განმტკიცება" (და არა დაცვა, როგორც პ. ინგოროყვა წერს), ე. ი. ქალაქის სასიმაგრო ნაგებობათა შეკეთება-განმტკიცება, სწორედ ქალაქის ამირას ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობა იყო.

მაგრამ ვინ არის ეს თორელი — „დიდი და სახელგანთქმული მოლაშქრე"? პ. ინგორ ყვას, როგორც ვნახეთ, იგი კახა თორელად მიაჩნია. ასევე ფიქრობს ნ. შოშიაშვილიც: ანისის გამგებელი კახა თორელია, მამა გამრეკელთორელისა. თამარის ამირახორისა და ამირსპასალარისა[3].

თამარის ისტორიკოსის ზემომოტანილი ცნობისა და სტეფანოს ორბელიანის მონაცემების ურთიერთშედარება გვარწმუნებს, რომ ანისის განმამტკიცებელი თორელი კახა თორელი კი არ არის, არამედ გამრეკელ თორელი. თამარის ისტოიკოსი[4], როგორც ვნახეთ, მას სახელით არ მოიხსენიებს და მხოლოდ

---

[1] ისტორიანი, გვ. 60.

[2] ისტორიანი, გვ. 62.

[3] ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია, გვ. 61.

[4] ს. ორბელიანი, სიგნეთის ისტორია (ხომხ.), გვ. 384; ლ. მელიქსეთ-ბეგი, სტეფანე სიუნიელის „ორბელიანთა ისტორიის" ქართული ვერსია, სმ, VI, გვ. 60.

„დიდ თორელს“ უწოდებს. აღსან შნაცია, რომ კახასა და გამრეკელსაც, ორბელთა აჯანყებასთან დაკავშირებით, მოიხსენიებს სტეფანოს ორბელიანიც, ოღონდ კახას გვარის გარეშე, შეილებითურთ, ხოლო გამრეკელს — ცალკე და ისიც „დიდის“ წოდებით (*სამრაგჩ'ს მხბ*). ამას გარდა, სტეფანოსის „ისტორიაში“ კახას წაკითხვაც ზოგ ვარიანტში საეჭვოდ ჩანს (აღსანიშნავია, რომ სტ. ორბელიანის თხზულების ქ რთულად მთარგმნელს კახას მაგიერ „კახეთიდამ“ წაუკითხავს), თუმცა საეჭვოც რომ არ იყოს, კახას ძეთაგან გამრეკელი ცალკეა გამოყოფილი და ისტორიკოსის მიხედვით იგი მის ძეთა შორის არ ივარაუდება -- *„კახაჲ ჲ ւորդիք իւր ևւ համրագ'ն մեծ“* ან რა საფიქრებელია, რომ ისტორიკოსს მამა და შვილი ერთად დაესახელებინა, შვილისათვის „დიდი“ ეწოდებინა და მამა კი ყოველგვარი პატივისა და ტიტულის გარეშე მოეხსენებინა.

საგულისხმოა, რომ სტეფანოსი მეორედაც მოიხსენიებს მას „დიდ გამრეკელად“; უეჭველია, რომ თამარის ისტორიკოსის „დიდი და სახელგანთქმული მოლაშქრე“ და სტეფანოს ორბელიანის „გამრეკელი დიდი“ თუ „დიდი გამრეკელი“ ერთი და იგივე პირია.

როგორც ჩანს, გამრეკელ თორელს ჯერ კიდევ XII ს. 60 70-იან წლებში მოუპოვებია „დიდის“ ზედწოდება და ამგვარად შესულა იგი ქართულსა და სომხურ წყაროებში. ანისის განმამტკიცებელი „დიდი გამრეკელ თორელი“, უკვე სახელგანთქმული მოლაშქრე, XII ს. 60-იან წლებში ახალგაზრდა ვერ იქნებოდა, მაგრამ არც ისე ხანშიშესული, რომ თამარის მეფობის პირველ წლებში სახელოთა მიღება ვერ შესძლებოდა.

სტეფანოს ორბელიანის მოწმობით, „დიდ გამრეკელს“ ორბელთა აჯანყებაში მონაწილეობა მიუღია ხოჟორნელებთან (*ղաւդաւորիքն*), ჯავახებთან, მემნა ჯაყელთან, ტაშირელებთან. გრიგოლ აპირატთან და სხვებთან ერთად, მაგრამ „დიდი გამრეკელი“ (*մեծ համրագ'*) და გრიგოლი, სტ. ორბელიანისავე ცნობით, მალე გამოყოფიან აჯანყებულებს და გიორგის მხარეზე გადასულან[1]. ასე მოიქცნენ, თამარის ისტორიკოსის სიტყვით, მხარგრძელებიც, მაგრამ ამას არც მხარგრძელთა და არც გამრეკელ თორელის მიმართ რეპრესიები, დამცრობა-დაკნინება თუ სამფლობელოთა წართმევა არ მოჰყოლია. პირიქით, თუ თამარის ისტორიკოსს ვერწმუნებით, „ვინაჲცა წამოუვიდა დემეტრეს, სარგის მკარგრძელი შვილითა და ძმის წულითა მისითა, ძმაჲ და საყუარელი ორბელთაჲ, ესე შეიყუარა და შეიტკბო მეფემან და მისცა მისანდობლობაჲ გუარის შვილობისა მისისაჲ“[2]. გიორგი III-ს მარტო მხარგრძელები კი არ შეუწყალებია, არამედ ყველანი, ვინაცა წამოუვიდა დემეტრეს“. ამასვე ადასტურებს სტეფანოს ორბელიანიც: „რომელნიც გადმოვიდოდნენ გიორგისთან, დიდი პატივით მიღებდა (მათ მეფე) და უზომო წყალობით გამდიდრებდა მათ და მათვე აღუთქვამდა ორბელიანთა მამულების მიცემას“[3].

ერთხანს აჯანყებულთა მომხრეებს მხარგრძელებს და თორელებს, კერძოდ გამრეკელ თორელს, თუ ახალი რამ წყალობა არ მიუღიათ (ჩვენ, სამწუხაროდ, ამის შესახებ არაფერი ვიცით), არც არაფერი დაუკარგავთ. ასე რომ არ არის სარწმუნო მოსაზრება, რომლის მიხედვითაც თორელებს, ორბელთა აჯანყების შემდეგ, ანისის გამგებლობა (ამირობა) და აგრეთვე თმოგვი დაეკარგოთ[4]. რო-

[1] ს. ორბელიანი, სიგნეთის ისტორია (სომხ.), გვ. 384 385.

[2] ისტორიანი, გვ. 67– 68.

[3] ს. ორბელიანი, სიგნეთის ისტორია, გვ. 385.

[4] ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია, გვ. 61.

გორც ირკვევა, თორელებს ორბელთა აჯანყების წინ არც ანისი ჰქონდათ განსაგებლად და არც თმოგვი.

მფლობელობა თმოგვში, როგორც ჩანს, დაკავშირებული იყო „დარბაზის რიგის“ მოხელეობასთან და თორელები მას მანამდე ვერ დაეპატრონებოდნენ, სანამ სამეფო კარის მოხელეობას არ მიღებდნენ. ამას კი მათ თამარის დროს მიაღწიეს, და ამიტომ გამრეკელ თორელისათვის ამირახორობის ბოძებას მოჰყვა კიდეც თმოგვის გადაცემა, მით უფრო, რომ თმოგვი ამ დრ ის, აფრიდონის მსახურთუხუცესობიდან გადაყენების შემდეგ, თავისუფალი იყო. მაგრამ თმოგვი ამის შემდეგაც დიდხანს არ დარჩენილა თორელთა ხელშ : ამირ სპასალარ გამრეკელ თორელის გარდაცვალების შემდეგ „თმოგჳსაგან კიდე აოა დააკლეს შვილთა მისთა“[1], თმოგვი კი ისევ სამოხელეოდ გაიცა ახლად დალოცვილ სარგის ვარამის ძეს ებოძა: „შეიწყალის სარგის ვარამის ძე, დალოცეს და უბოძეს თმოგვი“[2].

ამრიგად, თამარის დროს ჯერ ამირახორის, ხოლო შემდეგ ამირსპასალარის თანამდებობაზე დანიშნული გამრეკელ თორელი ჯერ კიდევ გიორგი III-ის დროს არის დაწინაურებული, აღზევებული და „დიდ თორელად“ თუ „დიდ გამრეკელად“ წოდებული, თუმცა ამ დროს გამრეკელს „დარბაზის რიგის“ მოხელეობა არ ჰქონია. ორბელთა აჯანყების შემდეგ კი, რაკი იგი აჯანყებულთა რიგებში არ დარჩენილა გამრეკელ თორელს არც „საქვეყნოდ გამრიგე“ მოხელეობა დაუკარგავს და არც სამფლობელო. ასე რომ თამარის დროს მისი ამირახორობა და ამირსპასალარობა თორელთა გვარის რესტავრაცია კი არ იყო „სავაზიროში“, არამედ გამრეკელ თორელის, გიორგის III-ის „სახელგანთქმული მოღვაწეობის“, კარიერის ბუნებრივი განვითარების შედეგი.

ამით ვამთავრებთ თამარის მეფობის დროის საქართველოს სამეფოს „დარბაზის რიგის“ მოხელეთა ვინაობის უმთავრესი საკითხების განხილვას. ჩვენი კვლევა თუმცა სრული არ არის (მით უფრო, რომ ჯერ კიდევ არ გაგვეხილავს ამირსპასალარის სახელოს მფლობელთა ვინაობა და ადგილი საქართველოს სამეფოში), მაინც შესაძლებლად მიგვაჩნია ზოგიერთი დასკვნა გავაკეთოთ.

თამარის მეფობის დროს ვაზირის, მანდატურთუხუცესის, მეჭურჭლეთუხუცესის, მსახურთუხუცესის და სხვა ხელის მქონეთა ვინაობის მეტ ნაკლები სისრულით შესწავლამ დაგვანახა, რომ ა) გიორგი III-ის საშინაო პოლიტიკური გეზის შესაცვლელად თამარის მეფობის პირველ წელსვე დიდგვარიანთა გამოსკლის და ამის შედეგად შექმნილი მძიმე პოლიტიკური კრიზისის მიუხედავად, თამარის სამეფო ხელისუფლების ძირითადი მიმართულება არსებითად არ შეცვლილა; ბ) დიდგვარიანთა მოთხოვნით გადაყენებულ „უგვაროთა და უხმართა“ (უუბასარი აფრიდონი) ადგილები ძირითადად ისევ გიორგი III-ის „გაზრდილებმა“, მის მიერ და მის დროს დაწინაურებულმა პირებმა და აღზევებულ საგვარეულოთა წარმომადგენლებმა დაიკავეს; გ) თამარის მეფობის დროს აო მომხდარა გიორგი III ის მიერ დამხობილ საგვარეულოთა თუ „ორბელთა

[1] ისტორიანი, გვ. 95.

[2] იქვე.

აჭანყებამდე არსებული მდგომარეობის“ რესტავრაცია; დ) თამარის თვითმპყრობელური ხელისუფლების სიძლიერისა და ოპოზიციურ ძალებზე გამარჯვების ძირითადი მოწმობა იყო, მისი გამეფების პირველ წელსვე, გიორგი III-ის „გაზრდილისა“ და უერთგულესი ვაზირის, ანტონის აღდგენა მწიგნობართუხუცესკყონდიდელის თანამდებობაზე; ე) თამარის მეფობის ბოლო წლამდე არ შეცვლილა სამეფო კარის მოხელეობის ძირითადი პრინციპები „დაობაზის ოიგის მოხელეებს სათავეში სამეფოს ვაზირი ედგა; ვ) ყოველივე ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ თამარს თავისი სამეფო ხელისუფლება არც დიდგვარიანებისათვის გაუნაწილებია და არც „დიდებულთა თანადგომითა და ერთნებობით“ შეუზღუდავს.

თავი III

მხარგრძელების როლი XII ს. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში

1. წყაროები და ისტორიოგრაფია

ა. წყაროები

XII ს. მეორე ნახევრისა და XIII ს. დამდეგის საქართველოს სამოხელეო წყობილების შესწავლა სრულყოფილი არ იქნება, თუკი საგანგებოდ არ განვიხილავთ ამირსპასალარის სახელოს და მის მფლობელთა ვინაობას. როგორც ცნობილია, ამირსპასალარის მაღალი თანამდებობა ამ პერიოდში, მცირე ვადონაკლისის გარდა, მხარგრძელებს ეჭირათ.

მხარგრძელებმა საერთოდ დიდი როლი შეასრულეს XII ს. მიწურულისა და XIII ს. პირველი ნახევრის საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათ შესახებ ცნობებით საკმაოდ მდიდარია ფეოდალური ხანის ქართული და სომხური ისტორიოგრაფია.

მხარგრძელები XII ს. მეორე ნახევრის საქართველოს სამეფოს „დარბაზის რიგის" მოხელენი იყვნენ და, ბუნებრივია, მათ შესახებ XII XIII სს. ქართულ საისტორიო მწერლობაში ყველაზე უფრო სრული და შედარებით მრავალმხრივი ცნობები მოგვეპოვება.

ქართულ ნარატიულ წყაროთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ უცნობი ავტორის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", სადაც თამარის ხანის მრავალი საინტერესო ისტორიული მოვლენის, ფაქტის აღწერასა და გადმოცემასთან ერთად, მოცემულია ცნობები ცალკეულ ისტორიულ პირთა (სამეფო საგვარეულოს წევრთა თუ სამეფო კარის „დარბაზის რიგის" და „საქეყნოდ გამრიგე" მაღალი რანგის მოხელეთა) შესახებაც. რა თქმა უნდა, „ისტორიანისა და აზმანის" ავტორს არ შეიძლებოდა გამორჩენოდა ისეთი დიდმოხელენი, როგორებიც იყვნენ მხარგრძელები.

მხარგრძელთა შესახებ ცნობა „ისტორიანისა და აზმანის" ავტორს გიორგი III-ის გამეფებისა და მის მიერ პირველი ბრძოლების ჩატარების დროიდანვე მოეპოვება. ამ თხზულების მიხედვით, საქართველოს მეფის სამსახურში მყოფ პირველ მხარგრძელად სარგისი ჩანს, ხოლო შემდეგ — მისი შვილები (ზაქარია და ივანე) და ნათესავები.

სამწუხაროდ, საქართველოს სამეფო კარზე მხარგრძელთა თანდათანობით დაწინაურების შესახებ უფრო ადრინდელი ცნობა ჩვენ არ მოგვეპოვება. როგორც ირკვევა, თამარის პირველი ისტორიკოსის მითითება ამ მხრივ ძირითადად სწორი უნდა იყოს — არსებითად გიორგი III-ის დროიდან დაიწყო მხარგრძელთა დაწინაურება საქართველოს სამეფო კარზე.

სარგის მხარგრძელის კარიერის პირველი ნაბიჯებიდან მოკიდებული, თამარის პირველი ისტორიკოსი თითქმის სრულყოფილ ცნობებს გვაწვდის მხარგრძელთა თანდათან გაძლიერებისა და დაწინაურების შესახებ.

ამასთან, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორს ფრიად საინტერესო მასალები აქვს დაცული თვით „მჭარგრძელის“ არა როგორც პირის სახელის (როგორც ზოგიერთი ავტორი ფიქრობს), აოამედ როგორც გვარის, გვარსახელის შესახებ.

ყურადღებას იქცევს თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობები მხარგრძელთა გვარის წარმომავლობის შესახებაც. თუმცა ისტორიკოსი ამ შემთხვევაში ვერ გასცილდა შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ ტრადიციას და მხარგრძელის გვარიც ერთ-ერთ უძველეს უცხოურ სამეფო (აქემენიდთა) საგვარეულოდან მომდინარედ მიიჩნია[1], მაგრამ მაინც საინტერესო თვალსაზრისი განვითარა, რომელიც არსებითად განსხვავდება XII ს. სომხურ ისტორიოგრაფიაში განმტკიცებული შეხედულებისაგან, კერძოდ, საქართველოს ამ დიდმოხელეთა ქურთული წარმოშობის შესახებ. „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორის ამგვარი ცნობა მხარგრძელთა გვარის წარმომავლობის შესახებ, როგორც ჩანს, გავრცელებული და გაზიარებული იყო საქართველოს მაშინდელ მმართველ ზედაფენაში, თვით მხარგრძელთა შორისაც, თორემ ოფიციალური (თამარ მეფის) ისტორიკოსი როგორ გაბედავდა მხარგრძელების ძლიერების წლებშივე თვითნებური, თავისი საკუთარი თვალსაზრისი გაენეითარებინა საქართველოს მეფის ამ დიდმოხელეთა გვარის წარმომავლობის შესახებ.

თამარის პირველი ისტორიკოსი თავის თხზულებაში დიდ ადგილს უთმობს მხარგრძელთა ძირითადი შტოს სამხედრო საქმიანობის მიმოხილვას, მათ პიროვნულ ღირსებებზე მსჯელობას; საინტერესოა, რომ შუა საუკუნეების ქართველ ისტორიკოსს ქალკედონიტობა სრულებით არ უშლიდა ხელს „სარწმუნოებით სომეხი“ ზაქარია მხარგრძელი ისეთ პირად მიეჩნია, რომელსაც, სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად, „ყოველნი სათნოებანი საღმრთონი... აქუნდეს“[1].

როგორც ჩანს, თამარის პირველი ისტორიკოსი ზაქარია მხარგრძელსა და საერთოდ მხარგრძელების მოღვაწეობის შეფასებაში ტენდენციური არ არის და არ სცილდება პირუთვნელ, ობიექტურ თვალსაზრისს; ეს კი „ისტორიანისა და აზმანის“, როგორც ამ კონკრეტული საკითხის პირველხარისხოვანი წყაროს, მაღალ ღირსებაზე მიუთითებს; როცა მკვლევარი მხარგრძელთა ვინაობისა და როლის შესწავლისათვის თამარის ისტორიკოსის ამ თხზულებას იშველიებს, პირველ რიგში მხედველობაში უნდა ჰქონდეს სწორედ ეს – წყაროს ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, რაც მხარგრძელებზე არსებულ სხვა წყაროთა შესახებ ყოველთვის როდი შეიძლება ითქვას.

ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ აგრეთვე „ისტორიანისა და აზმანის“ მონაცემებსაც საქართველოს მეფის მიერ სამეფოს მოხელეთა თუ უხელო დიდგვაროვანთა „შეწყალების“ ფორმების შესახებ: „დარბაზის ყმად თაყუანება“, „დალოცვა“, „შეწყალება“, „შეწყალება და ბოძება“ და სხვ. შეწყალების ამ ფორმათა შესწავლა, ცხადია, დიდ დახმარებას გაგვიწევს მხარგრძელთა როლის გარკვევაში; ამას კი ზოგ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნე-

[1] ისტორიანი, გვ. 137.

ლობა აქვს ქართულ სამოხელეო წყობაში მხარგრძელთა ადგილის შესასწავლად.

მს რგრძელების შესახებ ცნობებით შედარებით ღარიბია თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულება — „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი". ბასილი, მართალია, მხარგრძელებს პირველად 1191 წლის ამბებთან დაკავშირებით იხსენიებს, მაგრამ მაინც მოეპოვება ზოგიერთი საინტერესო და თამარის პირველი ისტორიკოსისაგან განსხვავებული ცნობა სარგის მხარგრძელისა და მის წინაპართა შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბასილის მითითება, რომ მხარგრძელები „დიდად შეყუაოებულნი" იყვნენ „თჳით თამარის პაპათა და მამათაგანც"[1]. სავსებით სწორი ჩანს ისტორიკოსი, როცა საქართველოს სამეფო კარზე მხარგრძელთა „შეყუარების" სათავეს არა საკუთრივ თამარის, არამედ მის წინაპართა, მამა პაპათა ღონისძიებებში ხედავს.

„თამარის ცხოვრების" ავტორს არ ავიწყდება აგრეთვე ხაზი გაუსვას მხარგრძელთა „სჯულით სომხობას", მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ ამასთანავე ისინი იყვნენ „კაცნი ღირსნი კაცობისანი" და „ყოვლითურთ მართლ-ძალიდებლობისა მოსავნი". შუა საუკუნეების ქართველი ისტორიკოსის ეს თავისთავად ფრიად საინტერესო თვალსაზრისი, ჩვენი აზრით, უფრო იმდროინდელი მმართველი ზედაფენის, ქართული საზოგადოებრიობის ოფიციალური შესედულებებისა და მხარგრძელებისადმი მათი დამოკიდებულების გადმოცემაა, ვიდრე ისტორიკოსის პირადი მოსაზრება. ამას გარდა, ბასილის ცნობები, განსაკუთრებით თამარის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ, მნიშვნელოვნად გვიწყობს ხელს საქართველოს სამეფო კარზე მხარგრძელთა ადგილისა და როლის შესწავლაში. ასევე, ფრიად საინტერესოა ბასილის ცნობები საერთოდ საქართველოს სამეფოს მონაპირეთა და, კერძოდ კი, მხარგრძელთა მონაპირეობის შესახებ. ბასილის ამ ცნობიდან, სხვა მსგავს პარალელურ მონაცემებს თავი რომ დავანებოთ, საკმაოდ ნათლად ჩანს თამარის კარზე მხარგრძელთა მოხელეობის შინაარსი და მნიშვნელობა.

ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ბასილსაც, თამარის პირველი ისტორიკოსის მსგავსად, „მხარგრძელი" გვაოსახელად მიაჩნია და არა ამ საგვარეულოს რომელიმე წარმომადგენლის პირის სახელად.

ქართულ ნარატიულ წყაროთა შორის მხარგრძელთა შესახებ ცნობები მოეპოვება აგრეთვე ლაშა გიორგის თანამედროვედ მ ჩნეულ მემატიანეს, მაგრამ მისი მონაცემები იმდენად ფრაგმენტულია, რომ მასზე საგანგებოდ შეჩერება ამჟამად საჭიროდ არ მიგვაჩნია.

ქართულ ნარატიულ წყაროთა შორის მხარგრძელთა პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ მონაცემებით განსაკუთრებით მდიდარია XIV ს. პირველი ნახევრის უცნობი ისტორიკოსის, ე. წ. ჟამთააღმწერლის თხზულება.

ჟამთააღმწერლის ცნობები ქრონოლოგიურად (XIII ს. დასაწყისი XIV ს. დასაწყისი) სცილდება ჩვენთვის საინტერესო ეპოქას, მაგრამ მათ მაინც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება XII ს. საქართველოს პოლიტიკური ვითარებისა და სახელმწიფო მოღვაწეების შესწავლაში, კერძოდ კი, მხარგრძელთა საკითხის კვლევაში (XIII ს. საუკუნეში კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა მხარგრძელთა, როგორც საქართველოს სამეფოს მაღალი რანგის მოხელეთა პოლიტიკური სახე და მისწრაფებანი, რასაც, რა თქმა უნდა, საფუძველი XII ს-შივე ჩაეყარა).

[1] ბასილი, გვ. 10.

ჟამთააღმწერლის თხზულება ჩვენთვის საინტერესოა იმითაც, რომ იგი საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ XIV ს. პირველი ნახევრის ქართველი ისტორიკოსის თვალსაზრისი მხარგრძელთა ვინაობისა და მათი ადგილის შესახებ XIII ს. საქართველოს სამოხელეო წყობაში.

აღსანიშნავია, რომ ჟამთააღმწერლისათვის არ არსებობს მხარგრძელთა „სჯულით სომხობის“ ის პრობლემა, რაც ასე თუ ისე მაინც აწუხებდათ და აღნიშნული აქვთ თამარის ისტორიკოსებს. და ეს გასაგებიცაა; როგორც ჭვემოთ იქნება ნაჩვენები, ეს საკითხი ჯერ კიდევ XIII ს. დასწყისში, კერძოდ, ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ, არსებითად გადაწყვეტილი იყო იმით, რომ როგორც ივანე და მისი მემკვიდრე, ასევე ზაქარიას მემკვიდრეც „სჯულითაც ქართველებად“ იქცნენ. ასე რომ XIII ს. მხარგრძელთა ფეოდალური სახლები ივანესი თუ შანშესი „სჯულითაც ქართველთა“ ფეოდალურ სახლებს, საგვარეულოებს წარმოადგენდნენ. ამიტომაა, რომ ჟამთააღმწერელი არსად არაფერს ამბობს ივანეს, ავაგის, შანშეს, ვარამის თუ მათ მემკვიდრეთა განსხვავებული „სჯულის“ შესახებ და მათ ყოველთვის ჩვეულებრივ, სხვა ქართველ მთავრებთან, თავკაცებთან თუ წარჩინებულებთან ერთად ასახელებს [1].

საინტერესოა ჟამთააღმწერლის მონაცემები აგრეთვე მხარგრძელთა გვარსახელებისა, ფეოდალური სახელებისა და მათი „ქვეყნების“, „მამულების“ შესახებ, რომლებიც ცხადია, ისტორიკოსს მხოლოდ საქართველოში ეგულება და არა სხვაგან [2]. ჟამთააღმწერლის ცნობებიდან კარგად ირკვევა, რომ XIII ს-ში თანდათან ჩამოყალიბდა მხარგრძელთა ძირითადი შტოს ორი ფეოდალური სახლი — „ავაგის სახლი“, თავისი „ქვეყნებითურთ“ და „შანშეს სახლი“ თავისი „ქვეყნებითურთ“. ასე რომ მხარგრძელთა ერთიანი ფეოდალური სამფლობელოს არსებობის შესახებ ლაპარაკი, ივანე მხარგრძელის სიცოცხლეშიც კი, შეუძლებელია; რაც მთავარია, ჟამთააღმწერლის ცნობების მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ იმ შინაგან და შენიღბულ ბრძოლას, რასაც ადგილი ჰქონდა ამ ორ — შანშესა და ავაგის ფეოდალურ სახლებს შორის; პირველ ხანებში, ივანე მხარგრძელის სიცოცხლეში, ეს ბრძოლა ივანე – ავაგის სახლის სასარგებლოდ მიმდინარეობდა, ხოლო შემდეგ, მიუხედავად ავაგის დიდი თანამდებობისა (ათაბაგი, ამირსპასალარი) და გავლენისა, გამარჯვების სასწორი შანშეს სახლისაკენ გადაიხარა. ამ ბრძოლაში შანშეს სახლის გამარჯვება ჯერ კიდევ ავაგის სიცოცხლეშივე სავსებით დაადასტურეს თვით მონგოლებმაც, როცა შანშეს საგანგებოდ „ხელთ უდევეს ავაგის მამული“ [3].

ჟამთააღმწერელს ცნობები მოეპოვება აგრეთვე მხარგრძელთა სახლის დაპირისპირებისა და ბრძოლის შესახებ სხვა ქართულ ფეოდალურ სახლებთან საქართველოს სამეფო კარზე პირველობისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შალვა და ივანე ახალციხელ-თორელთა სახლის წინააღმდეგ ივანე მხარგრძელის ბრძოლის მასალები და პირველთა არსებითად გახადგურება მხარგრძელთა სახლის მიერ.

ჟამთააღმწერლის ცნობები განსაკუთრებით საინტერესოა აგრეთვე საქართველოს სამეფო ხელისუფლებისა და მხარგრძელთა ფეოდალური სახლის ურ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 155, 212, 217, 222, და სხვ.

[2] იქვე, გვ. 225.

[3] იქვე, გვ. 208.

თავერთობის ისტორიის თვის, ასეკე მს რგრძელთა ფეოდალური სახლების სეპაოატისტურ ძისყოაფეებათა შესასწავლად, რაც ასე აშკარა გახდა მონოოლთა გაბრჩენისა და გაბატონების დროიდან და სხვ.

როგორც ვხედავთ, ჟამთააღმწეოლის მრავალმხრივ საინტერესო ცნობები არსებითად ავსებენ, აგროძელებენ და დასოულებულ სახეს აძლევენ თამარის ისტორიკოსების მონაცემებს მხარგრძლების შესახებ. ას რომ ჟამთააღმწერლის ცნობებ ს გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია XII XIII სს. დიდ პოლიტიკურ მოღვაწეთა – მხარგრძელთა როლის შესწავლა ფეოდალური საქართველოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამრიგად, ქართული ნარატიული წყაროები, კერძოდ თამარის ისტორიკოსების, ლაშა გიორგის მემატიანისა და ჟამთააღმწერლის თხზულებანი უხვ მასალებს გვაწვდიან მხარგრძელთა ვინაობისა და მათი საგვარეულოს ისტორიის შესახებ. მათი მონაცემების მიხედვით თ თქმის ზედმიწევნით შეიძლება წარმოვიდგინოთ საქართველოს სამეფო კარზე მხარგრძელთა დაწინაურების დრო და პირობები, ამ საგვარეულოს როლი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, მხარგრძელთა ისტორია ჩამოყალიბებიდან გაქრობამდე. ამიტომ ვანიშვებთ ქართულ ნარატიულ წყაროებს უპირველეს და გადამწყვეტ მნიშვნელობ ს მხარგრძელთა ისტორიის შესწავლაში.

მაგრამ ქართული ნარატიული წყაროები მაინც არ არის უნაკლო და ერთადერთი. რა თქმა უნდა, ქართულ წყაროებში ყოველთვის ვერ ვიპოვით საჭირო ცნობებს ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. ქართული ნარატიული წყაროების ამ ნაკლს, სამწუხაროდ, ვერ აესებს ვერც ქართული დოკუმენტური და ვერც ეპიგრაფიკული მასალები. როგოოც ცნობილია, XII XIII სს. ქართული დოკუმენტური მასალა ძლიერ ნაკლულია, ამ მხრივ ბევრი არაფერი შემოგვრჩა (მით უფრო მხარგრძელთა შესახებ). იგივე შეიძლება ითქვას ქართულ ეპიგრაფიკულ წყაროთა მონაცემებზე მხარგოძელების შესახებ. ის მცირე მასალა, დოკუმენტური თუ ეპიგრაფიკული, რაც ამ მხრივ მოგვეპოვება, ჩვენ მიერ ზემოთ უკვე გამოყენებული იყო და, ცხადია, ქვემოთაც შეძლების დაგვარად იქნება გათვალისწინებული.

ქართული წყაროების გარდა მხარგრძელთა შესახებ უხვ ცნობებს გვაწვდის სომხური საისტოოიო მწერლობა და განსაკუთრებით სომხური ეპიგრაფიკული ძეგლები. განვიხილოთ მათი მონაცემებიც.

სომხურ ნარატიულ წყაროთა შორის ყველაზე უხვ ცნობებს მხარგრძელთა შესახებ გვაწვდის, კირაკოს განძაკეცის „ისტორია".

კირაკოს განძაკეცი, მოღვაწეობის დროის მიხედვით, არ იყო მხარგრძელთა უფროსი თაობის წარმომადგენელთა (სარგისი, ზაქარია, ივანე) თანამედროვე. მას შეიძლება ივანე მხარგრძელის უმცროსი თანამედროვე, უფრო კ ავაგ და შაწიე მხარგრძელთა თანამედროვე ვუწოდოთ.

მიუხედავად ამისა, კირაკოს განძაკეცი, როგორც ჩანს, კარგ დ იცნობდა ყველა იმ წყაროს, რაც კი მხარგრძელთა უფროსი თაობის შესახებ არსებობდა. კირაკოსს ცნობები მოეპოვება არა მარტო სარგისისა და მისი შთამომაელობის, არამედ სარგისის წინაპართა შესახებაც. კირაკოსი არის, ჩვენი აზრით, პირველი აეტორი სომხურ საისტოოიო მწერლობაში , რომელმაც მიუთითა მხარგრძელთა ქურთულ წარმოშობაზე.

კირაკოსს, გარდა იმისა, რომ „ისტორიაში" არაერთგან აქვს საუბ რი ზაქარიასა და მისი ძმის ივანეს შესახებ, საგანგებო თაეებიც კი გამოუყვია მხარგრძე

ლებზე ასე შეგალითად: „აი მოსავლეთ სომხეთის ერშხანებს ზაქარესა და მისი ძმის ივანეს შესახებ", „კოების ძესახებ, რომელ ც სულ ერთ ძალზე სიდიდე საკითხის გამო", „ძხედართმთავრის ზაქარეს გარდაცვალების შესახებ", „იშხან შაჰანშასა და მისი ძეების ზაქარეს სიკვდილის შესახებ" და სხვ. სემოდასახელებული საგანგებო თაეები და ზოგი სხეაც, როგორც ვხედავთ, უძთავრესად მხედრძალთა სხვადასხვა სახის საქმიანობას ეძღვნება და შესანიშნავ მასალას გეაწვდის მხარგრძელთა ადგილისა და მდგომარეობის შესახებ საქართველოს სამეფო კარზე, მხარგრძელთა სარდლობითა და მონაწილეობით შემოერთებულ სომხურ ტერიტორიებზე და სხვა. განსაკუთრებით საინტერესოა კირაკოსის ცნობები საქართველოს სამეფოს საეკლესიო პოლიტიკის შესახებ სომხეთში და მხარგრძელებისა და საერთოდ სომეხი თავადაზნაურობის წარმომადგენელთა დამოკიდებულება მისდამი. კირაკოსის ცნობები ამ მხრივ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არაეთ საკითხს ჰფენს ნათელს ქართულ სომხური უოთიერთობის ისტორიიდან და, ამას გარდა, კარგად გვიხატავს თვით კირაკოსის დამოკიდებულებას საქართველოს სამეფო კარისა და მხარგრძელებისადმი.

კირაკოსი, ცხადია, მტრული თვალით უყურებდა საქართველოს სამეფო ხელისუფლების იმ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავდა სომეხი ხალხის სარწმუხოებრივ გაქართველებას, გათქეფას, შეიწუმას: ამიტომაა, რომ კირაკოსი აუგად იხსენიებს თით ივანე მხარგრძელს, რომელიც მხოლოდ „ადამიანური დიდებისათვის" გაქართველდა და არა „ღვთის დიდებისათვის".

კირაკოს განძაკეცი ასეთ დამოკიდებულებას საქართველოს მეფისა და მისი პოლიტიკისადმი, საეოთოდ საქართველოს ძმართველი ზედაფენისადმი, ზოგჯერ აერცელებდა თით ქართველ ხალხზეც, რაც მის ნაშრომს თავისთავად ტენდენციურ ხასიათს აძლეედა. აი, სწორედ ეს გასასხვავებს კირაკოსის შეხედულებას ქართველ ისტოროკოსთა თვალსაზრისისაგან, რომლის მისედვითაც ამა თუ იმ პიროვნების მოღეაწეობის შესაფასებლად რელიგიურ (ამ შემთხვევაში სომხურ) რწმენას გადამწყეტი მნიშვნელობა არ შეიძლებოდა ჰქონოდა. კირაკოსი, როგორც მისი თხზულებიდან ჩანს, უკმაყოფილია თვით ქართველ მხარგრძელის პოლიტიკისაც, მაგრამ მხარგრძელები მაინც მისი ქების ობიექტები არიან. კირაკოსი, შეიძლება ითქვას, ეოთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც ერთგვარი დასაბამი მისცა საეოთოდ მხარგრძელთა იდეალიზაციას, მათი როლის გადაფასებას. ყოველივე ამან, ბუნებრივია, გაელენა მოახდინა არა მარტო კირაკოსის მომდევნო ხანის, არამედ ზოგ შემთხვევაში თანამედროვე ისტორიოგრაფიაზეც.

მაგრამ, მიუხედავად ამ ნაკლოვანი მხარეებისა, კირაკოსის „ისტორია" უხვი და ძვირფასი წყაროა XII ს. მიწურულისა და XIII ს. პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიისა და კერძოდ მხარგრძელთა ვინაობის, ადგილისა და როლის შესასწავლად.

XII ს. საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა აგრეთვე ვარდან დიდის (აღმოსავლელის) „მსოფლიო ისტორია". ვარდანიც XIII ს. მეორე ნახევრის, კირაკოსის თანამედროვე ავტორია, მაგრამ მასზე დამოკიდებული არ არის. თუმცა, როგორც ჩანს, ორივე ისტორიკოსს მხარგრძელების შესახებ საეოთო წყაროებიც აქვთ.

მართალია, ვარდანს კირაკოსის მსგავსად საგანგებო თაეები არა აქვს გამოყოფილი მხარგრძელების შესახებ, მაგრამ მისი ცნობები არანაკლებ საინტერესო და უხვია. ვარდანი მეტად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის XII ს-

ის საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის და ამასთან დაკავშირებით თვით მხარგრძელთა შესახებაც.

საგარეო ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ვარდანის ცნობები ანისისათვის ბრძოლის თაობაზე. მისი მოხსენიებები ამ მხრივ საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ არა მარტო საკუთრივ ანისის ისტორია, არამედ აგრეთვე საქართველოს მეფეთა (დემეტრე I, გიორგი III) დამოკიდებულება ანისისადმი და ამასთან დაკავშირებით მხარგრძელთა თანდათან დაწინაურება. საინტერესოა, რომ, ვარდანის მოწმობით, მხარგრძელთა პირველი მნიშვნელოვანი თანამდებობა საქართველოს სამეფო კარზე ანისის გამგებლობა იყო. ვარდანი საყურადღებო ცნობებს გვაწვდის სარგის მხარგრძელის ვინაობის შესახებ; ამ მხრივ ყურადღებას იქცევს მისი ცნობა სარგისის იმავე საგვარეულოსადმი კუთვნილების, რომლის წარმომადგენელიც იყო მისი წინაპარი საქარე. აღსანიშნავია, რომ ვარდანის ეს ცნობა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ყოველთვის მართებულად ვერ არის კომენტირებული თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში.

ვარდანი, ამას გარდა, საგანგებოდ ჩერდება მხარგრძელთა ქურთული წარმოშობისა და მისი ძორაკერტში გადმოსახლების დროისა და პირობების საკითხზე. აღსანიშნავია, რომ, ვარდანის მიხედვით, მხარგრძელების დაწინაურება განსაკუთრებით მას შემდეგ იწყება, რაც ზაქარია და ივანე ხოკორნიდან ლორეში გადაიყვანეს, ე. ი. თამარის დროიდან, თუმცა, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ამ შემთხვევაში ვარდანი სიზუსტეს ვერ იცავს.

ვარდანს, ისე როგორც ყველა ამ დროის სომეხ ისტორიკოსს, ვარაუდობლად აწუხებს ივანე მხარგრძელის რელიგიური გაქართველება და აგრეთვე თვით ზაქარიას მერყეობაც სომხურ და ქართულ სარწმუნოებას შორის, კერძოდ მის მიერ საეკლესიო კრებების მოწვევა სომხური ეკლესიის ქართულთან დაახლოება-დაკავშირების მიზნით, აგრეთვე ზოგიერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, შეტანილი სომხურ რელიგიურ დოგმატებში. ვარდანი კარგად ხედავდა იმ შედეგებსაც, რომლებიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ზაქარია მხარგრძელის ასეთ რელიგიურ პოლიტიკას. მაგრამ იგი მაინც კმაყოფილი იყო იმით, რომ ზაქარია საფლავში თავისი (სომხური) რწმენით ჩავიდა და სანაინის ანტიქალკედონურ ტაძარში დაიმარხა. თუმცა ვარდანი ვერ მალავს გულისტკივილს ზაქარიას ერთადერთი მემკვიდრის შანშას (შაჰანშაჰის) ბერძნულ სარწმუნოებაზე მოქცევის გამო. ამით ფაქტიურად სრულდებოდა პროცესი მხარგრძელთა ორივე შტოს რელიგიურადაც გაქართველებისა, რაც საბოლოო მიუღებელი ჩანდა იმდროინდელი სომხური საეკლესიო მმართველი ზედაფენისათვის.

განსაკუთრებით საინტერესოა აგრეთვე ვარდანის ცნობები ზაქარიასა და ივანეს მემკვიდრეთა შესახებ, კერძოდ კი მის მიერ მოცემული განმარტება „შაჰინ-შაჰის“ ტიტულისა. ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სამეფოში მხარგრძელთა ადგილის განსასაზღვრად.

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე სათანადო ცნობები მოეპოვება აგრეთვე XIII ს. მეორე ნახევრის სომეხ ისტორიკოსს სტეფანოს ორბელიანს. როგორც ცნობილია, მისი თხზულების ერთ-ერთ უმთავრეს საგანს ორბელთა საგვარეულოს ისტორია შეადგენს მაგრამ რაკი ორბელთა ისტორია მჭიდროდ უკავშირდება XII– XIII სს. საქართველოს ცნობილი საგვარეულოების ისტორიას. ბუნებრივია, სტეფანოს ორბელიანი პირველ რიგში სწორედ იმ საგვარეულოს ეხება, რომელმაც საქართველოს სამეფო კარზე XII ს. 80-იანი წლებიდან ორბელთა ადგილი დაიჭირა. ეს კი მხარგრძელთა საგვარეულო იყო ამიტომაა, რომ სტე-

ფანოს ორბელიანს მხარგრძელთა შესახებ ცნობები მოეპოვება საქართველოს სამეფო კარზე მათი გამოჩენიდან, კერძოდ ორბელთა აჯანყებაში მონაწილეობიდან მოკიდებული, ვიდრე მხარგრძელთა საგვარეულოს გაქრობამდე.

სტეფანოს ორბელიანის ცნობები საინტერესოა მხარგრძელთა ვინაობის გასარკვევადაც. მისთვის კარგადაა ცნობილი პირველი მხარგრძელის, კერძოდ ზაქარიას ვინაობა და მისი შვილის სარგისის დაწინაურების დრო და პირობები. განსაკუთრებით საყურადღებოა სტეფანოს ორბელიანის ცნობები XII—XIII სს. საქართველოს მსხვილ ფეოდალურ საგვარეულოთა მხარგრძელებისა და ორბელებს, კერძოდ ავაგისა და ელიგუმის, გვანცასა და სუმბატის და სხვათა ურთიერთბრძოლის შესახებ, რაც საბოლოოდ ორბელთა გამარჯვებით დასრულდა.

მართალია, სტეფანოსის მიერ გადმოცემული ეს ეპიზოდები სცილდება ჩვენი კვლევის ქრონოლოგიურ საზღვრებს, მაგრამ მათზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია, მით უფრო, რომ საშუალება გვეძლევა თვალი გადავავლოთ მხარგრძელთა საგვარეულოს ცალკეული ფეოდალური სახლების ჩამოყალიბების პროცესს და საქართველოს სხვა ფეოდალურ სახლებთან მათი ურთიერთობის შედეგებს. რაც მთავარია, სტეფანოს ორბელიანის ცნობიდან ისიც კარგად ჩანს, რომ მხარგრძელთა ფეოდალური სამფლობელოები „ავაგის სახლი“ (*տունն Աւագեան*), „შაჰანშაჰის სახლი“ (*տունն Շահանշահէա*) თუ „გაგელებისა“ (*Գագեցին*)[1] სხვა არაფერი იყო, თუ არა ჩვეულებრივი ქართული საფეოდალოები, ფეოდალური საგვარეულო სახლები, რომლებიც მრავლად იყო იმდროინდელ საქართველოს სახელმწიფოში. როგორც ჩანს, მხარგრძელთა სეპარატისტული მისწრაფებანი და დაუნდობელი ბრძოლა სხვა ფეოდალთა წინააღმდეგ ვერ გასცილდა ფეოდალური სახლების ჩამოყალიბების ფარგლებს; სტეფანოსის მონაცემებით, სავსებით ზედმეტია ლაპარაკი იმდროისათვის რაიმე დამოუკიდებელი სომხური პოლიტიკური (სახელმწიფოებრივი) ერთეულების არსებობის შესახებ. ზემოაღნიშნულის გარდა, სტეფანოს ორბელიანი გვაწვდის საინტერესო მასალას საქართველოს სამეფო დედაქალაქ თბილისის, სამეფო არქივის ძველი და ახალი საგადასახადო დავთრებისა და ამ დავთრებში შეტანილი სომხური ეკლესია-მონასტრებისა თუ მიწების თაობაზე.

ყოველივე ამას კი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მიერ შემოერთებული სომხური პროვინციების სტატუსის გასარკვევად. ამრიგად, სტეფანოს ორბელიანის პირდაპირი თუ არაპირდაპირი ცნობები მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევს არა მარტო მხარგრძელთა ვინაობის, არამედ აგრეთვე საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში მათივე თაოსნობით წარმოქმნილი ფეოდალური ერთეულების ადგილისა და როლის გასარკვევად.

სომხურ ნარატიულ წყაროთაგან მხარგრძელთა შესახებ სწორედ ზემოგანხილული სამი ავტორი იძლევა ძირითად ცნობებს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ მხარგრძელთა ვინაობას ან მათ პოლიტიკურ საქმიანობას სხვა ისტორიკოსები არ შეხებიან. XIII ს. თუ შემდეგი ხანის არაერთი სომეხი ისტორიკოსი შეხებია გაკვრით თუ არსებითად მხარგრძელებს (მაგ., გრიგოლ აკანეცი — ივანე და ავაგ მხარგრძელებს). ზოგს მცირე რამ ახალი მასალაც მოუტანია მათი მოღვაწეობის შესახებ, ზოგი კი ზემოდასახელებულ ისტორიკოსთა მონაცემების გამეორებით დაკმაყოფილდა ამიტომ ყოველი მათგანის მოხსენიება და მათ-

[1] ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიგნიეთის ისტორია (სომხ.), გვ. 426.

სე საგანგებოდ შეჩერება ამჯერად ზედმეტად მიგიჩნიეთ. მაგრამ არ შეიძლება ჩვენდა ავუაროთ XVII ს. სომეხი ისტორიკოსის ზაქარია კანაკერცის „ქრონიკის“ და ზოგ მის მასალას მხარგრძელთა შესახებ. ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა ზაქარია კანაკერცის „ქრონიკის“ მესამე წიგნი, რომლის ერთ-ერთი თავი საგანგებოდ შეეხება „მხედართმთავარ ზაქარიას“, როგორც ოვანავანქის აშენების ერთ-ერთ ინიციატორს. ზაქარია კანაკერცის „ქრონიკის“ ამ ნაწილისადმი ინტერესს განსაკუთრებით ისიც აძლიერებს, რომ ავტორს მასში შეტანილი აქვს ოვანავანქის ტაძრის წარწერები, რომელთა ერთი ნაწილი ზაქარიას „ქრონიკის“ გამომცემლის მიხედვით, დღემდე მხოლოდ კანაკერცის თხზულებამ შემოგვინახა[1]. ზაქარიას თხზულებაში შემონახული ზოგი წარწერა კი შეიცავს მეტნაკლებად მნიშვნელოვან მასალას მხარგრძელთა შესახებაც. ეს კიდევ უფრო ზრდის კანაკერცის თხზულების მეცნიერულ ღირებულებას.

აღსანიშნავია, რომ ზაქარია კანაკერცი მხარგრძელთა ვინაობის შესახებ, როგორც თვითვე მიუთითებს, ძირითადად იმეორებს კირაკოს განძაკეცის მონაცემებს, მაგრამ კირაკოსის და ზაქარიას ცნობების ურთიერთშედარება ცხადყოფს, რომ ამ უკანასკნელს, როგორც ნაჩვენები იქნება, ზოგ შემთხვევაში განსხვავებული საინტერესო მასალაც მოეპოვება მხარგრძელთა ვინაობისა და დაწინაურების დროის შესახებ. ასე რომ ზაქარია კანაკერცის თხზულება, მიუხედავად იმისა, რომ გვიან შუა საუკუნეებს ეკუთვნის და ქრონოლოგიურად საკმაოდ დაშორებულია მხარგრძელთა მოღვაწეობის დროს, მაინც მნიშვნელოვანია ჩვენთვის და სათანადოდ იქნება კიდეც გათვალისწინებული.

სომხურ საისტორიო წყაროთა შორის ჩვენთვის საინტერესო საკითხზე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მდიდარი სომხური ეპიგრაფიკული მასალა. აღსანიშნავია, რომ სომხური წარწერები, მათი მონაცემების თავმოყრა და გამოყენება, ადრევე იყო სომეხ ისტორიკოსთა ზრუნვის საგანი. X ს. მოკიდებული, სომეხი ისტორიკოსები მოვესე კალანკატვაცი, სტეფანოს ორბელიანი, კირაკოს განძაკეცი, ზაქარია კანაკერცი, სიმეონ ერევანცი და სხვები თავიანთ შრომებში იყენებდნენ ლაპიდარულ წარწერებს, იმოწმებდნენ და თავს უყრიდნენ მათ, და ეს იმიტომ, რომ სომხურ საისტორიო წერილობით წყაროთა შორის ეპიგრაფიკას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს როგორც თავისი სიძველით, ასევე ისტორიული ხასიათის მონაცემთა სიუხვითაც. სომეხთის ამა თუ იმ ეპოქის ისტორიის სრულყოფილი შესწავლა შეუძლებელია ეპიგრაფიკის გათვალისწინების გარეშე. სომხური ეპიგრაფიკა დიდმნიშვნელოვან მასალას გვაწვდის თვით საქართველოს (განსაკუთრებით XII –XIII სს.) ისტორიის შესახებ.

XIX ს-დან ინტენსიურად დაიწყო სომხური ეპიგრაფიკული მასალის შეკრება და გამოქვეყნება. ამ მხრივ სომხურ ისტორიოგრაფიას დიდი ღვაწლი დასდებს ს. ჯალალიანცმა, მ. ემინმა, ე. ლალაიანმა, ალიშანმა, ტერ-ოვანესიანმა, ხ. კუჩუკ-ოანესიანმა, კონსტანიანცმა და სხვებმა.

საქართველოს ისტორიის მკვლევართა შორის მ. ბროსე პირველი იყო, რომელმაც უხვად გამოიყენა სომხური ეპიგრაფიკის მონაცემები საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ პერიოდის გასაშუქებლად.

სომხური წარწერების მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემის საქმეში დიდ მუშაობას ატარებს კ. ლაფადარიანი, რომელმაც ცალკე წიგნებად, კრებულებად გამოსცა ოვანავანქის, ჰაბატის და სანაინის ტაძრების წარწერები. ამასთანავე,

[1] ზაქარია კანაკერცი, ქრონიკი (რუს.), გვ. 25—26.

უკანასკნელ ხანებში დაიწყო აგრეთვე სომხური წარწერების სრული კრებულის — კორპუსის „ძველი სომხური ქრისტიანული“ გამოცემა. ამას გარდა, სხვადასხვა დროს სომხური ეპიგრაფიკული მასალა სათანადო შენიშვნებით გამოქვეყნებული აქვთ ი. ორბელს, ლ. მელიქსეთ ბეგს, ს. ერემიანს და სხვებს.

სომხური წარწერები მდ დარი დოკუმენტური წყაროა ჩვენთვის საინტერესო პრობლემებისთვისაც. ეპიგრაფიკის მონაცემების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია თითქმის ზუსტად აღვადგინოთ მსარგრძელთა არა მარტო გენეალოგია, არამედ აგრეთვე მათი დაწინაურების სურათიც. სომხური ეპიგრაფიკა მდიდარ მასალას შეიცავს აგრეთვე სომხეთში მხარგრძელთა მფლობელობის ფორმების და საქართველოს სამეფო ხელისუფლებასთან მათი დამოკიდებულების შესასწავლად.

მხარგრძელების შესახებ არსებული სომხური ეპიგრაფიკა არსებითად ორ ძირითად ნაწილად იყოფა: პირველი და უმთავრესია ის, რომელიც თვით მხარგრძელების მიერ არის გაკეთებული და არსებული წესების, იმდროინდელი სახელმწიფოებრივი სამართლის ნორმების მიხედვით არის შედგენილი; მეორე კი ისაა, რომელიც სხვადასხვა პირთა (მცირე თუ შედარებით დიდ ფეოდალთა ან მოხელეთა, შემწირველთა თუ მშენებელთა) მიერ არის გაკეთებული და სადაც სხვა მოხელეებთან ერთად მხარგრძელები არიან მოხსენიებულნი, როგორც იმ კუთხის გამგებელნი. მეორე ჯგუფის წარწერები ყოველთვის არ არის შესრულებული არსებული ნორმების მიხედვით და, ბუნებრივია, არ შეიძლება ისეთივე მნიშვნელობის წყაროდ მივიჩნიოთ, როგორც პირველი ჯგუფისა.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ყოველთვის არ გამოყოფენ ერთიმეორისაგან, ასეთი სახის ეპიგრაფიკულ მასალას, არ მიჯნავენ თვით მხარგრძელთა მონაცემებს სხვათა მონაცემებისაგან.

ამას გარდა, სომხური ეპიგრაფიკული მასალის ჯეროვნად გამოყენებას ხელს უშლის ხშირ შემთხვევაში მათი დაუთარიღებლობა ან თარიღთა დადგენისას მკვლევართა მიერ დაშვებული შეცდომები, რომლებიც, სამწუხაროდ, უმეტესად უცვლელად არის დატოვებული უკანასკნელ კრიტიკულ-მეცნიერულ გამოცემებშიც, თუმცა ამა თუ იმ წარწერის დამთარიღებელი მასალა ან თვით წარწერებშიცაა მოცემული, ანდა პარალელურ სოძხურსა თუ განსაკუთრებით ქართულ ნარატიულ წყაროებში. მართალია, ზოგი მათგანი შედარებით დაზუსტებულია, მაგრამ უმეტესობა მაინც მეცნიერებას საჭიროებს.

რა თქმა უნდა, ძნელია უშეცდომოდ დათარიღება ისეთი მდიდარი და მრავალფეროვანი მასალისა, როგორიც სომხური ეპიგრაფიკაა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამის გამო მათი მეცნიერული ღირებულება საგრძნობლად კლებულობს. შემთხვევითი როდია, რომ ქართულსა და სომხურ ისტორიოგრაფიაში არასწორად დათარიღებული ესა თუ ის წარწერა არაერთნელ ქცეულა უმართებულო მსჯელობისა და დასკვნის საფუძვლად. ამიტომაა, რომ სანამ ამა თუ იმ ეპიგრაფიკულ მასალას გამოვიყენებდეთ, პირველ რიგში უნდა ვიფიქროთ მის შედარებით ზუსტ დათარიღებაზე.

მიუხედავად მსგავსი ნაკლოვანებებისა, რომელიც საერთოდ დამახასიათებელ ა ეპიგრაფიკული მასალისათვის, XII XIII სს. სომხური ეპიგრაფიკა უძვირფასეს წყაროდ რჩება ამაღე ხანის საქართველოს ისტორიისათვის საერთოდ. და, კერძოდ, ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის მხარგრძელთა ვინაობის, და როლის შესწავლის თვის. ამიტომ შეეცადეთ სომხური ეპიგრაფიკის მონაცემები შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად გამოგვეყენებინა და შესაძლე-

აელ შემთხვევაში სინათლე შეგვეტანა დღემდე შეუსწავლელი ზოგი კონკრეტული საკითხის კვლევაში.

ზემოგანხილულ უმთავრეს წყაროებს გარდა, ცხადია, ჩვენ გამოვიყენეთ სხვა ხელმისაწვდომი, შედარებით ნაკლებშესწავლილი მასალაც, როგორიცაა მხარგრძელების წერილები. მინაწერები თუ ხელრთვები და სხვ. ამ სახის მასალათა შორის აღსანიშნავია ბაკურძელების სელრთვები ქართულ დოკუმენტებზე, რუსუდან მეფისა და ივანე მხარგრძელის წერილები რომის პაპისადმი, ოომის პაპის ჰორორიუს III ის პასუხი „სახელოვან ივანეს, საქართველოს მხედართმთავარს“ და ზოგი სხვაც. მ გრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული დოკუმენტური მასალა XII XIII სს ისა (კერძოდ, მხარგრძელების შესახებ) ერთობ მცირეა.

ამჯერად საგანგებოდ არ ვეჩერდებით აგრეთვე ისეთ ქართულ სომხურ წერილებზე, რომლებიც ზოგ შემთხვევაში შეიცავენ არაპირდაპირ ცნობებს, მაგრამ მათი გათვალისწინება მაინც აუცილებელია. ასე მაგ., მხარგრძელთა საკითხისათვის, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს „ვაჰანის ქვაბთა განგებას“, მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკას“, განსაკუთრებით ტრაქტ ტს „ქართველთათვის“ და ასევე მის სამართლის წიგნს. მხითარ გოშის ცნობებს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართულ-სომხური საეკლესიო ურთიერთობის, არამედ თვით საქართველოს მეფეებთან (თამარი, დავითი) მხარგრძელთა, როგორც მოხელეთა, დამოკიდებულების შესასწავლადაც.

მხარგრძელთა შესახებ ზოგი საინტერესო მასალა მოეპოვებათ უცხო ავტორებსაც. ამათგან აქ შეიძლება მოვიხსენიოთ გუილიომ რუბრუკველის „მოგზაურობაში“ დაცული ცნობა მისი შეხვედრის შესახებ „ძლიერ ქართველ“ ფეოდალთან შანშე მხარგრძელთან და მის შვილ ზაქარიასთან. რუბრუკვისს საინტერესო ცნობა მოეპოვება მხარგრძელთა სომხეთში დამკვიდრებისა და მათი მდგომარეობის შესახებ მონგოლთა ბატონობის დროს.

უცხო ავტორთა შორის ყურადღებას იქცევს აგრეთვე ან-ნასევის ცნობები „ჯალალედინის ცხოვრების აღწერასთან“ დაკავშირებით, „ბაჰრამ ქართველის“, „ავაგ ივანეს ძე ქართველის“ და სხვათა შესახებ. ჩვენ მიერ გათვალისწინებულია აგრეთვე ზოგი სხვა მსგავსი წყაროც, რომელთა შესახებ ამჟამად სიტყვას არ გავაგრძელებთ.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სამეფო კარზე მხარგრძელთა დაწინაურების, მათი ადგილისა და როლის შესასწავლად ძირითადი მაინც ქართული და სომხური ნარატიული წყაროები და სომხური ეპიგრაფიკის მონაცემებია.

ბ) ისტორიოგრაფია

„მხარგრძელების საკითხი“ სომხურსა თუ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არც ისე დიდი ხანია, რაც საგანგებო შესწავლის საგნად არის ქცეული. „მხარგრძელების პრობლემა“ არ იდგა XII—XIII სს. ქართული საისტორიო მწერლობის წინაშე. მხარგრძელების, ისე როგორც XII—XIII სს. საქართველოს სხვა ხელისუფალთა, საკითხი საგანგებო ყურადღების საგანი არ ყოფილა XVIII ს. ქართული ისტორიოგრაფიისთვის, კერძოდ, ვახუშტი ბაგრატიონისთვისაც. იგი „მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ს“ საქართველოს „ძველ მთავართა“ ვერაებს (ქობულისძე, ბაღვაში, მარუშისძე, ქასპირისძე, ვარდანისძე და სხვ.) შორის მეცხრე ადგილზე ასახელებდ

„მხარგრძელთა პრობლემა", როგორც ჩანს, არ დასმულა არც XIX ს. პირველი ნახევრის თავადაზნაურულ ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ საკითხს საგანგებოდ არ შეხებიან დავით, იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონები თავიანთ მრავალრიცხოვან წერილებსა და ნაშრომებში, მიუხედავად იმისა, რომ მათ (განსაკუთრებით თეიმურაზ ბატონიშვილს) არაერთხელ წამოუჭრიათ ქართველ სომეხთა ისტორიული ურთიერთობის საკითხები საერთოდ.

ამრიგად, ძველი და XIX ს. პირველი ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიისათვის არ არსებობდა „მხარგრძელთა პრობლემა" და თუ მას გაკვრით შეეხებოდნენ, ეს საკითხი ფეოდალური ხანის ისტორიოგრაფიის მიერ განიხილებოდა, როგორც ნაწილი მსხვილი ქართული ფეოდალური საგვარეულოების ისტორიისა.

საქართველოს ისტორიის მკვლევართა შორის მ. ბროსე პირველი იყო, რომელმაც სცადა ქართულ-სომხური წყაროების საფუძველზე შეესწავლა XII– XIV სს. საქართველოს სახელმწიფოს მსხვილი ფეოდალური, და მათ შორის მხარგრძელთა (მ. ბროსეს მიხედვით, – „მხარგოძელიძეთა"), საგვარეულოს ისტორია.

მხარგრძელთა შესახებ მასალები მ. ბროსეს უხვად აქვს მოტანილი თავის ცნობილ „დამატებებსა და განმარტებებში", კერძოდ XVII დამატებაში[1]. მხარგრძელთა წარმომავლობისა და მათი მოღვაწეობის შესასწავლად მ. ბროსეს, ქართული ნარატიული წყაროების გარდა, გამოყენებული აქვს სომეხი ისტორიკოსების ვარდანისა და სტეფანოს ორბელიანის მონაცემები; მაგრამ რაკი, მისი სიტყვით, „მაგარ საგნებზე გაკეთებული წარწერები" უფრო სანდოა, ვიდრე ისტორიკოსთა მონათხრობი, იგი მხარგრძელთა ვინაობის შესასწავლად გადამწყვეტ მნიშვნელობას მაინც წარწერებს ანიჭებდა. ამიტომაა, რომ მ. ბროსეს მიერ გამოყენებულია მისი დროისათვის გამოქვეყნებული თუ საერთოდ ცნობილი ყველა სომხური წარწერა, კერძოდ აღბატის, აღარწინის, სანაინისა და სხვა წარწერები. შეიძლება ითქვას, რომ მ. ბროსეს შემდეგ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე მოპოვებულ იქნა ზოგი ახალი წყარო, ამას გარდა არაერთი წარწერის მონაცემი თუ თაიღი დაზუსტდა და ამით მნიშვნელოვნად შეეწყო ხელი მხარგრძელთა წარმომავლობისა და დაწინაურების დროისა და პირობების გარკვევას.

მ. ბროსე საინტერესო მსჯელობას მართავს საქართველოს სამეფო კარზე მხარგრძელთა გამოჩენის დროის განსაზღვრის თვალსაზრისით. სხვადასხვა სახის მასალების ანალიზის საფუძველზე მ. ბროსე საქართველოს სამეფო კარზე დაწინაურებულ მხარგრძელთა პირველი წარმომადგენლის გამოჩენას საქართველოში XI ს. მიწურულითა და XII ს. დამდეგით განსაზღვრავდა და მათ წინაპარს ხოსროვს დავით აღმაშენებლის თანამედროვედ მოიჩნევდა. აღსანიშნავია, რომ მ. ბროსემ პირველმა შეიტანა ეჭვი სანაინის 1181 და 1191 წლებისად მიჩნეული წარწერების თარიღების სისწორეში, მაგრამ ამ საკითხების განხილვისას შექმნილი „დახლართული კვანძების" გახსნას მან იმჯერად თავი აარიდა და მომავალ მკვლევრებს, მისი სიტყვით, „უფრო მოხერხებულებს" უანდერძა ამ საკითხის ბოლომდე შესწავლა.

მ. ბროსეს ეკუთვნის მხარგრძელთა ძირითადი და გვერდითი შტოს დეტა-

[1] მ. ბროსე, დამატებები და განმარტებები (ფრანგ.).

ლური გენეალოგია, რომელიც XIX და XXIV „დამატებებში“ დაიბეჭდა.[1] მხარგრძელთა გენეალოგიის შედგენის დროს მ. ბროსეს გაძოყენებული აქვს აგრეთვე კირაკოსის მონაცემებიც. შეიძლება ითქვას, რომ XIX ს. შუა წლებში შედგენილი გენეალოგია დღემდე ძირითადად ძალაში რჩება და მას არსებითი ხასიათის შესწორება არც დასჭირდება.

მხარგრძელებს მ. ბროსე შეეხო აგრეთვე „ქართლის ცხოვრების“ ფრანგული თარგმანის შენიშვნებში, საკუთრივ „საქართველოს ისტორიაში“ და ასევე ცალკეულ წერილებშიც,[2] მაგრამ მას არასოდეს დაუსვამს საკითხი მხარგრძელთა დამოუკიდებელი მმართველობის, ზაქარიანთა დინასტიის (მით უფრო სამეფო დინასტიის) არსებობის შესახებ; მ. ბროსე მხარგრძელთა მოღვაწეობას ყველგან და ყოველთვის განიხილავდა, როგორც მხოლოდ „მხარგრძელიძეების“ — საქართველოს სამეფოს თავდადებული მოხელეების მოღვაწეობას.

მ. ბროსეს შემდეგ XIX ს. მეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში მხარგრძელთა შესახებ არსებითად მეორდებოდა მ. ბროსეს მონაცემები და მოსაზრებები. საკუთრივ მხარგრძელთა ვინაობისა თუ საქართველოს სამეფო ხელისუფლებასთან მათი დამოკიდებულების საკითხი XIX ს. ძეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიას საგანგებოდ არ დაუსვამს. მაგრამ XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დამდეგს მოპოვებულ ქართულ მასალებს (თ. ჟორდანია, მ. ჯანაშვილი, ე. თაყაიშვილი და სხვ.), რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა მხარგრძელთა საკითხის შესწავლაში.

მხარგრძელებს საგანგებოდ არ შეხებია არც ახალი ქართული საისტორიო მეცნიერების სახელოვანი წარმომადგენელი ი. ჯავახიშვილი, რაკი ეს საკითხი არ იღგა არც XX ს. დამდეგს ქართული და სომხური ისტორიოგრაფიის წინაშე. ი. ჯავახიშვილი თავის „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნში მხარგრძელებს ეხება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათი მოღვაწეობა წლების მანძილზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული XII—XIII სს. საქართველოს ისტორიასთან და, ბუნებრივია, რომ ამ ეპოქის მიძოხილვასთან ერთად განიხილავდა იგი მხარგრძელთა მოღვაწეობასაც. საამისოდ ი. ჯავახიშვილს გამოყენებული ჰქონდა ყველა საისტორიო (ქართული, სომხური თუ სხვ.) წყარო. ი. ჯავახიშვილის მოსაზრებანი, მის მიერ გამოყენებული მასალები და მათზე დამყარებული დასკვნები ზოგ კონკრეტულ ისტორიულ ფაქტზე (მაგალითად ანისის საკითხი გიორგი III-ისა და თამარის მეფობის დროს), საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ როგორც საქართველოს სამეფო კარზე მხარგრძელთა დაწინაურების დრო და პირობები, ისევე მათი, როგორც მოხელეების, დამოკიდებულება საქართველოს სამეფო ხელისუფლებასთან.

ი. ჯავახიშვილს, როგორც ირკვევა, საეჭვოდ არ მიაჩნდა სომეხ ისტორიკოსთა ცნობა ძხარგრძელთა ქურთული წარმოშობის შესახებ. ამიტომაც იგი მათ „გასომხებულ ქურთებად“ და, მაშასადამე, უფრო ახლოდ აღზევებული სამგვარეულოს წარმომადგენლებად მიიჩნევდა, ვიდრე ძირძველ დიდგვაროვნებად, თუმცა თამაოის პირველი ისტორიკოსი სარგის მხარგრძელს „გუარიან“, გვარიშვილობის მქონე პირად აცხადებდა[3]. აღსანიშნავია, რომ, ი. ჯავახიშვილის მოსაზრებით, სამეფო ხელისუფლების მიერ მხარგრძელთა დაწინაურების მიზეზიც სამეფო ტახტისადმი ერთგულებაში უნდა ვეძიოთ და არა სომეხ-ქართველ

---

[1] მ. ბროსე, დასახ. ნაშრომი, გვ. 362, 417.

[2] იხ. მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1895, გვ. 158 და სხვ.

[3] ე. ჯავახიშვილი, ქეი, II, 1948, გვ. 254.

დიდებულთა დაპირისპირების ცდაში, როგორც ამას სოკი მკვლევარი ვარაუდობს. სწორედ ეს სამეფო ხელისუფლების ერთგულება იყო საფუძველი შ ი დ წინ ურებისა გიორგი III-ის დროს და არა მათი სომხობა, როგორც ამას ვარაუდობდა ს. კაკაბაძე [1].

ს. კაკაბაძის ამგვარმა მოსაზრებ ა გ ამოწვია ი. ჯავახიშვილის მოკლე, მაგრამ საკმაოდ მკაცრი შენიშვნა ჩვენთვის საისტერესო საკითხთან დაკავშირებით. ი. ჯავახიშვილმა ამავე ნაშრომში გაილაშქრა აგრეთვე საეთოდ ცალკეულ დიდ ისტორიულ პირთა და კერძოდ მსარგრძელთა როლის გადაფასების წინააღმდეგ. ეს შენიშვნაც არსებითად ს. კაკაბაძის ადრინდელ ნაშრომს შეეხებოდა და საჭიროდ მივიჩნევთ მათ საგანგებოდ განსილვასაც.

ქართველ მკვლევართა შორის ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე პირველი იყო, რომელიც საგანგებოდ დაინტერესდა მხარგრძელთა საკითხ თ. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში, 1908 წ., ნ. მარის დავალებით და ხელმძღვანელობ ით, ს. კაკაბაძეს და აღმოსავლური ენების ფაკულტეტის კიდევ ორ სტუდენტს, როგოც ეს ნ. მარის ანგარიშ დან ჩანს, საგანგებო ნაშრომები მიუძღვნიათ „ზაქარია და ივანე დოლგორუკების მოღვაწეობისადმი“. ნ. მარმა სათანადო ანგარიშთან ერთად ამ ნაშრომთა რეცენზიებიც გამოაქვეყნა; ირკვევა, რომ ს. კაკაბაძის ნაშრომმა, ზოგიერთ შენიშვნასთან ერთად, ნ. მარის დადებითი რეცენზია და მისიეე წარდგენით, ვერცხლის მედალი დაიმსახურა [2].

რამდენადაც ვიცით, ს. კაკაბაძის ეს ნაშრომი ცალკე გამოკვლევის სახით არ დაბეჭდილა, მაგრამ ამ წერილში გამოთქმულმა მისმა მოსაზრებებმა მხარგრძელთა შესახებ ასახვა პოვა ს. კაკაბაძის სხვა, განსაკუთრებით კი თამარისადმი მიძღვნილ ნაშრომებში, კერძოდ, 1912 წ. გამოქვეყნებულ შრომაში „თამარ მეფე და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში“. ამ ნაშრომის ძირითადი ნაწილი არსებითად თამარის საშინაო პოლიტიკისადმი, ამასთან დაკავშირებით მხარგრძელთა დაწინაურებისა და მათი როლის შეფასებისადმი არის მიძღვნილი.

ს. კაკაბაძემ მსჯელობა თამარის საშინაო პოლიტიკისა და მხარგრძელთა დაწინაურების მიზეზთა შესახებ, ჩვენი აზრით, თავიდანვე არასწორ საფუძველზე დააშყარა და ამიტომ არასწორი დასკვნებიც გამოიტანა. ს. კაკაბაძის აზრით, თამარის საშინაო პოლიტიკა არსებითად განსხვავდებოდა მისი მამის გიორგი III ის პოლიტიკისაგან. მისი სიტყვით, „გიორგი III-ის ტაქტიკა—დიდებულების დევნა სახელმწიფო ადგილებიდან და მათ მაგივრად უგვარო მდაბიო პირთა წამოყენება მუდმივ გასაჭირს უქადდა როგორც სამეფოს, ისე დინასტიას“ [3]. თამარი, ოა თქმა უნდა, ამას ხედავდა, მაგრამ მან ისიც კარგად იცოდა, რომ იგი ვერ დაეყრდნობოდა „იმ დიდებულთ, რომელნიც საუკუნეების განმავლობაში დინასტიას ოგულობდნენ და რომელთაც მისი (თამარის, შ. მ.) გაძლიერება თავისი წოდების პრივილეგიების დაღუპვად მიაჩნდათ“ [4]. და აი, აქ გამოჩნდა თამარს. ს. კაკაბაძის სიტყვით, „დიდი პოლიტიკური სიბრძნე“, რაც ქართველი დიდგვაროვნების მაგიერ „სომხის დიდგვაროვანი არისტოკრატიის დაწინაურებაში“ გამოიხატა. ამით თამარი, ავტორის აზრით, როგორც თავის „ტახტის საქმის მოგებას“, ასევე „ქართველ დიდებულთა დაშოშმინებას“ ცდილობდა. ამით აიხს-

---

1 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქვე., II, გვ. 292—293.

2 პეტერბურგის უნივერსიტეტის 1908 წ ანგარიში (რუს.) გვ. 77—78.

3 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, თამარ მეფე, გვ. 10.

4 იქვე, გვ. 13—14.

სება, ს. კაკაბაძის აზრით, ის, რომ „უპიოველესი ადგილები საქართველოს სა შეფოში მიეცა აზნაურების შვილებს სიმამაცით გამორჩეულებს, მხარგრძელე თა და გაგელთ...“ ამიტომ იყო, რომ „საქართველოს სამეფოს ბედს თამარის დროს და შემდეგაც განაგებდნენ მხარგრძელნი, ტომით, მ რთალია, ქურთნი, მ გრამ უკვე კ რგა ხანია გ სომხებულნი და ს რწმუნოებითაც სომეხ-გრიგორიანნი“[1]. კიდევ უფრო გასაოცარია, რომ, ს. კაკაბაძის აზრით, „ამ თავისი ბრძნული პოლიტიკით, თამარმა მოიგო ქართველ დიდებულთა გული. მათ დიდგვაროვნობას არ ეჩოთირებოდა სომხის დიდგვაროვან პირთა გამგებლობა...“[2] მაგრამ ქართველთა შორის იყვნენ უმადურნიც: „დასავლეთ საქართველოს დიდებულნი ყველაზე უფრო უმადურნი იყვნენ ტფილისის მთავრობისა“, რაკი „ცენტრალურ მართვა-გამგეობაში მ თი ადგილი დაიჭირა უცხო ტომის არისტოკრატიამ“. ეს გასდა, ს. კაკაბაძის მიხედვით, იმ ანტაგონიზმის მიზეზი, რაც საქართველოს სამეფო ტახტსა და დასავლეთ საქართველოს დიდებულთა შორის წარმოიქმნა. მაგრამ ეს ანტაგონიზმიც მალე, აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, მოისპო „პროვინციალური ავტონომიების“ ცენტრალური ხელისუფლებისადმი დამორჩილებით. ეს კი თურმე თამარმა შეძლო ათაბაგის ინსტიტუტის შემოღებით: „ათაბაგის თანამდებობის შემოღებით თამარს უნდოდა შეექმნა ისეთი ცენტრალური ძალა, რომელსაც უნდა შთაენთქა პირველი ტომების პარტიკულარისტული მ ს წრაფებანი“. ამიტომ იყო, რომ „ათაბაგი გახდა უპირველესი ვაზირი მეფისა, ფაქტიური გამგე სამეფოსი“. მაგრამ მთავარია ის, რომ ამ დიდმნიშვნელოვან ეროვნულ თანამდებობაზე თამარმა ქართველი კი არ დანიშნა (ს. კაკაბაძის აზრით, თამარი „ქართველ დიდებულთა წრეს ვერ მიანდობდა ასეთს სახელმწიფოებრივ და ეროვნული მნიშვნელობის თანამდებობას“), „არამედ იყანე მხ რ გრძელი — შთამომავლობით სომეხი“.[3]

ს. კაკაბაძის აზრით, თამარის ასეთმა ღონისძიებებმა გაცილებით დიდი შედეგები გამოიღო, ვიდრე საქართველოს სხვა მეფეთა რომელიმე ღონისძიებამ XII საუკუნეში: „ის, რაც ვერ შესძლეს XII საუკუნის მეფეებმა ყივჩაყთა ჯარების საშუალებით, ის შესძლო თამარ მეფემ სომსის დიდგვაროვან დიდებულებ ის შემწეობით“[4].

ყოველივე ამის შემდეგ ს. კაკაბაძე იძლევა თამარის მოღვაწეობისა და კერძოდ მისი საშინაო პოლიტიკის საერთო შეფასებას. მისი აზრით, თამარს „დიდი ადგილი უჭირავს საქართველოს ისტორიაში“, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ „მისი ძლევა-მოსილი ომების გამო“. ამავე დროს, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, „თამარს არ ჰყავდა ძლიერი გარეშე მტერი“. ს. კაკაბაძისავე აზრით, თამარის ამ წვრილ წერილმა თარეშებმა კი არ მოუპოვა სახელი, არამედ „მისმა ბრძნულმა პოლიტიკამ და შორს გამჭვრეტაობამ შინაური საქმეების მოგვარების დროს“, მაგრამ უბედურება იმაში ყოფილა რომ, საბოლოო ანგარიშით, ამ „ბრძნულ პოლიტიკას“ არავითარი შედეგი არ მოჰყოლია — „ნაყოფი მისი (თამაროის, შ. მ.) პოლიტიკური სიბრძნისა ძალაზედ აშენებული გამოდგა“. დასასკვნის ს. კაკაბაძე[5].

ამჯეროდ ზედმეტია ვრცელი ლაპარაკი ყველა იმ შეცდომის შესახებ, რომელსაც აღმოცენებულია ს. კაკაბაძის დასკვნები, მ გრამ ზოგიერთ მათგანზე

---

[1] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, თამარ მეფე, გვ. 10.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 11.
[3] ი ქ ვ ე.
[4] ი ქ ვ ე, გვ. 12.
[5] ი ქ ვ ე, გვ. 13—14.

შაინც მივუთითებთ: ა) მხარგრძელთა დაწინაურება, როგორც ქვეშოთ დავინახეთ, დაიწყო არა თამარის დროიდან, არამედ გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ თამარის წინაპართა, განსაკუთრებით გიორგი III ის დროს; ბ) მხარგრძელები საქართველოში და საქართველოს სამეფო კარზე, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, გამოჩნდნენ დავით აღმაშენებლის ზეობაში და თამარის დროისათვის მათი მიჩნევა „გასომხებულ ქურთებად“ ან კიდევ „სომხის დიდგვაროვან დიდებულებად“, ცხადია, შეუძლებელია; გ) კიდევ უფრო დაუსაბუთებელი და მცდარია ს. კაკაბაძის მიერ მოცემული დაპირისპირება თამარის საშინაო და საგარეო პოლიტიკისა, მისი შედეგებისა; მის მიერ, როგორც ვნახეთ, თამარის საგარეო და საშინაო პოლიტიკა უარყოფითადაა შეფასებული, რომ არაფერი ვთქვათ თამარის მოღვაწეობის საერთო შედეგების შესახებ ზემოთ ჩვენ უკვე ვუჩვენეთ, რომ თამარის საშინაო პოლიტიკა არსებითად არ განსხვავდებოდა მისი წინაპრების, კერძოდ კი მისი მამის გიორგი III-ის საშინაო პოლიტიკისაგან; დ) ცხადია, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ს. კაკაბაძის მტკიცება თამარის დროს „ძლიერი გარეშე მტრის“ არარსებობის, თამარის „წვიოლ-წვრილი ომებისა“ და სხვა მსგავსთა შესახებ. ასევე ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული ს. კაკაბაძის მოსაზრება დასავლეთ საქართველოს ფეოდალებისა და „სომხის დიდგვაროვან დიდებულთა“ დაპირისპირებისა და ამ უკანასკნელთა (ს. კაკაბაძის სიტყვით, „უცხო ტომის არისტოკრატიის“), გაბატონების შესახებ „სახელმწიფო ცენტრალურ მართვა-გამგეობაში“.[1]

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში ს. კაკაბაძე, როგორც ჩანს, საესებით იმეორებდა მის ზემოდასახელებულ სტუდენტურ ნაშრომში გამოთქმულ არასწორ მოსაზრებას. ეს კარგად ირკვევა ნ. მარის რეცენზიიდან; ამასთან, ისიც კარგად ჩანს, რომ ნ. მარი ს. კაკაბაძის ამ მოსაზრებას ანგარიშგასაწევად მიიჩნევდა და ამაში ხედავდა ზაქარია და ივანე მხარგრძელების დაწინაურების ერთერთ მიზეზს, ზემოაღნიშნულ რეცენზიაში იგი წერდა:

«В выяснении этой стороны дела вскользь бросается луч света на связь возвышения Захарии и Иванэ... с тем, что армянская земля с населяющим ее народом постепенно оттесняет своим внутренним политическим значением западных грузин на задний план, наместники ея заступают места представителей Западной Грузии на высших ступенях государственной власти в грузинском царстве»[2].

რა თქმა უნდა, ზემომოტანილ მოსაზრებათა გაზიარება შეუძლებელია. ამი ტომ შენიშნავდა თავის დროზე ი ჯავახიშვილი: „ს. კაკაბაძემ დაუსაბუთებლად ერთი აზრი გამოსთქვა, ვითომც თამაო მეფე „სომხის დიდგვაროვანი არისტოკრატიის დაწინაურებით ცდილობდა ქართველ დიდებულთა დაშოშმინებას და ამავე დროს თავისი ტახტის საქმის მოგებას“... მაგრამ ეს სრულებით უსაფუძვლო აზრია, იმიტომ, რომ მკაცრძელნი პირველად გიორგი III დააწინაურა და არა თამარმა. ამას გარდა, მჯარგრძელთა დანიშვნის დროს, რასაკვირველია, თამარი ეროვნული თვალსაზრისით არ ხელმძღვანელობდა. ივანე მკარგრძელმა ამასთანავე მართლმადიდებლობაც მიიღო და თვით სომხებსაც ხომ იგი ქართველთა მიერ გადაბირებულად მიაჩნდათ. თამარს რომ ქართველ-სომეხთა წინააღმდეგო-

[1] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, თამარ მეფე, გვ. 12.

[2] პეტერბურგის უნივერსიტეტის 1908 წ. ანგარიში (რუს.), გვ. 78.

ბით ესარგებლა, მაშინ აოც თამარს, არც მჭ რგ-შელთ ქართველებში ეგოდენი სიყვარული მოხვეჭილი არ ექნებოდათ"[1].

ს. კაკაბაძე აძის შემდეგაც არაერთხელ მესხებია მხარგრძელებს საეთოდ, კერძოდ კი მათი ვინაობის საკითხს. ასე მაგ., ნაშრომში „ვინ იყო და როდის ცხოვრობდა სარგის თმოგველი", ს. კაკაბაძემ სარგის თმოგველი, უმთავრესად თამაოის ისტორიკოსის მონაცემების მიხედვით, „ზაქარია და ივანე მხარგრძელების ბიძაშვილად", სარგისის ძმის ვარამის ძედ მიიჩნია[2]. ვარამი კი, მაშასადამე, ფუძემდებელია მხარგრძელთა ერთ-ერთი შტოსი, რომელიც აგრეთვე თავისი ძმის ამირსპასალარის სარგისის მსგავსად „გრიგორიანი იქნებოდა", მაგრამ შემდეგ მასა და მის შტოს ივანეს მაგალითისაეის მიუბაძავთ და მართლმადიდებლობა მიუღიათ. ყოველ შემთხვევაში, ს. კაკაბაძის მიხედვით, სარგის თმოგველი, მწერალი და ფილოსოფოსი, ეჰანის ქვაბის განგებაში მოხსენიებული. შვილიშვილი თამარის დროის სარგის თმოგველისა, და მისი შვილიც მართლმადიდებლები არიან[3]. აღსანიშნავია, რომ ს. კაკაბაძემ ამავე ნაშრომში მოგვცა მხარგრძელთა როგორც ერთი (სარგისის). ასევე მეორე (ვარამის) შტოს გენეალოგიური ტაბულაც[4].

ს. კაკაბაძე მხარგრძელთა ვინაობის საკითხს საგანგებოდ შეეხო გამოკვლევაში „თორელთა გვარეულობის შესახებ".

ს. კაკაბაძე მხარგრძელთა ერთი შტოს ვინაობის გასარკვევად იშველიებს კირაკოს განძაკეცის ცნობას „დიდი მთავრების ნათესავის" „მეორე მთავრის ზაქარიასა" და მისი შვილების (შალვასა და ივანეს) შესახებ; კირაკოსის მიერ ამ შემთხვევაში მოხსენიებული შალვა და ივანე ს. კაკაბაძეს ახალციხელ თოოელებად ზაქარიას ძეებად და დიდ მთავართა ზაქარია და ივანე მხარგრძელთა ნათესავებად მიაჩნია: „მაშასადამე, — დაასკვნის ს. კაკაბაძე, — თვით თორელები ამავე მხარგრძელების გვარეულობისა უნდა ყოფილიყვნენ"[5]. ს. კაკაბაძე თავის ამ მოსაზრებას ამაგრებს თამარის ისტორიკოსის ერთი ცნობით, სადაც ოთხივე მხარგრძელი თამარის ისტორიკოსის მიერ ამირსპასალარის გამრეკელ-თორელისა და „სხუათა თორელთა" გვერდით არის მოხსენიებული: „მაშინ უბრძანა ამირსპასალარსა გამრეკელსა და ოთხთა მჯაგრძელთა და სხუათა თორელთა, ზემოთა და ქუემოთა წასლვა და მიგებება წინა ქუეყანასა ჯავახეთისასა"[6]. ს. კაკაბაძე იშველიებს სომხური ეპიგრაფიკის მონაცემებსაც და ამათ მიხედვით შესაძლებლად თვლის თორელ-მხარგრძელთა ამ შტოს ფუძემდებლად ხოსროვის შვილი ქარიმი მიიჩნიოს. ქარიმი, ს. კაკაბაძის მიხედვით, არის ავაგ-სარგისის, ე. ი. სარგის ამირსპასალარის პაპის უფროსი ძმა, მამა კახა თორელისა და პაპა ამირსპასალარ გამრეკელ თორელისა[7].

როგორც ვხედავთ, მას შემდეგ, რაც ს. კაკაბაძემ კირაკოსის მიერ მოხსენიებული შალვა და ივანე მხარგრძელთა ნათესავებად და ახალციხელ-თოოელებად გამოაცხადა, მარტივად გადაწყვიტა მათი წარმომავლობის საკითხიც და სომხური ეპიგრაფიკული მასალების ხოსროვის შვილები მხარგრძელთა სხვადასხვა შტოს ფუძემდებლებად მიიჩნია. მაგრამ წინააღმდეგ წყაროების მონაცე-

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქეი, II, გვ. 292.
[2] ს. კაკაბაძე, ვინ იყო და როდის ცხოვრობდა სარგის თმოგველი, 1913, გვ. 6.
[3] იქვე, გვ. 12.
[4] იქვე.
[5] ს. კაკაბაძე, თორელთა გვარეულობის შესახებ, გვ. 61.
[6] ს. კაკაბაძე, დ სახ. ნაშრომი, გვ. 61; ისტორიანი, გვ. 92.
[7] ს. კაკაბაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

მებისა, ს. კაკაბაძე იძულებული გახდა ქარიმი ავაგ სარგისის (ე. ი. უფროსი სარგისის) უფროს ძმად უამოუცნაღებისა, რაკი იგი ამ ურიგოდ, ე. ი. ქარიმის შესა მომავალსი, საქართველოში უფრო ადრე ჩასას, ვიდრე ავაგ-სარგისის შთამომ ვალი მხარგრძელები ასე გამოცხადდა ს. კ კაბაძის მიერ თორელები მხარგრძელთა უფროსი შტოს წარმომადგენლებად ს. კაკაბაძე დასკვნის სახით წეოდა: „ამგვარად, თორელების გვარეულობა უნდა იყოს ქურდისტანიდ ნ გამოსული და შემდეგ გასომხებული გვარეულობის უმთავრესი შტო. უმცროსი შტო ამ გვარეულობისა (მხარგრძელნი) სომხეთში დარჩენილა, ხოლო უფროსი შტო მოსულა ქართლში. იქ დაბინადრებულა და მალე გაქართველებულა... მალე გა ქ ოთველდება ძემდეგ მხარგრძელთა ზოგიერთი შტოებიც".[1] ს. კაკაბაძემ თავის ამ ნაშრომს თორელთა და მხარგოძელთა ვრცელი გენეალოგიური ტაბულაც დაურთო.

ამრიგად, ს. კაკაბაძის მიხედვით, გასომხებული ქურთული საგვარეულოს წარმოადგენლები არიან არა მარტო მხარგრძელები და თმოგველები, არამედ თოელებიც. ასეთ თვალსაზრისს ავითარებდა ს. კაკაბაძე მხარგრძელთა და მის მონათესავე საგვარეულოთა შესახებ 1912—1914 წლებში. შემდეგში ს. კაკაბა ძე ისევ დაუბრუნდა მხარგრძელთა ვინაობის საკითხს და შთა რუსთაველის პოპულარსთან დაკავშირებით მას საგანგებოდ შეეხო. ს. კაკაბაძე ძირითადად იმეორებდა თავის ადრინდელ შეხედულებას მხარგოძელთა თორელობის შესახებ, მაგრამ საქართველოში მათი მოსვლისა და გენეალოგიის საკითხებთან დაკავშირებით ახლებურ მოსაზრებას ავითარებდა.

ს. კაკაბაძის ამ ახალი შეხედულების მიხედვით, როგორც სომხური საისტორიო მწერლობის (კირაკოსი, ვარდანი), ასევე ქართველი ისტორიკოსების მონაცემები მხარგრძელთა ვინაობის შესახებ, მათი თეორიები მხარგრძელთა ქურთულ თუ აქემენიდურ წარმომავლობაზე ხელოვნური თეორიებია და მათი ასე უყოყმანოდ გაზიარება შეუძლებელია. თუმცა, ს. კაკაბაძის აზრით, „სომხური ვერსია, ოდნავ უფრო ძველი (ვიდრე ქართული, შ. მ.), შეიცავს ზოგიერთ რეალურ ცნობასაც". იქნებ ცნობა „მხარგრძელთა ქურთული წარმომავლობის შესახებ წარმოადგენს ნამდვილი ისტორიული ცნობის გადასხვაფერებას ან ტენდენციურად გადამახინჯებას".[2]

ს. კაკაბაძე ყურადღებას აქცევს კირაკოსის ცნობას მხაოგრძელების „ბაბირაკან ხელედან (*բաբիրական-խէլէ*) გამოსვლის შესახებ და ესეც მხარგრძელთა თორელობის დასამტკიცებლად აქვს გამოყენებული.

ამრიგად, ს. კაკაბაძის მიხედვით, „მხარგრძელნი, როგორც ამას ამტკიცებს თამარის პირველი მემატიანის ცნობა, არსებითად, თავის წარმომავლობით თორელებისაგან" მომდინარეობენ და „ეკუთვნიან ქართული ფეოდალური წრეების მაღალ ფენას" (ამიტომაც უწოდებს სარგისს თამარის ისტორიკოსი „კაცს გუარიანს"), „მხოლოდ ისინი ძლიერ ადრე. დაახლოებით მე-10 ს. ახლო ხანებში გადასულან ძორაკერტში, შირაკში იქაურ ბაგრატუნიანთ დინასტიის მეფეებთან, სადაც მათ მიეცათ სამფლობელოდ ხოშორნი. ამავე დროს, როგორც ჩანს, ეს შტო გადასულა ანტი-ხალკედონურ ქრისტიანობაში და გასომხებულა. მე-11 ს-ის ნახევრის ახლო ხანებში მხარგრძელნი გადმოსულან უკვე საქართველოს სამეფოს ფარგლებში. ამ ახლო ხანებში ამ შტოს ალბათ მიეკუთვნა მხარგრძელის სახელწოდება" [3].

[1] ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ, გვ. 61.

[2] ს. კაკაბაძე, „ვეფხის ტყაოსნის" წინასიტყვაობა, გვ. XCI.

[3] იქვე, გვ XCI XCII.

ს. კაკაბაძეს შედგენილი აქვს „თორელების გვარეულობის შტოების“ ტაბულა, რომლის მისედვითაც უცნობი თორელი მიჩნეულია წინაპრად როგორც ხოსრო მხარგრძელისა, ასევე თორელთა შტოებისაც. ასე რომ მხარგრძელთა სამივე შტო — სარგის ამირსპასალარის შთამომავალნი, გაგელები, თმოგველები, რომლებიც ამ ტაბულის მიხედვით ხოსროდან მომდინარეობენ, უცნობი თორელის შთამომავლებად არიან მიჩნეულნი [1]. აღსანიშნავია, რომ „ქურთი“, რომელიც ს. კაკაბაძემ თორელ-მხარგრძელთა ერთ-ერთ საერთო წინაპრად გამოაცხადა, გენეალოგიურ ტაბულაში არ არის შეტანილი.

როგორც ვხედავთ, ს. კაკაბაძის მოსაზრებებმა მხარგრძელთა საგვარეულოს წარმოშობის შესახებ საგრძნობი ცვლილებები განიცადა, მაგრამ ძირითადი მტკიცება მხარგრძელთა თორელობის შესახებ მაინც არსებითად უცვლელი დარჩა.

არსებითად ამ თვალსაზრისზე იდგა ს. კაკაბაძე თავის უკანასკნელ ნაშრომშიც — „რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი“, რომელიც 1966 წელს შოთა რუსთაველის იუბილეს დღეებში გამოქვეყნდა. ამ ნაშრომში ს. კაკაბაძეს მხარგრძელთა წარმოშობის შესახებ ახალი თითქმის არაფერი უთქვამს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მის მიერ ჯერ კიდევ 1927 წ. გამოთქმულ მოსაზრებათა შემდგომი დაზუსტების ცდებს. ს. კაკაბაძის ძირითადი დებულებები მხარგრძელთა ვინაობის შესახებ ამ უკანასკნელი ნაშრომის მიხედვით ასეთია: ა) თორელის გვარეულობას ეკუთვნოდნენ მხარგრძელებიც; ბ) შალვა და ივანე ახალციხელები, რომელნიც უეჭველად მხარგრძელები იყვნენ, თორელებდაც იხსენიებიან; გ) X XI სს. მიჯნაზე ხოსრო მხარგრძელის პაპა გადასულა ძორაგეტში და იქ დასახლებულა; დ) დაახლოებით დავით აღმაშენებლის მეფობის დასასრულს ხოსრო მხარგრძელი გადმოვიდა საქართველოს სამეფოში და დასახლდა სანაინის მხარეში. მას მიეცა სანაინიც; ე) ამ ხოსროსაგან მოდის მე-12 ს. მხარგრძელების მთავარი შტო, რომელიც გარკვეული დროიდან კვლავ დაუბრუნდა ქართველობას; ვ) ეს შტო „თამარის დროიდან მე-14 ს. შუა წლებამდე პირველობდა საქართველოს მმართველობის საქმეებში“ [2]. ს. კაკაბაძის დასახელებულ ნაშრომს ახალი გენეალოგიური ტაბულა ახლავს, რომელიც ძირითადად იმეორებს ზემოდასახელებულს, ოღონდ აქ ხოსროსა და მისი ძმის ქარიმის წინაპრად უკვე გარკვევით გამოცხადებულია „თორელი ქურთი“. ამას გარდა, ამ უკანასკნელი ტაბულით, თმოგველები ქარიმის შთამომავლებად კი არ არიან მიჩნეულნი, არამედ ავაგ სარგისისა. ამავე დროს ქარიმი ხოსროს შვილი კი არაა (როგორც ეს წარმოდგენილი იყო 1927 წ. ტაბულით), არამედ ძმა [3]. ჩვენ არაფერს ვამბობთ სხვა მსგავს ცვლილებათა შესახებ, რომლებიც ს. კაკაბაძეს უკანასკნელ ტაბულაში აქვს შეტანილი, დასაბუთების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ ს. კაკაბაძე დასახელებულ ნაშრომში მხარგრძელთა მარტო ვინაობას კი არ ეხება, არამედ გზადაგზა იხილავს მათ როლსაც საქართველოს სამეფოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ს. კაკაბაძემ თავიდანვე გაზვიადებით შეაფასა მხარგრძელთა როლი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჯერ კიდევ 1912

---

[1] ს. კაკაბაძე, „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობა, გვ. XCIV.

[2] ს. კაკაბაძე, შოთა რუსთაველი, გვ. 67.

[3] იქვე, გვ. 687.

წელს მან, როგორც აღვნიშნეთ, მხარგრძელები, „გასომხებული ქურთები“, გა-მოაცხადა თამარისა და შემდეგი დროის „საქართველოს სამეფოს ბედის გამგებ-ლებად“ და „ფაქტიურ გამგედ სამეფოსი“. ს. კაკაბაძე ამავე თვალსაზრისზე დარჩა ბოლო წლებშიც და რუსთაველის იუბილეს დღეებში (1966 წ.) დაბეჭდილ წიგნშიც არსებითად ამავეს იმეორებდა. ამიტომაც ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ საგანგებოდ და შედარებით ვრცლად შევჩერდეთ ს. კაკაბაძის დასახელებულ ნაშრომში გამოთქმულ მოსაზრებებზე.

ს. კაკაბაძე არაერთხელ უბრუნდება მხარგრძელთა ვინაობის საკითხს და ყოველთვის მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს ამაეე წიგნის წინა გვერდებზე გამოთქმულ თავისსავე შეხედულებებში. ასე მაგ., ნაშრომის ერთ-ერთ გვერდზე ნათქვამია: „მხარგრძელები ქართული წარმოშობისანი იყვ-ნენ... მაგრამ მე 12 ს-ში ისინი სომხურ სარწმუნოებას მისდევდნენ (მე-13 სა-უკუნეში კი ისინი ისევ ქართულ ეკლესიას დაუბრუნდნენ)“ [1]. და კიდევ: „არსე-ბითად ყველა მხარგრძელები ქართველი თორელების ერთ შტოს წარმოადგენ-დნენ, რომელიც დაახლ. მე-11 ს ში ლორის სომხურ პატარა სამეფოში გადა-სულიყო და იქ სომხურ ეკლესიას მიკედლებოდა. ეპითეტი მხარგრძელი მათ თითქოს მიიღეს ქართულ სომხეთში ვითომდა სპარსეთის მეფის არტაქსერქს ხელგრძელისაგან... წარმომავლობის გამო. მაგრამ თუ ასეთი წარმომავლო-ბა სიხამდვილეს შეეფერებოდა, მაშინ ყველა თორელებიც მხარგრძელები უნდა ყოფილიყვნენ. როგორც ეტყობა, სომხეთში მხარგრძელთა წინაპარნი, უფრო დედობრივი ხაზით, როგორადაც დაუკავშირდნენ თავისი გვარის არტაქსერქს I-დან წარმომავლობის დამჩემებელ პირს და აქედან წარმოიშვა მათი ეპითეტი მხარგრძელი, რომელიც მათ შეინარჩუნეს, როდესაც აღმაშენებლის დროს მო-უყვნენ საქართველოს სამსახურში“ [2]. თავი რომ დავანებოთ აქ დაშვებულ ზოგი-ერთ შეუსაბამობასა და უსწორობას (ასე მაგ., აუხსნელია, თუ როგორ მოხდა მე-11 ს-ში ქართველი საგვარეულოს გასომხება, ისიც „ქართულ სომხეთში“? ან კიდევ, რამდენად სარწმუნოა მხარგრძელთა წარმომავლობა თუნდაც „დედ-ობრივი ხაზით“ არტაქსერქსე პირველისაგან?), ს. კაკაბაძის ძირითადი მოსაზ-რება მხარგრძელთა თორელების საგვარეულოდან წარმომავლობის შესახებ, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებული არ არის.

განსაკუთრებით გაკვირვებას იწვევს ს. კაკაბაძის შეხედულებაში ის, რომ, მისი აზრით, მხარგრძელები არა მარტო საქართველოს სახელმწიფოებრივ ასპა-რეზზე პირველობდნენ, არამედ ასევე მესვეურობდნენ კულტურულ ცხოვრება-შიც. მაგალითად, ს. კაკაბაძის აზრით, შოთა რუსთაველის მფარველი ყოფილა ზაქარია მხარგრძელი: „შოთას მფარველად გამოდის ის, ვინც პოემის დამთავ-რებისას ჩანს „გმირთა რაზმთა მწყობლად“. ეს იყო ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი, თამარის დროინდელი სახელგანთქმული სარდალი“ [3]. კიდევ მეტი. თვით „ვეფხისტყაოსანიც“, როგორც ეს, ს. კაკაბაძის მტკიცებით, პოემის ეოთი ადგილიდან ჩანს, შოთას ამ მფარველის ბრძანებით ყოფილა შესრულებული. აი, ეს ადგილი პოემის ბოლო ნაწილიდან, რომელიც ს. კაკაბაძის აღდგენით ამგვა-რად იკითხება:

---

[1] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, შოთა რუსთაველი, გვ. 170.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 185

[3] ი ქ ვ ე.

„ეს ამბავი დარჩომოდა სარგის (ს) ლექსთა შეუწყობლად,
ვგრეე თმოგეი თმოგველთაგან შესაელითურთ დარჩა ობლად;
მე ვნახე და მას ურჩევნე, ვინ ჩინას გმირთა რაზმთა მწყობლად,
და მან მიბრძანა ლექსად თქვ ო, მშვერ ქართულად დაუშრობლად".[1]

ამრიგად, აშკარაა, რომ „მან", ე. ი. „გმირთა რაზმთა მწყობელმა", ს. კაკაბაძის აზრით, ზაქარია მხარგრძელმა უბრძანა შოთას სარგის თმოგველისაგან გაულექსავად, „ლექსთა შეუწყობლად" დარჩენილი „ვეფხისტყაოსნის" პროზაული ფაბულა „ლექსად თქვიო, მშვერ ქართულად დაუშრობლად". რა თქმა უნდა, შოთამაც შეასრულა „გმირთა რაზმთა მწყობლის" ზაქარიას ბრძანება... და ამგვარად შეიქმნა „ვეფხისტყაოსანი". როგორც ქვემოთ ვნახავთ, „ვეფხისტყაოსნის" გალექსვისას, ანუ უკეთ მაშინ, როცა „ზაქარია ბრძანებდა ვეფხისტყაოსნის ლექსად თქმას", „მბრძანებელი" სულ 18—19 წლისა იყო და იგი მაშინ არც „გმირთა რაზმთა მწყობელი" (ე. ი. ამირსპასალარი) ყოფილა და საერთოდ არც ჰქონია რაიმე თანამდებობა სამეფო კარზე. ს. კაკაბაძე იმასაც არ ითვალისწინებს, რომ ზემომოყვანილი ტაეპი დიდი ხანია ყალბად არის მიჩნეული და ამიტომაც იგი „ვეფხისტყაოსნის" არც ერთ აკადემიურ გამოცემაში (1937 წლიდან) არ არის შეტანილი. მთავარი კი ისაა, რომ მოტანილი ტაეპი, თუნდაც რუსთაველს ეკუთვნოდეს და „ვეფხისტყაოსნის" ორგანულ ნაწილს შეადგენდეს, მაინც არ იძლევა არავითარ საფუძველს აქ დასახელებულ „გმირთა რაზმთა მწყობლად" და შოთას „მბრძანებლად" ზაქარია მხარგრძელის მიჩნევისათვის. საკვირველია, თუ რატომ ფიქრობს ს. კაკაბაძე, რომ ამ შემთხვევაში მაინცდამაინც ზაქარია მხარგრძელი იგულისხმება და არა ის „მეფე-სარდალი", რომელსაც „შვენის... ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა", ვისაც „მორჩილობს ჯარი სპათა" და ვის საქებრადაც ნამდვილად დაიწერა ეს პოემა.

ს. კაკაბაძე „ვეფხისტყაოსნის" გმირების პროტოტიპების ძიებაშიც საოცრად ფანტასტიკურ თვალსაზრისს გვთავაზობს. თავის უკანასკნელ ნაშრომში ის საგანგებოდ შეეხო „ვეფხისტყაოსნის" უმთავრეს გმირთა პროტოტიპების საკითხს და ამასთან დაკავშირებით მხარგრძელთა პრობლემასაც. ს. კაკაბაძე შეეცადა „ვეფხისტყაოსნის პროტოტიპ პროზაული თხრობის" შექმნისა და მისი გალექსვის თარიღი განესაზღვრა მხარგრძელთა დაწინაურების დროისა და საერთოდ თამარის ხანის ქრონოლოგიური მონაცემების მიხედვით.

მისი ვარაუდით, „ვეფხისტყაოსნის" ქართულ ორიგინალურ სიუჟეტზე 1180 წ. დაიწერა სპარსული მოთხრობა; სპარსული მოთხრობის ქართული თარგმანი კი, რომელიც სარგის თმოგველს ეკუთვნის, 1181 წელს შესრულდა, ხოლო ამის შემდეგ ის გალექსა შოთა რუსთაველმა. 1181 წელს კი, სანაინის წარწერის მიხედვით, ს. კაკაბაძის აზრით, საქართველოს სამეფოს ამირსპასალარად სარგის მხარგრძელი იყო. ეს კი ადვილად გვირკვევს „ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი მთავარი გმირის ავთანდილის ვინაობას — ცხადია, იგი უნდა ყოფილიყო იმდროინდელი ამირსპასალარის სარგის მხარგრძელის ძე ზაქარია. შოთა რუსთაველი აკი წერს: „ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირსპასალარისა". ს. კაკაბაძე სხვა ისტორიული ხასიათის მონაცემებსაც იშველიებს. მისი მტკიცებით, 1185 წ. ყუბასარის გადაყენების შემდეგ სარგის მხარგრძელი ხელმეორედ დანიშნეს ამირსპასალარად; ამ დროს კი თამარის ისტორიკოსის მიერ მისი შვილი ზაქარია

[1] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, შოთა რუსთაველი, გვ. 166.

„დალოცვილად" იხსენიება, რაც, ს. კაკაბაძის მიხედვით, იმას ნიშნავს, რომ ზაქარია მაშინ დაახლოებით 24 წლისა იქნებოდა; მაშასადამე, 1180 წლისათვის, როცა იქმნებოდა ვეფხისტყაოსნის სპარსული თუ ქართული პროზაული მოთხრობები, ზაქარია 18—19 წლისა თუ იყო. ეს კი ერთხელ კიდევ „ასაბუთებს" რუსთაველის სიტყვებს:

„ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირსპასალარისა,
ჯერ უწვერულო, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა"...

ამრიგად, ს. კაკაბაძის დასკვნით, „ვეფხისტყაოსნის პროზაულ თხრობაში ავთანდილად უნდა იგულისხმებოდეს ამირსპასალარ სარგისისძე ზაქარია"[1]. მაგრამ პროზაული ვეფხისტყაოსნის შექმნიდან მის გალექსვამდე საკმაო ხანი გავიდა; ამასობაში კი თამარ მეფე (ს. კაკაბაძის მიხედვით, იგივე თინათინი) „დავით სოსლანის ცოლი გახდა" და, ცხადია, შოთაც იძულებული შეიქმნა ვეფხისტყაოსნის პირველ ფაბულაში შესწორებები შეეტანა: „შოთას, როგორც ჩანს, პროტოტიპების ფაბულაში შესწორება შეუტანია. სახელდობრ, ავთანდილი პოემაში მოხსენიებულია ამირსპასალარის შვილად... ავთანდილის სახით, როგორც ნათქვამი იყო, აქ უნდა იგულისხმებოდეს ამირსპასალარ სარგის მხარგრძელის (ასეთად ის იხსენიება 1181 წლის სომხურ წარწერაში) შვილი ზაქარია (მომავალში თვითონ ამირსპასალარი)... 1180 წელს დაწერილ პროზაულ თხრობაში არ შეიძლებოდა გათვალისწინებული ყოფილიყო მომავალში თინათინის (თამარის) და ავთანდილის (ზაქარიას) საქორწინოდ დალოცვა. ასეთი მოთხრობის დაწერას მაშინ ვერავინ გაბედავდა. შემდეგ, როდესაც თამარი უკვე დავით სოსლანის ცოლი გახდა, შოთამ შეიტანა პირველ ფაბულაში თავისი შესწორება"[2]. თუმცა ს. კაკაბაძის როგორც მტკიცებაში, ასევე მის „საბუთიანობაშიც" ყველაფერი ნათელი ვერ არის, მაგრამ ერთი მაინც ცხადია — შოთა რუსთაველის ავთანდილი ის ზაქარია მხარგრძელია, რომელმაც პოეტს უბრძანა ვეფხისტყაოსნის შექმნა და რომელსაც თვით პოეტმა მიუძღვნა იგი.

თინათინის თამართან, ხოლო ავთანდილის ზაქარია მხარგრძელთან გაიგივების შესაძლებლობას ს. კაკაბაძეს კიდევ ერთი „საბუთი" უქმნის, კერძოდ, ზაქარია მხარგრძელის „თავიდანვე თამარზე გამიჯნურება". ზაქარიას, წერს ს. კაკაბაძე, „შვილი შანშე, სომხური წყაროებით... ეყოლა გვიან (1207 წ.). ოჯახს ის (ზაქარია, შ. მ.) მაშასადამე შესაძლებელია თამარზე თავიდან გამიჯნურების გამო, ძალიან გვიან მოკიდებია"[3]. უცნაური დასაბუთებაა!

ამასთანავე, საინტერესოა, რომ ს. კაკაბაძე შესაძლებლად თვლის „ვეფხისტყაოსნის" მთაყარი გმირიც მხარგრძელთა საგვარეულოს რომელიღაც (უფრო სომხურ პროვინციებზე გავლენის მქონე) წარმომადგენლის პერსონიფიკაციად მიიჩნიოს: „გარდა ამისა ტარიელიც, ინდოეთის მეშვიდედის მფლობელის შვილიც, თითქოს წარმოადგენდა საქართველოს სამეფოს შვიდ შემადგენელ ნაწილიდან ერთ-ერთის, უფრო სომხურ პროვინციებზე განსაკუთრებითი გამავლობის მქონე მხარგრძელის, გვარეულობის წევრის პერსონიფიკაციას"[4].

[1] ს. კაკაბაძე, შოთა რუსთველი, გვ. 161.
[2] იქვე, გვ. 170.
[3] იქვე, გვ. 186.
[4] იქვე, გვ. 167.

ამრიგად, ს. კაკაბაძის მიხედვით, შოთა რუსთაველის მთავარი გმირების (ტარიელი, ავთანდილი) პროტოტიპებს მხარგრძელთა საგვარეულოს წევრები წარმოადგენენ, მხარგრძელებსვე, კერძოდ ზაქარიას, ეკუთვნის თვით „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის ინიციატივა და მისი ავტორის მფარველობაც. ასე რომ „ვეფხისტყაოსანი“ არსებითად ამ საგვარეულოს სადიდებლად და საქებრად ყოფილა დაწერილი. სხვა დასკვნის გამოტანა ს. კაკაბაძის ზემოგანხილული მოსაზრებებიდან შეუძლებელია.

ცხადია, ს. კაკაბაძის ეს მოსაზრებები „ვეფხისტყაოსნის“ გმირების პროტოტიპებზე მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

ასევე არამეცნიერულია მისი მოსაზრებები წმინდა ისტორიულ საკითხებზეც: მაგალითად, სარგის მხარგრძელის 1181 წ. უკვე ამირსპასალარობის, 1185 წ. მისი ხელმეორედ ამავე თანამდებობაზე დანიშვნის, ან კიდევ „მეორე ამირსპასალარის“ („სპეციალურად სომხური პროვინციებისათვის“) თანამდებობის არსებობის შესახებ და სხვ. ს. კაკაბაძის ამ და მსგავს მოსაზრებებს, როგორც ნაჩვენები იქნება, არავითარი საბუთიანობა და მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია.

ამჯერად არ შეიძლება გვერდი აეუაროთ ერთ სამწუხარო გაუგებრობას, რომელიც არაერთხელ გამოცხადებულა „ჟეშმარიტი მეცნიერული მტკიცების“ საფუძვლად.

ს. კაკაბაძემ, 1913 წ. გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ნარკვევში, სადაც მე-12 ს. საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა თანამდებობებზე დანიშვნის, ე. წ. „დალოცვის“ შესახებ ჰქონდა საუბარი, 23 წელი გამოაცხადა მამაკაცის სრულწლოვანებად [1]. ამგვარი მტკიცების საფუძველს ს. კაკაბაძეს თითქოს „მესხური დავითნის ქრონიკის“ შემდეგი ადგილი აძლევდა: „პატრონი მზეჭაბუკ მიიცვალა ამიერ სოფლით საუკუნოთა მათ განსასვენებელთა, წლისა კგ(—23)-ისა ორი თუჱ აკლდა, საღვთოთ საკაცობომდი ყოველად სრული და ზნე უკლები“ [2]. საცდურს კიდევ უფრო აძლიერებდა „მესხური ქრონიკის“ მოტანილი ადგილის ე. თაყაიშვილის მიერ შესრულებული არაზუსტი თარგმანიც: «Не доставало до церковного совершеннолетия двух месяцев» [3]. ყოველივე ამან ჯერ ს. კაკაბაძეს, ხოლო შემდეგ პ. ინგოროყვას (ამ წყაროსა და თვით ს. კაკაბაძის მოუხსენიებლად) შესაძლებლობა მისცა ემტკიცებინათ, რომ შუა საუკუნეების საქართველოში მამაკაცის სრულწლოვანებად 23 წელი ითვლებოდა და რომ ამა თუ იმ პირის დალოცვა გარკვეულ თანამდებობაზე ან მფლობელად მხოლოდ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ იყო შესაძლებელი.

ასე მაგალითად, პ. ინგოროყვა „რუსთველიანაში“ წერდა: „ერთი ძველი ქართული ქრონიკის ჩვენებიდან ჩანს, რომ 23 წელი ითვლებოდა სრულწლოვანებად; ამ დროს უნდა მომხდარიყო პირველი დალოცვა მფლობელად“ [4].

აღსანიშნავია, რომ „მესხური ქრონიკის“ ამ მონაცემებზე დაამყარეს ს. კაკაბაძემ და პ. ინგოროყვამ XII—XIII სს. საქართველოს არაერთი დიდი მოღვაწის დაბადებისა თუ თანამდებობაზე დალოცვის წლების ქრონოლოგია. ს. კაკაბაძე თავის უკანასკნელ ნაშრომში სწორედ „მესხური ქრონიკის“ ამ მონაცემების მი-

---

[1] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ვინ იყო და როდის ცხოვრობდა სარგის თმოგველი, 1913, გვ. 4—5.

[2] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სამი ისტორიული ქრონიკა, 1890, გვ. 82.

[3] იქვე, გვ. 167—168.

[4] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთველიანა, გვ. 106.

ხედვით ადგენდა ზაქარია მხარგრძელის დალიცვასა და დაბადების წელს[1], შანშე მხარგრძელის მანდატურთუხუცესს თანამდებობაზე ყოფნის შეუძლებლობას 1222-25 წლებში[2], ყვარყვარე ცხრაკვარელის დაბადების წელს და მის ასაკს მე-13 ს. 40-იანი წლებისათვის[3] და სხვა მსგავსს, რომელთა დადგენასაც მართლაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ ისტორიული მოვლენების თუ საკითხის შესასწავლად.

პ. ინგოროყვამ კი, რაც მთავარია, არსებითად „მესხური ქრონიკის“ მოტანილ მონაცემებზე დაამყარა შოთა რუსთაველის დაბადების თარიღიც[4]. ამრიგად, „მესხური ქრონიკის“ მოტანილი ადგილი ს. კაკაბაძისა და პ. ინგოროყვასათვის იქცა უებარ საშუალებ დ დიდი მნიშვნელობის მქონე კონკრეტული ისტორიული თარიღის დასადგენად.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ყოველივე ეს გაუგებრობაზეა აღმოცენებული — „მესხური ქრონიკა“ არაფერს ამბობს საერთოდ სრულასაკოვნებისა და, კერძოდ, მამაკაცის სრულ ასაკად 23 წლის მიჩნევის შესახებ. მესხური ქრონიკის ავტორი ამ შემთხვევაში ლაპარაკობს არა იმაზე, რომ მზეჭაბუკს ორი თვე აკლდა „საღვთო საკაცობრიო“, ანუ, ე. თაყაიშვილის სიტყვით, „საეკლესიო სრულასაკოვნობამდე“, არამედ იმაზე, რომ იგი გარდაიცვალა, როცა 23 წლისა არ იყო და მის შესრულებას ორი თვე აკლდა. ეს სავსებით ნათელი გახდება, თუკი „მესხური ქრონიკის“ შესაბამის ტექსტს სრულად მოვიტანთ: „პატრონმან მზეჭაბუკ, წლისა კბ (22)-ისამან იქორწინა და მოიყვანა ასული როსტომ გურიელისა პატრონი როდამ სახელით. და ცხოვრობდა მასთან ერთ წელ და ორ თუმ. იანვრისა ია (11), დღესა პარასკევსა, დღისით, ჟამსა ვ (6) გარისხდა ღმერთი მისის მშობლისათჳს და პატრონი მზეჭაბუკ მიიცვალა ამიერ სოფლით საუკუნოთა მათ განსასუფევნებელთა, წლისა კგ (23)-ისასა ორი თუმ აკლდა. საღვთოთა-საკაცობომდი ყოვლად სრული და ზნე-უკლები, სიყრმითა-გან ღვთისმოყუარე და ქრისტეს სარწმუნოებაზედა აღზრდილი, სრული მწიგნობარ მგალობელი და რიტორი, ჰმაჲ შუშნიერი, ენა ტკბილი, ეკლესიათა და ღთისმოყუარეთა კაცთა პატივისმცემელი. ხოლო იცოდა სპარსული წიგნი და წერა ენა თათრული, სპარსული და არაბული... მობურთალ მოასპარეზე ქუეყანასა ზედა მისებრ არ გამოჩენილა“[5]. როგორც ტექსტიდან ჩანს, მზეჭაბუკი „საღვთო-საკაცობომდე ყოვლად სრული და ზნეუკლები“ ყოფილა და როგორ შეიძლებოდა ასეთი პიროვნება, რომელსაც ყოველგვარი აღზრდა „საღვთოცა და საკაცობოც“ (სასულიეროც და საეროც) უკვე მიღებული ჰქონდა და დაცოლშვილებულიც იყო, იმავე ტექს-

---

[1] ს. კაკაბაძე, შოთა რუსთაველი, გვ. 105—106, 161.

[2] იქვე, გვ. 124.

[3] იქვე, გვ. 125.

[4] პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, გვ. 106 და სხვ.

[5] ხ. ი. S 947, გვ. 8 11. ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, გვ. 82, ჭ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961, გვ. 40; როგორც ეხედავთ, ქრონიკის ამ ნაწილის შემდეგნელი ძალიან ახლო და კარგად იცნობდა მზეჭაბუკის ცხოვრების ყველა დეტალს; მ ს განსაკუთრებით ზედმიწევნით აქვს ნაჩვენები მისი გარდაცვალების თვე, დღე და საათიც, მაგრამ სიზუსტე მაინ ბოლომდე ვერ დაუცავს. მზეჭაბუკი თუკი დაქორწინებისას 22 წლისა იყო და ომის შემდეგ მეუღლესთან 1 წელი და 2 თვე იცხოვრა, გარდაცვალებისას იგი, ცხადია, 23 წლისა და ორი თვისა უნდა ყოფილიყო და არა 23 წლისა ორთვე ნაკლები, როგორც ქრონიკაშია ნათქვამი. ქრონოლოგიის ამგვარი უზუსტობა ერთხელ კიდევ მიგვითითებს იმაზე, რომ ამ ცნობის გამოყენება „საეკლესიო სრულწლოვანების“ განსასაზღვრავად შეუძლებელია.

ტას ავტორს „არაასაკოვნად", „საეკლესიო სრულასაკოვნებამდე" მიუღწეველად მიიჩნია?

ჯერ ე. თაყაიშვილს, ხოლო შემდეგ ს. კაკაბაძესა და პ. ინგოროყვას, როგორც ჩ ნს, ფრაზა „საღვთოთ საკაცობომდი" სიტყვის „აკლდა"-ს უშუალო გაგებაძეულებად მიუჩნევიათ, ხოლო „საღვთოთ საკაცობომდი" – საეკლესიო სრულასაკოვნების" განმსაზღვრელ ფორმულად, მაშინ როცა „აკლდა"-ს არაფერი აქვს საერთო „საღვთოთ-საკაცობომდი"-სთან, ნამდვილად კი ამ უკანასკნელი ფრაზით იწყება მზეპაბუკის დახასიათება, როგორც „ყოკლად სრულისა", „საღვთოდან" (საღვთო საქმეებიდან) დაწყებული „საკაცობომდი" (საკაცობო, საერო საქმეებით) დამთავრებული. ასე რომ „აკლდა" ეკუთვნის არა „საღვთოთ-საკაცობომდის", არამედ მის წინა ფრაზას -- „წლისა 23-ისასა ორი თუმ აკლდა". ანდა რა წარმოსადგენია „ყოველად სრულს" რამე კლებოდა „საღვთოთ-საკაცობომდის"?!

ამრიგად, „საღვთოთ-საკაცობომდი" კი არ კლებია მზეპაბუკს ორი თვე, არამედ 23 წლამდე. ამას გარდა, გამოთქმა „საღვთოთ საკაცობომდი" რაიმე განსაზღვრული ასაკის „საეკლესიო სრულწლოვანების" აღმნიშვნელი რომ არ იყო და იგი XII—XVI სს. ჩვეულებრივ „ყოველად სრული" პიროვნების დასახასიათებლად იხმარებოდა, კარგად დასტურდება იმავე ხანის წერილობითი წყაროებით.

ასე მაგალითად, თამარის ისტორიკოსის მოწმობით, „ყოველნი სათნოებანი, საღმრთონი და საკაცობონი აქუნდეს" ზაქარია მხარგრძელს[1]. ჟამთააღმწერელის მიხედვით, ცოტნე დადიანი იყო „კაცი კეთილი და სრული საღმრთოთა და საკაცობოთა"[2]. ასევე, იმავე ავტორის მიხედვით, ვახტანგ დავითის ნარინის ძე იყო „საღმრთოთა დასაკაცობოთა შინა საქმეთა სრული და შემკობილი"[3]. ან კიდევ: „მიიცვალა მთავარი სამცხისა ბექა კაცი წარმატებული ყოველსა შინა, სიკეთე აღმატებული საღმრთო საკაცობოთა შინა საქმეთა და უმეტესს სამართლის მოქმედებითა"[4]. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ათონის იერთა მონასტრის აღაპებში ქაიხოსრო I-ის, ყვარყვარის ძის შესახებ, ქაიხოსროსაევე გაზრდილ ამბროსს ჩაუწერია, რომ იგი იყო „ღვთის მსახური და ყოვლითურთ სრული საღთოდთა დასაკაცობოთა ზნე უკლები"[5]. როგორ ჩანს, ამ შემთხვევაში უკვე თითქმის სიტყვა-სიტყვით მეორდება „მესხური ქრონიკის" ავტორის სიტყვები.

როგორც ვხედავთ, „საღვთოდთ-საკაცობომდი" ჩვეულებრივი, მიღებული გამოთქმა იყო როგორც საღვთო, ასევე საკაცობო საქმეებით სრულყოფილ პიროვნებათა დასახასიათებლად და არა „საეკლესიო სრულწლოვანების" აღმნიშვნელი, როგორც თავის დროზე ქ. შარაშიძემ მიუთითა, „მესხური ქრონიკის" რუსული თარგმანი—**„не доставало до церковного совершеннолетия двух месяцев"** — ქართულ ტექსტში საერთოდ არ არის[6].

ამრიგად, ს. კაკაბაძისა და პ. ინგოროყვას შეხედულება სრულწლოვანების ასაკად 23 წლის მიჩნევის შესახებ ე. თაყაიშვილის ერთ შეცდომაზეა დამყარე-

---

[1] ისტორიანი, გვ. 137.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 215.

[3] იქვე, გვ. 295.

[4] იქვე, გვ. 323.

[5] ათონის აღაპები, გვ. 166.

[6] ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 40.

ბული და სრულ გაუგებრობას წარმოადგენს. ჩვენ არაკერს ვიტყოდით ამ გაუგებრობის შესახებ, რომ მასზე არ იყოს დაფუძნებული ზემოდასახელებულ ავტორთა არაერთი მტკიცება, მათ შორის ისეთებიც, რომელთაც „სრული ზედმიწევნილობის“ პრეტენზიები აქვთ და ყველათერი ეს თავის სამწუხარო შედეგებს არ ტოვებდეს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ადვილი წარმოსადგენია რა მეცნიერული ღირებულება უნდა ჰქონდეს ასეთ შეცდომებსა და გაუგებრობაზე დამყარებულ მტკიცებებს ზაქარია მხარგრძელის დაბადებისა თუ აღზევების დროის შესახებ.

როგორც ვხედავთ, ს. კაკაბაძემ თავისი მოსაზრებანი გამოთქვა მხარგრძელთა არა მარტო ვინაობის, არამედ აგრეთვე მათი როლის შესახებ, როგორც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ასევე კულტურაშიც. ამას გარდა, „მესხური ქრონიკის“ მონაცემების მიხედვით, იგი შეეცადა დაეზუსტებინა მხარგრძელთა ძირითადი შტოს წარმომადგენელთა დაბადების თუ სამეფო კარზე მიღებისა და დალოცვის წლებიც. მაგრამ ს. კაკაბაძის მოსაზრებანი, რომლებიც მხარგრძელთა როლის გაზვიადებასა და მათი პიროვნების იდეალიზაციას წარმოადგენს, არასოდეს არ გაუზიარებია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას.

როგორც ზემოთ ითქვა, ს. კაკაბაძის ადრინდელმა თვალსაზრისმა მე-12 საუკუნეში მხარგრძელთა პოლიტიკური როლის შესახებ ჯერ კიდევ 1914 წელს დაიმსახურა ი. ჯავახიშვილის შენიშვნები. ასევე ლ. მუსხელიშვილმა არასწორად მიიჩნია ს. კაკაბაძის მოსაზრებანი მხარგრძელების თორელთა საგვარეულოდან წარმომავლობის შესახებ.

ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ს საგანგებოდ არ უკვლევია მხარგრძელთა ვინაობის საკითხი, მაგრამ თორელთა საგვარეულოს ისტორიის შესწავლისას იგი ს. კაკაბაძის მოსაზრებებსაც და ამასთან დაკავშირებით მხარგრძელთა საკითხსაც შეეხო. მისი აზრით, ს. კაკაბაძე არ არის მართალი, როცა კირაკოს განძაკეცის მიერ მოხსენიებულ ვარამ გაგელის ბიძის სარგის მხარგრძელის შვილებს შალვასა და ივანეს მაინცადამაინც შალვა და ივანე ახალციხელებად მიიჩნევს. კირაკოსის სარგისის ძე შალვა და ივანე სხვა წყაროებით სავსებით უცნობია; ამას გარდა, „ქართველთა მთავარი შალვა და მისი ძმა ივანე“ კირაკოსს ცალკე საგანგებოდ ჰყავს მოხსენიებული და ამ უკანასკნელთ, ლ. მუსხელიშვილის აზრით, „სარგისის შვილებთან საერთო არა უნდა ჰქონდეს რა“.

ლ. მუსხელიშვილს სარწმუნოდ არ მიაჩნია ს. კაკაბაძის მეორე საბუთიც — კერძოდ, თამარის ისტორიკოსის მიერ მხარგრძელთა მოხსენიება თორელებთან ერთად. ლ. მუსხელიშვილის აზრით, „ნამდვილად ტექსტი აქ დამახინჯებული უნდა იყოს. თავდაპირველად, ალბათ, ასე იქნებოდა: ...„ოთხთავე მკარგრძელთა, ამირ-სპასალართა გამრეკელსა და სხუათა თორელთა“... და შემდეგ: „ამ დროს მკარგრძელები კარგად არიან ცნობილი და თორელებთან მათ საერთო არა აქვთ რა“ — ასკვნიდა ლ. მუსხელიშვილი[1].

ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ მ აც თავის საგანგებო გამოკვლევაში „თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი“ არ გაიზიარა ს. კაკაბაძის მოსაზრებანი მხარგრძელების თორელთაგან მომდინარეობის თუ თორელების მხარგრძელთა ერთ-ერთ განშტოებად მიჩნევის შესახებ. ნ. შოშიაშვილი ცალკე განიხილავს ს. კაკაბაძის ყველა საბუთს, აგრეთვე მის მიერ შედგენილ თორელთა და მხარგრძელთა საგვარეულოების ორივე — 1914 და 1927 წ.წ. გენეალოგიას და არსებითად ეთანხმება ლ. მუსხელიშვილს მათ კრიტიკაში. მისი

[1] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 74—75.

აზრით, ლ. მუსხელიშვილი „მართებულად უარყოფს თორელების მხარგრძელთაგან წარმომავლობას"; ნ. შოშიაშვილი ფიქრობს, რომ თამარის ისტორიკოსის ტექსტის შესწორების გარეშეც შეიძლება იგი „ისე გავიგოთ, რომ მხარგრძელები თორელებს არ დაუკავშირდეს". ნ. შოშიაშვილის მართებული შენიშვნით, „ლ. მუსხელიშვილის შემოთავაზებული შესწორება ამ ტექსტისა—გადაადგილება გამრეკელისა და მხარგრძელებისა რამდენადმე ხელოვნური ჩანს"; არც ნ. შოშიაშვილის მიერ შემოთავაზებული განმარტება იძლევა, ჩვენი აზრით, ამ საკითხზე მაინცდამაინც ნათელ პასუხს. მისი აზრით, „სხუათა თორელთა" დაკავშირებულია არა სიტყვებთან: „ოთხთა მ ჯ ა რ გ რ ძ ე ლ თ ა", არამედ სიტყვებთან „ამირსპასალარსა გამრეკელსა". ასეთი კონსტრუქციის წინადადებები თამარის ანონიმ ისტორიკოსს „...სხვაც აქვსო" — წერს იგი[1].

ნ. შოშიაშვილს სარწმუნოდ არ მიაჩნია აგრეთვე შალვა და ივანე ახალციხელების მხარგრძელობა, მათი დაკავშირება სარგის მხარგრძელთან (თმოგველთან). მართლაც, ქართულ და სომხურ წყაროებში, სადაც არაერთხელ არიან მოხსენიებული როგორც სარგის თმოგველი, ასევე შალვა და ივანე ახალციხელები, არაფერია ნათქვამი მათ მამა-შვილობასა თუ რაიმე ნათესაურ კავშირზე[2].

ნ. შოშიაშვილი, ამასთან ერთად, თვით გუთავაზობს რამდენიმე მოსაზრებას, რომელიც, მისი აზრით, უარყოფს თორელთა მხარგრძელობას: ა) თორელთა სამძივრობა თავისთავად გამორიცხავს მათ მხარგრძელობას. თორელთა სამძივრობის შესახებ კი ლ. მუსხელიშვილმა ფრიად ანგარიშგასაწევი მასალები წარმოადგინა; ბ) სომხური წყაროები თითქმის ყოველთვის ხაზს უსვამენ მხარგრძელთა და მათი განშტოებების (თმოგველების, გაგელების) არაქართულ წარმომავლობას, მაგრამ არათერს ამბობენ თორელების შესახებ. თორელები რომ მხარგრძელთა განშტოება ყოფილიყვნენ, სომხური წყაროები მათ მესხებად და ჯავახებად კი არა, მხარგრძელთა მსგავსად არაქართველებად მოიხსენიებდნენ; გ) ქართული წყაროებიც არაფერს გვანიშნებენ მხარგრძელ-თორელთა ნათესაობის შესახებ, მაშინ როცა კარგად არის ასახული მათი მტრობა-ქიშპობა და მეტოქეობა[3]. ამრიგად, ნ. შოშიაშვილის დასკვნით, „ს. კაკაბაძის მიერ მოცემული დასაბუთება თორელთა მხარგრძელთაგან წარმომავლობაზე უარსაყოფია"[4]. მაგრამ, სამწუხაროდ ნ. შოშიაშვილმა, ისე როგორც თავის დროზე ლ. მუსხელიშვილმა, თვით არაფერი თქვა მხარგრძელთა ვინაობის საკითხზე. როგორც ჩანს, დასახელებული ავტორები ამ შემთხვევაში არსებითად იზიარებენ ძველი სომხური საისტორიო წყაროების მონაცემებს ამ საკითხზე.

მხარგრძელთა ვინაობ ს საკითხს საგანგებოდ არ შეხებია არც ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მაგრამ მისი შესანიშნავი გამოკვლევა — „ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან მე-13 ს. საქართველოში"[5], არსებითად მიძღვნილია მხარგრძელთა საგვარეულო სახლის ისტორიისადმი მე-13 ს. მთელ მანძილზე. ნ. ბერძენიშვილის კვლევის ძირითად საგანს ამ შემთხვევაში შეადგენდა სამამულო ბრძოლა მე-13 ს. დიდი ფეოდალური საგვარეულოების, კერძოდ, მხარგრძელებისა და საქართველოში ისევ დაბრუნებულ ორბელებს შორის. ეს ბრძოლა ჯერ ივანე მხარგრძელსა და ელიქუმ ორბელს შორის მიმდინარეობდა,

---

[1] ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია, გვ. 15.

[2] ი ქ ვ ე.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 16.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 18

[5] იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სის, III, გვ. 74-112.

შემდეგ კი სუმბატ ორბელისა და აეაგის სახლს შორის. ბრძოლის სასწორი არაერთხელ გადახრილა ვასალის — სუმბატ ორბელის სასარგებლოდ...

ეს ბრძოლა, რომელიც მხარგრძელთა და ორბელთა სახლებს შორის მომდინარეობდა, ნ. ბერძენიშვილის აზრით, იყო არა მარტო სამამულო, არამედ აგრეთვე სამოხელეოც, იმ სახელოს — ათაბაგობის დასაპყრობად, რომელიც ამ დროს ყველაზე უფრო სა ატიო ყო და სხვა მოხელეობასთან ერთად „საპატიო ჩონების“ ატრიბუტს შეადგენდა.

ნ. ბერძენიშვილს ზემოდასახელებულ გამოკვლევაში, ფეოდალურ საგვარეულოთა შორის სამამულო ბრძოლის ისტორიასთან დაკავშირებით, არაერთი საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული თვით მიწისმფლობელობის ფორმების შესახებ და აგრეთვე მნიშვნელოვანი მასალა აქვს მოტანილი XIII ს. საქართველოს სამეფოს სამოხელეო წყობასა და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მხარგრძელთა ადგილისა და როლის გასარკვევად.

ქართულ ისტორიოგრაფიაში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ს. კაკაბაძის ზემოგანხილულ გამოკვლევებს, მხარგრძელთა ვინაობის საკითხი საგანგებოდ არ დასმულა. ს. კაკაბაძესაც იგი უმთავრესად თორელების თუ რუსთაველის ვინაობის საკითხთან დაკავშირებით აინტერესებდა. ქართველ ისტორიკოსებს, როგორც ჩანს, არსებითად ზედმეტად მიაჩნდათ სპეციალურად ეკვლიათ საქართველოს სამეფოს უერთგულესი მოხელეებისა და საერთოდ ქართული საქმის თავდადებული მსახურების — მხარგრძელების ვინაობა. უკვე არსებული გამოკვლევებითა თუ წყაროებით აშკარა იყო, რომ მხარგრძელები, კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით, ქართულ სამყაროს, ქართულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ეკუთვნოდნენ და ასეთ ვითარებაში რა კორექტივი უნდა შეეტანა მათი წინაპრების ვინაობის კვლევას, წარმოშობით მათს ქურთობას თუ სხვა ხალხისადმი კუთვნილებას? მაგრამ ამ საკითხის დასმა მაინც აუცილებელი გახდა. ჩვენ ქვემოთ დეტალურად ვეჩვენებთ თანამედროვე სომხურ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ შეხედულებათა თანდათანობით ევოლუციას როგორც მხარგრძელთა ვინაობის, ასევე XII — XIII სს. საქართველოსა და სომხეთის ისტორიაში მათი ადგილისა და როლის შესახებ.

სომხურ ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებით ჩვენი საუკუნის 40-იანი წლებიდან გამოთქმულმა მოსაზრებებმა, ბუნებრივია, ერთგვარი გამოხმაურება პოვა ქართულ ისტორიოგრაფიაში და თავისთავად წამოჭრა ეს პრობლემა.

მას შემდეგ, რაც ცალკეულ გამოკვლევებსა თუ სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაში გაჩნდა არამეცნიერული მტკიცებები ზაქარია და ივანე მხარგრძელების წარმომავლობასა და მათ სამოხელეო ფუნქციებზე, ს. ჯანაშია იძულებული გახდა საგანგებოდ შეხებოდა ამ საკითხებს და კვლევის ძირითადი შედეგები მოკლედ შეეტანა მისივე რედაქციით გამოქვეყნებულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს მეორე გამოცემაშივე (1945 წ.); ხოლო შემდეგ. 1947 წ. მან უფრო ვრცლად, სათანადო მასალების მოტანით განიხილა ეს საკითხები თავის მეცნიერულ კრიტიკულ გამოკვლევაში — „Об одном примере искажения исторической правды“.

ს. ჯანაშია პირველი მკვლევარია ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელმაც მხარგრძელთა პრობლემა — მათი ვინაობისა და საქართველოს სამეფოში მათი როლისა და ადგილის შესწავლა სწორ მეთოდოლოგიურ და მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა.

ს. ჯანაშიას დასკვნით: ა) მხარგრძელები თავისი ეროვნული თვითშეგნებით

და კულტურით სრულიად არ განსხვავდებოდნენ სხვა დიდგვარიანი ქართველი აზნაურებისაგან; ბ) „მხარგრძელი“ მეტსახელი, ზედწოდება კი არ იყო, არამედ გვარის სახელი, რომელსაც ამ აზნაურთა საგვარეულოს მთელი თაობები ატარებდნენ; გ) გვარსახელები კი, ჩვეულებრივ, არ ითარგმნება, ამიტომ „დოლგორუკი“ ან კიდევ „ზაქარიანი“ თუ „ზაქარიდები“ სავსებით ხელოვნური სახელებია; დ) მხარგრძელების მამული ჩვეულებრივი ფეოდალური სამფლობელო იყო, რომელიც მათ, ფეოდალური, სამსახურის პირობით, საქართველოს მეფეებისაგან ჰქონდათ მიღებული [1]. ს. ჯანაშიამ ეს დასკვნები სათანადო, უმთავრესად სომხური, ნარატიული თუ ეპიგრაფიკული მასალების ანალიზზე დაამყარა. ზემოდასახელებულ კრიტიკულ გამოკვლევაში ს. ჯანაშიამ არაერთი ეპიგრაფიკული მასალა მოიტანა, რომელიც სავსებით ნათელყოფს მისი ძირითადი მოსაზრებების სისწორეს. მისი მონაცემებიდან ირკვევა, რომ მხარგრძელები სომხეთის დამოუკიდებელი თუ ნახევრად დამოუკიდებელი მთავრები კი არ იყვნენ, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებდა, არამედ საქართველოს მეფის მოხელეები საქართველოს სამეფოს მიერ შემოერთებულ სომხურ ოლქებში.

ს. ჯანაშიას ზემომოტანილი მოსაზრებები და დასკვნები მხარგრძელთა ადგილისა და როლის შესახებ მე-12– მე-13 სს. საქართველოში დღესაც სავსებით ძალაში რჩება და მასში რაიმე შესწორების შეტანა შეუძლებელია. ს. ჯანაშიას მიერ თავის მოსაზრებათა დასამტკიცებლად მოტანილ მასალებს, სხვა მსგავსთან ერთად, ჩვენ ქვემოთ საგანგებოდ შევეხებით და ამიტომ აქ მათზე სიტყვის გაგრძელება საჭიროდ არ მივიჩნიეთ.

აღსანიშნავია, რომ ს. ჯანაშიას ასეთი კრიტიკული გამოსვლის შემდეგაც კვლავ გამოითქვა ზემომოტანილი დასკვნების საწინააღმდეგო მოსაზრებანი, თუმცა არც ერთ მკვლევარს არ უცდია ს. ჯანაშიას მტკიცებათა გაბათილება და ახალი მასალების მოშველიება.

მხარგრძელთა ვინაობას, ს. ერემიანთან კამათის დროს, გაკვრით შეეხო ი. ც ი ნ ც ა ძ ე. ამ შემთხვევაში ი. ცინცაძემ ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილა „მხარგრძელზე“, როგორც გვარსახელზე. ი. ცინცაძის აზრით, „მხარგრძელი“ პირველად სარგისს კი არ უწოდეს ქართველებმა, როგორც ს. ერემიანი ფიქრობს, არამედ საერთოდ „ეს მათი გვარის მამა-პაპეული სახელი ჩანს“ [2]. ამასთანავე, ი. ცინცაძემ ხაზი გაუსვა მხარგრძელთა ქურთულ წარმოშობას. აქვე ი. ცინცაძე აღნიშნავს, რომ „ქურთებს“ თუ „ქურდებს“ მაჰმადიანური წყაროები ზოგჯერ ქართველებსაც ეძახდნენ. ი. ცინცაძე წერს: „აქვე უნდა შეეხნიშნოთ, რომ პროფ. გიორგი წერეთლის მიერ აღმოჩენილი მასალებით, ქურთებს ანუ ქურდებს ჩვენი მეზობელი მაჰმადიანები ქართველებს ეძახდნენ თურმე (იხ. არაბულ-ქართული ლექსიკონი)“ [3]. ამრიგად, სომხური წყაროების (და არა ქართული წყაროებისა, როგორც შეცდომით წერს ი. ცინცაძე) მითითება მხარგრძელთა ქურთობის შესახებ, ი. ცინცაძის აზრით, შეიძლება ნიშნავდეს მათ ქართულ წარმომავლობაზე მითითებას.

მხარგრძელთა საკითხს, სომხეთის ისტორიის საკითხებთან ერთად, შეეხო აგრეთვე ვ. დ ო ნ დ უ ა თავის რეცენზიაში კოლექტიურ ნაშრომზე „История армянского народа“. ვ. დონდუა უმთავრესად ეხება მხარგრძელთა ადგილს

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, I, ს. ჯანაშიას რედაქციით, 1948, გვ. 210; С. Д ж а н а ш и а, Об одном примере искажения исторической правды, 1947, გვ. 40—47.

[2] ი. ც ი ნ ც ა ძ ე, ძიებანი, გვ. 158.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 159.

საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. იგი ილაშქრებს მხარგრძელების დამოუკიდებელ ხელისუფლებად, „უგვერგვინო მეფეებად" მიჩნევის წინააღმდეგ. ვ. დონდუა შეუწყნარებლად მიაჩნია „მხარგრძელებ ს სომხეთისა" და საქართველოს დამოკიდებულების დაყვანა „განსაკუთრებით მჭიდრო პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ თანამშრომლობამდე". ასევე ვ. დონდუა ილაშქრებს ზაქარია და ივანე მხარგრძელების პიროვნებების იდეალიზაციის, მათი როგორც სარდლების როლის გადაფასების წინააღმდეგ.

ამასთან, ვ. დონდუას მიერ მოტანილი მასალებიდან ნათლად ირკვევა, რომ საქართველოს სამეფოსადმი შემოერთებული სომხური ოლქები ცალკე სახელმწიფო კი არ იყო საქართველოს სახელმწიფოში, არამედ საქართველოს მეფეების მიერ მხარგრძელებისათვის საგანგებოდ მიცემული ფეოდალური სამფლობელოები. ვ. დონდუას რეცენზიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ისტორიოგრაფიაში მხარგრძელთა პრობლემის შესწავლის თვალსაზრისით[1].

ე. დონდუას რეცენზიის გამოქვეყნების შემდეგ საკმაო ხნის მანძილზე, 70-იან წლებამდე, მხარგრძელთა საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში არ წამოჭრილა. 50 იანი წლებიდან გამოქვეყნებულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებსა თუ დამხმარე სახელმძღვანელოებში საგანგებო აღნიშვნის ღირსი არაფერია ნათქვამი არც მხარგრძელთა ვინაობისა და არც მათი ადგილის შესახებ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

70-იანი წლების დასაწყისში ქართულ ისტორიოგრაფიაში კვლავ დაისვა მხარგრძელთა საკითხი, რასაც რამდენიმე წერილი მიეძღვნა[2].

მათგან აღსანიშნავია ა. ბაქრაძის საჟურნალო სტატია — „ასე ამბობს მემატიანე"[3], რომელიც მხარგრძელთა ვინაობის, მათი ეროვნული კუთვნილების საკითხებისადმია მიძღვნილი. სომხურ-ქართულ წყაროთა მოშველიებით ა. ბაქრაძე ცდილობს დაამტკიცოს მხარგრძელთა სამივე შტოს ქართული წარმოშობა. მისი აზრით, ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს: ა) მხარგრძელების მკვიდრობა ძირეულ ქართულ მიწა-წყალზე, ქვემო ქართლში, სომხითში; ბ) მათი ქართული გვარი „მხარგრძელი", რომლის შესატყვისი არ მოიპოვება ძველ სომხურში; გ) სომეხი ისტორიკოსები (ვარდანი, კირაკოსი) მათ არც ერთხელ არ იხსენიებენ ეროვნებით, წარმოშობით სომხებად; დ) ქართველებად იცნობენ მხარგრძელებს უცხოელები (რუბრუკვისი — შაჰანშას, მაჰმადიანი მემატიანეები — თამთა ივანეს ასულს); ე) „ქურთი" ყოველთვის არ ნიშნავს ტომით „ქურთს", მაჰმადიანები „ქურდს" ზოგჯერ ქართველების აღსანიშნავადაც ხმარობდნენ. ასე რომ, ა. ბაქრაძის აზრით, „ქართულ და სომხურ წყაროებში მოხსენებული „ქურდ"-ი ქურთი არ არის. ქურთნი ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში დასახლებულან ვახტანგ გორგასლის დროს... ისინი ისე შერწყმიან ქართის ტომს, რომ ერთ პერიოდში (კერძოდ მე 11- –12 ს.) მუსლიმანებისათვის „ქურდი" ქართველის აღმნიშნველი ეთნონიმი გამხდარა. ვარდანისა და კირაკოს განძაკელის მიერ მოხსენებული „ქურდიც" ამ ტომს გულისხმობს"[4].

---

[1] В. Дондуа, Некоторые замечания на коллективный труд „История армянского народа", „მიმომხილველი", ტ. III, 1953, გვ. 317—321.

[2] შ. მესხია, ვ. ლორთქიფანიძე, მრუდე სარკეში, გაზ. „კომუნისტი", 1969, 12 ოქტომბერი; რ. ჯაფარიძე, რაც მტრობას დაუნგრევია... „მნათობი", 1969, № 12; ის. ავტორვე რ. ჯაფარიძე, აწონილი სიტყვა, 1970, გვ. 426 497; იგივე წერილი რუსულ ენაზე, Р. Джапаридзе, Что разрушает дружбу, «Литерат. Грузия», 1970, № 9 გვ. 70—96.

[3] ის. „მნათობი", 1970, № 4.

[4] იქვე, გვ. 188.

ამრიგად, ა. ბაქრაძის აზრით, მხარგრძელთა „ქურდულ“ წარმოშობაზე მითითება მათ ქართველობას უნდა ნიშნავდეს.

საინტერესოა აგრეთვე ა. ბაქრაძის მოსაზრებები სომხეთში საქართველოს სამეფოს საეკლესიო პოლიტიკისა და ზაქარია მხარგრძელის ანტიქალკედონიტობის შესახებ, მაგრამ ამაზე ჩვენ ქვემოთ შევჩერდებით.

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც კარგად ჩანს, რომ ქართულ სამეცნიერო ისტორიულ ლიტერატურაში მხარგრძელთა საკითხი სხვადასხვა თვალსაზრისით არაერთხელ ყოფილა განხილვის საგანი, ქართველი მკვლევრები შეეხნენ როგორც მათ ვინაობას, ასევე მხარგრძელთა როლსა და ადგილს მე-12 ს. საქართველოს სახელმწიფოში. ქართველი ისტორიკოსების მიერ ამ საკითხზე, როგორც ზემოთ ვნახეთ, არაერთი საგულისხმო მოსაზრებებიცაა გამოთქმული. მაგრამ მხარგრძელთა საკითხი, რომელიც თანამედროვე ისტორიოგრაფიაში უკანასკნელ წლებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, ჯერ კიდევ ყოველმხრივ შესწავლილად არ შეიძლება ჩაითვალოს. ამას გარდა, სათანადო განხილვას მოითხოვს მხარგრძელთა შესახებ სომხურ ისტორიოგრაფიაში ბოლო წლებში გამოთქმული შეხედულებებიც. ისტორიოგრაფიის სწორედ ამ მნიშვნელოვან ამოცანათა გადაწყვეტაში ერთგვარი წვლილის შეტანას ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი.

•

პირველი სომეხი მკვლევარი, რომელიც მხარგრძელთა ვინაობას სათანადო წყაროების მოშველიებით შეეხო, იყო ცნობილი ვენეციელი მხითარისტი, ახალი სომხური ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი მიქ. ჩამჩიანი. იგი თავის „სომხეთის ისტორიის“ მესამე ტომში ცალკე თავსაც კი უთმობს ქართველთა მეფეს გიორგის და ძმების — ზაქარიასა და ივანეს გაძლიერებას[1]. ამას გარდა, ერთერთ თავში მიქ. ჩამჩიანი ქ. ანისის ზედამხედველად 1161 წელს სარგის მხარგრძელის დანიშვნის შესახებაც მოგვითხრობს. მიქ. ჩამჩიანი, უმთავრესად ვარდანის მიხედვით, ადგენს მხარგრძელთა წარმომაელობას. მისი აზრით, პირველი წარმომადგენელი ამ საგვარეულოსი, სარგის პირველი, ქურთთა საგვარეულოდან გამოძევებული, დაუახლოვდა ძორაგეტელ ბაგრატუნებს, მათგანვე მიიღო ხოშორნი და დამკვიდრდა ძველი გუგარეთის აღმოსავლეთ მხარეში. სარგის პირველის შთამომავალნი შეერივნენ და დაუნათესავდნენ სომხებს. ისე რომ მიქ. ჩამჩიანი ზაქარია და ივანე მხარგრძელებს „სომეხ იშხანებს“ უწოდებს.

მართალია, მიქ. ჩამჩიანის მონაცემები ახალს არაფერს მატებდა ძველ სომეხ ისტორიკოსთა ცნობებს, მაგრამ იგი მაინც საყურადღებოა თვით ვარდანის გაგება-კომენტირების თუ სხვა, თუნდაც ტერმინოლოგიური თვალსაზრისითაც. საინტერესოა, მაგალითად, რომ ათაბაგს, ე. ი. ივანეს მიერ მიღებულ თანამდებობას, მიქ. ჩამჩიანი განმარტავს, როგორც *հայրիշխան* („მამა იშხანი“), ანუ „ჰაზარაპეტი“; საინტერესოა აგრეთვე, რომ იგი ზაქარიას „სპასალარად“ ანუ „დიდ სპასპეტად“ (*սպասպետ մեծ*) მოიხსენიებს[2]. მიქ. ჩამჩიანს „ძმები ზაქარია და ივანე“ მხარგრძელები საქართველოს სამეფოს კარის მოხელეებად მიაჩნია, რომელთაც „მრავალი სამამაცო საქმე ჩაიდინეს ქართველთა და სომეხთა დედოფლის კარზე“[3].

---

[1] ვ. ჩამჩიანი, სომხეთის ისტორია, III (სომხ.), გვ. 147—151.

[2] იქვე, გვ. 148.

[3] იქვე.

მე-19 ს. პირველ ნახევარში მ. ბ რ ო ს ე ს შრომების გამოქვეყნების შემდეგ მხარგრძელთა ვინაობისა და გენეალოგიის შესწავლა ახალ საფეხურზე ავიდა. ამასთანავე, უკვე დიდი მუშაობა მიმდინარეობდა განსაკუთრებით სომხური ნარატიული და ასევე ეპიგრაფიკული წყაროების თავმოყრისა და კრიტიკული გამოცემების თვალსაზრისით. ასევე, მ. ბროსეს წყალობით, ქართული წყაროებიც ხელმისაწვდომი ხდებოდა არაქართველ მკვლევართათვის და ყველაფერი ეს ხელს უწყობდა მე-12—მე-13 სს. საქართველოსა და სომხეთის ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხების მეცნიერულ შესწავლას.

სომხური ეპიგრაფიკის მეცნიერული შესწავლა საშუალებას იძლეოდა მე-19 ს. მიწურულს ისევ დასმულიყო მხარგრძელთა გენეალოგიის საკითხი. ასე მაგალითად, მ. ა ლ ი შ ა ნ მ ა თავის ცნობილ „შირაკში“, მის მიერვე თავმოყრილი და ასევე ადრევე გამოცემული ეპიგრაფიკული მასალების საფუძველზე შეადგინა მხარგრძელთა ახალი გენეალოგია, რომელსაც, მართალია, მცირეოდენი, მაგრამ მაინც ერთგვარი შესწორება შეჰქონდა მ. ბროსეს მიერ შედგენილ გენეალოგიაში. მ. ალიშანის გენეალოგიით მხარგრძელთა ძირითადი შტოს ფუძემდებელია ხოსრო, ხოლო გვერდითი შტოსი — მისი მეორე შვილი ქარიმი[1]. აღსანიშნავია, რომ მ. ალიშანის მიერ შედგენილ გენეალოგიას დღემდე არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება და მკვლევრები მას დღესაც იმოწმებენ მხარგრძელებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების შესწავლისას.

ერთ-ერთი პირველი გამოკვლევა, რომელიც მხარგრძელთა შესახებ დაიწერა მე-20 ს. დამდეგს, ეკუთვნის ე. ლ ა ლ ა ი ა ნ ს. მას, მართალია, მხარგრძელთათვის ცალკე გამოკვლევა არ მიუძღვნია, მაგრამ თავის ცნობილ ნაშრომში „ბორჩალოს თემი“ ე. ლალაიანმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო მხარგრძელთა ვინაობისა და მათი პოლიტიკური მოღვაწეობის მიმოხილვას[2].

ე. ლალაიანი აღნიშნავს, რომ მხარგრძელთა საგვარეულოს სახელი სომხური წყაროებით უცნობია. ასევე უცნობია რაიმე მასალა მათი წინაპრების სამი თაობის — ხოსროს, ავაგ სარგისისა და ზაქარიას მოღვაწეობის შესახებ; მათზე ისტორია დუმს. ამიტომაა, რომ ე. ლალაიანი არაფერს ამბობს მხარგრძელთა ზაქარიანობის, ან კიდევ ერკაინბაზუკობის (დოლგორუკობის) შესახებ. ეს უკანასკნელი მას მხოლოდ გვიანდელი წარმოშობის გვარსახელად მიაჩნია[3].

აღსანიშნავია, რომ სარგისს, ე. ლალაიანის მიხედვით, თამარ მეფისაგან ლორესთან ერთად ებოძა *«Մեծաւար Սիսիանից»*-ის („მთავარი სომხეთისა“) ტული[4]; ხოლო მისი შვილები ზაქარია და იოანე „ქართველთა სამეფოს მნიშვნელოვანესი და საყვარელი პიროვნებები, სომეხთა ყველაზე დიდი იშხანები (*իշխաններ*) იყვნენ, რომელთა მორჩილებაშიც იყო ქართველთა ხელში გადასული სომხეთის ერთი ნაწილი, დედაქალაქ ანისითურთ“[5]. ი. ლალაიანი დეტალურად მოგვითხრობს, უმთავრესად ქართულ წყაროებზე დაყრდნობით, ზაქარიასა და იოანეს, ავაგისა და შანშეს მოღვაწეობის შესახებ, მათ ბრძოლებზე თურქსელჩუკების, ხვარაზმელებისა და მონგოლების წინააღმდეგ და ასევე მათი ურთიერთობის შესახებ მონგოლებთან.

აღსანიშნავია, რომ ი. ლალაიანს მხარგრძელებზე, კერძოდ, სარგის მხარ-

---

[1] მ. ა ლ ი შ ა ნ ი, შარაკი (სომხ.), გვ. 175.

[2] ე. ლ ა ლ ა ი ა ნ ი, ბორჩალოს თემი (სომხ.), გვ. 319 328.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 323.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 319.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 320—321.

გრძელზე გამოყენებული აქვს მის მიერვე ოძენში ჩაწერილი გადმოცემაც. გადმოცემის მიხედვით, სარგისს ზედმეტ სახელად „შ ი რ შ ი (*Ширши*) და აგრეთვე „ჯ უ ჯ ა პ ა პ ი“ (*Джуджапапи*) ეწოდებოდა თურმე თავისი მომცრო (დაბალი) ტანის გამო [1].

ე. ლალაიანი თავის ამ გამოკვლევას ურთავს აგრეთვე მხარგრძელთა გენეალოგიას [2], რომელიც არსებითად იმეორებს მის წინამორბედთა მიერ შედგენილ გენეალოგიას.

ას. შ ა ჰ ნ ა ზ ა რ ი ა ნ მ ა, ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში, საგანგებო გამოკვლევა უძღვნა მხარგრძელებს. ეს ნაშრომიც, ისე როგორც ს. კაკაბაძის ზემოდასახელებული პირველი გამოკვლევა, ნ. მარის ხელმძღვანელობით შესრულდა. აღსანიშნავია, რომ ას. შაჰნაზარიან ს ნაშრომს, როგორც ნ. მარის ანგარიშიდან ჩანს, ზემოდასახელებულ სტუდენტურ გამოკვლევათა შორის ოქროს მედალი დაუმსახურებია [3].

ას. შაჰნაზარიანის ვრცელი ნაშრომი თავდაპირველად ექვსი თავისაგან შედგებოდა, მაგრამ ის ამ სახით არ დაბეჭდილა. რამდენადაც ჩვენ ვიცით, ას. შაჰნაზარიანის ამ ვრცელი ნაშრომიდან 1913 წელს დაიბეჭდა მხოლოდ ის ნაწილი (არსებითად პირველი თავი), რომელიც ეხებოდა მხარგრძელთა, ან, როგორც ავტორი უწოდებს, „ერკაინაბაზუკის ტომის წარმოშობას, ძოროაგეტში გადმოსახლებას და წინაპრებს“ [4].

ას. შაჰნაზარიანის ნაშრომი სომხურ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთი პირველთაგანი და სპეციალური გამოკვლევაა მხარგრძელთა წინაპრების შესახებ და, ცხადია, საგანგებო განხილვის ღირსია.

ას. შაჰნაზარიანს მიზნად დაუსახავს პირველ რიგში გაერკვია მხარგრძელთა (ავტორის მიხედვით, ერკაინაბაზუკთა) წინაპრების თავდაპირველი საცხოვრისი. ამისათვის იგი იყენებს ყველა ძველი სომეხი და ქართველი ისტორიკოსის მონაცემებს და მიდის დასკვნამდე, რომ მხარგრძელთა წინაპრები „ბაბილონის ქვეყნიდან“, „ქალდეიდან“ არიან და არა ქურთები, ქურთისტანიდან. ას. შაჰნაზარიანი დაინტერესდა აგრეთვე ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში მხარგრძელთა გადმოსახლების დროით. მხარგრძელთა წინაპრების გადმოსახლება კავკასიაში, მისი აზრით, 1050—1089—1112 წწ. არ შეიძლება სცილდებოდეს.

ას. შაჰნაზარიანის დასკვნა ზემოაღნიშნულ საკითხზე ასეთია: „ზაქარიანები (ერკაინაბაზუკები) წარმოშობით ქალდეველები (*Քալդէացիներ*) არიან. წამოვიდნენ სომხეთისაკენ დაახლოებით 1044 1050 წლებში და დამკვიდრდნენ ძოროაგეტში 1050—1063 წლებში. ისინი ჯერ კიდევ ბაბილონში ნესტორიანები ყოფილან,... ხოლო სომხეთში მიუღიათ მხოლოდ სომეხთა ეკლესიის აღსარება“ [5].

ამავე ნაშრომში ას. შაჰნაზარიანი მის განკარგულებაში არსებული ყველა ისტორიული წყაროს (სომეხ ისტორიკოსთა ცნობების, ეპიგრაფიკული მონაცემების) კრიტიკული შესწავლით ადგენს მხარგრძელთა წინაპრების ეთნიკურ ვინაობას, ამის მიხედვით— მათ გენეალოგიას. ას. შაჰნაზარიანი უპირატესობას ეპიგრაფიკულ ძეგლებს ანიჭებს და, ჩვენი აზრით, იგი სწორად ადგენს სარგის ამირსპასალარის წინაპართა სახელებსაც: ხ ო ს რ ო ვ ი, ა ვ ა გ-ს ა რ გ ი ს ი, ზ ა ქ ა რ ი ა I. ასე-

---

[1] ე. ლ ა ლ ა ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 319.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 329.

[3] პეტერბურგის უნივერსიტეტის 1908 წ. ანგარიში (რუს.), გვ. 73—75.

[4] ას. შ ა ჰ ნ ა ზ ა რ ი ა ნ ი, ზაქარიანთა (ერკაინაბაზკუთა) ტომის წარმოშობა (სომხ.), გვ. 66—83.

[5] ას. შ ა ჰ ნ ა ზ ა რ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 74.

ეე მას მოცემული აქვს ცდა დაადგინოს მხარგრძელთა მეორე შტოს წინაპარიც. ასეთად მას, წინააღმდეგ სომეხ ისტორიკოსთა მონაცემებისა, ვაჩრამი მიაჩნია, რომელიც მან სარგისის ძმად და ზაქარია I ის შვილად გამოაცხადა, და არა სარგის დიდის მამად, როგორც ამაზე ნარატიული წყაროები მიუთითებენ[1].

ამავე ნაშრომში ას. შაჰნაზარიანი მხარგრძელთა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის საკითხსაც ეხება. ეს, მისი აზრით, სარგისის ანისის მმართველად (1161 წ.) დანიშვნიდან იწყება. განსაკუთრებით კი, ორბელთა აჯანყების შემდეგ, სარგისმა, აჯანყებაში მონაწილეობაზე უარის თქმით და გიორგი III-ის მხარეზე გადასვლით, უზრუნველყო თავისი და თავისი შვილების მომავალიც — თამარის დროიდან სარგისი ამირსპასალარი ხდება და მხარგრძელები სამფლობელოებსაც იღებენ (ლორე, შემდეგ ანისი)... ყველაფერ ამასთან ერთდროულად, ას. შაჰნაზარიანის დასკვნით, ხდება ერკაინაბაზუკთა გვარის ქართველ იშხანთა რიგებში გადასვლა[2], გაქართველება.

როგორც ნ. მარის ზემოდასახელებული ანგარიშიდან ჩანს, ას. შაჰნაზარიანი თავისი ნაშრომის მომდევნო თავებში საგანგებოდ ეხებოდა თამარის მეფობის ხანას და ზაქარიასა და ივანეს მოღვაწეობას საქართველოს სამეფო კარზე, კერძოდ, მათი მნიშვნელობის ზრდას, ზაქარიას დანიშვნას მანდატურთუხუცესად და ამირსპასალარად, ივანეს მოღვაწეობას მისი ძმის ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ, მხარგრძელთა მიერ ჩატარებული ბრძოლების მნიშვნელობას და მათ ღონისძიებებს კულტურის დარგში და სხვ. უკანასკნელი თავი კი ქართულ სომხური საეკლესიო ურთიერთობისა და ამ საქმეში მხარგრძელთა როლის საკითხებისადმია მიძღვნილი.

აღსანიშნავია, რომ ას. შაჰნაზარიანის ნაშრომს თავის დროზე ნ. მარის რამდენიმე შენიშვნა დაუმსახურებია, მათ შორის ერთი ზაქარია და ივანე მხარგრძელების როგორც ისტორიულ პიროვნებათა როლის ერთგვარ გადაფასებას შეეხებოდა: «Преувеличенная оценка роли личности в истории ярче всего выступает у автора в одном из основных положений работы, ...по которому «причиною процветания монастырской жизни и духовной литературы» армян признаются полководцы Захария и Иванэ»[3].

ჩვენ ამჯერად არა გვაქვს შესაძლებლობა გავეცნოთ დასახელებული ნაშრომის ყველა თავს, როგორც ჩანს, ავტორს სხვა ნაწილები ამ შრომისა არ დაუბეჭდია. მაგრამ ზემოთქმულიდანაც აშკარაა, რომ ას. შაჰნაზარიანი სომხურ ისტორიოგრაფიაში ერთადერთია, რომელსაც განუზრახავს საფუძვლიანად შეესწავლა მხარგრძელთა ძირითადი შტოს არა მარტო წინაპრები და გაღმოსახლების დრო, არამედ მათი მთელი მოღვაწეობაც.

ას. შაჰნაზარიანი მხარგრძელებს გაკვრით ეხება აგრეთვე ქ. დვინისადმი მიძღვნილ, რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში: აღსანიშნავია, რომ იგი ამ მონოგრაფიაში საქართველოს სამეფოს ცნობილ მხედართმთავრებს მხოლოდ „მხარგრძელებად“ მოიხსენიებს და არა ერკაინაბაზუკებად, როგორც თავის პირველ გამოკვლევაში[4].

მხარგრძელებსა და მხარგრძელების საკითხს შეეხო აგრეთვე ლ. მელიქსეთ-ბეგი ჯერ კიდევ 1921 წელს თავის ერთ-ერთ სომხურად დაბეჭდილ წერილში, ხოლო შემდეგ მონოგრაფიაში „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ვინაობა“.

[1] ას. შაჰნაზარიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 75.

[2] იქვე, გვ. 82.

[3] პეტერბურგის უნივერსიტეტის 1908 წ. ანგარიში (რუს.), გვ. 75.

[4] ას. შაჰნაზარიანი, დვინი (რუს.), გვ. 130—132.

ლ. მელიქსეთ ბეგის ამ უკანასკნელ ნაშრომში მხარგრძელთა საკითხი განხილულია „ჩრდილო მხარეთა“ მე-11—მე-12 სს. პოლიტიკური მდგომარეობის შესწავლასთან დაკავშირებით და ამიტომ, ცხადია, მხარგრძელთა შესახებ საგანგებო ერცელი მსჯელობა არ არის გამართული; მაგრამ ლ. მელიქსეთ-ბეგი მაინც ეხება მხარგრძელთა ვინაობას, მათ ტიტულატურას და ადგილს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ლ. მელიქსეთ-ბეგი მოკლედ გადმოსცემს აბ. შაინაზარიანის, ე. ორმანიანის, კარაპეტ ტერ-მკრტიჩიანის, ს. კაკაბაძის მოსაზრებებს მხარგრძელთა ვინაობის შესახებ, მაგრამ არ გამოთქვამს თავის შეხედულებას ამ საკითხზე და აგრეთვე — საკუთარ დამოკიდებულებას მათი თვალსაზრისების მიმართ [1]. იგი ყურადღებას აქცევს მხარგრძელების ბაგრატიონებად მოხსენიებას და ამ ფაქტს მხარგრძელების ერთ-ერთი დის „მაწნაბერდის კვირიკაანთ აბას მეფესთან“ დაქორწინებით ხსნის [2].

ლ. მელიქსეთ-ბეგი ყურადღებას ამახვილებს მხარგრძელთა ტიტულატურაზე, კერძოდ მათ მოხსენიებაზე „მეფეებად“ და „შაჰინშაჰებად“ და ამის საფუძველზე დაასკვნის, რომ „მხარგრძელები მე-12 ს. დამლევსა და მე-13 ს. დასაწყისში, ე. ი. დაახლოებით თამარისა და მის მემკვიდრეთა მეფობის ხანაში, ფაქტიური ბატონ-პატრონები იყვნენ მთელი სომხეთისა, საერთოდ, და ე. წ. „ჩრდილო მხარეთა“, კერძოდ, ყოველ შემთხვევაში, თვით მხარგრძელთ თავიანთი თავი სომეხ მეფეთა მემკვიდრეებად მიაჩნდათ, თუმცა დანამდვილებით ისინი ქართველ მეფეთა მოადგილეები იყვნენ სომხეთში“ [3].

მაგრამ ლ. მელიქსეთ-ბეგის ამ მოსაზრების საბუთიანობა, ჩვენი აზრით, არადამაჯერებელია. ამასთან განმარტებას მოითხოვს თვით ცნებები — „ფაქტიური ბატონ-პატრონობისა“ და აგრეთვე საქართველოს „მეფეთა მოადგილეობისა“. მხარგრძელების სომხეთში მოხელეობა, ცხადია, არ ნიშნავდა მეფის მოადგილეობას. სამეფოს ამა თუ იმ პროვინციის გამგებლობა, ერისთაობა თუ სხვა სახის მოხელეობა არ იყო მეფის მოადგილეობა.

ლ. მელიქსეთ-ბეგი, ისევე როგორც ისტორიკოსი ლეო (ა. ბაბახანიანი), მხარგრძელებს „ჩრდილო სომხეთის სამთავრო გვარეულობათა ფედერაციის“ შემქმნელად აცხადებს და ხაზს უსვამს ამ ფედერაციის კავშირს „ქართველთა ძლიერ სამეფოსთან“, მხარგრძელების დამოკიდებულება საქართველოს მეფესთან სომხეთ-საქართველოს კავშირამდე დაჰყავს. აღსანიშნავია, რომ, ლეოს აზრით, ასეთი კავშირი ორივე „ხალხისათვის იყო საჭირო“ და ამ კავშირის წყალობით, თითქოს, „აღორძინდა სომეხთა დამოუკიდებლობა. ამ შემთხვევაში უფრო ფართო მასშტაბით, ვიდრე ბაგრატუნიანთა დროს“ ლეოს ამ სიტყვებს, ყოველგვარი შენიშვნის გარეშე, იმეორებდა ლ. მელიქსეთ-ბეგი და, როგორც ჩანს, იზიარებდა კიდეც [4].

ქართველი და სომეხი ხალხის კავშირს მე-12 ს-ში, მის წინა თუ მომდევნო საუკუნეებშიც, მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ეს კავშირი ყოველთვის არ იყო, ცხადია, ორი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის „დამოუკიდებელი სომხეთისა“ და საქართველოს ურთიერთობა.

ლ. მელიქსეთ-ბეგმა მნიშვნელოვანი მასალების გამოქვეყნებით, ზოგ ეპიგ-

---

[1] ლ. მელიქსეთ ბეგი, „ჩრდილო მხარეთა“ სომეხთა მოძღვარნი, გვ. 38—40.
[2] იქვე, გვ. 40.
[3] იქვე, გვ. 39.
[4] იქვე, გვ. 40—41.

რაფიკულ ძეგლებში თავის შესწორებების შეტანითა და ხელახლა გამოცემით უდავოდ შეუწყო ხელი „მხარგრძელთა პრობლემის" შემდგომ დამუშავებას ისტორიოგრაფიაში.

მე-20 ს. 30-იანი წლებიდან „მხარგრძელთა საკითხი" სომხურ ისტორიოგრაფიაში მჭიდროდ უკავშირდება სომეხი ხალხის XII XIII სს. ისტორიის საკითხებს და, ბუნებრივია, საგანგებო ყურადღებას იქცევს მათი არა მარტო ვინაობა, არამედ, განსაკუთრებით, მოღვაწეობის მნიშვნელობა, მათი როლისა და ადგილის საკითხი სომეხი ხალხისა და სჳქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილავდა მხარგრძელთა საკითხს სომეხი ხალხის ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი ი. მ ა ნ ა ნ დ ი ა ნ ი.

ი. მანანდიანმა თავისი ცნობილი ნაშრომის „სომეხი ხალხის ისტორიის კრიტიკული განხილვის" მესამე ტომში საგანგებო თავი მიუძღვნა სომეხი ხალხის ისტორიას მე-12 ს-ში და მასთან დაკავშირებით მხარგრძელების ვინაობასა და როლს. ამ თავს, რომელიც ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეძღვნება, ი. მანანდიანმა უწოდა „სომხეთის აღდგენა საქართველოს სუვერენიტეტის (პროტექტორატის — *ზერჩესაობის*) ქვეშ".[1]

დასახელებული ნაშრომის ამ საგანგებო თავში განხილულია ზაქარიანების (ასე უწოდებს ავტორი მხარგრძელებს) საგვარეულოს წარმოშობა, მათი ძორაგეტში გადმოსახლებისა და თანდათან დაწინაურების დრო და პირობები. აღსანიშნავია, რომ ი. მანანდიანი, მართალია, არ ეთანხმება ა. შაჰნაზარიანს მხარგრძელთა ვინაობის შესახებ და მათ ქურთული წარმოშობისად მიიჩნევს, მაგრამ სავსებით იმეორებს მის მიერ შედგენილ მხარგრძელთა წინაპრების გენეალოგიას[2].

ამავე თავში დეტალურად და საინტერესოდაა განხილული ის ბრძოლები, რასაც საქართველო აწარმოებდა თურქ სელჩუკების მიერ დაპყრობილი სომხური ტერიტორიების გასათავისუფლებლად. გათავისუფლებულ ტერიტორიებზე, ი. მანანდიანის აზრით, თანდათან წარმოიშვნენ სომხური საოშხანოები, რომელნიც ზაქარია და ივანე მხარგრძელებს ემორჩილებოდნენ. ეს კი პოლიტიკურად სომხეთის აღდგენას ნიშნავდა მხარგრძელთა ბატონობისა და საქართველოს პროტექტორატის ქვეშ. ყოველივე ამას კი მოჰყვა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აყვავება[3].

ასეთივე მოსაზრებისა იყო ი. მანანდიანი უფრო ადრეც, კერძოდ 30-იან წლებში, როცა სომხეთის ქალაქების ისტორიასთან დაკავშირებით გაკვრით ეხებოდა თამარის ხანის საქართველოსა და მხარგრძელების როლს სომხეთის განთავისუფლების საქმეში. იგი წერდა: «Временем наивысшего могущества Грузии считается, как известно, царствование... Тамары... При ней почти вся Армения была завоевана ее полководцами Захарием и Иванэ Долгорукими и под сюзеренной властью этого нового княжеского рода феодальная Армения была вновь восстановлена, как вассальная область Грузии»[4].

როგორც ვხედავთ, ი. მანანდიანის აზრით, ა) მხარგრძელების საგვარეულო

---

[1] ი. მ ა ნ ა ნ დ ი ა ნ ი, სომეხი ხალხის ისტორია, III (სომხ.), გვ. 122—144.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 125.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 144.

[4] ი. მ ა ნ ა ნ დ ი ა ნ ი, სომხეთის ვაჭრობა და ქალაქები (სომხ.), გვ. 177—178; შდრ. იმავე ნაშრომის მეორე გამოცემა, 1954, გვ. 266.

ახალი სამთავრო საგვარეულოა; ბ) ამ საგვარეულოს წყალობით ხელახლა იქნა აღდგენილი ფეოდალური სომხეთი, როგორც საქართველოს ვასალური ოლქი; გ) ამ საგვარეულოს წარმომადგენლები მათ მიერვე აღდგენილ სომხეთში „სიუზერენული ხელისუფლებით“ სარგებლობდნენ, მაგრამ ი. მანანდიანს ზემოგანხილულ ნაშრომებში არ მოუტანია მასალა ზაქარია და ივანე მხარგრძელების „სიუზერენული ხელისუფლების“ დამადასტურებლად. ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ ი. მანანდიანი მიუთითებდა სომხეთის აღდგენის შესახებ თვით საქართველოს სამეფოს ფარგლებში, მის ერთ-ერთ ვასალურ ოლქად; თუმცა მას თვით ამ ვასალობის და შინაარსის (ყმობა და ყმადნაფიცობა) შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი; არაფერია აღნიშნული აგრეთვე იმის თაობაზე, თუ რამდენად იყო შესაძლებელი, რომ საქართველოს სამეფოს მოხელის განსაგებელი ქვეყანა საქართველოს ვასალური ოლქი ყოფილიყო.

სომეხ მკვლევართაგან მხარგრძელებს სხვა პრობლემებთან დაკავშირებით არაერთხელ შეხებია ი. ო რ ბ ე ლ ი, მაგრამ მას მხარგრძელთა შესახებ საგანგებო გამოკვლევა არ დაუწერია და ამიტომ ი. ორბელის შეხედულებებზე ამკერად სიტყვას არ გავაგრძელებთ, თუმცა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით მისი მოსაზრებანი ჩვენ მიერ ქვემოთ სათანადოდ იქნება გათვალისწინებული.

იგივე უნდა ითქვას ცნობილი სომეხი ენათმეცნიერის ჰ. ა ჭ ა რ ი ა ნ ი ნაშრომების შესახებაც. მას თავის „საკუთარ სახელთა ლექსიკონში“ საინტერესო ცნობები მოეპოვება მხარგრძელთა შესახებ, კერძოდ ავაგ-სარგისის ხოსროს ძის, დიდი სარგისის, მისი შვილების – ზაქარიასა და ივანეს შვილიშვილების — ავაგის, შაჰანშაჰისა და სხვათა შესახებ. ეს მასალა, ასევე ჰ. აჭარიანის ცალკეული მოსაზრებანი ამ ისტორიულ პირებთან დაკავშირებით ჩვენ მიერ, ცხადია, გათვალისწინებულია.

მხარგრძელებს ეხებიან აგრეთვე სომხური სამართლის ისტორიის მკვლევრებიც. ხ. ს ა მ ე ე ლ ი ა ნ ი იყო ერთი პირველთაგანი, ვინც „ძველი სომხური სამართლის ისტორიაში“ საგანგებო პარაგრაფები შეიტანა „ზაქარიანების სამთავროსა“ და „ზაქარიანების პერიოდის მიწის საკუთრების ფორმების“ შესახებ ს. სამველიანმა საქართველოს სამეფოს მიერ თურქ სელჩუკთა ბატონობისაგან განთავისუფლებული და უშუალოდ შემოერთებული სომხური ტერიტორიები „დამოუკიდებელ და თვითმყოფად ქვეყნად“ და საქართველოსადმი დაქვემდებარებულ ვასალურ სახელმწიფოდ („სამეფოდ“) მიიჩნია[1]. ამის საბუთად ხ. სამველიანს მხარგრძელთა ტიტულატურა, მათი მოხსენიება „ქვეყნის მპყრობლებად“, „სახელმწიფოებრივ მმართველებად“, „ქვეყნის ბატონებად“, „მეფეებად“, „კეისრად“ და სხვ. — მოაქვს, თუმცა საამისო ნარატიული თუ ეპიგრაფიკული მასალის საგანგებო განხილვა მას საჭიროდ არ მიუჩნევია და კ. კოსტანიანცის ზემოდასახელებული კორპუსის ზოგიერთი გვერდის მითითებით დაკმაყოფილებულა[2].

ასევე მკლევარს, თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად, მოაქვს ცნობები სტეფანოს ორბელიანის თხზულებიდან, თუმცა, ჩვენი აზრით, არასწორი ინტერპრეტაციით[3].

აღსანიშნავია, რომ ს. სამველიანმა სომხეთში მიწისმფლობელობის ფორმებისა და მიწაზე მეფის უზენაესი უფლების შესასწავლად გამოიყენა მხითარ

---

[1] ს. ს ა მ ე ე ლ ი ა ნ ი, სომხური სამართლის ისტორია(სომხ.), გვ. 143—144.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 144.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 177 178.

გოშის სამართლის წიგნი, რომელიც, მ რთლაც, კარგად ასახავს სომხეთში მეფის ხელისუფლების როლს და მის უზენაესობას ამ მხრივ [1].

მხარგრძელებს არაერთხელ შეხებია ცნობილი სომეხი ისტორიკოსი ს. ე რ ე მ ი ა ნ ი. მან ჯერ კიდევ 1944 წელს ზაქარია მხარგრძელს, როგორც გამორჩენილ მხედართმთავარს, საგანგებო სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი „ამირსპასალარი ზაქარია ერკაინბაბაზუკი“ უძღვნა. ს. ერემიანი ამ ნაშრომში საკმაოდ ვრცლად ეხება ჩვენთვის საინტერესო საკითხს, კერძოდ ზაქარიას წინაპრებს: მამას — სარგის დიდსა და დედას საკუთხეს; თვით სარგისის დ წ ნაურების დროს, ხოლო შემდეგ ზაქარია მხარგრძელის დანიშნას ამირსპასალარად და მან დატურთუხუცესად, ანუ, ს. ერემიანის განმარტებით, „ბეჭდის მცველად“ (*ჩնքապան*) და „დედოფლის დაცვის რაზმის უფროსად“ [2].

ს. ერემიანის აზრით, ზაქარია მხარგრძელის გაელენას მეფე ქალის კარზე განსაკუთრებით ზრდიდა მისი ამირსპასალარობა, რაკი თვით მეფეს, როგორც ქალს, ბრძოლებში მონაწილეობის მიღება არ შეეძლო და, ბუნებრივია, ყველა საქმის გადაწყვეტა, ამირსპასალარს უხდებოდა... [3] მისი აზრით, კიდევ უფრო გაძლიერდა ამირსპასალარი ზაქარია თამარის მეფე-ქმრის დაცით სოსლანის გარდაცვალების შემდეგ, 1207 წლიდან; ს. ერემიანის მტკიცებით, იგი არა მარტო სამხედრო და საშინაო საქმეებს უძღვებოდა, არამედ თამარის სახელით აწარმოებდა საგარეო პოლიტიკასაც [4]. ამიტომ იყო, წერს ს. ერემიანი, რომ ზაქარია უველაზე გაელენიანი პირი იყო და სამეფოს ფაქტიური გამგებელი; თამარ მეფე და ზაქარია ხელიხელჩაკიდებულნი მართავდნენ სახელმწიფოს, როცა საქართველომ თავისი განვითარების ზენიტს მიაღწია [5].

როგორც ვხედავთ, აქ ადგილი აქვს ზაქარია მხარგრძელის როლის გაზვიადებას, მის განდიდებას. ს. ერემიანი არ ითვალისწინებს ამ შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფოებრივი მმართველობის სისტემას, რომლის მიხედვით, ცხადია, ამირსპასალარი (რა გაელენიან პირსაც არ უნდა ჰქონოდა ეს თანამდებობა) არ შეიძლებოდა ყოფილიყო იმ სახელმწიფოს გამგებელი (თუნდაც დავით სოსლანის გარდაცვალების შემდეგაც), რომლის მმართველობის სათავეში (მეფის შემდეგ) ვაზირი — მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი იდგა და რომლის ხელქვეით მოხელეთა შორის ამირსპასალარიც იყო. ხემოთ ჩვენ უკვე ვიჩვენეთ, რომ ვაზირის უწყებაში სამხედრო საქმე, „სამეფო სპა“ უშუალოდ შედიოდა [6]. მეფის ბრძანებებს ამ მხრივაც ამირსპასალარი კი არ სცემდა, როგორც ს. ერემიანი აღნიშნავს, არამედ სწორედ ვაზირი — მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელი.

ასეთ გაელენის მქონე და „საქართველოს სახელმწ ოს ფაქტიური გამგებელი“ ზაქარია მხარგრძელი ს. ერემიანს, ცხადია, სავსებით დამოუკიდებელ მმართველად მიაჩნია „ზაქარიანების სომხეთში“. სომხეთის პოლიტ კური დამოუკიდებლობის აღდგენა, მისი აზრით, ზაქარიას შთააგონა მისმა სულიერმა მოძღვარმა მხითარ გოშმა, რომელიც სახალხო მოძრაობას ედგა სათავეში და ზაქარიას განადიდებდა ხალხის თვალში [7].

ს. ერემიანი ამავე წერილში ეხება მხარგრძელთა სხვა განშტოებებსაც —

---

[1] ს. ს ა მ ე ლ ი ა ნ ი, ძველი სომხური სამართლის ისტორია (სომხ.), გვ. 177 —178.

[2] ს. ე რ ე მ ი ა ნ ი, ამირსპასალარი ზაქარია ერკაინბაბაზუკ (სომხ.), გვ. 11.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 17 18.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 46.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 62.

[6] იხ. ბასილი, გვ. 18.

[7] ს. ე რ ე მ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 22 –23.

კერძოდ. გაგელებსა და თმოგველებს და ერთსაც და მეორესაც სომხურ საგვარეულოებად მიიჩნევს[1].

მხარგრძელებს ს. ერემიანი ეხება აგრეთვე იური (გიორგი) რუსი უფლისწულისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში. სადაც მან გაიმეორა ადრე გამოთქმული თვალსაზრისი მხარ გრძელთა (ავტორის გამოთქმით დოლგორუკოთა) განსაკუთრებული როლის შესახებ მე 12 ს. საქართველოში. დასახელებულ წერილში ს. ერემიანი დასკვნის ს ხით წერდა: „ზაქარია დოლგორუკმა, დაჩრდილა რა დავით ულუსლას , თავისი მარ კვე და მოქნილი პოლიტიკით შეძლო გამხდ რიყო ქვეყნის ფაქტიური მმართველი, თამარი ყოველისშემძლე ძმების ზაქარიას და ივანე დოლგორუკების ხელისუფლების ქვეშ აღმოჩნდა“[2].

ს. ერემიანმა მხარგრძელთა შესახებ მის მიერ წარმოებულ კვლევას ერთგვარი განზოგადებული სახე მისცა ავტორთა კოლექტივის მიერ 1951 წ. გამოქვეყნებულ „სომეხი ხალხის ისტორიაში“, რომლის დიდი, მათ შორის ჩვენთვის საინტერესო პერიოდისადმი მიძღვნილი ნაწილი მის მიერ არის დაწერილი[3].

დასახელებულ წიგნშიც ს. ერემიანმა მოკლედ გაიმეორა თავისი ზემოაღნიშნული წერილის ძირითადი დასკვნები მხარგრძელთა დაწინაურების დროის, მათი საგვარეულო სახელის (ზაქაროიანების) წარმოშობ ს, მხარგრძელის, როგორც სარგისის პირადი ხელდებისა და სხვათა შესახებ. აქვე აღნიშნულია, რომ ზაქარია მხარგრძელმა 1203 წ. მიიღო თანამდებობა «хранителя государственной печати и начальника личной охраны царицы»[4].

ს. ერემიანი ამ განმაზოგადებელ ნაშრომში, წინა გამოკვლევებისაგან განსხვავებით, უურადღებას განსაკუთრებით ამახვილებს მე-12 ს-ში საქართველოს მიერ შემოერთებული სომხური ტერიტორიების სტატუსზე. ს. ერემიანი აღნიშნავს, რომ „საქართველოს მიერ სომეხთა აქტიური მონაწილეობით“ გათავისუფლებული ტერიტორიები „შ ე ვ ი დ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა შ ი“[5], მაგრამ სომხური ტერიტორიები, გარდა ვანანდის მხარისა, ქ. კარით, რომელიც უშუალოდ სამეფოდ გამოცხადდა, თამარმა გადასცა ზაქარიას და ივანეს. ასე რომ მე 13 ს. დამდეგს «в руках Захариадов оказались все территории прежних армянских царств Анийского, Ташир-Дзорагетского и Сюникского»[6], რომელიც შემდეგ „ზაქარიანებმა“ თავიანთ ვასალებს დაუნაწილეს. ს. ერემიანი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ მფლობელობის რა პირობით იყო გადაცემული სომხური ტერიტორიების ესა თუ ის ოლქი მხარგრძელებისადმი, მაგრამ მაინც წერს: «Северная Армения, входя в состав Грузинского царства, пользовалась полным внутренним самоуправлением», იმდენად, რომ «грузинские цари не взимали даже с армянских земель налогов»[7].

როგორც ეხედავთ, ს. ერემიანი ამ შემთხვევაში მიუთითებს საქართველოს

---

[1] ს. ე რ ე მ ი ა ნ ი. მრრსპ სალარი ზაქარია ერკაინბაბაზეკი (სომხ.), გვ 22 23.

[2] ი ქ ვ ე. გვ. 20. ს მეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ეს არასწორი მოსაზრებები მხარგრძელთა ძესახებ. როგორც ჩანს, გახდა ერთ-ერთი წყარო ზოგიერთ მხატვრულ ნაწარმოებში მათი როლის გაზეიადებულად წარმოჩენისა (ასეთია, მაგალითად, უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული ტ. ეერმიშვის რომანი „ამორსპასალარი“).

[3] ს. ე რ ე მ ი ა ნ ი, იური ბოგოლუბსკი (რუს.), გვ. 415.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 161.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 161, 162, 164; შდრ. გვ. 194.

[6] ი ქ ვ ე, გვ. 165.

[7] История армянского народа, 1951, გვ. 165.

სახელმწიფოში შესული სომხური ტერიტორიების მხოლოდ „შინაგანი თვითმმართველობისა“ და საგადასახადო შეუვალობის შესახებ.

ორი წლის შემდეგ გამოქვეყნებულ ს. ერემიანის ახალ ნარკვევებში — «Армения в IX– первой четверти XIII в.»[1] სომხური პროვინციები მიჩნეულია უკვე საქართველოს ვასალურ სახელმწიფოებად.

შემდეგ ს. ერემიანმა მხარგრძელები მიიჩნია საქართველოს სამეფოს მიერ სელჩუკთა ბატონობისაგან გათავისუფლებული სომხური პროვინციების „მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი თ უ ზ ე ნ ა ე ს მ მ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ა დ“. ამას გარდა, მათ (მხარგრძელებს) უკვე არა მარტო საგადასახადო, არამედ სასამართლო შეუვალობაც მიაწერა. ასე ჩამოყალიბდა, ს. ერემიანის აზრით, «сеть вассально-зависимых армянских княжеств, верховными сюзеренами которых считались грузинские цари»[2].

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ს. ერემიანი ლაპარაკობს არა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში უშუალოდ შესულ სომხურ ტერიტორიებზე, არამედ საქართველოს ვასალური სომხური სამთავროების მთელ ქსელზე, რომელთაც სათავეში უდგათ მხარგრძელები — „მემკვიდრეობით უზენაესი მმართველები“. იქვე ს. ერემიანი აცხადებს, რომ მკვიდრ სომხურ მიწა-წყალზე თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს ჩამოყალიბდა „საქართველოს ვასალური სახელმწიფო“[3]. ამრიგად, ს. ერემიანმა 1961 წ. მის მიერ საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში მკვიდრად შესულ და თვითმმართველობის მქონედ მიჩნეული სომხური ტერიტორიები 1953 წელს გამოაცხადა საქართველოს ვასალურ სახელმწიფოდ ისე, რომ თავისი მოსაზრების ევოლუცია არ შეუმაგრებია ახალი მასალებით ან გამოკვლევებით.

როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, საისტორიო წყაროები არაფერს გვამცნობს საქართველოს მიერ შემოერთებული სომხური პროვინციების დამოუკიდებელი თვითმმართველობის, საგადასახადო და სასამართლო შეუვალობისა და მით უფრო ვასალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შესახებ.

მხარგრძელების შესახებ ზოგიერთი არასწორი შეხედულება აქვს გამოთქმული ა. არუთინიანს. იგი მხარგრძელებს არა მარტო სარდლებად, არამედ საქართველოს ერთიანი ლაშქრის შემქმნელებად მიიჩნევს: «Захариды объединили армянские войска с грузинскими и создали единую грузино-армянскую армию»[4].

სომხეთში პოლიტიკური ცხოვრების აღდგენასა და აქ მხარგრძელთა ხელისუფლების დამკვიდრებაში ავტორის განცხადებით საქართველოს სახელმწიფოს როლი მხოლოდ მ ხ ა რ დ ა ჭ ე რ ი თ შემოიფარგლა: «В начале XIII в б л а г о д а р я с о д е й с т в и ю Грузии была восстановлена политическая жизнь Армении под главенством Захаридов»[5].

ამ შემთხვევაში სომხეთი აღარ განიხილება არც საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად, არც მის ვასალურ სახელმწიფოდ. საქართველოს სახელმწიფოს როლი სომხეთის მიმართ, ა. არუთინიანის აზრით, ამოიწურებოდა მხოლოდ „ზაქარიდების ერცელი სამთავროს“ ჩამოყალიბებისა და სომხე-

---

[1] ვ. დონდუას შენიშვნები ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. მის რეცენზიაში — «Некоторые замечания на коллективный труд» «История армянского народа», „მიმომხილველი“, III, გვ. 317– 320.

[2] Очерки истории СССР, IX– XIII вв., გვ. 629.

[3] იქვე, გვ. 634.

[4] История армянского народа, пособие для средних школ, ч. I, 1944, стр. 174.

[5] იქვე, გვ. 179.

თის პოლიტიკური ცხოვრების აღდგენისათვის მხარდაჭერაში. მართალია, სომხეთი ექვემდებარებოდა საქართველოს («Армения периода Захаридов подчинялась Грузии... князья ее занимали при грузинском дворе высокие должности»), მაგრამ ეს დ ქვემდებარება ნომინალურ ხასიათს ატარებდა. ზაქარიდების სომხეთი «пользовалась полной самостоятельностью и не платила дани». საქართველოსადმი სომხეთის მორჩილება იმაში გამოიხატებოდა, რომ «Армянские князья обязаны были только предоставлять Грузии вспомогательные поиска и восвать против ее внешних врагов»[1].

ასეთივე აზრია გატარებული ნ. ტოკარსკის წიგნში, რომელიც ზემოგანხილული დამხმარე სახელმძღვანელოს გამოცემიდან ორი წლის შემდეგ დაიბეჭდა. ნ. ტოკარსკი წერდა: «Армения вступила в новую стадию развития под почти номинальным покровительством Грузии, осуществлявшимся представителями молодого армянского княжеского рода, братьями Иванэ и Захарией Долгорукими»[2] (ხაზგასმა ჩვენია—შ.ქ.).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ნ. ტოკარსკის მცდარმა თვალსაზრისმა ს. ჯანაშიას მკაცრი კრიტიკული გამოსვლა გამოიწვია[3].

სომხურ ისტორიოგრაფიაში თანდათან დამკვიდრდა აზრი მხარგრძელთა განსაკუთრებული როლის შესახებ მე-12 –მე-13 სს. საქართველოსა და სომხეთის ისტორიაში, მათ მიერ ქართულ-სომხური გაერთიანებული ლაშქრის შექმნის, ზაქარიანების სომხური სამთავროს ჩამოყალიბების, ამ სამთავროს ვასალობის, ხოლო შინაგან ცხოვრებაში სრული დამოუკიდებლობის შესახებ. ამ თვალსაზრისით არის შედგენილი, მაგალითად, ავტორთა კოლექტივის „სომეხი ხალხის ისტორიის" სახელმძღვანელოს უკანასკნელი გამოცემის ის თავები, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო ხანას ეხება. მათი ავტორია ს. პოღოსიანი[4].

უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული მონოგრაფიებიდან, სადაც მხარგრძელთა საკითხი მეტნაკლებად სრულად არის განხილული, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ლ. ბაბაიანის ნაშრომი „სომხეთის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორია მე-13 მე-14 სს." იგი როგორც საკვალიფიკაციო ნაშრომი, როგორც ჩანს, 1962 წელს იყო წარმოდგენილი, ხოლო შემდეგ ცალკე მონოგრაფიის სახით დაიბეჭდა როგორც სომხურ (1964 წ.), ასევე რუსულ ენებზე (1969 წ.)[5].

ლ. ბაბაიანის ვრცელ გამოკვლევაში, რომელიც ძირითადად სომხეთში მონგოლთა ბატონობასა და მის შედეგებს შეეხება, მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი მე 12 საუკუნ ს ისტორიის განხილვასაც, კერძოდ მისი პირველი თავი მთლიანად შეეხება მონგოლების წინ დროინდელ სომხეთს, მის პოლიტიკურ მდგომარეობას, ადმინისტრაციულ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიურ სტრუქტურას. ჩვენთვის საინტერესო საკითხები ავტორის მიერ წამოჭრილია მომდევნო თავებშიც განსაკუთრებით ფეოდალური მიწათმფლობელობის კა-

---

[1] История армянского народа, გვ. 176.

[2] Н. Токарский, Архитектура древней Армении, 1956, გვ. 219.

[3] С. Н. Джанашиа, Об одном примере искажения исторической правды, გვ. 40.

[4] В. А. Парсамян, С. П. Погосян, Ш. Р. Арутюнян, История армянского народа, учебник для IX—X кл., Ер., 1967, 74—75, ის. აგრეთვე ამავე სახელმძღვანელოს მე-4 გამოცემა, 1969.

[5] ლ. ბაბაიანი, სომხეთის ისტორია (სომხ.); Л. О. Бабаян, Социально-экономическая и политическая история Армении в XIII –XIV веках, М., 1969; ის აგრეთვე ამავე ნაშრომის ავტორეფერატი, ამგვარიეე სათაურით, ერევანი, 1962.

ტეგორიებსა და ფეოდალურ რენტაში, გამოსაღებებისადმი მიძღვნილ ნაწილებში[1].

ლ. ბაბაიანის ნაშრომში მეტნაკლებად სრულად და განზოგადებული სახითაა გადმოცემული თვალსაზრისი მხარგრძელთა შესახებ და ამიტომ საჭიროდ მივიჩნევთ მასზე შედარებით უფრო ვრცლად შევჩერებას.

ლ. ბაბაიანი საქართველო სომხეთის პოლიტიკური ურთიერთობის მიმოხილვას იწყებს დავით აღმაშენებლის დროიდან, როცა, ავტორის სიტყვით, საქართველო იქცა «объединителем и организатором сил закавказских народов, ее усиление стало главным залогом победы освободительной борьбы народов Закавказья»[2].

დავით აღმაშენებელთან თაკს იყრიდნენ აქა იქ დარჩენილი სომეხი მოლაშქრენი, რაც შემდეგ, ავტორის აზრით, საქართველოს ლაშქარში სომხური ნაწილის ჩამოყალიბების საფუძვლად იქცა[3]. საქართველოს სამეფოს ლაშქრობათა გაძლიერებულმა ხასიათმა და აგრეთვე საქართველოს მეფეთა კეთილგანწყობილებამ სომეხი ფეოდალებისადმი, კერძოდ გათავისუფლებული სომხური ტერიტორიების სომეხი მთავრებისათვის გადაცემამ, განაპირობა, ლ. ბაბაიანის აზრით, სომხების აქტიური მონაწილეობა ქართველთა გამათავისუფლებელ ბრძოლებსა და საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში[4]. მისი აზრით, გიორგი III-ისა და თამარის დროს, განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდნენ მახკანაბერდის არწრუნიანები და ძორაგეტელი ზაქარიანები.

სარგის ზაქარიანის დაწინაურებას ლ. ბაბაიანი, სხვა მკვლევართა მსგავსად, ორბელთა აჯანყების ჩაქრობაში მონაწილეობის მიღებას უკავშირებს. ზაქარიანების უმთავრესი მოვალეობა, ლ. ბაბაიანის აზრით, საქართველოს მეფის ნაცვლობა „ნამესტნიკობა" იყო. ამის საბუთად ავტორს ბასილის ცნობა მოაქვს მხარგრძელთა და სხვათა მონაპირეობის შესახებ საქართველოს საზღვრებზე[5], რაც, ცხადია გაუგებრობაა: ბასილის მიერ მოხსენიებული „მონაპირეობა" და „მონაპირენი" არ ნიშნავს «наместничество»-სა და «наместник»-ს[6].

ლ. ბაბაიანის აზრით, მხარგრძელებს ნამესტნიკობის დროს გაუერთიანებიათ სომხური ფეოდალური ძალები და შეუქმნიათ სომხური სამხედრო დანაყოფები ქართული არმიის სისტემაში. ეს ნიშნავდა „სომხურ-ქართული შეიარაღებული ძალების შექმნას და ამასთან დაკავშირებით მისი მთავარსარდლის – ამირსპასალარის თანამდებობის გვერდით სპასპეტის თანამდებობის არსებობასაც. ამ თანამდებობაზე, ე. ი. სპასპეტად, (ანუ მეორე ამირსპასალარად) სარგის მხარ-

---

[1] Л Бабаян, История Армении, ავტორეფერატი, გვ. 6; შდრ. წიგნი რუსულ ენაზე, გვ. 13 (ქვემოთ ყველგან მითითებული იქნება წიგნი რუსულ ენაზე).

[2] Л. Бабаян, История Армении, 1969..., გვ. 14.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] Басили, გვ. 23.

[6] ბასილის „მონაპირეს" ე. დონდუა სავსებით სამართლიანად «порубежник» თარგმნის და არა «наместник»: «Порубежники, какие были на службе, ночи сравняли с днями, трудясь без отдыха... Именно, первое –нижним порубежным пунктом стал Гаги, которым владел тот же Захария Мхаргрдзели, отец Варама; – эти оба там были порубежниками» .. В. Д. Дондуа, Басили, историк царицы Тамары, Памятники эпохи Шота Руставели, М., 1938, გვ. 56. Л Бабаян, История Армении, გვ. 15. ლ. მელიქსეთ ბეგის სომხური თარგმანით მას *կատակալ*-ის შეესატყვისება (იხ. ლ. ბაბაიანის წიგნი სომხურ ენაზე, გვ. 33), რაც აგრეთვე ზუსტად გადმოსცემს ამ ტერმინის შინაარსს.

[7] Л. Бабаян, История Армении, გვ. 14.

გრძელს ამირსპასალარობის დროს, დაინიშნა ზაქარია მხარგრძელი[1]. ლ. ბაბაიანს ასეთი მტკიცების საფუძველს აძლევს არასწორად დათარიღებული სომხური წარწერები. მან სწორად გააკრიტიკა ი. სამველიანი, რომელმაც ამირსპასალარის ქართულ შესატყვისად მანდატურთუხუცესი გამოაცხადა, ხოლო ზაქარიას ორმაგი ტიტული — „ამირ“ და „სპასალარი“ იმის მოწმობად, რომ ერთი პირის ხელში გაერთიანებული იყო როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო ხელისუფლება; მაგრამ თვით ლ. ბაბაიანმა ამ კრიტიკის დროს არანაკლებ მძიმე შეცდომა დაუშვა, როცა მანდატურთუხუცესი „მეფის მამად“ («Отец царя — Крестный отец») და ამდენად „საქართველოს უმაღლეს გამგებლად“ გამოაცხადა. ასე რომ, ლ. ბაბაიანის აზრითაც ,ზაქარია მართლაც ყო საქართველოს უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების გამაერთიანებელი, მაგრამ არა როგორც ამირსპასალარი, არამედ როგორც ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი. მანდატურთუხუცესის სახელოს შინაარსი საკმაოდ ნათლადაა გარკვეული ისტორიოგრაფიაში და, ცხადია, მას არაფერი აქვს საერთო ლ. ბაბაიანის აღნიშნულ თვალსაზრისთან ამ საკითხზე.

ლ. ბაბაიანის აზრით, „ზაქარიანების საგვარეულო“ თვით „სარგის ზაქარიანი“ და მისი შთამომავლები მარტო სამხედრო მოღვაწენი ოდი იყვნენ. მათ დ დი პოლიტიკური გეგმებიც ჰქონდათ, კერძოდ, საქართველოს მფარველობის ქვეშ, მის სამხედრო ოპერაციებში უშუალო მონაწილეობით გაეთავისუფლებინათ სულჩუკებისაგან სომხური ტერიტორიები, აღედგინათ მისი ფეოდალური ძალების ცენტრალიზაცია და შეექმნათ ავტონომიური სომხური სახელმწიფო, რომელიც ვასალურ დამოკიდებულებაში იქნებოდა საქართველოს სამეფოსთან[2].

„ზაქარიანთა“ ოცდახუთწლიანი ბრძოლა ამ მიზნის განხორციელებისათვის, ლ. ბაბაიანის მიხედვ თ, წარმატებით დაგვირგვინდა — ჩრდილოეთი და ცენტრალური სომხეთი გათავისუფლდა და ყველაფერი ეს, გარდა ქ. კარსისა და მისი მიმდგომი ქვეყნებისა, ქართველმა მეფეებმა გადასცეს ზაქარიანებს: «Мы думаем, — წერს ლ. ბაბაიანი, — что некоторые сведения, сообщаемые грузинским историком Басилием. дают основание полагать, что земли, переданные Захаридам, современники считали не грузинскими. а рассматривали их как самостоятельные владения Захаридов»[3].

ლ. ბაბაიანის ეს თვალსაზრისი ემყარება XII-XIII სს. საქართველოში ფეოდალური მიწისმფლობელობის ფორმების არასწორ გაგებას. როგორც ჩანს, მას საქართველოს სახელმწიფო მიწა-წყლად მხოლოდ ის ტერიტორიები მიაჩნია, რომელიც სამეფო დომენს, მეფის უშუალო საკუთრებას შეადგენდა. ცხადია, სამეფო დომენი სახელმწიფოს მხოლოდ ერთ ნაწილს შეადგენდა, სწორედ იმ მიწა-წყალს, რომელსაც მეფე სხვადასხვა ფორმით — „საკუთრად“, „სანახევროდ“, „სახარაჯოდ“ და სხვ. გასცემდა ამა თუ იმ ფეოდალზე. ასე რომ თურქ სელჩუკებისაგან საქართველოს სახელმწიფოს მიერ გათავისუფლებული ტერიტორიების მფლობელობის სხვადასხვა ფორმით გადაცემა ფეოდალურ საგვარეულოზე, ამ შემთხვევაში მხარგრძელებზე, სრულებით არ ნიშნავდა იმას, რომ სახელმწიფო ამიერიდან ხელს იღებდა მის მიერ გაცემულ ტერიტორიაზე და მას თავისი მიწა-წყლის ნაწილად არ თელიდა. თვით უფლება ამა თუ იმ ტერიტორიის გაცემისა, ე. ი. შეწყალება და მისი სხვადასხვა ფორმა, თავისთავად გულისხმობდა შემწყალებლის უფლებას მის მიერ გაცემულ მიწა-

---

[1] Л. Бабаян, История Арменни, გვ. 15.

[2] იქვე, გვ. 17.

[3] იქვე.

წყალზე. ამიტომაც, ცხადია, არ იქნებოდა სწორი, რომ მე-12 ს-ში მხარგრძელთათვის თუ სხვა ფეოდალთათვის ნაბოძები მიწები საქართველოს სახელმწიფოში შემავალ მიწა-წყლად კი არ მიგვეჩნია, არამედ „ზაქარიდთა დამოუკიდებელ სამფლობელოდ".

ლ. ბაბაიანი საქმეს ისე წარმოგვიდგენს, თითქოს მხარგრძელები კი არ იყვნენ საქართველოს სამეფოს სამსახურში, არამედ, პირიქით, საქართველოს სამეფოს შეიარაღებული ძალები მათ პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდა: «Несомненно, что Захариды преследовали свои политические цели и для их достижения использовали вооруженные грузинские силы»[1].

ასე მაგალითად, ლ. ბაბაიანის აზრით, საქრთველოს სამეფოს მსახურთუხუცესის ივანეს გალაშქრება „მოსარბევად დიდისა გელაქუნისა, სპარსი ბაზრისა", ან კიდევ საქართველოს ჯარის ლაშქრობა ამირსპასალარ ზაქარიას ინიციატივით ირანში თურმე მხარგრძელთა პოლიტიკური გეგმის შესაბამისად — სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის და ამ მომავალი სახელმწიფოს სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრების უშიშროების უზრუნველსაყოფად მოეწყო[2].

ამასთანავე, ლ. ბაბაიანის აზრით, ივანე მხარგრძელმა, როგორც „უფრო შორსმჭვრეტელმა პოლიტიკოსმა", ადრევე გაითვალისწინა, რომ მეზობელ მუსლიმანურ ქვეყნებში ათაბაგები არაიშვიათად ყოფილან დამოუკიდებელი სახელმწიფოების შემქმნელნი და მათი ფაქტიური გამგებლებიც. ამიტომ ათაბაგობა საქართველოშიც დამოუკიდებელი სომხეთის სახელმწიფოს შექმნის ერთერთ საშუალებად შეიძლებოდა ქცეულიყო; სწორედ ამ მიზნით მოითხოვა ივანემ თამარისაგან ათაბაგის თანამდებობის შემოღება და ამ ახალ თანამდებობაზე თავის დანიშვნა[3]. ლ. ბაბაიანი საესებით იზიარებს გ. ჰოვსეფიანის აზრს, რომლის მიხედვითაც „ზაქარიანების ახლად წარმოქმნილი სახელმწიფო" დაადგებოდა სრული დამოუკიდებლობის გზას, რომ არ ყოფილიყო ხვარაზმელთა და მონღოლთა ლაშქრობები. მით უფრო, რომ, დასძენს ლ. ბაბაიანი, თამარის მეფობის ბოლო წლებში «внутри грузинского государства усилились центробежные феодальные силы и уже чувствовалась близость упадка могучего государства. Иванэ был дальнозорким политиком и после Тамары не видел достойной кандидатуры на царский престол»[4].

მაგრამ მიუხედავად ასეთი ხელშემწყობი საშინაო ვითარებისა და მხარგრძელთა წინასწარგამიზნული პოლიტიკური კურსისა, ვერ მოხერხდა სომხეთის „ერთიანი ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფოს" ჩამოყალიბება[5] და გათავისუფლებულ სომხურ ტერიტორიებზე მხოლოდ სამი მსხვილი სამთავრო (княжество, *իշխանություն*) წარმოიქმნა „საქართველოს სამეფოს გავლენის სფეროში" («В сфере влияния грузинского государства») ზაქარიანთა სამი საგვარეულოს მეთაურობით. ამ სამთავროთა შორის ურთიერთობა გაპირობებული იყო უფროსი საგვარეულოს დომინირებული როლით; ამ უკანასკნელის გავლენა კი, თავის მხრივ, განისაზღვრებოდა მისი მდგომარეობით საქართველოს სამეფო კარზე[6].

ამრიგად, სომეხი მკვლევრების მიერ საქართველოს სამეფოს შემადგენელ

---

[1] Л. Бабаян, История Армении, გვ. 18.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 19.
[4] იქვე.
[5] იქვე, გვ. 20.
[6] იქვე.

ნაწილად მიჩნეული სომხური ტერიტორიები ლ. ბაბაიანმა საქართველოს გავლენის სფეროში წარმოქმნილ სამთავროებად გამოაცხადა, რომელნიც, მისივე სიტყვით, „обладали полной автономией". სომხური სამთავროების ურთიერთობა საქართველოს სახელმწიფოს მმართველობის სისტემასთან სავსებით ფორმალური ყოფილა: «Формально входя в грузинскую систему управления, Захариды были настолько самостоятельны, что считали себя наследниками Багратидов»[1].

ამიტომ იყო, ლ. ბაბაიანის აზრით, რომ წყაროები მათ ქვეყანას მოიხსენიებენ როგორც „სამეფოს" (*թագաւորութիւն*), „სახელმწიფოს" (*պետական իշխանութիւն*), სათვითმპყრობელოს (*աշխարհական տերութիւն*— держава), ხოლო თვით მათ კი როგორც „მეფეს" (*թագաւոր*), „კოროლს" (*արքայ* — король), „მეფისწულს" (*արքայազն* — царский сын), „შაჰანშას" (*շահնշահ*) და „კეისარს" (*կեսար*")[2]. თუმცა, ლ. ბაბაიანის მიხედვით, ეს ტიტულები და წოდებები ამ დროისათვის, ახალ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში, თავისი რეალური შინაარსის მატარებლად არ შეიძლება მივიჩნიოთ; მათ მე-12 — მე-13 სს. უფრო ეიწრო მნიშვნელობა ჰქონდათ და, მისი აზრით, „დამოუკიდებელი მმართველის", „ავტონომიის მქონე მფლობელის" აღსანიშნავად იხმარებოდნენ[3].

ამიტომაც ლ. ბაბაიანმა „საქართველოს გავლენის სფეროში" წარმოქმნილი სომხური სამთავროები „საქართველოს სახელმწიფოებრივობის სისტემაში შეშავალ (შვიდიდან) ერთ-ერთ ვასალურ სამეფოდ" მიიჩნია[4].

---

[1] Л. Бабаян, История Армении, გვ. 20; სომხურ ენაზე, გვ. 42 43.

[2] იქვე, გვ. 21—22.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 21; ლ. ბაბაიანს ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს თამარის ისტორიოსის მითითება ს ქართველოს მეფის ხელისუფლების ქვეშ შვიდი სამეფოს გაერთიანების შესახებ: გიორგი მეფემ „შემყრელმან შვდთაე სამეფოთა მისთამან აწუღა დედოფალთა დედოფალი... ბურდეხან და შვილი მათი თამარ" (ისტორიანი, გვ. 69) ან კიდევ: „შეყრელთა შვდთაე ამის სამეფოჲსათა... ჰკადრეს... რუსუდანს" (იქვე, გვ. 73); „კადრებულსა შვდთაე სამეფოთასა... დამრჩილებულ იქნა" (იქვე, გვ. 74); „დალოცეს და ადიდეს სპათა შვდისაე სამეფოჲსათა" (იქვე); ოგივე ისტორიკოსი აქ დასახელებულ „შვიდ სამეფოს" ზოგჯერ „შვიდ თემსაც" უწოდებს: ამას ესევითარსა შინა დაწყება წყალობისასა იმერთა, ამერთა, ზემოთა და ქუემოთა შვდთაე თემსასა იწყებს რომელთამე ძველებური კაცთა დაუდგრამლობის საქმე" (იქვე, გვ. 76). ლ. ბაბაიანი, ისევე როგორც ზოგი სხვა მკვლევარი, თამარის ისტორიკოსის მითითებაში რეალურ შინაარსს იღებს და საქართველოს შვიდ ვასალურ სამეფოთა გაერთიანებად მიიჩნევს (იხ. მისი История Армении,... გვ. 21). თუმცა აქ არსად არის მითითებული ამ „სამეფოთა" ვასალობის შესახებ საქართველოს მეფისადმი. ზოგი ქართველი მკვლევარი შვიდი სამეფოს შინაარსის გახსნას საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში ხედავდა და საქართველოს ამ შვიდ ერთეულში საქართველოს ცალკეულ კუთხეებს გულისხმობდა აფხაზეთი (დას. საქართველო), ქართლი, რანი, კახეთი, სომხეთი და სხვ.; ზოგი კიდევ, სრულიად სამ რთლიანად, შვიდ რიცხვს „სიმრავლის სიმბოლოდ", „შვიდი პლანეტის, შვიდი დღის" და „ყველა მისტიურის, რასაც შვიდ რიცხვს მიაკუთვნებენ, სიმბოლოდ მიიჩნევდა (იხ. მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, (ფრანგ.), გვ. 384, შენ. 1). ჩვენ საჭიროდ არ ვთვლით ვრცელი მსჯელობის გამართვას ამ საკითხზე: აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ თუკი ისტორიკოსის „შვიდ სამეფოში" მართლაც საქართველოს სახელმწიფოს ცალკეული კუთხეები თუ თემებია ნაგულისხმევი, როგორც ლ. ბაბაიანს ჰგონია, ცხადია, რომ შვიდიდან ერთ-ერთი ერთეულ დ ნაგულისხმევი სომხეთი მე-12 ს. საქართველოს ისეთივე ორგანულ ნაწილად ყოფილა მიჩნეული, როგორიც მისი სხვა თემები, კერძოდ აფხაზეთი (დას. საქართველო), ქართლი, კახეთი, ჰერეთი იყო. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ამ შემთხვევაში „სამეფოს" სახელით მათი მოხსენიება მხოლოდ სიმბოლურია და, როგორც იქვე ოგივე ისტორიკოსი განმარტავს, ეს „სამეფოები" სხვა არაფერი იყო, თუ არა საქართველოს „ამერ-იმერის შვიდი თემი", საკუთრივ საქართველოს შემადგენელი ნაწილები, რომელთა საქართველოს მეფისადმი ვასალობა თავისთავად გამორიცხულია.

ლ. ბაბაიანმა იქვე მოგვცა ამ „ვასალური სამეფოს“, „ავტონომიური სამთავროს“ თუ სამთავროების პოლიტიკურ-ადმინისტრაციული წყობის დახასიათებაც. მისი აზრით, ზემოდასახელებულ სამთავროთა ავტონომიის შესახებ სწორედ მათი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული წყობა მეტყველებს. კერძოდ, მისი აზრით, „ზ ქარიანების ფეოდალური სახელმწიფოს“ მმართველობის სისტემა თითქმის ისეთივე იყო, როგორიც თვით საქართველოს სამეფოსი. ამიტომაც, ბუნებრივია, ლ. ბაბაიანმა ჯერ თვით საქართველოს სამეფოს სამოხელეო წყობის მიმოხილვა წარმოადგინა. მისი აზრით, საქართველოს სამეფოს სათავეში ედგა დიდებულთა მიერ შეზღუდული მეფის ხელისუფლება. სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობა ხორციელდებოდა სავაზიროს ანუ საბჭოს მეშვეობით, რომელშიც 6 ვაზირი და მათი 2 თანაშემწე შედიოდა. საბჭოს ანუ სავაზიროს წევრები, ცხადია, იყვნენ ზაქარია და ივანე მხარგრძელები — მთავარსარდალი და რეგენტი. გავარებსა და ოლქებს განაგებდნენ ერისთავები, რომლებიც მათთვის სამმართველოდ მიცემულ „გავარებში, ოლქებსა და ფეოდალურ სამფლობელოებში იყვნენ «наместники царя»[1].

ლ. ბაბაიანის აზრით: «Почти такая же административно-политическая структура существовала и в автономном княжестве Захаридов — армянском средневековом фодальном государстве, потому что по сути оно было государством с установившейся феодальной иерархией, во главе которой стояли вассалы грузинского государства Захарий и Иванэ Захариды»[2].

როგორც ვხედავთ, ლ. ბაბაიანის აზრით, ზაქარიდების სომხური ფეოდალური სახელმწიფოს სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი მათში არსებული ფეოდალური იერარქია ყოფილა. ლ. ბაბაიანი, სამწუხაროდ, არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რომელი იყო ზაქარიანების სამი სამთავროდან სახელმწიფოებრიობის ასეთი ნიშნების მატარებელი, არც იმაზე, თუ რა დროიდან შეიძლებოდა გვეპარაუდნა ასეთი სახელმწიფოებრიობის მქონე ერთეულის ჩამოყალიბება. აღსანიშნავია, რომ ლ. ბაბაიანის მიერ მოტანილი მასალები ფეოდალური იერარქიისა თუ მხარგრძელთა მოხელეობის შესახებ მხოლოდ მე-13 ს. მეორე ათეულს, კერძოდ ივანეს ათაბაგობის (ე. ი. ზაქარიას შემდეგდროინდელ) პერიოდს, პირადად ივანეს საფეოდალოს შეეხება და არა მხარგრძელთა ეპოქის საგვარეულოს, რომელიც ლ. ბაბაიანის მიხედვით, „ამ სახელმწიფოს სათავეში უნდა ყოფილიყო“. როგორც ლ. ბაბაიანი აღნიშნავს, მხარგრძელთა ვასალები სხვადასხვა ფორმით იყვნენ ორბელები, ვაჩუტინები, პაროშანები და სხვები. რომელნიც თავის მხრივ დიდ როლს ასრულებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. „ვასალიტეტი“ ძირითადად გამოიხატებოდა ტერმინებით — „პატრონ“, „პარონ“, „პარონ-ტერ“ [3].

ფეოდალიზმის განსაზღვრულ საფეხურზე ყველა ქვეყნისათვის დამახასიათებელია ვასალიტეტი, ფეოდალური იერარქია და მხარგრძელებსაც, როგორც საქართველოს მსხვილ ფეოდალებსა და დიდ სახელმწიფოებრივ მოხელეებს, ე. ი. დიდებულებს, ბუნებრივია, ჰყავდათ თავიანთი ვასალები, რომელთა პატრონებადაც ისინი ითვლებოდნენ. ასევე ჰყავდა თავიანთი ვასალები საქართველოს ყველა სხვა დიდებულს, მსხვილ ფეოდალს. საამისო მაგალითების მოტანა იმდროინდელი საქართველოს ისტორიიდან მრავლად შეიძლებოდა.

---

[1] Л. Бабаян, История Армении, გვ. 30—31.

[2] იქვე, გვ. 31.

[3] იქვე.

ასე მაგალითად, ვარდან დადიანს, რომელიც იყო „ლიხთ-აქათ პატრონი ორბეთისა და კაენისა, ლიხთ იქით — ნიკოფსამდი უცილობლად მჭონებელი“,[1] გიორგი რუსის აჯანყების დროს თან ჰყავდა „მის ქუეყნისა აზნაურნი და აზნაურის შვილნი“, აღსანიშნავია, რომ ვარდან დადიანის „ქუეყნის აზნაურთა“ შორის ჩანან ისეთი დიდი ფეოდალებიც, როგორებიც იყვნენ ივანე ვარდანის ძე, პატრონი გაგისა, მაყა, პატრონი კაენწონისა და სხვათა შორის, ერთ ერთი მხარგრძელიც, ზაქარია ვარამის ძე, ერთადერთი მის ვასალთა შორის, რომელიც იმჯერად თაეისი პატრონის სურვილს არ გაჰყოლია.[2]

ცხადია, ფეოდალური ქვეყნისათვის დამახასიათებელი იერარქია, ვასალიტეტი, არ მიუთითებს ამა თუ იმ ფეოდალური სამფლობელოს დამოუკიდებლობას, ავტონომიას.

მხარგრძელების „სომხურ სახელმწიფოში“, ლ. ბაბაიანის მიხედვით, დაახლოებით ისეთივე სამოხელეო წყობა იყო, როგორიც საქართველოს სამეფოში. ზაქარიანისა და ივანეს თავიანთ „სახელმწიფოში“ ჰქონდათ თანამდებობანი „გორწყალისა“ (მმართველისა), „კოლმანკალისა“ (სანაპირო ოლქთა მმართველისა). „სპარაპეტისა“ (სამხედრო ხელისუფლებისა), ჰეჯუბისა (მამულთა გამგებლისა), ამირასი და სხვ.[3]. ლ. ბაბაიანი, ისევე როგორც გ. ჰოვსეფიანი, უველაზე დიდ თანამდებობად ზაქარიანთა სასახლეში მიიჩნევს გოლწყალის ანუ მსახურთუხუცესის (*մսախուրց — ուխուցեսր*) — „სასახლის ვეზირის“ (*արքունի վեզիրը*) თანამდებობას. მხარგრძელთა კარზე მსახურთუხუცესის თანამდებობის დასამტკიცებლად ლ. ბაბაიანი იმოწმებს ბაგნაირის ბიბლიის 1243 წლის ფრიად საინტერესო მონაცემებს, საიდანაც ირკვევა, რომ იშხანი, პატრონი ხავრასი ზაქარიასა და ივანეს წინაშე ერთგული მსახურებისათვის გამხდარა ღირსი პატივისა „ქართულად მსახურთუხუცესად წოდებულისა. ჩვენებურად „იშხანთა თავისა“ (*գլուխ իշխանաց*)[4].

როგორც ეხედავთ, მხარგრძელთა სასახლეში მართლაც უოფილა მსახურთუხუცესის თანამდებობა, მაგრამ ეს თანამდებობა, როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, ქართული სამოხელეო წყობიდან უოფილა აღებული და მისი ზუსტი შესატყვისი სომხურში არც არსებულა- „იშხანთა თავი“, ცხადია, არ შეესატყვისება მსახურთუხუცესის შინაარსს. ამას გარდა, ისიც კარგად ირკვევა, რომ სომხური „გორწყალი“ ამ მინაწერის გამკეთებელს და მხარგრძელთა მსახურთუხუცესს ხვერასს არ მიაჩნდა ქართული „მსახურთუხუცესის“ შესატყვისად, თორემ იგი ამ ქართულ სამოხელეო ტერმინს „იშხანთა თავად“ კი არ განმარტავდა, არამედ „გორწყალად“. რა თქმა უნდა, შეცდომაა მსახურთუხუცესის მხარგრძელთა „კარის ვეზირად“ ან, ლ. ბაბაიანის გამოთქმით, „სასახლის ვეზირად“ მიჩნევა. არც ერთი წყაროთი არ დასტურდება ვაზირის თანამდებობის არსებობა არათუ მხარგრძელთა, არამედ იმ დროის საქართველოს სხვა ფეოდალურ სახლებში. ასევე ლ. ბაბაიანს არავითარი მასალა არ მოაჩვს სპარაპეტების ან კიდეე კოლმანკალის თანამდებობათა არსებობის დასადასტურებლად მხარგრძელთა კარზე.

აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ ლ. ბაბაიანს მხედველობიდან გამორჩა მხარგრძელთა კარის კიდეე ერთი თანამდებობა- „უფროსი მწიგნობრისა“, რომელიც სტეფანოს ორბელიანის მიერ არის დადასტურებული. მისი ცნობით, ივანე

---

[1] ისტორიანი, გვ. 91.

[2] იქვე, გვ. 92.

[3] ლ. ბაბაიანი, დ სახ. ნაშრომი, გვ. 32; სომხურ ენაზე, გვ. 66

[4] Л. Бабаян, История Армении, 32; სომხურ ენაზე, გვ. 67.

მხარგრძელმა „უბრძანა თავის სამდივნოს უფროს მწიგნობარს (*ատաք ժիկնաւ պորչին*) სახელად ონოფრეს (*Աննաֆրէ*) წასულიყო უფალ სარგისთან და მიეცა მისთვის ჯვარი ჰდანძაჰანქის სავანეს“[1].

ამ საინტერესო ცნობიდან კარგად ირკვევა, რომ ივანეს ჰქონია სამდივნო (*դիւանին*), რომელსაც სათავეში ედგა „უფროსი მწიგნობარი“. როგორც ვხედავთ, „მწიგნობარი“ აქ ქართული ტერმინით აღინიშნება, რაც აშკარად მიუთითებს ამ ინსტიტუტის ქართულობაზე, ივანე მხარგრძელის მიერ ფეოდალური სახლის მმართველობის აპარატშიც მის იმგვარადვე მოწყობაზე, როგორც ეს იყო სხვა ფეოდალურ სახლებში. ამასთანავე, როგორც ივანე მხარგრძელის „მთავარი მწიგნობარის“ საკუთარი სახელიდან (ონოფრე) ჩანს, მისი სამწიგნობროს ანუ სამდივნოს სათავეში ქართველი მოხელე იდგა, და, ამდენად, საქმის წარმოებაც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

საფეოდალო სახლის სამოხელო აპარატის მოწყობა საქართველოს სამეფო კარის აპარატის ანალოგიურად ჩეეულებრივი მოვლენა იყო ფეოდალური საქართველოს სხვა მსვილი ფეოდალური საგვარეულოებისათვის და ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს, რომ მხარგრძელთა ფეოდალური სახლი თავისი ორგანიზაციით არაფრით განსხვავდებოდა სხვა ქართული საგვარეულო სახლებისაგან.

სტეფანოს ორბელიანის ცნობა ორ სომხურ ქრონიკტერს შორის ამტყდარი დავის გამო გამართული სამსჯავროს შესახებ, რომელიც არაერთხელ ყოფილა მკვლევართა განხილვის საგანი[2], ლ. ბაბაიანს ივანე მხარგრძელის სახლში „სახელმწიფოებრივი უმაღლესი საბჭოს“ (**«Государственный высший совет»**) არსებობისა და ამ საბჭოს სათავეში ივანეს დიდებულის — ბუბაკის ყოფნის დამადასტურებლად მიაჩნია[3]. ეს თვალსაზრისი, ჩვენი აზრით, ქართული სახელმწიფოებრივი წყობის გაუთვალისწინებლობას ემყარება; ცხადია, უცნაური იქნება, რომ ის სამსჯავრო, რომელშიც მონაწილეობდა „დიდი ჭყონდიდელი“ (*մեծ ճգաւնդիտել*), ე. ი. საქართველოს სამეფოს ვაზირი (უპირველესი ხელისუფალი მეფის შემდეგ), ივანე მხარგრძელის „სახელმწიფოებრივ უმაღლეს საბჭოდ“ მივიჩნიოთ, ხოლო „დიდი ჭყონდიდელი“ მის წევრად. ასევე გაუგებარი იქნებოდა, რომ იმ ბჭობის სათავეში, რომელშიც ჭყონდიდელი მონაწილეობდა, ივანე მხარგრძელის მსახურთუხუცესი ბუბაკი ყოფილიყო.

ჩვენ აქ არ შევუდგებით სტ. ორბელიანის ამ ცნობის საგანგებო განხილვას; შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს სამსჯავრო, რომელიც ორი სომხური მონასტრის დავას შეეხებოდა და გაიმართა „ივანე ათაბაგთან დეინს“, მოეწყო საქართველოს სამეფო ხელისუფლების განკარგულებით, მეფის ვაზირის — ჭყონდიდელის მეთაურობით, და მასში მონაწილეობდნენ ივანე ათაბაგის დიდებულებიც — ბუბაკი დ მარწყახი. ცხადია, ივანეს მხოლოდ მათთვის შეეძლო ებრძანებინა მონაწილეობა მიეღოთ სამსჯავროში და არა სახელმწიფო ვაზირისათვის, ჭყონდიდელისათვის, რომელსაც სახელმწიფოში უმაღლესი სასამართლო ხელისუფლებაც ეკუთვნოდა და მსგავსი დავის გარჩევა მის უშუალო კომპეტენ-

---

[1] სტეფანოს ორბელიანი, სივნეთის ისტორია (სომხ.), თავი 64.

[2] იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაწ. II, გვ. 479–480. ლ. მელიქსეთ-ბეგი, სასამართლო პროცესზე ზაქარიდების სომხეთში (რუს.), გვ. 78–81; მისივე, სტ. ორბელიანის ისტორიაში უზენაეს სამსჯავროს შესახებ დაცული ცნობის განმარტებისათვის, თსუ სამეცნიერო სესიის თეზისები, 1947, გვ. 14—16; ლ. მელიქსეთ-ბეგის არასწორ მოსაზრებათა კრიტიკა იხ. ი. აბულაძის წერილში, სტეფანოს ორბელიანის ისტორიის ერთი ცნობის განმარტების გარშემო, თსუ შრომები, 1948, XXXIII, გვ. 107— 120.

[3] ლ. ბაბაიანი, სომხეთის ისტორია (რუს.). გვ. 32- 33

ციას შეადგენდა. ამიტომაც წერდა სტ. ორბელიანი: ივანე ათაბაგმა „დასხა თავისი დიდებულებიც, ბუბაკი და მარწყანი... დიდი ჯაყონდიდელი, რომელიც მოსულიყო სამეფოდან".[1] დეინში გამართული სხდომა რომ არ იყო ივანე მხარგრძელის „უმაღლესი საბჭოს" სხდომა, ეს მის სხვა მონაწილეთა ვინაობადანაც კარგად ჩანს. ცხადია, ივანეს „უმაღლესი საბჭოს" წევრები არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ არც „ვარძიის წინამძღვარი... დიდი მთავარი გარეჯისა... ტფილისის ყადი, ანისის ყადი და დეინის ყადი, სურმარის სახელოვანი შეიხი"[2] და სხვა, საქართველოს სახელმწიფოში შემავალი სხვადასხვა აღსარების ხალხთა წარმომადგენლები, რომელთა სამსჯავროდ დასხდომა მხოლოდ საქართველოს მთავრობის განკარგულებით შეიძლებოდა მომხდარიყო. ივანე ათაბაგი კი, როგორც ამ მთავრობის წევრი, საქართველოს სამეფო ხელისუფლების განკარგულების მხოლოდ აღმასრულებელი შეიძლებოდა ყოფილიყო. ამასთან სტ. ორბელიანის ამ საინტერესო ცნობიდან კარგად ჩანს, რომ ის სომხურ პროვინციებში, რომელთაც ივანე მხარგრძელი განაგებდა, ისევე როგორც საქართველოს სამეფოს სხვა თემებში, უმაღლესი სასამართლო ხელისუფლება სახელმწიფო ვაზირის — მწიგნობართუხუცეს-ჯაყონდიდელის ხელთ იყო.

ასე რომ, ჩვენი აზრით, ლ. ბაბაიანის მიერ მოტანილი ეს საბუთი (სტ. ორბელიანის ცნობა) არ გამოდგება „ზაქარიანთა სომხეთში" საქართველოს სამეფოს „ვასალური სახელმწიფოს" არსებობის დასამტკიცებლად.

ლ. ბაბაიანის აზრით, სომხურ პროვინციათა ნაცვლები და გამგებლები გარკვეული დროიდან ინიშნებოდნენ მხარგრძელების მიერ. იგი წერს: «К высокопоставленным чиновникам государственно-административного аппарата следует отнести также наместников-управителей, которые первоначально назначались грузинскими царями, а затем Захаридами»[3]. ლ. ბაბაიანი, სამწუხაროდ, არ განმარტავს, თუ რა დროს გულისხმობს ეს „первоначально" ან კიდევ „Затем".

ერთადერთი საბუთი, რომელიც ლ. ბაბაიანმა ამ მოსაზრების დასამტკიცებლად მოიტანა, არის 1289 წ. საფლავის ქვის წარწერა ტარსაიჩ ორბელისა, რომელიც, როგორც ჩანს, მას „ზაქარიდების ფეოდალური სამთავროს გორწაკალად" — ნაცვალ-გამგებლად მიაჩნია. ჯერ ერთი, მე-13 ს. მიწურულის წარწერა, როცა მხარგრძელთა ფეოდალური სახლი ფაქტიურად მოშლილი იყო (მით უფრო ივანეს შთამომავლობისა), ვერ გამოდგება მე-12 ს. და მე-13 ს. ვითარების დასახასიათებლად. ამას გარდა, ტარსაიჩ ორბელი, რომელიც წარწერაში მოხსენიებულია „სამეფო კოღმნაკალად (*արքայական կոչմնակալին*), ძლიერ და დიდ გორძაკალად და... ათაბაგად"[4], მხარგრძელთა მოხელე, ნაცვალ-გამგებელი კი არ იყო, როგორც ეს შეცდომით მიუჩნევია ლ. ბაბაიანს, არამედ—საქართველოს მეფისა.

ამგვარადვე დაუს ბუთებელია ლ. ბაბაიანის მოსაზრება ცალკე სომხური ლაშქრის არსებობის შესახებ მე-12 მე-13 სს. მიჯნის სომხეთში. ლ. ბაბაიანის მიხედვით, მაშინ როცა წარმატებით მიმდინარეობდა სომხური ტერიტორიების

---

[1] სტეფანოს ორბელიანი, სივნიეთის ისტორია (სომხ.), გვ. 65.

[2] იქვე.

[3] Л. Бабаян, История Армении, стр. 33.

[4] კ. კოსტანიანცი, მატიანე ქვებზე (სომხ.), გვ. 131; შდრ. Л. Бабаян, История Армении, გვ. 33—34; სომხურ ენაზე, გვ. 70.

გათავისუფლება თურქ-სელჩუკებისაგან, «армянские вооруженные силы... были очень незначительны», მაგრამ ზაქარიასა და ივანეს მისნად ჰქონდათ აგრეთვე «восстановить и укрепить также и вооруженные силы армянских феодалов»[1]. ამ ცდამ შედეგიც გამოიღო და სომხური ლაშქარი უკვე მე 12 ს. 80-იანი წლებისათვის იქცა საგრძნობ ძალად, რომელსაც საქართველოს არ მიის სისტემაში ჰყავდა თავისი მთავარსარდალი სპასპეტი[2].

„სომხურ-ქართული ლაშქარი“, როგორც ლ. ბაბაიანი ფიქრობს, ყოველთვის ერთად არ გამოდიოდა; სომხური ლაშქარი მხარგრძელთა მეთაურობით ზოგ შემთხვევაში ცალკეც მოქმედებდა, ეს კი, მისი აზრით, სომხური ლაშქრის დამოუკიდებლად არსებობას გულისხმობს. საქართველოს სახელმწიფო ლაშქარში სომხური ქვედანაყოფის არსებობა, ისე როგორც იმდროინდელი საქართველოს სხვა თემთა ლაშქრის განაყოფებისა („... ლაშქარნი... თემისა და თემის: მესხნი, თორელნი, ქართლელნი, სომხითარნი...“ [3]), სრულებით არ ნიშნავდა ამა თუ იმ პროვინციის ლაშქრის დამოუკიდებლობას. ასე რომ სავსებით ხელოვნურია ლ. ბაბაიანის მიერ საქართველოს სახელმწიფო ლაშქრის აღსანიშნავად არაერთხელ ხმარებული გამოთქმა – „ქართულ-სომხური“ ან კიდევ „სომხურ-ქართული“ ლაშქარი[4].

როგორც ზემოთ აღინიშნა, ლ. ბაბაიანი მე-12 მე-13 სს. მიჯნის სომხეთს ზოგჯერ საქართველოს გავლენის სფეროში მყოფ „სრული ავტონომიის მქონე სამთავროს“, ზოგჯერ კიდევ „ვასალურ სამეფოს“, „სახელმწიფოს“ უწოდებდა, მხარგრძელებს კი — „დამოუკიდებელ მმართველებს“. „ავტონომიის მქონე მფლობელებს“, მეფეს, კოროლს და სხვ. მაგრამ ამავე დროს დასკვნის სახით აღნიშნავს: «Захариды сумели сплотить воедино вооруженные силы Армении и объединить под своей властью большую часть страны, однако они не стали суверенными самодержцами»[5].

საკითხავია, თუკი მხარგრძელები მართლაც იყვნენ ქვეყნისა და მისი სამხედრო ძალების გამაერთიანებელნი, რატომ ვეღარ მოახერხეს გამხდარიყვნენ სუვერენული ხელისუფალნი, ან კიდევ რაღას ნიშნავდა ასეთ შემთხვევაში მხარგრძელების დამოუკიდებლობა და სრული ავტონომია, მეფობა, ხელმწიფობა თუ „ქვეყნის მპყრობელობა“? ასეთ წინააღმდეგობებს არაერთხელ წავაწყდებით ზემოგანხილულ ნაშრომში, მაგრამ მათზე ამჯერად სიტყვის გაგრძელება საჭიროდ არ მიგვაჩნია.

უკანასკნელ ხანებში სომხურ ისტორიოგრაფიაში ზემოგანხილულ ავტორთა შეხედულებებმა მე-12 მე-13 სს. სომხეთის შესახებ ცვლილება განიცადა: უარყოფილ იქნა საქართველოსადმი სომხეთის „ვასალური დამოკიდებულებაც“ კი. ამიტომაა, რომ ზოგი მკვლევარი მე-13 ს. სომხეთის ისტორიას განიხილავს როგორც სავსებით დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის ისტორიას. ასე მოიქცა, მაგალითად, ა. გალსტიანი თავის საგანგებო წერილში – «Завоевание Армении монгольскими войсками»[6], სადაც ერთი სიტყვითაც არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ იმდროინდელი სომხეთი საქართველოს ნაწილს შეადგენდა და სომხური პროვინციების დაპყრობა მონგოლების მიერ

---

[1] Л. Бабаян, История Армении, გვ. 21.

[2] იქვე, გვ. 34.

[3] ქ-ცა, II, გვ 19.

[4] Л. Бабаян, История Армении, გვ. 87, 89, 90, 93, 94, 95. 132 და სხვ.

[5] იქვე, გვ. 191.

[6] იხ. კრებული — «Татаро-монголы в Азии и Европе», М., 1970, გვ. 161.

საქართველოს დაპყრობას ნიშნავდა. ს. გალსტიანი საქმეს ისე წარმოგვიდგენს, თითქოს სომხური პროვინციის იძულებილი გამგებლები, ავაგი და შანშე ბაგრატიონები, საქართველოს მეფის მოხელეები, დამოუკიდებელი მმართველები იყვნენ და დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდნენ. ა. გალსტიანის წერილს ჩვენ აქ არ განვიხილავთ, ასევე არ შევეხებით ზოგი სხვა ავტორის (მაგალითად ე. ბაღდასარიანის და სხვ.)[1] ნაშრომს, რადგან ისინი ჩვენთვის საინტერესო პრობლემების ფარგლებს სცილდებიან. მათ მხოლოდ გაკვრით ეხებიან და, ამასთან, არსებითად ზემოგანხილული ზოგი მკვლევრის თვალსაზრისს უკრიტიკოდ იმეორებენ.

როგორც სომხური ისტორიოგრაფიის ძირითად წარმომადგენელთა ნაშრომების ზემომოცემული მოკლე განხილვიდან ჩანს, სომეხი ისტორიკოსები ჩვენთვის საინტერესო საკითხებიდან არსებითად ორ პრობლემას შეეხნენ.

ამრიგად, რევოლუციამდელი ისტორიოგრაფია დაინტერესებული იყო უმთავრესად მხარგრძელთა ვინაობისა და საქართველოს სამეფოში მათი მოხელეობის საკითხებით; საბჭოურ ისტორიოგრაფიაში, ამასთან ერთად, საგანგებო მსჯელობის საგნად იქცა მხარგრძელთა მოღვაწეობის დროს გათავისუფლებული და საქართველოსთან შემოერთებული სომხური ტერიტორიების სტატუსის საკითხი.

ამ მხრივ, როგორც ვხედავთ, ისტორიოგრაფიაში ერთიანი თვალსაზრისი არ არსებობს. რევოლუციამდელი ისტორიოგრაფია მხარგრძელებს „სომხეთის მთავრებად" და ერისთაებად თვლიდა (ლალაიანი), 30-იანი წლებიდან ისინი მიიჩნიეს ჯერ „საქართველოს სიუზერენული ხელისუფლების" ქვეშ მყოფი სომხური „ვასალური ოლქის მმართველებად" (ი. მანანდიანი), ხოლო შემდეგ სრული დამოუკიდებლობის (ი. ბაბაიანი), „საშინაო თვითმმართველობის" (ს. ერემიანი) მქონე ხელისუფლებად. საქართველოს მიერ შემოერთებული სომხური ტერიტორიები ჯერ „საქართველოს ვასალურ ოლქად" იყო მიჩნეული (ი. მანანდიანი), შემდეგ — „დამოუკიდებელ თვითმყოფად ქვეყნად" (ე. სამველიანი), „საქართველოს ვასალურ სასულიწიფოდ, სამეფოდ" (სამველიანი, ს. ერემიანი, ლ. ბაბაიანი); საქართველოს სამეფო კი ამის შესაბამისად მიჩნეული იყო ჯერ „სიუზერენულ ქვეყნად", ხოლო შემდეგ „სომხეთის ნომინალურ", ან კიდევ „თითქმის ნომინალურ მფლობელად" (არუთინიანი, ტოკარსკი). ეს ახლებური თვალსაზრისები არ არის დასაბუთებული სათანადო მასალებით.

2. მხარგრძელთა ვინაობის საკითხისათვის

ა. მხარგრძელთა წარმომავლობის საკითხისათვის

მე 11 — მე 13 საუკუნეებში ქართული და სომხური საისტორიო მწერლობა დაინტერესებული იყო არა მარტო სამეფო დინასტიათა წარმომავლობის საკითხით, არამედ მსხვილ ფეოდალურ საგვარეულოთა ვინაობითაც. ამიტომ იყო, რომ დიდი საგვარეულოს ისტორიას ზოგ შემთხვევაში ეძღვნებოდა ძველი ისტორიკოსების ნაშრომთა მარტო ცალკეული ფურცლები კი არა, არამედ მთელი თხზულებაც. ასე მაგალითად, სტეფანოს ორბელიანმა, როგორც ცნობილია, თავისი თხზულების დიდი ნაწილი მიუძღვნა ორბელების საგვარეულოს ისტორიას.

ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალური ხანის ისტორიკოსე-

[1] Э. М. Багдасарян, Ованес (Плуз) Ерзнкацы и историческое значение его «наставлений», автореферат, Ер., 1970.

ბი, რომელნიც მსხვილ საგვარეულოთა ისტორიას ეხებოდნენ, ყოველთვის ცდილობდნენ ამა თუ იმ საგვარეულოს წ ნაპერები შორეულ ისტორიულ წარსულში და უცხო ქვეყნებში ეძებნათ. ასე იქმნებოდა თეორიები ბაგრატიონთა ებრაული წარმომაელობის თუ ორბელიანთა ჩინელებიდან მომდინარეობის შესახებ და სხვ. ყველაფერი ეს ამა თუ იმ საგვარეულოს სიძველისა და უცხოური წარმომავლობის დამტკიცების მიზნით კეთდებოდა.

ამა თუ იმ გვარის ხანდაზმულობა და უცხოური წარმომავლობა, იმდროინდელი ფეოდალური თვალსაზრისით, გაძლიერებული საგვარეულოს უძველესი დროიდანვე სიძლიერის უტყუარი საბუთი იყო.

ჩვენი აზრით, სწორედ ასეთი მოსაზრებები ედო საფუძვლად თ ა მ ა რ ი ს ისტორიკოსის მტკიცებას მხარგრძელთა არტაქსერქსე I მხარგრძელისაგან მომდინარეობის შესახებ. საინტერესოა, რომ, ისტორიკოსის მიხედვით, ზაქარია მხარგრძელს იმდროისათვის საყოველთაოდ აღიარებული სიდიდე და სიძლიერე წარმოშობითად, „გუარისაგანაცა მოვეაქუნდა“, რაკი იგი „იყო ნათესავი არტაქსერქსისა მკარგრძელისა“[1]. ამგვარი მტკიცებით ისტორიკოსმა ორ მნიშვნელოვან გარემოებას გაუსვა ხაზი: ჯერ ერთი, მხარგრძელები, კერძოდ ზაქარია მხარგრძელი, დაანათესავა ისეთ ძველ და ძლიერ საგვარეულოსთან და ისტორიულ პირთან, როგორიც იყო ძველი ირანის სამეფო საგვარეულოს – აქემენიდების ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი წარმომადგენელი არტაქსერქსე I (465 425); მეორეც, ამით მან ახსნა აგრეთვე თვით გვარსახელის — „მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი ს“ წარმომავლობაც, რაც, ისტორიკოსის აზრით, მომდინარეობდა არტაქსერქსე I-ის ზედწოდებიდან.

რა თქმა უნდა, თამარის პირველი ისტორიკოსის მტკიცებას მხარგრძელთა აქემენიდებისაგან, კერძოდ არტაქსერქსე I-ისაგან მომდინარეობის შესახებ, ას. შაჰნაზარიანისა არ იყოს, არ შეიძლება მოეძებნოს მეცნიერული საფუძველი[2], მაგრამ ისტორიკოსის ეს თეორია თავისთავად მაინც არ არის მნიშვნელობას მოკლებული[3]. როგორც ირკვევა, მე-12 – მე-13 სს. საქართველოში ოფიციალურად შეიქმნა გარკვეული თეორია მხარგრძელთა საგვარეულოს უძველეს სამეფო საგვარეულოსთან ნათესაობის შესახებ. ისტორიკოსი ხაზს უსვამდა მხარგრძელთა უცხოურ (არა ქართულ და სომხურ) წარმომაელობას[4], ამასთან, მიუთი-

---

[1] ისტორიანი, გვ. 137.

[2] ას. შ ა ჰ ნ ა ზ ა რ ი ა ნ ი, ზაქარიანთა (ერკაინაბაზუკთა) ტომის წარმოშობა (სომხ.), გვ. 69.

[3] საინტერესოა, რომ სტ. ორბელიანის „ორბელთა ისტორიის“ რუსულად მთარგმნელი ხ. იოანესიანი შესაძლებლად მიიჩნევდა მხარგრძელები არტ ქსერქსე მხარგრძელთან დაეყვანებინა: «Наименование их фамилии «М\аргрдзелидзе» означающее «детей человека долгорукого», дает нам право предполагать, что они происходили от персидского царя Артаксеркса Лонгимана» (История князей Орбельян, 1883, стр. 63, 64).

მართალია, სარგისის შთამომავალნი არსად იწოდებიან „მხარგრძელიძეებად“ (როგორც ჩანს, ხ. იოანესიანი ამ შემთხვევაში ამეორებს მ. ბროსეს), მაგრამ ქართული წყაროს ჩვენებისადმი ამ შემთხვევაში უპირატესობის მინიჭება ობიექტურობას არ არის.

[4] ას. შ ა ჰ ნ ა ზ ა რ ი ა ნ ი, დასახ ნაშრომი, გვ. 69; აღსანიშნავია, რომ, ას. შ ა ჰ ნ ა ზ ა რ ი ა ნ ი ს მიხედვით, „მხარგრძელის“ გვარსახელის დაკავშირება არტ ქსერქსე I ის ზედწოდებასთან გარეგნულადაც შეუძლებელია, რაკი, მისი აზრით, ქართველი ისტორიკოსი არტაქსერქსე I ს „ხელ გრძელს“ უწოდებს, ხოლო სარგისს კი „მხარგრძელს“ (იხ. იქვე, გვ. 69). როგორც ჩანს, ას. შაჰნაზარიანი ამ შემთხვევაში დ მყარებულა „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგ მე 6-ის შემდეგდროინდელი ნუსხების მ. ბროსესეულ გ მოცემას, სადაც იკითხება „პლ. გ რ ძ ე ლ ი ა“; „ქართლის ცხოვრების“ უძველეს ნუსხებში კი (გარდა თეიმურაზისეულისა) ყველგან იკითხება „არტაქსერქსე მკარგრძელისა“ (იხ. ქართლის ცხოვრება, გვ. 526) და უკანასკნელ მეცნიერულ

თებდა ჩაქარიას სარწმუნოებით სომხობას — „და იყო სარწმუნოებითა სომეხი[1].

მხარგრძელთა „სჯულით სომხობის“ (ე. ი. სარწმუნოების სომხობის) შესახებ წერდა თამარის მეორე ისტორიკოსიც, რომელიც, მართალია, საგანგებოდ არ ეხება მხარგრძელთა ვინაობას, მაგრამ მაინც მიუთითებს, რომ ესენი კაცნი (ხაქარია და ივანე, შ. მ.)ღირსნი იყვნენ კაცობისანი: დაღაცათუ სჯულითა სომეხნი იყუნეს, გარნა ყოველითურთ მართლ მადიდებლობის მოსავნი“[2]. როგორც ჩანს, მე-13 საუკუნის დამდეგის ქართული ოფიციალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენელიც სავსებით იზიარებდა იმდროისათვის უკვე მიღებულ ვერსიას მხარგრძელთა უცხოური (არა სომხური) წარმოშობის, მაგრამ „სჯულად სომხობის“ შესახებ. აღსანიშნავია ოღონდ, რომ არც პირველი და არც მეორე ისტორიკოსის თვალსაზრისით, მათი „სჯულით სომხობა“ არ ყოფილა მათი მოღვაწეობის განმსაზღვრელი. ორივე, ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, „სჯულით სომეხი“ მხარგრძელები იყვნენ ყოველთა „საღმრთო და საკაცობრიო სათნოებათა“ მქონენი და „ყოველითურთ მართლ-მადიდებლობისა მოსავნი“.

ამრიგად მე-13 ს. პირველი ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის მონაცემებით, მხარგრძელთა საგვარეულო უცხოური წარმოშობისაა, მხარგრძელები არტაქსერქსე მხარგრძელის „ნათესავნი“ არიან, მაგრამ საქართველოს სამეფო კარზე მათი დაწინაურების პერიოდისათვის ისინი „სჯულით სომხები“ (ე. ი. სარწმუნოებით სომხები) იყვნენ.

თამარის ისტორიკოსები, სამწუხაროდ, არაფერს ამბობენ იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია და როდის მოხდა არტაქსერქსე მხარგრძელის ნათესათა „სჯულით გასომხება“. მაგრამ ამ საინტერესო საკითხის გასარკვევად ანგარიშგასაწევ მასალას გვაწვდიან მე 13 ს. სომეხი ისტორიკოსები და ქართველ ისტორიკოსების მონაცემების შევსება სომეხ ისტორიკოსთა ცნობების საფუძველზე ხდება შესაძლებელი.

მხარგრძელთა ვინაობის შესახებ, როგორც ზემოთ აღინიშნა, საინტერესო ცნობები მოეპოვება კირაკოს განძაკეცს. მისი ცნობები არაერთხელ ყოფილა განხილვის საგანი სომხურ და ქართულ ისტორიოგრაფიაში, ამიტომ ჩვენ მის ძირითად მომენტებზე შევჩერდებით. კირაკოსის ცნობით, თამარ მეფის თანამედროვეების ზაქარიასა და ივანეს წინაპრები — ზაქარია და მისი ძე ვაჭრამი *«ար հատուածել ի Քրդաց ի Բաբիրական խէչէն»* (იყვნენ „გამოყოფილნი ქურთთაგან ბაბირაკანის გაეარიდან, „მხრიდან“). კირაკოსის „ისტორიის“ უკანასკნელ რუსულ თარგმანში კი იკითხება: «Происходили из курдского племени Бабира»[3]. მხარგრძელთა წინაპრების ქურთობის შესახებ მიუთითებს აგრეთვე ვარდანიც. მისი სიტყვით, „ზაქარე და ივანე სარგისის შვილები იყვნენ. *ի քրդ ազգէ հատուածեալ* – ქურთთა ტომისაგან გამოყოფილნი“[4]. ასე რომ ზაქა-

---

გამოცემებშიც, ცხადია, ამჯვარადვეა შეტანილი (იხ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 110; ისტორიანი, გვ. 137).

[1] ისტორიანი, გვ. 137.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 123.

[3] კირაკოს განძაკეცი, სომხეთის ისტორია (რუს.), გვ. 86; სომხური, გვ. 162.

[4] ვარდანი, მსოფლიო ისტორია (სომხ.), გვ. 181; რუს. თარგმ., გვ. 169. ამ რუსულ თარგმანში ასე იკითხება: «Закаре и Иване сыновья Саргиса, курдские переселенцы».

რიᲔ და იოანე მხარგრძელები, თითქმის მᲗითი თანამედროვე სომეხ ისტორიკოსთა მიხედვითაც, უცხოური (ამ შემთხვევაში, ქურთული) წარმოშობისანი იყვნენ და არ ეკუთვნოდნენ არც ქართულ და არც სომხურ საგვარეულოებს.

მკვლევართა დიდი უმრავლესობა, რომელიც კი ამ საკითხს შეხებია და კირაკოსისა და ვარდანის ცნობები განუხილავს, სავსებით სარწმუნოდ მიიჩნევდა სომეხ ისტორიკოსთა ზემომითითებულ მონაცემებს და მხარგრძელებს ქურთული წარმოშობისად თვლიდა. ასე მაგალითად, მიქ. ჩამჩიანის მიხედვით, პირველი სარგისი, მხარგრძელთა წინაპარი, გამოეყო ქურთთა გვარს [1]. როგორც ვხედავთ, მიქ. ჩამჩიანი ამ შემთხვევაში უფრო ვარდანის ცნობაზე უნდა იყოს დამყარებული, როცა მხარგრძელთა ქურთული წარმოშობის შესახებ მიუთითებს და არაფერს ამბობს „ბაბირაკ ხელენისა“ თუ „ბაბირთა ტომის“ შესახებ.

მხარგრძელთა წინაპრების წარმომავლობის შესახებ საინტერესო თვალსაზრისია განვითარებული მე-18 ს. მიწურულს თუ მე-19 ს. დამდეგს შედგენილ თხზულებაში „შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გუარებისა“, რომელიც, როგორც ჩანს, ეკუთვნის იოანე ბაგრატიონს [2]. ამ თხზულების მიხედვით, „იყვნენ მხარგრძელნი უკანასკნელი მეფისა სპარსთასა იეზიგარისა გუარისანი. ამათნი უკუც გუარი განდევნილ იქნენ სპარსთაგან და მოვიდნენ ასურასტანსა შინა და მუნ დაᲔშენნენ და მერე მიიღო ამათმა წინაპარმა სარწმუნოება სომეხთა და ასურასტანითგან გარდმოსახლდნენ ერეᲔვანს“ [3]. ამავე ხელნაწერის სხვა ფურცელზე კიდევ აღნიშნულია „პირველი ზაქარია მხარგრძელისა პაპის მამა სარგის მხარგრძელი არიან ქურთისტანიდან ანუ ასურსტანიდგან მოსულნი, რომელნიც მოინათლნენ სომხად“ [4].

როგორც ვხედავთ, იოანე ბაგრატიონი მხარგრძელებს, ერთი მხრივ, სპასთა უკანასკნელ მეფეებს უკავშირებს, ხოლო მეორე მხრივ, არც მათ ქურთულ წარმოშობას უარყოფს; ოღონდ, იოანეს მიხედვით, ისინი არტაქსერქსესი კი არა. იეზდიგერდის გვარიდან მომდინარეობენ. როგორც ჩანს, იოანე ბაგრატიონი მხარგრძელთა წინაპრების გარკვევაში იშველიებდა როგორც ქართულ, ასევე სომხური წყაროების მონაცემებს.

მხარგრძელთა წინაპრებს ქურთებად მიიჩნევდა მ. ბროსეც [5], საამისოდ იგი იმოწმებდა ვარდანს [6].

მე-19 ს. მეორე ნახევრის ცნობილი სომეხი მკვლევრის ა. ერიცოვის მისედვითაც, სარგისი, რომელსაც ორბელების შემდეგ გადაეცა ლორე, იყო ქურთი, ბაბილონის ქვეყნიდან გამოსული [7].

ამავე თვალსაზრისზე იდგა ე. ლალაიანიც. მისი აზრით, „სპასალართა გვარი წარმოშობილია ქურთაგან (*քուրդ*), რომელნიც გამოიქცნენ ძოროგეტის ბაგრატუნებთან, ე. ი. კვირიკიანთა მეფეებთან, ქრისტიანობაზე მოექცნენ და ამის სანაცვლოდ კი მიიღეს საცხოვრებლად ხოშორნი“ [8].

მხარგრძელთა წინაპრების ქურთულ წარმოშობაში დარწმუნებული იყო

---

[1] მ. ჩამჩიანი, სომხეთის ისტორია, III (სომხ.), გვ. 148.

[2] ხი, S: 3729.

[3] იქვე, ფურც. 10.

[4] იქვე, ფურც. 121.

[5] მ. ბროსე, დამატებები და განმარტებები (ფრანგ.), გვ. 270.

[6] იქვე, დამატება.

[7] ა. ერიცოვი, ახპატის მონასტერი (რუს.), გვ. 20.

[8] ე. ლალაიანცი, ბორჩალოს მხარე (სომხ.), გვ. 319.

ჯ. აჯარიანიც. მისი სიტყვით, „სარგისი (იგივე ავაგ-სარგისი), ძე ხოსროსი, ძმა ქარიმძისა იყო ქურთი (*քուրդ*)“ [1].

სომხეთის ისტორიის მკვლევარს ი. მანანდიანსაც ეჭვი არ შეუტანია კირაკოსისა და ვარდანის ცნობის სისწორეში მხარგრძელთა წინაპრების ვინაობის შესახებ. ჩვენი აზრით, იგი სავსებით მართალი იყო, როცა ხაზს უსვამდა კირაკოსისა და ვარდანის მოღვაწეობის საუკუნესა და წლებს, მათ თანამედროვეობას ზაქარია და ივანე მხარგრძელებთან და ამდენად თვით ამ ისტორიკოსთა ცნობების სანდოობას: „ვარდან ვარდაპეტი და კირაკოს განძაკეცი —წერდა ი. მანანდიანი, — რომლებიც მე 13 ს ის ისტორიკოსები არიან და თანამედროვენი ზაქარიან იშხანების საუკუნისა, ამ გვარს თვლიან ქურთულ წარმოშობისად (*քրդական ծագում*). კირაკოს განძაკეცი ნათლად ადასტურებს აგრეთვე, რომ ზაქარიანები წარმოიშვნენ „ქურთთაგან ბაბირაკანთა გვარიდან“ (*ի Բաբիկական էրկրէն*), ე. ი. „ბაბირაკანად“ წოდებული ქურთული „ელიდან“ ანუ „გვარიდან“[2].

ი. მანანდიანმა შენიშნა აგრეთვე, რომ მე-17 ს. სომეხი ისტორიკოსის ზაქარია სარკავაგის (კანაკერცის) მითითება მხარგრძელთა წარმოშობის, ბაბილონიდან მოსელის (*ի քրիստ Ի՛լաբիրական խէչէն*) შესახებ დამყარებულია კირაკოსის ცნობის გაუგებრობაზე[3].

აღსანიშნავია, რომ ი. მანანდიანი ცდილობს ახსნას ისიც, თუ რატომ არ დაიცვა ქართულმა წყაროებმა ცნობა ზაქარიასა და ივანეს ქურთული წარმოშობის შესახებ. მისი აზრით, ეს სავსებით გასაგებია, რადგან „მე 12 ს. მეორე ნახევარში, როცა ზაქარიანებმა დაიწყეს მნიშვნელოვანი როლის შესრულება სომხეთსა და საქართველოში, ისინი უკვე სრულიად გასომხებულნი იყვნენ“. ამას გარდა, რაკი დედით მთელი მათი ნათესავები „ალბათ სომხები ყოფილან“, ისინი თავიანთ თავს სომხებად თვლიდნენ და შორეული წინაპრების ვინაობის შესახებ მხოლოდ მოგონებები და ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ[4].

ჩვენ ქვემოთ შეეცდებით ვუჩვენოთ, რომ ი. მანანდიანი ამ შემთხვევაში არ შეიძლება სწორი იყოს, ამით ვერ აიხსნება ქურთულ წყაროებში მხარგრძელთა ქურთობის შესახებ მითითების არარსებობა. თუკი ისე დავიწყებული იყო მხარგრძელთა ქურთული წარმომავლობა, მაშ საიდან იცოდნენ ეს მათმა თანამედროვე სომეხმა ისტორიკოსებმა?

ამას გარდა, მხარგრძელებს, რომელნიც თავიანთი შორეული წინაპრების მოსახსენიებლად შეწირვებსა და წარწერებს (მათი სახელების მოხსენიებით) აკეთებდნენ, ძნელი წარმოსადგენია არ სცოდნოდათ ამ წინაპართა ვინაობა.

ი. ორბელი, როგორც აღნიშნა, საგანგებოდ არ შეხებია მხარგრძელთა წარმომავლობას, მაგრამ თავის ნაშრომებში არაერთხელ აღუძრავს ჩვენთვის საინტერესო საკითხი და გამოუთქვამს თავისი შეხედულებები ამ საკითხზე. ჯერ კიდევ 1911 წ. თავის ცნობილ ნაშრომში „Развалины Ани“, ის აღნიშნავდა: «Братья Долгорукие принадлежали к выдвинувшимся недавно армянскому княжескому роду вероятно — курдского происхождения»[5]. ამგვარივე (ოღონდ უფრო კატეგორიული ფორმით) მოსაზრებას ავითარებდა ი. ორბელი შემდეგ წლებშიც. მისი სიტყვით, მე-12 მე 13 საუკუნეებში, მუსლიმანური სახელების შეთვისების პარალელურად, სომხეთში მიმდინარეობდა არა

---

[1] ჯ. აჯარიანი, სომხური... (სომხ.), IV, 1948, გვ. 411.

[2] ი. მანანდიანი, სომეხი ხალხის ისტორია, III (სომხ.), გვ. 123.

[3] ი. მანანდიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 124.

[4] იქვე, გვ. 128—129.

[5] И. А. Орбели, Избранные труды, Ер., 1963, გვ. 9.

მარტო გაქრისტიანება, არამედ ავრეთვე არშენისპაც ისეთი გამოჩენილი ქურთული მთავრული საგვარეულოსი, როგორიც იყვნენ ზაქარიანები. ი. ორბელის მიხედვით, ორ საუკუნეზე ცოტა მეტი დასჭირდა, რომ ქურთების ბაპირავენდის ტომიდან გამოსული ზაქარიანები გამხდარიყვნენ სომხეთის ნაციონალური იდეების მატარებელნი და მეტნაკლებად თანმიმდევრული მებრძოლები ამიერკავკასიაში მუსლიმანთა ბატონობის ლიკვიდაციისათვის [1]. ამრიგად, ი. ორბელის მიხედვით: ა) ზაქარიანები წარმომავლობით ქურთები იყვნენ, ქურთული ბაპირავენდის ტომიდან: ბ) ორ საუკუნეზე ცოტა მეტი დასჭირდა მათ გაქრისტიანებასა და გასომხებას; გ) ზაქარიანები თავიანთი ნაციონალური იდეებით, ენითა და შეგნებით სომხები იყვნენ [2].

ამრიგად, ი. ორბელიც საესებით იზიარებდა სომეხ ისტორიკოსთა მონაცემებს მხარგრძელთა წინაპრების ქურთული წარმოშობის შესახებ.

მხარგრძელთა წინაპრების ქურთებისაგან წარმომავლობის შესახებ მიუთითებდნენ აგრეთვე კავკასიისა და საქართველოს ისტორიის უცხოელი მკვლევრებიც. ასე მაგალითად, ე. ა ლ ე ნ ი ს აზრით, სარგის მხარგრძელი „იყო ქურთული წარმოშობის აზნაური“ [3]; ვ. მინორსკი თავის საგანგებო გამოკვლევაში აღნიშნავდა: „გადმოცემის თანახმად, რომელიც მართებული ჩანს, მათი (მხარგრძელთა, შ. მ.) წინაპრები იყვნენ ქურთები ბაბირაკანის ტომიდან“ [4].

მხარგრძელთა წარმომავლობას შეეხო აგრეთვე კ. თუმანოვიც. მისი აზრით, მხარგრძელები, ფალავანდიშვილებთან და სუმბათაშვილებთან ერთად, არიან ქართველი ფაჭლავიდები. კ. თუმანოვის მიხედვით, მხარგრძელების პრეტენზია აქემენიდებთან, არტაქსერქსე მხარგრძელთან ნათესაობაზე მათი არშაკიდული წარმომავლობის ტოლფასოვნად უნდა მივიჩნიოთ, რაკი არშაკიდები თავს აცხადებდნენ აქემენიდთა ერთ ერთი შტოს ჩამომავლად [5]. ირანელი არშაკიდების ერთ შტოს კიდევ კარინ-ფაჭლავუნის მემკვიდრენი- კამსარაკანები წარმოადგენდნენ. კამსარაკანებმა, მათი საგვარეულოს დაცემიდან (მე-8 ს. დასასრული) ორი საუკუნის შემდეგ (მე-10 ს.), ისევ აღიდგინეს თავიანთი ძველი დიდება, ამჯერად როგორც „ფაჭლავიდების სახლმა“ [6], არშაკიდებისაგან ფაჭლავიდების მომდინარეობას ამტკიცებს, კ. თუმანოვის აზრით, მხარგრძელთა საგვარეულო მონასტრის სანაინის 1061 წლის წარწერა, სადაც იშხანთა-იშხანი ვინმე შაპუჰიკი თავის თავს „პაჰლავუნის (*Պահլաւանի*) ტომიდან არშაკუნიანთა (*Արշակունեաց*) გვარიდან“ წარმოშობილად მოიხსენიებს [7]. აქ მოხსენიებული შაპუჰიკი კი კ. თუმანოვს მხარგრძელთა ჩვენთვის ცნობილ წინაპრებზე (ხოსრო, ავაგ, სარგისი) უფრო ადრინდელი თაობის წარმომადგენლად მიაჩნია [8].

ამრიგად, კ. თუმანოვის კონცეფციის მიხედვით, კამსარაკანები და შემდეგდროინდელი ფაჭლავიდები არშაკიდური წარმომავლობისანი არიან, არშაკიდები კი თავს აქემენიდებს უკავშირებენ. ასევე იქცევიან მხარგრძელებიც, რომელთა საგვარეულოს ადრინდელი თაობის წარმომადგენელნი შაპუჰიკი თავის თავს ფაჭლავიდების ტომისა და არშაკიდების გვარისად მიიჩნევს. ყოველივე ეს კი

---

[1] И. О р б е л и, Избранные труды, Ер., 1963, გვ. 307.
[2] იქვე.
[3] ვ. ა ლ ე ნ ი, ქართველი ხალხის ისტორია (ინგ.), გვ. 104.
[4] ვ. მ ი ნ ო რ ს კ ი, კავკასიის ისტორიის მიმოხილვა (ინგ.), გვ. 101.
[5] კ. თ უ მ ა ნ ო ვ ი, ქრისტიანული კავკასიის ისტორიის მიმოხილვა (ინგ.), გვ. 207.
[6] იქვე, გვ. 206—207.
[7] კ. ლ ა ფ ა რ ი ა ნ ი, სანაინის ვანქი (სომხ.), გვ. 147.
[8] კ. თ უ მ ა ნ ო ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 207—208.

მხარგრძელთა არშაკიდულ კამსარაკანულ-ფაჰლავიდურ წარმოშობაზე მიგვითითებს. ნაშრომის ამავე თავის დასკვნით ნაწილში კ. თუმანოვი გარკვევით წერს: „ფაჰლავიდთა დინასტიისაგან შეიქმნა სამი შტო: ფალავანდიდი, მხარგრძელი და სუმბატიდი“, რომელნიც შემდეგ, თავის მხრივ, სხვადასხვა შტოებად დაიყვნენ (ფალავანდიშვილები, ამირაჯიბები, მხარგრძელ არღუთაშვილები, არღუთინსკი-დოლგორუკები, ფავლენიშვილები, მაღალაშვილები)[1].

ჩვენ ამჯერად არ შევეხებით „ფაჰლავიდთა დინასტიის“ ყველა ამ განშტოებას, მაგრამ ერთ მათგანზე — მხარგრძელებზე კ. თუმანოვის მიერ მოტანილი მასალების განხილვაც, ჩვენი აზრით, საკმარისია მის მოსაზრებათა უსაფუძვლობის საჩვენებლად.

როგორც ვნახეთ, კ. თუმანოვის კონცეფციის საფუძველს არსებითად თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობა და სანაინის 1061 წ. წარწერა შეადგენს. თამარის პირველი ისტორიკოსი, როგორც ზემოთ ვნახეთ, მხარგრძელებს არტაქსერქსე მხარგრძელის „ნათესავებად“ მიიჩნევს. მაგრამ შუა საუკუნეებში ასე განმტკიცებული (მსხვილ ფეოდალურ საგვარეულოთა უცხოური და უძველესი წარმოშობის მტკიცება მათი განდიდების მიზნით) კონცეფცია ამ შემთხვევაში არსებითად დამყარებულია არტაქსერქსეს ზედწოდების „მხარგრძელისა“ და ქართული ფეოდალური საგვარეულო სახელის „მხარგრძელის“ მსგავსებასთან. სხვა მყარი საფუძველი თამარის ისტორიკოსის ამ თვალსაზრისს არ გააჩნია და იგი სავსებით შეუთავსებელი ჩანს ძველი სომეხი ისტორიკოსების (ვარდანი, კირაკოსი) ცნობებთან მხარგრძელთა წინაპრების ქურთული წარმომავლობის შესახებ. კ. თუმანოვისავე შენიშვნით, საჭიროა გვახსოვდეს, რომ ვარდანისა და კირაკოსის ცნობით, მხარგრძელები ქურთული წარმოშობისანი იყვნენ[2]. მაგრამ იგი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ როგორ შეეუთავსოთ ძველ სომეხ ისტორიკოსთა ეს ცნობები მხარგრძელთა აქემენიდურ არშაკიდურ-ფაჰლავიდურ წარმოშობას.

ამას გარდა, ხელოვნური და დაუსაბუთებელი ჩანს არტაქსერქსე ლონგიმანის „ნათესავად“ მიჩნეული მხარგრძელების დაკავშირება არშაკიდებთან (ამ უკანასკნელების აქემენიდთა ერთ ერთი შტოდან მომდინარეობის გამო) და შემდეგ ფაჰლავუნებთან. საამისოდ კ. თუმანოვის მიერ დამოწმებული ფ. იუსტის ცნობილი ნაშრომისა და ასევე „აქტების“ სათანადო გვერდები არაფერს გვეუბნებიან მის მოსაზრებათა სასარგებლოდ. ფ. იუსტის ნაშრომის კ. თუმანოვის მიერ დამოწმებულ გვერდებზე მოცემულია ფაჰლავუნების (Pahlavuni) და მათ შთამომავალთა გენეალოგია, ვიდრე მე-13 ს. დამდეგამდე[3], კამსარაკანების ანუ არშარუნის საგვარეულოს გენეალოგია მე 13 ს. დამდეგამდე[4] და აგრეთვე ვ. ბროსეს მიხედვით შედგენილი მხარგრძელთა გენეალოგიაც[5], მაგრამ არაფრიდან ჩანს ამ საგვარეულოთა რაიმე ურთიერთკავშირი ან კიდევ მხარგრძელების ფაჰლავუნებთან თუ კამსარაკანებთან დაკავშირების ცდა. კ. თუმანიანის მიერ დამოწმებული „აქტების“ სათანადო გვერდზე სომხეთის პატრიარქი ეფრემი წერილში რტიშჩევისადმი მიუთითებს არქიეპისკოპოს ნერსეს ტერ-არუთუნიან-შაჰაზიზიანის მომდინარეობაზე ცნობილ სომხურ კამსარაკანთა საგვარეულოდან[6].

---

[1] კ. თ უ მ ა ნ ო ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 270.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 203.

[3] ფ. ი უ ს ტ ი, ირანული სახელები (გერმ.), გვ. 423.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 425.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 458- 459.

[6] Акты, V, გვ. 438—439.

ცხადია, ასეთი დოკუმენტი თ[illegible] დასკვნებისა და ვარაუდების ნათესაობა მხარგრძელებთან და ამდენად ამ მხარგრძელების კამსარაკანებთან.

კ. თუმანოვის მოსაზრებათა დასასაბუთებლად არ გამოდგება სანა ნის 1061 წ. წარწერაც: ჯერ ერთი, სანაინი მე 11 საუკუნიდან არ შეიძლება მ ჩნეულ იქნეს მხარგრძელთა საგვარეულო სამარხად. მხარგრძელთა ჩვენთვის ცნობილი უძველესი წინაპარი ავაგ-სარგისი, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, მამის ხოსროვისა და ძმის ქარიმის მოსახსენებელ-შესაწირავს ახპატს მიუძღვნის (აქვეა შესაბამისი წარწერაც) და არა სანაინს.

ერთი ძველი ქართული ცნობის მიხედვით, სანაინი მხარგრძელებმა მხოლოდ თამარის დროს მიიღეს: „ძველად ეს ადგილი (სანაინი და მისი მიდამოები, შ. მ.) იყო სომეხთა მეფეთა სასაფლაოცა და მერმეთ თამარ მეფის მიერ მიეცათ ესე სასაფლაოდ მხარგრძელთა, ესე სარდალთა მის მეფისათა"[1].

ამას გარდა, სანაინში, როგორც ჩანს, დაიმარხნენ მხოლოდ სარგისი (თამარის ამირსპასალარი) და მისი ერთი ძე, საქარია და არა საერთოდ სარგისის შთამომავალნი. სანაინი თუნდაც იმ მხარგრძელთა საეკვარეულო სამარხად მივიჩნიოთ, სანაინის ღასახელებული წარწერის შაპუჰიკი არ შეიძლება იყოს მხარგრძელთა ჩვენთვის ცნობილ წინაპარზე უფრო ადრინდელი თაობის წარმომადგენელი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მხარგრძელთა ჩვენთვის ცნობილ წინაპარს, ავაგ-სარგისს, რომელმაც თავისი მამა მოიხსენია ახპატის ამავე დროის (მე-11 ს. 60-იანი წლების) წარწერაში, როცა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო სანაინის 1061 წ. წარწერის ავტორი, ძნელი წარმოსადგენია არ სცოდნოდა თავისი ეს „წინაპარი" და მისი წარმომავლობა არშაკიდ-ფაჰლავუნებისაგან; ან კიდევ, როგორ შეიძლება მე-11 ს. 60 იან წლების მოღვაწე შაპუჰიკი, მხარგრძელთა წარწერებით ცნობილი წინაპარის ავაგ სარგისის თანამედროვე, მხარგრძელთა წინაპრების უფროსი თაობის წარმომადგენლად მიგვეჩნია. ასე რომ სანაინის 1061 წ. წარწერას არაფერი აქვს საერთო მხარგრძელთა წინაპრებთან და მისი „ფაჰლავუნთა ტომიდან და არშაკიდთა საგვარეულოდან" მომდინარეობა არაფერს გვეუბნება მხარგრძელთა ამგვარიე წარმომავლობის შესახებ.

ზემომოტანილ და მსგავს მოსაზრებათა დასასაბუთებლად კ. თუმანოვი, დასახელებულ ნაშრომთა და წყაროთა გარდა, ხშირად იშველიებს დოლგორუკოვის „Российская родословная книга"-ს და ე. წ. „Списки"-ს. პირველ მათგანში, მართლაც, ზოგი ქართული თავადური გვარის წარმომავლობის შესახებაც არის საუბარი, მაგრამ არაფერია ნათქვამი ჩვენთვის საინტერესო საგვარეულოთა (კერძოდ მხარგრძელთა) ვინაობაზე. ამასთანავე, ამ ნაშრომში ზოგი ქართული გვარის წარმომავლობის საკითხზე განვითარებული თვალსაზრისი უმთავრესად ზეპირ და წყაროებით დაუსაბუთებელ გ-დმოცემებზეა დამყარებული და, ამდენად, ცხადია, მათი გამოყენება მეცნიერული მსჯელობისათვის თითქმის შეუძლებელია. მეორე ნაშრომში („Списки") კი, მართალია, დასახელებულია არეუთაშვილ-დოლგორუკები, ფალავანდოვები, სუმბატოვები და სხვ., მაგრამ საერ-

---

[1] ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, 1, 1935, გვ. 223; შდრ. ხი, S: 3729, ფურც 11.

თოდ არაფერია ნათქვამი ამ საგარეულოთა წარმომავლობისა თუ ურთიერთხათესაობის შესახებ[1].

ჩვენ სემოთ დეტალურად განვიხილეთ ქართველ მკვლევართა — ი. ჯავახიშვილის, ს. კაკაბაძის, ს. ჯანაშ ას, ლ. მესხელიშვილისა და სხვათა მოსაზრებანი მხარგრძელთა წინაპრების ვინაობის შესახებ და ვნახეთ, რომ ი. ჯავახიშვილს, ს. ჯანაშიას და ერთ დროს ს. კაკაბაძესაც კირაკოსისა და ვარდ ნ ს ცნობა მხარგრძელთა წინაპრების შესახებ სარწმუნოდ მიაჩნდათ.

ამრიგად, საქართველოსა და სომხეთის ისტორიის მკვლევრები თითქმის ერთხმად მიუთითებენ მხარგრძელთა წინაპრების ქურთულ წარმოშობაზე.

მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ამ ძირიე ამართა სხვადასხვაობა არ იყოს და კირაკოსისა თუ ვარდანის ცნობა მკვლევრებს ერთნაირად ეს მოდეთ.

ზოგი სომეხი ისტორიკოსი, მაგალითად, ს. ე რ ე მ ი ა ნ ი, საერთოდ გვერდს უვლის კირაკოსისა და ვარდანის ცნობებს მხარგრძელთა წინაპრების ქურთობის შესახებ და არც სპეციალურ გამოკვლევასა თუ ზოგადი ხასიათის ნაშრომებში ამბობს რაიმეს მათ შესახებ. ზოგიც საეს ებით უარყოფს ზემოთ დასახელებულ მსარგრძელთა თანამედროვე სომეხ ისტორიკოსთა ცნობების სისწორეს, ანდა სადავოდ და საკამათოდ მიიჩნევს მას (ჰოესეფიანი, შაჰნაზარიანი).

ას. შაჰნაზარიანის აზრით, ვარდანისა და კირაკოსის ცნობები მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება ასახვედეს სინამდვილეს. მას საეჭვოდ ეჩვენება მხარგრძელთა წინაპრების ნათესაობა ქურთებთან. მისი აზრით, ისტორიაში არ არის ცნობილი არც ერთი შემთხვევა უმიზეზოდ, მშვიდობიანი ქურთების გადმოსახლებისა, განსაკუთრებით ჩრდილოეთ სომხეთში, საქართველოს საზღვრებისაკენ[2]. ამიტომ ას. შაჰნაზარიანი უპირატესობას მე-17 ს. ისტორიკოსის ზაქარია სარკავაგის ცნობებს ანიჭებდა, რომელიც მხარგრძელთა წინაპრების შესახებ არაფერს აღნიშნავდა და მხოლოდ იმის მითითებით კმაყოფილდებოდა, რომ ამ გვარის წინაპარი ზაქარია ჯერ კიდე ბაბილონის ქეყანაში იყო ქრისტიანი; დევნისა გამო იძულებული გახდა გადმოსულიყო სომხეთში და წასულიყო საქართველოში[3].

ზაქარიას ეს ცნობა, ას. შაჰნაზარიანის აზრით, იმითაც იმსახურებს ყურადღებას, რომ იგი ბრძოლ არ მიჰყვება კირაკოზის „ისტორიის" მონაცემებს. ამას გარდა, ას. შაჰნაზარიანის მტკიცებით, ამ ცნობაში ასახულია სინამდვილე ქაღელთა (*քաղդեացին*) გუნდის გადმოსახლების შესახებ მე-11 ს. 40-იან წლებში, რაზეც საგანგებოდ ჩერდება ვარდანი[4]. ქაღელები ანუ ქაღდელები (იგივეა რაც ქალდეველები) კი ცხოვრობდნენ ბაბილონის მხარეში და ამიტომაც გარკვეული დროიდან „ქალდეის" მაგვარად „ბაბილონის ქეყანა" იხმარება[5]. ასე რომ ზაქარიას ცნობაში მხარგრძელთა წინაპრების ბაბილონის ქვეყნიდან გადმოსახლების შესახებ მითითება ას. შაჰნაზარიანს მხარგრძელთა წინაპრების ქალდეველობის უტყუარ მოწმობად მიაჩნდა. ამასვე ადასტურებს, მისი აზრით,

---

[1] იხ. Списки титулованным родом и лицам Российской империи, 1892, გვ. 6—9, 54, 69—70, 79—80.

[2] ას. შაჰნაზარიანი, ზაქარიანთა (ერკაინბაზუკა) ტომის წარმოშობა (სომხ.), გვ. 70

[3] ზაქარია კანაკერცი, ქრონიკა, გვ. 242; ას. შაჰნაზარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 71.

[4] ას. შაჰნაზარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 71.

[5] იქვე, გვ. 72

თვით ამ წინაპართა სახელებიც ხოსროვი, ზაქარია, სარგისი (ქალდეველებში ვავრცელებული სახელები) [1].

როგორც ვხედავთ, ას. შაჰნაზარიანი სავსებით უარყოფს კირაკოსისა და ვარდან ს ცნობას მხარგრძელთა წინაპრების ქურთობ ს შესახებ. ამ ცნობაში ჰე შმარიტების ელემენტს იგი მხოლოდ მხარგრძელთა წინაპრების გადმოსახლებაზე მითითებაში ხედავს. ამას გარდა, ას. შაჰნაზარიანმა ერთი მოვლენის ანარეკლად მიიჩნია ორი სხვ-დასხვა დროის მოღვაწე ისტორიკოსის მითითება, ერთი მხრივ, ქალდეველთა სომხეთში გადმოსახლებისა (ვარდანი) და, მეორე მხრივ, მხარგრძელთა წინაპრების ბაბილონიდან საქართველოში მოსვლის შესახებ (ზაქარია სარკავაგი).

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ამ ორ სხვადასხვა საკითხზე ორი სხვადასხვა დროის ისტორიკოსთა მონათხრობის დაკავშირება სავსებით ხელოვნური ჩანს; თვით ვარდანი, როგორც ცნობილია, ცალ-ცალკე მიუთითებს ქალდეველთა გუნდის სომხეთში გადმოსახლებისა და ასევე, მისგან დამოუკიდებლად, მხარგრძელთა წინაპრების ქურთული წარმოშობის შესახებ. ასე რომ მას აზრად არ მოსვლია ამ ორი მოვლენის ერთმანეთთან დაკავშირება.

ამას გარდა, რაც მთავარია, მე-13 ს. ორი – მხარგრძელთა თანამედროვე — ისტორიკოსის ცნობების უარყოფა მე-17 ს. ისტორიკოსის მონაცემებზე დაყრდნობით, შეუძლებელია, მით უფრო მაშინ, როცა ეს უკანასკნელი (ზაქარია სარკავაგი), მისივე განცხადებით, ამ შემთხვევაში სავსებით დამყარებულია ერთ მათგანზე (კირაკოსზე).

ზაქარია თავისი ქრონიკის მესამე ტომის მერვე თავს, მიძღვნილს მხედართმთავარ ზაქარიასადმი, ამგვარად იწყებს: „როგორც დასაწყისშივე შეგპირდით, მოგითხრობდით ისტორიას მხედართმთავარ ზაქარიას შესახებ, საიდან და ვინ არის იგი; მოკლედ მოგვითხრობს ამის შესახებ კირაკოსი" [2] და ამას მოსდევს თხრობა ზაქარია პიროველის ბაბილონის ქვეყნიდან გადმოსახლების შესახებ. კარგად ჩანს, რომ ყოველივე, რასაც ზაქარია მხარგრძელთა წინაპრების ბაბილონიდან გადმოსახლების შესახებ მიუთითებს, მას კირაკოსიდან ჰქონდა აღებული.

მართლაც, როგორც ეს თავის დროზე სავსებით მართებულად შენიშნა ი. მანანდიანმა, ზაქარია სარკავაგის (კანაკერცის) ცნობა მხარგრძელთა წინაპრების ბაბილონიდან მოსვლის შესახებ თვით კირაკოსის ცნობაზეა აღმოცენებული. როგორც ჩანს, მე 17 ს. ისტორიკოსმა მე-13 ს. ისტორიკოსის კირაკოსის მითითება მხარგრძელთა წინაპრების „ბაბირაკანთა გვარიდან" (*«Բաբիրական խէչէն»*) გამოსვლის შესახებ მათი ბაბილონიდან, „ბაბილონის ქვეყნიდან" (*«ի Բաբիլական երկրէն»*) გამოსვლად მიიჩნია [3].

აღსანიშნავია, რომ კირაკოსი „ისტორიის" ზოგ ნუსხაში *«Բաբիրական խէչէն»* („ბაბირაკან ხელენ")-ის ნაცვლად იკითხება [4] *«Բաբիլական խէչէն»* („ბაბილაკან ხელენ"), რაც აშკარა შესაძლებლობას ქმნიდა „ბაბილონთან" მისი დაკავშირებისა, ზაქარია კანაკერცს სწორედ ამგვარად „ბაბილაკანად" აქვს გადმოცემული გეოგრაფიული სახელწოდება „ბაბილონი".

---

[1] ას. შაჰნაზარიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 72.

[2] ზაქარია კანაკერცი, ქრონიკა (სომხ.), გვ. 242.

[3] ი. მანანდიანი, სომხეთის ისტორია, III (სომხ.), გვ. 124.

[4] კირაკოს განძაკეცი, სომხეთის ისტორია (სომხ.), გვ. 162, შენ.

ზემოთაც ვნახეთ, რომ კირაკოსის „ბაბირაკან ხელენ“ ზოგ მკვლევარსაც გეოგრაფიული სახელწოდების („ბაბილონის“) აღმნიშნველად მიაჩნდა (მაგ. ერიცოვს). ს. კაკაბაძემაც „ბაბირაკან ხელენ“-ის მეორე ნახევარი, კერძოდ, „ხელე“ ქართული „ხევის“ დამახინჯებულ გადმოცემად მიიჩნია, ხოლო პირველი ასევე, ერთ-ერთი ქართული გეოგრაფიული სახელის — „თ ო რ ი ს“ დამახინჯებად. ასე, რომ ს. კაკაბაძე შესაძლებლად თვლიდა „ბაბირაკან ხელენ“ „თორის ქევის“ (*„Թորական խէչի“*) გადმოცემად ეგულისხმა[1]. მაგრამ ს. კაკაბაძეს არ უცდია დაემტკიცებინა, როგორ შეიძლებოდა გეოგრაფიული სახელის „თორის – – ქევის“ ასე დამახინჯება სომხური დამწერლობის ნიადაგზე ან კიდევ როგორ იქცა *«Թորական» «Բաբիրական»* ად. ცხადია, ამგვარი დამახინჯების ახსნა შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია ვამტკიცოთ „ბაბირაკანისა“ და „თორის“ იგივეობა. ამრიგად, ს. კაკაბაძის მოს ზრება ამ საკითხზე მოკლებულია მეცნიერულ საფუძველს და მისი გაზიარება შეუძლებელია.

ს. კაკაბაძე „ნამდვილი ისტორიული ცნობის გადასხვაფერებად“ და „ტენდენციურად გადამახინჯებად“ მიიჩნევდა აგრეთვე სომეხ ისტორიკოსთა მითითებას მხარგრძელთა წინაპრების ქურთული წარმოშობის შესახებ. მისი აზრით, კირაკოსის *«Բ Բրքաց»* შეიძლება რომელიღაც ადგილობრივი ქართული სახელის დამახინჯების ნიადაგზე იყოს წარმოშობილი, ან იქნებ „ქურთი“ საკუთარი სახელიც იყოს და სომეხ ისტორიკოსთა ამგვარ მითითებაში მხარგრძელების შორეული წინაპრის სახელი იგულისხმებოდეს. მით უფრო, რომ „ქურდი“ სომხურ წყაროებში, მართლაც, ხშირად გვხვდება, როგორც საკუთარი სახელი[2].

კირაკოსისა და ვარდანის *«Բրդաց» – «Բրքաց»* (ქრდაც//ქრთაც)-ის „ქართველთან“ დაკავშირებას შესაძლებლად თვლიან სხვა ქართველი მკვლევრებიც. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ი. ც ი ნ ც ა ძ ე შენიშვნის სახით გამოთქვამდა მოსაზრებას „მაჰმადიანური წყაროებ ს“ „ქურთის“ ზოგჯერ ქ რთველის მნიშვნელობით ხმარების შემთხვევებისა და სომხურ წყაროებში ქურთად მოხსენიებულ მხარგრძელთა წინაპრების ქართული წარმოშობის დასამტკიცებლად გამოყენების შესახებ.

ამ საკითხს და თვით იმ წყაროს, რომელსაც ამ შემთხვევაში ი. ცინცაძე ემყარებოდა, უფრო ფართოდ და საგანგებოდ შეეხო ა. ბაქრაძე.

თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ ა. ბაქრაძე რატომღაც არ აცალკევებს ერთიმეორისაგან ორ სხვადასხვა საკითხს მხარგრძელთა შორეული წინაპრების წარმომავლობისა და თამარის თუ შემდეგი დროის მოღვაწე მხარგრძელთა ვინაობის საკითხს. ამიტომაა, რომ ყველა მასალა, რაც კი მე-12 — მე-13 სს. მხარგრძელებს შეეხება, ა. ბაქრაძეს მხარგრძელთა შორეული წინაპრების ქართველობის დასამტკიცებლად აქვს გამოყენებული. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ავტორის მიერ მოტანილი რუბრუკვისის ცნობები შანშე მხარგრძელისა და მისი შვილის შესახებ, ან კიდევ სომხური წყაროების მონაცემები ივანე მხარგრძელის ასულის თამთას თუ თვით ივანეს შესახებ და სხვა მსგავსი არ შეიძლება გამოვიყენოთ მე-13 საუკუნის მხარგრძელთა წინაპრების წარმომავლობის დასადგენად და კირაკოსისა და ვარდანის მიერ ხმარებული „ქურთის“ შინაარსის გასამარტავად. მიუხედავად ამისა, ინტერესმოკლებული არ არის ა. ბაქრაძის მიერ მოტანილი მასალა სომხურ წყაროებში მოხსენიებული „ქურდის“ შინაარსის გასაგებად. ამ შემთხვევაში იგი, ი. ცინცაძის მსგავსად, პირველ რიგში გ. წერეთ-

[1] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, „ვეფხისტყ ოსნი“ წინასიტყვ ობა, გვ XCI.

[2] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. XVI.

ლის „არაბულ-ქართულ ლექსიკონში“ ეფსირის „ქურდ ქორდის“ განძარტებას ეწ. ელიების. იქ ვკითხულობთ: „1. ქურთები, 2. ქურთელები (ტერმინი, რომელსაც ხმარობდნენ გარკვეულ ეპოქაში მუსლიმახები ქართველების აღსანიშნავად“). როგორც ცნობილია, გ. წერეთლის მიერ ხაზგასმული „ქურთის“ ოფიციალური მნიშვნელობა გამომდინარეობს მის მიერვე „არაბულ ქრესტომათიაში“ გამოქვეყნებული წყაროდან, ალ კალყაშანდის ცნობებიდან: „სახელმწიფონი, სადაც არიან ქრისტიანი მეფენი და რომლებთანაც ხდება მიმოწერა, სულ არის ორი: პირველი არის ს ხელმწიფო ქურჯეა.. და ეწოდება მუსლიმებში ალ-ქურდ (al kurd) და ქრისტიანებში ალ-ქურჯ (al kurdj)“[1]. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ამ შემთხვევაში იგულისხმება ქართველები და საქართველო. როგოროც ეხედავთ, ამ ცნობით ქართველებს მუსლიმანები გარკვეულ პერიოდში მართლაც „ქურდს“ უწოდებდნენ. მაგრამ, როგორც ამ ცნობაშია ხაზგასმული და თვით გ. წერეთლის მიერ საგანგებოდ არის აღნიშნული, ქართველებს ამგვარად მხოლოდ მუსლიმანები მოიხსენიებდნენ და ისიც გარკვეულ ეპოქაში. ამას გარდა, წყაროში იქვე მითითებულია, რომ ამ „ქურდებს“ ქრისტიანები „გურჯებს“ უწოდებენო.

ა. ბაქრაძემ მოიტანა სხვა მასალა და გამოიყენა აგრეთვე მკვლევართა დაკვირვებებიც (მაგ., ნიზამის „ისკანდერ ნამედან“), საიდანაც ჩანს აგრეთვე, რომ მაჰმადიანურ წყაროებში „ქურდი“ თუ „ქორდი“ შეიძლება ქართველის აღსანიშნავად სხვა შემთხვევაშიც ყოფილიყო ნახმარი[2]. მაგრამ მთავარია, თუ რამდენად შეიძლება ყველაფერი ეს სომხური წყაროების „ქურდ“//„ქურთის“ შინაარსის გასაგებად გამოვიყენოთ? საქმე ისაა, რომ სომხურ წყაროებში *Քրդաց—Քրդաց* არათუ კირაკოსთან და ვარდანთან, არამედ საერთოდაც, არც ერთ შემთხვევაში „ქართველის“ მნიშვნელობით არ არის ნახმარი. ჩვენთვის საინტერესო ეპოქის სომხური წყაროები ქართველებისა და საქართველოს აღსანიშნავად ყოველთვის *«Վրաց»* (ქართველთა ქვეყანა), *«Վիրք»* (ქართველები), *«Վրացիք»* (ქართველი) ხმარობენ[3]. ცხადია, ამ ტერმინების დაჟანგშირება ქურდ ქურთთან გამორიცხულია. ასე რომ მუსლიმანურ წყაროებში ზოგ შემთხვევაში „ქართველის“ აღსანიშნავად ხმარებული „ქურდ“-ი სომხური და ქართული წყაროების „ქურდის“ შინაარსის გასამარტავად არ გამოდგება.

კირაკოსსა და ვარდანს, რომელნიც კარგად იცნობდნენ ქართველებს, მათ წარსულსა და აწმყოს და ისტორიას, წერდნენ კიდეც მათ შესახებ, შეუძლებელია ერთიმეორისაგან ვერ გაერჩიათ „ქურთი“ და „ქართველი“. მათ მიერ ამ მხრივ რაიმე შიცდომის დაშვება სავსებით გამორიცხულია. ასევე მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ კირაკოსი და ვარდანი ამას წერდნენ თვით მხარგრძელთა მოღვაწეობის პერიოდში და შეუძლებელია, რომ ყველაფერი ეს თვით მხარგრძელთათვის უცნობი ყოფილიყო და ასევე კარგად არ სცოდნოდათ თავიანთ წინაპართა ვინაობა. რა თქმა უნდა, არ არის სავარაუდებელი, რომ მხარგრძელთა განმადიდებელ სომეხ ისტორიკოსებს „სჯულით სომეხ“ მხარგრძელთა წინაპრების წარმომავლობა „ტენდენციურად დაემახინჯებინოთ“, როგორც ამას ს. კაკაბაძე ეარაუდობდა. ეს ისტორიკოსები ამგვარ გზას რომ დასდგომოდნენ, ცხა-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არაბული ქრესტომათია, 1949, გვ. 76. ე. ტ ი ზ ე ნ გ ა უ ზ ე ნ ი, ელ-კალ შანდის შენიშვნა ქართველებზე, (რუს.), გვ. 210.

[2] ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, ასე ამბობს მემატიანე, „მნ თობი“, № 4, 1970, გვ. 187 –188.

[3] კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ც ი, სომხეთის ისტორია (სომხ.), გვ. 162, 165, 193, 207, 220. ს ტ ე ფ ა ნ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიუნიეთის ისტორია (სომხ.), გვ. 378, 379, 380, 388 და სხვა. ვ ა რ დ ა ნ ი, მსოფლიო ისტორია (სომხ.), გვ. 81, 97, 111, 135, 156, 183 და სხვა.

დია, მათი ქართული წარმომავლობის მტკიცებას კი არ დაიწყებდნენ, არამედ სომხურისა. ამას გ რცა, კირაკოსი ჩოგაოად კი არ მიუთითებს მხარგრძელთა წინაპრის ქართობ ს შესახებ, არა ასად კონკრეტულად ასახელებს იმ ქართულ ტომსაც (თუ ქვეყანას), საიდანაც გამოვიდნენ ისინი. ასე რომ კირაკოსის ცნობის გასაგებად საკმარისი არ არის მარტო ცნება „ქურდის“ განმარტება, თუნდაც „ქართველად“, არამედ საჭირო იქნებოდა ავრეთვე თვით მის მიერ დასახელებული ტომისათვის (თუ ქვეყნისათვის) ადგილის მიჩნევა ქართულ ეთნიკურ სამყაროში თუ ტოპონიმიკაში. ასეთი ცდა კი ა. ბაქრაძეს არ უწარმოებია. ხოლო ს. კაკაბაძის ვარაუდი ამ მხრივ *„ჩაბერებას ხჭვნის“*-ის „თორის ხეთან“ დაკავშირებისა, როგორც აღნიშნეთ, საკმაოდ თვითნებურია.

ამასთანავე ა. ბაქრაძეს და ასევე ს. კაკაბაძესაც აუხსნელი რჩებათ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: რატომ და როგორ მოხდა ქართული წარმოშობისა და „თორის ხეში“ მცხოვრებ მხარგრძელთა გადასელა „სომეხთა სამეფოს“ სამსახურში (ს. კაკაბაძე), აგრეთვე წარმოშობით ქართველისა და ქართულ პროვინციაში მცხოვრები მხარგრძელების (ა. ბაქრაძე) „სჯულით გასომხება“ სწორედ იმ დროს, როცა საქართველო და ქართული ეკლესია პოლიტიკურად და იდეოლოგიურადაც დიდი აღმავლობის გზაზე იყო შემდგარი? კირაკოსსა და ვარდანს ნათლად აქვთ წარმოდგენილი მხარგრძელთა ქართული წარმომავლობის მქონე წინაპართა „სჯულით გასომხების“ მიზეზებიც. თუ მას არ გავიზიარებთ, საჭიროა „სჯულით გასომხების“ მიზეზების ახსნა, მაგრამ ასეთი რამ არც ს. კაკაბაძეს და არც ა. ბაქრაძეს არ მოუციათ.

რა თქმა უნდა, მხარგრძელთა წინაპრების ქართულ წარმომავლობას ვერ დაამტკიცებს ავრეთვე ა. ბაქრაძის მიერ მოშველიებული მასალები ქართული წყაროებიდან „ქურთთა“ მოხსენიება მათში, თუ ქურთთა საუკო გადმოსახლება ეახტახგ გორგასლის დროს და მათი შერწყმა ქართველებთან, ქურდების კვალი ქართულ ტოპონიმიკაში და სხვა[1]. ყველა ეს საინტერესო მასალა მაინც ცალკე დგას და მისი დაკავშირება მხარგრძელების წინაპრების ეთნიკობის საკითხთან ხელოვნური ჩანს. ეს და სხვა მსგავსი მასალა მხოლოდ იმაზე შეიძლება მიგვითითებდეს, რომ ქართველებს გარკვეული ურთიერთობა ჰქონდათ ამ ტომებთან და ზოგიერთი ნაწილი მართლაც შეერწყა ქართულ მოსახლეობას.

მხარგრძელთა წინაპრებს რომ რაიმე კავშირი ჰქონოდათ ქართულ წარმომავლობასთან, ცხადია, არ შეიძლებოდა ყოველივე ამას ერთგვარი ასახვა მაინც არ ეპოვა ქართულ წყაროებში, განსაკუთრებით კი თამარის ისტორიკოსების თხზულებებში, რომელნიც, აღნიშნავდნენ რა მხარგრძელთა „სჯულით სომხობას“, ამავე დროს მიიჩნევდნენ მათ ქართული მართლმადიდებლობის მიმდევრებად და მთელი თავიანთი მოღვაწეობით ქართველებად. რა თქმა უნდა, ამ ისტორიკოსებისათვის უსათუოდ სასარგებლო და მნიშვნელოვანი მასალა იქნებოდა წყაროების რაიმე მინიშნება მხარგრძელთა წინაპრების ქართული წარმოძავლობის შესახებ. მაგრამ, რაკი რეალური ვითარება სავსებით სხვაგვარი იყო, თამარის პირველი ისტორიკოსი, ცხადია, მხარგრძელების ქართველობას ვერ დაასაბუთებდა, ქართული ოფიციალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენელი, ამ შემთხვევაში გვერდს უვლის მათ ქურთულ წარმოშობას (რაც არ შეიძლებოდა მას არ სცოდნოდა) და თავისებურად განმარტავს მათ უცსოურ წარმოშობას. ამით იგი ხელს უწყობდა მხარგრძელთა გვარის განდიდებას.

არ შეიძლება ორიოდე სიტყვით არ შევჩერდეთ ა. ბაქრაძის მიერ მოშვე-

[1] იხ. ა. ბ ა ქ რ ა ძ ე. დასახ წერილი, გვ. 107 188.

ლიებულ ზოგ ეპიგრაფიკულ მასალაზეც. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ამ მხრივ მის მიერ მოტანილი მასალები მხოლოდ მე-12 –მე-13 სს. მოღვაწე მხარგრძელებს შეეხება და მათი წინაპრების წარმომავლობის შესახებ არაფერს გვეუბნება. მაგრამ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველთვის არც ეს მასალაა სწორად მოტანილი და მართებულად გაგებული. ასე მაგალითად, იგი იმოწმებს დ. მუსხელიშვილის მიერ გამოქვეყნებულ ბანუშ-ჩაის ხეობის ხანძროქსის ეკლესიის 1213 წ. სომხურ წარწერას, სადაც, მისი სიტყვით, მოხსენიებულნი არიან სარგის და ზაქარია მხარგრძელები, გრიგოლ და საოგისი ძენი ქართველისანი, რომელნიც, ა. ბაქრაძის აზრით, უეჭველად მხარგრძელთა საგვარეულოს ეკუთვნოდნენ[1]. ჩვენ არ შეუძგებით ამჯერად ამ წარწერის დეტალურ განხილვას, მაგრამ შევნიშნავთ, რომ აქ არ არიან მოხსენებულნი არც სარგის და არც ზაქარია მხარგრძელები; იხსენიება მხოლოდ შანშე ზაქარიას ძე, ხოლო რაც შეეხება ქართველის შვილებს, გრიგოლს და სარგისს, წარწერა მართლაც მათ ეკუთვნით და, ცხადია, ისინი იხსენიებიან კიდეც[2], მაგრამ მათი მსარგრძელობა საესებით გამორიცხულია. ჩვენ სათანადო მასალების მიხედვით ზედმიწევნით ვიცით მე-13 ს. დამდეგის მხარგრძელების სამივე შტოს წარმომადგენელთა სახელები და მათ შორის „გრიგოლი“ დადასტურებული არ არის; „გრიგოლი“ საერთოდ არ ჩანს მხარგრძელთა საგვარეულო სახელებში. ასე რომ გრიგოლი და სარგის ქართველის შვილნი მხარგრძელები კი არ არიან, არამედ შანშე მხარგრძელის ვასალები (ყმები), რომელთაც მათ მიერვე გაკეთებულ წარწერაში, არსებული წესის მიხედვით, მოიხსენიეს მათივე პატრონი, მცირეწლოვანი, მაგრამ უკვე „სომეხთა სპარაპეტად“ მიჩნეული შაჰან შაჰი (შანშე) ზაქარიას ძე. ასე რომ ეს წარწერა არაფერს გვეუბნება მხარგრძელთა წინაპრების ქართველობისა თუ თვით გრიგოლისა და სარგისის მხარგრძელობის შესახებ და, ცხადია, ამ უკანასკნელთა ქართველის შვილობა არაფერს მატებს მხარგრძელთა ვინაობის საკითხის გარკვევას.

ამრიგად, ვერც სომეხ (ა. შაჰნაზარიანი) და ვერც ქართველ (ს. კაკაბაძე, ი. ციცაძე, ა. ბაქრაძე) მკვლევრებს ვერ მოაქვთ მასალა, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა კირაკოსისა და ვარდანის ცნობების უსწორობის დამტკიცება მხარგრძელთა წინაპრების ქურთული ტომიდან მომდინარეობის შესახებ.

ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კირაკოსისა და ვარდანის „ქურდი“ (*Քուրդաց*) მხოლოდ ზოგიერთ მკვლევარს კი არ მიაჩნია „ქურდის“, „ქურთის“ აღმნიშვნელად, როგორც ამას ა. ბაქრაძე შენიშნავს, არამედ სომხეთისა და საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა მკვლევარს. როგორც ვნახეთ, ამ აზრისა იყვნენ მიქ. ჩამჩიანი, მ. ბროსე, ა. ერიცოვი, ე. ლალაიანი, ჰ. აბოიანი, ი. მანანდიანი, ი. ორბელი, ვ. ალენი, ვ. მინორსკი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია და სხვები.

ასე რომ ამ მკვლევართა მიხედვით, კირაკოსისა და ვარდანის ცნობები მხარგრძელთა წინაპრების ქურთული წარმოშობის შესახებ ასახავენ სავსებით რეალურ ვითარებას, მე 13 ს. სომეხ ისტორიკოსთა ცნობის სისწორე ამ მხრივ ეჭვს არ იწვევს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგი სომეხი მკვლევარი შესაძლებლად თვლიდა მხარგრძელთა წინაპრები ორბელთა თუ ბაგრატიონთა საგვარეულოსთან დაეკავშირებინა. ასე მაგალითად, მ. ორმანიანის მიერ გამოქვეყნებულ მასა-

---

[1] ა. ბაქრაძე, დასახ. წერილი, გვ 186.

[2] დ. მუსხელიშვილი, ეპიგრაფიკული ძეგლები, სიმპ, I, 1960, გვ. 58 59.

ლებში მხარგრძელები ორბელიანებად არიან წოდებულნი და არა მხარგრძელებად, რაც, მისი აზრით, მიგვითითებს მხარგრძელთა მომდინარეობის შესახებ ორბელიანების გვარიდან,[1] მაგრამ მ. ორმანიანის ამგვარი მოსაზრება სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული არ ყოფილა, რაკი არც ერთი წყარო (ნარატიული, ეპიგრაფიკული თუ სხვა), რაც საკმაოდ უხვად გაგვაჩნია მხარგრძელთა წინაპრების შესახებ, მათ ორბელიანებთ ნ ნათესაობაზე არ მიგვითითებს. იგივე შეიძლება ითქვას კარაპეტ ეპისკოპოსის (ტერ-მკრტჩიანის) მოსაზრებების შესახებაც, რომლითაც მხარგრძელები ბაგრატიონთა შთამომაელებად არიან მიჩნეული[2]. ეს მოსაზრება, როგორც ჩანს, დამყარებულია ზოგ (მაგალითად, აღარწინის 1201 წლისად მიჩნეულ) წარწერაზე, სადაც „დიდი სარგისი" მართლაც დასახელებულია, როგორც ბაგრატუნიანთა გვარის წარმომადგენელი (*«Մեծին Սարգսիմ յազգէ Բագրատունեաց»*)[3].

„ბაგრატიონთა გვარისად" (*«Բագրատունեաց ազգին»*) არის მოხსენიებული აგრეთვე სანაინის ერთ ერთ წარწერაში ვანენი, „სარგის დიდის" ქალიშვილი, და ზაქარიასი და ივანესი[4]. ვანენი სანაინის ხიდის წარწერაშიც ამგვარადვე- „გვარით ბაგრატუნიანად" იწოდება (ასევე იშხანთა-იშხანის სარგისის ქალიშვილად და მეუღლედ მეფე აბასს)[5]. რა თქმა უნდა, მაგალი მითითებები ზოგ მკვლევარს საფუძველს აძლევდა მხარგრძელთა საგვარეულო წარმოშობით ბაგრატუნიანებთან დაეკავშირებინა. მაგრამ ჯერ კიდევ მ. ბროსემ საუსებით მართებულად აღნიშნა, რომ აღარწინის ზემომოტანილ წარწერაში, რომელიც, მისივე აზრით, ივანე მხარგრძელს ეკუთვნის, მხარგრძელთა მიერ ბაგრატიონობის დაჩემება მხოლოდ იმ კავშირით შეიძლება აიხსნას, რომელიც მხარგრძელებს ჰქონდათ სომეხთა კვირიკიან მეფეების მემკვიდრეებთან, კერძოდ ზაქარიასა და ივანეს ერთ-ერთი დის ვანენის ქორწინება აბასთან[6], ლორეს უკანასკნელი მფლობელის კვირიკე III-ის შვილიშვილის კვირიკეს ძესთან[7].

ამგვარადვე აქვთ ახსნილი მხარგრძელთა კავშირი ბაგრატიონების საგვარეულოსთან სომეხ მკვლევრებსაც. ას. შაჰნაზარიანი ს უსებით მართებულად დაასკვნიდა, რომ მხარგრძელები, გარდა ივანესი და მისი დის ვანენისა, არც ერთ წარწერაში, თავიანთ თავს ბაგრატიონებს არ უწოდებენ, ხოლო მათი მოხსენიება- „ბაგრატიონთა გვარიდან" გამოსულებად მხოლოდ ზემოხსენებული ქორწინებით შეიძლება აიხსნას. ას. შაჰნაზარიანი იქვე დაასკვნის: მხარგრძელებს წარმოშობით რაიმე ნათესაური კავშირი მართლაც რომ ჰქონოდათ

---

[1] მ. ორმანიანი... 1486 -1487 (სომხ.), § 1021 და სხვ ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ჩრდილო მხარეთა" სომეხთა მოძღვარნი, გვ. 39.

[2] თ. კარაპეტ ეპისკოპოსი, დიფიანი და მელიქშაჰნაზარიანი (სომხ.), გვ. 8—31; მელიქსეთბეგი, „ჩრდილო მხარეთა" სომეხთა მოძღვარნი, გვ. 39.

[3] მ. ბროსე, დამ ტებები და განმ რტებები (ორანგ.), გვ. 270; კ. კოსტ ნი ნცი ამ წარწერას 1201 წლით ათარიღებს, მ. ბროსემ საუსებით სწორად მიუთითა, რომ ეს წარწერა ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ, ივანეს მიერ არის გაკეთებული და რომ ამ შემთხვევაში ივანე თ ვის გვარს ბაგრატიონთაგან მომდინარედ მიიჩნევს(იხ. იქვე), კ. კოსტანიანცი, მ-ტიანე ქვებზე (სომხ.), გვ. 141. რ. ჯანფოლადიანის მიხედვით, ეს წ რწერა ზაქარიას სიცოცხლეშია დაწყებული და დამთავრებულია მისი გარდ ცვალების (1212 წლის) შემდეგ (იხ. მისი, Среднеековые армянские надписи, ЭВ, XIX, 1969, გვ. 69 –70).

[4] კ. კოსტანიანცი, მატიანე ქვებზე (სომხ.), გვ. 41.

[5] И. А. Орбели, Надпись Санаинского моста, ХВ, IV, в. II, 1915, გვ 192. მისივე, Избранные труды, 1963, გვ. 452.

[6] კ. ღაფადარიანი, სანაინის ვანქი (სომხ.), გვ. 183.

[7] მ. ბროსე, დამ ტებები და შენიშვნები (ფრანგ.), გვ. 270.

ბაგრატიონებთან, ეს მათ თანამედროვე ქართველ ისტორიკოსებს არ დაუშალე-ბოდათო.[1]

ი. ორბელიც, მის მიერ გამოქვეყნებულ სანაინის ხიდის წარწერის ანალიზის დროს, შენიშნავდა — მხარგრძელების „ბაგრატიონობის თეორიას" საფუძვლად უდევს ვანენის დაქორწინება აბას კვირიკიანთან, ბაგრატუნიანთა შთამომავალთან; აგრეთვე შეიქმნა საფუძველი თვით მხარგრძელთათვის (ამ შემთხვევაში ივანესათვის, შ. მ.) აღენიშნათ მათი ნათესაობა ბაგრატუნიანებთან"[2].

როგორც ვხედავთ, მოსაზრება მხარგრძელთა ბაგრატიონების საგვარეულოდან მომდინარეობის შესახებ მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. შეიძლება ვილაპარაკოთ მხარგრძელთა საგვარეულოს (გარკვეული დროიდან) სომეხ ბაგრატუნიანების უკანასკნელ წარმომადგენელთან დამოყვრების, და არა მათი წარმომავლობის შესახებ ამ საგვარეულოდან.

ამრიგად, მხარგრძელთა წინაპრების ვინაობის შესახებ მკვლევართა მიერ დღემდე გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრებანი, კერძოდ მათი თორელობისა თუ საერთოდ ქართველობის, არშაკიდებფალავუნებისაგან, მომდინარეობის, ორბელიანობისა და ბაგრატიონობის შესახებ, არ შეიძლება გაზიარებულ იქნას. წყაროების უტყუარი მონაცემებით ირკვევა, რომ მხარგრძელთა წინაპრები არ არიან არც ქართული და არც სომხური წარმოშობისა და მომდინარეობენ ერთერთი ქურთული ტომიდან.

მაგრამ, გასარკვევია, მაინც რას უნდა ნიშნავდეს კირაკოსის *«ჩარეკილან ხჷჭჷნ»* და რა ურთიერთობა შეიძლება ჰქონდეს მას ზაქარია კანაკერცის „ბაბილონის ქვეყანასთან".

როგორც ზემოთ ვნახეთ, ზოგი მკვლევარი (ერიცოვი, შაჰნაზარიანი) „ბაბირაკანს" „ბაბილონის" შესატყვისად მიიჩნევდა, „ხელენს" კი „ქვეყნისა". მკვლევართა უმეტესობა კი „ბაბირაკანს" როპელილაც ქურთული გვარის, ტომის, ელის სახელად თვლ და (მანანდიანი, ორბელი, მინორსკი), სოლო „ხელენს" „ტომის", „გვარის" აღმნიშვნელად; ი. ორბელი უფრო სწორად მიიჩნევდა იმ ქურთული ტომისთვის „ბაბირაევნდის ტომი" გეუწოდებინა, ხოლო კირაკოსის რუსულად მთარგმნელი ტ. ტერ-გრიგორიანი „ბაბირაკანს" „ბაბირად" გადმოსცემდა.

ჩვენი აზრით, კირაკოს ბაბირაკან||ბაბილაკან უფრო ქვეყნის სახელი უნდა იყოს და არა ტომისა. აღსანიშნავია, რომ აქემენიდური ხანის წარწერებში Babiru (Babairu)-ით აღინიშნებოდა ჯერ ქალაქი ბაბილონი, ხოლო შემდეგ სპარსეთის იმპერიის მთელი ეს პროვინცია. ამავე მნიშვნელობით ელამურში დადასტურებულია აგრეთვე Ba pi -li, აქადურში Bab—ilu, bab - ilanu[3]. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ურარტულ წარწერებში „ქვეყანა თუ ქალაქი" babilu მოიხსენიება ბარშუას, ბუშტუს, მასასა და ბარუატას ქვეყნებთან

---

[1] ას. შაჰნაზარიანი, ზაქარიანთა (ერკაინაბაზუკთა) ტომის წარმოშობა (სომხ.), გვ. 69 70.

[2] И. А. Орбели, Надпись Сапнского моста, X в., IV, в. II, გვ. 192; ამავე აზრს ავითარებს ლ. მელიქსეთ-ბეგიც, იხ. მისი „ჩრდილო მხარეები"..., გვ 37 40.

[3] რ. კენტი, ძველი სპარსეთი (ინგ.), გვ. 199.

დაკავშირებით. ეს კი, გ. მელიქიშვილის მიხედვით, იმას ნიშნავს, რომ Babilu-ს ქვეყანა თუ ქალაქი უნდა ვეძებოთ სადღაც ურმიის ტბის სამხრეთით [1].

ი. დიაკონოვი თვლის, რომ ურარტული „ბაბილუ“ დაკავშირებულია „ბაბილონის სახელთან და მასში იგულისხმება მდ. დიალას დაბლობზე ქვეყანა ნამრუ, რომელიც ამ დროისათვის ძლიერ ბაბილონიზებული იყო [2]. სარგონ II-ის წარწერა ურმიის ტბის სამხრეთით, ზაგროსის მთებში, კარალლუ და ხაბხის ქვეყნებთან ერთად, მოიხსენიებს ნამრუს ქვეყანასაც [3].

ამრიგად, ურარტული „ბაბილუ“, რომელიც ბაბილონის სახელწოდებასთან არის დაკავშირებული, ბაბილონიზებული ქვეყნებისა და სწორედ იმ ტერიტორიაზე (ზაგროსის მთებზე) მდებარე ქვეყნის აღსანიშნავადაც იხმარებოდა, რომლის მოსახლეობამაც, როგორც ქვემოთ იქნება აღნიშნული, მონაწილეობა მიიღო ქურთი ტომის (ხალხის) შექმნაში.

ამას გარდა, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ, ვ. მინორსკის მიხედვით, ქურთები წარმოშობით სწორედ ურმიის ტბის რაიონებიდან იყვნენ. უველაფერი ეს, ჩვენი აზრით, საშუალებას იძლევა ზაქარია კანაკერცის ცნობა მხარგრძელთა წინაპრების „ბაბილონის ქვეყნიდან“ მოსვლის შესახებ რეალური ვითარების ანარეკლად მივიჩნიოთ. ამას გარდა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ზაქარია კანაკერცი ამ შემთხვევაში დამყარებული იყო კირაკოსის ცნობაზე და, როგორც ჩანს, კირაკოსის „ბაბირაკან ხელენ“ მას „ბაბილონის ქვეყანად“ ესმოდა. მართლაც, სრულებით არ არის გამორიცხული, რომ კირაკოსის ბაბირ//ბაბირაკან// ბაბილაკან აქემენიდურ Babiru-სა და ურარტულ babilu-ს დავუკავშიროთ და მივიჩნიოთ „ბაბილონის“ (ბაბილონიზებული ქვეყნის) აღმნიშვნელად.

ამასთანავე, ზოგი მკვლევარი (ას. შაჰნაზარიანი) კირაკოსის „ხელენ“-ს განმარტავს როგორც „ქვეყანას“, „მხარეს“, „ქვეყნის სახელს“ [4]. თუ გავიხსენებთ აგრეთვე კირაკოსისა და ვარდანის დაბეჭითებით მითითებას მხარგრძელთა წინაპრების ქურთული გვარიდან გამოყოფის, მათი ქურთობის შესახებ, შეგვეძლო დაგვესკვნა, რომ, სომხური საისტორიო წყაროების მიხედვით, მხარგრძელთა წინაპრები იყვნენ ქურთები „ბაბირაკან ხელენიდან“ — „ბაბილონის ქვეყნიდან“.

მხარგრძელთა წინაპრების ვინაობის საკითხის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს თვით მათი სახელებისა და გენეალოგიის დადგენასაც. ეს კი მეტნაკლები სიზუსტით უკვე გარკვეულია თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში.

ნარატიული წყაროების, კერძოდ ვარდანის მიხედვით, მხარგრძელთა უძველესი წინაპარი იყო ავაგ-სარგისი [5]. კირაკოსი არ იცნობს ავაგ-სარგისს და მხარგრძელთა უძველეს წინაპრად ზაქარია I-ს მიიჩნევს [6]. მხარგრძელთა წინა თაობა

---

[1] გ. მელიქიშვილი, ურარტული წარწერები (რუს.), გვ. 432.

[2] გ. მელიქიშვილი, ნაირი-ურარტუ (რუს.), გვ. 23.

[3] ი. დიაკონოვი, ურარტუს ატორიის ასურულ-ბაბილონური წყაროები (რუს.).

[4] ას. შაჰნაზარიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

[5] ვარდანი, მსოფლიოს ისტორია (სომხ.), გვ. 181.

[6] კირაკოს განძაკეცი, სომხეთის ისტორია (სომხ.), გვ. 162; რუს. თარგმ., გვ. 86. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კირაკოსს თავის შრომის წინა ნაწილში სხვაგვარი ცნობაც მოეპოვება. მისი სიტყვით, კეკრიკეანთ ახასმა „შვირთო ქალიშვილი კეთილშობილ ბაშან სარგისისა, ძისა ზაქარიასი, ძისა ვასპრაშის, და დიდ ბაშანთა ზაქარიასი და იოანესი“ (სომხ. გვ 152; რუსული, გვ. 82). ამ ცნობით სარგისი ყოფილა ზაქარიას ძე და ვასპრაშის შვილიშვილი და არა ვასპრაშის ძე, როგორც ეს მის მიერვე არის აღნიშნული. როგორც ჩანს, კირაკოსს სარგისის წინაპრებზე საესებით ნათელი წარმოდგენა არ ჰქონია.

ზაქარიამდე არ იცის არც სტეფანოს ორბელიანმა. მაგრამ ის კი აქვს აღნიშნული, რომ სარგისი (დიდი) იყო ზაქარიას ძე და არა ვაჰრამისა, როგორც ამას წერდნენ ვარდანი და ქირაკოსი.[1] ზაქარია სარკავაგი ამ შემთხვევაშიც იმეორებს ქირაკოს განძაკეცს და ისიც მხარგრძელთა გენეალოგიას ზაქარია I-ით იწყებს. მიქ. ჩამჩიანისათვის კი, როგორც ჩანს, უფრო სანდო ვარდანის ცნობა აღმოჩენილა და მხარგრძელთა წინაპრების გენეალოგია მას ავაგ-სარგისით დაუწყია.[2]

როგორც ეს შენიშნულია სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში (ას. შაჰნაზარიანი), ნარატიულ წყაროთა ჩვენებები უდავოდ ნაკლულია, განსაკუთრებით კირაკოსისა; ამას გარდა, ამ წყაროთა შორის არ არის თანხმობა მომდევნო თაობათა თანმიმდევრობაშიც. ასე მაგალითად, ვარდანის, კირაკოსის და ზაქარია სარკავაგის მიხედვით, სარგის დიდის, თამარის ამირსპასალარის მამა იყო ვაჰრამი, ძე ზაქარია I-ისა, ხოლო მ. ჩამჩიანის მიხედვით, ზაქარია I თვით იყო ძე ვაჰრამისა. ამ ფაქტიდანაც კარგად ჩანს, რომ ნარატიულ წყაროთა ჩვენება ამ მხრივ არც სრულია, არც სწორი და ამდენად მათზე დამყარება მხარგრძელთა წინაპრების გენეალოგიის გასარკვევად თითქმის შეუძლებელია.

მაგრამ ნარატიულ წყაროთა მონაცემების საფუძვლიანი შესწორება და შევსებაც შესაძლებელი ხდება მდიდარი სომხური ეპიგრაფიკის მონაცემებით, ამ მხრივ განსაკუთრებით დიდ დახმარებას გვიწევს ახპატისა და სანაინის წარწერები. ახპატის უთარიღო წარწერა, რომელიც ავაგ-სარგისს ეკუთვნის, იხსენიებს მის მამას „ხოსტროვ"-ს და ძმას ქარიმს.[3] ასე რომ ვარდანისა და მ. ჩამჩიანის მიერ მხარგრძელთა პირველ წინაპრად მიჩნეული ავაგსარგისი ყოფილა შვილი ხოსროვისა და ძმა ქარიმისა; ეს უკანასკნელი ამ დროს გარდაცვლილი ყოფილა და სწორედ მათი, მამის და ძმის, სულის მოსახსენებლად გაუჩენია წირვა ახპატში ავაგ სარგისს. ხოსროვზე უფრო ძველი წინაპარი მხარგრძელებისა წყაროებით უცნობია. სამაგიეროდ ასევე ეპიგრაფიკული მასალა გვაწვდის ცნობას საკუთრივ ავაგ-სარგისის შთამომავალთა შესახებ. სანაინის ჯვრის 1187 წ. დათარიღებულ წარწერაში ნათქვამია: „წელსა *ՈԼԵ* აღესრულა... დიდი სარგისი, შვილი ზაქარიასი, შვილიშვილი ავაგ სარგისისა(*Աւտագ Սարգսի*).. შვილებმა ზაქარიამ და ივანემ აღვმართეთ ჯვარი ესე... წინაშე ღმრთისა შუამდგომელ ეყავ სომეხთა და ქართველთა ამირსპასალარს სარგისს"[4].

ამრიგად, მოტანილი მასალებით ცხადია, რომ წყაროებით ცნობილი მხარგრძელთა უძველესი წინაპარი არის ხოსროვი, ხოლო მისი შთამომავლები — ძმები ქარიმი და ავაგ-სარგისი; ამ უკანასკნელის შვილია ზაქარია (პირველი), ხოლო შვილიშვილი — სარგის დიდი, თამარის ამირსპასალარი. სარგის II, დიდი რომ ზაქარიას შვილია და ავაგ-სარგისის შვილიშვილი, დასტურდება ჩვენ მიერ ზემომოტანილი სანაინის ხიდის წარწერით, სადაც ვანენი თავის მამას სარგისს ზაქარიას ძედ იხსენიებს[5]. და ამავე ვანენის (ნანე) სხვა, ჰოვანავანქის

---

[1] სტეფანოს ორბელიანი, სივნიეთის ისტორია (სომხ.), გვ. 391.

[2] მ. ჩამჩიანი, სომხეთის ისტორია, III (სომხ.), გვ. 75.

[3] კ. კოსტანიანცი, მატიანე ქვებზე (სომხ.), გვ. 231; კ. ღაფადარიანი, ახპატი (სომხ.), გვ. 161; კ. ღაფადარიანის შენიშვნით, ღრმეცი და ერზინკიანი „ხოსტროვის" მიგიერ კოთხულობენ „ხოსროვს".

[4] კ. კოსტანიანცი, მატიანე ქვებზე (სომხ.), გვ. 36. კ. ღაფადარიანი, სანაჰინის ეანქი (სომხ.), გვ. 178.


[5] ე. ორბელი, სანაინის ხიდის წარწერა (რუს.), გვ. 192. სტეფანოს ორბელიანმაც კარგად იცის, რომ სარგისის მამა იყო ერა ვარამი, არამედ ზაქარია (იხ Ս. Ը. გვ. 321; რუსული თარგმანი, გვ. 17; ქართული, გვ. 63).

ჯვრის წარწერით, სადაც, არა მარტო სარგისის მამა ზაქარია იხსენიება, არამედ აგრეთვე ზაქარიას მამა ავაგ სარგისიც.[1]

ასე რომ ეპიგრაფიკული წყაროები სავსებით გამორიცხავენ ვარდანის, კირაკოსისა და ზაქარია სარკავაგის ცნობის სისწორეს ზაქარია I-ის შვილად და სარგის II-ის მამად ვ ა რ ა მ ი ს მიჩნევის შესახებ. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ამ შემთხვევაში უპირატესობა სომხური ეპიგრაფიკის მონაცემებს უნდა მიენიჭოს – ვაჰრამი (ვარამი) მხარგრძელთა პირველი შტოს წარმომადგენელი არ ყოფილა.

მ. ბროსე ფიქრობდა, რომ სომეხ ისტორიკოსთა „ვ ა რ ა მ ი“ იქნებ ახპავის წარწერის „ქარიმს“ || „ქერიმს“ უკავშირდებოდესო და სომეხი ისტორიკოსების ამ ცნობაში სარგის დიდის მამა კი არა, ავაგ-სარგისის ძმა იგულისხმებოდეს[2]. მაგრამ მ. ბროსეს ასეთი ვარაუდი არ გაიზიარა ას. შაჰნაზარიანმა. მასი სიტყვით, მ. ბროსეს აუხსნელი დარჩა, თუ როგორ შეიძლებოდა ქცეულიყო „ქარიმი“ „ვარამად“; ამას გარდა, ას. შაჰნაზარიანის აზრით, ბროსეს მოსაზრების წინააღმდეგ მიუთითებდა ავრეთვე ქარიმისა და ვარამის მოღვაწეობის დროში თითქმის ერთი საუკუნის განსხვავება[3]. თვით ა. შაჰნაზარიანის აზრით კი, „სომეხმა ისტორიკოსებმა ზაქარიანების პირდაპირი მემკვიდრეობის რიგი აურიეს იმის გამო, რომ ვაჰრამის მამის სახელიც ზაქარია ყოფილა და დიდი სარგისის მამის სახელიც“. მაგრამ მათ შეცდომას ასწორებს ქართველ ისტორიკოსთა ცნობები, რომელთა მიხედვით, ას. შაჰნაზარიანის აზრით, ვაჰრამი სარგის დიდის მამა კი არ იყო, არამედ ძმა. ამრიგად, მისი აზრით, „ერკაინაბაზუკთა“ მეორე შტოს ფუძემდებელია ზაქარია I-ის ძე და სარგის დიდის ძმა ვაჰრამი[4].

მხარგრძელთა მეორე შტოს საკითხს ჩვენ საგანგებოდ ქვემოთ განვიხილავთ და ამჯერად ძირითადი შტოს გენეალოგიის წარმოდგენით დავკმაყოფილდებით; სომხური ეპიგრაფიკის მონაცემების მიხედვით ეს გენეალოგია შემდეგნაირად წარმოგვიდგება:



ზაქარია და ივანე მხარგრძელების წინაპრები ამგვარადვე ჰყავთ წარმოდგენილი თავიანთ გენეალოგიურ ტაბულებში მ. ბროსეს[5], ვ. ალიშანს[6], ე. ლალაი-

---

[1] ას. შ ა ჰ ნ ა ზ ა რ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 74. ეს წარწერა ამჯერად არ იკითხება. კ. ღ ა ფ ა დ ა რ ი ა ნ ი, ჰოვანავანქი (სომხ.), გე. 112– 113, მაგრამ იგი შემოგვინახა ზაქ. კანაკერცმა (იხ. მისი ქრონიკა, გვ. 253).

[2] მ. ბ რ ო ს ე, დამატებები და განმარტებები (ორანგ.), გვ. 76.

[3] ას. შ ა ჰ ნ ა ზ ა რ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

[4] ი ქ ვ ე.

[5] მ. ბ რ ო ს ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 362.

[6] ვ. ა ლ ი შ ა ნ ი, შირაკი (სომხ.), გვ. 175.

ანს[1], ას. შაჰნაზარიანს[2], ი. მანანდიანს[3], ჰ. აჭარიანს[4] და ფ. იუსტის[5], რომელიც ამ შემთხვევაში იმეორებს მ. ბროსეს.

ბ) მხარგრძელთა წინაპრების გადმოსახლების დრო და მიზეზები

მხარგრძელთა წინაპრების გადმოსახლების დროის დასადგენად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მათი ვინაობისა და მხარგრძელთა თანდათან დაწინაურების პირობების შესწავლას. ამ საკითხზეც არ არსებობს თანხმობა არც ძველ სომხურ წყაროებსა და თვით ისტორიკოს მკვლევართა შორისაც, მაგრამ მასალების ანალიზი მაინც საშუალებას იძლევა მეტ-ნაკლები სიზუსტით განისაზღვროს მხარგრძელთა წინაპრების გადმოსახლების დრო.

კირაკოს განძაკეცი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მხარგრძელთა უძველეს წინაპრად სარგის დიდის პაპას ზაქარია I-ს მიიჩნევდა და, მაშასადამე, სომხეთში მათი გადმოსახლების დროდ არსებითად სარგისის პაპის მოღვაწეობის პერიოდს თვლიდა. ამ მხრივ შედარებით უფრო სრული ცნობები მოეპოვება ვარდანს, რომლის მიხედვითაც მხარგრძელთა წინაპრები გადმოსახლებულან „ბაგრატუნთა გვარის ძორაკეტის მეფეებთან", რომელთაგანაც მათ მიიღეს ხოშორნი (ხოჟორნი). მართალია, ვარდანი არ ასახელებს, თუ კერძოდ რომელმა მეფეებმა შეიწყალეს მხარგრძელთა წინაპრები, მაგრამ მისი მითითება ამ მხრივ და განსაკუთრებით კი „ძორაკეტის მეფეების" მრავლობით რიცხვში მოხსენიება, როგორც ეს შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, მაინც ნიშანდობლივია. ამას გარდა, როგორც აღნიშნული იყო, ვარდანი მხარგრძელთა წინაპრების გენეალოგიას ავაგ სარგისით იწყებს და, მაშასადამე, გადმოსახლებას უფრო ადრინდელ პერიოდს აკუთვნებს, ვიდრე კირაკოსი. ზაქარია განძაკეცი კი სავსებით გარკვევით მიუთითებს, რომ პირველი, ვინც „ბაბილონის ქვეყნიდან" წამოვიდა, სომხეთის საზღვრები ფარულად გადალახა და აქედან საქართველოში გადავიდა, იყო ზაქარია I. ამრიგად, სომეხი ისტორიკოსების მიხედვით, გიორგი III-ის თანამედროვე სარგის მხარგრძელამდე საქართველოში მხარგრძელთა ორ (კირაკოსი, ზაქარია სარკავაგი) თუ სამ (ვარდანი) წინა თაობას უცხოვრია და უმოღვაწნია. ასე რომ მხარგრძელთა წინაპრების გადმოსახლება, მაშასადამე, ამ ცნობებით გიორგი II-ის, უფრო კი დავით აღმაშენებლის დროს მომხდარა.

მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, სომეხ ისტორიკოსთა ზემოგანხილული მონაცემები მხარგრძელთა წინაპრების შესახებ ნაკლულიცაა და არასწორიც. ჯერ ერთი, სამი თუ ორი წინა თაობის მათ მიერ დასახელებული წარმომადგენლებიდან ვაჰარამი გამორიცხულია; ასეთ ვითარებაში კი მხარგრძელთა წინაპრების გადმოსახლება ზაქარია I-ის, ე. ი. სარგის დიდის მამის ან კიდევ ზაქარია I-ის მამის ავაგ-სარგისის დროიდან, ე. ი. გიორგი III-ის თუ დემეტრე I ის დროს უნდა გვევარაუდნა, რაც, რა თქმა უნდა, დაუჯერებელია. მეორე, მხარგრძელთა წინაპრების გადმოსახლების დროის ამგვარი განსაზღვრა სავსებით შეუთავსებელია ვარდანის ანგარიშგასაწევ ცნობას-

---

[1] ე. ლალაიანი, ბორჩალოს მხარე (სომხ.), გვ. 329.

[2] ას. შაჰნაზარიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 77.

[3] ი. მანანდიანი, სომეხი ხალხის ისტორია, III (სომხ.), გვ. 126.

[4] ჰ. აჭარიანი, სომხ... IV (სომხ.), გვ. 44.

[5] ფ. იუსტი, ირანული სახელები (გერმ.), გვ. 458 459.

თან მხარგრძელთა წინაპრების ძორაკეტის კეირიკიან მეფეებთან მისელის შესახებ. როგორც ცნობილია, დემეტრე I ის, თუ გიორგი III-ის დროს ძორაკეტის სამეფო უკვე დიდი ხანია აღარ არსებობდა.

მიუხედავად აღნიშნულისა, სომეხი ისტორიკოსების ზემომოტანილი ცნობები მაინც ანგარიშგასაწევია. მართალია, მხარგრძელთა წინა თაობის წარმომადგენელთა სახელები და თანმიმდევრობა არეული აქვთ, მაგრამ მათ კარგად იციან, რომ სარგისის მოღვაწეობას თამარის სამეფო კარზე წინ უძღოდა მისი წინაპრების ორი თუ სამი თაობის ცხოვრება საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიაზე. ამას გარდა, ეპიგრაფიკული მასალით შესაძლებელია სომეხ ისტორიკოსთა ცნობების შემდგომი დაზუსტებაცა და შევსებაც. ამ მასალებით კი, როგორც ვნახეთ, მხარგრძელთა წინაპრების გადმოსახლება სომხეთის იმდროინდელი მეფეების ტერიტორიაზე შეიძლება მათი პირველი წარმომადგენლით-ხოსროთი დავიწყოთ. ხოსროდან მოკიდებული სარგის დიდამდე, ე. ი. გიორგი III-ის თანამედროვემდე, ახპატის უთარიღო წარწერით, სამ თაობას უცხოვრია (ხოსრო, ავაგ სარგისი, ზაქარია I). ასე რომ თამარის თანამედროვენი ზაქარია და ივანე მხარგრძელები, სარგისის ძენი ხოსროდან მეხუთე თაობის წარმომადგენლები არიან.

მხარგრძელთა ეს შორეული წინაპარი — ხოსრო რომ უკვე სომხეთის იმდროინდელი მეფეების ტერიტორიაზეა გადმოსახლებული და მას „სომხური სარწმუნოებაც“ ჰქონდა მიღებული, ეს ახპატის ზემოდასახელებული წარწერითაც დასტურდება. სხვაგვარად წარმოუდგენელი იქნებოდა ქრისტიანულ ეკლესიაში ხოსროს მემკვიდრეს ავაგ-სარგისს თავის მამის სულის მოსახსენიებლად პატარაკი (წირვა) დაენიშნა.

ამრიგად, ხოსრო იყო მხარგრძელთა წინაპრების ჩვენთვის ცნობილი არა მარტო პირველი წარმომადგენელი, არამედ აგრეთვე პირველი მაცხოვრებელი სომეხთა მეფეების ტერიტორიაზე და „სჯულით ქრისტიანიც“.

თუკი მხარგრძელთა ხუთი თაობის თანმიმდევრობას საქართველოს მეფეების ზეობის წლების თანმიმდევრობას შევუფარდებთ, დაახლოებით უნდა ვიგარაუდოთ, რომ ხოსრო გიორგი II-ის მეფობის (1072—1089) დროს გადმოსახლდა. მაგრამ ზოგი სხვა მონაცემებით ამ მიახლოებითი ვარაუდის შემდგომი დაზუსტებაც ხდება შესაძლებელი.

ჯერ კიდევ მ. ბროსე შეეცადა დაეზუსტებინა ხოსროს გადმოსახლების დრო. პირველ რიგში იგი მხედველობაში იღებდა ნაადრევ ქორწინებას შუა საუკუნეების სომხეთში და ამის მიხედვით ამ ოთხი თაობის — ხოსრო—ავაგ-სარგისი — ზაქარია — სარგისი — საწყისის ძიებას მე-12 ს. დამდეგზე ბევრად ადრე, შეუძლებლად მიიჩნევდა. ამასვე, მისი აზრით, მხარს უჭერდა ახპატის მონასტრის საარქიეპისკოპოსოს დაარსების დროის და აგრეთვე ჰოვანეს პირველის მოხსენიება რიგით მეხუთე წინამძღვრად. მ. ბროსეს აზრით, რაკი ახპატის საეპისკოპოსოს დაარსება კეირიკეს (1046—1081 წწ.) სახელს უკავშირდება, ახპატის ჩვენთვის საინტერესო უთარიღო წარწერაში მოხსენიებული ტერ-ჰოვანესი შეიძლება იყოს ახპატის რიგით მეხუთე წინამძღვარი ჰოვანეს პირველი, რომელიც ეპისკოპოსად შეიძლებოდა მჯდარიყო ან მე-11 ს. დასასრულს ან მე-12 ს. დამდეგს. ასე რომ ახპატის წარწერაში ავაგ-სარგისის მამად მოხსენიებული ხოსრო, მ. ბროსეს დასკვნით, შეიძლება დაეით აღმაშენებლის თანამედროვე იყო[1].

---

[1] მ. ბ რ ო ს ე, დამატებები და განმარტებები (ფრანგ.), გვ. 267.

მ. ბროსეს ამ ვარაუდის გაზიარება ას. შაჰნაზარიანს შეუძლებლად მიაჩნია, რაკი ახპატის საწინამძღვრო გაცილებით ადრე, მე-10 ს. შუა წლებში დაარსდა[1]. თუმცა მ. ბროსე ამ შემთხვევაში საერთოდ ახპატის დაარსების დროიდან კი არ ანგარიშობდა წინამძღვართა რიგს, როგორც ას. შაჰნაზარიანს უფიქრია, არამედ ახპატში საეპისკოპოსოს დაარსებიდან. მაგრამ იგი მაინც არ იყო მართალი. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეპისკოპოსთა შორის რიგით მეხუთედ მოხსენიებული პირველი ჰოვანესი მე-11 მე-12 სს. მიჯნაზე კი არა, მე 12 ს. მიწურულს თუ მე-13 ს. დამდეგს მოღვაწეობდა. ამასთანავე, ისიც არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მ. ბროსე საესებით სწორად მოიქცა, როცა ახპატის წარწერის დასათარიღებლად იქ მოხსენიებული წინამძღვრის ჰოვანესის ეპისკოპოსობის დრო მოიშველია.

ას. შაჰნაზარიანი საგანგებოდ შეეხო მხარგრძელთა წინაპრების გადმოსახლების დროის საკითხს და ყურადღება მიაქცია ვარდანის ცნობას ძორაკეტის სომეხ მეფეებთან მათი გადმოსახლების შესახებ. ძორაკეტის სომხური სამეფო მე-10 ს. მიწურულამდე არ არსებობდა და, ცხადია, მხარგრძელთა წინაპრების გადმოსახლება, ას. შაჰნაზარიანის აზრით, ამაზე ადრე არ შეიძლებოდა მომხდარიყო. მათი გადმოსახლების ზედა თარიღად ას. შაჰნაზარიანი თვით ამ სამეფოს გაუქმებას მიიჩნევდა. ეს კი, მისი აზრით, 1112 წ. მოხდა. მაგრამ ამ თარიღების (მე 10 ს. მიწურული — მე-12 ს. დამდეგი) კიდევ უფრო დაზუსტება შესაძლებელი გახდებოდა, თუ ამოსავალ წერტილად მივიღებდით ვარდანის მიერ ხაზგასმულ მომენტს მხარგრძელთა წინაპრების „ძორაკეტის მეფეებთან“ გადმოსახლების შესახებ. როგორც ჩანს, წერდა ას. შაჰნაზარიანი, მხარგრძელთა წინაპრების გადმოსახლება მომხდარა მაშინ, როცა ძორაკეტში ერთი კი არა, ერთდროულად ორი მეფე იყო. ეს კი 1050—1089—1112 წლებს შორის, კვირიკე და სუმბატ მეფეების დროს არის საძიებელი, კერძოდ 1061– 1063 წლებში, მაშინ როცა, როგორც სანაინის წარწერიდან ირკვევა, კვირიკე და სუმბატი ერთდროულად მეფობდნენ[2]. მართლაც, სანაინის ერთ-ერთ სომხურ წარწერაში იკითხება: „კორიკე მეფე, სმპატ მეფე“[3]. კვირიკე და სუმბატ ერთად მეფეებად ნახსენები არიან აგრეთვე სანაინის 1063 წლით დათარიღებულ წარწერაშიც[4]. ეს წარწერა ეკუთვნის კვირიკესა და სუმბატის დას ჰრანუშის, დაკით კვირიკიანთა მეფის ქალიშვილს და შეწირავს თავისი ძმების დღეგრძელობისთვისაა გაკეთებული. ასე რომ კვირიკესა და სუმბატის ერთდროული მეფობა რამდენიმე წლის მანძილზე საეჭვო არ უნდა იყოს.

ზემოთქმული კი ას. შაჰნაზარიანს საფუძველს აძლევდა დაესკვნა: „ზაქარიანები წამოვიდნენ სომხეთისაკენ დაახლოებით 1044—1050 წლებში და დამკვიდრდნენ ძორაგეტში 1050—1063 წლებში“[5].

სხვა სომეხი მკვლევრებიც (ი. მანანდიანი, ა. არუთუნიანი და სხვები), მართალია, კონკრეტულად წლებს არ მიუთითებენ მხარგრძელთა წინაპრების გადმოსახლებისა, მაგრამ საეჭვოდ არ მიიჩნევენ, რომ ისინი სომხეთში ლორე-ტაშირის სამეფოს არსებობის დროს არიან გადმოსულნი[6].

---

[1] ას. შ ა ჰ ნ ა ზ ა რ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 73. შენიშვნა.

[2] ი ქ ვ ე.

[3] ნ. მ ა რ ი, სანაინის ქტიტორთა ქანდაკებები (რუს.), გვ. 350.

[4] კ. კ ო ს ტ ა ნ ი ა ნ ც, დასახ. ნაშრომი, გვ. 24. კ. კ ა ფ ა დ ა რ ი ა ნ ი, სანაინის ვანქა (სომხ.), გვ. 187, წარწ. 179.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 74.

[6] ი. მ ა ნ ა ნ დ ი ა ნ ი, სომეხი ხალხის ისტორია, III (სომხ.), გვ. 125. მ ი ს ი ვ ე, სომეხი ხალხის ისტორია (რუს.), გვ. 174.

შედარებით განსხვავებულ აზრს გვთავაზობს ვ. მინორსკი; იგი მხარგრძელთა წინაპრების გადმოსახლებას კვირიკიანთა სამეფოში 1100 წელზე, ე. ი. მე-12 ს. დამდეგზე ადრინდელად არ მიიჩნევს. ვ. მინორსკის ვარაუდით, სარგის მეორის (დიდის) სამარხის წარწერაში ხოსროვის მოუხსენიებლობა შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ ავაგ-სარგისი იყო ამ ოჯახში პირველი ქრისტიანი და, მაშასადამე, მხარგრძელთა პირველი წინაპარი სომხეთის ტერიტორიაზე. სარგის დიდი, რომელიც 1187 წ. გარდაიცვალა, მხოლოდ ორი თაობით არის დაშორებული მისგან; ამ ორ თაობას კი 1100 წელზე ადრე არ შეიძლებოდა ეცხოვრა [1]. ვ. მინორსკი, როგორც ჩანს, ანგარიშს არ უწევს ხოსროს მოხსენიებას ახპატის ავაგ-სარგისისეულ წარწერაში და ამიტომაც აკლებს ერთ თაობას სომხეთის მეფეების ტერიტორიაზე გადმოსახლებულ მხარგრძელთა წინაპრებს, მაგრამ თუ კი ხოსროს ამ ოჯახის პირველ ქრისტიან წარმომადგენლად მივიჩნევდით (რაშიც ასპატის ზემოგანხილული წარწერა გვარწმუნებს) და მისი თაობისთვისაც დაახლოებით 40 წელს გამოვყოფდით, მხარგრძელთა წინაპრების გადმოსახლება ამ შემთხვევაშიც მე 11 ს. 60-იანი წლებისათვის უნდა გვეკარაუდნა.

მხარგრძელთა წინაპრების გადმოსახლების დროის განსასაზღვრავად ზემომოტანილ მასალებთან ერთად, გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს ახპატის წარწერის დათარიღებას. საამისოდ კი პირველ რიგში საჭირო იქნებოდა ახპატის იქ მოხსენიებული წინამძღვრის ჰოვანესის მოღვაწეობის დროის დაახლოებით მაინც განსაზღვრა.

არსებული საისტორიო წყაროების მიხედვით, ახპატის პირველი მონასტერი აუშენებიათ აშოტ ბაგრატუნის დროს, კერძოდ 867 წელს, ხოლო მე 10 ს. მიწურულისათვის — მთავარი, „წმინდა ჯვრის“ ეკლესია [2]. მაგრამ აქ საეპისკოპოსოს დაარსება, კირაკოსის ცნობით, მიეწერება კვირიკე II-ს: „კვირიკემ მოუწოდა ალვანთა კათალიკოსს ჰოვსეფს, რომელმაც (კვირიკეს) სამეფო ქარის ხუცესი აკურთხა ჰაღბატის ეპისკოპოსად და ამის შემდგომ იქნა ჰაღბატში საეპისკოპოსო“ [3]. კირაკოსის მიხედვით, პირველი ეპისკოპოსი იყო სარგისი; საეპისკოპოსოს დაარსება, როგორც ჩანს, მე-11 ს. 70 იანი წლებისათვის მომხდარა. ასე რომ სარგისის შემდეგ მოღვაწე ეპისკოპოსი, კირაკოსის მიხედვით გიორგი, ბარსეღი, გრიგოლისი, ჰოვანეს I, ჰოვანეს II, ჰოვანეს III, და ამაზასპი [4] მე-11 ს. მიწურულისა და შემდეგი დროის მოღვაწეები არიან. როგორც ცნობილია, რიგით მესამედ მოხსენიებული ბარსეღი („მშვენიერი“) თამარის თანამედროვე და მე-12 ს. 80 90-იანი წლების მოღვაწეა. ასე რომ მის შემდეგ ახპატის ეპისკოპოსებად დასახელებული ჰოვანესი და სხვები მე 12 ს. 90 იანი წლების შემდეგდროინდელნი არიან.

ცხადია, ავაგ-სარგისის ახპატის უთარიღო წარწერაში მოხსენიებული ჰოვანესი არ შეიძლება იყოს ახპატის ეპისკოპოსი ჰოვანესი, რაკი ავაგ სარგისი თამარის უფროსი თანამედროვის, სარგის მხარგრძელის პაპა, გაცილებით ადრე ცხოვრობდა და არა მე-12 ს. მიწურულსა და მე-13 ს. დამდეგს. ასეთ ვითარებაში წარწერის ჰოვანესი უნდა ვეძიოთ ახპატის საეპისკოპოსოს დაარსებამდე,

---

[1] ვ. მ ი ნ ო რ ს კ ი, კავკასიის ისტორიის მიმოხილვა (ინგ.), გვ. 102.

[2] იხ. ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, „ჩრდილო მხარეთა“..., გვ. 43—44; 48 49.

[3] კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ც ი, სომხეთის ისტორია (სომხ.), გვ. 98.

[4] კ. კ ა ფ ა დ ა რ ი ა ნ ი, სანაჰინის ვ ნჳი (სომხ.), გვ. 275 276; კ. კაფადარიანს, თავის განკარგულებაში რსებული მასალების მიხედვით, ერთგვარი შესწორება შეაქვს კირაკოსის ზემომოტანილ სიაში და ეპისკოპოსთა შორის პირველ ოპანესს ბარსეღის შემდეგ, ბარსეღსა და გრიგორს შუა ათავსებს.

ახპატის მონასტრის წინამძღვართა შორის. არსებული მასალების მიხედვით, მე-10 ს. მიწუროლიდან მე-11 ს. 70 იან წლებამდე, ახპატის პირველ ეპისკოპოსამდე, სარგისამდე ახპატის წინამძღვრებად ყოფილან სიმეონი, ატომი, ტირანოში, ჰოვსეფი და ჰოვანესი.[1] უეჭველია, რომ ავაგ-სარგისის წარწერის წინამძღვარი ტერ-ოვანესი და სარგის ეპისკოპოსის წინა მოადგილე ჰოვანესი ერთი და იგივე პირია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ახპატის ეპისკოპოსი ტერ-სარგისი წარწერებში პირველად 1067 წ. იხსენიება[2], ადვილი მისახვედრი იქნება, რომ ახპატის მონასტრის უკანასკნელ წინამძღვარს ჰოვანეს მასზე ადრე, მე 11 ს. 50 60 იან წლებში უნდა ეცხოვრა. ამ დროს კი, როგორც ახპატის წარწერიდან ჩანს, მხარგრძელთა წინაპარი ხოსრო და მისი ერთი ძეც, ქარიმიც, უკვე გარდაცვლილა. ასე რომ ხოსროს გადმოსახლებას ძირაკეტში მე 11 ს. 60-იან წლებზე გვიან ვერ ვივარაუდებთ.

ამრიგად, მხარგრძელთა წინაპრების გადმოსახლება ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს ტერიტორიაზე შეიძლება განვსაზღვროთ მე-11 ს. 50 -60 იანი წლებით.

* * *

ძველ სომეხ ისტორიკოსებს მხარგრძელთა გადმოსახლების მიზეზების შესახებაც მოეპოვებათ ცნობები. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ზაქარია სარკავაგის ცნობები. მართალია, იგი უმთავრესად დამყარებულია კირაკოსის მონაცემებზე, მაგრამ ზოგ შემთხვევაში განსხვავებულ ცნობებსაც გვაწვდის: „ბაბილონის ქვეყანაში იყო ვინმე კაცი ქრისტიანი, სახელად ზაქარია, რომელიც მარებმა (*Մարաց*) ჭურთებმა, შ. მ.) დასეეს თავიანთ მთავრად, ვერ მორიგდა მათთან და იქ ცხოვრება აღარ შეეძლო; გამოძებნა ხელსაყრელი დრო, შეკრიბა მთელი სახლეული, მონები და მონამხევალნი და მთელი თავისი ქონებით. ბაბილონის ქვეყნიდან წამოსული, გადავიდა სპარსეთში. აქედან შეუმჩნეველად (მალულად) გადავიდა სომხეთის საზღვრებში და გაემართა საქართველოსაკენ“ [3].

როგორც ვხედავთ, ეს ცნობა მრავალ საინტერესო დეტალს შეიცავს: ა) მხარგრძელთა წინაპრები ჯერ კიდევ გადმოსახლებამდე ყოფილან ქრისტიანები; ბ) გადმოსახლების მიზეზი ყოფილა უკმაყოფილება მარებსა და მის მთავარს შორის; გ) რაც მთავარია, „ბაბილონის ქვეყნიდან“ წამოსულმა მარების მთავარმა ზაქარიამ, მართალია, სომხეთი გადმოიარა, მაგრამ იქ კი არ გაჩერებულა, არამედ პირდაპირ საქართველოსაკენ წამოსულა; დ) ამას გარდა, ზაქარია სარკავაგის მიხედვით მხარგრძელთა წინაპრები ჯერ კიდევ „ბაბილონის ქვეყანაში“ ყოფილან დაწინაურებულნი.

ჩვენ არ ვიცით, რა წყაროებით სარგებლობდა ამ შემთხვევაში ზაქარია, იქნებ მართლაც, როგორც ას. შაჰნაზარიანი ფიქრობდა, ყველაფერი ეს მხოლოდ გადმოცემაზე იყოს დამყარებული [4] და ისტორიული სინამდვილის ელემენტების შემცველი. ასეა თუ ისე, ცხადია იგი არსებითად განსხვავდება სხვა ისტორიკოსთა მონაცემებისაგან და მხარგრძელთა წინაპრების გადმოსახლების მიზეზების ერთგვარი ახსნის ცდას წარმოადგენს. მხარგრძელთა წინაპრების გადმოსახ-

[1] კ. კოზიდარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 275.

[2] იქვე, გვ. 157.

[3] ზაქარია კანაკერცი, ქრონიკა, გვ. 242.

[4] ას. შაჰნაზარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 68,

ლების მიზეზი, როგორც ეს ას. შაჰნაზარიანმა შენიშნა, ამ შემთხვევაში „ბაბილონის ქვეყანაში“ ქრისტიანებისა და კერძოდ ქრისტიანი მთავრის დევნა-შეწ წროება უნდა იყოს [1].

აღსანიშნავია, რომ მ ი ქ. ჩ ა მ ჩ ი ა ნ ს ა ც ამგვარად გაუგია ვარდანის ცნობა და ავაგ სარგისი ქურთთა გვარისაგან გამოყოფილად (*ի Քրդոց ազգի հատուածէ*) მიუჩნევია [2]. ამ გვარიდან გამოყოფის მიზეზად კი ავტორი იქნებ მათ იქვე გაქრისტიანებას გულისხმობდა.

როგორც ზემოთ ვნახეთ, იოანე ბაგრატიონი მხარგრძელთა გვარის სპარსეთში დევნისა და ადრევე გაქრისტიანების შესახებ მოგვითხრობდა. მისი სიტყვით, „ამათნი (მხარგრძელთა წინაპრების, შ. მ.) უკუ გუარი განდევნილ იქმნენ სპარსთაგან და მოვიდნენ ასურისტანსა შინა და მუნ დაშენენ და მერმე შიიღო ამათმა წინაპარმან სარწმუნოება სომეხთა დ ასურასტანითგან განდმოსახლდნენ ერევანს“ [3]. როგორც ვხედავთ, ამ ცნობის მიხედვითაც მხარგრძელთა წინაპრები იდევნებოდნენ და მათვე, ჯერ კიდევ „ასურასტანში“, ე. ი. სომხეთში გადმოსახლებამდე, მიუღიათ „სარწმუნოება სომეხთა“.

იოანე ბატონიშვილი არაერთგან ეხება მხარგრძელთა ვინაობას, მას პირადი ურთიერთობაც ჰქონდა ზოგ ისეთ პირთან, რომელიც თავისთავს მხარგრძელთა შთამომავლად თვლიდა და ამიტომ მისი მონაცემები მხარგრძელებსა და მის წინაპრებზე მარტოოდენ წერილობითი წყაროებიდან კი არა, ზეპირი გადმოცემებიდანაც უნდა მომდინარეობდეს. ყოველივე ეს კი იოანე ბაგრატიონის მონაცემთა გარკვეულ ღირებულებაზე მიგვითითებს.

მ. ბროსეც მხარგრძელთა წინაპრებს „ქურთთა გვარიდან დევნილად“ თვლიდა და ამგვარად ესმოდა მას ძველ სომეხ ისტორიკოსთა მონაცემები ამ საკითხზე [4]. თუმცა, ას. შაჰნაზარიანის შენიშვნით, მ. ბროსეს აზრი ამ შემთხვევაში თვით სომეხ ისტორიკოსთა ტექსტის არასწორ წაკითხვაზე იყო დამყარებული [5].

ამრიგად, მხარგრძელთა წინაპრების ქურთთაგან გამოყოფისა და გადმოსახლების მიზეზად ზოგი ძველი სომეხი და ქართველი ისტორიკოსის, აგრეთვე მკვლევრის მიერ (ზაქარია სარკავაგი, იოანე ბაგრატიონი, ას. შაჰნაზარიანი) მათი ქრისტიანობა და სარწმუნოებრივი დევნა იყო მიჩნეული.

მხარგრძელთა ქურთი წინაპრების გადმოსახლება ერთ ერთი ეპიზოდი იყო მე-10—მე-11 სს. ქურთული ელემენტის გაძლიერებისა მცირე აზიაში, კერძოდ ამიერკავკასიაში და ჩვენთვის საინტერესო ეს მოვლენაც იმდროისათვის შექმნილი საერთო ვითარების ფონზე უნდა განვიხილოთ.

ქურთები მსოფლიოს უძველეს ხალხთა რიცხვს ეკუთვნიან, მოსახლეობდნენ ჩრდილო მესოპოტამიის მთიან რაიონებში. ქურთი ხალხის შექმნაში მონაწილეობდნენ ზაგროსის უძველესი აბორიგენები და ირანული ტომები.

ჩვენი მიზნისათვის საჭირო არ არის ვრცლად შევჩერდეთ ქურთების ეთნოგენეზის დღემდე გაურკვეველ და ფრიად დახლართულ თეორიებზე. იმ მრავალ შეხედულებათა შორის, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით არის გამოთქმული, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ნ. მარის მოსაზრებანი.

ნიკო მარი ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დამდეგს შეეცადა ქურთთა წარმო-

---

[1] ას. შ ა ჰ ნ ა ზ ა რ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 71.

[2] მ. ჩ ა მ ჩ ი ა ნ ი, სომხეთის ისტორია, III (სომხ.), გვ. 149.

[3] ხი, S· 3729, ფურცელი 10v.

[4] მ. ბ რ ო ს ე, დამატებები და განმარტებები (ფრანგ.), დამატება XVII, § 1.

[5] ას. შ ა ჰ ნ ა ზ ა რ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

შობის საკითხი განეხილა ქსენოფონტეს მიერ მოხსენიებულ და აღწერილ კარდუხებისა და წინაზიურ კავკასიურ სხვა ხალხებთან, კერძოდ ქართველებთან კავშირში.

ნ. მარი თავის ამ მოსაზრებას უმთავრესად ამყარებდა, ერთი მხრივ, ძველ სომხურ ისტორიულ ტრადიციაზე, რომლის მიხედვითაც ქურთები, კორდიენი მიჩნეულია კარდუხების ჩამომავლებად და, მეორე მხრივ, „კ ა რ დ", „ქ ო რ დ", „გ ო რ დ" ფუძეზე, რომელიც საერთოა და რომლისგანაც ნაწარმოებია კარდ-უ-ხი, ქართ-ველი, ქალ-დი და თანამედროვე ქურთ-ი. ამასთანავე სუფიქსი ხ „კარდ-უ-ხ" ტერმინში, ნ. მარის მიხედვით, არის მრავლობითი რიცხვის იაფეტური მაჩვენებელი. ეს კი მას საშუალებას აძლევდა კარდუხების ენა განეხილა, როგორც წინა აზიისა და კავკასიის ძირითადი მოსახლეობის ერთ-ერთი „იაფეტური" ენა, რომელმაც შემდეგ განიცადა სრული არიიზაცია, ირანიზაცია.

ასე რომ, ნ. მარის მიხედვით, „ქურთები პირდაპირი მემკვიდრენი არიან კარდუხებისა";«С течением времени будет поддержано реальными переживаниями первоначальное тождество курдухов (курдов) и картов (грузин), ныне оторванных друг от друга тысячелетнею историею». ნ. მარის დასკვნით, ქურთებმა შემოინახეს წინა აზიის ძველი კულტურის ელემენტები, რადგანაც ისინი წარმოადგენდნენ ამ ტერიტორიის ავტოქტონური მოსახლეობის მემკვიდრეებს. მაგრამ მათ შემდეგ დამპყრობლებმა — ირანელებმა და თურქებმა თავზე მოახვიეს თავიანთი ენა [1].

მაგრამ ნ. მარის თავისთავად საინტერესო და ხშირ შემთხვევაში ანგარიშგასაწევი მოსაზრებანი არ არის გაზიარებული ისეთი მკვლევრების მიერ, როგორებიც არიან ვ. მინორსკი, ო. ვილჩევსკი, ვ. ნიკიტინი და სხვ. ო. ვილჩევსკის მიხედვით, კარდუხები არ შეიძლება ყოფილიყვნენ იმ კომპონენტთა რიცხვში. რომელთა ბაზაზედაც ჩამოყალიბდნენ ქურთული ტომები [2]. ვ. მინორსკი ვერ ხედავდა საკმაო საფუძველს კარდუხებთან ქურთების დაკავშირება-დაახლოებისათვის [3]. ნ. მარის მოსაზრებანი ამ მხრივ, ო. ვილჩევსკის აზრით, შეიძლება ასახავდეს მოგვიანო ხანის სავსებით რეალურ ისტორიულ ფაქტს – ორი ხალხის, ქართველებისა და ქურთების ფეოდალური ზედაფენების ბრძოლას კარდუხებზე ჰეგემონიისათვის მე-10 ს-ში, დავით კურაპალატის დროს [4].

ვ. ნიკიტინის მიხედვითაც, ფონეტიკის კანონები საშუალებას იძლევა ხალდისა და ქურდის შეპირისპირება-შედარებისა. მათ, თავის მხრივ, მართლაც იქნებ ჰქონოდათ რაიმე კავშირი ქართველებთან, მაგრამ ეს მაინც ნათელს ვერ მოჰფენს ქურთების წარმოშობის საკითხს [5].

ასე რომ ნ. მარის მოსაზრება ქურთების ავტოქტონობისა და სხვა ხალხებთან (კარდუხებთან, ხალდებთან, ქართველებთან) მონათესავეობის შესახებ მხოლოდ ერთ-ერთ თეორიად რჩება, მას ამჯერად მეორე კონცეფცია (ე. მინორსკისა) უპირისპირდება, რომლის მიხედვითაც ქურთები ირანული (ინდოევროპული) წარმოშობისანი არიან [6] და ძვ. წ. მე-7 ს-ში გადმოსახლდნენ ურმიის ტბის რაიონიდან.

---

[1] ნ. მარი, კვლავ სიტყვა ჩელების შესახებ (რუს.), გვ. 121, 189 და სხვ. ნ. მარის ამ თეორიის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ო. ვილჩევსკი, ქურთები (რუს.), გვ. 69–73; ვ. ნიკიტინი, ქურთები (რუს.). გვ. 45–52; 58–64.

[2] ო. ვილჩევსკი, ქურთები (რუს.), გვ. 72.

[3] იქვე, გვ. 73.

[4] იქვე, გვ. 72.

[5] ვ. ნიკიტინი, ქურთები (რუს.), გვ. 49.

[6] ვ. მინორსკი, კავკასიის ისტორიის მიმოხილვა (ინგ.), გვ. 33.

ამჯერად ჩვენთვის გაღიმწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს ქურთთა ეთნიკის გარკვევას, მათ ნათესაობას კარდუხებთან, ხალდებთან და თუნდაც ქართველებთან, მით უფრო, რომ ქურთების ეს საეარაუდო ნათესაობა თუ სიახლოვე ქართველებთან, ნ. მარისავე სიტყვით, გაწყვეტილი იყო ათასწლიანი ისტორიის მიერ.

მართლაც, სულ სხვა გზით წავიდა ჩრდილოეთ მესოპოტამიის მთის რაიონების უძველეს მოსახლეთა ისტორია — ჯერ მათ სრული ირანიზაცია განიცადეს, ხოლო არაბთა დაპყრობითი ომების შემდეგ ისლამიც მიიღეს. არაბთა ბატონობიდან ვიდრე თურქ-სელჩუკების ლაშქრობის დაწყებამდე დროის ინტერვალში ორი ირანული ელემენტი გამოჩნდა ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთში — დეილამიტები და ქურთები [1]. სწორედ ამ დროიდან ქურთულმა ტომებმა თანდათან წაიწიეს ჩრდილოეთისაკენ — მცირე აზიისა და ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონებისაგან. ქურთთა მოძრაობის ეს პროცესი მონგოლთა შემოსევამდე გაგრძელდა.

ქურთული ახალმოსახლენი ამიერკავკასიაში, სელჩუკების გამოჩენამდე, ძირითადად აღგილობრივ მსხვილ ფეოდალებს ემორჩილებოდნენ, ხოლო სელჩუკთა შემოსევებისა და გაბატონების შემდეგ მათ თვით დაიწყეს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება [2]. სწორედ ამ დროიდან, უფრო ინტენსიურად მე-11 ს. 60—70-იანი წლებიდან, წარმოიქმნა ქურთული დინასტიის ახალი სამთავროები სომხეთში.

ახალწარმოქმნილ დინასტიათა შორის მეტნაკლებად ძლიერი იყო ამიერკავკასიაში შედადიდების დინასტია. შედადიდები (Shaddād Shadādān) კი, ვ. მინორსკის და ასევე სხვა მკვლევრების მიხედვითაც, ქურთები იყვნენ [3].

შედადიდების დინასტიას საფუძველი ჩაუყარა ქურთმა ავანტურისტმა მუჰამედ იბნ შედადმა დაახლოებით 951 წ. [4] შედადიდებს იმ დროს მხოლოდ განძა და მისი მიდამოები ეპყრათ, ხოლო შემდეგ თანდათან დაიპყრეს წერილ სომეხ ფეოდალთა მიწები, მათ შორის ტაშირ-ძორაგეტისა და სივნიეთის სომხური სამეფოების ტერიტორიებიც. 1048 წ. შედადიდებმა დაიპყრეს დვინი და ამით საფუძველი ჩაუყარეს შედადიდთა დვინის შტოს; 1072 წლიდან კი მათ შეძლეს შესყიდვის გზით ანისის ხელში ჩაგდებაც; მანუჩე, რომელმაც ანისი მამისაგან, აბულსუვარისაგან მიიღო, იქცა ქურთ შედადიდთა ანისის შტოს ფუძემდებლად [5].

გარდა ამისა, სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, სომხეთის სამხრეთ ნაწილში 1100 წლიდან ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდა „შაჰარმენების" ქურთული დინასტია, რომელთა სატახტო ქალაქი ხლათი იყო [6]. ამრიგად, მე-11 ს., მისი მეორე ნახევარი სომხეთის ისტორიაში არის არა მარტო ქურთთა გადმოსახლების პერიოდი, არამედ მათი გაძლიერების, სომხეთის ტერიტორიაზე ქურთული დინასტიებისა და ფეოდალური სამთავროების ჩამოყალიბების პერიოდიც. როგორც ვხედავთ, „ამიერკავკასიაში ქურთე-

---

[1] ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

[2] ი. მანანდიანი, სომხეთის ეკონომიკა და ქალაქები (რუს.), გვ. 265.

[3] ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 33 და შემდ.; კ. ბოსვორტი, მუსლიმანური დინასტიები (რუს.), გვ. 133.

[4] ვ. მინორსკი. დასახ. ნაშრომი, გვ 34—35. კ. ბოსვორტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 132—133; ვ. ნიკიტინი. ქურთები (რუს.), გვ. 271.

[5] ს. ერემიანი, სომხეთი (რუს.), გვ. 621.

[6] იქვე.

ბის გადმოსახლება გერან", კერძოდ მე-16 ს. შუა წლებიდან კი არ დაწყებულა, როგორც ამას ზოგი ქართველი მკვლევარი ვარაუდობს, არამედ გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ მე-10 ს. 50-იანი წლებიდან.

ამასთანავე, მოტანილი მასალებიდან ისიც კარგად ჩანს, რომ სწორედ მე-11 ს. შუა და მომდევნო წლები სავსებით ხელსაყრელი იყო მხარგრძელთა წინაპრების ამიერკავკასიაში გადმოსახლებისათვის. ამიტომ სომხურ საისტორიო წყაროებში არსებული მითითებანი მხარგრძელთა წინაპრების გადმოსახლების დროის შესახებ საესებით რეალური ისტორიული ვითარების ამსახველად მიგვაჩნია.

აღსანიშნავია, რომ ვ. მინორსკი თავისი გამოკვლევის იმ ნაწილს, რომელიც მხარგრძელებისადმი არის მიძღვნილი, შემდეგნაირად იწყებს: „ჩვენი ძირითადი მიზანი იყო გაგვესრულებინა ანისის შედადიდების ისტორია არსებული ხელმისაწვდომი მუსლიმანური წყაროების მიხედვით. უადგილო არ იქნება, თუკი მათ დავამთავრებდით რამდენიმე სიტყვით მათი შთამომავლობის (their successors) შესახებ" [1]. ამას კი მოსდევს თხრობა მხარგრძელთა წინაპრების ქურთული ბაბირაკანის ტომიდან გამოსვლისა და საქართველოს სამეფო კარზე მათი მემკვიდრეების დაწინაურების შესახებ.

აშკარაა, რომ ვ. მინორსკი შესაძლებლად თვლიდა მხარგრძელები შედადიანთა შთამომავლებად, ხოლო მათი გადმოსახლება შედადიანთა მიგრაციის ერთგვარ გაგრძელებად მიიჩნია.

როგორც ზემოგანხილული მასალებიდან ჩანს, მხარგრძელთა წინაპრები მე-11 ს. შუა წლებისათვის გადმოსახლდნენ ტაშირ-ძორაგეტის იმდროინდელი სომეხი მეფეების ტერიტორიაზე და აქ მათ, ვარდანის მიხედვით „საცხოვრებელ ადგილად მიეცათ ხოშორნი" [2]. მართლაც, ხოშორნი ანუ ხოჟორნი, რომელიც ჭყონდიდის ქართლში, წოფის ხევში მდებარეობდა, ამ დროს (მე-11 ს.. 50—60-იან წლებში) და მასზე ადრეც, ჯერ კიდევ გურგენის (კვირიკე I-ის) დროიდან, თვით ვარდანისავე ცნობით, კვირიკიანებს ეკუთვნოდათ [3]. ვარდანის ცნობიდან არ ჩანს, რომ მაშინ იმ ადგილზე, რომელიც მხარგრძელთა წინაპრებს საცხოვრებლად მიეცა, ციხე ყოფილიყოს. იქნებ ხოჟორნის ციხის აგება, რომელიც შემდეგ მხარგრძელთა წინაპრების რეზიდენციად იქცა, მათ აქ მოსვლასთან იყოს დაკავშირებული.

ამ მოსაზრებას ერთგვარად მხარს უჭერს დ. მუსხელიშვილისა და აგრეთვე გ. ცქიტიშვილის დაკვირვებები წოფისა და ხოჟორნის ციხეების ურთიერთობისა და წოფის ხევის ცენტრის მე-10 ს. მიწურულიდან ხოჟორნში გადანაცვლების შესახებ. ჩვენი აზრით, სავსებით სწორია დ. მუსხელიშვილი, როცა ხოჟორნის ციხეს თვით მხარგრძელთა წინაპრების მიერ აგებულად მიიჩნევს [4].

ყურადღებას იქცევს აგრეთვე თვით ხოჟორნის ციხის მნიშვნელობის მისეული განსაზღვრაც; დ. მუსხელიშვილის დაკვირვებით[5], ხოჟორნის ციხე ვერ დაიჩემებდა ისეთ მნიშვნელობას, როგორიც ადრეფეოდალური ხანის ერთ-ერთი

---

[1] ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 101.

[2] ვარდანი, მსოფლიო ისტორია(რუს.), გვ. 169.

[3] იქვე, გვ. 114.

[4] დ. მუსხელიშვილი, ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის საველე სამუშაოთა შედეგები, სიგა, I, 1960, გვ. 39; შდრ. აგრეთვე, გ. ცქიტიშვილი, წოფი, გვ. 93.

[5] დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

დიდი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრს — წოფს ჰქონდა. ხოჟორნისა და მისი ცისის ასეთი, შედარებით უმნიშვნელო როლი სავსებით შეესაბამებოდა მის იმდროინდელ მფლობელთა მოკრძალებულ ადგილს ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ხოჟორნის სწორედ ამ მფლობელებმა დაუდეს საფუძველი მხარგრძელთა საგვარეულოს ძირითად შტოს.

გ) მხარგრძელთა მეორე შტო

მე-12—მე-13 სს. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდნენ აგრეთვე მხარგრძელთა მეორე შტოს წარმომადგენლებიც, რომელნიც სამოღვაწეო ასპარეზზე ჩნდებიან გიორგი III-ის მეფობის უკანასკნელ და თამარის მეფობის პირველ წლებში; თუმცა მათი დაწინაურება სამეფო კარზე შედარებით გვიან, მე-12 ს. 90-იანი წლებიდან იწყება.

მხარგრძელთა მეორე შტოს პირველი წარმომადგენლები ქართულ საისტორიო წყაროებში 1185-86 წლების ამბებთან დაკავშირებით, კერძოდ გიორგი რუსისა და თამარის დაქორწინების აღსანიშნავად დვინში მოწყობილ ლაშქრობის მონაწილეთა შორის იხსენიებიან: „წარვიდეს მჯარგრძელნი, ძენი სარგისისანი და ვარამისანი... უხუცესნი ზაქარია და ზაქარია დალოცვილნი, ივანე და სარგის დაულოცველნი, და ილაშქრეს ქვეყანასა დვინისასა“ [1]. აშკარაა, რომ აქ დასახელებულ მხარგრძელთა შორის ერთხი, სარგისის ძენი — ზაქარია და ივანე არიან, ხოლო მეორენი — ვარამის ძენი ზაქარია და სარგისი. აქედანვე ჩანს, რომ ამათგან უფროსები — ზაქარია სარგისის ძე და ზაქარია ვარამის ძე უკვე „დალოცვილნი“ არიან, უმცროსები კი ჯერ კიდევ არა, მაგრამ დვინის საზეიმოდ მოწყობილ ლაშქრობაში მონაწილეობენ.

ზემომოტანილი ცნობიდან არ ჩანს, თუ რა ნათესაური კავშირი არსებობდა მათ მამებს, სარგისსა და ვარამს შორის. მაგრამ ამას ნაწილობრივ გვიხსნის ისევ თამარის პირველი ისტორიკოსის მითითება სხვა უფრო ადრინდელ მოვლენებთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, ორბელის აჯანყების მონაწილეთა შორის იყო სარგის მხარგრძელიც, მაგრამ იგი მალე ჩამოშორდა მათ და ისტორიკოსის სიტყვით „წამოუვიდა დემეტრეს სარგის მჯარგრძელი შვილითა და ძმის წულითა მისითა“ [2]. როგორც ვხედავთ, ამ ცნობაში სარგისი თავისი ერთი შვილით და ასევე ერთი ძმისწულით არის მოხსენიებული. ადვილი მისახვედრია, რომ ამ შემთხვევაში უფროსი შვილი და უფროსი ძმისწული უნდა იგულისხმებოდეს. ამას გარდა, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სარგის მხარგრძელის სხვა, ზემოხსენებულთა გარდა, ნათესავები — ძმისწულები ჩვენი წყაროებით უცნობია, დავრწმუნდებით, რომ ამ შემთხვევაში ივარაუდება მისი უფროსი ძმისწული ზაქარია ვარამის ძე. ამრიგად, აშკარაა, რომ ვარამი ანუ სომხური წყაროების ეჰპრამი სარგ სის ძმა ყოფილა, ე. ი. ზაქარია პირველის ძე. ისიც ცხადია. რომ ვარამი ორბელთა აჯანყების დროს ცოცხალი აღარ იყო და, როგორც ეს ს. კაკაბაძეს აქვს შენიშნული, მის შვილებს ბიძა, უკვე საკმაოდ დაწინაურებული სარგისი პატრონობდა[3]. ვარამ ზაქარიას ძე, ქართულ წყაროებში, გარდა „ისტორია-აზმანის“ ზემოაღნიშნული ადგილისა, სავსებით უცნობია, არაფერი დაუ-

[1] ისტორიანი, გვ. 83.

[2] იქვე, გვ. 67—68.

[3] ს. კაკაბაძე, ვინ იყო და როდის ცხოვრობდა სარგის თმოგველი, გვ. 6.

ცაეთ მისი მოღვაწეობის შესახებ სომხურ წყაროებსაც (როგორც ჩანს, მისი ცხოვრება არც ისე ხანგრძლივი ყოფილა), მაგრამ საინტერესოა, რომ სომხური ნარატიული წყაროები ვაჰრამს ზაქარია პირველის ძედ და სარგის დიდის მამად მოიხსენიებენ.

ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ სომხური ნარატიული წყაროების (ვარდანი, კირაკოსი, ზაქარია სარკავაგი) ცნობა იმის შესახებ, რომ ვაჰრამი იყო სარგის დიდის (თამარის მოხელის) მამა მცდარია; მაგრამ ამავე წყაროების ჩვენება იმის შესახებ, რომ ვაჰრამი ზაქარიას ძე იყო, უდავოდ ანგარიშგასაწევია. ჯერ კიდევ ას. შაჰნაზარიანმა სავსებით მართებულად შიუთითა, რომ სომეხთა ისტორიკოსებმა მხარგრძელთა პირდაპირი მემკვიდრეების რიგი აურიეს იმის გამო, რომ ვაჰრამის მამის და სარგისის მამის სახელიც ზაქარია იყო. ასე რომ ვაჰრამი, მართალია, ზაქარიას ძე იყო, მაგრამ არა მამა სარგის დიდისა. არამედ ძმა მისი [1]. თუ გავითვალისწინებთ ქართული წყაროების მონაცემებსაც, ამგვარი დასკვნის სისწორეში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც სარგისის უფროსი შვილი, ასევე ვარამის უფროსი შვილიც ზაქარიად არიან წოდებულნი. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში მხარგრძელთა ორიეე შტოს წ რმომადგენელი იმეორებდა მათი პაპის სახელს.

როგორც ირკვევა, ხოჟორნის მფლობელთა სახლი, განსაკუთრებით მისი მესამე წარმომადგენლის ზაქარიას (პირველის) დროს საკმაოდ გაზრდილა და წარმოუდგენელია, რომ მხარგრძელთა ეს ორიეე შტო მხოლოდ ხოჟორნის ფლობით დაკმაყოფილებულიყო. მით უფრო, რომ ზაქარია, თუ სტეფანოს ორბელიანს დაეუჯერებთ, უკვე მთავარიც (*իշխան*) იყო [2]. მაგრამ, სამწუხაროდ, საამისო ცნობები ჩვენ გვაკლია და იძულებული ვართ მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ ზაქარია ვარამის ძე, ე. ი. შვილიშვილი ზაქარია პირველისა, გიორგი რუსის აჯანყების დროს, ე. ი. მე-12 ს. 90-იან წლებში ქვემო ქართლის აზნაურთა და აზნაურის შვილთა შორის არის მოხსენიებული. იგი ერთადერთი იყო ამ კუთხის მოსახლეთაგან, რომელიც თამარს ერთგულებდა და აჯანყებულებს არ მიემხრო [3].

როგორც ჩანს, ამ დროს ვარამის ძენი კაენისა და ამ მხარის ყველაზე გავლენიანი მფლობელის ვარდან დადიანის ყმები (ვასალები) იყვნენ.

ზოგი არაპირდაპირი მასალა გვაფიქრებინებს, რომ მხარგრძელთა ეს შტო აღრევე მოექცა არა მარტო ქართულ სამყაროში, არამედ აგრეთვე ქართულ სარწმუნოებასაც ეზიარა. ამ მხრივ. ჩვენს ყურადღებას იქცევს ზაქარია სარკავაგის განსხვავებული ცნობა მხარგრძელთა პირველი წინაპრის ზაქარიას თავიდანვე ქრისტიანობის, „ბაბილონის ქვეყნიდან" საქართველოში გადმოსახლებისა და ქართველ მეფეთა სამსახურში ჩადგომის შესახებ [4]. იქნებ ამ ცნობაში აირეკლა ზაქარიას შთამომავალთა ერთი შტოს – ვარამისა და მისი შთამომავლობის როგორც კონფესიური, ასევე პოლიტიკური კუთვნილებაც.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო ჩანს კირაკოსის მითითება მხარგრძელთა ამ შტოს თორელ-ახალციხელთა საგვარეულოსთან დაკავშირების შესახებ. კირაკოსის მიხედვით, ქვეყნის საზღვრების გაფართოებისათვის თავდადებით იბრძოლა აგრეთვე „სხვა იშხანმა სახელით ზაქარიამ და ძმამ მისმა

---

[1] ას. შაჰნაზარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 76.

[2] სტეფანოს ორბელიანი, სივნიეთის ისტორია (სომხ.), გვ. 391; ქართული თარგმანი, გვ. 63—64; რუსული, გვ. 17.

[3] ისტორიანი, გვ. 92.

[4] ზაქარია კანაკერცი, ქრონიკა (რუს.), გვ. 242.

სარგისმა და სხვა სარგისმა მამამ შალვასი და ივანესი, ნათესავებმა დიდი იშხანებისა: *«Այսպէս եւ միւս իշխանն, Զաքարէ անուն, եւ եղբայրն իւր Սարգիս, եւ միւս Սարգիս հայրն Շալուէի եւ Իվանէի, ազգականք մեծ իշխանացն...»*

ამგვარად იკითხება ეს საინტერესო ცნობა კირაკოსის უკანასკნელ კრიტიკულ გამოცემაში[1]. ამ ცნობის მიხედვით, მეორე (სხვა) ზაქარია და მისი ძმა მეორე (სხვა) სარგისი (პირველ სარგისად, რა თქმა უნდა, სარგის დიდი იგულისხმება) დიდი იშხანების ზაქარიას და ივანეს ნათესავები ყოფილან. მაგრამ ეს კი არაა მთავარი (ეს ჩვენ სხვა წყაროებიდანაც ვიცით), არამედ ის, რომ, კირაკოსის მიხედვით, ეს მეორე (სხვა) სარგისი იყო მამა მე-12- მე-13 სს. საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი ძმების ახალციხელებისა — შალვასი და ივანესი. კირაკოსის სწორედ ამ ცნობამ მისცა საფუძველი ს. კაკაბაძეს თავის დროზე ემტკიცებინა დასახელებულ ახალციხელთა მხარგრძელთაგან წარმომავლობა და მხარგრძელთა თორელობა. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ს. კაკაბაძის ეს მოსაზრება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული არ არის, კირაკოსის ცნობის მნიშვნელობის უგულებელყოფა მაინც შეუძლებელია. როგორც ჩანს, კირაკოსი, შალვა და ივანე ახალციხელების უმცროსი თანამედროვე, ისე ღრმად იყო დარწმუნებული ამ ორი — მხარგრძელ-ახალციხელთა — საგვარეულოს ახლო ნათესაურ კავშირში, რომ შალვა და ივანე მხარგრძელთა მეორე შტოს ერთ-ერთი წარმომადგენლის — სარგისის — შვილებადაც კი მიაჩნდა. ამასთანავე, კირაკოსს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ „სხვა სარგისის შვილები, შალვა და ივანე, „დიდი ქართველი იშხანები“ იყვნენ: *«Իշխան մի յաւագացն վրաց Շալուէ անուն նորա, եւ եղբայր իւր Իվանէ»*[2].

ამრიგად, მხარგრძელთა მეორე შტოს წარმომადგენლები შალვა და ივანე სარგისის ძენი, სომეხი ისტორიკოსის წარმოდგენით, ქართველები იყვნენ.

კირაკოსის ცნობა, თუნდაც იმ უზუსტობით, რასაც ის ამ შემთხვევაში შეიცავს, ყურადსაღებია არა მარტო იმით, რომ აქ აშკარად ხაზგასმულია მხარგრძელთა ამ მეორე შტოს ქართველობა, არამედ სხვა თვალსაზრისითაც: კირაკოსის ამ არაზუსტ ცნობას — შალვა და ივანე ახალციხელების მხარგრძელებად მიჩნევას, როგორც ჩანს, საფუძვლად უდევს მხარგრძელთა და ახალციხელთა ახლო ნათესაობა. ასე, რომ შალვასა და ივანეს ნათესაობა მაინც მხარგრძელთა ამ მეორე შტოსთან ეჭვს არ იწვევს. ეს კი თავისთავად გულისხმობს მხარგრძელთა ამ მეორე შტოს იმთავითვე სარწმუნოებრივადაც გაქართველებას.

ამითვე უნდა აიხსნას, ჩვენი აზრით, ისიც, რომ მხარგრძელთა ამ მეორე შტოს წარმომადგენელნი, ვარამ ზაქარიას ძიდან მოყოლებული, ჩვენთვის ცნობილ სომხურ ეპიგრაფიკულ ძეგლებში არ იხსენიებიან.

ჩვენ ვერ დავასახელებთ ვერც ერთ წარწერას, რომელიც მხარგრძელთა ამ შტოს რომელიმე წარმომადგენლის მიერ იყოს გაკეთებული სომხურ ეკლესია-მონასტრებში მათ წინაპართა მოსახსენიებლად თუ ცოცხალთა დღეგრძელობისათვის. ამასთანავე, ვარამის შთამომავლობა — ზაქარია ვარამის ძე, სარგის ვარამისძე და ვარამ გაგელი ზაქარიასძე არ იხსენიებიან არც მათ ახლო ნათესავთა, მხარგრძელთა პირველი შტოს წარმომადგენელთა წარწერებშიც, მაშინ როცა ჩვენთვის საინტერესო პერიოდის სომხური წარწერები, საჭიროების შემთხვევაში, ჩვეულებრივ, მოიხსენიებენ წარწერის გამკეთებლის არა მარტო წინაპრებს,

---

[1] კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ც ი, სომხეთის ისტორია (სომხ.), გვ. 163, რუს., გვ. 86

[2] ი ქ ვ ე, გვ. 225, რუს., გვ. 115.

არამედ ძმებსა და ახლო ნათესავებსაც. ამის ახსნა არ შეიძლება ვარამის შთამომავალთა თითქოსდა უმნიშვნელო როლით. როგორც ცნობილია, თამარის გამეფების დროიდან მხარგრძელთა ამ მეორე შტოს წარმომადგენლებიც, დიდმოხელენი და გავლენიანი ფეოდალები, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი რა თქმა უნდა, გაცილებით მაღლა იდგნენ გიორგისა და თამარისდროინდელ იმ სომეხ მოხელეებზე, რომელთაც არაერთი შესაწირი გაუკეთებიათ სომხური ეკლესიებისათვის და სათანადო წარწერაც დაუტოვებიათ თავიანთი თუ წინაპართა სულის სალხინებლად, შთამომავალთა სადღეგრძელოდ.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის ც, რომ ამ დროის სომხური ეპიგრაფიკა საკმაოდ უხვია და ყოველივე ზემოთქმულს ახსნა მისი ნაკლულობით შეუძლებელია.

როგორც ირკვევა, იმ დროს (თუ ამაზე ადრე არა), როცა მხარგრძელთა მეორე შტოს წარმომადგენლები სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ, ისინი კონფესიურად არ ეკუთვნოდნენ სომხურ ეკლესიას და, ცხადია, ქართული მართლმადიდებლობის აღმსარებელთათვის გარდაცვლილთა თუ დღეგრძელთა შეწყალების მინდობა სომხური ეკლესიებისათვის თავისთავად გამორიცხული იყო.

ზემოაღნიშნულის სისწორეს სავსებით ადასტურებს თამარის პირველი ისტორიკოსის მოთხრობა თამარის დროს გამართულ ქართველ-სომეხთა საეკლესიო პაექრობისა და მისი შედეგების შესახებ. ამ პაექრობაზე, რომელიც თამარის სამეფო კარზე მყოფ ჯერ კიდევ „სომხური სჯულის" მჭონე მოხელეთა „მართალ ქართულ" სარწმუნოებაში მოქცევას ისახავდა მიზნად, ქართველ სომეხ მღვდელმთავართა გარდა, საგანგებოდ იყვნენ მოწვეულნი ზაქარია და ივანე მხარგრძელები, როგორც „სჯულით სომეხნი" [1]. ნიშანდობლივია, რომ სომეხთა და „სომხური სჯულის" მჭონეთა ბანაკში არ იყვნენ ამ დროს სახელგანთქმულ „ოთხთა მხარგრძელთა" ორი წარმომადგენელი — ზაქარია და სარგის ვარამისძენი და მათი მემკვიდრენი. ისინი არ იხსენიებიან აგრეთვე პაექრობის შედეგად „მართალ ქართულ" სარწმუნოებაში გადასულ „მრავალ სომეხთა" შორისაც. თამარის ისტორიკოსი პაექრობაზე ქართველთა გამარჯვების უტყუარ საბუთად ზაქარია მხარგრძელის სომხური რწმენის შერყევას და განსაკუთრებით კი ივანე მხარგრძელის „სარწმუნოებასა ზედა ქართველთასა" მოქცევას ასახელებს. მხარგრძელთა მეორე შტოს „სჯულით გაქართველებაც" ამ დროს რომ მომხდარიყო, ცხადია, თამარის ისტორიკოსი მათაც ახლად მოქცეულ ივანესთან ერთად დაასახელებდა, როგორც სომეხ-ქართველთა საეკლესიო პაექრობაზე ქართველთა გამარჯვების კიდევ ერთ უტყუარ მოწმობას. მაგრამ, როგორც ჩანს, მხარგრძელთა მეორე შტოს წარმომადგენლები ადრევე იყვნენ მოქცეულნი „სარწმუნოებასა ზედა ქართველთასა" და ამ შემთხვევასთან დაკავშირებით მათი მოგონება ისტორიკოსს პაექრობაზე ქართველთა გამარჯვების საბუთად არ გამოადგებოდა

მხარგრძელთა მეორე შტო თამარის მეფობის პერიოდში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაში და მათი წარმომადგენლები თითქმის ყოველთვის ზაქარია და ივანე მხარგრძელებთან ერთად მოიხსენიებიან. თამარმა სწორედ მათ — „ოთხთა მკარგრძელთა", ამირსპასალარ გამრეკელთან ერთად, უბრძანა შეგებებოდნენ აჯანყებულ გიორ-

[1] ისტორიანი, გვ. 116—123.

გი რუსსა და მის მომხრეებს ჯავახეთს[1]. ხოლო ამ აჯანყების დამარცხების შემდეგ შეიწყალა თამარმა ზაქარია ვარამის ძე და უბოძა „გაგი ქურდ-ვაჭრითა განძამდის“[2]. ასე ჩაეყარა საფუძველი მხარგრძელთა გაგელების შტოს.

გიორგი რუსის მომხრე აჯანყებულთა წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდა და გამარჯვების მახარობელიც იყო სარგის ვარამის ძე, რომელიც ასევე შეიწყალა თამარმა, დალოცა და უბოძა თმოგვი[3]. სარგის ვარამის ძე მხარგრძელ-თმოგველთა საგვარეულოს ფუძემდებლად იქცა.

გაგელი და თმოგველი მხარგრძელები აქტიურად იბრძოდნენ შანქორთან 1195 წ.; შანქორის ბრძოლაში „მოუკლეს ცხენი ზაქარიას ვარამის ძესა“[4], ამ ბრძოლაში გამ რკვევის მახარობელი კი ისევ „სარგის მკარგრძელი — თმოგველი“ იყო[5].

მე-13 ს. დამდეგისათვის უკვე ჩნდება მხარგრძელთა მეორე შტოს ახალი თაობა: ბასიანის ბრძოლის მონაწილეთა შორის, გარდა ზაქარია გაგელისა, დასახელებულია თაყაიდინ თმოგველიც[6], ცხადია, სარგის ვარამის ძე თმოგველის მემკვიდრე. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ თმოგველი, ე. ი. თმოგვის მფლობელი, ამ დროისათვის სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა მხარგრძელ-თმოგველთა საგვარეულოს წევრი. თაყაიდინ თმოგველი თამარის ისტორიკოსის მიერ ბასიანის ბრძოლის შემდეგაც არაერთხელ არის მოხსენიებული. სპარსეთში ლაშქრობისას მარანდელთა წინააღმდეგ მებრძოლ ქართველთა ლაშქრის „მხედართმთავრად თაყაიდინ თმოგველი“ იყო დანიშნული[7]. უეჭველია, თაყაიდინის მემკვიდრე იყო უკვე მონგოლთა გაბატონების პერიოდში მათდამი მინდობილთა შორის დასახელებული სარგის თმოგველი, „კაცი მეცნიერი და ფილოსოფოსი და რიტორი“[8]. სარგის თმოგველი უკანასკნელად ალათემურის წინააღმდეგ მებრძოლთა შორის, მე-13 ს. 60-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით იხსენიება[9]. მე-13 ს. დამდეგს, კერძოდ 1212-13 წლის ამბებთან დაკავშირებით, ქართულ წყაროებში პირველად იხსენიება მხარგრძელ-გაგელთა მეორე თაობის წარმომადგენელი ვარამ ზაქარიას ძე გაგელი; მაგრამ იგი ამ დროისათვის რომ კარგად ცნობილი და სახელმოხვეჭილი პიროვნება იყო, ეს კარგად ჩანს თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებიდან: თამარმა „მსახურთუხუცესობა უბოძა ვარამს, ზაქარია გაგელის ძესა, კაცსა საპატიოსა და ლაშქრობათა შინა გამარჯუებულსა“[10].

ამ დროიდან მოკიდებული, ვარამ გაგელი იმდროინდელი საქართველოს რთული საშინაო თუ საგარეო ვითარების ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი

---

[1] ისტორიანი, გვ. 92.

[2] იქვე, გვ. 94.

[3] იქვე, გვ. 95.

[4] იქვე, გვ. 106.

[5] ბასილი, გვ. 20, 21 22.

[6] ისტორიანი, გვ. 127.

[7] იქვე, გვ. 133, 134; თამარის მეორე ისტორიკოსი ქ. კარის აღების ამბების თხრობასთან დაკავშირებით იხსენიებს სარგის თმოგველს, მაშინ როცა პირველი ისტორიკოსის მიხედვით, ამ დროს თმოგველი თაყაიდინი იყო. მ გრამ საქმე ისა , რომ ამ შემთხვევაში ბასილი იგონებს ქ. კარისათვის ადრე წარმოდგენილ ბრძოლებს და ამ ბრძოლების იმდროინდელ მონაწილეებს: „რამეთუ მრავალთა ქამთაგან ჰბრძოდეს სარგის თმოგველი, შალვა თორელი და მესხნი, გარნა ვერარა ღონე ქნეს აღებისა“ (ბასილი, გვ. 32).

[8] ქამთააღწერელი, გვ. 191, 215, 217, 218, -19, 220, 224.


[9] იქვე, გვ. 252; შდრ. ი. ჯაჯანიშვილი, ქეი, III, 1949, გვ. 183.

[10] ისტორიანი, გვ. 138.

საქმის მონაწილედ არის მოხსენიებული როგორც ქართულ[1], ასევე სომხურ[2] წყაროებში.

ვარამ ზაქარიას ძე ქართულ წყაროებში უკანასკნელად ლაშას ძის დავითის ძებნისა და გამეფებისათვის ბრძოლის ამბებთან დაკავშირებით მოიხსენიება[3]. ამის შემდეგ მას არ იხსენიებს არც კირაკოსი და არც სხვა სომეხი ისტორიკოსი. ამ დროისათვის, ე. ი. მე-13 ს. 40—50 იან წლებში, ქართულ სომხურ წყაროებში იხსენიება მისი შვილი აღბუღაც[4]. საინტერესოა, რომ, კირაკოსის სიტყვით, ვარამი იყო აღბუღას მამა, ვარამის, ზაქარიას და ივანეს პაპა[5]. ლ. ბაბაიანის მიხედვით, აღბუღას სწორედ ეს სამი შვილია მოხსენიებული ერთი ხელნაწერის მოსახსენებელში[6]. როგორც ამ ცნობებიდან ჩანს, აღბუღას სამი შვილი ჰყოლია, მაგრამ მათ შესახებ ქართული და ასევე სომხური წყაროები რაიმე მნიშვნელოვან ცნობას არ გვაწვდიან.

ამრიგად, ზემოხსენებული მასალების მიხედვით მხარგრძელთა მეორე შტოს გენეალოგია შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:



ამ წარმოდგენილი ტაბულა, ცხადია, სრული არ არის, არ ჩანს მხარგრძელთმოგველთა სარგის II თმოგველის შემდეგი თაობა. გარდა იმისა, რომ საამისოდ მასალები გვაკლია, ეს ამჯერად, ჩვენი ინტერესების ფარგლებს სცილდება.

აღსანიშნავია, რომ მ. ბროსემ მხარგრძელთა ეს მეორე შტო უშუალოდ დაუკავშირა ხოსროს ერთ ერთ მემკვიდრეს ქარიმს და გიორგი III-ის თანამედროვე ვაჰრამი, ზაქარიას და სარგისის მამა, ხოსროს შვილის ქარიმის ძედ მიიჩნია, რითაც არსებითად ორი თაობით დააშორა ვარამის მოღვაწეობა გიორგი III-ის ხანას. ჩვენი ზემომოტანილი ტაბულა ზოგ ნაწილში (მაგალითად, მხარგრძელ-გაგელთა შტო) ემთხვევა ს. კაკაბაძის მიერ ჯერ კიდევ 1914 წ. შედგენილ

---

[1] ქამთაალმწერელი, II, გვ. 155, 164, 169, 171, 172, 187, 190, 192, 208, 217, 218, 219.

[2] კირაკოს განძაკეცი, სომხეთის ისტორია (სომხ.), გვ. 238, 242, 263, 284, 288; ვარდანი, მსოფლიო ისტორია (რუს), გვ. 175, 177; გრიგორ აკანელი, მოისარ თა ტომის ისტორია, გვ. 9, 21 და სხვა.

[3] ქამთაალმწერელი, II, გვ. 219.

[4] იქვე; კირაკოს განძაკეცი, სომხეთის ისტორია (სომხ.), გვ. 263.

[5] კირაკოს განძაკეცი, სომხეთის ისტორია (სომხ.), გვ. 163.

[6] ლ. ბაბაიანი, სომხეთის ისტორია (რუს.), გვ. 108.

ტაბულას, მაგრამ მისი ნაწილი მაინც არსებითად განსხვავდება ს. კაკაბაძის მიერ წარმოდგენილისაგან. ს. კაკაბაძე, როგორც ზემოთაც ითქვა, სარგის I თმოგველის შვილებად მიიჩნევდა მხარგრძელს, შალვა და ივანე ახალციხელებს, სავსებით ტოვებდა თაყაიდინ თმოგველს, სარგის II-ს კი მხარგრძელის ძედ აცხადებდა [1]. იგივეს წერდა იგი უფრო ადრეც [2]. მაგრამ შემდეგდროინდელ გამოკვლევებში ს. კაკაბაძემ ერთგვარად გაასწორა ადრინდელი ტაბულები, მასში თაყაიდინ თმოგველიც შეიტანა და სარგის II-ც მის ძედ მიიჩნია, ოღონდ თმოგველ მხარგრძელთა ეს შტო ხოსროს ძმას ქარიმს დაუკავშირა, ხოლო გაგელთა შტო—აეაგ სარგისს; ამასთანავე შალვა და ივანე ახალციხელები ზაქარია გაგელის ძმის სარგისის (არა თმოგველის) შვილად მიიჩნია [3]; წყაროები ასეთი ცვლილების შეტანის საფუძველს, როგორც ზემოთ ეუჩვენეთ, ცხადია, არ იძლევა.

კიდევ უფრო შეიცვალა ს. კაკაბაძის შეხედულებანი უკანასკნელ წლებში. ამჯერად გაგელთა შტო ს. კაკაბაძემ ქარიმის შთამომავლობის გაგრძელებად მიიჩნია, ხოლო თმოგველთა — ავაგ-სარგისისა. ამასთანავე, თაყაიდან თმოგველი სარგისის ძედ კი არა, ზაქარია და სარგისის ძმად გამოაცხადა, შალვა და ივანე ახალციხელები კი სარგის თმოგველის შვილებად [4]. ასეთი რადიკალური ცვლილებები ამ შემთხვევაშიც, სამწუხაროდ, წყაროს რაიმე საგანგებო ცნობის თუ მინიშნების შედეგი არ ყოფილა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ-სომხური წყაროები მხარგრძელთა მეორე შტოს გენეალოგიის შესახებ მხოლოდ იმ მასალებს გვაწვდიან, რაც ჩვენს ტაბულაში აისახა.

ს. კაკაბაძე თავის წერილში — „თმოგველთა გვარის ისტორიისათვის" შეეცადა დაემტკიცებინა ფავლენიშვილთა წარმოშობა თმოგველთაგან და ამასთან დაკავშირებით თმოგველთა გადასახლება ჯავახეთიდან მე-14 საუკუნეში. ამ დროიდან თმოგველთა საგვარეულოს მემკვიდრენი, ს. კაკაბაძის აზრით, ჯერ თმოგველ-უჯარმელებად, ხოლო შემდეგ თმოგველ-უჯარმელ-ფავლენიშვილებად იწოდებოდნენ [5]. ს. კაკაბაძის ზემომოტანილი თვალსაზრისის გაზიარება შესაძლებელია, მაგრამ, ცხადია, მისი ეს მოსაზრება არ იძლევა ისეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომელიც ამ შემთხვევაში ს. ერემიანს გამოუტანია. ს. ერემიანს თმოგველთა გადასახლება მე-14 ს. ჯავახეთიდან უჯარმაში, როგორც ჩანს, ამ საგვარეულოს მე-14 საუკუნიდან გაქართველების საბუთად მიუჩნევია. იგი წერს: „თამარმა არ დაიეიწყა აგრეთვე სარგის მხარგრძელის ძმის, ვაჰრამის შვილების — ზაქარიასა და სარგისის სამსახური. ზაქარიამ (ვაჰრამის შვილმა) 1187 წ. მიიღო ტერიტორია დებედიდან შანქორ ქალაქამდე. მისი და მისი მემკვიდრეების ცენტრი იყო გაგი და ქარჰერძის ციხეები. ამ გვარს ქართველები „გაგელებს", ხოლო სომხები վահրամաց տուն-ს („ვაჰრამაც ტუნ" ვაჰრამის სახლი) ეძახიან. სარგისმა დედოფლისაგან 1191 წ. სამემკვიდრეოდ მიიღო ჯავახეთის მხარე, რომლის ცენტრი იყო Քվկաբէրդ ე. ი. თმოგვი. მის მემკვიდრეებს კი თმოგველებს ეძახიან. ეს გვარი მე-14 საუკუნიდან გაქართველდა. მისი (სარგის I-ის) შვილიშვილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია, როგორც ფილოსოფოსი და პოეტი სარგის თმოგველი. მას მიეწერება, ვეფხის-

---

[1] ს. კაკაბაძე, თორელთა გვარეულობის შესახებ, გვ. 65.
[2] ს. კაკაბაძე, ვინ იყო და როდის ცხოვრობდა სარგის თმოგველი, გვ. 8, 12.
[3] ს. კაკაბაძე, ვეფხის ტყაოსნის წინასიტყვაობა, გვ. XCIV.
[4] ს. კაკაბაძე, შოთა რუსთველი, გვ. 68.
[5] ს. კაკაბაძე, თმოგველთა გვარის ისტორიისათვის, 1913, გვ. 19—21.

ტყაოსნის“ პირველი რედაქცია და რამდენიმე თავის ავტორობა. იგი ავტორია „დილარიანისა“ და მასვე ეკუთვნის „ვისრამიანის“ თარგმანი“[1].

როგორც ვხედავთ, ს. ერემიანის მიხედვით: ა) ვარამ გაგელის საგვარეულოს სომხური წყაროები *Վահրամաց տուն*-ს უწოდებდნენ (ამგვარადვე, ვაჰრამიანთა საგვარეულოდ მიიჩნევს გაგელთა შტოს ლ. ბაბაიანიც[2]); ბ) თმოგველთა გვარი (როგორც ჩანს, მისი შესატყვისი სომხურ წყაროებში არ გამოჩენილა) მე-14 საუკუნიდან გაქართველებულა; გ) ამ გვარის გაქართველებამდე, მისმა ცნობილმა წარმომადგენელმა სარგის II თმოგველმა, მე-13 ს. პირველი ნახევრის მოღვაწემ, თავი ისახელა ქართულ მწერლობაში.

პირველ რიგში „ვაჰრამაც ტუნის“, ვაჰრამიანთა საგვარეულოს შესახებ. სომხური ნარატიული წყაროები, როგორც ზემოთ მივუთითეთ, არაერთხელ იხსენიებს ვარამს ვაჰრამის (*Վահրամ*) სახელით; კირაკოსს არაერთხელ აქვს ნახსენები ვაჰრამი, ვაჰრამის ძე ზაქარია, ვაჰრამ ზაქარიასძე და მისი მემკვიდრეებიც (აღბუღა და სხვ.), მაგრამ არსად ამ საგვარეულოს იგი „ვაჰრამიანთა საგვარეულოდ“ არ მოიხსენიებს. სომხურ ეპიგრაფიკულ ძეგლებში, როგორც აგრეთვე აღნიშნული იყო, ვარამი და საერთოდ გაგელ-თმოგველთა შტო არც ხანს. ამრიგად, ეს ტერმინი ხელოვნურად არის შედგენილი თანამედროვე მკვლევართა მიერ, „ერკაინაბაზუკის“ მსგავსად. ს. ერემიანი არაფერს ამბობს მხარგრძელების გაგელთა შტოს გაქართველების დროის შესახებ.

სარგის II თმოგველი, ქართული ნარატიული საისტორიო წყაროების მიხედვით, მართლაც იყო „კაცი სწავლული და ფილოსოფოსი და მრავალღონე“ [3], „მეცნიერი და ფილოსოფოსი და რიტორი“ [4]. რა თქმა უნდა, სწორედ ეს სარგის II, მე-13 ს. პირველი ნახევრის მოღვაწე, „სწავლული და რიტორი“, უნდა იყოს ის პიროვნება, რომელსაც მართლაც მიეწერება პოემა „დილარიანი“ და „ვისრამიანის“ ქართულად გადმოღება, გადმოქართულება [5].

ამრიგად, თუ ქართული მწერლობის ამ უეჭველად ანგარიშგასაწევი ტრადიციის მიხედვით ვიმსჯელებთ, სარგის თმოგველს მართლაც დიდი ამაგი დაუდგია მე-12—მე-13 სს. პირველი ნახევრის ქართული მწერლობისათვის. მაგრამ, ცხადია, ეს ეწინააღმდეგება ს. ერემიანის ზემომოტანილ დასკვნას თმოგველთა საგვარეულოს მხოლოდ მე-14 საუკუნიდან გაქართველების შესახებ.

ცხადია, ის საგვარეულო, რომლის წარმომადგენელიც იყო სარგის თმოგველი, ენობრივად და საერთოდ კულტურის თვალსაზრისით (რომ არაფერი ვთქვათ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე) სარგის თმოგველამდე (ე. ი. XIII ს.-დე) დიდი ხნით ადრე მთლიანად ეკუთვნოდა ქართულ კულტურულ სამყაროს.

თამარის ისტორიკოსებ , როგორც ეს ზემოთ არაერთხელ იყო ხაზგასმული, გარკვევით მიუთითებენ „ოთხთა მხარგრძელთაგან“ ორის — ზაქარიასა და ივანეს „სჯულით სომხობის“, კონფესიურად სომხური ეკლესიისადმი კუთვნილებაზე; მაგრამ იმავე ისტორიკოსებს არაფერი აქვთ ნათქვამი ოთხიდან დანარჩენი ორი მხარგრძელის — ზაქარია და სარგის ვარამისძეთა არათუ საერთოდ სომხობის, არამედ „სჯულით სომხობის“ შესახებაც. ეს, ცხადია, შემთხვევითი არ

---

[1] ს. ე რ ე მ ი ა ნ ი, ამირსპასალარი ზაქარი, (სომხ.), გვ. 19 –20.

[2] ლ. ბ ა ბ ა ი ა ნ ი, სომხეთის ისტორია, გვ. 180.

[3] ცამთაღმწერელი, გვ. 191.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 217.

[5] იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1952, გვ. 191—192 და სხვ.; ავტორთა კოლექტივი, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 230 –232.

შეიძლება იყოს, მით უფრო, რომ თამარის ისტორიკოსები საერთოდ არ ჩქმალავენ თამარის ამა თუ იმ დიდმოხელის სოციალურ თუ ეთნიკურ ვინაობასა და რელიგიურ კუთვნილებას. სომხური ნარატიული წყაროებიც (ვარდანი, კირაკოსი, გრიგოლ აკანელი), რომელნიც ასევე კარგად იცნობენ მხარგრძელთა მეორე შტოს წარმომადგენლებს, ვარამ მხარგრძელის შთამომაელობას, არსად მიუთითებენ არც ზაქარია ვარამისძის, არც სარგის ვარამისძის და არც მათი შთამომავლობის არათუ სომხობის, სომხური წარმომაელობის, არამედ „სჯულით სომხობის" შესახებაც კი.

სომხურ საისტორიო მწერლობაში სწორედ ამის საწინააღმდეგო მასალებია დაცული. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს გრიგოლ აკანელის (მალაქიას) ზოგიერთი ცნობა. იგი არაერთხელ იხსენიებს ვარამ გაგელს ზაქარიასძეს და მას, ვარდანის მსგავსად, „დიდ მთავარს", „ბრძენ მთავარს" უწოდებს და ყოველთვის ქართველ მთავრებს შორის მოიხსენიებს: „ქართველთა მთავრებმა (*վրաց իշխանացն*) თრიად გაიხარეს. მათ, ბაჩუ ხორინისა და თათართა სხვა მეთაურების ბრძანებით, გაგზავნეს ბრძენი მთავარი ვარამი, გაგის უფალი" [1]. დავით ლაშას ძის ჩამოყვანით, მისიცე სიტყვით, ფრიად განიხარეს უველა ქართველმა მთავარმა (*իշխանքն վրաց*)"[2]. გახარებულთა შორის იყო თვით მისი ჩამომყვანიც, ვარამ გაგელიც.

საინტერესო ცნობა აქვს დაცული გრიგოლ აკანელს ვარამის ძის აღბუღას შესახებაც: „ქართველმა მთავარმა (*վրաց իշխանն*) გაგის მფლობელმა, დიდი ვარამის ძემ, ბლუ ზაქარიას შვილიშვილმა ,სახელად აღბუღამ... გააბრუნა სულტანის ჯარის მარჯვენა ფრთა"[3]. აშკარაა, რომ, მე-13 ს. 70-იანი წლების სომეხი ისტორიკოსის მიხედვით, ვარამი და მისი მემკვიდრენიც ქართველები იყვნენ. ვარამ გაგელს ქართველად იცნობენ აგრეთვე აღმოსავლური წყაროებიც. ასე მაგალითად, მე-13 ს. დამდეგის მაჰმადიანმა ისტორიკოსმა, სულტან ჯალალ-ედ-დინის ცხოვრების აღმწერმა და მისმა თანმედროვემ ან ნასავმა თავისი თხზულების საგანგებო თავი უძღვნა „მოთხრობას სულტანის მიერ ბაჰრამ (ე. ი. ვარამ) ალ-გურჯის (ქართველის) ციხის ალყის შესახებ". ტექსტში კი ნათქვამია: „როცა სულტანი იყო ერაყში, განჯის ოლქმა დიდი ზარალი ნახა ბაჰრამ ალ-გურჯის თავდასხმის გამო"[4].

როგორც ვხედავთ, უცხოურ წყაროებში ვაჰრამი „ქართველებად", „ვაჰრამ ქართველად" იწოდებოდა.

აქვე უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ მხარგრძელთა ამ შტოს, თმოგველთა საგვარეულოს ეკუთვნოდა ვაჰანის ქართული მონასტერი და ამ საგვარეულოს ერთ ერთმა წევრმა — მხარგრძელმა, სარგისის ძემ, ამ მონასტერს სათანადო წესდებაც შეუდგინა ქართულ ენაზე.

ლ. მელიქსეთ-ბეგმა სომხურ ენაზე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში „სომხები ძველ ქართულ ლიტერატურაში" არასწორად მიიჩნია ს. კაკაბაძის მოსაზრება მე-13 ს. მეორე ნახევრის სარგის თმოგველის ქართველობა-ქალკედონობის შესახებ. ლ. მელიქსეთ-ბეგის აზრით, „ვაჰანის განგების" შემდგენელი უნდა იყოს სომხურ წარწერებში მოხსენიებული „მხარგრძელი", რომელიც 1310 წელს ცოცხალი იყო. რაკი იგი „ვაჰანის განგების" მონაცემებით სარგისის ძე

---

[1] გრიგოლ აკანელი, მოისართა ტომის ისტორია, გვ. 26.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 21.

[4] ზ. ბუნიატოვი, ან-ნასავის ცნობები (რუს.), გვ. 165.

იყო, მხარგრძელის მამა სარგისი უნდა იყოს მე 13 ს. პირველი ნახევრის მოღვაწე „ფილოსოფოსი და რიტორი“ სარგისი (გარდაიცვალა, ლ. მელიქსეთ-ბეგის აზრით, არაუადრეს 1262 წლისა). შვილის, მხარგრძელის, ქალკედონიტობა, მისივე აზრით, არ იძლევა საფუძველს მამის (სარგისის) ქალკედონიტობის, ქართველობის სამტკიცებლად. ასე რომ, ლ. მელიქსეთ-ბეგის დასკვნით, „პოეტი და „დილარიანის“ ავტორი სარგის თმოგველი... ქალდეველთაგან წარმოშობილ სომეხ ზაქარიან-ერკაინათიკუნების საგვარეულოს მეორე შტოს წარმომადგენელია“ [1].

ლ. მელიქსეთ-ბეგის მტკიცება საერთოდ მხარგრძელთა ორივე შტოს სომხობის შესახებ, ჩვენ მიერ ზემომოტანილი მასალების საფუძველზე, უმართებულო ჩანს. ასევე, მას შემდეგ, რაც გაირკვა „ვაჰანის ქებათა განგების“ შედგენის დრო და შემდგენლის ვინაობა, საფუძველი გამოეცალა მის მეორე მტკიცებასაც სარგის თმოგველის სომხობის შესახებ: სომხურ ეპიგრაფიკაში (ასევე ქართულშიც) მართლაც არაერთხელ მოიხსენიება „მხარგრძელი“, მაგრამ იმავე წყაროების მიხედვით, იგი იყო არა სარგისისძე, არამედ შანშესძე, არუპის 1285 წ. წარწერაში მოიხსენიება „დიდი შანშეს შვილი“ და „ივანეს ძმა“, „სპასალარი მხარგრძელი“ [2]. „შანშეს ძე ამირსპასალარი მხარგრძელი“ მოხსენიებულია აგრეთვე სანაინის წარწერებში [3] და სხვაგანაც (იხ. ქვემოთ). ეს მხარგრძელი, მართლაც, მე-13 საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეთა და მე-14 ს. დამდეგსაც ჩანს, მაგრამ იგი არ შეიძლება იყოს „ვაჰანის განგების“ შემდგენელი, რომელიც, როგორც ამ ძეგლის მინაწერებიდან ირკვევა, არის მხარგრძელი სარგისისძე და მამა სარგისისა [4]. სომხურ-ქართული წარწერების მხარგრძელი კი შანშესძეა, ხოლო მისი შვილი არსადაა მოხსენიებული. ასე რომ „ვაჰანის განგების“ შემდგენელი მხარგრძელი, რომლის მამა და შვილიც სარგისის სახელს ატარებდა, სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა სარგის I თმოგველის ძე და სარგის II თმოგველის მამა თაყაიდინი, რომელსაც, როგორც ჩანს, მეორე სახელად მხარგრძელი რქმევია [5], ანდა ამჯერად თავი მოუხსენებია მხოლოდ გვარით.

ამას გარდა, ვაჰანის მონასტერი, როგორც ეს ნ. ბერძენიშვილმა და ლ. მუსხელიშვილმა გაარკვიეს, თმოგველებმა მე-13 ს. დამდეგს მიიღეს და განგებაც თავის ამ მონასტერს მე-13 ს. პირველ მეოთხედში, 30-იან წლამდე შეუდგინეს [6] ასე რომ ვაჰანის განგების შემდგენელი მხარგრძელი, მამაა მე-13 ს. პირველი ნახევრის მოღვაწის სარგის მეორისა და არა შვილი, როგორც ამას ლ. მელიქსეთ-ბეგი ვარაუდობდა. საინტერესოა, რომ ქალკედონიტი იყო როგორც მხარგრძელი, რომელმაც შეადგინა ქართული მონასტრის განგება, ისე მისი შვილი, რომელმაც დაამტკიცა ეს ტიპიკონი [7].

ამრიგად, თმოგველებს მე-13 ს. დამდეგს უკვე ჰქონდათ საკუთარი მონასტერი და ამ ქართული მართლმადიდებლური მონასტრის მათ მიერვე (მხარგრძელი, სარგისი) ქართულ ენაზე შედგენილი და დამტკიცებული წესდებაც. ამდე-

---

[1] ლ. მელიქსეთბეგი, სომხები ძველ ქართულ ლიტერატურაში (სომხ.), გვ 40—42.

[2] კოსტანიანცი, მატიანე ქვეებზე (სომხ.), გვ. 126.

[3] კ. კოზუბარიანი, სანაინის ეკლესია (სომხ.), გვ. 125.

[4] ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქებათა განგება, 1939, გვ. 17 -18.

[5] ნ. ბერძენიშვილი, სის, I, გვ. 116—118; ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქებათა განგება, გვ. 16.

[6] ნ. ბერძენიშვილი, სის, I, გვ 116 118. ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქებათა განგება, გვ. 16.

[7] ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 57—58.

ნად, მე-13 ს. პირველი ნახევრის მოღვაწის სარგისის „პოეტისა“ და „დილარიანის“ ავტორის ქართველობა ეჭვს არ იწვევს.

ნ. ბერძენიშვილი წერდა „სარგისმა თმოგვი მიიღო, ხოლო მჭარგრძელმა ცისე-ქალაქი საგვარეულო მონასტრით სრულყო. მან მიიღო მცირე სამეფო მონასტერი, გააფართოვა ის და „წესი და განგება“ დაუდგა. სამეფო მონასტერი საზოგადო საგვარეულო მონასტრად იქცა“. ეს კი, ნ. ბერძენიშვილის დასკვნით, სახელისუფლოდ, განსაგებლად მიღებულ მიწა-ადგილთა ფეოდალიზაციის, ფეოდალთა ხელში გადასვლის ერთ-ერთი მაგალითი იყო [1]. ასე იქცა თმოგველთა განსაგებელი ქართულ ფეოდალურ ერთეულად, საფეოდალოდ.

ამგვარად, მხარგრძელთა მეორე შტოს ვარამის შთამომავლები – – თმოგველთა საგვარეულოს, ზემოგანხილული ქართულ-სომხური წყაროების მიხედვით, როგორც რელიგიური, ისე ენობრივ-კულტურული თვალსაზრისით თავიდანვე ქართველები იყვნენ.

დ) მხარგრძელი — საგვარეულო სახელი თუ ზედწოდება?

თანამედროვე სომხურ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ „მხარგრძელი“ მხოლოდ თამარის ამირსპასალარის სარგისის პირადი ზედწოდება იყო. ას. შაჰნაზარიანის აზრით, თამარის ისტორიკოსი „მხარგრძელს“ ანუ „ფართობეჩიანს“ მხოლოდ ამირსპასალარ სარგისს, ზაქარიას და ივანეს მამას უწოდებს, ამ უკანასკნელთ კი – – „ფართობეჩიანის(*լայնաթիկունք*)შვილებს. ასე რომ „მხარგრძელი“ სარგის ამირსპასალარის პირადი ზედწოდებაა [2].

ამგვარსავე თვალსაზრისს მხარგრძელის შესახებ ავითარებს ს. ერემიანი თავის ნაშრომებში: ჯერ კიდევ 1946 წ. ს. ერემიანი თავის ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა: სარგის დიდმა „თავისი მახვილით მოიპოვა სახელი თაყვანდებული მეომრისა და სარდლისა, რისთვისაც ქართველებმა მას „მხარგრძელი“ უწოდეს“ [3]. ამასვე აღნიშნავს ის „სომეხი ხალხის ისტორიის“ (1951 წ.) [4] ზაქარია ამირსპასალარისადმი მიძღვნილ ნარკვევში და სხვაგანაც [5].

ასეთი თვალსაზრისის საფუძველზე სომხურ ისტორიოგრაფიაში ამ საგვარეულოს „მხარგრძელთა საგვარეულოდ“ კი არა, „ზაქარიანების“ საგვარეულოდ მოიხსენიებენ (ა. შაჰნაზარიანი, ი. მანანდიანი, ა. არუთიანიანი, ს. პოღოსიანი, ლ. ბაბაიანი და სხვ.). ს. ერემიანის აზრით, ძველი სომეხი ისტორიკოსები, სარგისის მამის ზაქარიას (ამირსპასალარ ზაქარიას პაპის) სახელის მიხედვით, ამ სახლს „ზაქარიანებს“ უწოდებენ [6]. ჰ. აჭარიანი ამ საგვარეულოს „ზაქარიან-მხარგრძელთა ტომს“ (*զաքարեան—երկայնաթաղիներ*) უწოდებდა [7].

ამას გარდა, სომეხი მკვლევრები სომხურ ენაზე თუ რუსულად გამოქვეყნებულ გამოკვლევებსა და პოპულარულ ნაშრომებში თითქმის ყოველთვის ქართულ „მხარგრძელს“ „*երկայնաթաղիկ*“-ად [8] და „Долгорук“-ად თარგმნიან.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, სის, I, გვ. 118.

[2] ას. შაჰნაზარიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

[3] ს. ერემიანი, იური ბოგოლუბსკი (რუს.), გვ. 398.

[4] სომეხი ხალხის ისტორია (რუს.), 1951, გვ. 160.

[5] ს. ერემიანი, ამირსპასალარი ზაქარია (სომხ.), გვ. 13—14.

[6] იქვე, გვ. 13; მისივე, სომხეთი (რუს.), გვ. 625; მისივე, ალარწიანის წარწერა (რუს.), გვ. 84.

[7] ჰ. აჭარიანი, სომხური... IV, გვ. 411.

[8] ზოგ მკვლევარს „ერკაინაბაზუკი“ არ მიაჩნია ქართული მხარგრძელის ზუსტ შესატყვი-

ისინი „ერკაინბაბაზუკად“ და „დოლგორუკად“ მოიხსენიებენ არა მარტო სარგის ამირსპასალარს, რომლის პიროვნულ ზედწოდებ დ მიიჩნიეს „მხარგრძელი“, არამედ ამ საგვარეულოს ყველა წევრს. ასე მაგალითად, „ამირსპ სალარი ზაქარია ერკაინბაბაზუკი“ უწოდა ს. ერემიანმა თავის ბროშურას, მიძღვნილს ზაქარია მხარგრძელისადმი. ამრიგად, ეს მკვლევრები შესაძლებლად მიიჩნევენ „ერკაინბაბაზუკი“, ე. ი. „მხარგრძელის“ სომხურ ი შესატყვისი იქნეს გამოყენებული ამ საგვარეულოს აღსანიშნავად და არა ძირითადი ქართული სახელი — „მხარგრძელი“.

„მხარგრძელთა“ გვარსახელზე უნდა აღინიშნოს შემდეგი: პირველ რიგში „მხარგრძელს“ მნიშვნელობის შესახებ ქართული წყაროების მიხედვით. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ თამარ ს პირველი ისტორიკოსის ერთადერთი საბუთი სარგის ამირსპასალ არის საგვარეულოს არტაქსერქსე მხარგრძელთან ნათესაობისა და მისი გვარის სიძველისა სწორედ სარგ სის გვარსახელი — მისი მხარგრძელობა იყო. ისტორ კოსის სიტყვით, სარგ სს გამოჩენილობა „გუ ა რ ი ს ა გ ა ნ ა ც მ ო ვ ე ა ქ უ ნ დ ა, რ ო მ ე ლ ი ი ყ ო ნ ა თ ე ს ა ვ ი ა რ ტ ა ქ ს ე რ ქ ს ი ს ა მ ჯ ა რ გ რ ძ ე ლ ი ს ა“ [1]. აქ, როგორც ვხედავთ, საუბარია სარგისის საგვარეულოს ნათესაობის შესახებ არტაქსერქსე მხარგრძელთან და არა, ცხადია, მისი პიროვნული ზედწოდებისა თუ პირადი ნათესაური კავშირის შესახებ მასთან. ასე, რომ, ამ ისტორიკოსის წარმოდგენით, „მხარგრძელი“ სარგისის პიროვნული წოდება კი არ არის, არამედ ამ საგვარეულოს საერთო გვარსახელი, რომელიც ამ საგვარეულოს აქემენ დთა დინასტიის ერთ ერთ, ასევე „მხარგრძელად“ წოდებულ წარმომადგენელთან აკავშირებს.

ამიტომაცაა, რომ იგივე ისტორიკოსი „მხარგრძელად“ მოიხსენიებს არა მარტო სარგისს, არამედ საერთოდ ამ საგვარეულოს ყველა, როგორც პირველი, ასევე მეორე შტოს წარმომადგენელს. მოვიტანოთ სათანადო მასალები:

„სარგის მხარგრძელი“, როგორც ივანე ორბელის თანამემწე ანისში, თამარის პირველი ისტორიკოსის მიერ მე-12 ს. 60-იანი წლებში იხსენიება პირველად [2]. აქედან მოკიდებული საკუთრივ სარგისი ამავე ისტორიკოსის მიერ არაერთხელ არის მოხსენიებული თავისი გვარსახელით — „მჯარგრძელი“: ორბელთა აჯანყების დაწყებისთანავე „წამოუვლ და დემეტრეს სარგის მჯარგრძელი, შვილითა და ძმის წულითა“ [3]; „განაჩინა ამირსპასალარად სარგის მჯარგრძელი“ [4]. ისტორიკოსის მიხედვით, სარგ ს მხარგრძელის ამირსპასალარობის დროსვე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან როგორც მისი მემკვიდრენი, ასევე ძმისწულებიც, რომლებიც აგრეთვე მხარგრძელებად იწოდებიან: „წარმოვიდეს მჯარგრძელნი, ძენი სარგისისანი და ვარამისანი“ [5].

ისტორიკოსის ს ტყვით, განძას, ვარდან დადიანთან ერთად, „ოთხთა მ ჯ ა რ-

---

სად და ამ მხრივ სხვა ვარიანტს გვთავაზობს. მაგ., ას. შაქნაზარიანის მიხედვით უმჯობესია „მხარგრძელი“ ფართობეპიანად, ანუ *երկարաքիկանք* („ერკარათიუნქ“-ად) ვთარგმნოთ; *երկար ա ա* ნიშნავს „გრძელ მხარს“ (იხ. მისი, ზაქარიანთა ტომის წარმოშობა (სომხ.). გვ 67); ლ. მელქსეთ-ბეგი კი „ფართოზურგიანს“ *երկայնաքիկանք*-ს გვთავაზობს „მხარგრძელს“ შესატყვისად (იხ. მისი, სომხები ძველ ქართულ ლიტერატურაში (სომხ.), გვ. 39).

[1] ისტორიანი, გვ. 137.

[2] იქვე, გვ. 57.

[3] იქვე, გვ. 67.

[4] იქვე, გვ. 78, 79.

[5] იქვე, გვ. 83,

გრძელთა... დაჰირვებული ომი გარდაიკადეს“ [1]; მოხსენებულ ოთხ მხარგრძელთაგან ორი — ზაქარია და ივანე სარგისის ძენი იყვნენ, ორი კიდევ — ზაქარია და სარგისი — ვარამის ძენი. სწორედ მათ „ოთხთა მკარგრძელთა“ ებრძანა თამარისაგან ჯავახეთს დაბანაკებულ აჯანყებულთა წინააღმდეგ გალაშქრება [2]. თამარის პირველი ისტორიკოსი თვითვე კონკრეტულადაც ასახელებს იმ მხარგრძელებს, რომელნიც ამ „ოთხთა მკარგრძელთა“ შემადგენლობაში იგარაუდებოდნენ: „ზაქარია მკარგრძელს“, „ივანე მკარგრძელს“, „ზაქარია ვარამის ძე მკარგრძელს“ და „სარგის ვარამის ძე მკარგრძელს“. შენქორის ომის დროს „ცნეს მკარგრძელთა ძეთა სარგისისათა, ზაქარია ამირ სპასალარმან და ივანე მსახურთუხუცესმან“ [3]. „ივანე მკარგრძელი მკნე და უბრძოლველი იყო ომთა... საქმესა შინა“ [4]; „მკარგრძელნი ზაქარია და ივანე“ ერთ მხარეს იყვნენ ბასიანის ბრძოლის დროს; მეფის წერაში „მოვიდნენ „მკარგრძელნი ამირსპასალარი ზაქარია და მსახურთუხუცესი ივანე და ზაქარია ვარამის ძე გაგელი“ [6].

ამასთანავე, ისტორიკოსი არაერთხელ ხმარობს „მკარგრძელ“ გვარსახელს მრავლობით რიცხვში — „თქმულნი მკარგრძელთანი“ „წუეეა მკარგრძელთაგან“, „მკარგრძელნი“, „მკარგრძელთა კარავი“ [7], და სხვა მსგავსი.

ამრიგად, თამარის პირველი ისტორიკოსის მონაცემებით, „მკარგრძელი“ სარგისის პიროვნული ზედწოდება კი არ არის, არამედ თამარის დროის სახელგანთქმული ერთ ერთი საგვარეულოს ორივე შტოს საერთო გვარსახელი. მხარგრძელებად იწოდებიან როგორც სარგის მხ რგრძელის ძენი, ისე ვარამის ძენიც.

ამასვე ადასტურებს თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებაც, სადაც მხარგრძელებად მოიხსენიებიან არა მარტო ზაქარია და ივანე—სარგისის შთამომავალნი, არამედ აგრეთვე მხარგრძელთა თმოგველ-გაგელების შტოც; ბასილის სიტყვით, შანქორის ბრძოლაში გამარჯვების მახარობელი იყო „სარგის მკარგრძელი თმოგუელი“ [8]; „სარგის მკარგრძელი-ვე თმოგუელი“ იყო მონაპირე ჯავახეთს [9]. გაგი სანაპიროდ „ჰქონდა ზაქარიას მხარგრძელსავე, ვარამის მამას“ [10]. თამარის მეორე ისტორიკოსის ეს ცნობები განსაკუთრებით ნიშანდობლივია იმითაც, რომ მხარგრძელთა ამ შტოს წარმომადგენლები, თუმცა უკვე თმოგველებად და გაგელებად წოდებულნი, მაინც მხარგრძელის გვარსახელს ატარებენ.

მხარგრძელად მოიხსენიებს ზაქარიასა და ივანეს აგრეთვე ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანე [11]. მე-14 ს. ჟამთააღმწერელი კი, მართალია, მხარგრძელთა როგორც პირველი, ასევე მეორე შტოს შთამომავლებს (ავაგი, შანშე, ვარამი, სარგისი) უმთავრესად მათი სახელებით მოიხსენიებს (მაგ., ავაგ ათაბაგი, შანშე მანდატურთუხუცესი, ვარამ მსახურთუხუცესი, სარგის თმოგველი), მაგრამ მისივე ცნობებიდან კარგად ირკვევა, რომ უველა ესენი, ისევე როგორც

---

[1] ისტორიანი, გვ. 84.
[2] იქვე, გვ. 92.
[3] იქვე, გვ. 107.
[4] იქვე, გვ. 111.
[5] იქვე, გვ. 116; შდრ. აგრეთვე გვ. 119, 129.
[6] იქვე, გვ. 132.
[7] იქვე, იხ. გვ. 120, 121, 122, 129, 130, 131, 132 და სხვ.
[8] ბასილი, გვ. 20.
[9] იქვე, გვ. 23.
[10] იქვე.
[11] ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანე, გვ. 15, 18.

შათი წინაპრები, მხარგრძელთა საგვარეულოს ეკუთვნოდნენ და მხარგრძელის გვარსახელს ატარებდნენ. გარდა იმისა, რომ აქ ივანე ისევ „მჭარგრძელად“ არის მოხსენიებული[1], მისი მემკვიდრეცა და ძმისწულიც, ისტორიკოსის სიტყვით, მხარგრძელები იყვნენ. ასე მაგალითად, განძის ლაშქრობის დროს, ლაშა გიორგის თან ახლდნენ „მჭარგრძელნი“[2]. ცხადია, ამ შემთხვევაში არ შეიძლება მარტო ივანე მხარგრძელი იგულისხმებოდეს. ამავე ისტორიკოსის მიხედვით, „მჭარგრძელთა ქვეყანაა“ ის ტერიტორიები, რომელიც ივანე ათაბაგს. მის ძმისწულ შანშესა თუ ვარამ გაგელს ჰქონდათ მიცემული[3].

„მჭარგრძელი“, როგორც გვარსახელი, გვხვდება როგორც ქართულ, ასევე სომხურ ეპიგრაფიკულ მასალებში. ასე მაგალითად, ჰნევანქ'ს ეკლესიის ქართული წარწერა მოგვითხრობს: „აღვაშენე კარის ბჭე ესე პირველად დღეგრძელობისათჳს... და მანდატურთუხუცესისათჳს მხარგრძელთათჳს სალოცველად, თეოდორე მამამთავარი მომიხსენიეთ და ლოცვა ყავთ“[4]. ლ. მელიქსეთ-ბეგი და პ. მურადიანი აქ მოხსენიებულ მხარგრძელს მიიჩნევენ ივანედ[5]. პ. მურადიანმა მისი თანამდებობის აღმნიშვნელი დაზიანებული ადგილი აღადგინა, როგორც „მსახურთუხუცესი“, ხოლო ლ. მელიქსეთ-ბეგმა, როგორც „მანდატურთუხუცესი“[6]. თუ აქ მანდატურთუხუცესი იკითხება, მაშინ ამ წარწერაში მოხსენიებული მხარგრძელი უნდა იყოს შანშე ზაქარიასძე, რომელიც ამ ტიტულს თავისი ბიძის ივანეს სიცოცხლეშივე, ჯერ კიდევ არასრულწლოვანი, როგორც მამის სახელოთა მემკვიდრე, უკვე ატარებდა.

გვარსახელი „მხარგრძელი“ ქართული ფორმით დადასტურებულია სომხურ ეპიგრაფიკულ მასალებშიც. ამ მხრივ საინტერესოა ზაქარია ამირსპასალარის ერთ ერთი წარწერა ანისში: „ჟამსა კეთილმსახურ დედოფალთა-დედოფალ თამარისა, მე მისმა ერთგულმა მონამ, შვილმა ერისთავთ ერისთავისა, ამირსპასალარისა სარგის მხარგრძელისა (*Մխարգրձէլին*), მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარ შაჰანშაჰ ზაქარიამ სურვილითა ღმრთისათა აღვმართე ჯვარი“[7]. საგულისხმოა, რომ სომხური წარწერები მხარგრძელად მოიხსენიებენ არა მარტო სარგისს, არამედ მის შვილს ივანესაც, მაგალითად ოძუნის წარწერაში, რომელიც ეკუთვნის ვინმე სუმბატს „მონას დიდი ივანე მხარგრძელისა (*Իւանէի Մխարգրձէլի*).“[8]

მხარგრძელი, როგორც გვარსახელი, გვხვდება მე-13 ს. მიწურულის სომხურ

---

[1] ჟამთააღმწერელი, გვ. 152.

[2] იქვე, გვ. 153.

[3] იქვე, ვ. 169.

[4] ლ. მელიქსეთ-ბეგი, ლორე-ტაშირის ქართული ეპიგრაფიკა, გვ. 319.

[5] პ. მურადიანს ამ წარწერის სომხურ თარგმანში „მხარგრძელი“ თარგმნილი აქვს *երկայնաբազուկ*-ად, მაშინ როცა „მსახურთუხუცესი“ თარგმნის გარეშე, სომხური ტრანსკრიპციით *Մախուրթուխուցէս* აქვს გადმოცემული. გვარსახელის თარგმნა მით უფრო გაუგებარია, რომ თვით სომხურ წარწერებშიაც, როგორც ქვემოთ მოტანილი მასალებიდან დავინახავთ, ივანე მოხსენიებულია მხარგრძელად (*Մխարգրձէլի*) და არა „ერკაიბაბაზუკად“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ უმართებულო ჩანს ლ. მელიქსეთ-ბეგის და პ. მურადიანის მიერ წარწერის გამკეთებელი თეოდორეს საქართველოს კათალიკოსად, თეოდორე II დ მიჩნევა (იხ. პ. მურადიანი, ქართული წარწერები სომხეთში, „ლრაბერი“ (სომხურად), 1966, № 3, გვ. 37—38). რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია, რომ საქართველოს კათალიკოსს მხარგრძელის დღეგრძელობისათვის აეშენებინა ჯარიბჭე. ცხადია, აქ მოხსენიებული თეოდორე ჰნევანქის მამამთავარია.

[6] ეს წაკითხვები არც ლ. მელიქსეთ-ბეგს და არც პ. მურადიანს დასაბუთებული არა აქვთ.

[7] სომხური წარწერების კრებული, II (სომხ.), გვ. 58.

[8] ქ. კოსტანიანცი, მატიანე ქვებზე (სომხ.), გვ. 250.

წარწერებშიც. ასე მაგალითად, არუჭის 1285 წლისად მიჩნეულ წარწერაში მოხსენიებული „სპასალარი ხარხრუელი“ (*სპასქრხრჭელი*)[1]. „ამირსპასალარი მხარგრძელი (*მხარგრძელ*), ძე შაჰინშაჰისა დიდისა“ და ძმა ივანესი, მეუღლე ეანენით, ნახსენებია სანაინის ერთ-ერთ წარწერაში. სანაინის 1300 წლის სხვა წარწერაში კიდევ მოხსენიებულია „ამირსპასალარი მხარგრძელი, ძე შაწესი“[2]. ივიეე პირები მოხსენიებულნი არიან ავრეთვე ახპატის წარწერაში, სადაც უფრო სრული ცნობებია მოცემული წარწერის გამკეთებლის ვინაობის შესახებ: „მხარგრძელი, ძე შაჰინშაჰისა, ძისა დიდი ზაქარიასი, მეუღლე ჩემი ეანენი, ქალიშვილი ათაბაგ სათუნისა“. აქვე მოხსენიებულია მისი ძმა ივანეც[3]. „შაწე მანდატურთუხუცესის ძე მკარგრძელი“ და მისი თანამეცხედრე ეანენი არიან ქობერის ტაძრის ერთ-ერთი ქართული წარწერის ავტორებიც[4].

ზოგ მკვლევარს (მ. ბროსე, ვ. ალიშანი, ე. ლალაიანი) მხარგრძელი ამ შემთხვევაში საკუთარ სახელად და ამ წარწერებში მოხსენიებული მხარგრძელი კიდევ შაჰანშაჰ (შანშე) II-ის ძედ და მე 13 ს. მიწურულისა და მე 14 ს. დამდეგის მოღვაწედ მიაჩნია[5]. მაგრამ ასეთი მოსაზრების წინააღმდეგ მეტყველებს თვით მხარგრძელისავე მითითება მისი მამისა და პაპის შესახებ, კერძოდ, რომ ის იყო ძე „დიდი შაჰანშაჰისა, ძისა ზაქარიასი“ და ძმა ივანესი. ზაქარიას ძე „დიდი შაჰანშაჰი“ სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა ზაქარია ამირსპასალარის მემკვიდრე შანშე I, რომელსაც ჰყავდა ავრეთვე შვილი ივანე. შანშე მეორე კი სწორედ ამ უკანასკნელის ძე, ე. ი. ზაქარიას შვილიშვილის ძე იყო და არა ზაქარიასი. ამასთანავე, შანშე II ს არ ჰყოლია შვილი ივანე. ამრიგად, უდავოა, რომ ზემოდასახელებული წარწერების მხარგრძელი შანშე I მანდატურთუხუცესის ერთ-ერთი შვილია. მაგრამ რადგანაც სხვა წყაროებით ცნობილ შანშე I-ის ხუთი შვილიდან — ზაქარია, ავაგ-სარგისი, არტაშირი, ივანე, აღბუღა — არც ერთი მხარგრძელად არ არის წოდებული, როგორც ჩანს „მხარგრძელი“ ამ წარწერაში მოხსენიებულია როგორც გვარსახელი (მხარგრძელთა მოხსენიება მხოლოდ გვარსახელით, როგორც ზემოთ ვნახეთ, სხვა წყაროებითაც დასტურდება: მხედველობაში გვაქვს „ვაჰანის ქებაძთა განგებაში“ თ. ყაიდანის მოხსენიება მხარგრძელად და ჰნევანქის ეკლესიის „მანდატურთუხუცესი მხარგრძელი“).

ამრიგად, ჩვენ მიერ ზემოგანხილული ქართული ნარატიული წყაროები, სომხური და ქართული ეპიგრაფიკის მონაცემები ერთხმად მიუთითებენ, რომ მხარგრძელი გვარსახელი იყო და არა პიროვნული ზედწოდება. ცხადია, ეს რომ ასე არ ყოფილიყო, სარგის ამირსპასალარის ზედწოდება ვერ გადავიდოდა მის შვილებსა და შვილიშვილებზე და მით უფრო მხარგრძელთა მეორე შტოს წარმომადგენლებზე, ეარამის შთამომავლობაზე, ისევე, როგორც არ გადასულა ანდრია ბოგოლუბსკის პიროვნული ზედწოდება „ბოგოლუბსკი“ მის შვილზე იურიზე (გიორგიზე), თამარის მეუღლეზე, თუ გიორგი ბრწყინვალისა – მის შთამომავლობაზე და ა. შ.

---

[1] კ ო ს ტ ა ნ ი ა ნ ც, მატიანე ჭეუებზე (სომხ.), გვ. 126.

[2] კ. კ ა ფ ა დ ა რ ი ა ნ ი, სანაინის ეანქი (სომხ.), გვ. 185. კ ო ს ტ ა ნ ი ა ნ ც, დას ხ. ნაშრომი, გვ. 140.

[3] კ. კ ა ფ ა დ ა რ ი ა ნ ი, ახპატი (სომხ.), გვ. 171; კ. კაფადარიანის მიხედვით, მხარგრძელი იკითხება ახპატის მეორე წარწერაშიც, რომელიც, სამწუხაროდ, ძლიერ დაზიანებულია (იხ. აქვე, გვ. 228).

[4] ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, ქობერი და მისი წარწერები, გვ. 71.

[5] მ. ბ რ ო ს ე, დამატებები და განმარტებები, XI (ფრანგ.), გვ. 362; ვ. ა ლ ი შ ა ნ ი, შირაკი (სომხ.), გვ. 165; ე. ლალაიანი, ბორჩალოს მხარე (სომხ.), გვ. 329.

ამას გარდა, თვით ის ფაქტი, რომ მხარგრძელებად სარგის ამირსპასალარის სიცოცხლეშივე იწოდებიან მისი ძმისწულებიც, თავისთავად მიუთითებს ამ ქართული გვარსახელის – „მხარგრძელის“ – სარგისზე უფრო ადრე წარმოქმნას: სარგისისა და მისი მემკვიდრის, ასევე ვარამის შვილების მხარგრძელობა გვაფიქრებინებს, რომ ამ გვარსახელს უკვე ატარებდა სარგისისა და ვარამის მამა ზაქარია. მხოლოდ ამგვარ შემთხვევაში შეიძლებოდა ეს გვარსახელი ამ საგვარეულოს ორივე შტოს ეტარებინა. ყოველივე ეს კი ერთხელ კიდევ გვიდასტურებს, რომ მხარგრძელთა საგვარეულო უკვე მე-12 ს. მეორე მეოთხედსა და შუა წლებში (თუ უფრო ადრე არა) სავსებით ეკუთვნოდა ქართულ სამყაროს, რომ კულტურულ ისტორიული თვალსაზრისით მხარგრძელები ამ დროიდან მაინც უკვე ქართველები იყვნენ.

როგორც ზემოთ ვნახეთ, გვარსახელი „მხარგრძელი“ ცნობილია არა მარტო ქართული წყაროებით, არამედ სომხური ეპ გრაფიკითაც, სადაც იგი თავისი წმინდა ქართული ფორმით არის შესული და არა თარგმნილი სახით. როგორც ჩანს, მხარგრძელთა თანამედროვე სომხური საზოგადოება მათ ამ ქართული გვარსახელით იცნობდა; დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არც ქართულ და არც სომხურ წყაროებში მხარგრძელთა სხვა საგვარეულო სახელი დადასტურებული არ არის. ამდენად, ამ საგვარეულოსათვის „ზაქარიანების“ წოდება ნებისმიერი და უსაფუძვლოა.

ერთადერთი წყარო, სადაც გვხვდება სიტყვა — „ზაქარიანი“, არის ვარდანის თხზულება. აქ აღნიშნულია, რომ სატუნის (სადუნის) მაგიერ ანისში დაინიშნა „იშხანი ზაქარიანი სარგისი“ (*„ᲘᲨᲮᲐᲜᲘ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲠᲒᲘᲡᲘ“*),[1] მაგრამ ამ შემთხვევაში, ცხადია, სარგისის ზაქარიასძეობა იგულისხმება და არა ზაქარიანთა საგვარეულოს არსებობა. სწორედ ამგვარად გაუგია ვარდანის ეს ცნობა მიქ. ჩამჩიანს და ამიტომაც წერდა იგი: „და დასვა ზედამხედველად ქალაქისა ვინმე სარგისი, გამოჩენილი იშხანი, ძე ზაქარიასი, როგორც ვარდანი წერს“ [2].

სომხური წყაროებისათვის, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია ფეოდალების გვარის დასახელება. ასეა აქ მოხსენიებული, მაგალითად, ეარუტიანების, ჰაღბატიანების, მამიკონიანების, უქანანცების, ორბელიანების, ტარსაჯიანების, სარაქმინთა, შაჰრუნის თუ სხვა მრავალი გვარი. არსად არ არის აღნიშნული მათი სხვა გვარი, გარდა „მხარგრძელისა“.

ამრიგად, ზაქარიანთა საგვარეულოს არსებობა სომხური და ქართული წყაროებით არ დასტურდება. საგვარეულო სახელი– „ზაქარიანი“ ხელოვნურად არის შექმნილი ზოგიერთი მკვლევრის მიერ სარგისის მამის საკუთარი სახელის--ზაქარიას მიხედვით.

ქართული და ასევე სომხური წყაროების მონაცემებიდან გამომდინარეობდნენ მ. ბროსე, ნ. მარი, ვ. მინორსკი, ი. ჯავახიშვილი და სხვა მრავალი მკვლევარი, როცა XII—XIV სს. საგვარეულოს მხარგრძელთა საგვარეულოდ მოიხსენიებდნენ. მ. ბროსე, როგორც ცნობილია, მათ „მხარგრძელიძეებს“ უწოდებდა [3]. ნ. მარიც მათ ყოველთვის ამგვარადვე საგვარეულო სახით „მხარგრძელით“ მოიხსენიებდა [4]. ამგვარადვე ვ. ალენი XII ს. ამირსპასალართა სარ-

---

[1] ვარდანი, მსოფლიო ისტორია (სომხ.), 1861, გვ. 166.

[2] მ. ჩამჩიანი, სომხეთის ისტორია, III (სომხ.), გვ. 149.

[3] მ. ბროსე, დამატებები და განმარტებები (ფრანგ.), გვ. 270 და შემდეგ; იხ. ავრეთვე, დ.მატება, XVII (ფრანგ.), და გენეალოგიური ტაბულები, იქვე, გვ. 362, 417.

[4] ნ. მარი, ანისი (რუს.), ტრუდები, გვ. 61, 72, 73, 74 და სხვ.

გისრსა და ზაქარიას გვარსახელის აღსანიშნავად მხოლოდ „მხარგრძელს“ ხმარობს [1]. ვ. მინორსკიმ თავის სპეციალურ გამოკვლევაში „კავკასიის ისტორიის ნარკვევები“ საგანგებო პარაგრაფი მიუძღვნა „მხარგრძელ პრინცებს“ (მთავრებს) (‘The princes Mxargrdzeli)[2].

ამგვარადვე ფ. იუსტი გერმანულად მათ მხოლოდ „მხარგრძელიძეებს“ (Mxargrdzelidze) და „მხარგრძელებს“ უწოდებს. მან, როგორც ცნობილია, თავის ნაშრომს საგანგებოდ დაურთო „მხარგრძელთა საგვარეულოს გენეალოგია“ [3].

გვარსახელი, თუ საგვარეულო სახელი, ჩვეულებრივ, არ ითარგმნება და ამიტომაც არ უთარგმნია ეს გვარსახელი ფრანგულად მ. ბროსეს, რუსულად ნ. მარს, ინგლისურად ფ. ალენსა და ვ. მინორსკის, გერმანულად ფ. იუსტს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა აქ დასახელებულ ენაზე, ცხადია, მოიპოვება „მხარგრძელის“ შესატყვისი. ამიტომაც სრულ გ-უგებობად უნდა მიეჩნიოთ ზოგი მკვლევრის მიერ „მხარგრძელის“ თარგმნა „ერკაინაბაზუკად“ და „დოლგორუკად“. როგორც თავის დროზე ს. ჯანაშიამ საუსებით მართებულად შენიშნა, „ეს წმინდა ქართული სახელი (მხარგრძელი, შ. მ.), რუსულ ენაზე თარგმნილი, ნამდვილად „დოლგორუკს“ ნიშნავს, მაგრამ არ შეიძლება მისი თარგმნა, სწორედ ისევე, როგორც არ შეიძლება ვთარგმნოთ, ვთქვათ, რუსული საგვარეულო სახელები დოლგორუკებისა და ტოლსტოებისა...“ ამიტომაც ს. ჯანაშიას ქართული „მხარგრძელის“ შესატყვისად რუსული „დოლგორუკი“ (ცხადია, იგულისხმება, ასევე სომხური ერკაინაბაზუკი) „საუსებით გამოგონილ ფორმად“, ხოლო „ზაქარიანი უბრალო კურიოზად“ [4] მიაჩნდა.

ამრიგად, „მხარგრძელი“ ერთადერთი გვარსახელია, რომლითაც აღინიშნებოდა XII—XIII სს. მიჯნის ცნობილ მოღვაწეთა—ზაქარიას და ივანეს არა მარტო მამის-სარგისის, არამედ აგრეთვე პაპის—ზაქარიასა და მათ შთამომავალთა ორიეე შტოს საგვარეულო. გვარსახელის ასეთი წმინდა ქართული ფორმა—მხარგრძელი—თავისთავად მიუთითებს ქართული წარმოშობის ამ საგვარეულოს ადრევე გაქართველებაზე, ქართულ-ფეოდალურ საგვარეულოდ გადაქცევაზე.

ე) მხარგრძელთა კონფესიური კუთვნილება და რელიგიური პოლიტიკა

მას შემდეგ, რაც განვიხილეთ მხარგრძელთა წინაპრების წარმომავლობა, მათი გადმოსახლების დრო და აგრეთვე საგვარეულო სახელი, მხარგრძელთა ვინაობის სრულყოფილად შესწავლისათვის საჭირო იქნება საგანგებოდ შევჩერდეთ მათ რელიგიურ (კონფესიურ) კუთვნილებაზე. მით უფრო, რომ შუა საუკუნეებში, როცა მხარგრძელებს მოღვაწეობა უხდებოდათ, რელიგიურ კუთვნილებას ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ზოგი იმდროინდელი მოღვაწის მიხედვით, სწორედ ეკლესიური (სარწმუნოებრივი) კუთვნილებით განი-

---

[1] ე. ალენი, ქართველი ხალხის ისტორია (ინგ.), გვ. 107—104.

[2] ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 101—103.

[3] ფ. იუსტი, ირანული სახელები (გერმან.); გვ. 458 459.

[4] ს. ჯანაშია, ისტორიული სინამდვილის დამახინჯების ერთი მაგალითი (რუს.), გვ. 458 –459.

საზღვრებოდა ამა თუ იმ პირის ეროვნებაც. მართლაც, იმ დროს ეროვნების განმსაზღვრელად იმდენად დიდი მნიშვნელობა არ შეიძლებოდა ჰქონოდა ეთნიკურ წარმომავლობას, რამდენიც იმ ხალხის აღსარებას, რომელსაც უცხო წარმოშობის პირი მიეკუთვნებოდა. ასე რომ სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების აღმსარებელი, წარმოშობით თუნდაც არასომეხი, სომხად იყო მიჩნეული, ქართული მართლმადიდებლობისა ქართველად და ა. შ. როგორც ჩანს, შუა საუკუნეებში, დიდი ანგარიში არ ეწეოდა სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ თუ ეროვნულ თვითშეგნებასა და კულტურას, რომელიც, დღევანდელი თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი უნდა იყოს ეროვნული კუთვნილების განსაზღვრის დროს.

აი, რატომ იქცევს ჩვენს ყურადღებას მხარგრძელთა რელიგიური კუთვნილების შესახებ დაცული მასალები და რატომ მივიჩნევთ საჭიროდ მათ ახალიზს.

ძველ სომეხ ისტორიკოსებს მხარგრძელთა წინაპრების რელიგიური რწმენის შესახებ ანგარიშგასაწევი ცნობები აქვთ დაცული. ვარდანის მიხედვით, მხარგრძელებმა ქრისტიანობა ძორაკეტში, კვირიკიან მეფეებთან გადმოსახლების შემდეგ მიიღეს [1]. მაგრამ ვარდანი ერთადერთია, რომელიც ასეთ ცნობას გვაწვდის. ამას გარდა, ნიშანდობლივია ისიც, რომ ვარდანი გარკვევით არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ ქრისტიანობის რომელი მიმდინარეობის აღმსარებელნი იყვნენ მხარგრძელთა ის წინაპრები, რომელნიც აქ კვირიკიან მეფეთა დროს გადმოსახლდნენ. კირაკოსს კი საერთოდ არაფერი აქვს ნათქვამი მხარგრძელთა წინაპრების გაქრისტიანების დროის შესახებ. ამ მხრივ საინტერესო ცნობები მოეპოვება ზაქარია კანაკერცს. მის ცნობას თავის დროზე ყურადღება მიაქცია ას. შაჰნაზარიანმა და, ჩვენი აზრით, ანგარიშგასაწევი დასკვნაც მიიღო. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ას. შაჰნაზარიანი მხარგრძელთა წინაპრების გადმოსახლების მიზეზად მათ ჯერ კიდევ თავიანთ პირველსაცხოვრისში გაქრისტიანებას მიიჩნევდა [2]. ამის საფუძველს მას აძლევდა ზაქარია კანაკერცის (სარკავაგის) ცნობა, რომლის მიხედვითაც, უკვე „ქრისტიანი ზაქარია, რომელიც მარებმა (ქურთებმა) გაიხადეს თავიანთ მთავრად...“, ვერ მორიგდა ქურთებთან, იძულებული გახდა „ბაბილონის ქვეყანა“ დაეტოვებინა და მალულად ჯერ სომხეთის საზღვრებში, ხოლო შემდეგ, საქართველოში გადმოსულიყო [3]. იქნებ მართლაც, მხარგრძელთა წინაპრის, ქრისტიანული რწმენის მქონე მთავრის გადმოსახლების, ან როგორც კირაკოსს აქვს აღნიშნული, „ქურთთაგან გამოყოფის (*խաւտւածեալ*) მიზეზი სწორედ სარწმუნოებრივი დევნა ყოფილიყო. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ სტეფანოს ორბელიანი მხარგრძელთა წინაპარს ზაქარიას (სტ. ორბელიანიც, როგორც აღვნიშნეთ, მხარგრძელთა გენეალოგიას ზაქარია I-დან იწყებს) „მართლმადიდებელ მთავარს“ უწოდებს [4]. ასევე, ანგარიშგასაწევია აგრეთვე იოანე ბაგრატიონის ჩვენს მიერ ზემომოტანილი ცნობა მხარგრძელთა წინაპრების მიერ ჯერ კიდევ „ასურისტანში სომხური სარწმუნოების“ მიღების შესახებ. ასე რომ მხარგრძელთა წინაპრების გაქრისტიანება ჯერ კიდევ მათ პირველსაცხოვრისში, ე. ი. გადმოსახლებამდე, საეჭვო არ უნდა იყოს. ვარდანის მითითება მათი ძორაკერტში გაქრისტიანების შესახებ, როგორც ეს ა. შაჰნაზა-

---

[1] ვარდანი, მსოფლიო ისტორია (რუს.), გვ. 163.

[2] ას. შაჰნაზარიანი, ზაქარიანთა ტომის წარმოშობა (სომხ.).

[3] ზაქარია კანკერცი, ქრონიკა (რუს.), გვ. 242.

[4] სტეფანოს ორბელიანი, სვენიეთის ისტორია (სომხ.), გვ. 391; რუსული, გვ. 17; ქართული, გვ. 63.

რიანმაც შენიშნა, მხარგრძელთა ადრევე-გაქრისტიანებული წინაპრების სომხური ეკლესიის მფარველობაში შესვლას უნდა გულისხმობდეს.

საფიქრებელია, რომ მხარგრძელთა წინაპრები მონოფიზიტები უნდა ყოფილიყვნენ. მართალია, ამის შესახებ წყაროებს არავითარი ცნობა არ დაუცავთ, მაგრამ ასეთი ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას ქმნის, ჯერ ერთი, მონოფიზიტობის საკმაოდ ფართოდ გავრცელება (განსაკუთრებით მე-9 ს-დან, ანტიქალკედონობის საბოლოოდ გამარჯვების შემდეგ) იმ ქვეყანაშიც, რომელიც მხარგრძელთა წინაპრების პირველსაცხოვრისად არის მიჩნეული. ამას გარდა, ეს გასაგებს ხდის იმ გარემოებას, რომ „ქურთთაგან გამოყოფილმა" მხარგრძელთა წინაპრებმა პირველი თავშესაფარი იპოვეს სომეხ მეფეთა ტერიტორიასა და სომხურ ეკლესიაში; მონოფიზიტური რწმენა მათ ბუნებრივად აახლოვებდა სომხურ გრიგორიანულ ეკლესიასთან, რომელიც ამ დროს მონოფიზიტობის ერთერთ ბურჯს წარმოადგენდა აღმოსავლეთში.

მაგრამ ძორაკერტის სომხური სამეფო მხარგრძელთა წინაპრების გადმოსახლების დროისათვის დაცემის გზაზე იყო შემდგარი და არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. ამასთანავე, სულ მალე, ქართული მიწა-წყლის გაერთიანების დასრულების პროცესში, სომხური სამეფოს ყოფილი ტერიტორიების შემოერთებასთან ერთად, დაიწყო ბრძოლა სომეხთა ეკლესიურადაც შემოერთებისათვის. შემთხვევითი არ არის, რომ ასეთ ღონისძიებას „ქართლის ცხოვრების" სომხურად მთარგმნელი (მე-12 ს. პირვ. ნახევ.) დავით აღმაშენებელს მიაწერს. მისი გადმოცემით, დავით მეფემ „მოისურვა სომეხთა და ქართველთა შეერთებაც. მოუწოდა იოანეს, ქართლის კათალიკოსს, არსენიოს ქართლელს... სომეხთა ეპისკოპოსებისა და მონასტრების წინამძღვრებს, — გამართა კრება" [1]. დავითის მიერ მოწვეულ საეკლესიო კრებას რომ მართლაც ასეთი მიზანი ჰქონდა, ეს კარგად ჩანს დავითის ისტორიკოსის თხზულების ქართული ტექსტიდანაც. ისტორიკოსის სიტყვით, თუკი სომხები კრებაზე პაექრობაში დამარცხდებოდნენ, „უკეთუ იძლევნენ სომეხნი", თავიანთი სჯული უნდა შეეჩვენებინათ და „თანაერთხმა სჯულისა ქართველთასა" უნდა ყოფილიყვნენ[2]. მართალია, კრებამ მიზანს ვერ მიაღწია და ქართველ-სომეხთა ეკლესიური გაერთიანება ვერ მოხერხდა, მაგრამ ყველაფერმა ამან მნიშვნელოვნად შეარყია ანტიქალკედონობა საქართველოს მიერ შემოერთებულ ყოფილი სომხური სამეფოების ტერიტორიაზე და კიდევ უფრო გაუხსნა გზა ქალკედონური მიმდინარეობის გავრცელებას. სწორედ ამ დროს იწყება ქართული, ქალკედონური კერების აღდგენა-გახსნა, ზოგის გადაკეთება და არაერთი ახლის დაარსება, განსაკუთრებით ქვემო ქართლში [3].

ამას გარდა, ანტიქალკედონურ-გრიგორიანულ ეკლესიას თავის მხრივ ბიზანტიაც უტევდა. საქართველოსა და ბიზანტიის სამეფო ხელისუფლება სხვადასხვა მეთოდებითა და განსხვავებული მიზნებით მოქმედებდა სომეხთა ეკლესიურად შემომტკიცებისათვის, მაგრამ მათი განხილვა ამჯერად ჩვენს ამოცანას არ შეადგენს [4]. ამ ვითარებას საქართველოსათვის ხელსაყრელი პოლიტიკური

---

[1] ქართლის ცხოვრების სომხური თარგმანი, გამოსცა ი. აბულაძემ, 1953, გვ. 254.

[2] დავითის ისტორიკოსი, გვ. 356.

[3] ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ჩრდილო მხარეთა"..., გვ. 57—58.

[4] საქართველოს სამეფოს პოლიტიკის შესახებ უფრო ვრცლად იხ. მ. ლორთქიფანიძე, საქართველო-სომხეთის ურთიერთობა, 1968, გვ. 123 –140. ამ მხრივ ბიზანტიის მიერ გატარებული პოლიტიკისა და მისი შედეგების შესახებ იხ. ვ. არუთინოვა, სომეხი ქალკედონიტები (რუს.), გვ. 90.

გარემოც შეექმნა. საქართველომ ამ დროს დიდ წარმატებებს მიაღწია საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაში; სომხეთში კი საწინააღმდეგო პროცესი მიმდინარეობდა – მისი დასუსტება, ბიზანტიისა და თურქ სელჩუკთა შემოსევები და გაბატონება, რასაც თან მოჰყვა წვრილ სომხურ პოლიტიკურ ერთეულთა, სამეფოთა (მათ შორის ტაშირ-ძორაკერტისაც) ზედიზედ გაუქმება[1]. ეს კი პოლიტიკურად და იდეოლოგიურადაც ქმნიდა ნოყიერ ნიადაგს, მე-13 ს. მოღვაწის — მხითარ გოშის სიტყვით რომ ვთქვათ, „ამქვეყნიური დიდებისა და ბორცელი განცხრომის“ მაძიებელ „სჯულით სომეხთა“ „გაქართველებისა“ და „გაბერძნებისათვის“, ე. ი. ქართული თუ ბერძნული სარწმუნოების აღიარებისათვის. ამიტომ იყო, რომ ქართული თუ ბერძნული სარწმუნოების მიმდევრები ხდებოდნენ არა მარტო „სჯულით სომეხნი“, არამედ წარმოშობითაც, სომეხი მკვლევრების სიტყვით „სისხლით სომხებიც“ და არა მარტო საქართველოს მოსაზღვრე, არამედ საკუთრივ სომხეთის შიდა, ცენტრალური რაიონების სომხური მოსახლეობაც. სწორედ შიდა რაიონებში იყო ანისის, კარის, ვალაშკერტისა და სხვა ქალკედონური საეპისკოპოსოები, რომელნიც ცოტა გვიან ქართულ ეკლესიას დაუქვემდებარდნენ[2].

„გაქართველება“ კი, ქართული სარწმუნოების მიღებასთან ერთად, ნიშნავდა ქართული ენის გადაქცევას სომეხ-ქალკედონიტთა ეკლესიისა და მწიგნობრობის, ე. ი. კულტურის ენად; ასევე საქართველოს სამეფოს მიერ სომხური ტერიტორიების უშუალოდ შემოერთების შემდეგ, სომეხ ქალკედონიტ საეკლესიო თუ საერო მოღვაწეებისათვის ქართული ენა სახელმწიფოებრივ ენას წარმოადგენდა. ამის შედეგი, ნ. მარის საცნობით სწორი დასკვნით, იყო სომეხი ქალკედონიტების სრული დენაციონალიზაცია, ქალკედონური სომხური მოსახლეობის შერწყმა ქართველებთან და ანდა ერთმორწმუნე ბერძნებთან თუ სირიელებთან[3].

ამიტომ როგორც ქართველ, ასევე იმდროინდელ სომეხ მოღვაწეებს, ე. არუთინოვასი არ იყოს, ქართველებად მიჩნდათ არა მარტო „სისხლით ქართველი“ ქალკედონიტები, არამედ აგრეთვე ქალკედონური რწმენის მიმდევარი არაქართველი წარმოშობის მოღვაწენიც, ქართულ ქვეყანად – ყველა ის კუთხე, სადაც კი წირვა და ლოცვა ქართულ ენაზე აღესრულებოდა.

მართლაც, სარწმუნოებრივად და ენობრივად „გაქართველებული“, თუნდაც არაქართველი წარმოშობის, მაგრამ ქართული საქმისა და სახელმწიფოს მსახური, კულტურულ ისტორიული თუ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით, ცხადია, ქართველად უნდა მივიჩნიოთ.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გაქართველებულმა სომხური წარმოშობის მოსახლეობამ გაქართველებასთან ერთად დაკარგა სომხური ენა. ცხადია, მშობლიური ენა ამის შემდეგაც საკმაო ხანს რჩებოდა მათ სალაპარაკო ენად. მაგრამ მთავარია, რომ გაქართველებული სომხური თუ სხვა წარმოშობის მოსახლეობის ენამ დაკარგა მთავარი ეკლესიის, სარწმუნოებისა და სახელმწიფოებრივი ენის ფუნქცია.

მე-11—მე-12 სს. მიმდინარე ამ საერთოისტორიული პროცესის ბუნებრივი შედეგი იყო, ჩვენი აზრით, მონოფიზიტ მხარგრძელთა მეორე შტოს (ვარამის

---

[1] ს. ერემიანი, სომხეთი (რუს.), გვ. 621—622.

[2] დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა (რუს.), გვ. 81. ნ. მარი, არქაუნი (რუს.), გვ. XXXVII—XXXVIII. ე. არუთინოვა, სომეხი ქალკედონიტები (რუს.), გვ. 88.

[3] ნ. მარი, დასახ. ნაშრომი, გვ. XXXVI.

შთამომავალთა) ადრევე, ხოლო ამ საგვარეულოს პირველი შტოს წარმომადგენელთა, მე-12 ს-ის მიწურულიდან და მე-13 ს-ის დამდეგიდან სარწმუნოებრივად „გაქართველება".

მხარგრძელთა ძირითადი შტოს წარმომადგენელთა შორის, როგორც ჩანს, ივანე მხარგრძელი იყო პირველი, რომელმაც, თამარის ისტორიკოსის სიტყვით, „ნათელ იღო სარწმუნოებასა ზედა ჩუენსა იოანეს მიერ კათალიკოსისა"[1]. ივანეს ნათლღება, ისტორიკოსის თხრობის თანმიმდევრობის მიხედვით, ბასიანის ბრძოლამდე და ქართველთა მიერ ჭ. კარის აღებამდე, ე. ი. მე-12 ს. უკანასკნელ თუ მე-13 ს. პირველ წელს მომხდარა. აღსანიშნავია, რომ ივანეს მაგალითისათვის ბევრ სხვასაც მიუბაძავს და „მრავალი სიმრავლე სომეხთა" მოსულა „ნათლისღებად"[2]. თამარის ისტორიკოსის ამ ცნობას — ივანე მხარგრძელის მოქცევას ქართულ „სარწმუნოებასა ზედა", საეჭვოდ ადასტურებენ სომხური საისტორიო წყაროებიც. ვარდანის მიხედვით, თამარ მეფით „მოხიბლულმა ივანემ უარყო თავისი სარწმუნოება" და ამიტომაც „ამ დროიდანვე დაიწყო მისი მარცხიც" — სხვადასხვა ბრძოლებში, კერძოდ, ივანეს ტყვედ ჩავარდნა ხლათში ვარდანს ამით აქვს ახსნილი[3].

კირაკოსის აზრითაც, „უფრო მეტად ადამიანური დიდებისათვის" ზრუნვა იყო ივანე მხარგრძელის გაქალკედონელობის მიზეზი[4].

ივანე, როგორც სომხური წყაროებიდან ჩანს, თანმიმდევარი ქალკედონელი აღმოჩნდა და მალე თვით სომხურ რწმენასა და ეკლესიას აშკარა ბრძოლა გამოუცხადა. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება იყო, როგორც კირაკოსი არაერთხელ აღნიშნავს, სომხებისათვის მონასტრის წართმევა სპილენძის საბადოებში და მისი გადაკეთება „ქართველთა მონასტრად"[5]. ამ შემთხვევაში, ცხადია, იგულისხმება, ძორაკერტის ხეობის პლნძაჰანქის მონასტერი; აქ ივანეს საამშენებლო მოღვაწეობის შესახებ მოგვითხრობს გრიგოლ ნოსელის წიგნის სომხური თარგმანის მინაწერი: „დაიწერა და დასრულდა წიგნი... ლორეს მახლობლად, მონასტერსა, რომელსაც ეწოდება სპლენძაჰან... მმართველობასა ივანე ათაბაგისასა, აღმშენებლისა მონასტრისასა"[6]. როგორც ლ. მელიქსეთ-ბეგმა მიუთითა, ხელნაწერის „სპლენძაჰან" სავსებით შეესატყვისება ამავე მონასტრის სომხური წარწერების „პლნძაჰანს"[7].

ივანე მხარგრძელის ამ და მსგავსი საქმიანობის გამო ვ. არუთიუნოვა შენიშნავს: «В XII– XIII вв. в Армении чрезвычайно усилилось халкидонистство грузинской ориентации. Представители армянской знати, принимая халкидонистское вероисповедание, не только переставали покровительствовать национальной церкви, но нередко отнимали у нее храмы и монастыри, обращая их в халкидонистские. Именно такая судьба постигла монастырей Хневанк и Плиндзаханк, которые Иванэ Долгорукий (?! Ш. М.)... отнял у армян монофизитов. Грузинские надписи Хневанка свидетельствуют о грузинском вероисповедании армян, монашествовавших в этом монастыре»[8].

---

[1] ისტორიანი, გვ. 123.

[2] იქვე.

[3] ვარდანი, მსოფლიო ისტორია (რუს.), გვ. 170.

[4] კირაკოს განძაკეცი, სომხეთის ისტორია (რუს.), გვ. 88.

[5] იქვე, გვ. 114, 120—121.

[6] ლ. მელიქსეთ-ბეგი, ლორე-ტაშირის ქართული ეპიგრაფიკა, გვ. 315.

[7] იქვე.

[8] ვ. არუთიუნოვა, სომეხი ქალკედონიტები (რუს.), გვ. 90.

პ. მურადიანის აზრითაც, ივანე მხარგრძელმა ჰნევანქიც ქალკედონურად აქცია, პლანძაჰანქის მსგავსად [1], თუმცა საამისო მითითება წყაროებში არ მოიპოვება. თვით სახელწოდება „ჰნევანქი“ „ბერძნულ ეკლესიას“ ნიშნავს, რაც თავიდანვე მის ქალკედონურობას გულისხმობს. ამას გარდა, ჰნევანქზე, როგორც აღინიშნა, სუმბატ ორბელის ქართული წარწერა, რომელიც მოტანილი აქვს პ. მურადიანსაც, მის მიერვე 1144 წლითაა დათარიღებული [2]. აშკარაა, რომ ამ დროიდან მაინც ჰნევანქი ქართული იყო და ქართველებს ეკუთვნოდათ. ამაზე ადრე კი იქნება ის მართლაც ბერძნული იყო, მაგრამ არაფრიდან ჩანს, რომ ის როდისმე ყოფილიყო სომხური, ანტიქალკედონური, რომ ივანე მხარგრძელს მისი „გაქართველება“ დასჭირვებოდა. მიუხედავად ზემოთქმულისა, ვ. არუთიუნოვას დასკვნა ძირითადად მაინც სწორია. მართლაც, ქართულ ქალკედონურ რწმენას მიმხრობილნი, ცხადია, ვერ იქხებოდნენ სომხური ეკლესიის მფარველნი. ამიტომაა, რომ ივანე მხარგრძელი ამიერიდან გვეელინება არამარტო გადაკეთებული, არამედ საკუთრივ ქართული, ქალკედონური ეკლესია-მონასტრების მზრუნველადაც.

ნათლისმცემლის მონასტრის საბუთებში აღმოჩნდა თამარის ხანის რომელიღაც, ს. კაკაბაძის აზრით, ბოლნისის მახლობლად მდებარე მონასტრის ქართული ტიპიკონის ნაწყვეტი, სადაც ნათქვამია: „ი ვ ა ნ ე მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ მ ა ნ ა, მსახურთუხუცესმან დიდი სასოებაჲ და გულისმოდგინებაჲ აჩუმნა ამის დედისა ღუთისა მიმართ და საყოფელისა და რომელ მონასტერსა... საბოსტნე და სავენაკე რომელი დიდად ეკმარ (...) ესე ვალანის ქუეშაბაგან იყიდა... და დედასა ღუთისასა შემოსწირა“ [3].

ივანე მხარგრძელი არ ერიდებოდა, როგორც ჩანს, თვითონაც აქტიურად ჩარეულიყო ანტიქალკედონური ეკლესიის გავლენის წინააღმდეგ ბრძოლაში და ზოგიერთი უკიდურესი ღონისძიებისთვისაც კი მიემართა; ასე მაგალითად, ვარდანის ცნობით, სწორედ ივანეს უბრძანებია ერთ-ერთი სომეხი მღვდლის საფლავის თაყვანსაცემად მოსული სომხების დასაცინად მღვდლის გვამი საფლავიდან ამოეთხარათ, დაეწვათ, ხოლო მის საფლავზე ძაღლი დაეკლათ [4]. ასეთი რამ უფრო ფანატიკოს ქალკედონელის ღონისძიებას წააგავს, ვიდრე „ამქვეყნიური დიდების მოსაპოვებლად“ ქართულ ეკლესიას მიკედლებული დიდმოხელისას. ამ თვალსაზრისით, გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს ჟამთააღმწერლის ცნობაც ივანე მხარგრძელის „ფარულად შემონაზვნების“ შესახებ: ხვარაზმელთა წინააღმდეგ ბრძოლის წინ რუსუდანმა „მოუწოდა ივანე ათაბაგსა, რომელი მას ჟამსა მიმკცოვნებული იყო, არა განცხადებულად, არამედ ფარულად მონაზონ ქმნილი იყო“ [5]. როგორც ჩანს, ივანე მხარგრძელი მართლაც ბოლომდე ყოფი-

---

[1] პ. მ უ რ ა დ ი ა ნ ი, ქართული წარწერები, (სომხ.), გვ. 38.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 35.

[3] ს. ქ ა კ ა ბ ა ძ ე, წმინდა, I, 1914, გვ. 37.

[4] ვ ა რ დ ა ნ ი, მსოფლიო ისტორია (რუს.), გვ. 176.

[5] ჟამთააღმწერელი, გვ. 169; როგორც ჩანს, სწორედ ამან მისცა საფუძველი თ. ჟორდანიას „ვალანის ქუაბთა განგების“ შემდგენელ მხარგრძელად ივანე მიეჩნია, ხოლო იქვე მოხსენიებული სარგის მხარგრძელის ძე მის შვილად, რომელიც მართლაც სარგისად იწოდებოდა. იქნებ „ფარულად მონაზონობა“ მას აიძულებდა თავისი სახელი დაეშალა, არ მოეხსენებინა, მაგრამ სარგისის ძეობა კი აღენიშნა (ივანე ხომ სარგისის ძე იყო) (იხ. თ. ჟორდანია, ისშმ, გვ. 29—30). თ. ჟორდანიას ვარაუდი არ არის საფუძველმოკლებული, თუმცა მას საეჭვოდ ხდის არაერთი გარემოება, მათ შორის ის, რომ ამ დროს თმოგვი და მისი მომდგომი მხარეები, როგორც ჩანს ვაჰანიც, მხარგრძელთა მეორე შტოს ეკუთვნოდა.

ლა ქართული რწმენის მიმდევარი და დამცველი. ამგვარადვე მთელი მისი ოჯახიც, როგორც მეუღლე, ასევე შთამომავლობაც.

ივანეს მეუღლე ხოშა (ხოშაქი) ერთგული მიმდევარი იყო ქართული სარწმუნოებისა და, როგორც ჩანს, ამშენებელი არაერთი ქართული ეკლესიისა. სწორედ მის, ხოშას სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული ეკლესია, რომელიც მდებარეობს ლორე-ტაშირში, ყარაღაჯის მთის ჩრდილოეთით, ლორეს ველის დასავლეთით და რომელიც „ხოშა ქილისას“ სახელით არის ცნობილი. როგორც ჩანს, ეკლესიის ეს სახელწოდება სოფელზედაც გავრცელებულა და შემდეგ, მე-18 საუკუნიდან, შაჰნაზარად წოდებული სოფლის სახელად ქცეულა. როგორც ამ სოფლის ქვედა ეკლესიის ქართული წარწერიდან ჩანს, იგი ადრე, დემეტრე 1 ლის დროს აუშენებიათ [1], მაგრამ მერე, ალბათ მე-12 ს. მიწურულს თუ მე-13 ს. დამდეგს მხარგრძელთა, კერძოდ, ივანეს მეუღლის ხელში გადასულა და ამიტომაც შეერქვა დროთა ვითარებაში მას „ხოშა ქილისა“. საკუთრივ სომხეთის ტერიტორიაზეც არაერთია, როგორც ჩანს, ხოშას სახელთან დაკავშირებული ეკლესია-მონასტრები. იქნებ ხოშას ნამოღვაწარის კვალით აიხსნებოდეს მდ. ასურთანზე ქ. ანისის ნანგრევების ჩრდილო აღმოსავლეთით 15 კმ. მანძილზე მდებარე, ადრე გორგომის-ვანქად (ბერძნულ მონასტრად) წოდებული ეკლესიის შემდეგდროინდელი სახელი ხოშა-ვანქი, რომელიც გარკვეულ დროს (მე-12 — მე-13 სს.) მხარგრძელებს ეკუთვნოდათ [2]. „ხოშა ვანქი“ იყო აგრეთვე ვაიაცძორში, გორაშაკანბერდის ჩრდილო-აღმოსავლეთით, რომელიც ადრე, სომხური წარწერების მიხედვით, „ცახ-კარის“ (*ցախաքարի*) „ცახაც-კარის“ (ცხრა-კარი?) მონასტრად იყო სახელდებული და აგრეთვე მხარგრძელებს ეკუთვნოდათ [3]. თუ მართლაც ამ ეკლესიათა მე-12– მე 13 სს. სახელები ივანე ათაბაგის მეუღლის ხოშას (ხოშაქის) სახელთანაა დაკავშირებული, რა თქმა უნდა, დასახელებული მონასტრები გარკვეულ დროს ქართული, მართლმადიდებლური იქნებოდნენ. ხოშა ივანე მხარგრძელის ოჯახში, მასთან ერთად ის პირია, რომელიც, როგორც ჩანს, აქტიურად იბრძოდა ქალკედონობის გავრცელებისათვის სომხეთში და „სჯულით სომეხთა“ ფეოდალურ საგვარეულოებში. ვარდანის ცნობით, სწორედ ხოშაქმა ქალკედონურ სჯულზე მონათლა ზაქარია მხარგრძელის მცირეწლოვანი მემკვიდრე შაჰანშაჰი (შანშა) [4]. სწორედ ეს და სხვა მსგავსი „ცოდვანი“ ივანეს ოჯახისა, კერძოდ კი სხვა „ახალი გაუგონარი დანაშაულობანი“ ივანესი იყო, ვარდანის აზრით, გარნისის ბრძოლაში მისი დამარცხების მიზეზი [5].

---

[1] ლ. მელიქსეთ-ბეგი, ლორე-ტაშირის ეპიგრაფიკა, გვ. 320.

[2] დ. ბაქრაძე, კავკასიის ქრისტიანობის ძველი ძეგლები (რუს.), აქტები, V, 1873, გვ. 1094—1095.

[3] აქტები, გვ. 1095; შდრ. МАК, вып. XIII, 1916, გვ. 107—108.

[4] ვარდანი, მსოფლიო ისტორია (რუს.), გვ. 172: აღსანიშნავია ერთი დეტალი: ვარდანის ისტორიის“ ნ. ემინის მიერ გამოცემულ თარგმანში ეს ადგილი ამოთხვა: «Божий гнев был на Иване за новое неслыханное злодейство им совершенное» და შემდეგ მოთხრობილია ზემომოტანილი ამბები სომეხი მღვდლის საფლავიდან ამოთხრის შესახებ (იხ. История, 1861, გვ. 176). კ. პატკანოვს, როგორც ჩანს, უხერხულად მოუჩვენია ივანეს ასეთი საქციელის აღნიშვნა და ყველაფერი ეს მისი მეუღლისათვის გადაუბრალებია, საამისო „შესწორება“ ყუროშიც შეუტანია და ვარდანის თხზულების ეს ადგილი ამგვარად უთარგმნია: «Это поражение было ниспослано богом на Ивана в наказание за новое и неслыханное преступление его жены...» (იხ. История монголов по армянским источникам, в. I, 1873, გვ. 4), მაშინ როცა ვარდანის ისტორიის დედ ნში ივანეს მეუღლე ამ შემთხვევაში საერთოდ არ არის ნახსენები.

[5] ვარდანი, მსოფლიო ისტორია (რუს.), გვ. 176.

ივანესა და ხოშას ეკუთვნით აგრეთვე კოშის („გურჯი ქილისად" წოდებული) მონასტრის ქართული წარწერა, რომლითაც სოფ. კოშის მოსახლენი გაათავისუფლა გამოსაღებებისაგან და ბეგრად მხოლოდ „ერთი საკვნელი" დაუტოვა [1]. აღსანიშნავია, რომ ს. კოში და მისი ეკლესია ეჩმიაძინიდან მისი ჩრდილო-დასავლეთით 25 კილომეტრზე, ბოლო ერევნიდან 45 კმ-ზე მდებარეობს. ჭალკედონურ ეკლესია მონასტრებს, როგორც ჩანს, ივანესა და მისი ოჯახის წყალობით, ფართოდ გაუბამთ ქსელი სომხეთის სამეფოთა ყოფილ ტერიტორიებზე სხვადასხვა კუთხეებში.

ივანესა და ხოშაქის შვილები, კერძოდ მათი ძე სარგისი (ავაგ სარგისი) და ქალიშვილი თამთა, ცხადია, ქალკედონური (ქართული) სარწმუნოების მიმდევრები იყვნენ თავიანთი მამისა და დედის მსგავსად. პღანძაჰანქის ეკლესიაში, რომელიც, კირაკოსის სიტყვით, ივანე მხარგრძელმა სომხებს წაართვა და ქართულ მონასტრად გადააკეთა, და სადაც ის დაიმარხა [2], ჰქონდა თავისი სამწირველო ავაგ-ათაბაგსაც. ახტალის (პღანძაჰანქის) სამონასტრო კომპლექსის ერთ-ერთ სამლოცველოს ქართულ ასომთავრულ წარწერაში ნათქვამია: „შე უღირსი... პეტრე ღირს ვიქმნენ ამშენებლად ეგუტერისა ამის... სადიდებლად... პირველ პატრონთა და გამზრდელთა... ყოველნო ძმანო, ვინცა პატრონისა ავაგ ათაბაგისა სამწირველოსა, ჩემგნით აღმშენებულსა ზედა ღირს იყოს და ეღირსოთ პირველ პატრონთა და თქუენცა სული მანეე დაუკლებლად" [3]. აქვე, ამავე მონასტერში, კირაკოსის ცნობით, თავის მამის საძვალეში დაიმარხა ავაგ-ათაბაგი: „ამის შემდეგ (1249 წ. შემდეგ, შ. მ.) მალე გარდაიცვალა ავაგი და დამარხეს პღნძაჰანში, თავისი მამის საძვალეში. სამფლობელო მისი გადაეცა ზაქარეს, შანშეს ძეს, ავაგის ბიძაშვილს რაკი ავაგს არ ჰყავდა შვილი, გარდა ერთი მცირეწლოვანი გოგოსი" [4].

როგორც ვხედავთ, ივანე მხარგრძელის ერთადერთი ძეც გარდაიცვალა როგორც „სჯულითაც ქართველი" და დაიმარხა ქართულსავე მონასტერში. მაგრამ, „მართლმადიდებელ მხარგრძელთა გვარი" ავაგის სიკვდილით არ დასრულებულა, როგორც ამას ვარაუდობდა თ. ჟორდანია [5]. სათანადო მასალებიდან ირკვევა, რომ იმ „პატარა გოგომ", რომელიც დარჩა ავაგის სახლის ერთადერთ მემკვიდრედ, მიუხედავად არცთუ ხელშემწყობი პირობებისა, მტკიცედ შეინარჩუნა თავისი ოჯახის ქართული მართლმადიდებლური ტრადიციები.

კირაკოსის მიერ ზემოდასახელებული „პატარა გოგო" იყო ავაგის ასული ხოშაქი, თავისი ბებიის მოსახელე და როგორც ირკვევა, მისი საქმეთა გამგრძელებელიც ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის შენების საქმეში.

ჩვენი აზრით, ავაგის ასულს ხოშაქს უნდა ეკუთვნოდეს ბიეთის ტაძრის აშენება სამცხეში, აწყურის მახლობლად. ე. თაყაიშვილმა ბიეთის ტაძრის მშენებლად, წარწერის მიხედვით, თამარის დროის მოღვაწე ხვაშაქ ცოქალი, რატი სურამელის დედა მიიჩნია. მისივე სიტყვით, ბიეთის ეკლესიის წარწერაცა და ეკლესიაც მე-12—მე-13 სს. ადრინდელი არ უნდა იყოს [6].

ვ. ბერიძემ საგანგებოდ შეისწავლა ბიეთის ტაძარი და ძეგლის არქიტექ-

---

[1] ა. შანიძე, კოშის წარწერა (რუს.), გვ. 8—9.

[2] კირაკოს განძაკეცი, ისტორია (რუს.), გვ. 114, 121.

[3] ლ. მელიქსეთ-ბეგი, ლორე ტაშირის ეპიგრაფიკა, გვ. 316; ე. თაყაიშვილი, ახტალის წარწერა (რუს.), გვ. 141.

[4] კირაკოს განძაკეცი, სომხეთის ისტორია (რუს.), გვ. 14.

[5] თ. ჟორდანია, ისშ, გვ. 22.

[6] MAK, XII, გვ. 5.

ტურისა და დეკორის ანალიზის მიხედვით იგი მე-13—მე-14 სს. მიჯნას, უფრო კი მე-14 ს. მიაკუთვნა[1]. ამასთანავე, მან ზედმეტად და უსარგებლოდ ჩათვალა ბიეთის თარიღის დაზუსტების ცდა. მით უფრო, რომ, მისი სიტყვით, „ხელმოსაჭიდი არაფერი გვაქვს“ ხში-ს ქარაგმის სწორად ამოხსნისათვის და წარწერის პიხედვით თარიღის საკითხის გადასაწყვეტად[2]. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შესაძლებლად მივიჩნევთ ხელახლა დავსვათ საკითხი წარწერის მიხედვით ბიეთის ტაძრის მეტ ნაკლები სიზუსტით დათარიღების შესახებ.

ბიეთის პირველ წარწერაზე იკითხება „ქე ადდე ხში რლ ესე საყდარი [აღაშენა]“. მეორეზე: „ქ. წ ო ღ თის მშობელო მეოხ ეყავ ხ შსა შვილითურთ ორთე ე შ ნა ცხოვრებასა“[3]. როგორც ირკვევა, ტაძრის აშენებელია ვინმე ხში, რომელსაც ერთი შვილი ჰყავს. დაქარაგმებული სახელი ხ ში-ს სწორად გახსნის საშუალებას იძლევა ამავე სახელის მეორეჯერ (ხშ ს) დაქარაგმება და ა. შანიძის მიერ გამოქვეყნებული კოშის წარწერის ასევე დაქარაგმებული სახელის „ხ შ მ ან“ მის მიერვე მოცემული გახსნა. როგორც ვხედავთ, ბიეთისა და კოშის წარწერაში საკუთარი სახელი ერთნაირადაა დაქარაგმებული მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბიეთის წარწერაში ეს სახელი ერთ შემთხვევაში სახელობით ბრუნვაშია (ხ ში), მეორეში მიცემითში (ხშ სა), ხოლო კოშის წარწერაში მოთხრობითში (ხშ მან).

ა. შანიძემ კოშის წარწერის „ხ შ მან“, სრულიად მართებულად, წაიკითხა როგორც „ხოშამან“. ივანე ათაბაგის მეუღლის სახელი „ხოშა“ კი მანვე ხოშაკ — ხოშაქ-ის მე-12 ს. ქართულისათვის დამახასიათებელ წარმოებად მიიჩნია, აკ-ზე დაბოლოებულ (მუშაკი — მუშა, დანაკი — დანა, აგარაკი — აგარა) მსგავსად წარმოქმნილად, რომელთაც მე-12 საუკუნიდან თანდათან დაკარგეს ბოლო თანხმოვანი და გადავიდნენ ხმოვნებით დაბოლოებულ სიტყვათა ჯგუფში[4]. ასე რომ ბიეთის პირველ წარწერაში ხ ში შეიძლება გაიხსნას, მხოლოდ როგორც „ხოშაი“, ხოლო მეორე წარწერაში კი როგორც „ხოშასა“.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ „ხოშა“ ქალის სახელია; ამრიგად, ბიეთის ტაძრის მშენებელია ხოშა, დედა ერთი შვილისა. ამას გარდა, ის რატომღაც არ იხსენიებს მეუღლეს არც ცოცხალთა შორის და არც გარდაცვლილად.

მაგრამ მაინც ვინ უნდა იყოს ბიეთის მაშენებელი ხოშა? მე-12 ს. მეორე ნახევრისა და მე-13 ს. საქართველოს ისტორია იცნობს სამ ხოშაქს: ა) რატი სურამელის დედა ხვაშაქ ცოქალი, ბ) ხოშა (ხოშაქი) ივანე მხარგრძელის მეუღლე და გ) ხოშაქი (ხოშა) ივანე მხარგრძელის შვილიშვილი, ავაგ-სარგისის ასული.

ბიეთის წარწერა და თვითონ ტაძარი, როგორც ეს ვ. ბერიძემ დაადგინა, არ შეიძლება ეკუთვნოდეს მე-12—მე-13 სს. მიჯნას და მაშასადამე ამ ტაძრის მშენებელი და წარწერის გამკეთებელი არ შეიძლება ხვაშაქ ცოქალი იყოს[5]. წარწერა (და, მაშასადამე, ეკლესიის აშენებაც) არ შეიძლება ეკუთვნოდეს აგრეთვე ივანე ათაბაგის მეუღლეს ხოშაქს. ჯერ ერთი, მას საკუთრივ ორი შვილი — ავაგ სარგისი და თამთა ჰყავდა; ამას გარდა, წარწერებში იგი ხშირად თავის შვილად იხსენიებს აგრეთვე შანშესაც, ზაქარიას ძეს, ასე რომ ზოგ მკვლევარს შანშე ივანესა და ხოშაქის შვილიშვილადაც კი მიაჩნია. საქმარისია ამ შემთხვევაში მხოლოდ კოშის წარწერა დაგვემოწმებინა, სადაც ხოშა თა-

---

[1] ვ. ბ ე რ ი ძ ე, სამცხის ხუროთმოძღვრება, 1955, გვ. 155—164.
[2] ვ. ბ ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ. 1955, გვ. 163.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 163, MAK, XII ს., 1909, გვ. 4—5.
[4] ა. შ ა ნ ი ძ ე, კოშის წარწერა (რუს.), გვ. 11.
[5] ვ. ბ ე რ ი ძ ე, სამცხის ხუროთმოძღვრება, გვ. 163.

ეის თავს „შანშესა და მისთა ძმათა დედას“ უწოდებს[1]. ამგვარად, ორი ვაჟი-შვილის მშობლებად მოიხსენიებიან ივანე და ხოშაჩი სომხურ, მაგ., ანისის წარწერებში[2]. ასე რომ ბიეთის წარწერაზე მეუღლის გარეშე, და ისიც ერთი შვილით, მოხსენიებული ხოშა არ შეიძლება იყოს ივანე მხარგრძელის მეუღლე.

როგორც ჩანს, ბიეთის წარწერის ხოშა უნდა იყოს ავაგ სარგისის ასული ხოშაქი. ხოშაქი ავაგის ასული საკმაოდ კარგად არის ცნობილი ქართული (ჟამთააღმწერელი) და სომხური (კირაკოსი, სტეფანოსი) წყაროებით. იგი მისი დედის, რაჭის ერისთავთა, კახაბერისძეთა ასულის გვანცას ულუ-დაეითზე გათხოვების შემდეგ დარჩა „მამულსა თჳსსა ზედა“ სადუნ მანკაბერდელის მეურვეობით[3]. მალე სადუნი ხოშაქის ეჯიბად იქცა, ხოლო თეით ხოშაქი ჯერ ჰულაგუსა (1256—1265), ხოლო შემდეგ აბაღა (1265 –1282) ყაენის ვაზირს, საჰიბ დივანს, ხოჯა შამსადინს მისთხოვდა[4]. ეს, სტეფანოს ორბელიანის მიხედვით, 1269 წელს, სუმბატ ორბელიანის ინიციატივით მომხდარა[5]. ხოჯა შამსადინი არღუნის გაყაენების (1284 წ.) დროისათვის უკვე ცოცხალი აღარ იყო. ამით აიხსნება, რომ არღუნმა „სახლი ავაგ ათაბაგისა, რომელი აქუნდა საჰიბ დივანს“, მისცა დემეტრე მეორეს[6]. მაგრამ საჰიბ დივნის მეუღლე ხოშაქი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო: დემეტრე II ურდოში წასვლის წინ „მივიდა ქეუყანასა ხუამაგისა ავაგის ასულისა, მუნ დახუდა ძე მისი დავით, რომელი იგიცა წარიტანა“[7]. ამის შემდეგ, ხვაშაქ ავაგის ასულის ხსენება ჟამთააღმწერლის თხზულებაში წყდება. როგორც ჩანს, იგი მე-14 ს. დამდეგისათვის უკვე ცოცხალი აღარ უნდა იყოს. ამ დროს, მე-14 ს. პირველ წლებში, გიორგი ბრწყინვალის გამეფებასთან დაკავშირებით პირველად მოიხსენიება საქართველოს მთავართა შორის „ზაქარია, ავაგის ასულის ხუშაგის ნაშობი“[8]. ასე რომ ზაქარია, ხოშაქის შვილი, მე-13 ს. მიწურულისა და მე-14 ს. დამდეგის მოღვაწეა. ბიეთის წარწერაში, როგორც ვნახეთ, ხოშა (ხოშაქი) შვილითურთ იხსენიება; ამას გარდა, აქ არაა დასახელებული ხოშაქის მეუღლე. ეს შემთხვევითი არ არის: ცხადია, ხოშაქი მონღოლთა ვაზირის, ხოჯა შამსადინის დღეგრძელობასა თუ სულს ვერ შეავედრებდა ბიეთის ქართულ მართლმადიდებლურ საყდარს.

ამრიგად, ბიეთის წარწერა და, მაშასადამე, ბიეთის ეკლესიის შენებაც მე-13 ს. მიწურულს უნდა მიეკუთვნოთ. ცხადია, ბიეთის მაშენებელი ხოშა (ხოშაქი) ქართველია და ქ რთული მართლმადიდებლური რწმენის მიმდევარი. ასევე შეიძლება ითქვას მისი შვილის ზაქარიას შესახებაც, რომელიც ქართველ მთავართა შორის არის მოხსენიებული და რომლის დღეგრძელობაც მისმა დედამ ბიეთის ტაძარს შეავედრა. შემთხვევითი არ არის, რომ ქართული წყარო ზაქარიას ხოჯა შამსადინის კი არა, ხვაშაქის ძეობით მოიხსენიებს. სხვაგვარად ალბათ არც წარმოიდგინებოდა ივანე მხარგრძელის მემკვიდრისა და კახაბერისძეთა საგვარეულოს ასულის ოჯახის შთამომავალთა რელიგიური კუთვნილება.

---

[1] ა. შანიძე, დასახ. წერილი, გვ. 8.

[2] ნ. ემინი, სომსური წარწერები (სომხ.), გვ. 51.

[3] ჟამთააღმწერელი, გვ. 237.

[4] იქვე, გვ. 251, 257.

[5] სტეფანოს ორბელიანი, სიუნიეთის ისტორია (სომხ.), გვ. 416. რუსული თარგ., გვ. 37.

[6] ჟამთააღმწერელი, II, გვ. 285.

[7] იქვე, გვ. 289.

[8] იქვე, გვ. 324.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ივანეს ოჯახის კიდევ ერთი წევრის — თამთას შესახებ დაცული წყაროები. ხლათისათვის ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდნილი ივანე მხარგრძელის დახსნის ერთი პირობა მისი ქალიშვილის თამთას, აუხადზე მითხოვება იყო (კირაკოსის მიხედვით). ასედაც მოხდა 1201-11 წლებში და ამგვარად თამთა იქცა ხლათის იმდროინდელ მფლობელთა ჯერ აუხადის, ხოლო შემდეგ მისი ძმის აშრაფის მეუღლედ [1]. მე-13 ს. 30-იან წლებში, ხლათის აღების შემდეგ, თამთა ერთხანს ჯალალ ედდინის ტყვეობაში იყო, ხოლო შემდეგ მონღოლებისა, რომლებმაც რუსუდანის თხოვნით ის ისევ დააბრუნეს თავის სამფლობელოში — ხლათსა და მის მიმდგომ ქვეყნებში [2].

თამთას, როგორც „გურჯი ქალბატონის" (gordjiet, ასე იცნობენ მას აღმოსავლური წყაროები) სახელი ფართოდ იყო ცნობილი იმდროინდელ აღმოსავლეთში. კირაკოსის მიხედვით, თამთას დაჭორწინებამ სულტანზე „დიდი სარგებლობა მოუტანა (ქრისტიანებს)", რაკი ამან შეუმსუბუქა გამოსაღებები იმ ქვეყნების მონასტრებს, რომლებიც სულტანთა ხელქვეით მყოფ ტერიტორიებზე მდებარეობდა. განსაკუთრებით კი, კირაკოსის სიტყვით, „გაფართოვდა ქართველთა უფლებები", რაკი ივანე (და, მაშასადამე, იგულისხმება მისი ქალიშვილიც) ქალკედონური სარწმუნოების მიმდევარი იყო. „ამიტომ, წერს კირაკოსი, (სულტნები) უფრო პატივს სცემდნენ ქართველებს, რომელნიც მათს (მაჰმადიანთა) არც ერთ ქალაქში და ასევე იერუსალიმში არ იხდიდნენ არავითარ გამოსაღებს... ამგვარად დაამყარა მშვიდობა და თანხმობა ქართველთა სამეფოსა და სულტანის სახელმწიფოს შორის" თამთამ [3]. ცხადია, ყველაფერი ეს, რაზეც ამ შემთხვევაში კირაკოსი წერს, არ შეიძლება მხოლოდ თამთას დამსახურებად მივიჩნიოთ, მაგრამ ფაქტია, რომ ეს „გურჯი ქალბატონი" ამ მხრივ დიდი გავლენით სარგებლობდა მეზობელ მუსლიმანურ ქვეყნებში.

აღმოსავლური წყაროები თამთას შემთხვევით როდი უწოდებენ „ქართველს". იგი ქართველი იყო არა მარტო თავისი რწმენით, არამედ ენითაც, კულტურითაც და, როგორც ირკვევა, ასევე დარჩა იგი ხლათის მაჰმადიან მფლობელთა სასახლეშიც. საინტერესოა, რომ ი. ორბელმა მის მიერ ვანში (თურქეთში) ნაყიდი, მაგრამ ხლათში აღმოჩენილი ბრინჯაოს კანდელი (лампада) ქართულარაბული წარწერებით, ეარაუდით თამთას მიაკუთვნა. ეს კანდელი მრავალმხრივ იქცევს ყურადღებას. მასზე რელიეფურად გამოსახულია ღვთისმშობლის, მთავარანგელოზის, წმ. გიორგისა და სხვათა ფიგურები. ამ უკანასკნელს ამშვენებს ქართული ასომთავრული წარწერა — „წმიდა გიორგი". კანდელზე გაკეთებულია აგრეთვე ორნამენტად გამოყენებული არაბული წარწერაც: „ქებათილდღეობა, ბედნიერება, დიდება" [4].

კანდელი ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის გამოსახულებით, ქართული და არაბული, მუსლიმანურ ორნამენტებად გამოყენებული წარწერით, ი. ორბელის სიტყვით, წარმოადგენს ერთ მთლიანს [5], რაც იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ კანდელი ხლათშიევე, თამთას დაკვეთით უნდა იყოს გაკეთებული.

---

[1] კირაკოს განძაკეცი, ისტორია (რუს.), გვ. 87; შდრ. ი. ჯავახიშვილი, ქეი, II, გვ. 282—283. ზოგი მკვლევარი ხლათისათვის ბრძოლას და ივანეს ტყვედ ჩავარდნას 1207 წლით ათარიღებს.

[2] კირაკოს განძაკეცი, ისტორია (რუს.), გვ. 116, 145.

[3] იქვე, გვ. 88.

[4] ი. ორბელი, ქართული კანდელი არაბული წარწერებით (რუს.), გვ. 336—340.

[5] იქვე, გვ. 338.

ინტერესმოკლებული არ არის აგრეთვე ისიც, რომ იოანე მხარგრძელსა და მის ოჯახს უცხოელებიც მხოლოდ ქართულად და ქართველების ოჯახად იცნობდნენ. ასე მაგალითად, ჩვენს მიერ ზემოხსენებული ან-ნასაჲი ავაგ-სარგისს „იოანე ალგურჯის (ქართველის) შვილად“ მოიხსენიებს[1].

ამრიგად, განხილული მასალებიდან საკმაოდ ნათლად ირკვევა, რომ მხარგრძელთა საგვარეულოს პირველი შტოს წარმომადგენლის „იოანეს სახლი“, თვით იოანე და მისი შთამომავლობა, რელიგიურადაც ქართველები იყვნენ.

ახლა კი მხარგრძელთა პირველი შტოს „ზაქარიას სახლის“ შთამომაელობასა და მათ რელიგიურ კუთვნილებას შევეხოთ.

ზაქარია მხარგრძელი, როგორც ცნობილია, ერთადერთი იყო მხარგრძელთა საგვარეულოს ორივე შტოში, რომელიც, თამარის ისტორიკოსის სიტყვით, ბოლომდე „ეგოვე ურწმუნოებასა ზედა თვისსა“ [2], ე. ი. რომელმაც არ შეიცვალა „სჯული სომხობა“ თამარის დროს ჩატარებული ქართველ-სომეხთა პაექრობის შემდეგაც[3]. ზაქარიას დარჩენას „სომხურ სჯულზე“ საგანგებოდ ხაზს უსვამენ სომეხი ისტორიკოსებიც: „ზაქარია კი დარჩა ერთგული სომხური ჩართლმადიდებლობისა“ — წერდა კირაკოსი...[4] ამასვე აღნიშნავდა ვარდანიც. ოღონდ როგორც ერთი, ისე მეორე ისტორიკოსი ერთგვარ უკმაყოფილებას ამჟღავნებენ და არც ზაქარიას მიიჩნევენ ორთოდოქს ანტიქალკედონიტად. ეს კარგად ჩანს ვარდანის შემდეგი სიტყვებიდან: „უფროსი ძმა ზაქარე, მართალია, დარჩა თავის მშობლიურ რწმენაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოინდომა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეტანა სომხური ეკლესიის საკალენდრო სისტემაში[5]. ვარდანსა და კირაკოსსაც საგანგებოდ აქვთ ჩამოთვლილი ყველაფერი ის, რა ღონისძიების გატარებასაც მოითხოვდა ზაქარია მხარგრძელი, მათვე კარგად ესმოდათ ამ ღონისძიებათა მიზანიც — სომხური ეკლესიის დაახლოება ქართულთან, სომეხი ხალხის გათქვეფა ქართველებთან და თვით ზაქარიას ქართულ სჯულზე მოქცევა[6].

პირველ რიგში, საქმე შეეხებოდა სალაშქრო ყოფნის დროს საველე, სალაშქრო ეკლესიებსა და მოლაშქრეთათვის საეკლესიო დღესასწაულების აღნიშვნას. კირაკოსის სიტყვით, სომეხ მოლაშქრეებს „ქართველები დასცინოდნენ, რაკი მათ არ ჰქონდათ საველე ეკლესიები... და არ იხდიდნენ საეკლესიო დღესასწაულებს[7].

ზაქარიამ ჯერ თავისი „სულიერი მამისაგან“ მხითარ გოშისაგან მიიღო სათანადო ისტორიული ცნობები ასეთი „სალაშქრო ეკლესიების“ სომეხთა რაზმებში თრდატ მეფის დროიდან არსებობის შესახებ, ხოლო შემდეგ თვითონაც მოითხოვა ასეთი ეკლესიების შექმნა. მაგრამ საამისოდ სომეხთა კათალიკოსისა და კილიკიის მეფის ნებართვა იყო საჭირო. ესეც, სათანადო მიმოწერის შემდეგ, მიღებულ იქნა — კათალიკოსმა ოვანესმა და მეფე ლეონმა ზაქარიას, სა-

---

1 ზ. ბუნიატოვი, ან-ნასაჲს ცნობები (რუს.), გვ. 165.

2 ისტორიანი, გვ. 90.

3 ისტორიანი, გვ. 90. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 123.

4 კირაკოს განძაკეცი, ისტორია (რუს.), გვ. 88.

5 ვარდანი, მსოფლიო ისტორია (რუს.), გვ. 170.

6 კირაკოს განძაკეცი, ისტორია (რუს.), გვ. 92; ვარდანი, მსოფლიო ისტორია (რუს.), გვ. 170—171.

7 კირაკოს განძაკეცი, ისტორია (რუს.), გვ. 83.

განგებო საეკლესიო კრების თანხმობასთან ერთად, გუმბათოვანი კარავიც (სალაშქრო ეკლესია) საკურთხეველთა და სათანადო მღვდელთმსახურებითურთ, გამოუგზავნა[1].

ამის შემდეგ თვით საეკლესიო კალენდარში ცვლილების შეტანის საკითხიც დადგა. ვარდანისა და კირაკოსის სიტყვით, ზაქარია მოითხოვდა ღვთისმშობლის მიძინება 15 აგვისტოს, ხარება 6 აპრილს და ჯვრის ამაღლება 14 სექტემბერს ედღესასწაულათ. ამას გარდა, შობისა და აღდგომის დამდეგს საღამომდე არაფერი ეჭამათ და დაკმაყოფილებულიყვნენ მხოლოდ თევზითა და ზეთით; მონაზვნებს ეკრძალებოდათ ხორცეულის ჭამა; წირვით უნდა ესმასხურათ არა მარტო გარდაცვლილთათვის, არამედ ცოცხალთათვისაც და სხვ[2].

ასეთი ცვლილებები საეკლესიო კრების მსჯელობის საგანი უნდა გამხდარიყო. მართლაც, ზაქარიას ინიციატივითა და ბრძანებით, ამ საკითხების განხილვას ორი: ლორესი — 1205 წ. და ანისისა — 1207 წ. საგანგებო საეკლესიო კრება მიეძღვნა. კირაკოსს თავისი „ისტორიის“ ერთ-ერთ თავში აქვს საუბარი იმ „კრებების შესახებ, რომელიც ზაქარიამ მოიწვია ზოგი საკითხის გამო“.

როგორც კირაკოსის მოთხრობიდან ჩანს, ზაქარია კრებებს თავის შეხედულებებს კარნახობდა და ყოველგვარ მეთოდს იყენებდა მის განსახორციელებლად. როცა კრებამ არ მიიღო მისი მოთხოვნები, „ზაქარიამ ძალით მოინდომა მათი გატარება“. ამან კი კიდევ უფრო მეტი მღელვარება გამოიწვია, ზაქარიას მომხრენი და მოწინააღმდეგენი მახვილებითაც კი ემუქრებოდნენ ერთმანეთს. ზაქარიას მომხრე ეპისკოპოსი მინასი და მისი თანმხლებნი მოწინააღმდეგეებმა ჯოხებით სცემეს და დაღუპეს კიდეც. ზაქარიამ კი მთავარეპისკოპოსი გრიგორი დაიჭირა და ციხეში ჩააგდო, მაგრამ კრება მაინც არ მიდიოდა დათმობაზე. ამიტომ, ორი წლის შემდეგ, უკვე ანისის საეკლესიო კრებაზე მან ხელახლა დასვა იგივე საკითხები. ზაქარია ამჯერად მხითარ გოშის ავტორიტეტის გამოყენებას შეეცადა. გოში ძალით მოიყვანეს ამირსპასალარის სასახლეში და იგი აქედან, ზაქარიას კარნახით, უთვლიდა კრებას თავის მოსაზრებებს. ვერც ამ ღონისძიებამ გაჯერა, რადგან მხითარ გოში უფრო ამ წინააღმდეგობათა შემარიგებლის როლში გამოდიოდა და წინ აღუდგებოდა როგორც ერთ, ისე მეორე უკიდურესობას – მაღალ საეკლესიო ხელისუფალთა წინააღმდეგ უხეში ფიზიკური ძალის გამოყენებას ამირსპასალარის მიერ და ავრეთვე ზაქარია მხარგრძელის გადასვლას ქართული ეკლესიის მფარველობაში. ამასთან იგი სომეხ საეკლესიო ხელისუფალთა მხრიე ერთგვაროი დათმობის მომხრეც იყო[3].

ზაქარიამ ურჩი ეპისკოპოსებისა და წინამძღვრების თანამდებობებიდან გადაყენებისა და უცხოეთში გაძევების საიდუმლო ბრძანება გასცა. მაგრამ „ვარდაპეტმა (მხითარ გოშმა) ბევრი მათგანი გადაარჩინა და დაეხმარა მათ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ადგილებში; ხოლო დანარჩენებს რამდენიმე დღის შემდეგ, ამირსპასალარის ძმამ ივანემ უბრძანა დაბრუნება“[4]. კირაკოსის ვრცელი მოთხრობა, რომლის შინაარსიც ჩვენ აქ ძლიერ მოკლედ გადმოვეცით, საინტერესო მასალას გვაწვდის იმ დაუნდობელი მეთოდების შესახებ, რომელთაც ზაქარია მხარგრძელი ატარებდა სომხური ეკლესიის ქართულთან დაახლოების

---

[1] კირაკოს განძაკეცი, ისტორია (რუს.), გვ. 89–90, ვარდანი, მსოფლიო ისტორია (რუს.), გვ. 170.

[2] ვარდანი, მსოფლიო ისტორ ა (რუს.), გვ. 170.

[3] ი. ორბელი, რჩეული შრომები, I (რუს.), 1968, გვ. 236.

[4] კირაკოს განძაკეცი, ისტორია (რუს.), გვ. 92—93.

მიზნით. ყველაფერი ეს, როგორც ი. ორბელს აქვს შენიშნული[1], საბოლოო ანგარიშით გამოხატავდა სომეხი საერო ფეოდალების დიდი ნაწილის მისწრაფებას ნიველირებისადმი, გათანაბრებისადმი ქართველ საერო ფეოდალებთან, ცხადია, სომხური სახელმწიფოებრიები ხელისუფლების არარსებობის ვითარებაში.

სომეხი ისტორიკოსების თხზულებებიდანაც კარგად ჩანს, რომ იმდროინდელი სომეხი საეკლესიო თუ საერო მოღვაწეები წინასწარვე ხედავდნენ ამგვარი, „ეკლესიური დაახლოების" შორეულ მიზნებსა და შესაძლო შედეგებსაც სომეხი ხალხის შერწყმას ქართველ ხალხთან, გათქვეფას[2], ეკლესიურადაც შემოერთებას. ვარდანის მიხედვით, ამიტომაც ამბობდნენ კრების მონაწილენი „შეიძლება ოხდეს, რომ ამის შემდეგ ჩვენ გვაიძულონ ყველაფერში მივსდიოთ ბერძნებისა და ქართველების მოძღვრებასო"[3].

მართალია, დვინისა და ანისის საეკლესიო კრებებით ზაქარია მხარგრძელმა ვერ შეძლო თავისი გეგმის განხორციელება, მაგრამ ამ კრებებს მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც მართებულად შენიშნავს პ. მურადიანი, ისტორიულ გარემოებათა წყალობით და განსაკუთრებით დვინისა და ანისის საეკლესიო კრებების შემდეგ, ქალკედონიტობამ კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო სომხურ მოსახლეობაში, იგი შეიჭრა ანტიქალკედონურ მონასტრებშიც. ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობა გზას უხსნიდა დიოფიზიტობას. მისი აზრით, სომხურ სასაზღვრო და შიდა ცენტრალური რაიონების ტოპონიმიკასა და ცოცხალ სალაპარაკო ენების დღემდე შემორჩენილ მასალებში აშკარად მოჩანს ამ ეპოქის კვალი[4]. ცხადია, ქართულ ეკლესიასთან ერთად, ქართული ენაც გზას იკვლევდა სომხურ მოსახლეობაში.

მრავლდებოდა და ძლიერდებოდა ქალკედონიტური ეკლესიები და მასთან ერთად ქართული ქალკედონიტური რწმენის გავლენაც. თვით ახპატიც, პ. მურადიანის აზრით, სწორედ ამ პერიოდში, დიდი ხნის მანძილზე ქალკედონიტთა—ქართული რწმენის მიმდევართა ხელში აღმოჩენილა. ამაზე მეტყველებს ახპატის ქართული წარწერები და ფრესკათა აქა-იქ შემორჩენილი ნაშთები. ამის შესახებ თავის დროზე ნ. ტოკარსკიც მიუთითებდა: «Внутри ее кое-где сохранились остатки росписи на двух слоях штукатурки, покрывавший чисто тесанную облицовку стен, что показывает, что монастырь довольно продолжительное время был в руках халкидонитов»[5].

პ. მურადიანი იმოწმებს ნ. ტოკარსკის ზემომოტანილ მოსაზრებას და თავის მხრივ დასძენს, რომ ახპატის ქართული წარწერები, რომელიც მის წერილშიეცა მოტანილი და ფრესკის ზოგი ნაშთი ამ მონასტერში ქალკედონიტთა მოღვაწეობის, ან კიდევ ქალკედონიტური რწმენის დიდი გავლენის მიმართ გარკვეული მორჩილებით უნდა აიხსნას[6].

რა თქმა უნდა, მოულოდნელი ამ შემთხვევაში არაფერია. მით უფრო, რომ სწორედ ამ დროს ჩატარებული სომხური საეკლესიო კრებების შემდეგ, სომხური ეკლესია-მონასტრების ანტიქალკედონიტობა საკმაოდ შერყეული იყო.

საქართველოს სამეფო ხელისუფლებას და ეკლესიას დვინისა და ანისის საეკლესიო კრებების შემდეგაც არ აუღია ხელი სომხეთის ეკლესიურადაც

---

[1] ი. ორბელი, რჩეული შრომები, I (რუს.), გვ. 236.

[2] კორიკოსი განძაკეცი, ისტორია (რუს.), გვ. 92.

[3] ვარდანი, მსოფლიო ისტორია (რუს.), გვ. 171.

[4] პ. მურადიანი, ქართული წარწერები (სომხ.), გვ. 13.

[5] ნ. ტოკარსკი, ძველი სომხეთის ხუროთმოძღვრება (რუს.), გვ. 171.

[6] პ. მურადიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 45, 48.

შემოერთების პოლიტიკაზე; თუ ამ დროის სომეხი ისტორიკოსის კირაკოსის ცნობას დავუჯერებთ, ზაქარიას გარდაცვალების შემდეგაც, სამეფო ხელისუფლება ამ მხრივ უფრო რ დიპლომატიური ღონისძიების გატარებას ფიქრობდა[1], მაგრამ ამჯერად ამ რიგის საკითხების განხილვა ჩვენს ამოცანას არ შეადგენს და მასზე საუბარს არ გავაგრძელებთ. როგორც დავინახეთ, სომხური ეკლესიის წმინდა რელიგიურ საკითხებში ერეოდა და მასში ცელილებებს შეტანას მოითხოვდა „სჯულით სომეხი" და მაინცადამაინც ის პირი, რომელიც თავისთავს სარწმუნოებრივი საკითხების, როგორც „მელა შქრე, ვერ კეთილად მეცნიერს", ე. ი. არცთუ მცოდნეს, უწოდებდა[2]. აშკარაა რომ ამ შემთხვევაში ზაქარია მხარგრძელი საქართველოს მეფის კარისა და ქართული ეკლესიის დაკვეთით მოქმედებდა. ამასთანავე, ადვილად მისახვედრია, რომ სომხური ეკლესიის რეფორმის მოთხოვნა უფრო თვით ამ ეკლესიის მიმდევარს შეეფერებოდა ვიდრე მისგან გამდგარს. გარეგნულად ყველაფერი ეს სომხური ეკლესიისა და სომხური სარწმუნოების აღმსარებელთა შინაურ საქმედ ჩანდა. ამით აიხსნება ალბათ ის, რომ იმ დროის ქართველ ისტორიკოსებს ერთი სიტყვითაც არ მოუსხენიებიათ არც ლორესა და არც ანისის საეკლესიო კრებები, თითქოს იქ არაფერი ყოფილიყოს საინტერესო საქართველოს ს მეფო ხელისუფლებისათვის. სინამდვილეში კი იმ კრებებზე მის მიერ ადრეულ დასახული გეგმები უნდა განხორციელებულიყო ახალი ფორმებითა და მეთოდებით. სამისოდ კი მოხერხებულად იყო გამოყენებული ზაქარია მხარგრძელის „სომხური სჯულიცა" და მისი დიდი გავლენაც საქართველოს სამეფოს სომხურ მოსახლეობაზე. აშკარაა რომ საქართველოს ეკლესიისა და მეფის ხელისუფლებისათვის ამჯერად ზაქარია მხარგრძელის „სჯულით სომხობა" უფრო სასარგებლო ჩანდა, ვიდრე მისი სარწმუნოებრივადაც გაქართველება. როგორც ირკვევა, საქართველოს სამეფო კარის იმდროინდელმა რელიგიურმა პოლიტიკამ უკარნახა ზაქარიას „სომხურ სჯულზე" დარჩენა და არა მისმა თაყდადებულმა ერთგულებამ ამ რწმენისადმი. სწორედ ამიტომ მიიჩნია თამარის პირველმა ისტორიკოსმა არტაქსერქესს „ნათესავი" და „სარწმუნოებითა სომეხი" ზაქარია ისეთ პირად, რომელსაც „ყოველნი სათნოებანი საღრმთონი და საკაცობონი აქუნდეს"[3]. ამიტომ აცხადებდა თამარის მეორე ისტორიკოსიც „სჯულით სომეხს" ზაქარია მხარგრძელს „ყოვლითურთ მართლმადიდებლობისა მოსავად"[4]. როგორც ვხედავთ, ზაქარიას „სარწმუნოებით სომხობა" მისი რწმენის რეალური შინაარსის გამომხატველად არ იყო მიჩნეული იმდროინდელი ქართული ფეოდალური საზოგადოების ზედაფენის მიერ. ეს კიდევ უფრო ნათლად დაინახეს სომეხმა საეკლესიო თუ საერო მოღვაწეებმა ლორესა და ანისის საეკლესიო კრებების შემდეგ. ამიტომაც სინ ნელით შენიშნავდა კირაკოსი: „ზაქარია მთელ თავის სიცოცხლეში მოქმედებდა ისე, როგორც მას სურდა, (სომხური) ეკლესია კი ძველებურადღო"[5]. ამ მხრივ საგულისხმოა აგრეთვე ზაქარიას „სულიერი მამის" მხითარ გოშის მიმართვა ზაქარია და ივანე მხარგრძელებისადმი ჯერ კიდევ ივანეს „სარწმუნოებით გაქართველებამდე": „ქართველთა მიერ ძვირის თქმამ ჩვენი სარწმუნოებისა და საეკლესიო აღსარების შესახებ და განსაკუთრებით იმან, რომ თქვენ (ზაქარიას და ივანეს, შ. მ.) დასა-

---

[1] კირაკოსი განძაკეცი, ისტორია (რუს.), გვ. 114.
[2] ისტორიანი, გვ. 123.
[3] იქვე, გვ. 137.
[4] ბასილი, გვ. 18.
[5] კირაკოსი განძაკეცი, ისტორია (რუს.), გვ. 93.

ჯერებლად მიგიჩნევიათ მათი ნათქვამი. მომიწყო ლა გული და მიმაყოფინა ხელი. მომეცა ჩვენი სარწმენოების პე'შმარიტი სახე"[1]. როგორც ზემოაღნიშნული ფაქტებიდან ჩანს, მხითარ გოშის ამ საგანგებო ტრაქტატს საქმისათვის ვერ უშველია - ივანე მხარგრძელი ამის შემდეგ სულ მალე საესებით გადაიდგა ქართულ სარწმუნოებაზე, ხოლო ზაქარიამ ზედიზედ ორი საეკლესიო კრება გამართა სომხური ეკლესიის რეფორმების მოსახდენად და ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მას მართლაც "დასაჯერებლად მიუჩნევია ქართველთა ნათქვამი".

მიუხედავად ამისა, ზაქარია ფორმალურად მაინც გარდაცვალებამდე "სჯულით სომხად" დარჩა და ამიტომაც დაასთლავეს იგი "სანაინში დიდი ტაძრის შესასვლელის წინ" [2].

ზაქარია მხარგრძელის ერთადერთი მემკვიდრე შაჰან-შაჰი ანუ შანშა ხუთი წლისა დარჩა და ივანემ და ხოშაქმა აიყვანეს აღსაზრდელად. ქართულ და სომხურ ნარატიულ თუ ეპიგრაფიკულ წყაროებს არ დაუცავთ ცნობა არც ზაქარიას მეუღლის შესახებ და აოც იმაზე, თუ რატომ გახდა მცირეწლოვანი შანშე ბიძა-ბიცოლას აღსაზრდელი. როგორც ჩანს, შანშე ზაქარიას ან უკანონო შვილი, ანდა შვილობილი იყო.

ზემოთ აღინიშნა, რომ სომხურ და ასევე ქართულ წარწერებში, სადაც კი ივანე და ხოშაქი ერთად იხსენიებიან, ისინი შანშესაც, ავაგ-სარგისთან ერთად, საკუთარ შვილად მოიხსენიებენ. ასეა კოშის ქართულ წარწერაში [3]; ანისის ერთ-ერთ წარწერაში კი თითქოს საგანგებოდ, ივანე და ხოშაქი ქრისტეს შესთხოვენ დღეგრძელობას "საკუთარი შვილისა ჩვენისა მანდატურთუხუცესის შაჰანშაჰის და ამირსპასალარისა ავაგისა" [4]. იქნებ, მართლაც, შანშეც მათი შვილი იყო და ზაქარიას მისცეს შვილობილად? ასე თუ ისე, მცირეწლოვანი შანშე "ივანეს სახლში" აღიზარდა და აქვე 5 წლის ასაკში ნათელიღო "ბერძნულ" ანუ მართლმადიდებელ-ქართულ "სარწმუნოებასა ზედა" [5]. ასე რომ შანშეს სარწმუნოებითაც ქართველობა ეკვს არ იწვევს. მაგრამ შანშე ქართულსა თუ უცხოურ წყაროებში მხოლოდ ამიტომ არ იწოდებოდა ქართველ მთავრად, იგი თავისი შეგნებით თუ ენობრივად მთლიანად ეკუთვნოდა ქართულ სამყაროს. ამას გარდა, როგორც ჩანს, ქართველი იყო მისი მეუღლე ხორიშაჰი თუ ხოშაქი. ეს უკანასკნელი, შანშესთან ერთად, მოხსენიებულია ჰოვანავანქის 1258 წლით დათარიღებულ წარწერაში [6]. ხოშაქმა (ხორიშაჰმა) კირაკოსის მოწმობით, სომხებისაგან აიღო ქობერის მონასტერი [7], ეს დაახლოებით მე 13 ს. შუა წლებში უნდა იყოს მომხდარი; ამ დროიდან (და არა მე-13

---

[1] ი. აბულაძე, მხითარ გოშის ტრაქტატი "ქართველთათვის", თსუ შრომები, 7, 1938, გვ. 98.

[2] კირაკოს განძაკეცი, ისტორია (რუს.), გვ. 97. შდრ. ვარდანი, მსოფლიო ისტორია (რუს.), გვ. 172.

[3] ა. შანიძე ამიტომ მიიჩნევს შანშეს ივანესა და ხოშას ნაშვილევად (იხ. მისი კოშის წარწერა (რუს.). გვ. 12).

[4] ნ. ეშინი, სომხური წარწერები (რუს.), გვ. 51.

[5] ვარდანი, მსოფლიო ისტორია (რუს.), გვ. 172.

[6] კ. კაფანდარიანი, ჰოვანავანქი (სომხ.), გვ. 98; აღსანიშნავია, რომ ეს წარწერა მოტანილი აქვს ზაქარია კანაკერცს და თავის დროზე იგი, როგორც ჩანს, ხოშაქის მაგიერ ხორიშაჰს კითხულობდა (იხ. იქვე, კ. კაფანდარიანის შენიშვნა, გვ. 99), მაგრამ ამჟამად კანაკერცის ხსნილების უკანასკნელ რუსულ თარგმანში რატომღაც (ალბათ კ. კაფანდარიანის მიხედვით) "ხოშაქი" აღითხება, იხ. ზაქარია კანაკერცი, ქრონიკა (რუს.), გვ. 248

[7] კირაკოს განძაკეცი, ისტორია (რუს.), გვ. 198.

საუკუნის მიწურულს, როგორც ლ. მელიქსეთ-ბეგი ფიქრობდა) ქობერი ქალკედონურ მონასტრად იქცა. ქობეოის ქალკედონურობას, ლ. მელიქსეთ-ბეგის მიხედვით, მოწმობს არა მარტო სომხურ-ქართული წარწერები, არამედ თვით ზოგი ნაგებობის ხასიათიც, კერძოდ, „ეკლესიის საკურთხევლის აგებულება ქალკედონური რიტუალის მოთხოვნილებისამებრ და აგრეთვე იმავე ეკლესიისა და ეკვდერის კედლის მხატვრობა ქართული ასომთაერული წარწერებითურთ“[1].

შანშესა და მის სახლს ქართულ ფეოდალურ ოჯახად იცნობდნენ უცხოელებიც. როგორც ცნობილია, რუბრუკვისმა, საფრანგეთის მეფის ლუი IX-ის საგანგებო ემისარმა მონგოლების მბრძანებელთან, შანშეს ქვეყანაშიც გაიარა და საინტერესო ცნობები დაგვიტოვა თვით შანშესა და მისი უფროსი შვილის ზაქარიას შესახებ: „ოთხი დღის შემდეგ ჩვენ მივაღწიეთ საჰენზას (შაჰანშას) ქვეყანას. ეს საჰენზა წინათ მეტად ძლიერი ქართველი ყოფილა, მაგრამ დღეს ხარკს აძლევს თათრებს, რომელთაც ყველა მისი ციხე-სიმაგრე გაუნადგურებიათ. მამამისს, სახელად ზაქარიას, სომხების ეს ქვეყანა მიუღია, რაკი ის სარკინოზების უღლისაგან გაუთავისუფლებია... მე ვისაუბრე საჰენზასთან და როგორც მან, ისე მისმა მეუღლემ და მისმა ვაჟმა ზაქარიამ დიდი თავაზიანობა გამოიჩინეს ჩემს მიმართ. ზაქარია ლამაზი და ჩინებული ჭაბუკია. მან მთხოვა, რომ თუ ის თქვენთან მოვიდოდა, მე რეკომენდაცია გამეწია მისთვის, რათა იგი თქვენს სამსახურში მიგეღოთ“[2]. როგორც ვხედავთ, რუბრუკვისი კარგად არჩევდა ამ კუთხის მბრძანებლის ქართველობას ამავე კუთხის ძირითადი მოსახლეობის — სომხებისაგან.

შანშეს უფროსი შვილი ზაქარია, როგორც კირაკოსის ცნობიდან ჩანს, დაქორწინებული იყო „უხტიაცის მფლობელის“ სარგისის ასულზე[3]. „უხტიაცის“ (ოლთისის) მფლობელი სარგისი, რომელმაც, კირაკოსის სიტყვითვე, ულუ დავითთან ერთად უარყო მონღოლებისადმი მორჩილება, რა თქმა უნდა, არის დიდი ქართველი ფეოდალი სარგის ჯაყელი. როგორც ვხედავთ, ზაქარია მხარგრძელის მემკვიდრენი შანშე და მისი ძე ზაქარიაც, ჩვეულებრივ ქართულ მსხვილ ფეოდალურ ოჯახებს უმოყვრდებიან. ასევე იქცეოდნენ მხარგრძელთა ამავე შტოს „ივანეს სახლის“ წარმომადგენლებიც — თვით ივანე და მისი მემკვიდრე ავაგიც. ეს უკანასკნელი, როგორც ზემოთ ვნახეთ, დაქორწინებული იყო რაჭის ერისთავთა იმ დროის სახელგანთქმული საგვარეულოს კახაბერის-ძეთა ასულზე გვანცაზე[4]. ეს ფაქტიც მოწმობს, რომ მე-12—მე-13 სს. ძირძველი ქართველი ფეოდალებისთვის მხარგრძელთა საგვარეულო მათ შესაფერის (თანატოლ) ქართულ საგვარეულოდ იყო მიჩნეული.

შანშეს, ზაქარიას გარდა, კიდევ რამდენიმე ვაჟი ჰყავდა; ამათგან კირაკოსი ავაგ-სარგისს, არტაშირსა და ივანეს მოიხსენიებს[5]. როგორც ჩანს, კირაკოსის სია სრული არ უნდა იყოს. გარდა ზემოთ დასახელებულებისა, რომელნიც მეტნაკლებად ცნობილნი არიან ქართული წყაროებითაც, შანშეს კიდევ უნდა ჰყოლოდა შვილი. ჩვენი აზრით, გარდა იმისა, რომ შანშეს შვილთაგან ერთი რომელიღაც „მხარგრძელის“ გვარსახელსაც ატარებდა, მისი ძე უნდა

---

[1] ლ. მელიქსეთ-ბეგი, ქობერი და მისი წარწერები, გვ. 73.

[2] რუბრუკვისი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, თარგმანი ფრანგულიდან გ. ქიქოძისა, მსკა, 5, 1942, გვ. 173—174.

[3] კირაკოს განძაკეცი, ისტორია (რუს.), გვ. 198.

[4] ჟამთააღმწერელი, გვ. 237.

[5] კირაკოს განძაკეცი, ისტორია (სომხ.), გვ. 198.

იყოს აგრეთვე ქობერის წარწერებში არაერთხელ მოხსენიებული „ბერი გიორგი“. 1292 წ. წარწერაზე იკითხება: „მე შაჰანშას მანდატურთუხუცესისა ძემან ბერმან გიორგი... დიდსა იწროებასა შინა ჟამთასა დაფიქლე, ეკლესია ესე ქუეშეთ კარისბჭითურთ და დალეწილნი ზედაით ქვისაგან მევე შევკაზმე... და დაკჰხსენ მიმძლავრებით წანაღები ზუარი რატისეული მეზუერითა და ამავე ეკლესიის საზედაშედ მოვაკსენე უცხო თესლთაგან წანაღები“ [1].

ამასვე მოგვითხრობს „ბერი გიორგი“ ქობერის მეორე ქართულ წარწერაშიც. როგორც ჩანს, შანშეს ძეს გიორგის დიდი აღმშენებლობა ჩაუტარებია ქართულ მონასტერში და ამას გარდა „უცხო თესლისაგან“ „მიმძლავრებით წანაღები ზუარი“ თავისი მეზვრითურთ, ისევ ქობერის ტაძრისათვის „მოუკსენებია“.

აქვე, ქობერის მონასტერში, ისევ ქართული წარწერის მიხედვით, შანშეს კიდევ ერთ ძეს მხარგრძელსაც 1295 წ. სამრეკლო-სამარხი აუშენებია თავისთვის და მეუღლე ვანენისათვის. „მე უღირსი შაჰანშა მანდატურთუხუცესისა ძე მჭარგძელი და თანამეცხედრე ჩემი, ათაბაგისა და ამირსპასალარისა სადუნისა ასული ვანენი ღირს ვიქმენით აღშენებად სამრეკლო-სამარხისა ამის ჩუენისა, იწროებასა წინა დიდსა ჟამთასა“ [2].

როგორც ჩანს, ქობერი შანშეს სახლის საგვარეულო სამარხად ქცეულა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, მას შემდეგ, რაც აქ დაიმარხა თვით შანშე[3], ზაქარია მხარგრძელის სახლიდან პირველი ქალკედონიტი, ე. ი. ქართველი. შანშესა და მის ოჯახს საგვარეულო სამარხად მამის — ზაქარიას სძღვალე სანაინი ვერ გამოადგებოდა. ამიტომაც იყიდა შანშეს მეუღლემ ქობერი სომეხთაგან და ამიტომ აქცია იგი ქართულ სავანედ.

ივანე მხარგრძელის საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენელი იყო „ზაქარია ხოშაქისგან ნაშობი“, ე. ი. ივანეს შვილიშვილის შვილი (ივანე → ავაგ-სარგისი → ხოშაქი → ზაქარია). ალბათ ამით აიხსნება, რომ წყაროებში „ივანეს სასლის“ მემკვიდრეთა შესახებ თითქმის არაფერია დაცული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში კირაკოსის ცნობას ავაგის უკანონო ვაჟის შესახებ, რომელიც შემდეგ ავაგის დას თამთას აუყვანია აღსაზრდელად[4], მაგრამ ავაგის ეს უკანონო შვილი არ ჩანს ავაგის მემკვიდრედ. როგორც ცნობილია, ავაგის სამფლობელო სამეურვეოდ ჯერ შანშეს ძე ზაქარიას გადასცეს, შემდეგ ავაგის მეუღლეს გვანცას დაუბრუნეს, საბოლოოდ კი გვანცას გადედოფლების შემდეგ ეს ყველაფერი საქართველოს მეფეთა ხელში აღმოჩნდა. ასე დასრულდა „ივანეს სახლის“ ისტორია.

უფრო მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა „ზაქარიას სახლის“, კერძოდ შანშეს მემკვიდრეობა და შესაბამისად ამ სახლის ისტორიაც უფრო ხანგრძლივი იყო. ჩვენს ამოცანას არ შეადგენს შანშეს მრავალრიცხოვან მემკვიდრეთა და მათ შთამომავალთა შესახებ დეტალური კვლევის ჩატარება. ჩვენი მიზნისათვის, კერძოდ მხარგრძელთა ამ შტოს შთამომავალთა რელიგიური კუთვნილების განსასაზღვრავად, საკმარისი იქნებოდა ზოგ მათგანზე სათანადო მასალების მოტანა.

---

[1] ლ. მელიქსეთ-ბეგი, ქობერი და მისი წარწერები, გვ. 10.

[2] იქვე, გვ. 71.

[3] კირაკოს განძაკეცი, ისტორიაი (სომხ.), გვ. 193.

[4] კირაკოს განძაკეცი, ისტორიაი (რუს.), გვ. 161.

ამ თვალსაზრისით საინტერესო იქნებოდა იერუსალიმის ქართული ჯვრის მონასტრის აღაპებში დაცული მასალები, რომლებიც საგანგებოდ და დეტალურად შეისწავლა ე. მეტრეველმა.

აღსანიშნავია, რომ ჯვრის მონასტრის აღაპებს ტიპენდორფისეული ნუსხის მიხედვით აღაპი განუწესებიათ შანშე I მხარგრძელისათვის, ცხადია, მის მიერ ამ ქართული მონასტრისათვის გაწეული სამსახურისა გამო: „კჳრიაკესა ბაიობისასა წირვაჲ და აღაპი საუკუნოჲ შაჰანშაჰისი, შეუნდვენ ღმერთმან“[1]. ე. მეტრეველს, აღაპების ტიპენდორფისეული ნუსხის ძირითადი ნაწილის ქრონოლოგიური ფარგლების მიხედვით დადგენილი აქვს, რომ აქ მოხსენიებული შაჰანშა არის ზაქარია მხარგრძელის მემკვიდრე შანშე I [2].

ჯვრის მონასტრის სვინაქსარის აღაპების ნუსხის მიხედვით, აღაპი გაუწესებიათ აგრეთვე შანშეს შვილისთვისაც: „წირვაჲ და აღაპი საუკუნოჲ შაჰანშაჰს შვილისა არდაშერისა, შეუნდვენ ღმერთმან“ [3]. ე. მეტრეველს სრულიად სამართლიანად არდაშირი შანშე I-ის შვილად მიაჩნია [4]. როგორც ზემოთ დავინახავთ, კირაკოსის ცნობით, შანშე I-ს მართლაც ჰყავდა შვილი არდაშირი. კიდევ უფრო საინტერესოა ამავე სვინაქსარის № 305 აღაპი: „ამასვე დღესა აღაპი არდაშელის შვილისა დავითისი და მისისა მეუღლისა ხუარაშანისა... შემოსწირა ათასი დრამა დიდსა დაჭირვებასა შინა“ [5].

ე. მეტრეველი ტაბულას, რომელშიც შეტანილია დავითისა და მისი მეუღლის აღაპი, მე-13 ს. მიწურულითა და მე-14 ს. პირველი მეოთხედით ათარიღებს [6], რაც საესებით უდგება შანშეს ერთ-ერთი შვილის არდაშერის მემკვიდრის ცხოვრების წლებს. ამას გარდა, ეს აღაპი ავსებს მხარგრძელთა გენეალოგიურ ტაბულას ახალი სახელებით -- დავითითა და ხვარაშანით, რაც სხვა წყაროებით უცნობია.

ჯვრის მონასტრის აღაპებში მოხსენიებულია აგრეთვე შანშე I-ის მეორე შვილიშვილიც: „ამასვე დღესა აღაპი შანშას შვილიშვილისა აღბუღასი, შეუნდვენ ღმერთმან“ [7]. როგორც ეს მეტრეველმა დაასაბუთა, „შანშას შვილისშვილი აღბუღა“ არის შანშე I-ის ძის ივანე II-ის ერთ-ერთი შვილი [8]. სვინაქსარის აღაპებში აღბუღა იხსენიება აგრეთვე შანშას ძმად [9]. ამ შემთხვევაში, ცხადია, იგულისხმება შანშე ივანეს ძე — ასევე ერთ-ერთი შვილიშვილი შანშე I-ისა. სვინაქსარის № 30 აღაპში შანშე II-ის კიდევ ერთი ძმა — ვახრამია მოხსენიებული[10], რომელიც სხვა წყაროებითაცაა ცნობილი, როგორც ივანე II ის ძე და შანშე პირველის შვილიშვილი.


ჯვრის მონასტრის აღაპებში მოხსენიებულია აგრეთვე „შანშეს სახლის“ ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელიც: „წირვაჲ და აღაპი საუკუნო შანშეს შვილისა ათაბაგისა, ზაქარიასი“ [11]. როგორც ე. მეტრეველმა გაარკვია, ეს

---

[1] ე. მეტრეველი, მასალები, გვ. 73.
[2] იქვე, გვ. 20.
[3] იქვე, გვ. 101.
[4] იქვე, გვ. 169.
[5] იქვე, გვ. 107.
[6] იქვე, გვ. 177.
[7] იქვე, გვ. 104.
[8] იქვე, გვ. 155—156, 173.
[9] იქვე, გვ. 82.
[10] იქვე, გვ. 82, 125.
[11] იქვე, გვ. 85.

აღაპი ეკუთვნის შანშე II-ის ძეს ზაქარიას, რომელიც სხვა წყაროებითაც არის ცნობილი [1]. ოღონდ ე. მეტრეველი არ უნდა იყოს სწორი, როცა ვ. ალიშანთან ერთად, ვანენს, სადუნ მანკაბერდელის ასულს, ამ ზაქარიას მეუღლედ მიიჩნევს. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ვანენი, სადუნ ათაბაგის ასული, იყო მეუღლე შანშე I-ის ერთ-ერთი ძისა, თავისთავის „მხარგრძელად" მწოდებლისა და მოიხსენიება ქობერისა და სხვა ეკლესიათა (სანაინი, ახპატი) წარწერებშიც.

ჯვრის მონასტრის აღაპებში მოხსენიებული მხარგრძელების გენეალოგია ამგვარად წარმოგვიდგება.



მოტანილი მასალები ერთხელ კიდევ გვიდასტურებს, რომ ზაქარია მხარგრძელის შთამომავლები (შანშე პირველიდან მოყოლებული ზაქარია ათაბაგით დამთავრებული) კონფესიურად ეკუთვნოდნენ მხოლოდ ქართულ ეკლესიას. ასევე, როგორც ზემოთ ვნახეთ, ქართულ ეკლესიას ეკუთვნოდა „ივანეს სახლი" და მისი შთამომავლობაც. ეს კი თავისთავად გულისხმობს, რომ ეკლესიის ენაც მათთვის იყო მხოლოდ ქართული ენა. მათი სახელმწიფოებრივი ენაც. როგოროც საქართველოს სასელმწიფოს კარის მოხელეებისა, ცხადია, ქართული იყო.

სამწუხაროდ, ძალიან ცოტა შემოგვრჩა ჩვენთვის საინტერესო ხანის ქართული დოკუმენტური მასალა და ამით აიხსნება, რომ თითქმის არაფერი შემოგვეხსა მხარგრძელთა უფროსი თაობის წარმომადგენელთა მიერ შექმნილი ქართული დოკუმენტაციიდან. მაგრამ მათი ხელმოწერები ქართულ დოკუმენტებზე საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მხარგრძელთა სახელმწიფო ენის შესახებ.

ამ თვალსაზრისით ჩვენს ყურადღებას იქცევს ავაგ ივანეს ძისა და შანშე ზაქარიას ძის ხელრთვები მიქაელ კათალიკოსის მიერ 1241 წ. გაცემულ სიგელზე. ამ სიგელს, მეფისა და კათალიკოსის შემდეგ, ამტკიცებს ავაგ ათაბაგიც: „ქ. ამის ღმრთისა სწორთაგან დამტკიცებულისა მოწამე ვარ და დაწერილისა დამამტკიცებელი ავაგ ათაბაგი და ამირსპასალარი". აქვე, მის ქვემოთ, არის შანშეს ხელრთვაც: „ქ. ამა ღმრთისა სწორთაგან დამტკიცებულისა სიგელისა მე, შაჰანშა მანდატურთუხუცესიც დამამტკიცებელი ვარ"[2].

ზემოხსენებულ პ რებს დაუმოწმებიათ და დაუმტკიცებიათ აგრეთვე არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის მიერ თავისი მსახურთუხუცესის მგელა აბულახტარისძისადმი ბოძებული წყალობის წიგნიც: „ქ. ესე დაწერილი მე, ავაგ ათაბაგსა დამიმტკიცებია", „ქ. მე, შაჰანშა მანდატურთუხუცესსა დამიმტკიცებია ესე დაწერილი"[3].

---

[1] ე. მეტრეველი, მასალები, გვ. 126.
[2] ი. დოლიძე, ქსძ, III, გვ. 175.
[3] იქვე, გვ. 159—160.

ავაგისა და შ ნშეს ხელოვნები შესრულებულია მე-12—მე-13 სს. მხედრულით ოლ მათ შეკუღაკებთ ამავე დოკუმენტებზე სხვა ქართულ მოხელეთა მიერ გაკეთებულ ხელოვნებს, სათელი გასდება, რომ მხარგრძელები ქართულად ისევე წერდნენ, როგორც ყველა სხვა დანარჩენი და თუ გნებავთ თვით „საწოლისა და საპურჭლის მწიგნობარი ანტონი".

ჩვენ, სამწუხაროდ, არ შემოგვრჩა რკონის ცნობილი დაწერილის დედანი, რომელსაც ახლავს ავაგ-სარგისის ხელოვნა: „ქ. მეპურჭლეთ-უხუცესისა კახოისა დაწერილისა მე, ავაგ სარგისიცა მოწამე და დამამტკიცებელ ვარ" [1]. როგორც ჩანს, შანშესძე ავაგ-სარგისიც, თავისი წინაპრის მსგავსად, ქართულ დოკუმენტს ქართული ხელმოწერით ამოწმებდა და ამტკიცებდა. რა თქმა უნდა, სხვაგვაროდ არც იყო მოსალოდნელი საქართველოს სახელმწიფოს მოხელეების სახელმწიფოებრივი ენა მხოლოდ ქართული ენა შეიძლებოდა ყოფილიყო.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხარგრძელებს, განსაკუთრებით უფროსი თაობის წარმომადგენლებს არ შეეძლოთ საქიიო შემთხვევაში დოკუმენტები შეედგინათ სხვა ენაზე, მათ შორის სომხურზეც და დაედასტუოებინათ სომხური ხელმოწერით. თუმცა ასეთი დოკუმენტი ჩვენ არ შეგვხვედრია, მაგრამ მათი არსებობის გამორიცხვა მაინც შეუძლებელია, რადგან მათი თანამდებობანი, კერძოდ სომხური პროვინციების გამგებლობა, სომხური ენის ცოდნასაც მოითხოვდა.

---

[1] ი. დოლიძე, ქსძ, II, გვ. 65. აქ მოხსენიებული ავაგ-სარგისი არ არის, ცხადია, იგივე ზემომოტანილი ხელოვნების ავტორი „ავაგ ათაბაგი და ამირსპასალარი". იგი ამ დროისათვის გარდაცვლილა. რკონის დაწერილის ავაგ-სარგისი, როგორც ეს ნ. შოშიაშვილმა ნათლად უჩვენა, არის შანშე I-ის მესამე შვილი, რომელსაც იხსენიებს კირაკოსი და სხვა წყაროები (იხ. მისი რკონის დაწერილი როგორც ისტორიული წყარო, საკანდიდატო დისერტ. ხელნაწ., 1952, გვ. 31—34). მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ შანშესძე ავაგ-სარგისი ემოწმება და ამტკიცებს რკონის დაწერილს, აუცილებელს ხდის ამ საბუთის დღემდე მოცემული დათარიღების გადასინჯვას. თ ქორდანია მას, როგორც ცნობილია, 1259 წ. ათარიღებდა (იხ. ქრონიკები, II, 134—135), ხ. შოშიაშვილი კი 1260 წლით (იხ. მისი ზემოდასახელებული ნაშრომი, გვ. 1—11). ჩვენ არა გვაქვს შესაძლებლობა დეტალურად შევჩერდეთ ამ საკითხზე; მაგრამ საჭიროდ მიგიჩნიეთ შეენიშნოთ შემდეგი: ა) 1259 თუ 1260 წ. შედგენილ სკეთს „ძახძეთა საბრძოლო ეროს ჩე თა სიცოცხლეში (შანშე, ზაქარია, ივანე) შანშეს რიგით მესამე შვილი ვერ დაეშვიდობება ვერც დაამტკიცებდა; ბ) ავაგ-სარგისი, მართალია, ხელრთვაში თავის თანამდებობას არ იხსენიებს, მაგრამ უდაოა, რომ ის სამეფო კარის მაღალი რანგის მოხელეა (საბუთს ემოწმება საერო მოხელეთა შორის პირველი) და, როგორც ჩანს, მას უკვე შემკვიდრეობით აქვს მიღებული „შანშეს სახლის" თანამდებობანი; გ) ეს კი ამ სახლის უფროსი თაობის გარდაცვალების შემდეგ შეიძლებოდა მომხდარიყო. შანშე და მისი უფროსი ვაჟი ზაქარია, როგორც ცნობილია, 1261 წ. გარდაიცვალნენ, ხოლო შანშეს მომდევნო მეორე შვილი, ივანე — 1263 წ. ამის შემდეგ შეეძლო ავაგ-სარგისს პირველი გამხდარიყო „შანშეს სახლის" მეკვიდრეთა შორის. ასე რომ რკონის სიგელი 1263 წ. შემდეგ ეხდა იყოს დაწერილი. მაგრამ 1263 წ. შემდეგ მეპურჭლეთუხუცესის თანამდებობა, როგორც ირკვევა, ვიდრე 1266 წლამდე. სარგის ჯაყელს ჰქონდა და არა კახა თორელს. 1266 წ. ულუ დაეთმა სარგისი პატრ არ პაო „საპურჭლესა შინა" (შდრ. ი. ჯაჯანიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, 1941, გვ. 85—86). ამ დროიდან, როგორც ნ. შოშიაშვილიც მოუთითებს, იგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მეპურჭლეთუხუცესი თანამდებობაზე და ამ თანამდებობაზე სარგისი სხვას, როგორც ჩანს, კახა თორელს უნდა შეეცვალა. ასე რომ რკონის დაწერილი 1266 წ ადრე არ არის შედგენილი. იგი არ შეიძლება იყოს შედგენილი 1268 წ. შემდეგაც. გიორგი უფლისწული, რომელიც ხელს ერთავს ამ სიგელს, როგორც ნ. შოშიაშვილი მ უთითებს, 1268 წწ. გარდაიცვალა (იხ. მისი დასახელებული ნაშრომი, გვ. 30—31);

ამრიგად რკონის დაწერილი შედგენილი უნდა იყოს 1266—1268 წლებს შორის.

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მხედველობაში არ არის მისაღები ის წარწერები, რომლებიც გაკეთებულია სათანადო ოსტატების მიერ მათი (სარგისი, ჩაქაოია, ივანე) დაკვეთით ქვაჯვრებსა და ეკლესია-მონასტრების კედლებზე. ბუნებრივია, ესა თუ ის წარწერა, რომელიც ამა თუ იმ მიწა-ადგილის თუ სხვათა ბოძების შესახებ მოუთხრობდა, როგორც ერთგვარი დოკუმენტი სომხურ ეკლესიაში, სომხურად უნდა ყოფილიყო გაკეთებული; ცხადია, ამიტომ იყო ალაკეთილი ახპატის ტაძარზე დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ის წარწერები სომხურ ენაზე, ივანე ორბელისა სანაინში და სხვ. მაგრამ ისე როგორც ეს წარწერები არ გამოდგება აქ დასახელებულ პირთა (დავით IV, გიორგი III, ივანე ორბელი) სახელმწიფოებრივი ენის განსასაზღვრავად, ასევე მხარგრძელთა, განსაკუთრებით უკვე ეკლესიურად გაქართველებული თაობის, სომხურ წარწერებს ვერ გამოვიყენებდით მათი სახელმწიფოებრივი ენისა და ენობიერი კუთვნილების დასადგენად. ამრიგად, მხარგრძელები არა მარტო ეკლესიურად, არამედ ენობრივადაც ქართველები იყვნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული ენა მხარგრძელებისათვის იყო არა მარტო საეკლესიო, არამედ ასევე სამწიგნობრო და, ცხადია, სახელმწიფოებრივი ენაც.

მხარგრძელების ვინაობის შესახებ სემომოტანილი მასალები და მათი შესწავლა საშუალებას გვაძლევს შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ: მხარგრძელთა წინაპრები წარმოშობით ქართები იყვნენ, რომელთაც ჯერ კიდევ თავიანთ პირველსაცხოვრისში მიიღეს ქრისტიანობა-მონოფიზიტობა. ამიტომ იძულებული გახდნენ გასცლოდნენ, გამოყოფოდნენ ქართულ ტომებს და თავი შეეფარებინათ სომხური მონოფიზიტური ეკლესიისათვის, ასე იქცნენ მხარგრძელთა წინაპრები „სჯულით სომხებად“. მაგრამ მათი გადმოსახლება ამიერკავკასიაში ისეთ დროს დაემთხვა (მე-11 ს. შუა წლები), როცა სომხური პოლიტიკური ერთეულები ან მოშლილი იყო, ან კიდევ დაცემის გზაზე იდგა. ძორაკერტის, ლოოე-ტაშირის სამეფო, სადაც მხარგრძელთა წინაპრებმა პირველი თავშესაფარი პოვეს, სულ მალე (მე-12 ს. დამდეგი) საქართველოს შემოუერთდა და ამ ყოფილ სომხურ სამეფოს ტერიტოროიებზე ფაქტიურად გაბატონდა ქართული სახელმწიფოებრიობა და ეკლესია თავისი სახელმწიფოებრივი და საეკლესიო ენით. ასე რომ მხარგრძელთა წინაპრები თითქმის მაშინვე მოექცნენ ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ფეოდალების სამსახურსა და გარემოში და მხარგრძელთა „სჯულით სომხობას“ არ დასცალდა ენითა და კულტურით გასომხებამდე მისვლა – უკეთ, მათი გასომხების პროცესის დამთავრება. ქართულმა სახელმწიფოებრიობამ და მისმა გარემომ ქართული წარმოშობის საგვარეულო „მხარგრძელთა“ ქართულ საგვარეულოდ აქცია. მხოლოდ ამ ქართული გვარსახელით „მხარგრძელით“ – იცნობს ამ საგვარეულოს იმდროინდელი როგორც ქართული, ასევე სომხური წყაროები. მალე გაქრა მათი „სომხობის“ ერთადერთი ნიშანიც სარწმუნოებრივი კუთვნილება. ჯერ მხარგრძელთა მეორე შტო, ხოლო შემდეგ, მე-12 ს. მიწურულიდან, პირველი შტო და მათი შთამომავლობა ეკლესიურადაც მთლიანად „გაქართველდნენ“. გადმოსახლების დროიდან არსებითად მხოლოდ ერთი საუკუნე აღმოჩნდა საკ-

მარისი მხარ გრძელთა ორიენ შ(ოს სარწ)უნოებ ივადაც გაქართველების პრო-
ცესის დასასრულებლად.

საგვარეულოს, როგორი წარმოშობისაც არ უნდა იყოს იგი, რომლის სახელმწიფოებრივ, სამწიგნობრო და საეკლესიო ენად ქართული ენა იქცა, და რომელიც, დაწინაურების დროიდან, ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობის ინტერესების მიხედვით მოქმედებდა, მისი შენების საქმეს ემსახურებოდა და, ამდენად, მთლიანად ეკუთვნოდა ქართულ ფეოდალურ სამყაროს, სხვა რა შეიძლება ეწოდოს, თუ არა ქართული ფეოდალური საგვარეულო.

ასე რომ მხარგრძელთა საგვარეულოს ისტორია არის ქურთული წარმოშობის საგვარეულოს გაქართველების ისტორია და იმდროინდელ საქართველოში მიმდინარე მსგავსი ისტორიული პროცესების ერთი ეპიზოდი.

8. მხარგრძელთა აღზევება საქართველოში

მხარგრძელთა წინაპრების სოციალური კუთვნილებისა და თანამდებობრივი მდგომარეობის შესახებ წყაროებში თითქმის არავითარი მითითება არ მოგვეპოვება: ასე მაგალითად, არაფერი ვიცით მხარგრძელთა წინაპრების ხოსროს, მისი შვილების ავაგ-სარგისისა და ჭარიმის ადგილის შესახებ იმდროინდელ სომხეთისა და საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგრამ, ცხადია, რომ ქურთული ახლად ფეხადგმული საგვარეულოს წარმომადგენლები თავიდანვე ვერ დაიჭერდნენ მაღალ ადგილს იმდროინდელ სოციალურ ცხოვრებაში. ამასთანავე, ისიც ნათელია, რომ მათი ქურთული წარმომავლობა თავისთავად გულისხმობდა ამ საგვარეულოს დაბალ სოციალურ წარმოშობას და, აქედან გამომდინარე, მათ მოკრძალებულ ადგილს იმდროინდელი სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე. ასე რომ მხარგრძელთა წინაპრების საგვარეულო უნდა მიეკუთვნოს იმ ახალ წვრილ ფეოდალურ საგვარეულოთა რიცხვს, რომელიც ყოველგვარი საშუალებებით ცდილობს გზა გაიკაფოს და ადგილი დაიჭიროს მაღალ ფეოდალურ საზოგადოებაში.

მხარგრძელთა წინაპრები, ლორე-ტაშირის კვირიკიანთა ყოფილი სამეფოს შემოერთების შემდეგ, საქართველოს მეფეებისა და ქართველი ფეოდალების სამსახურში დგებიან. სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს თამარის მეორე ისტორიკოსის, ბასილის, თავისთავად საინტერესო მითითება სარგის მხარგრძელის წინაპრების „შეყვარების“ შესახებ თამარის მამა-პაპათა მიერ: „იწყეს განზრახვათა კეთილთა სამეფოსათუის და ერისა უმჯობესთა: მოიყვანეს სარგის ამირსპასალარისა მჭარგრძელისა ორნი ძენი, ზაქარია და ივანე, კაცნი ბრძენნი, მჭვნენი, ბრძოლათა შინა დიდ-დ გამოცდილნი და გუარეულადცა ერთგულნი მეფეთანი, ამისთუის დიდად შეყუარებულნი თუით თამარის პაპათა და მამათაგანცა“.[1] ამ საინტერესო ცნობიდან ირკვევა, რომ მხარგრძელთა საგვარეულოს ადრევე დაუმტკიცებია თამარის წინაპარ მეფეთა წინაშე ერთგულება, რომ მხარგრძელები იყვნენ „გვარეულ და ერთგულნი მეფეთანი“ და რომ სწორედ ასეთი ერთგულების გამო ისინი იყვნენ „დიდად შეყვარებულნი“ თამარის პაპათა და მამათაგანცა“. ასე რომ მხარგრძელთა წინაპრების „შეყვარება“ და „ერთგულება მეფეთა“ მიმართ გიორგისა და თამარის დროს კი არ დაწყებულა, არამედ მასზე ადრე თამარის პაპათა

---

1 ბასილი, გვ. 18.

დროს; ცხადია, ამ შემთხვევაში იგულისხმება დავით მე-4 აღმაშენებელი და ძისი მემკვიდრე დემეტრე I. ამგვარად, მხარგრძელთა წინაპრების ახალი წვრილი ფეოდალური საგვაროეულოს გამოჩენა საქართველოს ისტორიის ასპარეზზე ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროიდან დაწყებულა

დავითის ხანა კი, მართლაც, ყოველმხრივ ხელსაყრელი დრო იყო ასლად გამოჩენილ წვრილ ფეოდალურ საგვარეულოთა და „მეფის ერთგულთა“ დაწინაურებისათვის. ამ დროს დაიწყო და წარმატებითაც მიმდინარეობდა სომხური ტერიტორიების გათავისუფლება თურქ-სელჩუკების ბატონობისაგან და მათი შემოერთება. ამასთან, საქართველოს მეფის მოხელეები ხდებოდნენ სომხური თუ სხვა წარმოშობის და სომხეთის ტერიტორიაზე მოსახლე და მოსაქმე მსხვილი თუ წვრილი ფეოდალები. დავით აღმაშენებელთან თავს იყრიდა აგრეთვე ბიზანტიელთა ვერაგობისა და შემდეგ კი თურქების წინააღმდეგ ბრძოლით თითქმის გამქრალი სომეხთა ლაშქრის ჯერ კიდევ აქა-იქ შემორჩენილი ნაწილები.[1] როგორც სომეხი მკვლევრების მიერ არაერთხელ არის აღნიშნული, დავით აღმაშენებლის საშინაო და საგარეო პოლიტიკა სომეს ხალხს გადარჩენისა და საქართველოსთან გაერთიანების იმედებს უსახავდა და ამიტომ ქართველთა ლაშქრობებს, რომელთაც გამათავისუფლებელი სასიათი ჰქონდა, იგი ყოველთვის აღფრთოვანებით ხვდებოდა.[2] ყოველივე ეს ამავე დროს მნიშვნელოვნად ხელს უწყობდა სომხეთის პოლიტიკური ცხოვრების აღორძინებას და ცალკეულ საგვარეულოთა შემდგომ დაწინაურებას; აღსანიშნავია, რომ ქურთული და თურქული წარმოშობის ფეოდალები, რომელნიც სელჩუკებამდე მსხვილ სომეს ფეოდალებს ექვემდებარებოდნენ, სელჩუკთა გაბატონების შემდეგ იწყებენ მნიშვნელოვანი როლის შესრულებას და თანდათან წინაურდებიან.[3] ეს ახალი ფეოდალური საგვარეულოები სელჩუკთა განდევნის შემდეგ საქათველოს მეფესთან შემოერთებულნი, ახალ სარბიელს პოულობენ შემდგომი აღზევებისათვის. ამასთანავე, დავით აღმაშენებელი, ისე როგორც შემდეგ მისი მემკვიდრეები, გათავისუფლებული და შემოერთებული სომხური ტერიტორიების გამგებელ მოხელეებად, ხშირ შემთხვევაში, ამ კუთხის მოსახლეობასთან წარმოშობით თუ რწმენით ახლო მდგომ პირებს ნიშნავდა. ეს ქმნიდა ხელსაყრელ სიადაგს საქართველოს მეფის მიერ მხარგრძელთა წინაპრების მართლაც „შეყვარებისათვის“. სწორედ ამიტომ ვვარაუდობთ ჩვენ დავით აღმაშენებლის დროიდან მხარგრძელთა წინაპრების გამოჩენასა და თანდათან დაწინაურებას საქართველოს სამეფო კარზე.

ასეთ ვითარებაში საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს სტეფანოს ორბელიანის მიერ ზაქარია პირველის, სარგისის შვილის მოხსენიება „ოშხანად“ (*ոշխան*) მთავრად [4]. როგორც ჩანს, ზაქარია, რომლის მოღვაწეობაც ძირითადად დემეტრე I-ის ხანაზე მოდის, უკვე იყო ოშხანი და შესაძლოა რომელიმე მცირე სომხური პროვინციის გამგებელიც. მაგრამ მხარგრძელები ამ დროს რომ ჯერ კიდევ ორბელთა უმობაში (ვასალობაში) იყვნენ, ეს კარგად ჩანს ქართული წყაროების მიხედვითაც.

თამარის ისტორიკოსი ზაქარიას შემკვიდრეს სარგისს პირველად გიორგი

---

[1] ლ. დაველიანიძე, მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ, გვ 247.

[2] ას. შაჰნაზარიანი, ზაქარიანთა (ერკაინბაზუკა) ტომის წარმოშობა (სომხ.), გვ. 66—67. ლ. ბაბაიანი, სომხეთის ისტორია (რუს.), გვ. 14, 16.

[3] ი. შანდიანი, სომხეთის ვაჭრობა და ქალაქები (რუს.), გვ 265

[4] სტეფანოს ორბელიანი, სივნიეთის ისტორია (სომხ.), გვ. 391; რუსული, გვ. 17; ქართული, გვ. 63.

ძესამის მიერ ანისის აღებასთან, 1161 წლის ამბებთან დაკავშირებით იხსენიებს. ახლად აღებულ ანისში გიორგი III-მ დატოვა ივანე ორბელი „თანაშემწეობითა სარგის მჯარგრძელისათა და სხუათა თემის დიდებულთა აზნაურთათა“ [1]. როგორც ჩანს, სარგის მხარგრძელი თემის იმ „დიდებულთა აზნაურთა“ შორის არის მოხსენიებული, რომელთაც თანაშემწეობა უნდა გაეწიათ ანისის იმდროინდელ გამგებლისათვის, ივანე ორბელისათვის. სარგისის ამ დროს „დიდებულ აზნაურთა“ შორის მოხსენიება მის უკვე გაკეკეულ მდგომარეობაზე, მოხელეობაზე შეიძლება მიგვითითებდეს. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ხოჟორნი და მისი ციხე თავისი ქვეყნებითურთ, რომელიც, როგორც ჩანს, მხარგრძელებს ამ დროს ისევ ჰქონდათ [2], დაცით აღმაშენებლის დროიდან ორბელების ქვეყანაში შედიოდა და ხოჟორნის მფლობელიც ორბელების, ამ შემთხვევაში ივანე სუმბატის ძე ორბელის ვასალი აზნაური იყო. ჩვენი აზრით, საესებით სწორია ს. ერემიანი, როცა სარგის მხარგრძელს (მის მამას ზაქარიასაც) ქართველი ფეოდალების, ორბელების ძლიერი სახლის ვასალად მიიჩნევს [3], რომელიც „ვასალურ დიდებულთა“ რიგებიდან ორბელთა აჯანყების შემდეგ გადაიდა „დიდებულებში“ [4].

შემთხვევითი არ არის, რომ თამარის პირველი ისტორიკოსი სარგის მხარგრძელს ორბელთა აჯანყების დროს ორბელთა „ძად და საყვარლად“ მოიხსენიებს: „წამოუვიდა დემეტრეს სარგის მჯ რგოძელი შეილითა და ძმისწულითა მისითა, ძმა და საყვარელი ორბელთაჲ“ [5]. როგორც ჩანს, მე-12 ს. 70-იანი წლებისათვის სარგის მხარგრძელი ივანე ორბელის კარსე კარგად მიღებული პირი იყო, რადგან ამ დიდი ქართველი ფეოდალის მ ერ „შეყვარებული“ და „ძმადაც“ მიჩნეული ყოფილა; ის ჯერ კიდევ ორბელთა ვასალი ყოფილა და ამგვარი ურთიერთობიდან იგი, მართლაც, მსოლოდ ორბელთა მარცხის შემდეგ შეიძლებოდა გამოსულიყო.

დაბალი სოციალური წარმოშობის და სომხური არშირის მხარგრძელები, კერძოდ, ზაქარია პირველი და მისი მემკვიდრე სარგის, სომხურ, შედარებით მსხვილ, ფეოდალურ სახლებთან დაკავშირებითა და დამოყვრებით ცდილობდნენ თავიანთი საგვარეულოს შემდგომ „გაკეთილშობილებას“ და უფრო მაღალი ადგილის მოპოვებას ფეოდალურ საზოგადოებაში.

ასე მაგალითად, თვით სარგის მხარგრძელი დაქორწინებული იყო ვაჩრაძის ქალიშვილზე, თბილისის გამგებლის ვასაკის და ქურდის დაზე საგდეხტზე. ს. ერემიანის მტკიცებით, საგდუხტი წარმოშობით არწრუნთა ნახარარების ძველი გვარის იმ განშტოებიდან იყო, რომელმაც დაცით აღმაშენებლის დროიდან გადმოინაცვლა ჩრდილო სომხეთში და დავითისაგ ნ მიიღო მაჰაკანაბერდის ცხე და ახპატის მონასტერი მისი შემოგარენით [6]. ვასაკი, საგდუხტის ძმა, როგორც

---

[1] ისტორიანი, გვ. 57.

[2] ხოჟორნი მე-13 საუკუნეშიც მხარგრძელებს ეკუთვნოდათ; ეს კარგად ჩანს ხოჟორნის ეკლესიის მე-13 ს. სომხური წარწერიდან, სადაც მაჰანძაჰ ზაქარიას ძე წ რხერის გამგებლის ვინმე იოანეს პატრონად *წოდებ* არის მოხსენიებული (იხ. დ. შესხელაშვილი, ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის საველე სამუშაოთა შედეგები, სიგა, I. 1960, გვ. 60).

[3] ს. ე რ ე მ ი ა ნ ი, ა მ ი რ ს ა ხ ა ლ ა რ ი, ზ ა ქ ა რ ი ა (სომხ.), გვ. 10—11; სომეხი ხალხის ისტორია (რუს.), 1951, გვ. 159; 1953, გვ 624.

[4] ს. ე რ ე მ ი ა ნ ი, ადარწინის 1184 წ. წარწერა (რუს.), გვ. 84.

[5] ისტორიანი, გვ. 67—68.

[6] ს. ე რ ე მ ი ა ნ ი, ამირსპასალარი ზაქარია, გვ. 11. ჩვენ აქ რაფერს ვამბობთ ერემიანის მიერ ვასაკის ძმის, ამირ ქურდისა და გიორგი III-ის დროინდელი თბილისის ამირას ახბულასანის გაიგივების შესახებ. ამაზე ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი; ამას გარდა, ამირ ქურდისა და

ჩანს, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს სამეფო კარზე, იგი გიორგი III-ის გამეფებამდე თბილისის გამგებელი *დაშდაკსი* ამირა იყო[1], მაგრამ გიორგი III-მ გამეფებისთანავე, მხითარ გოშის სიტყვით, „მოისურვა ვასაკ იშხანის შეპყრობა" და ვასაკმა თეოდოსიოპოლში, მის ამირასთან გაქცევით უშველა თავს[2]. მაგრამ ამას, როგორც ჩანს, დიდ არ შეუშლია ხელი სარგის მხარგრძელის დაწინაურებისათვის.

კიდევ უფრო ფართო იყო სარგის მხარგრძელის შთამომავალთა კავშირი მოყვრობა სხვადასხვა ფეოდალურ სახლებთან. სარგის მხარგრძელს, ორ ვაჟს გარდა, ოთხი ქალიშვილი ჰყავდა — ვანენი (ნანა), დოპი, ხორიშაჰი (ტანჩიქა) და ნრდჯისი; ეს უკანასკნელი უშვილოდ გარდაიცვალა; ხოლო ვანენი, როგორც ზემოთ აღინიშნა, გათხოვილი იყო კვირიკე II-ის ვაჟზე--აბას II-ზე და ეს აძლევდა მხარგრძელებს საფუძველს თავიანთი საგვარეულო, ზოგ შემთხვევაში, ბაგრატიონებთან დაეკავშირებინათ. დოპი მისთხოვდა არცახის მთავარს ჰასანს. აღსანიშნავია, რომ ეს საგვარეულო ამირიდან „დოპიანების" საგვარეულოს სახელით შევიდა ისტორიაში[3]. ხორიშაჰი კიდევ ხაჩენის მფლობელის — ვახტანგის მეუღლე იყო. ამრიგად, როგორც ვხედავთ, მხარგრძელები დამოყვრების გზით ფართოდ აბამენ ქსელს სხვადასხვა მსხვილ და მეტნაკლებად მნიშვნელოვან სომხურ და აგრეთვე ქართულ (იავანი მხარგრძელი) ფეოდალურ სახლებთან. ყველაფერი ეს იმაზე მიგვითითებს, რომ სარგის მხარგრძელის საგვარეულო უკვე იმ დროს იმდენად იყო აღზევებული, რომ მისი ასული შეიძლებოდა, მართალია დამცრობილი, მაგრამ მაინც სომეხ ბაგრატუნთა საგვარეულოს ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენლის მეუღლე გამხდარიყო. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ სარგის მხარგრძელის შთამომავალთა ამგვარი ფართო და თავისთავად მნიშვნელოვანი მოყვარული კავშირები უმთავრესად დამყარებული იყო თვით სარგისის დაწინაურებაზე ჯერ გიორგი მესამის, ხოლო შემდეგ (და განსაკუთრებით) თამარის კარზე. აღსანიშნავია, რომ ვანენის ქორწინება აბას II-თან სწორედ სარგისის დაწინაურების შემდეგ მომხდარა, როცა სარგისმა საქართველოს სამეფო კარზე ამირსპასალარის თანამდებობა მიიღო, ე. ი. 1185 წელს თუ მის ახლო დროს[4]. ასე რომ მხარგრძელთა ფართო სამოყვრო კავშირი, ერთი მხრივ, შედეგი იყო თვით ამ საგვარეულოს თანდათანი აღზევებისა, ხოლო მეორე მხრივ, ამ საგვარეულოს შემდგომი დაწინაურების ერთ-ერთი უმთავრესი პირობაც.

მხარგრძელთა საგვარეულოს წარმომადგენლებს სამოხელეო ასპარეზზე დაწინაურების პირობები, ჩვენს განკარგულებაში არსებული მასალის მიხედვით, გიორგი III-ის დროიდან შეექმნათ. მათ, თუ ეს მასალების ნაკლულობით არ აიხსნება, სწორედ გიორგი III-ის დროიდან დაიწყეს მეტნაკლებად მნიშვ-

---

ვასაკის საკითხთან დაკავშირებით იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, შენიშვნები ძველი რუსეთისა და საქართველოს ისტორიიდან, „მნათობი", № 1, 1970, გვ. 152—153.

[1] ლ. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე, მხითარ გოშის „აღბანეთის ქრონიკა", წყაროთმცოდნეობა, II, 1968, გვ. 46.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 47.

[3] ლ. ბ ა ბ ა ი ა ნ ი, სომხეთის ისტორია (სომხ.), გვ. 27.

[4] ეს დასტურდება ვანენის მიერ სარგისის სიცოცხლეში, 1187 წლამდე გაკეთებულ სანაინრს ხელის წერილიდან, სადაც აბას II სწორედ იმ დროს გ რ ა ც ე ლ ი ლ ა დ ა ა მოხსენიებული (ს. ი ო რ ა ნ ო ვ ი, სასაისის სიდის წარწერა (სომხ.), გვ. 194) ამავე დროს ცნობილია, რომ აბასმა თავის მეუღლესთან ერთად მხოლოდ 2 წელი იცხოვრა და 19 წლის ასაკში გარდაიცვალა: კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ც ი, ისტორია (რუს.), გვ. 82.

სელოვანი რიოლის შესრულება საქართველოს სამეფო კარზე – პირველი ამ მხრივ სარგის მხარგრძელი იყო.

მკვლევართა უმეტესობა სარგის მხარგრძელის გამოჩენას საქართველოს სამეფო კარზე და მის დაწინაურებას გიორგი III ის მიერ 1161 წ. ანისის აღებას უკავშირებს. მართლაც სარგისს ქართული წყაროები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გიორგი III ის მიერ ანისის პირველად აღების, 1161 წლის ამბებთან დაკავშირებით იხსენიებს. ამიტომ საჭიროდ მიეჩნიეთ გიორგი III ის დროინდელ ანისის ისტორიაზე მოკლედ მაინც შევჩერდეთ.

ანისის შემოსაერთებლად საქართველოს სამეფოს მიერ წარმოებული ბრძოლები მკვლევრების (ი. ჯავახიშვილი, ნ. მარი, ა. შაჰნაზარიანი, ი. მანანდიანი, ი. ორბელი, ს. ერემიანი, მ. ლორთქიფანიძე და სხვ.) მიერ მეტნაკლებად სრულად არის შესწავლილი. ამასთანავე, შედადიდებისა და ქართველების ბრძოლას ანისისათვის თავისი გამოკვლევის საგანგებო თავი უძღვნა ვ. მინორსკიმ. მიუხედავად ამისა, ანისის საკითხი და საქართველოს სამეფო ხელისუფლების ანისისადმი დამოკიდებულების ფორმები სხვადასხვა (განსაკუთრებით დემეტრე I-ის) დროს ჯერ კიდევ სათანადოდ გამოკვლეული არ არის. მაგრამ ამ რიგის საკითხებზე ჩვენ ამჯერად საუბრის გაგრძელებას არ ვაპირებთ და ანისის ისტორიას მხოლოდ იმდენად შევეხებით, რამდენადაც იგი საქართველოს სამეფო კარზე სარგის მხარგრძელისა და საერთოდ მხარგრძელების დაწინაურებასთანაა დაკავშირებული.

გიორგი III-ის დროინდელი ანისის შესახებ ცნობები დაცული აქვთ თამარის ისტორიკოსებს, ვარდანს, სტეფანოს ორბელიანს, მხითარ გოშს, ალ-ფარიკს, იბნ-ალ-ასირსა და სხვებს, მაგრამ ყველაზე სრული და თანმიმდევრული ცნობები ამ მხრივ ვარდანს მოეპოვება და მისი სხვა წყაროებთან შეჯერებით შესაძლებელი ხდება მეტნაკლებად სრული სურათის დადგენა.

სარგის მხარგრძელს პირველად, ანისთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ ვნახეთ, თამარის პირველი ისტორიკოსი იხსენიებს: გიორგი III-მ „კუალადცა ინება შეყრად და გალაშქრებად და მიჰმართა დიდად ქალაქად ანისად. რომელი ძუელ ოდესმე ბერძენთა მეფეთა სახლი და საჯდომი იყო... და შიმოცვალებითა ჟამთაჲთა დიდად გუარიანთა ვეითმე შედადიანთა გამგედ დადგმულთა ამას ზედა, მყის მიმჭდომმან, სამ დღე ყო ომთა სიმრავლე და ძგერაჲ ჰუნეთაჲ. კელთ-იგდო ქალაქი ნებისაებრ თჳსისა და... დაიმჭირა სადგომად ტახტისა მისისა შესანახაჲად და გასამაგრებლად. დამგდებელმან ივანე ორბელისა მანდატურთუხუცესისა და ამირ სპასალარისა, თანაშემწეობითა სარგის მკარგრძელისათა და სხუათ თემისა დიდებულთა აზნაურთათა“.[1] გიორგი III-ის მიერ ანისის ასაღებად მოწყობილ ამ პირველი ლაშქრობის შესახებ წერს ვარდანიც, ოღონდ იგი არაფერს ამბობს არც ივანე ორბელისა და არც სარგის მხარგრძელის შესახებ და იმის აღნიშნით კმაყოფილდება, რომ გიორგიმ 1161 წელს ქალაქი ამირა ფადლუნს წაართვა, რომელიც გიორგის წინააღმდეგ თავისი ძმის შადადის მაგიერ გამოეიდა[2]. მაგრამ ამ დროს ივანე ორბელისათვის ანისის გადაცემის შესახებ, გარდა ქართული წყაროსი, სტეფანოს ორბელიანიც მიგვითითებს: „გიორგიმ აიღო ანისი... ყოველი ქვეყანა შირაკისა და უბოძა ქართველთა ამირსპასალარსა ივანეს, ძესა დიდისა სუმბატ ორბელიანისა“[3]. ამის შემდეგ სტეფანოს

---

1 ისტორიანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 6.

2 ვარდანი, მსოფლიო ისტორია (რუს.), გვ. 155

3 სტეფანოს ორბელიანი, სივნიეთის ისტორია (სომხ.), გვ. 382; რუსული 10; ქართული 59.

ორბელიანიც. ქართველი ისტორიკოსისა და ვარდანის მსგავსად, ანისში შაჰარმენის ლაშქრობის შესახებ მოგვითხრობს. ალ-ფარიქ ს ცნობითაც, ანისის აღება „აფხაზთა მეფის“ გიორგის მიერ 1161 წლის მაისში მომხდარა, ოღონდ ანისის აჯანყებული სამღვდელოების მოწვევით. ამას გარდა, ალ ფარიკი არაფერს ამბობს ივანე ორბელიანისათვის ანისის გადაცემისა და სარგის მხარგრძელის შესახებ. მისი ცნობით, ამ დროს ანისის მმართველად დანიშნა გიორგი III-ის მოხელე (chamberlain, კამერგერი) სადუნი[1]. მაგრამ სხვა წყარო, კერძოდ ბურან ალ-დინ აბუ ნასრ მასუდის სპარსული ლექსი, ვ. მინორსკის მოწმობით, „ანისისათვის 1161 წ. წარმოებული ბრძოლის მონაწილედ იხსენიებს „ივანე“ ს, რა თქმა უნდა, ივანე ორბელს[2], მაგრამ არც ამ წყაროშია რაიმე ნათქვამი ანისის მისთვის გადაცემის შესახებ.

სადუნი მართლაც იყო ანისის მმართველად ერთხანს, მაგრამ არა ანისის პირველად აღების დროს, არამედ შემდეგ, შაჰარმენის ლაშქრობისას. ამიტომ არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ ალ-ფარიკის ეს ცნობა და მასზე დამყარებული დასკვნაც ანისის პირველად აღების შემდეგ მის გამგებლად სადუნის დანიშვნის შესახებ[3]. ასე რომ თამარის ისტორიკოსისა და სტეფანოს ორბელიანის მოწმობით, გიორგი III-ის მიერ გათავისუფლებული ქალაქი ივანე ორბელს გადაეცა: ეს, რა თქმა უნდა, ივანე ორბელის აქ მოხელედ დანიშვნას კი არ ნიშნავდა, როგორც ზოგი მკვლევარი ეარაუდობს[4], არამედ მის მფლობელობას. წარმოუდგენელია საქართველოს სამეფოს ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი გიორგი III-ს ანისის გამგებლად, მის ამირად დაენიშნა. თუ სტეფანოს ორბელიანს დავუჯერებთ, ანისი ივანე ორბელს სამამულოდ, მუდმივ მფლობელობაში გადაეცა[5]. ანისის მფლობელს ამ შემთხვევაში საქართველოს მეფის ამირსპასალარს, ქალაქში, მის უშუალო გამგებლად თავისი სარწმუნო პირი უნდა ჰყოლოდა. ასეთად ამ დროს სარგის მხარგრძელი ჩანს; ამას უნდა ნიშნავდეს თამარის ისტორიკოსის მითითება მისი „თანაშემწეობის“ შესახებ. თუმცა ანისის იმდროინდელ მფლობელს ივანეს თანაშემწეები სხვაც ჰყოლია „თემის აზნაურთა“ სახით, მაგრამ თამარის ისტორიკოსის მიერ სარგის მხარგრძელის გამოყოფა და მისი, როგორც ივანე ორბელის თანაშემწის, ცალკე დასახელება იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ სარგის მხარგრძელს, „თემის სხვა აზნაურთაგან“ განსხვავებით, ანისში საგანგებო მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული, ე. ი. ის ქალაქის მფლობელის განკარგულებათა უშუალოდ შემსრულებელი იქნებოდა. სავსებით დასაშვებია, რომ ივანე ორბელს გიორგი III-ისათვის ერჩია თავისი „ძმა და საყუარელი“ სარგის მხარგრძელი მის უშუალო თანაშემწედ დაეტოვებინა ანისის საქმეების განმგებლობაში. იქნებ ანისის მფლობელის თანაშემწეობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა სარგისის მოხელეობას, ამირობას ანისში, მაგრამ ფაქტია, რომ სარგისის გამოჩენა საქართველოს ისტორიის ასპარეზზე მე-12 ს. 60-იანი წლებიდან დაიწყო და ანისის შემოერთებისა და ანისში ივანე ორბელის თანაშემწეობას დაუკავშირდა.

ანისის აღებიდან 50 დღის შემდეგ, კარდანის მოწმობით, გიორგი III-ის

---

[1] ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

[2] იქვე, გვ. 89, შენ. 2.

[3] შ. ლორთქიფანიძე, ანისისათვის ბრძოლის ისტორიიდან მე-12 ს. საქართველოში, სფსის, I, გვ. 107.

[4] შ. ლორთქიფანიძე, ანისისათვის ბრძოლის ისტორიიდან, 1970, გვ. 109 და სხვ.

[5] სტეფანოს ორბელიანი, სივნეთის ისტორია (სომხ.), გვ. 382

წინააღმდეგ შაჰარმენის დიდმა კოალიციამ გაილაშქრა. სისხლისმღვრელი ბრძოლა ახისისათვის ისევ გიორგი III-ის გამარჯვებით დამთავრდა: ამჯერად „შეფემ დატოვა ანისში იშხანი სატუნი (სადუნი)“.[1] 1161 წ. ივლისში შაჰარმენის გალაშქრებისა და გიორგის გამარჯვების შესახებ იმავე წლის აგვისტოში, მოგვითხრობს აგრეთვე ალ-ფარიკიც,[2] მაგრამ იგი ამჯერად არაფერს ამბობს სატუნის დანიშვნის შესახებ. ამ ბრძოლისა და მისი შედეგების შესახებ საინტერესო ცნობა მოეპოვება თამარის პირველ ისტორიკოსს. მისი სიტყვით. გიორგიმ, შაჰარმენზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, სამი დღე დაჰყო „ქართა ანისისათა და მაურვებელმან ქალაქისამან და ამას შინა დ ა მ ყ ე ნ ე ბ ე ლ მ ა ნ ა მ ი რ ი ს მ ა ნ და ლაშქართა ამყრელმან, პირითა მხიარულითა წარმოავლინა მახარობელი“.[3] მართალია, თამარის ისტორიკოსი არ ახსენებს გიორგის მიერ ქალაქში დაყენებული ამირას სახელს. მაგრამ აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში იგულისხმება სატუნი, რომელიც, ვარდანის მოწმობით, გიორგიმ ანისში სწორედ შაჰარმენის დამარცხების შემდეგ დატოვა ქალაქის გამგებლად. ასე რომ სატუნი, როგორც ვარდანისა და თამარის ისტორიკოსის ცნობების ურთიერთშეჯერებიდან ჩანს, ა ნ ი ს ი ს ა მ ი რ ა დ ყოფილა დატოვებული.

მაგრამ, როგორც ვარდანის ცნობებიდან ირკვევა, სატუნის ამირობა ქალაქში დიდხანს არ გაგრძელებულა. მასზე მალე „ეჵვი მიიტანეს ღალატში, რაჲ იგი ძალიან გულმოდგინედ ამაგრებდა ქალაქის კედლებს. გაიგო ამის შესახებ მეფემ, წაართვა მას თანამდებობა, ხოლო იგი (სატუნი). . . მიუვიდა ელდიგუზს“. გიორგიმ მაინც შეძლო მისი ხელში ჩაგდება და სიკვდილით დასჯა ბრძანა, „ხოლო მის ადგილზე ანისში დანიშნა სარგისი, იშხანი ზაქარეს საგვარეულოდან *ფრჩხან ჯაგარჲან ძ(ისა)*[4]. სატუნის მაგიერ მის ადგილზე დანიშნულ სარგისს, ცხადია, მის თანამდებობას, ამირობას მისცემდნენ. ამრიგად, ვარდანისა და თამარის ისტორიკოსის ცნობების მიხედვით, 1161 წლის დასასრულს თუ 1162 წ. დამდეგს სარგის მხარგრძელს საქართველოს მეფისაგან ქ. ანისის ამირობა მიუღია. ამით დაიწყო, ჩვენი აზრით, სარგის მხარგრძელის მოხელეობა საქართველოს სამეფო კარზე. სარგისის ჯერ „თანაშემწეობა“ ანისში, ხოლო შემდეგ ამირობა, ცხადია, შემთხვევითი არ იყო. ქურთული წარმოშობის შედადიდების მფლობელობის შემდეგ ანისში, განსაკუთრებით მისი შემოერთების პირველ წლებში, ასევე ქურთული წარმოშობის მხარგრძელის ამირობა, შეა საუკუნეების სამართლებრივი თვალსაზრისით, მისაღები უნდა ყოფილიყო არა მარტო ქალაქის მცხოვრებთა, არამედ საქართველოს მეფისთვისაც.

წყაროებიდან არ ჩანს, თუ რამდენ ხანს გაგრძელდა სარგისის ამირობა ანისში, აღსანიშნავია, რომ ელდიგუზ ათაბაგის წინააღმდეგ გამართული ბრძოლის წინ, თამარის ისტორიკოსის სიტყვით, „ანისსა განამტკიცებდა თორელი, დიდი და სახელგანთქმული მოლაშქრე“ [5].

იქნებ ეს არ ნიშნავდეს თორელის მოხელეობას ანისში და ამ „სახელგანთქმულ მოლაშქრეს“ მოსალოდნელი ბრძოლის წინ, ანისის მხოლოდ მნიშვნელოვან სასიმაგრო ნაგებობათა შეკეთება-განმტკიცება ჰქონდა დავალებული და ქალაქის ამირად ისევ სარგისი რჩებოდა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ საოგისი ანისში დიდხანს არ ყოფილა ამირად. ელდიგუზ ათაბაგთან ბრძოლაში საქართველოს

---

1 ვ ა რ დ ა ნ ი, მსოფლიო ისტორია (რუს.), გვ. 155.

2 ვ. მ ი ნ ო რ ს კ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 90

3 ისტორიანი, გვ. 60.

4 ვ ა რ დ ა ნ ი, მსოფლიო ისტორია (რუს.), გვ. 155; სომხური, 1861, გვ. 166.

5 ისტორიანი, გვ. 62.

ლაშქრის დამარცხებისა და ანისისათვის გამართული გაუთავებელი ბრძოლების შემდეგ, 1164 65 წლებში, როგორც ცხობილია, გიორგი III იძულებული გახდა ანისი ისევ მის ძველ მფლობელთათვის დაეთმო: „შემდგომად ამისად უბოძა ანისი თჳსსავე მემამულესა და ითაყუანა თავისა თჳსისა ყმად“.[1] ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, სარგისი ანისის ამირა ველარ იქნებოდა. ამ დროიდან მოკიდებული ანისი, ვიდრე 1174 წლამდე, როგორც ჩანს, მაჰმადიან მფლობელთა ხელში იყო. ამ დროს გიორგი III მ ისევ განაახლა ბრძოლა ანისისათვის. თუ ვარდანს დავუჯერებთ, ამ შეთხვევაში საქართველოს მეფე ამირსპასალარის ივანეს შეგონებით მოქმედებდა, რომელსაც სურდა ანისში გაბატონება და ქრისტიანი ტყვეების გათავისუფლება. ვარდანისავე მოწმობით, მეფემ თან წაიყვანა ანისის ძმდროინდელი ამირა შაჰანშაჰი. რომელსაც „უკან დაბრუნება აღარ ეწერა“.[2] 1174 წლის ოქტომბერში გიორგის მიერ ანისის დაპყრობის და იქიდან შაჰანშაჰის გამოგდების შესახებ მოგვითხრობს აგრეთვე ალ ფარიკი. ამას გარდა, ალ ფარიკი მიუთითებს ანისში ქართველების მიერ თავიანთი მოხელის დანიშვნისა და საქართველოს დომინიონში (wilāya) ქალაქის შესვლის შესახებ.[3] როგორც ვარდანის შემდგომი მოთხრობიდან ირკვევა, ივანეს მფლობელობა ანისში ისევ აღმდგარა, მაგრამ თუ ვინ იყო ის მოხელე, რომელიც ამ დროს ქალაქში დაინიშნა, წყაროებიდან არ ჩანს.

მაგრამ სანამ ამ საკითხს გავარკვევდეთ, შევეჩერდეთ ანისისათვის ამის შემდეგ გამართული ბრძოლის მიმდინარეობისა და მისი შედეგების შესახებ. ქართველების მიერ ანისის აღებას, ვარდანისა და ალ-ფაიკის მოწმობით, ელდიგუზ ათაბაგის საპასუხო ლაშქრობა მოჰყვა. ვარდანის მიხედვით, როგორც კი გაიგეს თურქებმა ანისის აღება, მოწვეულ აგრეთვე სულთანი არსლანი, თავს დაესხნენ ანისს და დალაშქრეს შირაკის მთელი პროვინცია. ივანე მზად იყო ქალაქი ისევ მაჰმადიანი მფლობელებისათვის დაეთმო, მაგრამ თვით ანისის მოსახლეობამ არ დართო ამისი ნება და სულთან ცა და ათაბაგიც სირცხვილეულნი გაბრუნდნენ[1]. ვარდანი არაფერს ამბობს ბრძოლის თარიღის შესახებ, მაგრამ საამისო ცნობას ალ-ფარიკი გვაწვდის. მისი სიტყვით, 1175 წლის აგვისტოს „ათაბაგმა ელდიგუზმა, სულთანმა არსლან-შაჰმა, ხლათის მმართველმა შაჰ-არმენმა Diyārislabakaz-ის ჯარით და ელდიგუზის ეაჯოშეილმა ფაჰლავანმა, აზერბაიჯანისა და ჰამადანის ჯარით, შექმნეს უზარმაზარი ლაშქარი და გაემართნენ ქართველთა ქვეყნისაკენ“, ლორე დმანისის და თრიალეთ-ახალქალაქის მიდამოები დალაშქრეს“[5]. მაგრამ ამ ლაშქრობ ს, ალ ფარიკის მიხედვითაც, სხვა შედეგი, გარდა დასახელებული კუთხეების აოხრებისა, არაფერი მოჰყოლია. ალ-ფარიკის სიტყვით, ისინი რამდენიმე დღე დარჩნენ თრიალეთ-ახალქალაქის მიდამოებში და „შემდეგ ყოველი მათგანი დაბრუნდა“ თავიანთ ქვეყანაში[6]. ასე რომ ელდიგუზისა და სულთანის ლაშქრობას ამჯერად ანისის აღება არ მოჰყოლია, ხოლო ამის შემდეგ ათაბაგიც და სულთანიც, ვარდანის სიტყვით, ერთსა და იმავე წელს გარდაიცვალნენ[7]. ვ. მინორსკის მიხედვით, ეს 1175 წელს მომხდარა[8]. კ. ბოსეორტის ჭრო-

[1] ისტორიანი, გვ 64; ვარდანი, მსოფლიო ისტორია (რუს.), გვ. 156; ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 95 96.

[2] ვარდანი, მსოფლიო ისტორია (რუს.), გვ. 159.

[3] ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრომი, გვ 96.

[4] ვარდანი, მსოფლიო ისტორია (რუს.), გვ. 159.

[5] ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 87—98.

[6] იქვე, გვ. 98.

[7] ვარდანი, მსოფლიო ისტორია (რუს.), გვ. 159.

[8] ვ. მინორსკი, დასახ ნაშრომი, გვ. 99.

ნოლოგიითაც ელდიგუზ ათაბაგი 1176 წლიდან უკვე აღარ ჩანს თავის ტახტზე [1], ასე რომ ანისისათვის ბრძოლა, ელდიგუზ ათაბაგის მეთაურობით, 1175 წ. მიწურულიდან თუ 1176 წლის დამდეგიდან შემწყდარა.

მიუხედავად იმისა, რომ, ალ-ფარიკისა და ვარდანის ცნობების მიხედვით, ელდიგუზისა და მისი კოალიციის ბრძოლა ანისის ხელახლა დასაპყრობად უშედეგოდ დამთავრდა, მ. ლორთქიფანიძე მაინც ვარაუდობს, რომ ანისი საქართველოს სამეფომ ელდიგუზის მეორე, 1175 წ. ლაშქრობის დროს ისევ დაკარგა[2]. ჯ. სტეფნაძის აზრით კი — ანისი მაჰმადიან მფლობელთა ხელში თამარის დროს, კერძოდ 1186 წლიდან გადასულა[3]. ლ. გუზალიანის მიერ გამოქვეყნებული წარწერიდან ირკვევა, რომ მე-12 ს. მიწურულს, კერძოდ 1198-99 წლისათვის ანისი ისევ შედადიდების მემკვიდრეთა ხელში ყოფილა[4]. თამარს რომ ხელახლა უხდება ანისის შემოერთება, ეს კარგად ჩანს ბასილის ცნობიდანაც; თამარმა, მისი სიტყვით, „სახელგანთქმული სახლი სომხთა მეფეთა ანისი... წარუღო სპარსთა შაწშუობისა თანა მრავალჟამ მათგან ქონებული“ [5]. მაგრამ არც ამ ისტორიკოსის ცნობიდან და არც ზემოდასახელებული წარწერიდან არ ჩანს, თუ როდის დაკარგა საქართველოს სამეფომ ანისი. როგორც ზემოთ ვნახეთ, ელდიგუზისა და მისი კოალიციის 1175 წლის ლაშქრობა ანისის დაპყრობით არ დამთავრებულა. მაგრამ ამასთანავე ისიც ცხადია, რომ გიორგი III-ეს 1178 წლისათვის ანისი აღარ ეკუთვნოდა. გიორგის მიერ ორბელთა დამარცხების შემდეგ ივანე ორბელის ადგილზე ამირსპასალარად დანიშნულმა ყუბასარმა მეფისაგან ორბელთა ყველა სამფლობელო მიიღო, მაგრამ არა ანისი. თამარისდროინდელი ამირსპასალარებიც სარგის მხარგრძელიცა და გამრეკელ-თორელიც არ ყოფილან ანისის მფლობელები. ანისი ვერ მიიღო ვერც ზაქარია მხარგრძელმა 1191 წელს ამირსპასალარად დანიშვნის დროს. თამარის დროს ანისის მფლობელი არ ყოფილა აგრეთვე მისი სხვა რომელიმე მოხელე. უეჭველია, რომ გიორგი III-ის მეფობის ბოლო წლებიდან მოკიდებული, ვიდრე მე-12 ს. მიწურულამდე, ანისი საქართველოს სამეფოს არ ეკუთვნოდა.

როგორც ჩანს, ჭ. ანისი 1175 წლის შემდეგ, 1175 -1178 წწ. შორის გადასულა მაჰმადიან მფლობელთა ხელში. საამისოდ ყველაზე ხელსაყრელი დრო ორბელთა აჯანყების პერიოდი უნდა ყოფილიყო. ჯერ ერთი, აჯანყებისათვის მზადების თუ აჯანყების მსვლელობის დროს ამ აჯანყების ორგანიზატორს ივანე ორბელს ანისი მართლაც შეეძლო მეზობელ მაჰმადიან მფლობელებში მომხრეთა და მოკავშირეთა შესაძენად და პოზიციების გასამტკიცებლად გამოეყენებინა. ივანე ორბელი, როგორც აღვნიშნეთ, ადრევე, 1175 წ. ფიქრობდა ანისი მაჰმადიან მფლობელთათვის დაეთმო. ახლა კი აჯანყებულ ფეოდალს ამ გეგმის განხორციელებაში ვერაფერ შეუშლიდა ხელს. მეორე მხრივ, ასე გართულებულ საშინაო და საგარეო ვითარების დროს, როცა არც გიორგი III-ს ეცალა ანისისათვის და არც აჯანყებულ ივანე ორბელს, ანისის ყოფილი მფლობელები და მათი მოკავშირეები ივანე ორბელის დახმარების გარეშეც, თვითონ შეეცდებოდნენ ანისის დაბრუნებას. უკეთეს მომენტს, ალბათ, ვერც ინატრებდნენ ანისისათვის გამუდმებული ბრძოლების ორგანიზატორები.

---

[1] ა. ბოსვორტი, მუსლიმანური დინასტიები (რუს.), გვ. 171.

[2] მ. ლორთქიფანიძე, ანისისათვის ბრძოლის ისტორიიდან, გვ. 111, 112.

[3] ჯ. სტეფნაძე, საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან მე-12 ს. (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი), 1971, გვ. 73.

[4] ლ. გიუზალიანი, სპარსული წარწერა ანისში (რუს.), გვ. 663.

[5] ბასილი, გვ. 130.

გიორგი III ბ დიდი ენერგია შე ლ ა აჯანყებელ თა წ ხა ლ ძლეგ ბრძოლას და გამარჯვებაც ს მეფო ხელისუფლების ძალების უკ დერესი დაძაბვის საფა-ხუოად მოიპოვა. აჯანყების დამარცხების შემდეგ შექმნილი პოლიტიკური კრი-ზისი გიორგი III-ს საშუალებას არ აძლევდა მიეხედა ანისის საქმეებისათვის. საქართველოს სამეფოს ამ მხრ ვ ხელსაყრელი პირობები აო ჰქონია, არც თა-ბაოის მეფობის პირველ წლებში; ამიტომ მ.ჰმადიანმა მფლობელებმა ოცი თუ ოცდაერთი წლის მანძილზე 1178 წლიდან 1199 წლამდე შეძლეს ანისის შენარ-ჩუნება.

ამრიგად, ანისი მისი მეორედ შემოერთების დროიდან, 1173-74 წლიდან, მხოლოდ ოთხ-ხუთ წელს, 1178 წლამდე ყოფილა საქართველოს მეფის ხელში. მაგრამ ვინ იყო ამ დროს ანისისა და მისი მიმდგომი ქვეყნების მფლობელი და ქალაქის უშუალო გამგებელი? ანისისა და მისი მიმდგომი ქვეყნების მფლობელი იმ დროს რომ ისევ ივანე ორბელი იყო, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ანისის მეორედ შემოერთება, ზოგი წყაროს მიხედვით, როგორც აღინიშნა, სწორედ ივანე ორბელის ინიციატივით მოხდა. ამას გარდა, ალ ფარიკის ცნობიდან ისიც ვიცით, რომ ქალაქის შემოერთებისთანავე ქართველებმა აქ თავიანთი მოხელე დანიშნეს ასეთი მოხელე ქალაქისა და მისი მიმდგომი ქვეყნების მფლობელი კი არა, ქალაქის ამირა უნდა ყოფილიყო, რომელიც აქ საქართველოს მეფის, აგ-რეთვე ანისისა და მისი ქვეყნის მფლობელის წარმომადგენელი იქნებოდა.

ი. ჯავახიშვილის მიხედვით, ანისის მეორედ შემოერთების დროს, ანისის ეპისკოპოსის ბარსეღის თხოვნით, გიორგი III-ს ქალაქის ამირად, ბარსეღის ძმა აპირატი დაუნიშნია[1], ამასვე იმეორებს მ. ლორთქიფანიძეც[2]. ორივე მკვლევ ოის მიერ ამგვარი მოსაზრების სათანადო წყაროდ ვარდანი არის დამოწმებული. მაგრამ ვარდანი, ანისის მეორედ შემოერთებისა და ელდიგუზის ლაშქრობის აღწერის შემდეგ, მართალია, იხსენ ებს აპირატს, მის გამოხსნას ტყვეობიდან გიორგი III ის მიერ და ასევე აპირატის დაბრუნებას ანისში, მაგრამ არაფერს ამბობს ამ უკანასკნელის ქალაქის ამირ დ დანიშვნის შესახებ.[3]

აღსანიშნავია, რომ მხითარ გოშიც თავის „ალბანეთის ქრონიკაში" ანისის მეორედ შემოერთების ამბებთან დაკავშირებით ასახელებს ბარსეღ ეპისკოპოს-სა და მის ძმებს, რომელთა მოწოდებითაც თითქოს ილაშქრა გიორგი III-მ და აიღო ანისი, სადაც თავისი მოხელე დანიშნა[4], მაგრამ არაფერს ამბობს იქ დანიშ-ნული მოხელის ვინაობის შესახებ და არც იმაზე, რომ ბარსეღის რომელიმე ძმას რაიმე თანამდებობა ჰქონოდეს ამ დროს ანისში.

მიქ. ჩამჩიანიც დეტალურად მოგვითხრობს ანისის ეპისკოპოსისა და მისი ძმის აპირატის ვინაობას, მის ტყვედ ჩავარდნას ანისისათვის ერთ-ერთი ბრძო-ლის დროს, გამოხსნას ტყვეობიდან და ამის შემდეგ აპირატის მეგობრობას გი-ორგი III-სთან, მის თანამეიარაღეობას (თანამებრძოლობას) თავის შვილით გრიგორიოსურთ და სხვა მ'აგვესთ[5], მაგრამ არც მისი ცნობებიდან ჩანს, რომ აპი-რატი როდისმე ქალაქის ამირა ყოფილიყო. თუმცა ის კი ცხადია, რომ აპირატი და მისი შვილიც გრიგორიც ანისში მოსაქმეობდნენ. შემთხვევითი არ არის, რომ აპირატისძე გრიგორი სტეფანოს ორბელიანის და მიქ. ჩამჩიანის მიერ „ანელად-

---

[1] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქვე., II, 1965, გვ. 239.

[2] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანისისათვის ბრძოლის ისტორიიდან, გვ. 109.

[3] ვ ა რ დ ა ნ ი, მსოფლიო ისტორია (რუს.), გვ. 159. სომხ., გვ. 169.

[4] ლ. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე, მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა", გვ. 48.

[5] მ. ჩ ა მ ჩ ი ა ნ ი, სომხეთის ისტორია (სომხ.), III, გვ. 147.

არის მოხსენიებული ორბელთა აჯახების მონაწილეთა შორის[1]. მაგრამ გარკვეული „ანელობა" მისი ამირობის აღშენების უნდა ყოფილიყო, ასე რომ ანისის მეორედ შემოერთების შემდეგ საქართველოს მეფის ქალაქში დანიშნული მოხელის ვინაობა ისევე საძიებელი რჩება. ჩვენი აზრით, ანისის მეორედ შემოერთების შემდეგ, საქართველოს მეფის მიერ დანიშნული მოხელე ისევ სარგის მსარგრძელი უნდა იყოს, რომელსაც ეს თანამდებობა ჯერ კიდევ ადრე, ანისის პირველი შემოერთების დროს ჰქონდა. ჩვენს ამ ვარაუდს ამ მხრივ აძლიერებს სარგის მხარგრძელის „შაჰანშაჰად" მოხსენიება ანისის ერთ-ერთ წარწერაში. წარწერა, როგორც ჩანს, გაკეთებულია ზაქარია მხარგრძელის სიცოცხლეში: „უფლობასა მანდატურთუხუცეს ამირსპასალარ ზაქარიასი, ძისა შაჰანშაჰ სარგისისა(*ირჟიკს შარუსაო Սարգսի*)"[2]: შაჰანშაჰ სარგისი ზაქარია მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის მამა სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა გიორგი III-ისა და თამარის თანამედროვე სარგისი. ამასთანავე, როგორც ცნობილია (ამაზე ჩვენ საგანგებოდ ქვემოთ შევჩერდებით), შაჰანშაჰის ტიტულის მიღება, ვარდანის მოწმობით, ანისის მფლობელობასა თუ გამგებლობასთან იყო დაკავშირებული[3]. ანისი საქართველოს სამეფოს გიორგი III-ის მეფობის პერიოდში შედარებით ხანგრძლივად მისი მეორედ შემოერთების დროიდან. 1173-74 წლიდან ჰქონდა და სწორედ ამ დროს შეიძლებოდა მიეღო სარგისს, როგორც შედადიდთა ქურთული საგვარეულოს გამგებლობის შემცვლელს ანისში, შაჰანშაჰის ტიტული[4].

ამრიგად, სარგის მხარგრძელის კარიერა საქართველოს სამეფო კარზე დაიწყო ანისში ორბელის თანაშემწეობით. ხოლო შემდეგ ანისის ამირობით და ასე გაგრძელდა, როგორც ჩანს, 1178 წლამდე, ორბელთა აჯანყებამდე და ანისის ისევ შაჰმადიან მფლობელთა ხელში გადასვლამდე. ჩვენ. სამწუხაროდ, არაფერი ვიცით მისი სხვა თანამდებობების შესახებ ანისში მაჰმადიან მფლობელთა ბატონობის პერიოდში. მაგრამ ის კი ცხადია, რომ მხარგრძელთა პირველი შტოს მთავარი წარმომადგენლის სარგისის დაწინაურება ანისისათვის ბრძოლასა და მის შემოერთებასთან იყო დაკავშირებული.

ორბელთა აჯანყებას, ანისის დაკარგვასთან ერთად, აჯანყების მონაწილეთა თუ თანამგრძნობთა ეთოგეარი გადაადგილებაც მოჰყვა ფეოდალური იერარქიის საფეხურებზე. როგორც ცნობილია, ბევრს სიცოცხლის ფასად დაუჯდა აჯანყება, ზოგი კი საბოლოოდ ჩამოშორდა პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზსა და ადგილ-მამულთან ერთად თანამდებობაც დაკარგა, ზოგიც ჩამოქვეითდა და მისი ადგილი სხვამ დაიჭირა, ზოგმა კიდევ ადრევე იგრძნო მოსალოდნელი საფრთხე და დროზე დატოვა აჯანყებულები. ამ უკანასკნელთ ეკუთვნოდა სარგის მხარ

---

[1] სტეფანოს ორბელიანი, სიუნიეთის ისტორია (სომხ.). გვ. 384; რუს., გვ. 12. ქართ., გვ. 60; მ. ჩამჩიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 147.

[2] სომხური წარწერების კრებული, 1, 1966, გვ 2; ემინი, სომხური წარწერები (რუს.), ვე 8; ე. კოსტანიანცი, მატიანე ქვებზე (სომხ.), გვ. 57, ლ. ბაბაიანი აქ მოხსენიებულ სარგის შაჰ ნშაჰს მიიჩნევს ზაქარიას ძედ და არა პირიქით (იხ. მისი სომხეთის ისტორია (რუს.), გვ. 22), მაგრამ ეს სწორი არ უნდა იყოს და მხარგრძელთა შორის პირველ ზაქარია კი რა, სარკვისი იყო შაჰანშაჰის ტიტულის მატარებელი.

[3] ვარდანი, მსოფლიო ისტორია (რუს.), გვ. 187.

[4] ს ინტერესოა, რომ, ას. შაჰნაზარ ანის მ ხედ თ, ან სის სწორედ მეორედ შემოერთების დროს დაინიშნა სარგისი იგანე ორბელის თანაშემწედ (მისი აზრით, ამგვარად უნდა გაიგოთ თამარის ისტორიკოსის ზემომოტანილი ცნობა და ამიტომაც გამოეიდა ოგი თავის უშუალო სიუზერენთან, იგანე ორბელთან ერთად გიორგი III-ის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების დროს (იხ. მისი: ზაქ რიანთა ტომის წარმოშობა (სომხ.), გვ 78).

გრძელიც. თამარის ისტორიკოსის მოწმობით, ლორეში აჯანყებულთა გამაგრებ ის შესახებ „წამოეწია ამბავი ამის საქმის მჭვრეტელი შეიდითა და ძმის წულითა ჩ ით . ძმა და საყოველი ორბელთა; ესე შეიყუარა და მეიტკბო მეფემან და მისცა მისანდობლობაჲ გუარის-შვილობისა მისისა"[1].

როგორც ჩანს, სარგის მხარგრძელი, ორბელ ს აზნაური და ანისის გამგებელი, თემის სსეა აზნაურებთან და ანელებთან ერთად, აჯანყებულების მხარზე ყოფილა, მაგრამ, როცა გიორგი III-მ შედგრად შეუტია აჯანყებულებს და აშკარა გახდა მეფის ძალთა უპირატესობა, სარგის მხარგრძელი, თავის გვარიშვილებთან ერთად, „წამოუვიდა დემეტრეს" და გიორგის ეახლა. სტეფანოს ორბელიანის სიტყვით, მეფეს მოოჩილება გამოუცხადეს დიდმა გამრეკელმა (გამრეკელ თორელმა) გრიგორი მაგისტროსიანმა, აპირატისძემ და ბევრმა სხვამ[2].

ამ „ბევრ სხვათა" შორის იყო ასევე ანისთან დაკავშირებული სარგის მხარგრძელიც, მაგრამ მას სტეფანოსი რატომღაც ცალკე არ ასახელებს.

თამარის ისტორიკოსის ცნობით კი, გიორგი III მ სარგისსა და მის გვარიშვილებს ძესა და ძმისწულს — „მისცა მისანდობლობა", ე. ი. აჯანყებულთა რიგებში ყოფნა აპატია და „ნდობა გამოუცხადა". სტეფანოს ორბელიანის სიტყვით, „ოომელნიცა მივიდოდიან გიორგისთან, დიდითა პატივითა მიიღებდა, უზომოსა ნიჭითა განამდიდრებდა მათ და ყოველსავე მამულსა ორბელიანთასა ალუთქვამდა მიცემად მათდა" [3]. ამასვე უნდა ნიშნავდეს აგრეთვე თამაოის ისტორიკოსის ზემომოტანილი მოთითებაც გიორგი III-ის მიერ სარგის მხარგრძელისა და მისი გვარიშვილების არა მარტო მინდობის, არამედ აგრეთვე „შეყვარებისა და შეტკბობის" („შეიყუარა და შეიტკბო მეფემან") შესახებ [4].

მაოთლაც, ორბელთა აჯანყების დამარცხებამ გიორგის მომხრეებს, მის მიერ „ნდობა გამოცხადებულთ" და „შეყვარებულთ" შემდგომი დაწინაურების შესაძლებლობა მისცა. როგორც ზემოთ აოაერთხელ აღინიშნა, განსაკუთრებით აჯანყების დამარცხების შემდეგ გაეხსნა ფართო გზა შედარებით დაბალი წარმოშობის, მაგრამ მეფის ერთგულ პირებს. ასეთ წრეს მიეკუთვნებიან ორბელთა ყოფილი ვასალები მხარგრძელებიც, სარგისის მეთაურობით. ამრიგად, მხარგრძელთა გამოსვლა ორბელების ვასალობიდან და მათი შემდგომი დაწინაურება ორბელთა აჯანყების დამარცხების დროიდან უნდა ვივარაუდოთ.

სარგის მხარგრძელის შემდგომ დაწინაურებას ორბელთა აჯანყებას უკავშირებენ სომეხი მკვლევრებიც. ასე მაგალითად, ას. შაჰნაზარიანის მიხედვით, სარგის მხაოგრძელმა თავისი მოქმედებით, აჯანყების დროს მეფის მომხრეთა რიგებში გადასვლით, საქართველოს მეფის მფარველობა მოიპოვა და თავისი საგვარეულოს მომავალიც უზრუნველყო. მისივე მტკიცებით, ამ დროიდან „ერკაინაბაზუკთა გვარი ქართველ ოშხანთა (დიდებულთა) რიგებში გადავიდა" [5]. ლ. ბაბაიანის მიხედვითაც, „ზაქარიანების საგვარეულოს" წარმომადგენლებმა საქართველოს სამეფო კარზე დიდი ნდობა მოიპოვეს მას შემდეგ, რაც სარგისი ორბელთა აჯანყების დროს მეფის მხარეზე გადავიდა და დაეხმარა მას აჯანყების ჩახშობაში [6]. მსგავსი მოსაზრებები გამოთქმული აქვთ სხვა სომეხ მკვლევრებსაც.

---

[1] ისტორიანი, გვ 67 68.

[2] სტეფანოს ორბელიანი, სივნიეთის ისტორია (სომხ.), გვ. 384; ქართული, გვ. 60.

[3] იქვე; ქართული, გვ. 61.

[4] ისტორიანი, გვ 68.

[5] ს. შაჰნაზარიანი, დასახ. ნ შრ., გვ. 82.

[6] ლ. ბაბაიანი, სომხეთის ისტორია (რუს.), გვ. 15.

აჯანების მსელელობის დროს მეფის „მისანდობლობამ ცემული" სარგის
ის ხელმძღვანელის როლის შესახებ ჩვენ ადრეც გვქონდა საუბარი. ასკანის მეფის მანდატში გადა-
სული სარგისი, ცხადია, ყოველმხრივ შეეცდებოდა შეფისადმი ერთგულება ამ
შემთხვევაშიც დაემტკიცებინა. როგორც შემდეგი წლების მასალებიდან ირკვე
ვა, სარგისი მეფის მოხელეთა რიგებში დარჩა და ისეთი დიდმოხელის გვერდი-
თაც კი მოიხსენიება, როგორიც ვაზირი, მწიგნობართუხუცესი ჰყონდიდელი იყო.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აღარწინის 1184
წ. ცნობილი წარწერა. თვით წარწერა მთლიანად ჩვენ მიერ ზემოთ არის მოტანი-
ლი, იქვეა საუბარი მისი სხვადასხვა გამოცემის, დათარიღებისა და ამასთან და-
კავშირებულ საკითხებზე. ამჯერად კი ამ წარწერაში მოხსენიებული სარგისი და
მისი თანამდებობა გვაინტერესებს. წარწერის არც ერთ გამომცემელს ეჭვი არ
შეპარვია, რომ წარწერის სარგისი არის სარგის მხარგრძელი. აღსანიშნავია, რომ
სარგისი ამ შემთხვევაში „მეფის (გიორგი III ის) დიდ იშხანთა" შორის არის
დასახელებული: „მეფობასა... აფხაზთა გიორგისა... განვაახლეთ წმინდა გრი-
გოლის [ეკლესია] მეფისა და მის დიდ იშხანთა: სარგის ამირასი, ანტონ ჰყონ-
დიდელისა, ელიბეკისა და [სხვათა] ბრძანებითა"...[1] ამ წარწერის ყველა გამომ
ცემელი (ჯალალიანცი, ბარხუდარიანცი, კოსტანიანცი) „სარგისი"-ს შემდეგ კი
თსულობდა „ამირსპასალარს" (*„ამირսպասալարին"*), გარდა მაგისტრი მესხოპი-
სა, რომელმაც უკანასკნელი სიტყვა წაიკითხა, როგორც *ამირու*[2]. ლ. მელიქსეთ-
ბეგმაც თავის დროზე აქ „სარგის ამირა" (*Սարգիս Ամիրա*) ამოიკითხა, მაგრამ
მანვე, ტრადიციის მიხედვით, ეს ადგილი „ამირ(სპასალარ)ისა"-დ აღადგინა[3],
მიუხედავად იმისა რომ ამგვაროი აღდგენა სავსებით ეწინააღმდეგება ქართულ
სომხური წყაროების მონაცემებს. როგორც ცნობილია, სარგისი გიორგი III-ის
დროს ამირსპასალარი არ ყოფილა. ეს თანამდებობა, მანდატურთუხუცესობას-
თან ერთად, 1178 წლამდე ივანე ორბელს ჰქონდა, ხოლო შემდეგ, ვიდრე თამა
რის გაძეფების პიოველ წლამდე, — ნაყივჩაყარ უუბასარს, ასე რომ სარგის მხარ-
გრძელის ამირსპასალაროობა გიორგი III ის დროს საეჭვოთ გამოოიცხულია.
ამით აიხსნება, რომ აღარწინის წარწერის ერთ-ეოთ უკანასკნელ გამოცემაში,
ეს ჩვენთვის საინტერესო სიტყვა, სარგისის შემდეგ, წაკითხულია, როგორც
Ամիրու, ოაც ს. ეოემიანს აგრეთვე შეცდომად მიაჩნია[4].

ამასთანავე, ს. ერემიანისათვის კარგადაა ცნობილი, რომ სარგისი გიორგი
III ის დროს ამირსპასალაოი აო შეიძლებოდა ყოფილიყო და წარწეოის ჩვენ-
თვის საინტერესო ადგილის ახლებურად წაკითხვის ცდაც წარმოგვიდგინა.
ს. ერემიანი გამომცემელთა მიერ წაკითხული სიტყვის მაგიერ, ყოველგვარი გან-
მარტების გარეშე, კითხულობს *Ամիր* ს და ამას გაოდა, წარწეოის მე-5 სტრი-
ქონის ბოლოს უმატებს *քր* -ს (ქო), ხოლო მე-6 სტრიქონის დასაწყისში კიდევ
դին (დინ)-ს, ღებულობს „ამირ ქრდინ" (*Ամիր-Քրդին*) და დაასკვნის: „Это
правильное чтение устраняет все возникшие недоразумения"[5]. ამრიგად,
ს. ერემიანის მიხედვით, წარწერაში სამი კი არა, ოთხი პირ ა დასახელებული —
სარგისი, ამირ-ქურდი, ანტონ ჰყონდიდელი და ელიბეკი[6]. აქ დასახელებულ

---

[1] ლ მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, აღარწინის ერთი წარწერა (რუს.), გვ. 197.
მ ი ს ი ე ე, „ჩრდილო მხარეთა"... გვ. 210.
[2] ს. ე რ ე მ ი ა ნ ი, აღარწინის წარწერა (რუს.), გვ. 80.
[3] ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ ბ ე გ ი, „ჩრდილო მხარეთა"..., გვ. 210.
[4] ს ე რ ე მ ი ა ნ ი, აღარწინის წარწერა (რუს.), გვ. 80.
[5] ი ქ ვ ე.
[6] ი ქ ვ ე, გვ. 84.

ამირ ქურდი კი ის პირია, „რომელმაც ძალიან მცირე დროთ, 1179 წ. მეფისაგან მიიღო ქაენის ოლქი. სადაც ადებარეობდა მთავარეპისკოპოსი ჰაღარწინი“ [1]. მან დაუფასებელი დამსახურება აღმოუჩინა გიორგი III-ს ორბელთა აჯანყების დროს და მოკლე ხანში დიდი პოლიტიკური კარიერაც გაიკეთა. თუ ს. ერემიანის ვერწმუნებით, ამირ-ქურდს ორბელთა მარცხის შემდეგ მცირე დროით მანდატურთუხუცესის სახელოც მიუღია, რომელიც შემდეგ თურმე უუბასარს გადაეცა. ასეევ, უუთლუ-არსლანის მეუურჭლეთუხუცესად აღზევების შემდეგ, რაც იმას ნიშნავდა, რომ უუთლუ არსლანი იყო აგრეთვე „ამიოათ-ამირა თბილისისა და ქართლისა“, შეუერაცხყოფილმა ამირ-ქურდმა დატოვა საქართველოს სამეფო კარი და თავის სხვა სამოხლობელოში - კარინის ოლქის საამიროში გადავიდა [2].

ს. ერემიანის ზემომოტანილ მოსაზრებებს და შემოთავაზებულ შესწორებებს ვერ გავიზიარებთ. ჯერ ერთი, აღარწინის წარწერის არც ერთ გამომცემელს აზრად არ მოსვლია „ამირას“ შემდეგ ქურდი წაეკითხა. ამის საფუძველი თვით წარწერაში, როგორც ჩანს, არ მოიპოვება. ასე რომ ს. ერემიანის შემოთავაზებული ცდა წარწერის ამ ნაწილის აღდგენისა ნებისმიერი ჩანს. ამას გარდა, წარწერის ამგვარი წაკითხვა სავსებით ეწინააღმდეგება ისტორიულ ვითარებას. ამირ-ქურდს არასოდეს, მცირე დროითაც კი, საქართველოს სამეფო კარზე არ ჰქონია მანდატურთუხუცესის თანამდებობა. ეს თანამდებობა ჯერ ივანე ორბელს ეპყრა ამირსპასალარობასთან ერთად, ხოლო შემდეგ უუბასარს, რომელმაც, წყაროების მიხედვით, ორბელთა დამარცხების შემდეგ, ყველა მათი დიდება დაიპაყრთრა. არც ქართული, არც სომხური წყაროებიდან არ ჩანს, რომ გიორგი III ის დროს მანდატურთუხუცესობა, ივანე ორბელისა და უუბასარს გარდა, ვინმე სხვას ჰქონოდა.

თბილისის ამირათმთავარმა (*ამირապეტმა*) ქურდმა, დავით ქობაირელის ცნობით, მართლაც მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინა გიორგი III-ს ორბელთა აჯანყების დროს. მეფის ბრძანებით იგი დაედევნა აჯანყების მონაწილეთა ერთ ჯგუფს და დაამარცხა კიდეც სწორედ „საკუთარ მხარეში“ მაჰკანაბერდში [3]. მაგრამ ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ ქურდი იძულებული გახდა საქართველოდან გაქცეულიყო და ქ. კარინის ამირასთან შეეფარებინა თავი. საქართველოდან გაძევებული ქურდი გიორგი III-ის სიცოცხლეში სამშობლოში არ დაბრუნებულა და არც მეფის სამსახურს ღირსებია. კირაკოსის უტყუარი ცნობით, იშხან ქურდმა მხოლოდ თამარის დროს „მიიღო შესაძლებლობა დაბრუნებულიყო თავის სამშობლოში კაენისა და მაჰკანაბერდის ოლქებში; ამასთან, ქართველმა მეფემ თამარმა დიდი პატივი დასდო მას დაუბრუნა საუკარეულო სამფლობელო და უბოძა კიდევ სხვაც“ [4]. ასე რომ გიორგი III ის მეფობის ბოლო, 1184 წელს, რა დროსაც აკუთვნებს აღარწინის წარწერას ს. ერემიანი, ქურდი არ შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველოს მეფის სამსახურში და არც „კაენის ოლქის მფლობელი“, სადაც მდებარეობდა აღარწინის

---

[1] ს. ერემიანი, აღარწინის წარწერა (რუს.), გვ. 84 -85.

[2] იქვე

[3] გ. მაისურაძე, ერთი სომხური წყარო..., გვ. 264.

[4] კირაკოს განძაკეცი, ისტორია (რუს.), გვ. 107; შდრ. ი. ორბელი, რჩეული შრომები, I, 1968, გვ. 241; ს. ერემიანი მის მიერვე „ქურდის“ დამატებით შესწორებული ზემოხსენებული წარწერის მიხედვით დაასკვნის: აღარწინის წარწერიდან ჩანს, რომ ამირ-ქურდი გიორგის სიცოცხლეშივე დაბრუნებულა საქართველოში (იხ. მისი აღარწინის წარწერა (რუს.) გვ. 85). მაგრამ ეს ხომ ერთი დ უმტკიცებელი ფაქტით მეორის დასაბუთების ცდაა და ამ ეს დროს ეწინააღმდეგება კირაკოსის სავსებით ნათელ ცნობას.

მონასტერი. ამრიგად, გიორგი III-ის 1184 წლის წარწერაში „დიდ იშხანთა“ შორის არ შეიძლებოდა საქართველოდან განდევნილი და აღგილ-მამულჩამორთმეული ქურდი დაესახელებინათ. ამდენად, წარწერაში შეუძლებელია „ამირას“ შემდეგ „ქურდი“ იკითხებოდეს: „ამირა“ არ შეიძლება ეკუთვნოდეს, ცხადია, ამ სიტყვის შემდეგ მოხსენიებულ ანტონს, რომლის ჟყონდიდელობა და ასევე საერთოდ მისი სამოხელეო მდგომარეობა გიორგი III-ის კარზე სავსებით ნათელია. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ „ამირა“, რომლის აღდგენა ზემოდასახელებული მიზეზების გამო „ამირასპასალაოად“ შეუძლებელია, ეკუთვნის სარგისს. ასე რომ წარწერის „*Სარგის Ამირა*“ თუ „*Ამირა*“ შეიძლება აღდგენილ იქნეს მხოლოდ როგორც *Ამირას[ძე] ს[არგის] „Სარგის Ამირას“* „სარგის ამირასი“. ეს კი, ჩვენი აზრით, გარკვეულ მიგნებითობებს მის სამოხელეო, თანამდებობრივ მდგომარეობაზე ორბელთა აჯანყების შემდეგ გიორგი III-ის სამეფო კარზე და ამგვარი წაკითხვით უკვე ნამდვილად ეღება ბოლო ყოველგვარ გაუგებრობას, რომელიც ამ წარწერის წაკითხვასთან დაკავშირებით იყო წარმოქმნილი.

ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სარგისი ამირად სხვა წყაროშიც მოიხსენიება. ერთ-ერთი ხელნაწერის მე-12 ს. მიწურულის მინაწერში ნახსენებია „ამირა სარგისი და ზაქარია“; ამ შემთხვევაში, როგორც ამ მინაწერების გამომცემელი გარეგინ კათალიკოსი ვარაუდობს, უფრო საფიქრებელ ა ზაქარია ამირსპასალარის მამა სარგისი იგულისხმებოდეს[1].

„ამირა“, როგორც ცნობილია, ქართულ სამოხელეო წუობაში ყოველთვის მხოლოდ ქალაქის გამგებელს ოდი ეწოდებოდა. ამირას წოდება შეიძლებოდა ეტარებინა ამა თუ იმ პროვინციის, „ქვეყნის“ გამგებელსაც (შდრ. „ქართლის ამირა“). შეძთხვევითი არ შეიძლება იყოს, რომ სწორედ სომხურ, ჯოხტაქ ვანქის 1201 წლისად მიჩნეულ წარწერაში ლაშა გიორგი, როგორც საუფლისწულო ქვეყნის გამგებელი, ამირად არის მოხსენიებული: „ლაშას ამირობასა (*ամիրու-թյան Լաշայի*) და უფლობასა... მე ჰაჯრაპეტმა... აღვაშენე წმიდა ღვთისმშობლის ტაძარი“[2] და სხვ. ასე რომ სარგისის ამირობა ამ „შემთხვევაში“ ქალაქის კი არა, პროვინციის, სამეფო „ქვეყნის“ გამგებლობას უნდა აღნიშნავდეს. მაგრამ მაინც რომელი პროვინციის გამგებლად შეიძლებოდა ყოფილიყო ამ დროს სარგის მხარგრძელი?

დავით ქობაირელის მოწმობით, ორბელთა აჯანყების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძალა, ლორეს შემდეგ, ძორაგეტის მხარეში იყო თავმოყრილი, ამიტომ გიორგი III-ს ამ მხარეში საგანგებო ლაშქრობის მოწყობა მოუხდა: „ამასობაში მეფის ჯარი თავს დაესხა ძორაგეტის მხარეში გამაგრებულთ, ძალით აიღო მრავალი სიმაგრე და იავარ ჰყო მთელი ქონება, სანამ უველანი ძალაუნებურად არ დამორჩილდნენ და არ დათმეს ციხე-სიმაგრეები“[3]. აჯანყების დამარცხების შემდეგ ორბელთა ეს ყოფილი სამფლობელოც სამეფო დომენად იქცა და გიორგი III-მ თავის ერთგულებს გადასცა საგამგეოდ. ერთი მათგანი სარგის მხარგრძელი იყო. როგორც ჩანს, სწორედ მას გადაეცა ძორაგეტის მხარე. სხვა მხრივ სავსებით გაუგებარი იქნებოდა აღარწინის მონასტრის განახლებისა და მისთვის ადგილ-მამულების შეწირვის მბრძანებელი მეფის სხვა „დიდ იშხანებს“ შორის სარგისის ყოფნა. აღარწინი, როგორც აღვნიშნეთ, ძორაგეტის სამეფო დომენის

---

[1] გარეგინ კათალიკოსი, ხელნაწერთა შინ წურები (სომხ.), ვე. 659.

[2] კ. კოსტანიანცი, მატიანე ქვებზე (სომხ.), გვ. 44.

[3] გ. მაისურაძე, ერთი სომხური წყარო, გვ. 266.

ტერიტორიაზე იყო და ბუნებრივია, რომ აქ მონასტრის განახლება თუ მისთვის ადგილ-მამულის შეწირვა ამ კუთხის გამგებლის, მისი ამირას გარეშე ვერ მოხდებოდა. საგულისხმოა ისიც, რომ სარგისი წარწერაში ანტონ ჭყონდიდელზე წინ, მოხელეთა შორის პირველი მოიხსენიება, რაც, ჩვენი აზრით, ძორაგეტის მიმართ, მისი როგორც უშუალო გამგებლის განსაკუთრებულ როლზე მიგვითითებს. ძორაგეტში სარგისის ამირობა მოულოდნელი არ არის აოც სხვა თვალსაზრისით: როგორც უკვე ვიცით, თვით სარგისი (და მისი წინაპრებიც) სწორედ ამ კუთხიდან იყო და აქვე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ამჯერად კი ორბელთა ვასალობიდან გამოსული სარგისი თვით იქცა ამ კუთხის გამგებლად, როგორც ამ მხარის მოსახლეობასთან ახლო მდგომი, მათთან ხანგრძლივი თანაცხოვრებით და ასევე რწმენითაც.

ამრიგად, ორბელთა ყოფილი ვასალი, ივანე ორბელის ყოფილი თანაშემწე და ანისის ამირა, ორბელთა აჯანყების დროს გიორგის ბანაკში ადრევე გადასული და საქართველოს მეფის მიერ „ნდობა გამოცხადებული“ სარგის მხარგრძელი ორბელთა დამარცხების შემდეგ ძორაგეტის მხარის გამგებლად, ამირად იქცა. სარგისს ამ თანამდებობის მიღებაში, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო კიდევ ერთ დროს გიორგი III-ის „კეთილმსახურის“ ქურდის გაძევებამ კაენის მხარიდან — იგი იქნებ სწორედ ამ დროიდან იქცა ამ კუთხის გამგებლად.

ძორაგეტის მხარის ამირობა იყო, ჩვენი აზრით, ის უკანასკნელი თანამდებობა, რომელიც სარგის მხარგრძელს გიორგი III-ის დროს ჰქონდა. რა თქმა უნდა, არ არიან მართალნი ის მკვლევრები, რომელნიც სარგის მხარგრძელს გიორგი III-ის ამირსპასალარად, ან კიდევ ერთ ერთ ამირსპასალარად მიიჩნევენ. ასეთი თვალსაზრისის საფუძვლად იქცა სანაინის 1181 წლისად მიჩნეული წარწერა. მას ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ მ. ბროსემ, მაგრამ თავი შეიკავა წარწერის შინაარსის შესახებ ვარაუდების გამოთქმისაგან საჭირო საბუთიანობის უქონლობის გამო[1]. ს. კაკაბაძეს კი ეჭვი არ შეპარვია სანაინის წარწერის თარიღის სისწორეში და უყოყმანოდ განაცხადა: „სანაინის წარწერა გვამცნობს, რომ გიორგი მეფის დროს, ამ (1181) წელს საქართველოს ამირსპასალარად ყოფილა სარგის... ეს არის მაშასადამე სარგის მხარგრძელი, რომელიც ამგვარად ამირსპასალარად დაუყენებიათ ორბელთა 1178 1179 წლის აჯანყების შემდეგ. მაგრამ 1184 წელს... ამირსპასალარად არის უკვე უიჭაყი (?) უუბასარი. როდესაც უუბასარი... გადააყენეს, ამირსპასალარად კვლავ სარგის მხარგრძელი იქნა დანიშნული (1185 წ.)“, სარგისის გარდაცვალების შემდეგ, 1187 წელს „მის მაგივრად ამირსპასალარად დანიშნეს... გამრეკელ თორელი, მაგრამ სანაინის სომხური ეპიგრაფიკული მასალები ამირსპასალარად 1187 წლიდანვე მხარგრძელსაც (რომელს?— შ. მ.) იხსენიებენ. ის უნდა ყოფილიყო მეორე ამირსპასალარი სპეციალურად სომხური პროვინციებისათვის“[2]. ს. კაკაბაძის მთელი ეს მსჯელობა, ვერავითარ დასაბუთებას ვერ პოულობს სომხურ-ქართული წყაროებით და სანაინის წარწერის არასწორ დათარიღებაზეა დამყარებული. ასევე, არც ერთი წყაროთი არ დასტურდება მხარგრძელთა ამირსპასალარობა 1187 წლის შემდეგ, ვიდრე 1191 წლამდე და, მაშასადამე, მეორე ამირსპასალარის თანამდებობის არსებობა „სპეციალურად სომხური პროვინციებისათვის“. ყველაფერი ეს თვით სომხური ეპიგრაფიკული მასალების არასწორ გაგებაზეა დამყარებული.

ასევე ლ. ბაბაიანის აზრით, სარგისი ამირსპასალარი რომ იყო, ამას ადას-

---

[1] მ. ბროსე, დამატებები დ განმარტებები, გვ. 268.

[2] ს. კაკაბაძე, შოთა რუსთაველი, გვ. 160 - 161.

ტერებს აღარჭინის 1164 წლის, სანაინის 1181 წლისა და აირივანქის წარწერები[1]. აღარწინის წარწერაში, როგორც ზემოთ ვნახეთ, სარგისი ამირსპასალარად არ არის მოხსენიებული, ხოლო სანაინის 1181 წლისად მიჩნეული წარწერა კი არ შეიძლება 1181 წელს და საერთოდ გიორგის სიცოცხლეში იყოს გაკეთებული; წარწერაზე იკითხება: „ქამსი მძლე მეფისა გიორგისა (*ქარ[ი]ც ჩაგატირს ჯჯიրყა*) და ამირსპასალაობასა სარგისისა და შვილთა მისთა ზაქარიასი და ივანესი და ამირობასა ქურდისა ძე ოქაბანეს, წინამძღვარმა წმ. ძმობისა, აჳაშენე ოდესღაც ყოფილი ეკლესიები, დახმარებითა ამირჭურდისა... მათ დროს კელაე გათავისუფლდნენ ჩვენი ეკლესიები ყოველგვარი ხარკისაგან[2].

ს ერეძიანძა ნათელყო, რომ აქ მოხსენიებული „მძლე მეფე გიორგი“ აო შეიძლება იყოს გიორგი III, რადგან ეკლესიის აღდგენა, რომელზეც საუბარია წარწეროაში, გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ მოხდა (ამაზე გარკვევით მიუთითებს სახაიხის სხვა, 1184 წლის წარწერა, როძელიც აქვე მოტანილი აქვს ს. ერემიანს), ჩვენთვის საინტერესო წარწერა კი მოხსენიებულ ეკლესიათა განახლების, ე. ი. გიორგი III-ის გაოდაცვალების შემდეგ ძეიძლებოდა გაეკეთებინათ. ამას გარდა, სარგისს ამიოსპასალარობის მიღება შეეძლო მხოლოდ 1185 წლიდან, გიორგის გარდაცვალების შემდეგ, უუბასარის გადაყენებისა და შინა პოლიტიკური კრიზისის დაძთავრების დროიდან. ამირა ქუოდიც, რომლის დახმარებითაც მოძხდარა ეკლესიების აღდგენა, თამარის დროს დაბრუნდა თავის სამძობლოში და იგი აქ ძხარის ამირად გიორგის გარდაცვალების, თამარის გამეფებისა და სარგისის ამირსპასალარად დანიშვნის შემდეგ ძეიძლებოდა ყოფილიყო. ასე რომ წარწერის „ძმლე მეფე გიორგი“ ძეიძლება იყოს მხოლოდ თამარის მეუღლე გიორგი რუსი[3]. გიორგი კი, თუ თამარის დროის მოვლენების გახვითარების თახძიმდევრობის მიხედვით ვიმსჯელებთ, 1186 წელზე აღრე არ შეიძლებოდა მოეხსენებინათ, როგორც მეფე; ამასთან, ცნობილია, რომ სარგისი 1187 წ. გარდაიცვალა. როგორც ვხედავთ, სანაინის ჩვენთვის საინტერესო წარწერა, რომელსაც 1181 წლით ათარიღებენ, ხამდვილად გაკეთებულია 1186—1187 ხლებს შორის და გიორგი III-ის დროს სარგის მხარგრძელის ამირსპასალარობის დასამტკიცებლად არ გამოდგება. ხოლო რაც შეეხება ლ. ბაბაიანის მიერ დამოწმებულ აირივანქის წარწერას, იგი მე-13 ს. დამდეგს არის ამოკვეთილი და ბუნებრივია, თუკი სარგისი მამა ზაქარიასი და ივანესი — აქ ამირსპასალარად არის მოხსენიებული[4].

ამრიგად, გიორგი III-ის დროს სარგის მხარგრძელი ამირსპასალარი არ ყოფილა და მას ძორაგეტის მხარის ამირობა ჰქონდა მინდობილი. მაგრამ, რაც მთავარია, გიორგი III-ის მეფობის ბოლო წლებში იგი გათავისუფლდა ორბელთა ვასალობისაგან და იმ ქართველ დიდებულთა რიგებში ჩადგა, რომელთაც მეფის ნდობა, ერთგულება და სიყვარული დაიმსახურეს. ეს კი უმთავრესი პირობა იყო დიდებული აზნაურის ყოფილი ვასალის შემდგომი დაწინაურებისათვის.

---

[1] ლ. ბაბაიანი, სომხეთის ისტორია (რუს.), გვ. 15.

[2] კ. კოსტანიანცი, მატიანე ქალაბზე (სომხ.), გვ. 33; ს. ერემიანი, იური ბოგოლუბსკი (რუს.), გვ. 406.

[3] ს. ერემიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 406—408.

[4] МАК, вып. XII, გვ. 5.

თამარის გამეფების დროისათვის სარგის მხარგრძელი უკვე მიჩნეული იყო არა მარტო მეფის მიერ „შეტკბობილ და შეყვარებულ" პიროვნად, არამედ აგრეთვე „კაცად გუარიანად" (გვარის მქონედ), მაგრამ როგორც თამარის ისტორიკოსის ამ ცნობიდანაც ჩანს, არა „დიდგვარიანად", ვთქვათ ისეთად, როგორიც იყო მისივე თანამედროვე კახაბერ ვარდანისძე. ამასთანავე, იმავე ისტორიკოსის სიტყვით, სარგისი იყო „აღზრდილი ლაშქრობათა შინა და ჭაბუკობათა". ყველაფერი ეს კი სარგის მხარგრძელს გზას უხსნიდა თამარის სამეფო კარზე უფრო მაღალი თანამდებობისაკენ.

საამისო პირობებიც მალე შეიქმნა—თამარის გამეფებისთანავე, ყუბასარის გადაყენებით, საქართველოს სამეფოს ცენტრალური სამოხელეო აპარატის ორი დიდი თანამდებობა — მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარისა — გათავისუფლდა. ერთი მ.თგანი სარგის მხარგრძელმა დაიპირა, თამარის ისტორიკოსის მიხედვით, მეფემ „განაჩინა ამირსპასალარად სარგის მჯარგრძელი, კაცი გუარიანი და აღზრდილი ლაშქრობათა შინა და ჭაბუკობათა"[1]. ამ დიდი თანამდებობის მფლობელი პირიც, როგორც ვნახეთ, სწორედ ის იყო, ვინც ჯერ კიდევ გიორგი III-მ „შეიყუარა და შეიტკბო". ასე რომ ამირსპასალარის თანამდებობაზე დაინიშნა გიორგი III-ის დროს დაწინაურებული, შედარებით დაბალი წრიდან გამოსული პირი. როგორც ვხედავთ, თამარი ამ შემთხვევაშიც არ გასცილებია იმ სოციალურ ფენას, რომელსაც გიორგი III, განსაკუთრებით ორბელთა აჯანყების შემდეგ, ეყრდნობოდა. ეს იყო უმთავრესი მიზეზი სარგის მხარგრძელის დაწინაურებისა და არა ამირ-ქურდის დიდი გავლენა თამარის სამეფო კარზე, როგორც ამას ს. ერემიანი ეარაუდობს[2]. ეს უკანასკნელი არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ამირ-ქურდი გიორგი III-ის მიერ გაძევებული იყო თავისი ქვეყნიდან, რომ სარგის მხარგრძელი სწორედ ამის შემდეგ დაწინაურდა და, როგორც ჩანს, ძის ადგილზე დაინიშნა ძორაგეტის მხარის ამირად. უფრო ახლო ვიქნებოდით ისტორიულ სინამდვილესთან, თუკი თამართან ამირ-ქურდის შემორიგებას, მის ისევ გამოჩენას მაჰკანაბერდისა და მისი მხარის მფლობელად და ამირად, სარგის მხარგრძელის გავლენას, მის ამირსპასალარად დანიშვნას[3] (და ამასთან დაკავშირებით ძორაგეტის მხარის ამირას ადგილის გათავისუფლებას) დავუკავშირებდით.

ს. კაკაბაძე სარგისის და საერთოდ მხარგრძელთა დაწინაურებას თამარის საშინაო პოლიტიკის განსაკუთრებული მიმართულებით ხსნიდა. მისი აზრით, თამარ მეფე „სომხის დიდგვარიანი არისტოკრატიის დაწინაურებით ცდილობდა ქართველ დიდებულთა დაშოშმინებას და ამავე დროს თავისი ტახტის საქმის მოგებას", მაგრამ ი. ჯავახიშვილის სამართლიანი განცხადებით, „ეს სრულებით უსაფუძვლო აზრია", ჯერ ერთი, „იმიტომ, რომ მხარგრძელნი პირველად გიორგი III-მ დაწინაურა და არა თამარმა. ამას გარდა, მხარგრძელთა დაწინაურების დროს, რასაკვირველია, თამარი ეროვნული თვალსაზრისით არ ხელმძღვანელობდა... თამარს რომ ქართველ-სომეხთა წინააღმდეგობით ესარგებლა, მაშინ არც თამარს, არც მხარგრძელთ ქართველებში ეგოდენ სიყვარული მოხვეჭილი არ ექნებოდათ"[4].

---

[1] ისტორიანი, გვ. 78.

[2] ს. ერემიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

[3] იქვე.

[4] ი. ჯავახიშვილი, ქეი, II, 1965, გვ. 291.

ასე რომ, ი. ჯავახიშვილის მიხედვით, სარგის მხარგრძელის დაწინაურების მ ზეზი სომეხ და ქართველ დიდებულთა დაპირისპირების ცდაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ მის სოციალურ ვინაობასა და პიროვნულ ღირსებებში. ი. ჯავახიშვილის სიტყვით, სარგისი, „კაცი გუარიანი", ეითარცა ახლად გამოსული სამოღვაწეო ასპარეზზე, რწმენით „გასომხებული ქურთი მაინცადამაინც უფრო საქართველოს გვირგვინოსანის ერთგული იქნებოდა, ვიდრე დიდგვარიან აზნაურებისა"[1]. აი, სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ მნიშვნელოვანი პიროვნული ღირსების მქონე სარგის მხარგრძელის ამირსპასალარად აღზევების მიზეზები.

სარგის მხარგრძელს, ამირსპასალარობასთან ერთად, თამარმა „უბოძა ლორე, სათავადო და სამთავროჲ სომხითსა შინა"[2]. ლორე დავით აღმაშენებლის დროიდან მოკიდებული, ამირსპასალარის კუთვნილებას შეადგენდა. სტეფანოს ორბელიანის ცნობით, დავით აღმაშენებელმა თავის ამირსპასალარს, ივანე ორბელს ლორეც უბოძა[3]. ამიერიდან იგი ამირსპასალარის სახელოს მფლობელის კუთვნილებად იქცა; ორბელებმა ლორე, ორბელთა აჯანყებამდე, 1178 წლამდე, შეინარჩუნეს. ამის შემდეგ კი ლორე, თანამდებობასთან ერთად, ამირსპასალარ ყუბასარს ებოძა. დიდგვარიანთა მოთხოვნით გადაყენებულ ყუბასარს, თამარმა, მისი ისტორიკოსის ცნობით, სიცოცხლის მანძილზე ყველაფერი დაუტოვა, გარდა თანამდებობისა და ლორესი: „მოიკსენა, სიყვარული, სამსახური და ზრდილობაჲ მისი, და თჳნიერ ქელისუფლობისა და ლორესაგან კიდე არარაჲ დააკლო"[4].

როგორც ჩანს, ლორე „ქელისუფლობის" ატრიბუტად იყო მიჩნეული, ამიტომაც „დაუკლია" იგი „ქელისუფლობასთან" ერთად თამარს ასე დამსახურებული, ყოფილი ამირსპასალარისათვის. ბუნებრივია, რომ ყუბასარის შემდეგ ლორე სწორედ იმას უნდა მიეღო, ვისაც შესაბამისი ხელისუფლება ებოძებოდა. თამარ მეფემდე ლორე ამირსპასალართა სახელო რომ იყო, ეს კარგად ჩანს თამარის ისტორიკოსის სხვა ცნობიდანაც. მისი სიტყვით, „ყუთლუ-არსლან... აწ თავისა თჳსისა ამირ-სპასალარად მწოდებული... სომხითს, სომეხთა მეფისა ადგილსა, ლორეს, დაჯდომად განმზადებული" იყო[5].

თამარის ისტორიკოსის ამ ცნობიდან ისიც ირკვევა, რომ „ლორეს დაჯდომა" ნიშნავდა სომხითში (ქვემო ქართლში) „სომეხთა მეფისა ადგილსა" ჯდომას. მაგრამ საქართველო ჯს მეფეები, ცხადია, ლორეს გასცემდნენ არა როგორც „სამეფოს", არამედ როგორც „სათავადოს (საუფროსოს, განსაგებელს) და სამთავროს სომხითსა (ქვემო ქართლსა) შინა". ასე რომ ამირსპასალარი, მართალია, იჯდა „სომეხთა მეფისა ადგილზე", მაგრამ მხოლოდ როგორც „თავადი" (უფროსი) და „მთავარი" ამ კუთხისა. ამრიგად, სარგის მხარგრძელმა ამირსპასალარის ხელისუფლებასთან ერთად ქვემო ქართლის „თავადობაც" და „მთავრობაც" მიიღო.

თამარის დროს ლორეს „სამთავროდ და სათავადოდ" გაცემის მანამდე არსებულ წესში, როგორც ირკვევა, სარგისის ამირსპასალარად დანიშვნის შემდეგ, ერთგვარი ცვლილება მომხდარა. ლორე ამიერიდან მხარგრძელთა „სათავადოდ და სამთავროდ" დარჩა და ამირსპას ლარს უკვე აღარ ებოძებოდა. ეს კარ-

---

[1] ი ჯავახიშვილი, ქეი, II, 1965, გვ. 253.
[2] ისტორიანი, გვ. 18.
[3] სტეფანოს ორბელიანი, სიუნიეთის ისტორია (სომხ.), გვ. 379; ქართ. გვ. 58.
[4] ისტორიანი, გვ. 77.
[5] იქვე.

გად ირკვევა მხარგრძელის შემდეგ ამირსპასალარ ს თანამდებობაზე დანიშნული გამრეკელ-თორელის მიხედვით. თამარის ისტორიკოსის მოწმობით, გამრეკელ-თორელი „ამირსპასალარიც იქმნა შემდგომად სარგის მჯარგრძელისა“ [1], მაგრამ მას ამ ხელისუფლებისათვის ლორე კი არ მიუღია, არამედ თმოგვი და როგორც კი გარდაიცვალა ამირსპასალარი გამრეკელ-თორელი, მის მემკვიდრეებს ყველა მისი სამფლობელო დაუტოვეს, გარდა თმოგვისა: „თმოგვსაგან კიდევ არა დააკლესო“ – წერს ისტორიკოსი [2], ხოლო გამრეკელის ამირსპასალარობის დროს, იმავე ისტორიკოსის ცნობით, „მჯდომი სომეხთა მეფისა ადგილსა, პატრონი ლორისა“ ზაჭარია მხარგრძელი ყოფილა [3]. როგორც ჩანს, სარგის მხარგრძელს თამარმა ლორე უბოძა არა დროებით, ამირსპასალარად ყოფნის პერიოდში, როგორც მანამდე იყო, არამედ სამემკვიდრეოდ. ასე რომ თამარის დროიდან მხარგრძელების პირველი შტო ლორეს „თაეადობისა და მთაერობის“ მემკვიდრეობით მფლობელად იქცა. ეს კი, ამირსპასალარის თანამდებობის მიღებასთან ერთად, იმას ნიშნავდა, რომ ორბელთა ყოფილი ვასალი და „ხოჟორნის თავმდაბალი მფლობელი“ სარგის მხარგრძელი მტკიცედ ჩადგა ქართველ დიდებულთა რიგებში.

ამას გარდა, სარგისის ასეთი დაწინაურება თამარის საშინაო პოლიტიკის დასახასიათებელი ღირსშესანიშნავი მაგალითია. მან, როგორც ვხედავთ, ამირსპასალარის მაღალ თანამდებობაზე და ლორეში („სომეხთა მეფის ადგილზე“) ისევ გიორგი III ის მიერ „მინდობილი“ და „შეუვარებული“, დაბალი სოციალური წარმოშობის, აზნაურის ყოფილი ყმა (ვასალი), სარგისი დასვა. ასე რომ დაბალი სოციალური წარმოშობის ნაყივჩაყარი ყუბასარი ერთ თანამდებობაზე ისევ ისეთივე წარმოშობის პირმა შეცვალა, ხოლო ყუბასარის მეორე თანამდებობა – მანდატურთუხუცესობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, გიორგისავე „გაზრდილს“ ჰიაბერს ებოძა. ამრიგად, თამარ მეფეს არც ამ შემთხვევაში გადაუხვევია დავით აღმაშენებლისა და გიორგი III ის საშინაო პოლიტიკური გეზისათვის.

სარგის მხარგრძელი ამირსპასალარად. ქართულ ნარატიულ წყაროებს გარდა, არაერთხელ იხსენიება სომხურ ეპიგრაფიკულ მასალებში. საკუთრივ სარგისის, როგორც საქართველოს მეფის ამირსპასალარის, წარწერა არც სომხურ ეპიგრაფიკას შემოუნახავს, მაგრამ სარგისი ამირსპასალარად მოხსენიებულია სხვა პირთა, კერძოდ პირველ რიგში, მისი შვილების მიერ. ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს სანაინში სარგისის საფლავის ქვაჯვარის წარწერა: „ნიშანო ღმრთისაო, მეოხ ეყავ სომეხთა და ქართველთა ამირსპასალარს სარგისს“.

როგორც ვხედავთ, სარგისი ამ შემთხვევაში მოხსენიებულია „სომეხთა და ქართველთა ამირსპასალარად“. საქართველოს სამეფოს ამირსპასალარის ამგვარად მოხსენიების შემთხვევები სომხურ ეპიგრაფიკაში სხვაც არაერთი გვაქვს და მისი მნიშვნელობისა და შინაარსის შესახებ ჩვენ საგანგებოდ ქვემოთ შევჩერდებით.

სომხურ წარწერებში სარგისი მოიხსენიება აგრეთვე „დიდ სარგისად“. ასე იხსენიებენ მას მისივე შვილები ზემოდასახელებულ საფლავის ქვაჯვარის წარ-

[1] ისტორიანი, გვ. 79.

[2] იქვე, გვ. 95.

[3] იქვე.

[4] კ. ყაფლარიანი, სანაჯინის ეკლესია (სომხ.), გვ. 178; კ. კოსტანიანცი, მატიანე ქალაქისა (სომხ.), გვ. 36.

წერაზე და აგრეთვე სანაინის 89 წლის[1], 1205 წლის[2] და სხვა წარწერები. ზოგ წაოწერაში კი სარგისი „იშხანად" და „იშხანაც-იშხანად" (ერისთავთ-ერისთავად?) არის წოდებული[3]. აღსანიშნავია, რომ ზოგი სომხური ნარატიული წყარო, მაგალითად კირაკოსი, სარგისს მხოლოდ „კეთილშობილ იშხანად" იცნობს[4].

სარგისი, როგორც ცნობილია, ამირსპასალარის თანამდებობაზე დიდხანს არ ყოფილა: სანაინის სარგისის საფლავის ქკაჯერის წარწერის მიხედვით იგი 1187 წელს გარდაიცვალა: „წელსა (1187) აღესრულა... დიდი სარგისი, შვილი ზაქარიასი, შვილიშვილი ავაგ სარგისისა, შვილებმა ზ ქარიამ და ივანემ აღმართეთ ჯვარი ესე"[5]. ასე რომ ამირსპასალარის თანამდებობაზე მას სულ ორიოდე წელი დაუყოფია. მაგრამ მიუხედავად ამისა, მას „დიდ სარგისის" სახელი მოუხვეჭია. სარგისის გარდაცვალებას და ამირსპასალარის თანამდებობის გათავისუფლებას, როგორც აღვნიშნეთ, არ მოჰყოლია ერთ დროს ამ თანამდებობის ატრიბუტად მიჩნეული ლორეს და, მაშასადამე, მისი მთავრის აღგილის გათავისუფლებაც. ლორე ამიერიდან მხარგრძელთა სამემკვიდრეო „სათავადოდ და სამთაუროდ" დარჩა - მამის გარდაცვალების შემდეგ მას სარგისის უფროსი შვილი ზაქარია ფლობდა.

ზაქარია მხარგრძელი ქართულ ნარატიულ წყაროებში პირველად, როგორც აღვნიშნეთ, ორბელთა აჯანყების დროს სარგის მხარგრძელის გიორგი III-ის ბანაკში გადასვლასთან დაკავშირებით მოიხსენიება: „წამოუვიდა დემეტრეს სარგის მჯარგრძელი, შვილთა და ძმის წულითა მისითა"[6]. სარგისის შვილი, რომელიც ამ შემთხვევაში მამასთან ერთად მეფეს ეახლა, ცხადია, მხოლოდ მისი უფროსი ვაჟიშვილი ზაქარია შეიძლებოდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, 1178 წლისათვის ზაქარია უკვე იმდენად მოწიფული ყოფილა, რომ სარგისს საჭიროდ მიუჩნევია აჯანყების სხვა ყოფილ მომხრეებთან ერთად, იგიც მეფისთვის წარედგინა. გიორგი III ამჯერად საერთოდ მხარგრძელთა გვარიშვილების „მინდობით" დაამაყოფილდა და არც სარგისისა და არც მისი შვილისთვის არაფერი უბოძებია. ზაქარია აჯანყების დამთავრების შემდეგაც არ ყოფილა გიორგი მეფის მიერ „დალოცვილი" და „შეწყალებული". მაგრამ, ზაქარია, როგორც ჩანს, უკვე ამ დროს გიორგი III მ „ითაყვანა დარბაზის ყმად". „თაყვანება", როგორც ირკვევა, პირველი საფეხური იყო სამეფო კარზე გამოჩენისა და მიღებისა, ხოლო შემდგომი საფეხური „დალოცვა" ყოფილა; მესამე საფეხურს კიდევ „შეწყალება" წარმოადგენდა, რომელიც „დალოცვასთან", ან კიდევ „ბოძებასთან" ერთად შეიძლებოდა მომხდარიყო. საქართველოს სამეფო კარზე მიღებისა და დაწინაურებისათვის ასეთი საფეხურების არსებობა და მის საფეხურებზე თანდათან ასვლის აუცილებლობა კარგად დასტურდება თვით სარგისის შთამომავალთა დაწინაურებით.

სარგის მხარგრძელის ამირსპასალარად დანიშვნის დროსვე თამარ მეფემ „წყალობა უყო ძისაცა მისისა ზაქარიაჲს დალოცვითა", ხოლო მისი მეორე შვი-

---

[1] კ. ლაფანდარიანი, სანაინის ვანქი (სომხ.), გვ. 178.
[2] იქვე, გვ. 183—184.
[3] კ. ლაფანდარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 183.
[4] კირაკოს განძაკეცი, ისტორია (რუს.), გვ. 82, 86.
[5] კ. ლაფანდარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 178.
[6] ისტორიანი, გვ. 67—68.

ლი ივანე კი, რომელიც ამ დროს, ე. ი. 1185 წელს, პირველად მოიყვანეს სამეფო კარზე, „ითაყვანა დარბაზის ყმად“: „და ითაყუანა დარბაზის ყმად უმცროსი შვილი მისი ივანე“ [1]. როგორც ამ ცნობიდან ირკვევა, ზაქარიას ეს პირველი „დარბაზობის ყმად თაყვანების“ საფეხური უკვე გაევლილი ჰქონდა და ამიტომაც თამარ მეფემ მას „წყალობა უყო დალოცვითა“. დარბაზის ყმად თაყვანება კი, როგორც აღვნიშნეთ, გიორგი III-ის დროს სარგისისა და მისი გვარიშვილების „მინდობისა“ და „შეყვარება შეტკბობის“ დროს უნდა იყოს მომხდარი. ივანე კი პირველად თამარის კარზე გამოჩნდა და მისი პირველი ნაბიჯიც „დარბაზის ყმად თაყვანებით“ დაიწყო.

ამავე ცნობიდან ისიც კარგად ჩანს, რომ, ისე როგორც „დარბაზის ყმად თაყვანება“, ასევე, „დალოცვა“ ჯერ კიდევ არ გულისხმობდა თანამდებობის ბოძებას. თამარის ისტორიკოსი არაფერს ამბობს ზაქარიასა და ივანეს ამ დროისთვის ცენტრალურ სამოხელეო აპარატში რაიმე, თუნდაც მცირე თანამდებობაზე, დანიშვნის შესახებ.

ამრიგად, თამარმა თავისი მეფობის პირველი წელი დაიწყო მხარგრძელთა საგვარეულოს უფროსის ამირსპასალარად დანიშვნით და მის შემკვიდრეთა „დალოცვითა“ და „დარბაზის ყმად თაყვანებით“. ეს იყო ზაქარია მხარგრძელისათვის მეორე, ხოლო ივანესათვის პირველი საფეხური ფეოდალური სამოხელეო იერარქიის კიბურზე. ივანე მხარგრძელი „დაულოცველი“ იყო გიორგი რუსის ჩამოყვანისა და თამარის ქორწინების შემდეგაც. ეს კარგად ჩანს თამარის ისტორიკოსის ცნობიდან: თამარის ქორწინების აღსანიშნავად „წარვიდეს მჯარგრძელნი, ძენი სარგისისანი და ვარამისანი... უხუცესნი ზაქარია და ზაქარია, დალოცვილნი, ივანე და სარგის დაულოცველნი და ილაშქრეს ქვეყანასა დვინისასა“ [2]. ამ ცნობიდან ისიც ირკვევა, რომ ზაქარია ვარამის ძეც თამარის მიერ უკვე „დალოცვილი“ ყოფილა. მაგრამ თუ როდის მოხდა მისი დალოცვა, წყაროებიდან არ ჩანს. როგორც ირკვევა, მხარგრძელთა მეორე შტოს დაწინაურებაც სარგის დიდის მემკვიდრის თანადროულად მომხდარა.

ზაქარია სარგისის ძე მხარგრძელი და [illegible] ერთად ოთხივე მხარგრძელი აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგრამ, როგორც ცნობილია, სარგის დიდის მემკვიდრემ. მამის გარდაცვალებას შემდეგ, ალბათ მისი ჯერ კიდევ ახალგაზრდობის გამო, მამის თანამდებობა ვერ მიიღო. ამირსპასალარობა სარგისის შემდეგ, როგორც არაერთხელ აღინიშნა, ასევე გიორგი III-ის დროს დაწინაურებულსა და სახელგანთქმულ მოლაშქრეს გამრეკელთორელს ებოძა. მაგრამ ზაქარია მხარგრძელი ლორეს მფლობელად და „სომეხთა მეფის ადგილზე მჯდომად“ მაინც დარჩა. საცხებით მართებულად შენიშნა ნ. ბერძენიშვილმა, რომ „ხელი“, თანამდებობა, ფეოდალურ ქვეყანაში ხშირ შემთხვევაში ქონების ატრიბუტად განიხილებოდა [3]. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს იმას ნიშნავდა, რომ ზაქარია მხარგრძელი ლორეს მფლობელი და „სომეხთა მეფის ადგილსა მჯდომი“ ამ „ქონების“ და „მფლობელობის“ ატრიბუტის, შესაბამისი სახელოს, თანამდებობის მემკვიდრეობით მქონებელადაც იქარაუდებოდა, თუმცა ამ თანამდებობაზე ის ჯერ კიდევ შეწყალებული არ იყო და ეს სახელო მეფისაგან ნაბოძები არ ჰქონდა. იქნებ სწორედ ამით აიხსნება, რომ ზოგ

---

[1] ისტორიანი, გვ. 78.

[2] იქვე, გვ. 83.

[3] ნ. ბერძენიშვილი, სის, III, გვ. 88.

სომხურ (მაგალითად, ჰორომაირის 1187 წლისად მიჩნეულ) წარწერაზე ზაქარია მხარგრძელი ჯერ კიდევ 1191 წლამდე, თავისთავს ამირსპასალარად მოიხსენიებს[1]. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ წარწერის თარიღის ამოკითხვაში ამ შემთხვევაში შეცდომა იყოს დაშვებული და იგი მე-12 ს. 90-იანი წლების შემდეგ იყოს ამოკვეთილი და არა 1187 წ. უტყუარი წყაროებიდან ვიცით, რომ ამ დროს ზაქარია ამირსპასალარი ნამდვილად არ ყოფილა. შემთხვევითი არ არის ავგრეთვე ისიც, რომ სანაინის 1189 წლის წარწერაზე „ზაქარია და ივანე, შვილები დიდი სარგისისა", ყოველგვარ თანამდებობათა გარეშე იხსენიებენ თავიანთ თავს[2].

მხარგრძელებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი აჯანყებული გიორგი რუსის წინააღმდეგ ბრძოლაში. თამარმა ამირსპასალარ გამრეკელ თორელსა და „ოთხთა მჯარგრძელთა" უბრძანა მიჰგებებოდნენ ჯავახეთიდან წამოსულ აჯანყებულთა ლაშქარს. როგორც ცნობილია, აჯანყება დამარცხდა, თამარის მომხრეებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს. გიორგი რუსისა და მის მომხრეთა ფართო მასშტაბის აჯანყების დამარცხებას ბუნებრივად მოჰყვა აჯანყების მონაწილეთა დასჯა — ზოგის ჩამოცილება პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზიდან, ზოგის დამცრობა და ასე შემდეგ. მათ ადგილს კი მეფის ერთგული პირები იკვლებენ.

ამასთანავე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გიორგი რუსის აჯანყების მიმდინარეობის დროს გარდაიცვალა გამრეკელი თორელი და აჯანყების მსვლელობის დროს ამირსპასალარობა ერთხანს, ძალიან მცირე დროით, იმდროინდელ მანდატურთუხუცესს - ჭიაბერს შეუთავსეს. გიორგი რუსის აჯანყების ჩაქრობას პირველ რიგში სწორედ მეფის ერთგულებით გამორჩეულ და აჯანყებულთა წინააღმდეგ თავდადებით მებრძოლ მხარგრძელთა ორიეე შტოს შემდგომი დაწინაურება მოჰყვა. თამარის ისტორიკოსის სიტყვით, მეფემ „შეიწყალა ზაქარია ვარამის ძე და უბოძა გაგი ქურდ-ვაჭრითა განძამდის, მრავლითა საკუთარითა და მრავლითა სანახევროდთა ქალაქებითა, ციხეებითა და სოფლებითა. შეიწყალეს და უბოძეს სარგისის ძესა ივანეს პირველად მსახურთუხუცესობაჲ, კელი შინაური და საპატიოჲ, და კაენი და კაიწონი გელაქუნთ და სხუითა მრავლითა საზარაჯოდთა ქალაქითა და ციხითა. შეიწყალნეს და დალოცნეს სხუანიცა დიდებულნი მრავალნი"[3].

როგორც ამ ცნობიდან ირკვევა, ვარდან დადიანის თემის აზნაური ზაქარია ვარამისძე ამიერიდან თვით იქცა გაგისა და მისი მიმდგომი ქვეყნების, ქალაქებისა და ციხეების მფლობელად, ხოლო ივანე მხარგრძელს, თვით ვარდან დადიანის სახელოსთან, მსახურთუხუცესობასთან ერთად, მისი ყოფილი სამფლობელო კაენი გადაეცა და ასევე დადიანთა სხვა სამყოფელოც — კაენონიც მიემატა.

როგორც ვხედავთ, ივანე სარგისის ძე ამ დროს უკვე „შეიწყალეს". ეს იმას ნიშნავს, რომ ამაზე ადრე იგი, ისე როგორც ზაქარია ვარამის ძე და ზაქარია სარგისის ძე, „დალოცვილი" უნდა ყოფილიყო, მაგრამ თუ როდის მოხდა მისი დალოცვა, ჩვენთვის უცნობია. გიორგი რუსის აჯანყებამ მხარგრძელებს კიდევ უფრო დიდი წარმატებაც მოუტანა — ზაქარია სარგისის ძე ამირსპასალარად იქცა: „მაშინ უბოძეს ამირსპასალარობაჲ ზაქარიას მჯარგრძელსა, ძესა სარგის ამირსპასალარისასა, მჯდომსა სომეხთა მეფისა ადგილსა, პატრონსა ლორისასა, მოუმატეს ქალაქიცა რუსთავი, მოყმესა სპასპეტო-

---

[1] კ. კოსტანიანცი, მატიანე ქვებზე (სომხ.), გვ. 36.

[2] იქვე, გვ. 71.

[3] ისტორიანი, გვ. 94.

ბისასა"[1]. ზაქარიას ამირსპასალარად დანიშვნასთან ერთად მოხდა აგრეთვე მეოთხე მხარგრძელის. სარგის ვარამის ძის დალოცვაც „სარგის ვარამის ძე დალოცეს და უბოძეს თმოგუი" [2].

ამრიგად. ოთხივე მხარგრძელი კიდევ უფრო ამაღლდა ფეოდალური იერარქიის კიბურზე. ორმა მათგანმა, მხარგრძელთა უფროსი შტოს წარმომადგენლებმა, ამასთან ერთად, მაღალი თანამდებობანი მიიღეს თამარის სამეფო კარზე — ზაქარია ამირსპასალარად დაინიშნა, ხოლო ივანე მსახურთუხუცესად. ასე რომ გიორგი რუსის აჯანყებამ თამარის წინააღმდეგ ისეთიე როლი შეასრულა მხარგრძელთა დ წინაურების საქმეში, როგორიც ორბელთა აჯანყებამ მხარგრძელთა გამოჩენასა და საქართველოს სამეფო კარზე მათი პოზიციების განმტკიცებაში.

აღსანიშნავია, რომ მხარგრძელების ძირითადი სამფლობელო ამ დროს ქვემო ქართლსა და ჯავახეთის ტერიტორიებს არ გასცილებია. ამას გარდა, როგორც შოტანილი ამონაწერიდან ჩანს, ყველა ამ დასახელებული ტერიტორიიდან მათ „საკუთრად", ე. ი. სამემკვიდრო მფლობელობაში მხოლოდ ნაწილი მიეცათ, დიდი ნაწილი კი, როგორც წყაროშია ნათქვამი, „სანახეროდ" და „სახარაჯოდ" ებოძათ.

1191-92 წლიდან მოკიდებული, ამირსპასალარის სახელო საკმაოდ დიდი ბნით დამკვიდრდა მხარგრძელთა საგვარეულოში და მემკვიდრეობით თანამდებობად იქცა. ამ დროიდან ზაქარია მხარგრძელი არაერთხელ არის მოხსენიებული საქართველოს ამირსპასალარად, როგორც ნარატიულ, ასევე ქართულ სომხურ ეპიგრაფიკულ წყაროებში. მხარგრძელთა პირველი შტოს შემდგომი დაწინაურება ამით არ დამთავრებულა. ზაქარია და ივანე მხარგრძელებს, განსაკუთრებით ამირსპასალარისა და მსახურთუხუცესის თანამდებობათა მიღების შემდეგ, კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცათ არაერთხელ დაემტკიცებინათ თავიანთი ერდგულება და თავდადება თამარ მეფისათვის; არაერთი ლაშქრობის ინიციატორები ყოფილან და არაერთხელ უთავიათ ამა თუ იმ ჯუნდის დალაშქრა საქართველოს სამეფოს სიძლიერისა და დიდების გასამტკიცებლად. სწორედ ზაქარია და ივანე „წარვიდეს... მორბევად რახსის პირისა"... და „ავსებულნი ალაფითა და სახელიანნი მოვიდეს წინაშე დავით სუე ამაღლებულისა და თამარ ღმრთივ-დამყარებულისა"[3]. ივანე მხარგრძელმა დავით მეფეც მიიწვია „მოსარბევად გელაქუნისა, სპარსი ბაზრისა და გორალაუქისა" [4]. როგორც ცნობილია, მხარგრძელები შანქორის ბრძოლის აქტიური მონაწილენიც იყვნენ და ამ ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების ორგანიზატორებიც. ასეთი ერთგულება და თავდადება მხარგრძელთა შემდგომი გაძლიერებისა და დაწინაურების უმთავრესი პირობა იყო. კიდევ უფრო გაძლიერდნენ მხარგრძელები საქართველოს სამეფოს მიერ ანისის საბოლოოდ შემოერთებისა და შემომტკიცების შემდეგ. ანისის შემოერთების ინიციატივას ვარდანი ზაქარია და ივანე მხარგრძელებს მიაწერს. ეს, მისი ცნობით, 1199 წელს მომხდარა [5]. ჩვენი აზრით, ვარდანი ამ შემთხვევაში სწორი უნდა იყოს. ჯერ ერთი, ასეთი ცალკეული ქალაქების, ციხეებისა თუ ადგილების საჭირო შემთხვევაში დალაშქვრა თუ შემოერთება, ბასილის მოწმობით, უმთავრესად მონაპირეთადმი იყო მინდობილი: „მონაპირეთა მონახიან საქმე, ანუ ციხე ასაღები, ანუ თურქმანი შემოდგომილნი

---

[1] ისტორიანი, გვ. 95.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 99.

[4] იქვე.

[5] ვ ა რ დ ა ნ ი, მსოფლიო ისტორია (რუს.), გვ. 169.

ანუ ქალაქი განსატებელი, ანუ ქვეყანა მოსარბეველი, მოაკსენიან თამარს და მან გასინჯის საქმე იგი და გამოიკითხის. უკეთუ ღირს იყის შეყრასა, ლაშქართასა უბრძანის ზაქარიას და იევანეს“ [1]. ამას გარდა, ამ პერიოდში არსებული წესის მიხედვით, აღებულ ქალაქებს, ციხეებს თუ ადგილებს მეფე უმეტეს შემთხვევაში სწორედ „თუით მათვე მისცემდა, რომელთა აუცალოებდა თუისითა ლაშქრითა“[2]. ე. ი. ღმათვე აძლევდა, რომელთაც დაავალებდა ამა თუ იმ ადგილისა თუ ქალაქის აღებას. თამარის ამგვარი პოლიტიკის საილუსტრაციოდ ბასილი აქვე ასახელებს ანისისა და დვინის აღებას: „ამას ყოველსა დაუშრომელად რა მოქმედებდა არა თუისისა ქონებისა მექონე იყო და არცა სამეფოდ იმჭირვიდა ესოდენთა ქალაქთა და ციხეთა, არამედ თუით მათვე მისცემდა, რომელთა აუცალოებდა, თუისითა ლაშქართა. ვითარ წამებს დიდ და სახელგანთქმული სახლი სომეხთა მეფეთა ანისი, რომელი წარუღო სპარსთა შანშეობისა თანა მრავალჟამი მათგან ქონებული, ხოლო სპარსთა სახლი სახელოვანი დვინი“[3].

ანისიცა და დვინიც, როგორც ცნობილია, თამარმა მხარგრძელებს უბოძა და ეს იმიტომ, რომ მათი შემოერთება მხარგრძელთა უშუალო მონაწილეობითა და ინიციატივით მოხდა. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ანისი თამარმა „წარუღო სპარსთა“ (იგულ სხმება მაჰმადიანი შედადიდები) „მრავალჟამ მათგან ქონებული „შანშეობისა თანა“, ე. ი. შაჰანშაჰობასთან ერთად. საქმე ისაა, რომ ანისის მფლობელებს, ქალაქთან ერთად, მიკუთვნებული ჰქონდათ ძველი სპარსული ტიტული „შაჰანშაჰისა“ (ქართულ წყაროებში: „შაჰან-შა“: „შაჰან-შე“ ‖ „შანშა“ ‖ „შანშე“), რომელიც თამარს ქალაქის მფლობელთათვის ანისთან ერთად წაურთმევია. მართლაც, ჯერ კიდევ გიორგი III-ის, ხოლო შემდეგ თამარის დროიდან, ქალაქის საბოლოოდ შემომტკიცების შემდეგ, საქართველოს მეფეთა ტიტულატურას „შაჰანშა“ ემატება. ამასთანავე, „შაჰანშა“ ტრადიციის მიხედვით იქცა აგრეთვე ანისის მფლობელის, მხარგრძელთა პირველი შტოს წარმომადგენლების ტიტულადაც. ამიტომაა, რომ ზაქარია მხარგრძელი სომხურ მასალებში „შაჰანშაჰადაც“ იწოდება.

ანისის შემოერთებამ, მისმა გადაცემამ მხარგრძელებისათვის კიდევ უფრო გააძლიერა ეს საგვარეულო. ზაქარია მხარგრძელი ამიერიდან გახდა კიდევ ერთი ყოფილი სომხური სამეფოს („სახელგანთქმული სახლი სომეხთა მეფეთა ანისი“) მფლობელი. სწორედ ეს შეექმნა საფუძვლად იმ ტიტულებსა და წოდებებს, რომლითაც სომხური წყაროები ასე უხვად ამკობენ ზაქარია მხარგრძელსა და მის მემკვიდრეებს. მაგრამ „შაჰანშაჰის“ ტიტული, როგორც სომხური

---

[1] ბასილი, გვ. 23.

[2] ბასილი, გვ. 24; მ ბერძნიშვილს არასწორად გაუგია ბასილის მიერ ხმარებული სიტყვა „აუცალოებდა“ და იგი „უცალო-ს“ (ცარიელის) შესატყვის დ მიუჩნევია. მისი აზრით, თამარის ისტორიკოსის ამ ცნობიდან ირკვევა, რომ თამარი დაპყრობილ ტერიტორიას აძლევდა იმათვე, ვისაც „აუცალოებდა“, ე. ი. ვისაც ეს ქვეყანა ეკუთვნოდა და ვინც ამჟამად — „უცალო“ (ცარიელი) ხდებოდა (იხ. მისი „საქართველო მე 11 12 საუკუნეებში“, 1970, გვ. 132). ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბასილის მოტანილი ცნობის ამგვარად გაგების წინააღმდეგ მეტყველებს ისტორიკოსის მიერ იქვე საამისოდ მოტანილი მაგალითი, ანისისა, რომელიც თამარმა აწორედ ამის გამო ზაქარია და იევანე მხარგრძელებს მისცა. მხარგრძელებს კი, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, მანამდე ანისი და მისი ქვეყანა რასოდეს კუთვნებიათ. იმ წლებში, როცა ეგი სრ რთველოს ეკუთვნოდა, მისი მფლობელი ან ორბელი იყო, სარგის მხარგრძელი კი ან ლანჩხუთი ნ შემწეობდა ანისში, ანდა მხოლოდ ქალაქს განაგებდა.

[3] ბასილი, გვ. 24, 130.

წარწერებიდან ირკვევა, ზაქარია მხარგრძელს ანისის შემოერთებისთანავე არ მიუღია. ამ მხრივ საინტერესოა ანისის 1198 წლისად მიჩნეული წარწერა, სადაც ზაქარია და ივანე, მართალია, ანისისა და მთელი დიდი სომხეთის მმართველებად და დიდ მხედართმთავრებად *(մեծ զաւրապետացս)* მოიხსენიებიან, მაგრამ შაჰანშაჰად არ იწოდებიან[1]. ამ წარწერის თარიღი, როგორც ჩანს, ზუსტი არ უნდა იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ იგი ანისის შემოერთების პირველ წლებშია გაკეთებული. 1206 წლის ანისის ჰორომოსის ტაძრის წარწერაზე კი ზაქარია უკვე შაჰანშაჰად იხსენიებს თავს: „მე, შაჰანშაჰმა (*Շահնշահ*) ზაქარიამ, ძემან სარგისისამან, სპარაპეტმა სომეხთა და ქართველთა“... ისევ გაეუჩინე წყალი ჰორომოს ვანქს, „ჩემი და ძმისა ჩემისა დღეგრძელობისათვის და მშობელთა ჩემთა სახსენებლად“[2]. ამაზე ადრინდელი წარწერა, სადაც ზაქარია „შაჰანშაჰად“ იხსენიებოდეს. ჩვენთვის უცნობია. ამ დროიდან მოკიდებული, ზაქარია თითქმის ყველა წარწერაში შაჰანშად არის მოხსენიებული. როგორც ჩანს, ზაქარია მხარგრძელს ეს ტიტული მე 13 ს. დამდეგს მიუღია[3]. ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ შაჰან შაჰის წოდება ზაქარიას პირადი წოდება იყო და ამ ტიტულით არსად მოიხსენიება მისი ძმა ივანე, ზაქარიას გარდაცვალების შემდეგაც კი. ასე რომ ანისი და მისი მიმდგომი ქვეყანა მხარგრძელთა მთელი საგვარეულოს სამფლობელო კი არ იყო, არამედ ზაქარიასა და მისი სახლის სამემკვიდრეო ქონება. ამას საესებით ცხადყოფს ანისის შემდეგდროინდელი ისტორიაც.

ზემოთ ქართულ-სომხური ნარატიული და ეპიგრაფიკული წყაროების მიხედვით უკვე გავარკვიეთ, რომ ზაქარია მხარგრძელმა, ჭიაბერის გარდაცვალების შემდეგ, კერძოდ 1206 წლიდან თამარ მეფისაგან მანდატურთუხუცესის სახელოც მიიღო. ამ დროიდან მოკიდებული, მანდატურთუხუცესობაც მხარგრძელთა საგვარეულოს სამემკვიდრეო სახელოდ იქცა და ეს თანამდებობა მხარგრძელებს დიდი ხნის მანძილზე, მე-13 ს. 80 იან წლებამდე ჰქონდათ.

ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ სათანადო მასალები, განსაკუთრებით სომხური ეპიგრაფიკის მონაცემები (კერძოდ, ჰარიჭის 1207- 1213 წწ., ანისის 1206—1207 წწ., ახპატის 1207 წ., ანისის 1208 წ., 1210—1213 წწ. წარწერები), საიდანაც ნათლად ირკვევა, რომ მანდატურთუხუცესის თანამდებობას ზაქარია მხარგრძელი ფლობდა 1206 წლიდან გარდაცვალებამდე. ჩვენ მიერ ზემომოტანილი მასალებიდან ისიც ირკვევა, რომ ამ სახელოს შემდგომ მფლობელად მიჩნეული იყო ზაქარიას მცირეწლოვანი მემკვიდრე შანშე, მაგრამ იგი ერთხანს, — შანშეს სრულასაკოვნობამდე, - ივანე მხარგრძელს ჰქონდა, თუმცა მცირეწლოვანი შანშეც ამავე თანამდებობით მოიხსენიებოდა (ყოშის ქართული წარწერა 1214 წ., სანაინის უთარიღო წარწერა, შირაკავანის, ანისის 1215 წ. წარწერა და სხვ.), ხოლო შანშეს სრულასაკოვნობის შემდეგ, როგორც ცნობილია (ვამთაგმწერელი და სხვ.), ეს თანამდებობა მასვე ჰქონდა გარდაცვალებამდე, მე-13 ს. 00-იან წლებამდე. ამრიგად, მანდატურთუხუცესობა თამარის მეფობის ბოლო წლებიდან მხარგრძელთა პირველი შტოს, ზაქარიას სახლის საგვარეულო სახელოდ იქცა. ეს კიდევ ერთი საინტერესო მაგალითია იმისა, თუ როგორ გადაიქცეოდა სახელო (თანამდებობა) ქონების ატრიბუტად. დავითის მემკვიდრეთა (დემეტრე I, გიორგი III) დროიდან მოკიდებული, ლორეში „სომეხთა მეფის ად-

---

[1] ნ. ე მ ი ნ ი, სომხური წარწერები (რუს.), გვ 31.

[2] იქვე. კ ო სტ ა ნ ა ნ ც , მატიანე ქვებზე (სომხ.), გვ. 49.

[3] შდრ. ს. ე რ ე მ ი ა ნ ი, ამირსპასალარი ზაქარია ერკაინაბაზუკი (სომხ.), გვ 51.

გილას მჯდომი", ამირსპასალარობასთან ერთად, ყოველთვის იყო მანდატურთუხუცესის თანამდებობის მფლობელიც. ასე იყვნენ ორბელები (სუმბატი, ივანე), ასევე იყო ყუბასარიც, რომელიც არც ისე დიდი ხნით (1178–1185 წ.წ), მაგრამ მაინც „იჯდა სომეხთა მეფის ადგილზე" და შესაბამისად ფლობდა როგორც მანდატურთუხუცესის, ასევე ამირსპასალარის სახელოსაც.

ამ ორი სახელოს ერთი, სამხედრო ხელისუფლების ხელში გაერთიანების ტრადიცია იმდენად ძლიერი იყო, რომ სრბოლო ანგარიშით ვერც თამარმა აუარა მას გვერდი და დემეტრე I-ისა და გიორგი III-ის დროს განმტკიცებული წესის მიხედვით, მანდატურთუხუცესის სახელო ერჯერად „სომეხთა მეფის ადგილას მჯდომსა" და ამირსპასალარს ზაქარია მხარგრძელს შეუთავსა: „მას ჟამსა დიდად განდიდებულნი იყვნენ მეფისა მიერ ზაქარია ამირსპასალარი და ივანე მსახურთუხუცესი" [1] — ასე წერს თამარის ისტორიკოსი მხარგრძელთა სამოხელეო მდგომარეობის შესახებ საქართველოს სამეფო კარზე სომეხ-ქართველთა პაექრობის წინ. მართლაც, მხარგრძელები ამ დროს თავიანთი ძლიერების ზენიტს აღწევენ.

ზაქარია მხარგრძელი, მანდატურთუხუცესობის მიღების შემდეგ, სომხურ ეპიგრაფიკაში თითქმის ყოველთვის მოიხსენიება, როგორც შაჰანშაჰი, „მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი სომეხთა და ქართველთა". მოვიტანოთ რამდენიმე წარწერა: „დროებასა... კეთილმსახურ დედოფალთა დედოფალ ჩამარისა მე, მისმა ერთგულმა მონამ, შვილმა იშხანაც იშხანისა ამირსპასალარ მხარგრძელის (*Մխարգրձլին*) სარგისისა, მანდატურთა უხუცესმა (*մանդատուրթ-Թուխուցէս*) ამირსპასალარმა(*ամիրսպասալար*) შაჰანშაჰ ზაქარიამ სურვილითა ღმრთისათა აღემართე ჯვარი"[2] ... ან კიდევ, „მე მანდატურთა ხუცესმა, ამირსპასალარმა, შაჰანშაჰ ზაქარიამ, აღემართე სვეტი"...[3] ამაკე ტიტულებით იხსენიებენ მას წარწერის გამკეთებელი სხვა პირებიც: „იშხანობასა მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარ შაჰანშაჰ ზაქარიასი"...[4] ზოგჯერ ზაქარია მხოლოდ „შაჰანშაჰად" არის წოდებული[5], ზოგან მხოლოდ „ამირსპასალარად სომეხთა და ქართველთა"[6], თუმცა იმ დროს, როცა ეს წარწერაა გაკეთებული (1211 წ.), ზაქარიას მანდატურთუხუცესობაც ჰქონდა და შაჰანშაჰობაც. მსგავსი წარწერების მოტანა მრავლად შეიძლებოდა. სომხურ წარწერებში ყველგან, გამონაკლისის გარეშე, სადაც კი ზაქარია თავისი თანამდებობებით მოიხსენიება, სახელოები (მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი) გადმოცემულია თარგმანის გარეშე, ქართული სახელწოდებით.

სომხურ წარწერებში ივანე მხარგრძელი ზაქარიას სიცოცხლეში, თითქმის ყოველთვის, მასთან ერთად მოიხსენიება თავისი თანამდებობის — მსახურთუხუცესობის გარეშე და ზოგჯერ ისე, თითქოს ეს ორი ძმა ერთად ფლობდა ამა თუ იმ სახელოს. ასე მაგალითად, ბიჯნისის 1209 წლის წარწერაზე იკითხება: „ქვეყნის შპყრობელობასა... დიდ შაჰანშაჰთა ზაქარიასი და ივანესი სარგისის შვილებისა"...[7] ან კიდევ: „ამირსპასალარობასა ზაქარიასი და ივანესი"[8]. ცხადია, ეს და

---

[1] ისტორიანი, გვ. 115.

[2] სომხურ წარწერათა კრებული I. (სომხ.). გვ 58

[3] იქვე, გვ. 6.

[4] სომხურ წარწერათა კრებული, I, (სომხ.), გვ 55.

[5] ნ. ჯანაშვილი, სომხური წარწერები (რუს), გვ. 55.

[6] იქვე, გვ. 84.

[7] კ. კოსტანიანცი, მ ტიანე ქვეყნეზი (სომხ.), გვ 19.

[8] კ. ლაფადარიანი, ჯალტ (სომხ.), გვ 252.

სხვა მსგავსი წარწერები იმას არ ნიშნავს, რომ ივანეც ასეევ „შაჰანშაჰად“ წოდებული იყო, ანდა მას ამ დროს, ზაქარიას სიცოცხლეში, ამირსპასალარის თანამდებობა ჰქონოდა. ამ წარწერის ავტორები, როგორც ჩანს, ამით მხოლოდ იმას გამოხატავდნენ, რომ შაჰანშაჰობა, ამირსპასალარობა და მანდატურთუხუცესობა მხარგრძელთა საგვარეულოს სამემკვიდრეო თანამდებობა თუ წოდება იყო.

ივანე მხარგრძელს, როგორც ეს დაბეჭდილებით ვიცით ქართული წყაროებიდან, ზაქარიას სიცოცხლეში, თამარის მეფობის ბოლო წლამდე, მხოლოდ მსახურთუხუცესობის „შინაური და საპატიო“ თანამდებობა ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ სომხურში არ იყო არც მსახურთუხუცესის შესატყვისი სამოხელეო ტერმინი და ესეც, მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის მსგავსად, თარგმანის გარეშე, სომხური ასოებით გადმოიცემოდა, როგორც ეს ბაგნარის ბიბლიის ჩვენ მიერ ზემოთმოტანილი მინაწერიდან ჩანს.

მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი, მსახურთუხუცესი და სხვა მსგავსი ქართული სამოხელეო წყობილებისათვის დამახასიათებელი ტერმინები მტკიცედ მკვიდრდებოდა სომხურ პოვინციებში. სომხურ ენაში, სომხურ სამეფოთა გაუქმებისა და საქართველოსთან სომხური მიწა-წყლის უშუალოდ შემოერთების დროიდან, ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების გაპატონებასთან ერთად.

მე 13 ს. დამდეგისათვის, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, მხარგრძელთა პირველი შტოს საგვარეულოს წარმომადგენელთა ხელში თავს იყრის საქართველოს სამეფო კარის სამი მაღალი თანამდებობა — მანდატურთუხუცესის, ამირსპასალარის და მსახურთუხუცესისა. ამ თანამდებობათა შინაარსი და მათი ადგილი ქართულ სამოხელეო წყობაში ნათლადაა გარკვეული ჯერ კიდევ ი. ჯავახიშვილის[1] და სხვა მკვლევართა მიერ, მაგრამ ზოგიერთი მკვლევარი (ხ. სამუელიანი, ა. არუთიუნიანი, ლ. ბაბაიანი, ნაწილობრივ ს. ერემიანიც და სხვა) არ ითვალისწინებს ყოველივე ამას და ამის გამო, როგორც ზემოთ აღინიშნა, არაერთ შეცდომას უშვებს. ჩვენ ამ შეცდომებზე ამჯერად არაფერს ვიტყოდით, რომ ის მე 12 ს. საქართველოს ისტორიის არასწორი გაგებისა და მხარგრძელთა იდეალიზაციის საფუძველად არ იყოს ქცეული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, რა თქმა უნდა, გაუგებრობაა „ამირსპასალარის“ გამოცხადება სამოქალაქო („ამირ“) და ს მხედრო („სპასალარ“) ხელისუფლების შემთავსებლად (ხ. სამუელიანი); ან კიდევ შინაგანი საპოლიციო სამსახურის უფროსის - მანდატურთუხუცესის მიჩნევა საქართველოს სამეფოს საერთოდ სამოქალაქო საქმეების გამგებლად და „მეფის მამად“ (ლ. ბაბაიანი). ასევე არასაიდან ჩანს, რომ საქართველოს მანდატურთუხუცესს „სამეფო ბეჭედი“ ჰქონოდეს ჩაბარებული და მაინცდამაინც „დედოფლის დაცვის რაზმის უფროსი“ ყოფილიყოს (ს. ერემიანი). მანდატურთუხუცესს უმთავრესად სამეფო კარზე და ქვეყნის შიგნით წესრიგის დაცვა, „განხეთქილებათა ჯრძალვა“, „სამეფოსა წყნარებისა ღონენი“, „მთავართა ზაკვის ცნობანი“ და სხვა მსგავსი ევალებოდა. აველაფერი ეს მეფეს მანდატურთუხუცესისა და მისი უწყების აპარატის შემწეობით უნდა განეხორციელებინა.

შინაგანი პოლიციის ხელმძღვანელობა თავისთავად უკავშირდებოდა სამხედრო საქმეს და ამიტომ იყო, რომ საქართველოს მეფეები ხშირ შემთხვევაში მანდატურთუხუცესობას საქართველოს ჯარების სარდალს, ამირსპასალარს

[1] ი. ჯავახიშვილი, ქსე, II, გვ. 108—217.

უთავსებდნენ (ასე იყვნენ სუმბატ და ივანე ორბელები, ყუბასარი, ზაქარია მხარგრძელი და სხვა. მანდატურთუხუცეს ამირსპასალარები), ანდა პირიქით, მანდატურთუხუცესს ამირსპასალარობასაც (მაგ., ჭიაბერს) უბოძებდნენ. ასე რომ მანდატურთუხუცესობისა და ამირსპასალარობის შეთავსება ზაქარია მხარგრძელის მიერ გამონაკლისი არ ყოფილა საქართველოს სამეფო კარზე და მისი განსაკუთრებული დამსახურებითა და როლით არ აიხსნება.

ამირსპასალარის სახელოსა და მისი დიდი მნიშვნელობის შესახებ ქართულ სამოხელეო წყობაში არაერთხელ ყოფილა აღნიშნული. დავით აღმაშენებლის დროიდან ამირსპასალარი ერთიანი საქართველოს ჯარების სარდალი იყო და სახელმწიფო სამოხელეო წყობაში სათანადო სამხედრო უწყებას განაგებდა. მაგრამ საქართველოს ჯარების მთავარსარდლად მაინც მეფე ითვლებოდა. რა თქმა უნდა, მეფე იყო უპირველესი ხელისუფალი ამ მხრივაც. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვით, მეფის განსაგებელში შედიოდა არა მარტო სამხედრო საქმის საერთო ხელმძღვანელობა, არამედ აგრეთვე „ლაშქრობისა მეცადინეობანი", „მკედართა განწესებანი", „სპათა დაწყობანი და ღონიერნი მიმართებანი", ე. ი. კონკრეტული სამხედრო ოპერაციების შესრულებაც. მაშინაც კი, როცა საქართველოს სამეფოს სათავეში მეფე ქალი იდგა, იგი ისევე ისე საქართველოს ჯარების მთავარსარდლად ითვლებოდა. ამის სიმბოლური გამოხატულება იყო თამარის კურთხევის დროს არა მარტო სამეფო გვირგვინის, არამედ აგრეთვე „მოღებაჲ დ ადადებაჲ ჯრმლისაჲ" [1]. მეფე-ქალი, მართალია, ცალკეულ ბრძოლებში, სამხედრო ოპერაციებში უშუალო მონაწილეობას ვერ მიიღებდა, მაგრამ სამხედრო საქმის საერთო ხელმძღვანელობას მაინც ახორციელებდა. რა თქმა უნდა, საქართველოს მეფე-ქალი ნიშნავდა ამირსპასალარს, იგი იყო ბრძანებათა გამცემი ლაშქრის წვევისა თუ ამა თუ იმ ლაშქრობის მოწყობისა. სწორედ თამარმა „უბრძანა ამირსპასალარსა გამრეკელსა და ოთხთა მჭარგრძელთა და სხუათა თორელთა" [2] ბრძოლით შეგებებოდნენ ჯავახეთიდან წამოსულ აჯანყებულ გიორგი რუსს. შანქორის ომის წინ სწორედ თამარი და დავით სოსლანი დაესწრნენ საქართველოს ჯარების საზეიმო აღლუმს [3]. ბასილის მოწმობით, სწორედ თამარმა უბრძანა ანტონ ჭყონდიდელს „არა ავითა გულითა, არცა დედაკაცურთა სიტყუითა, არამედ ესრეთ: „ისწრათეთ დ წერად და მიმოდადევით ბრძანება, რათა მსწრაფლ შემოკრბეს მკედრობა"... ესე უბრძანა და ბრძანება საქმე იყო. და ათსა შინა დღესა ვითარცა გროი შავარდენთა, მოფრინდა ყოველი მკედარი, ყოელით კერძოდ... შეკრბეს სომხითს შინა და მიეიდა თამარ იხილნა" [4].

თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით, შანქორის ბრძოლის წინ „თამარის წინაშე" შეკრებილმა სპამ და მისმა სარდლობამ თამართან ერთად „დაასკვნეს" არა მარტო ლაშქრობის დაწყების დღე, არამედ აგრეთვე შამქორის ლაშქრობის „მიმართებანი" [5]. ზოგჯერ მეფე ქალი თვითაც მიჰყვებოდა ლაშქარს საკმაოდ შორ მანძილზე და იყო არამარტო მისი გამცილებელი, არამედ სალაშქროდ გამგზავნიც; თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვით, ბასიანის ბრძოლის წინ „მივიდა თამარ ვარძიას. ვარძიისა ღმრთისმშობლისა წინაშე და ცრემ-

---

[1] ისტორიანი, გვ. 74.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 92.
[3] იქვე, გვ. 103
[4] ბ ა ს ი ლ ი, გვ 125 126
[5] ისტორი ნი, გვ. 104.

ლით შეჰვედრა სოსლან დავით და სპაჲ მისი და დროშაჲ მისი... გაგზავნა ვარძით. ლაშქარნი წარემართნეს" საბრძოლველად[1].

ამგვარადვე, ბასილის ცნობით, თამარის „ბრძანება და წიგნები ქროდა მალემსრბოლთა" ლაშქრის შესაკრებად ბასიანის ბრძოლის წინ; და „ცოტა დღეთა შინა შემოკრებილ" ბრძოლად მიმავალ ლაშქარს „თჳთ თამარ უძღოდა წინა შიშულითა ფერკითა" და თითქმის ბრძოლის ადგილამდე მიაცილა[2]. თამარი საერთო ხელმძღვანელობას უწევდა არა მარტო დიდ (შანქორის, ბასიანის) ბრძოლებს, არამედ სხვა, უფრო ლოკალური მნიშვნელობის ლაშქრობებსაც. ასე მაგალითად, ბასილის ცნობით, თამარმა „იკითხა საქმე კარისა" და „განიზრახა კეთილსა გონებითა და წარაველინა დავით ზემოთა ლაშქრითა. წაატანა ზაქარია და ივანე და უბრძანა, რათა დაადგენ მუნ და ძლიერად ეომონ; და ხანგრძლივად იქმნა ესე და თჳთ თამარ დადგა ჯავახეთს, და მუნ მოელოდა ამბავსა მათსა"[3].

თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით, საპასუხო ლაშქრობა არდაველის სულტანის წინააღმდეგ თამარის ბრძანებით მოხდა: „უბრძანა მან (თამარ), რათა მზა იყვნენ სპანი მისნი და მკარგრძელნი წარმოვიდეს ანისს, იწყეს კაზმად". ასეთი ბრძანების გაცემა კი თვით ზაქარია მხარგრძელის თხოვნით მომხდარა: „მეფეო, ამცენ სპათა შენთა, რათა მზა იყვნენ არდაველისა სულტანსა ზედა; წარვიდეთ ანისს... ნუ დიდნი წარვალთ, რათა არა სცნან... მცირითა ლაშქრითა შემეწიე. რაჟამს შეგვიბეული მათი მარხვა მოვიდეს"[4]. ამ საინტერესო ამონაწერიდანაც კარგად ჩანს, რომ საქართველოს ჯარების ამირსპასალარს თვით არ შეეძლო არათუ სპათა მზადყოფნის ბრძანების გაცემა, არამედ „მცირე ლაშქარიც" კი ჰყოლოდა თავის უშუალო განკარგულებაში. როგორც ვხედავთ, ამირსპასალარი მეფეს ამჯერად მხოლოდ „მცირე ლაშქრის" წაყვანის ნებართვას სთხოვდა, რაკი დიდი ლაშქრით წასვლა, ზაქარიასვე სიტყვით, იქნებ გაეგო კიდეც არდაველის სულტანს და მომზადებული შეხვედროდა უეცარი, მოულოდნელი თავდასხმის მოსურნეებს.

თამარის ისტორიკოსის ცნობებიდან ისიც ირკვევა, რომ ამირსპასალარს თუ მონაპირეებს თამარის ნებართვის გარეშე არ შეეძლოთ არც ერთი მცირე თუ მეტნაკლებად დიდი ლაშქრობის მოწყობა. თითქოს საგანგებოდ, ბასილი გარკვევით აღნიშნავს: „ნუ ვის ესრეთ ჰგონებთ, თუმცა თჳინიერ თამარისა რამე ქმნილ იყო ვისგანაცა, არამედ ესრეთ განიგონე: მონაპირეთა მონახიან საქმე, ანუ ციხე ასაღები, ანუ თურქმანი შემოდგომილი, ანუ ქალაქი განსატეხელი, ანუ ქვეყანა მოსარბეველი, მოაკსენიან თამარს და მან გასინჯის საქმეი გიდაგამოიკითხის. უკეთუ ღირს იყვის შეყრასა ლაშქართასა, უბრძანის ზაქარიას და ივანეს და შეყარნიან ლაშქარნი"[5]. ასე რომ მცირე თუ დიდი ლაშქრობის მოწყობა, მცირე თუ დიდი ლაშქრის შეყრა მხოლოდ და მხოლოდ მეფე-ქალის ნებართვითა და ბრძანებით შეიძლებოდა მომხდარიყო; ისტორიკოსის სიტყვით რომ ვთქვათ, მსგავსი საქმე „თვინიერ თამარისა" არავისგან არა „ქმნილ იყო", თამარის გარეშე არავის გაუკეთებია.

ამრიგად, თამარისათვის, „ქმლის დადების" და მისი როგორც მეფე ქალის მთავარსარდლობას ისეთი სიმბოლუ-

---

[1] ისტორიანი, გვ. 126.
[2] ბასილი, გვ. 26.
[3] იქვე, გვ. 143.
[4] ისტორიანი, გვ. 130—131.
[5] ბასილი, გვ 130.

რი ხასიათი არ ჰქონია, როგორც ამას ზოგი მკვლევარი წარმოგვიდგენს. მეფე ქალს ამირსპასალარი ამჯერადაც ისევე ემორჩილებოდა, როგორც დავით მეოთხეს, დემეტრე I-სა თუ გიორგი III-ეს.

მეფე-ქალს, ცხადია, არ შეეძლო უშუალო მონაწილეობა მიეღო ბრძოლებში, ისევე როგორც ამას აკეთებდნენ მისი წინაპარი მეფეები. მაგრამ მეფე-ქალს ამგვარ შემთხვევაში ცელიდა მისი მეუღლე — მეფე ქმარი, ან კიდევ მემკვიდრე ვაჟიშვილი. როგორც ი. ცინცაძემ გაარკვია, თამარის დროს მეფე ქმარის ერთ-ერთ უპირველეს მოვალეობას სწორედ ლაშქრობის და ბრძოლების დროს ჯარების სარდლობა და ბრძოლებში უშუალო მონაწილეობა შეადგენდა [1]. მეფე-ქმარი მხოლოდ ბრძოლებში ცელიდა მეფე თამარს, როგორც მთავარსარდალს. ასეთ ვითარებაში, ცხადია, ამირსპასალარი თუ ბრძოლაში მონაწილე სხვა სელისუფალი მეფე ქმარს, ოგორც მთავარსარდალს ემორჩილებოდა და ექვემდებარებოდა.

თამარის მეფობის ხანაში თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი ბრძოლა არ მომხდარა, რომელშიც სარდლობა არ გაეწიოს და უშუალო მონაწილეობა არ მიეღოს თამარის მეორე მეუღლეს დავით სოსლანს. როგორც ცნობილია, შანქორის ბრძოლის დროს მთავარსარდალი დავით სოსლანი იყო: „წარემართა დავით, წარმძღუანელი ძელისა ცხოვრებისაჲ და შემყრელი დროშისაჲ, სუიანად ხმარებულისაჲ“ [2]. მანვე მიიტანა პირველი იერიში მოწინააღმდეგეზე და გამარჯვებულის „ქებაჲ და შესხმაი“, ცხადია, მანვე დაიმსახურა [3]. რა თქმა უნდა, ამირსპასალარი ზაქარია (და სხვა მხარგრძელებიც) მონაწილეობდა ამ ბრძოლაში, მაგრამ არა როგორც მთავარსარდალი, არამედ როგორც ლაშქრის მხოლოდ ერთი ორთის მეთაური და მეფის ბრძანებათა შემსრულებელი [4]. საქართველოს ჯარების მთავარსარდალი ბასიანის ბრძოლის დროსაც დავით სოსლანი იყო. თამარ მეფემ ბასიანის ბრძოლის წინ ვარძიის ღმრთისმშობელს სწორედ „სოსლან დავით და სპაჲ მისი და დროშაჲ მისი“ შეავედრა; ამ ბრძოლაშიც მონაწილეობდა ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი, მაგრამ როგორც მხოლოდ „წინამბრძოლი“, შალვა და ივანე ახალციხელებთან ერთად [5]. დავითი სარდლობდა და ხელმძღვანელობდა აგრეთვე ქ. კარისათვის გამართულ ბრძოლას, ხოლო ამირსპასალარი ზაქარია და მსახურთუხუცესი ივანე თამარ მეფემ, ბასილის სიტყვით, მხოლოდ „წაატანა“ „ზემოთა ლაშქრითა“ კარისათვის ბრძოლად მიმავალ დავითს [6].

ამირსპასალარი მეფე ქმარს ემორჩილებოდა არა მარტო ბრძოლების, არამედ მშვიდობიანობის დროსაც. სწორედ დავით მეფის ბრძანებით გავიდნენ მხარგრძელები შირვანშაჰის პატიესაცემად მოწყობილ ასპარეზობაზე: „უბრძანა მეფემან ამირსპასალარსა მისსა ზაქარიას და მსახურთუხუცესსა ივანეს, ჰერეთისა ერისთავსა გრიგოლსა და სხვათა მოყმეთა და ჩავიდეს მოედანს... მსწრაფლ იძლივნეს დავით მეფისა და მისთა მოყმეთა გან“ ამ რ მირმანის დიდებულნი და მონანი [7].

---

[1] იხ. ი. ცინცაძე, ძიებანი, გვ. 81 85 და სხვ.
[2] ისტორიანი, გვ. 105.
[3] იქვე, გვ. 108.
[4] იქვე, გვ. 107.
[5] იქვე, გვ. 126.
[6] ბასილი, გვ. 32.
[7] ისტორიანი, გვ. 104.

მსგავსი მასალის მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ აქედანაც კარგად ჩანს, რომ ამირსპასალარი არა მარტო მეფეთა მეფე თამარის, არამედ აგრეთვე შეჯე დაეთის ბრძანებათა შემსრულებელი იყო როგორც ომის, ისე მშვიდობიანობის დროსაც. მოტანილი მასალები საუბრობენ ნათელს ხდიან იმ ავტორთა შეხედულების მცდარობას, რომელთა მიხედვითაც დაეით სოსლანს ძმების მხარგრძელების მიერ ჩრდილი ჰქონდა მიყენებული და რომ თამარი „ყოველისშემძლე ძმების ზაქარია და ივანე დოლგორუკების ხელისუფლების ქვეშ აღმოჩნდა“ [1].

ერთადერთი მნიშვნელოვანი ლაშქრობა, რომელიც ზაქარია მხარგრძელის ინიციატივით და უშუალო სარდლობით მოეწყო, იყო ლაშქრობა ირანს მაგრამ, რა თქმა უნდა, იგი თამართან ამ საქმის საგანგებოდ განხილვის შემდეგ და მისი პრძანებით მოხდა.

ზაქარია მხარგრძელმა, ამირსპასალარმა, ამჯერადაც თხოვნით მიმართა თამარს: „აწ ბრძანოს მეფობამან თქუენმან, რათა არა ცუდად დავიწყებასა მიეცნეს სადმე საქმენი სპათა შეხთანი. არამედ აღვმკუდროთ ერანს, რომგურსა ზედა, რომელ არს ხუარასანი და ცნან ყოველთა სპათა აღმოსავლეთისათა ძალი და სიმკნე ჩუენი. და უბრძანე სპათა საქართველოსადმი, რათა მზა-იყუნენ ლაშქრობად ხუარასანს“. ხოლო თამარმა „მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ამის სამეფოჲსათა, იმერთა და ამერთა“ და მხოლოდ ყველაფრის საგანგებო განხილვის შემდეგ „დაასკვნეს ლაშქრობაჲ და იწყეს კაზმაჲ“ [2].

როგორც ვხედავთ, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი ზაქარია მხარგრძელი, რომელიც, ს. ერემიანის სიტყვით, თითქოს განსაკუთრებით გაძლიერდა 1207 წლიდან, დავითის სიკვდილის შემდეგ, ისევ საქართველოს მეფის უსტუკო მორჩილია და ისევ მხოლოდ საქართველოს მეფის ბრძანებით უყრის თავს საქართველოს ლაშქარს. არსაიდან ჩანს, რომ დაეით სოსლანის სიკვდილის შემდეგ ამირსპასალარის უფლებებში რაიმე ცვლილებები მომხდარიყოს. ლაშაგიორგიმ, თამარის თანამოსაყდრე მეფედ ნაკურთხმა, როგორც ჩანს, ამ ლაშქრობაში მონაწილეობა არ მიიღო და ამიტომაც თამარმა მის მიერვე დალოცვილი „დროშაჲ და ლაშქარი“ მისცა ზაქარია ამირსპასალარს [3]. რა თქმა უნდა, როცა მეფე თვით უშუალოდ ვერ მონაწილეობდა ბრძოლაში, დროშაც ამირსპასალარს უნდა ჰქონოდა და ლაშქრის მთავარსარდალიც იგი უნდა ყოფილიყო. ასე რომ ეს ზაქარია მხარგრძელის განსაკუთრებულ გაძლიერებაზე არაფერს გვეუბნება.

ირანში ლაშქრობის უმთავრესი მიზანი, როგორც თვით ზაქარიას განცხადებიდან და მისი შედეგებიდანაც ჩანს, მხოლოდ საქართველოს სამეფოს შეიარაღებული ძალების სიძლიერის კიდევ ერთი დემონსტრირება და სამეფო ხაზინის ალაფით შევსება იყო. ასე რომ ირანში ლაშქრობას არ გადაუწყვეტია დიდი საგარეო პოლიტიკური ამოცანები. ამ ლაშქრობას ასეთი მიზანდასახულობა არც ჰქონია. მაგრამ მას, თამარის ისტორიკოსს თუ დავეჯერებთ, მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ერთ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება იყო, რომლის მსგავსი „არცა ძუელ ოდესმე ქმნილ იყო... არცა მეფეთაგან, არცა მთავართაგან“ [4].

---

[1] ს. ე რ ე მ ი ა ნ ი, ოური ბოგოლუბსი (რუს.), გვ. 415.

[2] ისტორიანი, გვ. 132.

[3] იქვე, გვ. 133.

[4] იქვე, გვ. 136.

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, საქართველოს ამირსპასალარის ხელისუფლებას თამარის მეფობის პერიოდში წარმართავდა პირველ რიგში მეფეთა-მეფე, შემდეგ კი მეფე-ქმარი, რომელიც თითქმის ყველა ძირითადი ბრძოლის სარდალი იყო. ამირსპასალარს და მით უფრო არც ეოთ სხვა მოხელეს არ შეეძლო ჯარის თვითნებურად შეყრა და ამა თუ იმ მიმართულებით გალაშქრება მეფეთა-მეფის დაუკითხავად, მისი ბრძანების გარეშე. ამასთანავე, როგორც ზემოთ საგანგებო თავში იყო განხილული, სამეფოს სამხედრო საქმე და ამირსპასალარის უწყება უშუალოდ შედიოდა აგრეთვე სამეფო ვაზირის – მწიგნობართუხუცეს-ჭყოხდიდელის განსაგებელში. ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ ამირსპასალარი, როგორი პიროვნული ღირსებები და გავლენაც არ უნდა ჰქონოდა მას სამეფო კარზე, „ქეეყნის ბატონ პატრონად" და „სამეფოს ფაქტიურ გამგებლად" ვერ გადაიქცეოდა, როგორც ამას ერემიანი ვარაუდობს [1]. მოტანილი მასალებიდან კარგად ჩანს, რომ ზაქარია მხარგრძელის როლი და გავლენა თამარის სამეფო კარზე მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის, როგორც მოხელის, უფლებებსა და მოვალეობებს არ გასცილებია. ამასთან, როგორც ზემოთ უკვე დავასაბუთეთ, არც მანდატურთუხუცესი, არც ამირსპასალარი და მსახურთუხუცესი საქართველოს სამეფოს ვაზირები არ ყოფილან და თამარის სამეფო კარზე არაეითარი „სავაზირო" არ არსებობდა.

ზაქარია მხარგრძელმა, როგორც სამეფოს ამირსპასალარმა და მანდატურთუხუცესმა, დიდი წვლილი შეიტანა ქართული ფეოდალური მონარქიის განმტკიცებაში, თურქ სელჩუკთა მიერ დაპყრობილი სომხური ტერიტორიების გათავისუფლებისა და საქართველოს სამეფოსთან შეერთებაში. იგი იყო საქართველოს მეფის უერთგულესი მოხელე და ამიტომაც, ბუნებრივია, ქართული წყაროები და ასევე სომხურიც ქება-დიდებას ასხამენ მას. თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვით, ზაქარია მხარგრძელი „იყო სარწმუნოებითა სოშეხი, არამედ ყოველნი სათნოებანი და საკაცობონი აქუნდეს". იგი იყო „კაცი დიდად გამდიდრებული და ყოვლითა სათნოებითა აღსავსე, გამარჯვებული, მკნე და ძლიერად მებრძოლი" [2]. თამარის არც მეორე ისტორიკოსი იშურებს სიტყვებს ზაქარია მხარგრძელის შესაქებად. მისი სიტყვითაც ძმები მხარგრძელები, ზაქარია და ივანე, იყვნენ „კაცნი ბრძენნი, მკნენი, ბრძოლათა შინა დიდად გამოცდილნი და გუარეულადაცა ერთგულნი მეფეთაგანი და ამირსპის დიდად შეყვარებულნი.. ესე კაცნი ღირსი იყუეს კაცობისანი, დაღაცათუ სჯულითა სომეხნი იყუეს, გარნა ყოველითურთ მართლმადიდებლობისა მოსავნი" [3]. ზემომოტანილი მასალებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ აფასებდნენ იმდროინდელი ქართული ფეოდალური საზოგადოების მაღალი ფენები ზაქარია მხარგრძელის თავდადებას ქართული სახელმწიფოებრიობისათვის, მის ერთგულებას მეფისადმი, მის პიროვნულ ღირსებებს. ეს ცხადია, შემთხვევითი არ შეიძლება იყოს — ზაქარია მხარგრძელი შართლაც XII—XIII სს. მიჯნის საქართველოს სამეფოს ერთ ერთი უდიდესი და უერთგულესი მოხელე იყო.

მისი გარდაცვალება დიდ დანაკლისად მიიჩნია იმდროინდელმა ფეოდალურმა საზოგადოებამ და, თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვით, თავისი ამირ-

---

[1] ს. ერემიანი, ზაქარია ამირსპასალარი (სომხ.), გვ. 18, 44, 62; მისივე, სომხეთი IX–XIII სს. (რუს.), I, გვ. 627.

[2] ისტორიანი, გვ. 109

[3] ბასილი, გვ. 18.

ხპასალარი არა მარტო „მეფემან იგლოვა“, არამედ „ყოველმან კაცმან, საქართველოს მყოფმან“... [1].

ჩვენს მიზანს ამჯერად არ შეადგენს ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების თარიღის დადგენა, მაგრამ ზოგ მასალას საკითხთან დაკავშირებით მოვიტანთ თამარის პირველი ისტორიკოსის თხრობის თანმიმდევრობის მიხედვით, ზაქარია ირანში ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ მალე გარდაიცვალა [2]. ირანის ლაშქრობის შემდეგ მოხდა ზაქარიას გარდაცვალება კირაკოს განძაეცითაც. მისი სიტყვით, მარანდასა და არდებილში მოწყობილი ლაშქრობებიდან უკან გამობრუნებული ზაქარია „გზაში ავად გახდა... და რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა... ის დამარხეს სანაინში დიდი ტაძრის შესასვლელის წინ, მაოცხენა მხარეს. დიდ მწუხარებაში ჩავარდა ქართველთა მეფე გიორგი... ასევე ძმა მისი ივანე ქართველთა მთელი ლაშქრით“ [3]. მაგრამ თუ რომელ წელს იყო ეს ლაშქრობები ან როდის გარდაიცვალა ზაქარია, ამის შესახებ კირაკოსი არაფერს გვატყობინებს.

შედარებით სრული ცნობა ამ მხრივ ვარდანს მოეპოვება. მისი სიტყვით, 1212 წელს დიდი ზაქარიას მიერ „ჰარსისას თვით ქალაქ არდაველამდე“ დალაშქრის შემდეგ, „ამ ლაშქრობიდან დაბრუნებისას ზაქარია გარდაიცვალა თაყისი რწმენით და დაიმარხა სანაინის მონასტერში“ 1212 წ... საინტერესოა, რომ ვარდანისაც ცნობით, „ერთი წლის მერე გარდაიცვალა.. მხითარ (გოში)“ [4]. აღსანიშნავია, რომ მკვლევრები მხითარ გოშის გარდაცვალებას 1213 წლით ათარიღებენ [5]. ამრიგად, ვარდანის დაბეჯითებითი მითითებით, ზაქარია 1212 წელს გარდაიცვალა. მაგრამ ისტორიკოსის ამ მითითებას ეწინააღმდეგება სომხური ეპიგრაფიკის ზოგი მონაცემი. ყოველივე ამას ჯერ კიდევ მ. ბროსეც მიაქცია ყურადღება. ასე მაგალითად, ხწკონქის 1213 წ. წარწერაში ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესს ზაქარიას იხსენიებს მისი „მონა ტიგრანი“ [6]. ზაქარია ცოცხლად მოიხსენიება აგრეთვე ანისის 1215 წლის წარწერაშიც [7]. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სომხურ ეპიგრაფიკულ მასალებში თარიღები ყოველთვის სწორად ვერ არის ამოკითხული, უპირატესობა ამ შემთხვევაში ვარდანის მონაცემებს უნდა მიენიჭოს, მით უფრო, რომ მის თარიღს მხარს უჭერს აგრეთვე სტეფანოს ორბელიანიც [8] და 1212 წლის სომხური წარწერა, სადაც ივანე უკვე ათაბაგად არის მოხსენიებული [9]. ეს კი ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ შეიძლებოდა მომხდარიყო.

* *

ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ ყველა მისი ადგილ-მამულები ლორე-ტაშირი, ანის შირაკი და ამ დიდ ქონების შესაბამისი ატრიბუტი – სახელოები მანდატურთუხუცესისა თუ ამირსპასალარისა სათანადო წო-

[1] ისტორიანი, გვ. 137.

[2] იქვე.

[3] კირაკოს განძაეცი, ისტორია (რუს.), გვ. 96—97.

[4] ვარდანი, მსოფლიო ისტორია (რუს.), გვ. 172

[5] მხითარ გოშის სამრიალი (რუს.), გვ. XII.

[6] კ. კოსტანიანი, მატიანე ქვეყნის (სომხ.), გვ. 54.

[7] სომხური წარწერების კრებული (სომხ.), I, გვ. 2.

[8] სტეფანოს ორბელიანი, სივნიეთის ისტორია (სომხ.), გვ. 398; ი. ჯავახიშვილი, ჟმნ, 11, 1965, გვ. 288; ს. ერემიანი, ამირსპასალარი ზაქარია ერკაინაბაზუკი (სომხ.), გვ. 62.

[9] МАК, XIII, გვ. 58—59.

დებებითურთ მხაოგრძელთა საგვარეულოს კუთვნილებად დარჩა. მაგრამ მამის ღანამდებობათა ფაქტიური შემსრულებელი, ცხადია, ვეღარ იქნებოდა მისი მცირეწლოვანი შვილი სარგისი, ანუ შაჰანშაჰი, რომელიც ამ დროს მხოლოდ 1 უთიოდე წლისა იყო; მიუხედავად ამისა, 1215 წ. თუ 1216 წ. ანისის წარწერაში შაჰანშაჰ სარგისი, უკვე მამის მსგავსად, „მანდატურთუხუცეს ამირსპასალარად" მოიხსენიებოდა[1]. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ორი თანამდებობის მემკვიდრეობით მფლობელად ზაქარიას მცირეწლოვანი შვილი გამოდიოდა, რომელიც დღეს თუ ხვალ ფაქტიურადაც შეუდგებოდა მის შესრულებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფეოდალურ სახელმწიფოში განმტკიცებული ეს წესი კარგად ესმოდა მხარგრძელთა საგვარეულოს პირველი შტოს უკვე უფროს წარმომადგენელს ივანე მხარგრძელს და ბუნებრივია, რომ მისი გარდაცვალებით უფროსი ძმის თანამდებობანი, რომელთაც მას თამარ მეფე უბოძებდა, მხოლოდ დროებით, ე. ი. ისეთ სახელად ეგულებოდა, რომელსაც თავის სახლსა და ეროვნულ შვილს ვერ დაუმკვიდრებდა. ამით სრულიად გასაგები ხდება თამარის კარის დიდ დ ერთგული ივანე მხარგრძელის პრეტენზიები მისთვის სხვა და მაინცადამაინც ახალი თანამდებობის ბოძების შესახებ.

თამარის პიველი ისტორიკოსის ფრიად საინტერესო ცნობით, ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ „მოუწოდა მეფემან ძმასა ზაქარიაძესა ივანე მსახურთუხუცესსა და ინება პატივსა ძმისა მისისასა აღყუანებად და უბოძა ამირსპასალარობისა პატივი"[2]. საინტერესოა, რომ ივანემ „ღირსად ჩათვალა" თავი ასე „დიდად დიდი" პატივის მიღებასა, ავრეთვე მისი სახელგანთქმული ძმის შემდეგ ამ თანამდებობით მოხსენებისა და მეფისაგან ახალი თანამდებობის შეთვლება და მისთვის ბოძება მოითხოვა. ეს ახალი თანამდებობა ათაბაგობა იყო. ათაბაგობის სამოხელეო ინსტიტუტი, ასე გაერცელებული იმდროინდელი ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიანურ სამყაროში, თვით ივანესავე განცხადებით, მანამდე სავსებით უცხო იყო ქართული სამოხელეო წყობისათვის: „საქართველოსა შინა და თქუენ მეფეთა წინაშე არ არს წესად და კელად ათაბაგობაჲ" მოახსენებდა ივანე ძხაოგრძელი საქართველოს მეთეს[3]. იგი იქვე განმარტავდა ამ თანამდებობის შინაარსსაც „რამეთუ მამად და გამზრდელად მეფეთა და სულტანთა იწოდების ათაბაგი"[4]. მართალია, ათაბაგობა მე-12 ს. ქართულ ს მოხელეო წყობაში არ არსებობდა, მაგრამ „მეფის მამისა და გამზრდელის" ინსტიტუტი დავით აღმაშენებლის დროიდან მტკიცედ იყო დამკვიდრებული. ასეთი ხატეი სამეფოს ვაზირი – მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელს ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამეფოს პირველი ვაზირი გიორგი ჭყონდიდელი, დავითის „თანაღზრდილი", „პატრონის აღმზრდელად" იყო მიჩნეული[5]. „ხელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით კი, როგორც ეს სემოთ არაერთხელ აღნიშნა, მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელი „ძამა არს მეფისა". ასე. რომ მეფის „მამისა და გამზრდელის" საპატიო ხელი საქართველოს სამეფო კარზე დ დი ხნიდან ისებობდა; მაგრ ამ საქმე ის იყო, რომ სწორედ ეს თანამდებობა — მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელისა, საქართველოს სამეფოს ვაზირისა — უპირველესი იყო და თავის განსაგებელში თავს უყრიდა სამეფო კარის ყველა, მათ შო-

---

[1] სომხურ წარწერათა კრებული (სომხ), I, გვ. 4; ნ. ე მ ი ნ ი, სომხური წარწერები (რუს.), გვ. 8.

[2] ისტორიანი, გვ. 137.

[3] ი ქ ვ ე.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 138.

[5] დ ვითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 336,

რის მხარგრძელი ა ცალკე საუწყებოებსაც. ამიტომ იყანე მხარგრძელი ათაბაგი ბის შემოღებით ცდილობდა დაპირისპირებოდა სამეფო ვაზირის სახელოს და თამარის კარზე მეფის კიდევ ერთი „მამის" თანამდებობა დაემკვიდრე ინა. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა ვაზირის როლის შესუსტება და მხარგრძელთა საგვაეულოს, კერძოდ ივანეს სახლის შემდგომი გაძლიერება. ამას გარდა, როგორც აღვნიშნეთ, ივანე, ათაბაგობის შემოღებით, თავის სახლს სამემკვიდრეო სახელოს უტოვებდა. რაც სჭვა გზით, კერძოდ, ამირსპასალაობისა და მანდატურთუხუცესობ ს მ ღებით, შეუძლებელი იყო. სწორედ ამ ორმა უმთავრესმა მოტივმა განაპირობა ივანე მხარგრძელის მიერ ათაბაგობის ინსტიტუტის შემოღების მოთხოვნა, და არა მისმა ზრუნვამ საათაბაგოს სახით დამოუკიდებელი ერთეულის ჩამოყალიბებისათვის, როგორც ამას გ. ოვსეპიანი და ლ. ბაბაიანი ვარაუდობენ.[1] ივანე მხარგრძელმა თამარისაგან მართლაც მიიღო ათაბაგობა: „და უბოძა ათაბაგობაჲ, რომელი არა ყოფილ ყო საქართველოჲს მეფეთა წინაშე, არცა ვის ბოძებოდა" [2]. ივანეს მიერ გათავისუფლებულ ადგილზე კი ისევე ხხარგრძელთა საგვარეულოს, ოღონდ მეორე შტოს წარმომადგენელი დაწინაურდა: „ხოლო მსახურთუხუცესობაჲ უბოძა ვარამს, ზაქარია გაგელის ძესა, კაცსა პატიოსანსა და ლაშქრობათა შინა გამარჯუებულსა" [3]. მხარგრძელთა მეორე შტოსათკს მსახურთუხუცესობა იყო უმაღლესი და უკანასკნელი თანამდებობა, რაც მათ საქართველოს სამეფო კარზე ჰქონდათ.

მხარგრძელთა საგვარეულოს პირველი შტოს წარმომადგენელთა სახლებში კი ზაქარიას გარდ ცვალების შემდეგაც სამი მაღალი თანამდებობა იყრიდა თავს – ათაბაგის, მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარისა. ივანე მხარგრძელი, რომელიც ამჯერად ერთადერთი იყო მხარგრძელთა ამ ორ სახლში, რომელსაც შეეძლო რეალურად გასძღოლოდა ამ თანამდებობებს, ყოველნაირად ცდილობდა მათ შენარჩუნებას და დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდა ყველას, ვინც კი შეიძლებოდა ამა თუ იმ თანამდებობის რეალური პრეტენდენტი ყოფილიყო. ჩვენი აზრით, სწორედ ეს იყო მხარგრძელთა და ახალციხელთა შუღლის მიზეზი და სწორედ ამიტომ დაღუპა ივანე მხარგრძელმა შალვა ახალციხელი — ამირსპასალარის თანამდებობის ყველაზე უფრო შესაძლო კანდ დატი. ივანე მხარგრძელის სახლის თარული და აშკარა მტრობა ახალციხელებისა თუ ზოგი სხვა საგვარეულოსადმი შესანიშნავად აისახა იმდროინდელ ქართულ და სომხურ წყაროებში, მაგრამ ამაზე ამჯერად სიტყვას არ გავაგრძელებთ. თუმც კი უნდა შევნიშნოთ, რომ ივანე მხარგრძელის ღალატი გარნისის ბრძოლაში და ამის გამო შალვა და ივანე ახალციხელების დაღუპვა იმდროინდელი ფეოდალური საზოგადოების მიერ გაგებული იყო, ვითარცა „საქართველოსი სრულიადი მოსპოვის" ცდა [4].

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ივანე მხარგრძელი ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ, 1214 წლის კოშის ქართულ წარწერაში მანდატურთუხუცესადაა მოხსენიებული. მაგრამ თვით ამ წარწერიდანაც კარგად ირკვევა, რომ იგი ამ თანამდებობის მხოლოდ ნომინალური მფლობელი იყო და ეს თანამდებობა ზაქარიას მემკვიდრეს შანშეს ეკუთვნოდა: „ჩვენ მანდატურთუხუცესმან ივანე და შანშეს", — ნათქვამია წარწერაში [5]. როგორც ეხედავთ, ამ თანამდებობის მფლო-

---

[1] ლ. ბაბაიანი, სომხეთის ისტორია (რუს.), გვ. 19.

[2] ისტორიანი, გვ. 138.

[3] იქვე.

[4] ქართლის ცხოვრება, გვ. 170.

[5] ა. შანიძე, კოშის წარწერა (რუს.), გვ. 8,

ბელად, ივანესთან ერთად, 7-8 წლის შანშეც არის მიჩნეული. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ივანე მანდატურთუხუცესად იხსენიება სომხურ წარწერებში[1]. მაგრამ ივანეს სიცოცხლეშივე ამაეე თანამდებობაზე ზაქარიას ძე შანშეც არის დასახელებული[2]. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ არც ივანე და არც შანშე, რომელიც არსებითად უნდა ყოფილიყო ამ სახელოს მემკვიდრეობით მფლობელი, თითქმის არსად მოიხსენიება ამირსპასალარად.

ივანე ნარატიულ წყაროებში თითქმის ყველგან (მაგ., ჟამთააღმწერელის თხსულებაში) მხოლოდ ათაბაგად იწოდება[3]; ასევე ათაბაგად მოიხსენიება იგი სომხურ წარწერებშიც[4]. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ივანე მხოლოდ ათაბაგი იყო და მას ამირსპასალარის თანამდებობა არ ჰქონდეს. ამირსპასალარობა ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ თამარმა მას უბოძა. ამ სახელოს ნამდვილი მფლობელი კი გარკვეული დროიდან ლორესა და ანისის „სომეხთა მეფეთა ადგილას მჯდომი“ შანშე უნდა ყოფილიყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ფარული ბრძოლა თვით მხარგრძელთა საგვარეულოს პირველი შტოს შვილთაც შიმდინარეობდა; ივანემ, როგორც ამ საგვარეულოს უფროსმა, ისარგებლა თავისი მდგომარეობით, საქართველოს სამეფო ხელისუფლების დასუსტებით და ამირსპასალარობა შანშეს კი არ გადასცა, არამედ თავის შვილს ავაგ სარგისს დაუტოვა სამემკვიდრეოდ. ჟამთააღმწერელი აღნიშნავდა: „შემდგომად ორისა წლისა მიიცვალა ივანე ათაბაგი და მთავარი ყუენ ძე მისი ავაგ და უბოძეს ამირსპასალარობა“[5]. მაგრამ მთავარია ის, რომ ავაგი ჯერ კიდევ ივანეს სიცოცხლეში ამირსპასალარად არის წოდებული; შირავანის სომხურ წარწერაში იკითხება: „წყალობითა უფლისა მე ათაბაგმა ივანემ და... ხოშაქმა, ჩვენი ღვიძლი შვილების — ძანდატურთუხუცესის შანშეს დღეგრძელობისათეის და ამირსპასალარ ავაგისა“, ესა და ეს გავაკეთეთო[6]. ასე რომ ივანე ათაბაგს თავის სიცოცხლეშივე დაუმკვიდრებია ავაგ სარგისისათვის ამირსპასალაროს სახელო, ხოლო შანშე მან დატურთუხუცესის თანამდებობით დაკმაყოფილებულა.

ივანეს გაათაბაგების შემდეგ თამარ მეფეს დიდხანს არ უცოცხლია; ი. ჯავახიშვილის გამოკვლევით, თამარი 1213 წელს, ზ ქარიას გარდაცვალებისა და ივანეს გაათაბაგების მეორე წელს გარდაცვლილა. მაგრამ ამ მოკლე ხნის მანძილზე ივანემ კიდევ ერთხელ შეძლო თამარის მადლობა და ახალი პატივიც დაემსახურებინა. დიდოელთა და ფხოველთა აჯანყების ცეცხლიცა და მახვილით ჩახშობის შემდეგ, ივანე ათაბაგი „მეფემან დიდად დაიმადლა და უაღრესსა პატივსა აღიყვანა“[7].

ასე გაძლიერებული შეხვდა ივანე ათაბაგი ლაშა გიორგის ტახტზე ასვლას. ჟამთააღმწერელის სიტყვით, ლაშას გამეფებისას „იყო ათაბაგობა ისრე განდიდებული, რომელ იყო უმეტეს სხვათა ერისთავთასა: ესე იყო ვაზირი კარისა, მეფისასა“[8]. როგორც ჩანს, მსხვილსა და გავლენიან ფეოდალს საწადელისათვის მიუღწევია; ათაბაგი პირველ კაცად იქცა ქართულ სამხედრო წყობაში და

---

[1] კ. ლაფანდარიანი, სანაჰინის ეკლე (სომხ.), გვ. 113.

[2] იხ. ზემოთ, გვ. 75—76.

[3] ჟამთააღმწერელი, გვ. 164, 165, 167, 169, 171 და სხვ.

[4] სომხურ წარწერათა კრებული, I (სომხ.), გვ. 7, 20; კ. კოსტანიანცი, მატიანე ჭყონდიდელი (სომხ.), გვ. 64, 65—66, MAK, XIII ს., გვ. 58—59.

[5] ჟამთააღმწერელი, გვ. 171.

[6] ნ. ემინი, სომხური წარწერები (რუს.), გვ. 51; კ. კოსტანიანცი, მატიანე ჭყონდიდელი (სომხ.), გვ. 71.

[7] ისტორიანი, გვ. 139.

[8] ჟამთა-მწერელი, გვ. 152

·გი სამეფო კარის შეფობის ვასირადაც კი იყო მ·ხსენებული. ასე გაჩნდა, როგორც აღვნიშნეთ, თამარის მეფობის უკანასკნელ წელს, მეფის „მეორე მამისა“ და, „მე ორე ვაზირის“ ხელოვნურად შექმნილი თანამდებობა. თამარ·ს მიერ წლების მანძილზე მტკიცედ შეკრულ სამეფო კარის მოხელეობას ოღვეეის, ხოლო მის სათავეში მყოფ მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელის ხელისუფლებას დაკნინების აშკარა ნიშნები შეეტყო. როგორც არაპირდაპ·რი მასალებიდან ირკვევა, ახალ· გაზრდა მეფე ლაშა გიორგი კარგად გრძნობდა ყოველივე ამას. იგი შეეცადა ერთგვარი ცვლილებები შეეტანა არსებულ ვითარებაში და ძველ ხელისუფალთადმი თავის „მოასაკეთა“ დაპირისპირებით აღედგინა ადრინდელი მდგომარეობა[1]; მაგრამ მისმა ადრე გარდაცვალებამ, ხოლო შემდეგ ხვარაზმელებისა და მონღოლების შემოსევებმა საქართველოს ძლიერი სამეფო ხელისუფლება ისე დაასუსტა, რომ XII ს-ის ბოლოს არსებულის აღდგენაზე მხოლოდ ოცნებაღა შეიძლებოდა. სამეფო ხელისუფლების დასუსტებას კიდევ უფრო აძლიერებდა ვანდიდებულ მოხელეთა გავლენა სამეფო კარზე. ზოგი იმდროინდელი ისტორიკოსის წარმოდგენით, არსებითად ეს მოხელენი მართავდნენ რუსუდან მეფის დროს საქართველოს სამეფოს[2]. მაგრამ ეს იყო ჩვენში მონგოლების გაბატონების შემდეგ, სამეფო ხელისუფლების დასუსტების, რუსუდანის მეფობის დროს და არა მასზე ადრე. ამასთან, სამეფო ხელისუფლების დასუსტების პერიოდში, როგორც ეს ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ასე გაძლიერებული მოხელეები ისევ საქართველოს მეფის მოხელეები იყვნენ და არა დამოუკიდებელი მმართველები (მიუხედავად იმისა, რომ მონგოლები ყოველნაირად ხელს უწყობდნენ მათს სეპარატიზმსა და სამეფო ხელისუფლებისადმი დაპირისპირებას).

ჩვენს ამოცანას არ შეადგენს დეტალურად განვიხილოთ მხარგრძელთა მოღვაწეობა ამ საგვარეულოს მთელი ისტორიის მანძილზე. მაგრამ საკითხის მეტ ნაკლებად სისრულით შესწავლის მიზნით საჭიროდ მივიჩნევთ მოკლედ მაინც შევეჩერდეთ „შანშეს სახლისა“ და „ავაგის სახლის“ წარმომადგენლების თანამდებობათა შესახებ საქართველოს სამეფო კარზე.

როგორც ზემოთ ითქვა, შანშე (შაჰანშაჰ) მემკვიდრე ზაქარია ამირსპას·ლარისა და მანდატურთუხუცესისა, რუსუდანის სამეფო კარზე და შემდეგაც, გარდაცვალებამდე, მანდატურთუხუცესის თანამდებობაზეა იყო და ამ თანამდებობით მოიხსენიება როგორც სომხურ წყაროებში, ასევე ქართულ დოკუმენტებსა და ნარატიულ წყაროებში. 1241 წლის ქართულ დოკუმენტს, მიქელ ქათალიკოსის დაწერილს ვაჩე გუარამისძისადმი, სხვა საერო მოხელეთა შორის, ამტკიცებს „შაჰანშა მანდატურთუხუცესი“[3]. ასევე არსენ ჭყონდიდელის დაახლოებით ამავე დროის „დაწერილს“ მიწერილი აქვს: „მე, შაჰანშა მანდატურთუხუცესსა დამიმტკიცებია ეს დაწერილი“[4]. შანშე მანდატურთუხუცესს არაერთხელ იხსენიებს ავრეთვე ჟამთააღმწერელი[5]; ჰოვანავანქის 1258 წ. წარწერაში ვკითხულობთ: „ესე ჩემი ბრძანება... შაჰანშაჰ მანდატურთუხუცესისა (*შանշաւուլ-թուխուցեսի*) დიდი სომხეთისა და საქართველოს ამირსპასალარის ზაქარიას ძისა“...[6] ასე რომ შანშე ზაქარიას ძეს, მამის გარდაცვალების შემდეგ, საქართველოს სამეფოს კარზე მანდატურთუხუცესის გარდა სხვა თანამდებობა არ ჰქონია.

[1] ე. თაყაიშვილი, გვ. 155.

[2] კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ც ი, ისტორია (რუს.), გვ. 120—121.

[3] ი. დ ო ლ ი ძ ე, ქსძ, III, გვ. 157.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 160.

[5] ჟამთა ღმწერელი, გვ. 182, 187, 190, 212.

[6] კ. ყ ა ფ ა დ ა რ ი ა ნ ი, ჰოვანავანქი (სომხ.), გვ. 98. ის. ი ქ ვ ე, გვ. 96; ზ ა ქ ა რ ი ა კ ა ნ ა კ ე რ ც ი. ქრონიკა, გვ. 248.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზოგ სომხურ წარწერაში შანშე სპასალარად და სპაოაჰეტად არის მოხსენიებული, ასე მ.შ., ოოომოსის 124 წ. სომხურ წარწერაში ნათქვამ ა: „მეფობასა დავითისა (იგულისხმება ნარინ დავითი, შ. მ.) სომეხთა და ქართველთა და სპასალარობასა შაჰანშაჰისა, ძისა დიდი ზაქარიასი"... [1] ხოლო ანისის ერთ-ერთ უთარიღო წარწერაზე შანშე სპარაპეტად *ապարապետ* იწოდება [2] ეს, ცხადია, შემთხვევითი არ შეიძლება იყოს და, ალბათ, მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ საქართველოს იმდროინდელი ამირსპასალარის ავაგ-სარგისის საქართველოში არყოფნის ჟამს ამირსპასალარის თანამდებობის შესრულება დროებით მის ბიძაშვილს, ამ თანამდებობის ფაქტიურ მემკვიდრეს ჰქონდა დავალებული. მართლაც, ორომოსის წარწერა სწორედ იმ დროს უნდა ეკუთვნოდეს, როცა ავაგ-სარგისი ყარაყორუმს, მანგუ ყაენის წინაშე იყო [3].

ჟ მთარგმნელის ცნობებ დანაც კარგად ირკვევა, რომ ურდოში ავაგის ყოფნის დროს, შანშე მსარგრძელი იყო თავისი და აგრეთვე „ავაგის სპათა მთავარი" და ვალაშკერტს მოწყობილი ლაშქრობის სარდალიც [4]. ამითვე აიხსნება ისიც, რომ მონღოლებმა „შანშეს ჯელთ უდკეს მამული მისი და ავაგისი" [5].

შანშეს ამირსპასალარობა მხოლოდ ავაგის დაბრუნებამდე შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. ყაენისაგან შეწყალებული, საქართველოში პატივით გამოსტუმრებული ავაგი, ცხადია, ისევე საქართველოს ამირსპასალარად და ათაბაგად იწოდებოდა. ასე იხსენიებს მას ჟამთააღმწერელიც და სხვა წყაროც [6]. როგორც ირკვევა, მხარგრძელთა სახლებს შორის მძიმდინარე შინაბრძოლა, ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ, ივანემ თავისი სახლისა და მემკვიდრის სასარგებლოდ წარმართა და ავაგ-სარგისს არა მარტო ათაბაგობა გადასცა, არამედ ამირსპასალარობაც და, რაც მთავარია, ყოველივე ეს მან ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეშივე დააკანონა.

ასეთი ფარული ბრძოლის ერთ ერთი შედეგი უნდა იყოს ისიც, რომ ზაქარია მხარგრძელმა თავის მცირეწლოვან მემკვიდრეს, რომელსაც აგრეთვე სარგისი ერქვა, შაჰანშაჰი უწოდა [7] და ამით იგი არსებითად თავის სიცოცხლეშივე გამოაცხადა ანისის მფლობელ-მემკვიდრედ. ვარდანის მოწმობითაც ზაქარიას დარჩა „5 წლის ვაჟი, შაჰანშაჰი, რომელიც მის მიერ ქალაქ ანისის მმართველად იყო განკუთვნილი (წინასწარ დანიშნული)" [8]. მაგრამ ანისი, ისე როგორც შანშეს სამემკვიდრეო თანამდებობანიც, როგორც ჩანს, ერთხანს ივანე მხარგრძელს ეპყრა და მხოლოდ გარკვეული დროიდან, ჯალალედინის ლაშქრობათა წინა ხანაში, გადაუცია ივანეს ანისის კანონიერი მფლობელისათვის შანშესათვის. „ანისი მიეცა (ივანეს) ძმ სწულისა მისისა შანშესადა, მანდატურთეზუცესისათჳს" წერს ჟამთააღმწერელი [9]. შანშე იყო აგრეთვე ლორეს მემკვიდრეობითი მფლობელიც და აქვე ჰქონდა ერთ-ერთი რეზიდენცია [10].

შანშე მხარგრძელი საქართველოს სამეფო ხელისუფლების თავდადებუ-

---

[1] ნ. ე მ ი ნ ი, სომხური წარწერები (რუს.), გვ. 37.
[2] სომხურ წარწერათა კრებული (სომხ.), I, გვ. 6.
[3] ჟამთააღმწერელი, გვ. 206.
[4] ი ქ ვ ე. გვ. 212.
[5] ი ქ ვ ე, გვ. 208.
[6] ი ქ ვ ე, გვ. 225.
[7] პ. ა ჭ ა რ ი ა ნ ი, სომხურ საკუთარ სახელთა ლექსიკონი (სომხ.), გვ. 110.
[8] ვ ა რ დ ა ნ ი, მსოფლიო ისტორია (რუს.), გვ. 172.
[9] ჟამთ ღმწერელი. გვ. 169.
[10] კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ც ი, ისტორია (რუს.), გვ. 128.

ლი და კეთილსინდისიერი მსახური იყო მოხუცთა მოვლობელობის მძიმე ჯლებშიც. შემთხვევითი არ არის, რომ ჟამთააღმწერელი მას „დიდ და პატრონსახ შანშედ“ მოიხსენიებს [1].

საქართველოს ს მეფო კარის დიდმოხელე იყო აგრეთვე ივანე მხარგრძელის მემკვიდრე ავაგ-სარგისი. იგი განსაკუთრებით დაწინაურდა მამის, ივანეს გარდაცვალების შემდეგ; ამ დროიდან. ჯერ ეიოი. იგი იქცა ამირსპასალარის თანამდებობის ფაქტიურ შემსრულებლად. ჟამთააღმწერლის სიტყვით. „მიიცვალა ივანე ათაბაგი და მთავარ ყვეს ძე მისი ავაგ და უბოძეს მას ამირსპასალარობა“ მეორეც, როგორც ჩანს, ამავე დროს მიიღო მას ათაბაგობაც. ჟამთააღმწერელი მას სულთან ჯალალედინისა და ავაგის ბიჭნის შეხვედრის დროს უკვე „ათაბაგ ამირსპასალარად“ მოიხსენიებს [2]; იგივე ისტორიკოსი ქვემოთ გარკვევით მიუთითებს, რომ ავაგი „ამირსპასალარობისაგან ათაბაგ იქნა მეფის რუსუდანის მიერ“ [3]. ათაბაგის — „მეფის მამ სა“ და ამირსპასალარის ხელ სუფლებას ერთად ბჭონე ავაგი, ცხადია, საქართველოს სამეფოს უპირველეს მოხელედ იყო მ ჩ ნეული; შემთხვევითი არ არის, რომ მას ჟამთააღმწერელი „ვაზირთა უხუცესსაც“ კი უწოდებს“ [5].

აღსანიშნავია, რომ ასე განდიდებული ავაგი, ერთ ერთი სომხური წარწერით, რომელიც პროშა სახბაკიანს ეკუთვნის, „ქართველთა გვრგვინის დამდგმელად (*„ქართველთ ქორონიკონის“*), ე. ი. დიდ ქართველად არის მიჩნეული [6].

ამირსპასალარის თანამდებობა ავაგ მხარგრძელმა, როგორც ირკვევა, სიცოცხლეშივე დათმო. ჟამთააღმწერელის ცნობით, ეს თანამდებობა შანშე მხარგრძელის სახლში, კერძოდ, მისი უფროსი ძის ზაქარიას ხელში გადავიდა. შემთხვევითი არ შეიძლება იყოს ის, რომ ჟამთააღმწერელი, ჯერ კიდევ ავაგის სიცოცხლეში, იმ ქართველ დიდებულთა შორის, რომელნიც ლაშას ძე დავითს მიეგებნენ. იხსენიებს შანშეს ძე ზაქარია ამირსპასალარს [7]; თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგივე ისტორიკოსი ამავე თანამდებობით ამის შემდეგაც მოიხსენიებს ავაგ ათაბაგს [8]. როგორც ჩანს, ამირსპასალარის თან მდებობის დასასაკუთრებლად ჩუმი ბრძოლა გრძელდებოდა შანშესა და ავაგის სახლებს შორის. ამ ორი სახლის ურთიერთდაპირისპირება უფრო აშკარა გახდა მაშინ, როცა შანშე მხარგრძელმა ლაშასძე დავითის გამეფებას დაუჭირა მხარი, ხოლო ავაგ ათაბაგი დავით რუსუდანის ძის მიმდგომი აღმოჩნდა [9]. მაგრამ ორივე დავითის გამეფებამ და მათმა ურთიერთშეთანხმებულმა მოქმედებამ მხარგრძელთა დაპირისპირების გამწვავებას საფუძველი გამოაცალა.

ამირსპასალარის თანამდებობა მაინც, როგორც ჩანს, შანშეს სახლმა დაისაკუთრა. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ავაგი მიქელ კათალიკოსის 1241 წლის დაწერილს ამტკიცებს, როგორც „ათაბაგი და ამირსპასალარი“ [10]. ხოლო მომდევნო წელს არსენ ჭყონდიდელ მწიგნობართუხუცესის დაწერილს მხო-

---

[1] ჟამთა ღმწერელი, გვ. 212.

[2] იქვე, გვ. 271.

[3] იქვე, გვ 171.

[4] იქვე, გვ. 197.

[5] იქვე, გვ. 173.

[6] ი. ორბელი, სომხური წარწერები (რუს.), გვ. 150, კ. კოსტანიანცი, მატიანე ჭვებზე (სომხ.), გვ. 56.

[7] ჟამთა ღმწერელი, გვ. 219.

[8] იქვე, გვ. 225.

[9] იქვე, გვ 227

[10] ი. დოლიძე, ჭსძ, III, გვ. 157.

ლოდ როგორც ათაბაგი[1] ამასთანავე, ავაგის გარდაცვალებასთან ერთად (1249-50) მსარგებლთა სახლმა აოსებითად დაკარგა ათაბაგობაც. როგორც ცნობილია, ავაგს არც მემკვიდრე ჰყოლია[2] და თავის ამ თანამდებობას ვერავე უანდერძებდა. ავაგის გაღდაცვალების შემდეგ ათაბაგობა არ მიუღია არც შანშეს სახლის წარმომადგენლებს. ათაბაგის ღირსებაზე 1272 წლიდან ავაგის ეთაღერთი ასულის ხოშაძის ეთხანს მეუღლე და ეჯიბი სადუნ მანკაბერიდელი დაინიშნა. სადუნის გარდაცვალების შემდეგ კი, 1281 წლიდან ტარსაიჯ ორბელი. ამრიგად, ავაგის სახლის გადაშენებასთან ერთად ფაქტიურად დასრულდა მხარგრძელთა ათაბაგობაც საქართველოს სამეფო კარზე.

ჩვენს მიზანს ამჯერად არ შეადგენს ავაგის პოლიტიკური მოღვაწეობის განხილვა. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ რუსუდანის მეფობის დროს შექმნილი მძიმე საგარეო მდგომარეობა საქართველოს იმდროინდელმა ათაბაგმა და ამირსპასალარმა მართებულად ვეო შეაფასა: იგი უფრო პიოადი ინტერესების მიხედვით მოქმედებდა, ვიდრე საერთოსახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. მაგრამ, ჟამთა აღმწერლისა არ იყოს, ავაგი ამ შემთხვევაში გამონაკლისი არ ყოფილა, „რამეთუ წარჩინებულნი ამის სამეფოსანი თჳსისა ქვეყნისათჳს ზრუნვიდეს“[3].

ავაგის გარდაცვალების შემდეგ ამირსპასალარის სახელომ შანშეს სახლში ვადმოინაცვლა. ამ თანამდებობას, როგორც აღვნიშნეთ, ზაქარია შანშეს ძე ფლობდა. ამირსპასალარად მოიხსენიებს მას ჟამთაალმწერელი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში: „მას ჟამსა გაადგა უღო ყაენს შანშეს ძე ზაქარია ამირსპასალარი, კაცი ყოველითა სათნოებითა შემკული და საჩინო“[4]. ზაქარიას ეს განდგომა მისთვის და შანშეს ოჯახისათვის საბედისწეროდ დამთავრდა — ყაენმა შეძლო ფიცით მინდობილი ამირსპასალარის ხელში ჩაგდება, მაგრამ „არცა ეგრეთ დამშჯდა გული ულოსი, და მოკლა ზაქარია ამირსპასალარი, კაცი პატიოსანი და სახელოვანი, და ცნა დიდმან შანშე, მამამან მისმან, მწუხარებითა შეწუხე

---

[1] ი. დოლიძე, ქსძ, III, გვ. 159.

[2] სავსებით სწორად მსჯელობს ა. შანიძე, როცა კოშის წარწერის -„შანშესა და მისთა ძმათა“-ს გეხლობს, როგორც „შანშესა და მისისა ძმისა“ და როცა შანშეს ასეთ ძმად ავაგს გულისხმობს (იხ. მისი კოშის წარწერა, გვ. 12). ამ მოსაზრების სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველს არ იძლევა ა. შანიძის მიერ იქვე მოტანილი და ანგარიშგასაწევად მიჩნეული თალეშის 1267 წლის სომხური წარწერა (იხ. იქვე, გვ. 12-13). ამ წარწერის ავტორი ღებეღა ეყანესძე, შანშე I-ის ძმა და, მაშასადამე, სარგის მხარგრძელის შვილიშვილი კი არ არის, როგორც ამ შემთხვევაში ა. შანიძეს ეგონა, არამედ შანშე I-ის შვილის ივანეს ძე, ე. ი. შანშე ზაქარიას ძის ბიძაშვილი. ღებეღა, როგორც ზემოთ ვნახეთ, სხვა წყაროებითაც კარგად არის ცნობილი ასეთი, რომ არც ავაგსა და არც შანშე I-ს ძმები არ ჰყოლიათ.

[3] ჟამთა აღმწერელი, გვ. 224; პ. ინგოროყვამ ამ ბოლო დროს ავაგ ათაბაგი არამარტო პოლიტიკურ დამნაშავედ, არამედ „ყოველგვარ შამაცობასა და ეაყაცობას მოკლებულ“ პიროვნებადაც გამოაცხადა. საქმე ისაა, რომ პ. ინგოროყვამ ადრე შოთა კუპრის ან სახასიათებლ დ და მსოფლმხედველობის გარკვევად მის მიერ გამოყენებული ჟამთა აღმწერლის ერთი ფრაზა — „არარათა ნიშთა და ზნეთა სამამაცოთა მჭონებელი“ სრულიად უსაფუძვლოდ ამჯერად ავაგ-ათაბაგის დახასიათებად გამოაცხადა (იხ. ეეფის ტყაოსანი პ. ინგოროყვას რედაქციით და გამოკვლევით, 1970, გვ. 9ა). მაგრამ შთავარი ეს კი არ არის, არამედ ის, რომ ასეთი მარტივი ოპერაციით (ერთი სასეენი ნიშნის გადასმით) პ. ინგოროყვამ ხელი აიღო იმ რთულ კონცეფციაზე, რასაც იგი თავგანდგომით ამტკიცებდა „რუსთველოლოგიაში“ რამდენიმე გვერდზე (იხ. პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. I, გვ. 123-126), კერძოდ შოთა კუპრის „შანის ფერობის“ და ამის გამო „ჟამთააღმწერელის მტრული დამოკიდებულების შესახებ შოთა კუპრის შირომის“. ასე უდანაშაულოდ შეეწირა საქართველოს სამეფოს ათაბაგისა და ამირსპასალარის პიროვნება პ. ინგოროყვას მოსაზრებათა უეცარ ცვლილებებს.

[4] ჟამთააღმწერელი, გვ. 250.

ბული იგიცა აღსრულდა"[1]. ეს, ი. ჯავახიშვილის მიხედვით, 1261/62 წწ. მოსდა[2]. ამ დროიდან შანშეს საკმაოდ მრავალრიცხოვანმა სახლმა სწრაფად იწყო დაკნინება. ამ დროს გაყიდა ამ სახლმა ქალაქი ახისი და ამასთან ერთად შეჰანშაჰის ტიტული. ამ დროიდან მოძრავი გახდა არა მარტო ათაბაგის, არამედ ამირსპასალარის თანამდებობაც. მართალია, მანდატურთუხუცესობა, ამირსპასალარობა და ზოგჯერ ათაბაგობაც ჯერ კიდევ ძირითადად შანშე მხარგრძელის მემკვიდრეების ხელთ იყო, მაგრამ ამ თანამდებობაზე დროდადრო სხვა საგვარეულოს წარმომადგენლებიც იყვნენ ხოლმე.

შანშესა და მისი უფროსი ძის ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ, ქართულ წყაროებში, შანშეს ერთ-ეოთი მომდევნო შვილი ივანე ჩანს მართლია, ივანეს ჟამთააღმწერელი მხოლოდ მანდატურთუხუცესად მოიხსენიებს, მაგრამ მას ერთხანს ამირსპასალარობაც უნდა ჰქონოდა. ჟამთააღმწერელი ივანე შანშესძეს პირველად 1260 წ. ამბებთან, კეთილ ულუ დავითის აჯახყებასთან დაკავშირებით ქარავნელ დიდებულთა (გრიგოლ სურამელსა და კახა ერისთავთან ერთად) შორის მოიხსენიებს, მაგრამ ყოველგვარი თანამდებობის გარეშე. იმ დროს, როცა მისი მამაცა და უფროსი ძმაც ცოცხალი იყო, ცხადია, ივანეს რაიმე მნიშვნელოვანი საკარისკაცო თანამდებობა ვერ ექნებოდა. მაგრამ 1269-70 წლისათვის იგი უკვე მანდატურთუხუცესად არის მოხსენიებული[3]. ამავე თანამდებობით მოიხსენიება ივანე 1271-72 წლებშიც: „შეკრბეს ყოველნი დიდებულნი საქართველოსანი და წარიყვანეს მეფის ძე დიმიტრი ურდოს და მოვიდეს შანშეს ძისა ივანეს თანა მანდატურთუხუცესისა და წარუყვა იგიცა ურდოს"[4]. ამის შემდეგ ივანეს არ იხსენიებს ჟამთააღმწერელი. მოტანილი მასალებიდან კარგად ჩანს, რომ შანშეს სახლის ერთ ერთი წარმომადგენელი ივანე — მე-13 ს. 70 იან წლებში მანდატურთუხუცესის სახელოს ფლობდა. მაგრამ როდიდან მიიღო მან ეს თანამდებობა? ივანე, კირაკოსის მიხედვით, შანშეს მეოთხე შვილი იყო (ზაქარია, ავაგ-სარგისი, არტაშირი. ივანე), ასე რომ უფროს ძმებზე ადრე მას ამ თანამდებობას ვერ მიიღებდა. არტაშირის თანამდებობათა შესახებ ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით, მაგრამ ივანეზე ადრე შანშეს სახლის თანამდებობათა მემკვიდრე ავაგ-სარგისი რომ უნდა ყოფილიყო, ეს რკონის დაწერილიდანაც ჩანს. კახა თორელის სიგელს, როგორც ზემოთ ითქვა, ამტკიცებს ავაგ სარგისი, ცხადია, შანშეს ძე. ამას გარდა, იგი დაწერილის მოწმე და დამამტკიცებელ საეროთ მოხელეთა შორის პირველია. ეს იმას ნიშნავს, რომ ის მხარგრძელთა მაღალი, კერძოდ ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის თანამდებობათა მფლობელია. რკონის დაწერილის ჩვენ მიერ ზემომოცემული დათარიღებიდან ისიც ირკვევა, რომ ავაგ სარგისს შანშეს სახლის თანამდებობანი მანდატურთუხუცესობა და ამირსპასალარობა შეიძლებოდა 1262 წლიდან 1266—1268 წლებამდე, ე. ი. შანშესა და ზაქარიას გარდაცვალებიდან რკონის დაწერილის შედგენის დრომდე ჰქონოდა. 1270 წლიდან კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მანდატურთუხუცესად შანშეს მეოთხე შვილი ივანე იხსენიება. როგორც ჩანს, შანშეს მესამე შვილი არდაშირი ან ადრე გარდაიცვალა, ანდა საქართველოს სამეფო კარზე რაიმე თანამდებობა არ ჰქონია.

აღსანიშნავია, აგრეთვე რომ შანშე მხარგრძელის მემკვიდრეებმა ამირსპასალარობა ერთხანს, სწორედ ივანეს დროს დაკარგეს. 1273 წ. ერთი სომხურ

---

[1] ჟამთააღმწერელი, გვ. 250.

[2] ი. ჯავახიშვილი, ქეი, III, 1941, გვ. 73.

[3] ჟამთააღმწერელი, გვ 259.

[4] იქვე, გვ. 269.

წარწერაში მოისხენიება „ათაბაგ ამირსპასალარი ბატონი სადუნი"[1]. ასე რომ 1272 წლისათვის სადუნს დემეტრე II ისაგან მარტო ათაბაგობა კი არა, ამირსპასალარობაც მიუღია. სადუნმა დასახელებული თანამდებობანი სიკვდილამდე (1281 წლამდე) შეინარჩუნა. მის შემდეგ კი დემეტრე II მ ათაბაგის თანამდებობა უკვე მის გამზრდელს ტარსაიჭ ორბელს უბოძა, ხოლო სადუნის ძე ხუტლუბუღა „სპასპეტობისა პატივსა აღიყვანა"[2]. სპასპეტობა ამ შემთხვევაშიც ამირსპასალარობის მნიშვნელობითაა ნახმარი: ჟამთააღმწერლის ცნობით, არღუნ ყაენის წ ნააღმდეგ საბრძოლველად მიმაელმა დემეტრემ „თან წარიტანა ყოველი ძალი მისი და მანდატურთუხუცესი დიდისა შანშეს ძე ივანე და სადუნის ძე ხუტლუბუღა ამირსპასალარი"[3]. ნარინ დავითის ძემ ვახტანგმა კიდევ უფრო დაწინაურა ხუტლუბუღა და „აღიყვანა პატივსა ათაბაგობისასა და ამირსპასალარობისასა"[4]. ეს 1289 1290 წწ. მოხდა. მე-13 ს. მიწურულისათვის მხარგრძელთა სახლს მხოლოდ მანდატურთუხუცესობაღა შემორჩა. მაგრამ მალე მანდატურთუხუცესობის სახელმაც ჯაყელთა საგვარეულოში გადაინაცვლა. ვახტანგ დიმიტრის ძის მეფობის (1302 1308) დროიდან „განდიდებული მთავარი სამცხისა ბექა" მანდატურთუხუცესად იქცა[5] და ამ დროიდან ეს სახელო, როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, საკმაო ხნით დამკვიდრდა ჯაყელთა საგვარეულოში.

ამრიგად, მე-13 ს. მიწურულისათვის „შანშეს სახლის" სამოხელეო მდგომარეობა საკმაოდ შერყეული იყო, მაგრამ არა დაცემული. დიდი შანშეს მემკვიდრენი დროდადრო მე-13 ს. უკანასკნელ წლებსა და მე-14 ს. დამდეგსაც ჯერ კიდევ მოიხსენიებიან ცალკეულ თანამდებობებზე. ჩვენ ზემოთ უკვე მოვიტანეთ მასალები, საიდანაც კარგად ჩანს, რომ შანშე I ის ერთ-ერთი შვილი მხარგრძელი 1285 წელს არუჭის წარწერაში დემეტრეს მეფობის დროს სპასალარად არის ნახსენები. სანაინის და აგრეთვე უთრილის წარწერით იგივე მხარგრძელი, ძე შანშესი, ამირსპასალარად იწოდება[6]. 1310 წლის წარწერაში კი ნახსენებია „ათაბაგ ამირსპასალარი შაჰანშა"[7], როგორც ჩანს, შანშე II, ივანეს ძე, „დიდი შანშეს" შვილიშვილი. ეს ის შანშეა, რომელიც, ჟამთააღმწერლის მიხედვითაც, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მე-14 ს. დამდეგის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში[8], როგორც ჩანს, ერთ ხანს ათაბაგიც და ამირსპასალარიც ყოფილა. მხარგრძელთა ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი იყო აგრეთვე ათაბაგი ვაჩარამი, ივანესძე. იგი ამ თანამდებობით ჰორომოსის 1336 წლის წაწერაში მოიხსენიება. აქვე არის დასახელებული მისი ძმებიც, მათ შორის შანშეც, რომელიც წარწერით განსვენებულადაა მოხსენიებული და რომლის შემდეგაც, როგორც ჩანს, მიუღია ათაბაგობის ტიტული ვაჩარამს[9].

ამრიგად, ყველა ზემომოტანილი მასალის გათვალისწინებით მხარგრძელთა გენეალოგია და მათ მიერ საქართველოს სამეფო კარზე დაკავებული თანამდებობანი შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

---

[1] კ. კოსტანიანცი, მატიანე ქვებზე (სომხ.), გვ. 115.

[2] ჟამთააღმწერელი, გვ 281.

[3] იქვე, გვ. 284.

იქვე, გვ. 293

[5] იქვე, გვ. 310, 313, 315.


[6] კ. კოსტანიანცი, მატიანე ქვებზე (სომხ.), გვ. 126, 140, კ. დაფადარიანი, სანაინი (სომხ.), გვ. 125.

[7] სომხური წარწერის კრებული, I (სომხ.), გვ. 64.

[8] ჟამთააღმწერელი. გვ. 304, 306, 309, 309, 324

[9] კ. კოსტანიანცი, მ ტ ნე ქვებზე (სომხ.), გვ 165; შდრ იქვე, გვ 167.

მხარგრძელთა გენეალოგია



წარმოდგენილი ტაბულა საგრძნობლად განსხვავდება მხარგრძელთა დღემ
ის ცნობილი ტაბულებისაგან (მ. ბროსე, ვ. ალიშანი, ს. კაკაბაძე და სხვ.). იგი
შედარებით სრულ წარმოდგენას გვაძლევს მხარგრძელების ამა თუ იმ შტოს
წარმომადგენელთა მიერ სხვადასხვა დროს დაკავებულ თანამდებობათა შესა-
ხებ საერთოდ, კერძოდ კი ჩვენთვის საინტერესო ხანაში. მაგრამ ეს არ ნიშნავს,
რომ აქ მოცემული გენეალოგია, ან მხარგრძელთა სამოხელეო მდგომარეობის
მიმოხილვა ყოველმხრივ სრულყოფილი იყოს. ახალი მასალები და შემდგომი
კვლევა-ძიება დროთა ვითარებაში კიდევ უფრო დააზუსტებს მხარგრძელთა
გენეალოგიასაც და მათ ადგილს ქართულ სამოხელეო წყობაში, განსაკუთრებით
ძე-13 ს. მეორე ნახევარსა და მე 14 საუკუნის დამდეგს.

ზემოაღნიშნულ მოვლენათა ანალიზი გვარწმუნებს, რომ მხარგრძელთა მო-
ხელეობამ საქართველოს სამეფო კარზე გარკვეულ ეტაპებით მნიშვნელოვანი როლი
თამარის მეფობის ხანაში შეასრულა. ამ მხრივ სავანგებოდ უნდა გამოიყოს სარ-
გისისა და მისი უფროსი ძის ზაქარიას თავდადებული მოღვაწეობა საქართველოს
სამეფო ხელისუფლების შემდგომი გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის.

თამარის მეფობის უკანასკნელი წლიდან შექმნილმა ვითარებამ საფუძველი
დაუდო ცვლილებებს სამოხელეო წყობილებაში საერთოდ და მხარგრძელთა
შემდგომ განდიდებას კერძოდ, მაგრამ, მეორე მხრივ, სამეფო ხელისუფლების
დასუსტებამ თავისთავად განაპირობა ცენტრალური ხელისუფლების აპარატის
ძოხელეთა მნიშვნელობის შემცირება და ზოგი სამოხელეო ინსტიტუტის გადა-
გვარებაც. ამას, ბუნებრივია, თან სდევდა ადგილებზე წარგზავნილ მოხელეთა
როლის ზრდა და ამის შესაბამისად დეცენტრალისტური ძალების გაძლიერება.
ცენტრალური სამოხელეო აპარატი ამიერიდან ვეღარ ასრულებდა მასზე დაკის-
რებულ წამყვან როლს: მეტიც, ცენტრალური აპარატის მოხელეთა ინტერესე-
ბი თანდათან ცალკეულ მთავართა ინტერესებამდე დავარდა. ეს კი პირვანდელ ში-
ნაარსს უკარგავდა მხარგრძელთა მოხელეობას სამეფო კარზე. ეს იყო აგრეთვე
საფუძველი იმ გ ნსვავებისა, რომელიც არსებობდა ზაქარია ამირსპასალარ-
მანდ ტურთუხუცესისა და ივანე ამირსპასალარ ათაბაგის მოხელეობას შორის,
ამ უკანასკნელისა და მხარგრძელთა შემდგომი ხანის მემკვიდრეთა მოხელეობას
შორის. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს კიდევ უფრო აშკარა გახდა მე-13 ს. 80-იანი
წლებიდან. როცა მხარგრძელთა მოხელეობა საქართველოს სამეფო კარზე არ-
სებითად მხოლოდ ამ საგვარეულოს სამკაულად იქცა.

ᲛᲔᲛᲝᲙᲚᲔᲒᲐᲜᲘ

ე. აბაშიძე, ნარკვევები... — ე. აბაშიძე, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, 1969.

ათონის აღაპები — ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით.

ე. ალენი, ქართველი ხალხის ისტორია (ინგლ.) — W. E. D. Allen, A History of the Georgian Peuple, L., 1932.

ე. ალიშანი, შირაკი (სომხ.) — Ղ. Ալիշան, Շիրակ, Վէնետիկ, 1881.

შ. ამირანაშვილი, შოთა რუსთაველის პორტრეტი — შ. ამირანაშვილი, შოთა რუსთაველის პორტრეტი ერესალიმის ჯვრის მონასტერში, ტურნ. „საბჭოთა ხელოვნება", 1961, N 4.

ე. არუთიუნოვა, სომეხი ქალკედონიტები (რუს). — В. А. Арутюнова, К вопросу об армянах халкедонитах. *Ираван*, №3 1971.

აქტები (რუს.) — Акты собранные Кавказской археографической комиссией.

ა. აჯარიანი, სომხური... (სომხ.) — *Հ. Աճարյան, Հայոց անձնանունների բառարան.*

ლ. ბაბაიანი, სომხეთის ისტორია (სომხ.) — *Լ. Հ. Բաբայան, Հայաստանի Սոցիալ-տնտեսական եւ քաղաքական պատմություն XIII-XIV դարերում. Եր.*, 1964.

ლ. ბაბაიანი, სომხეთის ისტორია (რუს.) — Л. О. Бабаян, Социально-экономическая и политическая история Армении в XIII—XIV веках, М., 1969.

ბასილი ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოცემა ი. ჯავახიშვილისა და ივ ჯავახიშვილის მასალა დასაბეჭდად გაამზადეს ნ თ ჯავახიშვილმა და მ. კახაძემ. თბ, 1944.

ბაქრაძე, წარწერა გუნია-ყალიდან — ა. ბაქრაძე, XIII ს. წარწერა გუნია-ყალ დან, სმმ, XVII-Ბ, 1953.

დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა (რუს.) — Д. Бакрадзе, Археологические путешествия по Гурии и Адчаре, СПб., 1878.

დ ბაქრაძე, კავკასიის ქრისტიანობის ძველი ძეგლები (რუს) — Кавказ в древних памятниках христианства ЗОЛКА, кн. I, 1875.

ვ. ბერიძე, „ლურჯი მონასტერი" ვ ბერიძე, თბილისის „ლურჯი მონასტერი", კრებული „ქართული ხელოვნება", II, 1948.

ვ. ბერიძე, სხ ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, 1955

ნ. ბერძენიშვილი, მიწათმფლობელობის ფორმებისათვის — ნ. ბერძენიშვილი, მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქ რთველოში (ცელი, დაწერილ), სს, III.

ნ ბერძენიშვილი, სავაზირო ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქ რთველოში, სს, II'.

ნ ბერძენიშვილი, სი XIII—XIV სს. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია XIII XIV სს. (კონსპექტი), სს, II.

ნ. ბერძენიშვილი, ხს, I—\, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I, 1964; წ. II, 1965 წ III. 1966; წ IV. 1967; წ. V. 1971.

კ. ბოსვორტი, მუსლიმანური დინასტიები (რუს.) — К. Э. Босворт, Мусульманские династии, М., 1971

ბ ბროსე, აზიური კრებული, II (ფრანგ.) — M. Brosset, Melanges Asiatiques, tirés du Bulletin his. philolog. de l'Academie des Sciences de St. Petersbourg, t. II, 1856.

ბ. ბროსე, დამატებები და განმარტებები (ფრანგ.) — M. Brosset, Additions et éclaircissements a l'histoire de la Georgie, SPbg, 1851.

ბ. ბროსე, რაპორტები (ფრანგ.) — M. Brosset, Rapports, sur un voyage archéologique dans la Georgie et dans l'Arménie, exécuté en 1847 — 1848, St. — Petersb. 1850 — 1851.

ბ. ბროსე, საქართველოს ისტორია (ფრანგ.) — M. Brosset, Histoire de la Géorgie, SPbg, 1858.

ზ ბუნიატოვი, ან-ნასავის ცნობები (რუს.). — З. М. Буниятов, Сведения Ан-Насави о Грузии, ქნ. III, 1971.

ლ. გიუზალიანი, სპარსული წარწერა ანისში (რუს.) — Л. Т. Гюзальян, Персидская надпись... в «Ани». Академику Н. Я. Марру, М. Л., 1935.

გრიგოლ აკანელი, მოისართა ტომის ისტორია — გრიგოლ აკანელი, მოისართა ტომის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმნით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა 1961.

გარეგინ კათალიკოსი, ხელნაწერთა მინაწერები (ხომხ.) — *Գարեգին Ա. կաթողիկոս, Ձեռագրաց մնացորդաց*, 1951.

გრიგოლია, ჰიაბერის შეწირულების წიგნის დათარიღებისათვის — ქ. გრიგოლია, ჰიაბერის შეწირულების წიგნის დათარიღებისათვის, სმმ, XIII, 1944.

დავითის ისტორიანოსი — ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 195.

ლ დალელიანიძე — მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა". — ლ დალელიანიძე, მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა", ქნ, 1968.

ი. დიაკონოვი, ურარტუს ისტორიის, ასურულ-ბაბილონური წყაროები (რუს.) — И. М. Дьяконов, Ассиро вавилонские источники по истории Урарту, ВДИ, 1951, № 2, № 24 прилож 20.

ი. დოლიძე, ქსძ, II, III — ქართული სამართლის ძეგლები, რედ. დოლიძის გამოცემა, ტ II, 1965, ტ. III, 1970.

ლუ კანგი (ლათ.) — Du Cange, Glossarium, 1691.

ნ. ემინი, სომხური წარწერები (რუს) — Н. Эмин, Армянские надписи в Карсе, Ани и окрестностях последнего. Москва, 1881.

ეპიგრაფიული ძეგლების კატალოგი — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიული ძეგლების კატალოგი. შედგენილი და დასაბეჭდად მომზადებული ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის მიერ, 1953.

ხ ერემიანი, ამირსპასალარი ზაქარია ერკაინბაზუკი (ხომხ) — *Ս. Երեմյան, Ամիրսպասալար Զաքարիա Երկայնաբազուկ*, 1944.

ხ ერემიანი, აღარწინის წარწერა 1184 წ. (რუს.) — С. М. Еремян, Агарцинская 1184 г., Сборник в честь акад. И. А. Орбели, 1965.

ს. ერემიანი, იური ბოგოლუბსკი (რუს.) — С. М. Еремян, Юрий Боголюбский по армянским и грузинским источникам, Научные труды ЕГУ, XXIII, 1946.

ხ ერემიანი, სომხეთი (რუს.) — С. М. Еремян, Армения в IX первой четверти XIII в. Очерки истории СССР, период феодализма, IX XV вв., I, М., 1959.

ა. ერიცოვი, აბასტას მონასტერი (რუს.). — А. Ерицов, Монастырь Ахпата, «Кавказская старина», 1871, № 1

ვარდანი, მსოფლიო ისტორია (რუს. თარგმ) — Всеобщая история Вардана Великого, перевод Н. Эмина М., 1861.

ვარდანი, მსოფლიო ისტორია (ხომხ.) — *Վարդան, Պատմութիւն տիեզերական*, 1861.

კ. ვანტიშვილი, ყინცვისის მშენებლობა... — კ. ვანტიშვილი, ყინცვისის მშენებლობის გამოსახულების შესახებ, საქ სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, 1963, ტ. XXXII, № 3.

ვახუშტი, აღწერა... — ვახუშტი, აღწერა სამეფოსა ს ქართველოსა, ნ. ბერძენიშვილისა და თ. ლომოურის გამოც., 1941.

ვახუშტი, ხი — ვახუშტი, საქართველოს ისტორია, გამოსრებული დ ზ ბაქრაძის მიერ, 1885.

ო. ვილჩევსკი, ქურთები (რუს.) — О. Вильчевский, Курды, М., 1961.

ზაქარია კანაკერცი, ქრონიკა (რუს.) — Захарий Канакерци, Хроника, перевод с армянского, предисловие и комментарии М. О. Дарбинян-Меликян, М., 1969.

ე თაყაიშვილი, ად, I (რუს.) — Е. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып I, 1905 (ძალიან ამონაბეჭდი ცრებულიდ ნ СМОМПК, вып. XXXV).

ე თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში — ე თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ სვანეთში, 1910 წელს, პარიზი, 1937.

ე. თაყაიშვილი, ახტალის წარწერა (რუს.) — Е. Такайшвили, Грузинская надпись Ахтала, СМОМПК, вып XXIX, 1901.

ე. თაყაიშვილი, თეთრი წყაროს ძეგლები (რუს.) — Е. Такайшвили, Грузинские памятники окрестностей Белого Ключа, ПКОИМАО, вып I, 1901.

ე. თაყაიშვილი, სამი ქრონიკა (რუს.) — Е. Такайшвили, Источники грузинских летописей Три хроники, СМОМПК, вып XXVIII, 1900

ე. თაყაიშვილი, ხს, I, II — ე. თაყაიშვილი, საქართველოს ს ძეგლები, I, 1899; II, 1909.
ე თაყაიშვილი, ხელნაწერთა აღწერილობა (რუს.) — Е. Такаишвили, Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», т. I, вып. I—4, 1901
კ. თუმანოვი, ქრისტიანული კავკასიის ისტორიის მიმოხილვა (ინგლ.) — C. Toumanoff, Studies in christian Caucasian History, 1963.
პ ინგოროყვა, რუსთველიანა — პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, თხზულებათა კრებული, ტ. I, 1963.
პ ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი — პ ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, თხზულებათა კრებული, ტ I, 1969
ისტორიანი — ისტორიანი დ აზმანი შარაენდედთანი, ცდა ტექსტის აღდგენისა, კ. კეკელიძის გამოცემა, 1941.
ისტორიანი (რუს) — История и восхваление венценосцев, пер. К. С. Кекелидзе, 1951.
ფ იუსტი, ირანული სახელები (გერმ.) — F. Justi, Iranisches Namenbuch, 1895.
ს კაკაბაძე, არსენ ჭყონდიდელის სიგელი — ს. კაკაბაძე, არსენ ჭყონდიდელის სიგელი, 1940, UJ, II, 192
ს. კაკაბ ძე. „ვეფხისტყაოსნის" წინასიტყვაობა — შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი", ს. კაკაბაძის რედაქციით, გამოცემა მეორე, 1927.
ს. კაკაბაძე, თამარ მეფე — ს. კაკაბაძე, თამარ მეფე და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში, 1912.
ს. კაკაბაძე. თორელთა გვარეულობის შესახებ — თორელთა გვარეულობის შესახებ, წერილი, I, 1914.
ს. კაკაბაძე, შოთა რუსთაველი — ს. კაკაბ ძე, შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, 1966.
კარაპეტ ეპისკოპოსი, დოფიანი და მელიქ შაჰნაზარიანი (სომხ.) — *Կարապետ Եպիսկոպոս, Դոփէանք եւ Մէլիք Շահնազարէանք*
რ. კენტი, ძველი სპარსული (ინგ.) — R. Kent. Old Persian, New— Naven, 1950.
კირაკოს განძაკეცი, ისტორია (რუს. თარგმ.) — Киракос Гандзакеци. История. Баку, 1946
კირაკოს განძაკეცი, სომხეთის ისტორია (სომხ.) — *Կիրակոս Գանձակեցի, Պատմութիւն Հայոց Սրբևան*, 1964.
კ. კოსტანიანცი, მატიანე ქვებზე (სომხ.) — *Կ. Կոստանեանց, Վիմական տարեգիր*, 1913.
ი. ლ. ლალაიანი, ბორჩალოს მხარე (სომხ.) — *Ն. Ղալայան, Բորչալուի գաւառ Աղդագրական Հանգիս*, VII—VIII, 1901.
ლაშა გიორგის დროინდელი შემატიანე — ლაშა გიორგის დროინდელი შემატიანე, გამოცემა ი. ჯავახიშვილმა, 1927.
ჟ. ლორთქიფანიძე, ანისიხათვის ბრძოლის ისტორიიდან — მ. ლორთქიფანიძე, ანისიხათვის ბრძოლის ისტორიიდან მე 12 საუკუნის საქართველოში, სფინს, I, 1970.
მ. ლორთქიფანიძე, ქარის მოხელენი — მ. ლორთქიფანიძე, ქართული ფეოდალური მონარქიის ქარის მოხელენი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, 1955.
მ. ლორთქიფანიძე, რამდენიმე შენიშვნა — მ. ლორთქიფანიძე, რამდენიმე შენიშვნა პ. ინგოროყვას „რუსთველიანას" და „რუსთველიანას ეპილოგის" გამო, „მაცნე", 1964, № 6.
მ. ლორთქიფანიძე, საქართველო-სომხეთის ურთიერთობა — მ. ლორთქიფანიძე, საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის წარსულიდან, კრებული: XII ს საქართველოს ისტორიის საკითხები, 1968
გ მაისურაძე, ერთი სომხური წყარო — გ. მაისურაძე, ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ, კრებული სრხ.
ნ. მარი, არქაული (რუს) — Н. Я. Марр, Аркаул, ЗВОИРАО, т. XVI.
ნ. მარი, კვლავ ხიტყვა ჩელებიხ შესახებ (რუს.) — Н. Я. Марр, Еще о ЗВОИРАО, т. XX, вып II III, СПб, 1911.
ნ. მარი, კორიდეთის სახარების მინაწერები (რუს) — Н. Я. Марр, Грузинские приписки греческого Евангелия из Коридии, ИАН, № 4, 1911.
ნ. მარი, სანაინის ჭტიტორთა ქანდაკებები (რუს) — Н. Марр, Синаитская скульптурная группа ктиторов, ХВ, I, 1912
ჯარიამისეული ქართლის ცხოვრება — ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ეარიანტი, ეკ. თაყაიშვილის რედაქციით, „ქართველთა შორის ყურა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" გამოცემა, 1906
ი. მანანდიანი, სომეხი ხალხის ისტორია (რუს) — Я. А. Манандян, История армянского народа, 1944.

ი. მანანდიანი, სომეხი ხალხის ისტორია, III (ხომხ.) — Հ. Մանանդյան, քննական տեսություն հայ ժողովրդի պատմության, III, 1952.

ი. მანანდიანი, სომხეთის ვაჭრობა და ქალაქები (რუს.) – Я. А. Манандян, О торговле и городах Армении, в связи с мировой торговлей древних времен, 1930

მატიანე ქართლისა — მარ ანუ ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, 1955.

ლ. მელიქსეთ-ბეგი, ალარწინის ერთი წარწერა (რუს.) — Л. Меликсет-Беков, Одна из надписей Агарцинского монастыря, ХВ, т. III, вып. II, 1914.

ლ. მელიქსეთ ბეგი, ლორე-ტაშირის ეპიგრაფია — ლ. მელიქსეთ ბეგი, ლორე ტაშირის ქრისტიანული ეპიგრაფიკა, თსუ შრომები, ტ. 108, 1964.

ლ. მელიქსეთ ბეგი, სახამართლო პროცესზე ზაქარიდების სომხეთში (რუს.) Л. Меликсет-Беков, По поводу одного свидетельства об устройстве и процессе высокого суда в Захаридской Армении, რუსული რეზიუმე სომხური ნაშრომისა: *Մի վկայության վերագրյալ դատակազմության եւ դատավարության մասին, Զարարյան Հայաստանում*, სომხეთის სსრ მეცნ. აკად., *Տեղեկագիր*, 1945, № 3—4.

ლ. მელიქსეთ ბეგი, სომხები ძველ ქართულ ლიტერატურაში (ხომხ.) — *Լ. Մելիքսէթ-Բէկ, Հայերը վրաց հին գրականության*, Դիզարվեստ, № 7. 1921

ლ. მელიქსეთ ბეგი, ჯობერი და მისი წარწერები ლ. მელიქსეთ ბეგი, ჯობერი და მისი სომხური და ქართული წარწერები, თსუ მოამბე, 7, 1927.

ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ჩრდილო მხარეთა"... ლ. მელიქსეთ ბეგი, „ჩრდილო მხარეთა" სომეხთა ძოძეარნი, 1928.

გ. მელიქიშვილი, ნაირი ურარტუ (რუს.) – Г. А. Меликишвили, Наири-Урарту, 1954.

გ. მელიქიშვილი, ურარტული წარწერები (რუს) Г. А. Меликишвили, Урартские клинообразные надписи, 1960.

შ. მესხია, ქალაქები და საქალაქო წყობილება (რუს.) — Ш. А Месхия, Города и городской строй феодальной Грузии, 1959.

შ. მესხია, საქართველოს ქალაქების... — შ. მესხია, საქ რთველოს ქალაქების სოც ღური ურთიერთობის ისტორიიდან, „მიმომხილველი", ტ. II, 1951.

შ. მესხია, საქალაქო კომუნა — შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, 1962.

ე მეტრეველი, მახალები ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 1962.

ვ. მინორსკი, კავკასიის ისტორიის მიმოხილვა (ინგლ.) — V Minorsky, Studies in Caucasian History, 1953.

მსკი მასალები საქ რთველოსა და კავკასიის ისტორიისათვის.

ა. მურადიანი, ქართული წარწერები (ხომხ.) — Գ. Մուրադյան, վրացերեն արձանագրությունները Հայաստանում, Լրաբեր, 1966, № 3.

ლ. მუსხელიშვილი, აე — ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები, 1941.

დ. მუსხელიშვილი, თბილისის ამირათამირობის... — დ. მუსხელიშვილი, თბილისის ამირათამირობა ან ტიტულატურა, კრებული: საქართველო რუსთაველ ს ხანაში, 1966.

ლ. მუსხელიშვილი, თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა ლ. მუსხელიშვილი, თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა ჰამამლუს XII ს ის წარწერასთან დაკავშირებით, სმმ, X– B, 1940.

მხითარ გოშისა სამართალი (რუს.) — Армянский судебник Мхитара Гоша, 1954.

ვ. ნიკიტინი, ქურთები (რუს.) — В. Никитин, Курды, перевод с французского, М., 1964.

ი. ორბელი, სანაინის ხიდის წარწერა (რუს.) — И. А. Орбели, Надпись Санаинского моста ХВ, IV, вып. II.

ს. ორბელიანი, ხივნიეთის ისტორია (ხომხ.) —*Սամ. Որբէլեան, Պատմություն տան Սիւնեաց* 1911·

ი. ორბელი, სომხური წარწერები (რუს.) — И. А Орбели, Армянская надпись на камне, ХВ, т. V, вып. II, 1917.

ი. ორბელი, ქართული კანდელი არაბული წარწერებით (რუს.) И. А. Орбели, Грузинская бронзовая лампада с арабскими надписями, Избранные труды, 1963.

მ. ორმანიანი (ხომხ.) — *Մ. Օրմանեան, Ազգապատում*, 1486—1487.

პეტერბურგის უნივერსიტეტის 1908 წ. ანგარიში (რუს) Отчет С-Петербургского университета за 1908 г., СПб., 1909.

ეპისკოპოსწერილი — ე პისკოპოსწერილი, ქართლის ცხოვრება, II, 1959.

ბ. ჟორდანია, ისშ — ი. ჟორდანია. ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრის და „ძველი ქართლის ქება-დიდების“ ქრონიკა, 1896.
ი. როსტომაშვილი, ახალქალაქის მაზრა (რუს.) — И. Ростомов. Ахалкалакский уезд в археологическом отношении, СМОМПК, вып. XXV, 1898.
ის, II — საქართველოს არქივი, II, 1927.
ს. ხანძთელიანი. ძველი ხომხური სამართლის ისტორია (ხომხ.) — С. Ханджтеляни, Древняя армянская история права, I, Ереван 1939.
ს.ქართველოს სიძველენი, II — ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909.
ს. ყ — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული.
სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა — ი. ჯ ვახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947.
სკ, II — Ს. Кондаков, II, 1928.
ს. სკაბალანოვიჩი — Византийское государство и церковь. СПб., 1884.
სმ — სისტორიო მოამბე.
სმმ — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.
სომხური წარწერების კრებული, I (ხომხ.) — Դիվան հայ վիմագրության, I, Երևան, 1966.
სრს — საქართველო რესპუბლიკის ხანაში, 1966
ს ტეფნაძე, ხალ ხთველოს ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან (რუს. ავტორეფ) — Д. Степанадзе. Политическое взаимоотношение Грузии с народами Кавказа в XII в. автореферат. 1970.
სფხის — საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები.
ვ. ტიზენჰაუზენი, ელჩობანი ხალიფა ალი-ბენ-ჰუსეინისა ქართველებზე (რუს.) — В. Тизенгаузен, Заметка Э.ль-Калькашанди о грузинах, ЗВОИРАО, т. I, вып. III, СПб., 1886.
ნ. ტოკარსკი, ძველი სომხეთის ხუროთმოძღვრება (რუს.) — Н. М. Токарский, Архитектура древней Армении, 1947
ქართლის ცხოვრება, I, II — ქართლის ცხოვრება, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ I, 1955, ტ. II, 1959.
ქრონიკები, I — ქრონიკები და სხვა მას ლა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დ წყობილი, სწორი და გამოცემული თ. ჟორდ ნიას მიერ, 1892.
ქრონიკები, II — ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახლიდან ი ჟორდანიას მიერ, წ. II, 1897.
ქსძ — ქართული სამართლის ძეგლები
ქწ — ქართული წყაროთმცოდნეობა.
ყ. ღაფადარიანი, ანბანი (ხომხ.) — Կ. Ղաֆադարյան, Հաղարատ, 1963.
ქ ღაფადარიანი, სანაძინის ვანქი (ხომხ.) — Կ. Ղաֆադարյան, Սանահինի վանքը, 1957
ს. ყაუხჩიშვილი, კორიდეთის სახარების მინაწერების დათარიღებისათვის — ს. ყაუხჩიშვილი. კორიდეთის ბერძნული სახარების ქართული მინაწერების დათარიღებისათვის, გეორგიკა, ტ. VII, 1967.
ქ ღაფადარიანი, პოვანავანქი (ხომხ) — Կ. Ղաֆադարյան, Հովհաննավանքը, Երևան, 1948.
ა შანიძე, ლოშის წარწერა (რუს.) — А. Г. Шанидзе, Грузинская надпись XIII в. в селе Кош, Тб., I, 1959.
ახ. შახნაზარიანი, დვინი (რუს.) — Ас Шахназарян, Двин. Ереван. 1941.
ახ. შახნაზარიანი, ზაქარიანთა (ერკაინთაზუკთა) ტომის წარმოშობა (ხომხ.) — Աս. Շահխազատբանից, Զաքարէների (Երկայնարատէկ) տոհմի ծագումը, կարճ դիպ Զաքարեան եւ նախոր դների, Շուշակաթ, Վաղարշապատ, 1913.
ნ. შოშიაშვილი — თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია — ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებულში: შოთა რუსთაველი. ისტორიულ ფილოლოგიური ძიებანი, 1966.
ნ. შოშიაშვილი, სახელმწიფო სამართლის ისტორიის ზოგიერთი საკითხი — ნ. შოშიაშვილი, XII—XIV სს. საქართველოს სახელმწიფო სარძლის ისტორიისა და რეგიონალური ზოგიერთი საკითხი, ჟურნალი „ცისკარი“, 1965, № 9.
ე შუმბერგერი, ბიზანტიის იმპერიის სიგილოგრაფია (ფრანგ.) — G. Schlumberger, Sicilographie de l'Empire Byzantin. Paris, 1884.
ვ. ჩამჩიანი, სომხეთის ისტორია, III (ხომხ.) — Մ. Չամչյան, Պատմություն Հայոց, III, 1786.

გ. ჩუბინაშვილი, ქართული ოქრომჭედლობა (რუს.) Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, 1959

ი. ცინცაძე, არსენ ჭყონდიდელის ახლად მოპოვებული სიგელი — ი. ცინც ძე, არ ენ ჭყონდიდელ ს ახლად მოპოვე ე სიგელ , სა, II, 19 7.

ი. ცინცაძე, რუსეთ-საქართველოს... — ი. ცინც ძე, რუსეთ ს ქართველის ურთიერთობ ს მე-12 საუკუნის ისტორიიდან, ჟურნ. „მაცნე", 1968, № 5.

ცინცაძე, ძიებანი — ი. ცინც ძე ძიებ ნი რუსეთ ს ქა თველის ურა ე ო ბის ისტორიიდ ნ (X XVI სს.), 1967

ე. ციხკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა — ე. ციხკ რიშვილი, ჯავ ხეთის ეპიგრ ფიკა როგორც საისტორიო წყარო, 1959.

წიხი — ს. კაკაბაძე, წერ ლები და მასალები საქართველ ს ისტორიის თვის.

ხი — საქ რთველოს სსრ მეცნ. აკადემიის კ კეკელიძის ს ხელობის ხელ ნაწერთ ინსტ ტუტი

ხიმ — ხელნაწერთა ინსტ ტუტის მოამბე.

ქელმწიფის კარიხ გარიგება — ქელმწიფის კარის გარიგება , ქსძ, II.

ი. ჯავახიშვილი, სოციალური ბრძოლის ისტორია — ი. ჯ ვახიშვილი, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX—XIII საუკუნეებში, 1934.

ი. ჯავახიშვილი, ქეი, — ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია.

ი. ჯავახიშვილი, ქმ — ი. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრ - ფია, 1926.

ი. ჯავახიშვილი, ქხი, I, II 1,2 — ი. ჯავახიშვ ლი, ქ რთული ს მართლის ისტორია, წ I, 1928; წ. II, საკ I, 1928, წ. II, ნ კვ. 2, 1929.

მ. ჯანაშვილი, კორიდეთის ოთხთავის წარწერები — მ. ჯან კ ლი, კორიდეთის ოთხთავის ქართულ წარწერები, ძველი საქ რთველო, I, განყ. III.

მ. ჯანაშვილი, ხელნაწერთა აღწერილობა, III (რუს.) — М. Джанашвили Описание рукописей церковного Музея, кн III, 1908

ს. ჯანაშია, ისტორიული სინამდვილის დამახინჯების ერთი მაგალითი (რუს.) — С. Джанашиа, Об одном примере искажения исторической правды, 1947.

ჰ. ჰორსტი, სახელმწიფო გამგებლობა... (გერმან.) — H. Horst Die Staatsverwaltung der Grossegungeu und Wiesbaden, 1964.

XII ს. სის — ძე 12 საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხებ , 1 68.

ВДИ — Вестник Древней истории.

ЕГУ — Ереванский государственный университет.

ЗВОИРАО — Записки Восточного отделения Императорского Русского Археологического Общества.

ЗОЛКА — Записки Общества любителей кавказской археологии.

ИАН — Известия Императорской Академии Наук.

ИКОИМАО — Известия Кавказского отделения Императорского Московского Археологического общества.

МАК — Материалы по Археологии Кавказа.

СМОИМПК — Сборник материалов по описанию местностей и племен Кавказа

ЭВ — Эпиграфика Востока.

ХВ — Христианский Восток.

საძიებლები

საკუთარ სახელთა საძიებელი *

აბაღა ყაენი (ილხანი, 1265 –1282), 262
აბ ს II, კვირიკე II-ის ძე (ტაშირ ძორაგეტის მეფე), 223, 278.
აბას კვირიკიანი, იხ. კვირიკიანი აბას.
აბაშმ ძე ვ. 166.
აბულასან იობის ძე (XII ს-ის ბოლო, ერისთავთ-ერისთავი, მეკურჭლეთუხუცესი), 59, 101, 127— 141; 143 145; 147, 148.
აბულასან ჭ უთაელი, 114.
აბულას ნის-ძე ოქროპირი, 114.
აბულაძე ი. 206, 255, 268.
აბულახტარის ძე შგელა, 272.
ბულსუვარი (ჭურთ შედადდთა ანისის შტოს თუძემდებლის მანუჩეს მ.მა. XI ს. II ნ ხ) 235.
აბულეთი (დიდი, აბულეთის ძეთა გვარის ფუ ძემდებელი), 105.
აბულეთი (დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I ის თანამედროვე, ივანეს მამ.), 19.
აბულეთის ძე, აბულეთ სძენი 104, 105.
აბულეთის ძე ივ ნე (სიკვდილით დასჯა დემეტრე I-მა), 19, 96, 104.
აბულეთისძე ჭირჭაშ||თირჭაშ (ივანეს ძე), 17. 19, 104, 105.
აბუპარბი 114.
ავაგი (ავაგ ს რგისი მხარგრძელი, ივანეს-ძე), იხ. მხარგრძელი ავაგი (სარგისის შვილისშვილი, ათაბაგ-ამირსპასალარი (+1250).
ავაგ-სარგისი, მხ რგრძელი, ხოსროს ძე (იხ მხარგრძელი სარგის|| ვაგ-სარგისი ხოსროსძე).
ავაგ-სარგის ი, ხ ხარგრძელი, შანშეს ძე (+1268 (?), (იხ. ძხარგრძელი ავაგ-სარგისი შანშეს ძე.
ა, გ ხურსიძე, (იხ. ხურსიძე ავაგ).
აითანდილი („ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი), 36. 179, 180, 181.
კანეტი (ავანელი) გრიგოლ (მალაქია აბეღა, XIII ს. სომეხი ისტორიკოსი), 166, 242, 245.
ალათემური (მონღოლი სარდალი XIII ს. შუა წლებში), 241.
ალენი ვ. 214, 222, 252, 253.
ალექსანდრე კახთა მეფე, 109.
ალ შანი ვ. 167, 190, 227, 251, 272, 319.
ალ კალკ შანდი, 220.
ალ ფარიკი, 279, 284.
მაზასპი (იხ. მამიკონიანი ამაზასპი).
ამბრო ი (სამცხის ათაბ გი, ქაიხოსრო I-ის გა ზრდილი), 183.
ამირახაშვილი შ. 14, 99.
მირ მირმანი, 31.
ამირაჯიბი, 215.
ამირ ქ ურდი (თბილისის ამირა XII ს.), 127, 131, 134, 138, 140, 141, 277, 287—292.
ამირ ჭურდი ვაჭამის ძე, 141.
ანდრია მოციქული, 136, 137.
ან-ნასავი, 169, 245, 263, 264.
ანტონ ჭყონდიდელი||გლონისთ ვის ძე (ვაზირი, ჭყონდიდელ მწიგნობართუხუცესი, გიორგი III ისა და თამარ მეფი დროს), 7, 28 –34; 39, 40, 59, 64, 65, 67, 68, 73, 82 102; 110, 158, 287, 289, 290, 303, 307.
ანტონ ჭ ათაელი, 87, 114.
აპირ ტ , ანისის მირა, 284, 286.
არდაშირი||არტაშირი, მხარგრძელი, შანშე I-ის ძე (იხ. მხარგრძელი-არდაშირი შანშე I-ის ძე).
არდაშირი მხარგრძელი, ივანეს ძე (იხ. მხარგრძელი არდაშირი ივანეს II ის ძე).
არსენიოს ქართლელი, 255.
არსენ ჭყონდიდელი (XIII ს.), 100, 272, 312, 314.
ასლან აფრიდონის ძე, 114.
არტ ქსერქსე I მხარგრძელი (ლონგიმანი) ირანის მეფე, 178, 210, 211, 214, 215, 248, 267.
არქათინიანი ა. 198, 209, 230, 247, 302.
არუთინოვა ვ. 255 258.
არცახისკი დოლგორუკები, 215, 216.
არძაკიდები, 214, 215.
ასპარუნი, 215.
ასურიანებში, 200.
ათ I გრიგოლის ძე, 21.
ათ II გრიგოლის ძე, პერეთის ერისთავი, 141, 144.
აუხადი (ხლათის მფლობელი, ივანე მხარგრძე-

* შეადგინა ა ბა კაკარავამ.

ლი ჭალის თაძთას პირველი ქმარი) 263.
აფარ დონი (მსახური ეხუცესი, თმოგვის პატრონი, გიორგი III ის დროს), 28, 33, 60, 81, 83, 84, 100, 113, 130, 131.
ბრბელა მხ რგრძელი იავნეს ძე, შ წშეს I ის შვილისშვილი (იხ. მხარგრძელი ა ბელა იავნეს ძე).
ბრბელა (ვარამ გ გელის ძე, ბლე ზაქ რიას შვილისშვილი), 242, 244, 245, 251.
ბრბელა მხარგრძელი (იხ. მხ რგრძელი ბრბელა შახშე I ის ძე).
ახალციხელი თოლელი შ ლვა, 37 –43; 47, 48, 50 55; 57 59. 144, 162, 177, 243, 305, 310, მახდ ტურესუკესი, 145, 147, ჯაეახეთის მხ რის ერისთავეი ერისთავი, 62; დიდი ქართველი ეშხ ნი, 239.
ახალციხელ იავნე I, 33, 34, 39, 58, 134, 135, 162, 177, 239, 243.
[ხალციხელი თორელი] იავნე II (ზაქარია მხარკრძელ ს ძე, ს. კაკაბაძის აზრით), 175.
აკრაფი თამთას მეორე ქმ რი, 263
აკრარი ნ 3 195, 213, 222, 228, 247, 313.

ბაბაიანი ლ. 1., 81, 199, 208, 209, 242, 244, 247, 278, 285, 286, 290, 291, 302, 310.
ბაბახახიანი ა. (ლეო). იხ ლეო (ა. ბაბახახიანი).
ბაგრატ III, 12.
ბაგრატ IV, 147, 149, 150.
ბაგრატიონები, 35. 18 , 210, 223, 224
ბაგრატოსები (ჰერეთის) 22, 79, 80, 107
ბაგრატონი 231
ბაგრატონი დ ვ თ (დ ვით ბ ტონიშვილ), 170
ბაგრატიონ კ ხუშტი (ვახუშტი ბატონიშვილი), 3, 126, 127, 169.
ბაგრატიონი ლეიმერ ზ (თეიმურაზ ბატონიშვილი), 3.
ბაგრატიონი იოანე (იოანე ბატონიშვილი), 170, 216, 233, 254.
ბაგრატუნები (ძორაგეტელი) 189, 228, 278.
ბაკრატუნიანები, 193.
ბაკური (ერისთავთ-ერისთავ ვარდანის შამა, ვ რდანისძეთა წინაპარი), 123, 124.
ბარ 3 ვარდანის ძე (სვანთა ერისთავი) 124, 155.
ბარამიძე ა. 35.
ბარდაელიძე ვ. 37.
ბარხუდ რიანცი, 64, 287.
ბარსელი (ანისის ეპისკოპოსი), 231, 284.
ბ ლილი ეზოსმოძღვარი (თამარ მეფის ისტორიკ სი), 33, 34, 82, 84, 89, 93, 94, 97, 146, 147, 161, 196, 200, 201, 241, 249, 267, 274, 283, 298, 299, 303, 304, 305, 307.
ბ ლილი, ქ რთლის მთ ვარეპისკოპოსი (აბულეთანის ძმა) 129, 130, 133, 134.
ბ ლილი უჯარმელ-ჭყონდიდელი, 26, 71, 77.
ბაქრაძე ა. 37, 38, 40, 59, 61, 188, 189, 219 — 222; 245, 256, 259.
ბ ქრაძე დ. 53, 125, 126.
ბ ღდასარიანი ე. 209.
ბალდაში(ბაღდაში), 60, 147, 169.
ბარძ ალ გურჯი (ე. ი. ვახრამ ქართველი, ვ რად გაგელი), 169, 245.
ბეი ე თ. 149.
ბერი გიორგი მხარგრძელი (იხ მხარგრძელი ბერი-გიორგი).
ბერ ძე ე. 50, 51, 53, 54, 133, 260, 261.
ბერძენიძეულ ნ. 4, 6, 7, 10, 12, 24, 25, 37, 41, 48 55, 57—63, 69, 76, 77, 82, 83, 85, 90, 91, 95, 97 109, 149, 185, 187, 246, 247, 276, 280.
ბ ქა I კ ნელი, მახდატურთუხუცესი (ხ ჯაყელი ბერა I, მანდ ტურუხუცეს).
ბოგოლუბსკი ანდრია, 251.
ბოგოლუბსკი იური, 115, 127, 129, 131, 132, 138, 139, 197, 247, 291, 306.
ბოცო (სამეჯის სპასალარი), 70, 137, 117.
ბოსტორტ კ 5, 28 .
ბუბაკი (იავნე მხ რგრძელის დედებელი), 206, 207.
ბუბაქარო, 138.
ბუნიატოვი ხ. 245, 264.
ბურდუხან დედოფალი (თამარ მეფის დედა), 203.
ბურკანაძე შ. 149.
ბროსე მ. ბ, 9, 49, 50, 56, 98, 149, 167, 170, 171, 190, 203, 210, 212, 215, 222, 233, 227 – 230 233, 242, 251 253; 290, 308, 319

გ გელი ვ რ მქვაბრ მ, ზაქ რიას ძე (მსახურთუხუცესი, XIII ს.. I ნ ხევ რი), 162, 175, 104, 211, 239 –242, 244, 245, 250, 310. „ბარამ ალ გურჯ (ე ი. ვახრამ ქართველ “) 245.
გაგელი ზაქარია ვარამ ს ძე, ზაქ რია I ის შვილისშვილი, 118, 119, 237, 238, 239, 240, 241, 242, 244, 245, 247, 248, 249, 251, 252, 296, 297.
გაგელები („ვახრამაც ტუნ ვახრამ ს სახლი), 241, 243, 244.
განძაკეცი კირაკოს, 43, 150, 163, 164, 167, 171, 175, 176, 184, 188, 211—213; 215, 216, 218—220; 222, 225, 231, 232, 238, 239, 242, 244, 245, 254, 257, 260, 262– 269, 273, 278, 295, 309, 312, 313, 316.
გ მრეკელი თორელი (იხ. თორელი გ მრეკელი)
გარეგინ კათალიკოსი, 289.
გვანც (რაჭის ერისთავთა კახაბერისძეთა ასული), 166, 262, 269.
გვრიტიშვილი დ. 5, 25.
გიორგი I, 49.
გიორგი II, 123, 126, 127 –131.
გიორგი III, 6, 7, 11, 17, 22, 25, 26– 30; 34, 35, 37, 40. 41, 47, 62, 64 69; 73, 77, 79, 80

86; 89, 90. 92, 93, 96—105; 110, 115 –122; 124. 126, 135, 139, 148 159, 165, 171 174; 189, 192. 200, 203, 228, 229, 237, 240, 242, 274, 276 282, 294 –296; 299—301; 305.
გიორგი IV ლაშა, 42, 45, 50, 60, 62, 63, 75, 78, 140, 144, 161, 163, 242, 249, 250, 289, 306, 308, 311, 312, 314.
გიორგი ბერი მხარგრძელი (იხ. მხ რგრძელი ბერი გიორგი).
გიორგი V ბრწყინვალე, 49, 50, 51, 262.
გიორგი უფლისწული (დვით ულუს ძე 1260), 273.
გიორგი (ვ ნდრტის ეპისკოპოსი, XI ს. ბოლო), 231.
გიორგი რუსი (იერია, ანდრია ბოგოლუბსკის ძე, თ მარ მეფის პ რველი ქმარი). 69, 70, 80, 86, 87, 89, 90, 93– 95; 105 –108; 127, 129, 132, 136, 141, 147, 205, 237, 238, 240, 241, 291, 296, 298, 303.
გიორგი მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი (დავით აღმაშენებლის ვაზ ოი) 82, 96, 97, 307, 309, 312.
გრიგოლ II ასათ I-ის ძე (ჰ. ინგოროყვას აზრით მანდატურთუხუცესი (1163—1177) 22. 119, 120, 126.
გრიგოლ III ასათ II-ის ძე (პერეთის ერისთავი თამარ მეფის დროს, ჰ. ინგოროყვას აზრით, მეჯუჯრეთუხუცესიც, შოთა რუსთაველის მამა) 141—144, 305.
გრიგოლ (ქართველის ძე), 222.
გრიგოლ (ვ ნდრტის ეპისკოპოსი XII ს.) 231.
გრიგოლ ანელი აპირატის ძე (var. გრიგოლ აპირატი, სომეხი ფეოდალი, ორბელთა 1177 წ. ამბოხების მონაწილე), 119, 156, 284 286.
გრიგოლ ნოსელი (იხ. ნოსელი გრიგოლ).
გრიგოლ სურამელი (იხ. სურამელი გრიგოლ).
გრიგოლია კ. 106.
გრიგოლის ძე ასათ II, 141 144.
გრიგოლისძენი, 68.
გრიგორი (სომეხთა მამამთავარი კათალიკოსი XII ს. 80 იან წლებში), 64.
გრიგორი (სომეხთა ეთ ე რეპისკოპოსი XII XIII სს. მიჯნაზე), 262.
გუბალიანი ლ. 283.
გუბან ტოსკარელი (იხ ტოსკარელი გუბან).
გულაბერისძე ნიკოლოზ (იხ. ნიკოლოზ გულაბერისძე).
გურგენი (ქვირიკე I, ტაშირ ძორაგეტის მეფე X ს.) 236.
გურგენის შვილი აშირა, 114.
გურგენისძე იჩჭით, 114.
გუსიე ჟ. 5, 25.

დ დიანი ვარდან, 145, 148 –152; 205, 238, 248, 297.
დადიანი ვარდან კონსტანტინეს ძე, 151, 152.
დ დი ხ ივანე, 142, 152.
დადიან კ ისტ ნტი (კონსტ ნტინე), 151, 152.
[დ დიან] მ რტიანი (თამ რ მეფის კ რის მოხელე), 152, 153.
დადი ნი შაყა, 150.
დ დი ნი ნიკო, 149.
დად ანი ცოტნე, 193.
დ ვით IV (ღმაშენებელი), 300.
დავით არდაძ რის ძე, 271.
დავით კურაპალატი, 234.
დავით ლაშას ძე, 242, 245, 314.
დავით ნარინი 313, 317, რ სუდანის ძე 314.
დავით სოსლანი, 169, 180, 196, 197, 298.
დავით ქობ ირელი, 288, 289.
დ ვით ხეშაშ ის ძე, 262.
დალიანინე ლ. 276, 278, 284.
დემეტრე I, 156, 165, 228, 229, 259, 276, 277, 279, 286, 300, 301, 305.
დემეტრე II, 262, 317.
დემეტრე უფლისწული (მეფობაში დემეტრე II) 316.
დიაკონოვი ი. 225
დოლგორუკი, 253.
დოლგორუკი ზაჭარია (მხარგრძელი), 306
დოლგორუკი იონე (მხარგრძელი) 306.
დოლგორუკოვი, 216.
დოლიძე ი. 272, 273, 312, 314, 315.
დონდუა ვ. 187, 188, 189, 200.
დოსი (სარვის მხარგრძელის ასული), 278.

ელდიგუზ ათაბაგი, 119, 281—284.
ელიბეკი (სომეხი ფეოდალი, გიორგი III-ის დომენ ს ერთ ერთი გამგებელი), 65, 118, 287
ელიგეთი (ორბელი, XIII ს. შეაწლები), 166.
ელ კალაშანდი, 220.
ემინი ნ. 44, 46, 167, 259, 262, 268, 301, 309, 313.
ერევანცი სიმეონ, 167.
ერზინკანცი ოვანეს, 209.
ერზინკიანი, 226.
ერკაინან ზუკიო (მხ რგრძელი სომხურად), 196, 210, 227, 244.
ერ მიანი ს. 64, 65, 80. 81, 83, 114, 115, 118, 127—129; 131, 132, 138—140; 168, 187, 196 198; 217, 233, 243, 244, 247, 256, 277, 279, 287, 288, 291, 292, 300, 302, 306, 307.
ერიცლე ა. 119, 212, 222, 224.
ეფრემი (სომხეთის პატრიარქი), 215.

ვანენი (ნ ნ ნანე) სარვის მხარგრძელის ასული, 223, 224, 226.
ვანენი (სადუნის ქ ლიშვილი), 251, 270, 272.
ვარ მ ქ ბამან გ გელი (იხ. გ გელი ვარამ ქ ბამან).
1. ვარამ ქ ბამან მხარგრძელი (იხ. მხარგრძელი ვარამ ქ ბამან I)).

ვარ მ||ვაჩარამ მხარგრძელი (იხ. მხ რგრძელი ვარამ||ვაჩარამი (2)).
ვარამ||ვაჩარამ მხარგრძელი (იხ. მხ რგრძელი ვარ მ||ვაჩარამ (3)).
ვარ მ|| აჩარამი, აღ ულა ძე (ვარამ გაგელის შვილისშვილი), 242.
ვაჩარამი (სომეხი ფეოდალი, მამა თბილისის გამგებლის ესაკისა და ჭურჭისა, სიმამრი სარგის მირსპასალარისა), 277.
ვ რდ ნ არიველი (სომეხი ისტორიკ. XIII ს.), 164, 165, 170, 176, 188, 211, 213, 215, 216, 218 222; 225, 240, 228, 230, 233, 236, 238, 242, 245, 252, 254, 258, 259, 264—266; 268, 279 281; 285, 298, 308, 313.
ვარდანისძე, 169
ვარდ ნისძე ვარდ ნ (XI ს. მოღვაწე), 152.
ვ რდანისძე კ ხაბერ, 29, 30, 59, 85, 89, 95, 113, 115, 116, 127, 141 143; 148, 155, 160, 262. 269, 292, 316.
ვარდანისძე იოანე|| ვანე (სვანთა ერისთავი, შეკერპლეთუხუცესი, პროტოსტრ ტორი XI XII სს. მიჯნა), 110, 123—127; 155.
ვარდანისძე ივანე (ერისთავი ერისთავი, ვარდან კოლონკელიძის შვილ), 116—122.
ვაოდ ნისძე ივანე (პატრონი ი გისა, ქარდ ნ დად ანის შვილი XII ს ბ0-იანი წ.), 121, 20 .
ვარდან ძე ივანე (ვ. ინგოროყვა ს აზრით, მეკერპლეთუხუცესი 1178 წლამდე), 113.
ვ რდან დადიანი (იხ. დადიანი ვარდან).
ვარდან კოლონკელისძე (იხ. კოლონკელისძე ვარდან).
ვახ ვ ვარ მის ძე (თბილისის გ მგებელი), 277, 278.
ვაჩე გუარამის ძე, 312.
ვარუტნებიქ ჩუტიანები, 204, 252.
ვახტ ნგ გორგასალი, 188
ვახტანგ VI, 210.
ვ ხტანგ (დავით ნარინის ძე, მეფე ვახტანგ II, (1289– 1292), 183, 317.
ვახტ ნგ დიმიტრის ძე (მეფე ვახტანგ III, (1302 1308), 317.
ვეხტ ნგ ჩაჩუნის მთავარი), 278.
ვეხოშტი (ბატონიშვილი), 149.
ვილჩევსკი 234.

ზარდი (ივზირი, „ვისრ შიანი"), 35.
ზარტან სძენი, 68.
ზაქარია (I) მხარგრძელი (იხ. მხარგრძელი ზაქარია (I).
ზაქარია (II) მხ რგრძელი (იხ. მხარგრძელი ზაქარია (II).
ზ ქარია (III) მხარგრძელი (იხ. მხარგრძელი ზაქ რია (III).
ზაქარია (IV) მხარგრძელი (იხ. მხარგრძელი ზაქარია (IV).
ზაქარია (აღბერ ს ძე, ვარამ გაგელ ს შვილისშ ლი), 242.
ზაქ რია (ზოშაძი შვილი, ავ ც მხარგრძელის შვილ შვილი) 242, 262, 270.
ზაქ რია ე გელი (იხ. გაგელი ზაქ რ ა).
ზაქ რიანები, 210, 224, 267.
ზაქ რია კანაკერცი (სარკაჟაგი) იხ. კანაკერცი (ს რკაჟაგი) ზაქარია.

თ ადირის ძე ამირა, 114.
თამარ მეფე, 3, 5, 6, 7, 11, 14, 16, 19, 21 23; 26, 35, 39 41; 44, 45, 47, 48, 56 75; 77—98; 100 103, 105 122; 124; 127; 129 —138; 140 141, 145—154; 163, 165, 169, 171—173; 175, 176, 179, 184, 185, 190, 192, 194, 196. 200, 202, 203, 210, 211, 215, 216, 219, 221, 226, 229, 231, 237, 238, 240, 241, 243—245, 248 — 251; 257, 258, 264, 267, 275 — 281; 283, 285 287; 291—312; 319.
თამთა (ივანე მხარგრძელის ასული), 188, 219, 260, 263.
თამთა რაჟაგ სარგისის და), 270.
თაყაიდან თმოგველი (იხ თმოგველი თაყა დინ).
თაყაიშვილი ეკ. 9, 53, 56, 61, 75, 98, 99, 109. 117, 119. 121 123; 125, 129, 133, 149, 152. 171, 181 –193; 260.
თეიდორე პყონლ ოელი, 40, 61, 62, 75, 99, 100
თეიდორე გიორგი პყონდიდელის დისწული), 96
თეოდორე (ნეიახჩის ეკლესიის მამ მთ ვარი). 250.
თეიმურაზ ბაგრ ტიონი, 170.
თ ნათრი (.ეიფხანტ ოსნის" პერსონაჟი), 35 180
თირქაშ აბულეთის ძე (იხ. აბულეთის-ძე თირქაშ).
თმოგველი ს რგის I (იხ. სარგის I თმოგველი)
თმოგველი ს რგის II (იხ სარგის II თმოგველი)
თორელი, 10, 50, 51. 184. 185, 224 281.
თორელი გ ბრ ელ , 29, 33, 34, 56, 68, 90, 91, 94, 95, 106. 107, 119, 153 157; 184, 185 240, 283, 286, 290, 294, 296, 297, 303.
თორელ იოანე, 52, 131.
თორელი ჯაბა, 56, 153—156; 177, ჯაბაი მეკერპლეთუხუცესი, 273.
თორელი შალვა, 241.
თრდატ მეფე, 264.
თუმანოვი კ. 214—216.

იბნ ალ ასირ , 279.
იეზდიგერდი (ირანის მეფე), 212
იოანე (ე ორგი III ის კარის მოხელე), 28.
იოანე (აღბერტ ძე, ი ვარამ გაგელის შვილისშვილი), 242.
იოანე აბ ულიისძე (იხ აბულეთისძე იოანე)
ი ოანე ახალციხელი (იხ. ახალციხელი იოანე (1)).

2. ი ნე [ხალ ხის მთავრის ლ ივანე (2).
ც ი (უ ა რყოფა რე) ჯაყელი (იხ. ჯაყელი უკარ ყო რე (ივანე)).
1. ივანე(ქრისტეფორეს ძე (იხ. ვარდანისძე ვ ნე(ქრისტეფორეს ძე (1)).
ივ ნე ვ რდ ნ ს ძე (იხ. ვ რდანისძე ივანე 2)).
3 ე ნე ვ რდ ნ ს ძე (ხ. ვარდან სძე ივანე (3)).
ს. ივანე ვარდანისძე (იხ ვარდანის ძე ივანე (4).
ივ ნე კოლონკელისძე (ხ კოლონკელისძე ივანე).
ი ნე ორბელ ლიპარიტისძე (იხ. [ორბელი] ივანე ლიპარიტისძე).
ი ნე I მხ რგრძელი ს რგ ს ძე (იხ. მხარგრძელი ივანე I)
ი ნე II მხარ რძელი შ ნშე I ის ძე (იხ. მხარ გოძელი ივანე II).
ივანე [ქობულისძე] (ი [ქობულისძე] ივანე).
იმ დ დინ აბულ ფ ჰი, 18.
ინ (ა ან ყ ლ ს კეც ს ა ლ ისმელი ხელოსანი) 62
ინგოროყვა პ 7, 10, 19, 22, 26, 35, 37 39; 42, 59, 60 63, 69, 79, 80, 91, 95, 104 114, 117, 120 123, 127, 130 132– 134; 136 –138; 141– 147; 150– 155; 181—183; 315.
იო ნე (ქ ართლის კათალიკოსი). 255, 257.
ისანე (ჩანშა მხ რგრძელის ყმა, ხოეორნის ეკ ლე ის წარჩერ ს ე ი ეტ ბელი ხელოსანი), 277.
იოახესიანი, 210.
ირბი, 128, 129, 137.
იოვანე (მწ ი ნობარ თუხუც ე ი ვიორგი III ის კარზე), 27.
იოსებ (ქრირმ დ ინის შ ლი) 114.
ირი ბოგოლუბსკი (ი. ბოგოლუბსკი იური).
იუსტი ფ. 215, 228, 253.
იქ ით ი რგენისძე (იხ. გურგენისძე იჩქით).

კ ა ა ძე ს 7, 10, 11, 12, 17, 45, 58, 86, 100, 106, 108, 109, 114, 123, 143, 144, 146, 148, 172 –180; 191, 193, 217, 219, 220 –222; 237, 239, 242, 243, 245, 258, 290, 292, 319.
კალ ნ კატი კი (სომეხ. ისტ.) 167.
ლმწ ელი სულა, 147.
კ მსარაკ ნები, 214– 216.
კ ნ ერ კი (სარკ ეკი) ზაჭარი , 213, 217, 218, 224, 225, 227 232, 268, 312.
კარაბ ტ ეპისკოპოსი (ტერ-მკრტჩიანი), 153, 223.
კათალ რან კ. (სომეხი მკ ლევ რი , ისტორიკ), 13, 44. 46, 230 232; 246, 2 1, 268.
კახაბერ ვ რდანისძე (იხ. ვარდ ნისძე კახაბერი).
კახო მე ურჭოთეხუცესი (ხ. თორელი კახა).
კ ე ლაძე ი. 29. 32, 35, 48, 58, 83 –85; 119, 224, 244.
კერ კე I, 230.
კერ კე II, 31, 278
კერ კე III, 223.
კვირიკე (1046 –1081). ძორაგეტის მეფე ახპ ტ ს საეპისკოპოსოს დამაარსებელი), 229.
კვირიანნი, 212. 231, 254.
კვირიკი ნ აბან, 193. 224, 225.
კვირიკიანი დ ვით, 230.
კირ ოს განძაკეც ი (იხ. განძაკეც ი კირაკოს).
კოლონკელ სძე ა არდ ნ, 120, 121.
კოლონკელისძე ივანე, 121, 126, 142.
კოლონკელისძე ს დირ, 120.
კონსტანტინე მონომ ხი, 125.
კოპ ტ ბაძე თ , 126.
კო ტ ნიან ი 13, 35, 44, 46, 64 139, 140, 167, 195, 207 214, 223, 226, 230, 246, 250, 251, 285, 287, 289, 291, 294, 297, 300, 301, 314, 317.
პრი შოთ (იხ. შოთა კუპარი).
კ ერ ოს ონ ნი (XIX ს.) 167.

ლ ლაიანი ე. 167, 190, 191, 209, 212, 227, 227, 251.
ლაშა გიორგი (იხ. გიორგი IV ლაშ.).
ლეო (ა ბაბახანიანი ისტ.), 193.
ლეონ (კილიკიის მეფე), 264.
ლეონტი მროველი, 3.
ლიპარიტ ათხაზი (იხ ორბელი ლიპარიტ).
ლორთქიფანიძე მ. 5, 10, 25, 26, 30, 32, 90, 108. 134 136; 138, 142, 143, 188, 255, 279. 280, 283. 284
ლუი IX (ს ფრანგეთის მეფე), 269.

მ თე ურჰაელი (იხ. ურჰაელი მათე).
მ სურაძე გ. 131. 288, 289.
მანეჭ ე, 235
მ ნგუ ყაენი, 313.
მანანდიანი ი. 194, 195, 209, 213, 218, 222, 224, 228 230, 235. 247, 276, 279.
მამაკონიანები, 252.
მ მ ლონიანი სარგის, 139—141.
მანკაბერდელი სადუნ, 130, 131, 262. 270, 272, 315, 317
მარიამ დედოფალი (ქართლის დედოფალი XVII ს. „მარიამისეული ქართლის ცხოვრება"), 32, 47, 58, 111, 149, 152, 153, 210.
მარიამ მეგვიპტელი, 152.
მარი ნ 110 114; 172, 191, 192, 230, 233— 2 5; 253, 256, 279.
მ რ ნე, 56, 57.
მარუშიანი, 29, 68, 95, 145, 151, 152.
მარუშისძე, 169.
მ სუდი ბურ ნ ალ დინ აბუ ნასრ, 280.
მაჩ ბელი, 32.
მ ლალ შვილები, 215.
მ ხ ტლისძენი, 68.
მგალა აბულ ხტ რისძე (იხ. აბულახტ რის ძე მგელა).

მეტრ კალე 114, 271, 272
მესხია შ. 3 8, 25. 62, 108, 110, 127, 129, 130 136, 188, 278.
მელიქ-ეთ-ბეგი ლ 13, 14, 21, 23, 64, 65, 110; 155, 168, 192, 193, 206, 223, 231, 245, 246, 250, 255, 257, 259, 287.
მელიქიშვილი გ 225.
მელ ქშაჰნაზარიანი, 223.
მელიქ-შაჰი, 19.
მზეჭ ბუკი (ჯაყელი, სამცხის თაბ გი) 181 183
მიხორსკი ვ 214, 222, 224, 225, 231, 234 –236; 252, 253, 279—282.
მინასი (ეპისკოპოსი), 265.
მ ქ ელ მირიანისძ (ქ თ ლ ოს პატრიარქი), 28, 29, 84, 85 92; 94, 95, 100—102; 272, 312, 314.
მიქაელ მონ ზონი (ბიზანტიის იმპერ ტორის ბოტანიატის პირველი მინისტრი), 99.
მო ბ დი შაჰი („ეისრაშიანი"), 35.
მონომ ხი კონს ნტინე (იხ. კონსტანტ ნე მო ნომახი).
მურადიანი პ 250, 258, 266
ოროველი ლეონტი (ხ ლეონტი მროველი).
მუსხელიშვილი დ. 132, 134 150, 222, 236, 277.
მესხელიშვილი ლ. 7, 10, 13, 14, 37 43; 45, 48 56, 57, 59, 132, 143, 147 150, 217, 246.
მოუპოვებ ბნ შედადი, 235.
ახაოგანძლები, მხარგრძელ , 161 178, 184, 190 202, 204, 209—218: 220 225, 227, 231— 233; 236, 250 254; 257, 259, 276. 278, 285, 286, 294—300. 302, 304 310; 312, 314 317.
მხარგრძელი ავაგი (სარგისის შვილისშვილი, ათა ბაგ ამირსპასალარი, იგ ნეს ძე (+1250) 44— 46; 76, 162. 163, 166, 169, 186, 195, 209, 249, 260, 264, 268, 272, 273, 311— 315.
მხარგრძელი ავაგ-სარგისი (+1268), შაწვე I-ის ძე, 195, 251, 269. 274, 374, 316.
მხარგრძელი აღბუღა, შაწვე I-ის ძე, 318.
მხარგრძელი აღბუღა, ივანე II ის ძე შ წვე I-ის შვ ლისშვილი, 271. 272, 315, 318
მხარგრძელი არდაშირი‖ რტაშ რი. შ წვე I ის ძე, 251, 269, 271, 272, 316, 318.
მხარარძელი არდაშირი‖ირტ შ რი, კანე II-ის ძე, 318
მხარგრძელი არღუთაშვილები, 215, 216.
მხ რგრძელი ბერი გიორგი (შაწვეს-ძე), 270.
მხ რგრძელი (იე შაწვე მხარგრძელისა). 251
მხარგრძელი დავითი (არტაშირის-ძე), 271. 318
მხარგრძელი დოპი (შეშანი, ზაქარია II ის დ), 278, 318.
მხარგრძელი ვარ მ‖ვარ მ (ზ ქ რია I-ის ძე, ძმა სარგის ამირსპ სალარ ა. მამა სარგის თმოგველისა და ზაქარი გაგელისა, გიორგი III ის თანამედროვე), 187, 192, 226, 227. 237 238. 242. 243 248. 249, 252, 256, 296.
მხარგრძელი ვარ მ (მ. ბრთხეს ვარაუდით იგივე ქარიბი. ძმა სარგის ამირსპასალარისა), 227.
მხ რგრძელ ვ რ მ (ვირაკ ის, ვარდანის და ზ ქარია ირაკლიაგის ცნობით, მამა სარგის მირსპასალარისა), 225—228.
ახარგრძელი ზაქარია (I) (ავაგ სარგისის ძე), ს რგის ამირსპასალარისა და ვ რამის მ მა), 191, 192, 225 229; 237, 238, 254, 276, 277.
მხარგრძელი ზაქარია (II), ამირსპასალარი (+1212), 45 48: 57—59; 62, 68, 94, 107, 108, 139, 141, 150, 167, 169, 175, 184, 186, 188, 189, 210 213; 216 218; 222, 223, 240, 242, 248, 250 254, 259, 264—270, 280, 291, 294 -302; 304— 313, სარგისის-ძე, 159, 160, 162 166; 178- -183; 190, 192, 275, 285, 295 300; 303, 304, 319; დიდი სარგისის ძე, 31, 33 35; 37, 38, 40, 41, 194—197; 199—201; 204, 205, 208, 227; მანდატურთ-უხუცესი, 16, 23, 24, 192, 227, 229; „დიდი ამბ ნი", 239.
მხარგრძელი ზაქარია (III), შაწვე I-ის ძე (ამირსპასალარი +1262), 260, 269, 273, 274, 314— 316
მხარგრძელი ზაქარია (IV), ათაბაგი, შაწვე II ის ძე, 271, 272
მხარგრძელი ზაზა (ივანე II ის ძე), 318.
1. მხარგრძელი თ მთა (სარგისის ასული, ზ ქარი I-ის და), 318.
2. მხარგრძელი თ მთა (ივანე I ის ასული), 188. 219, 260, 261: გურჯი ქალ ტონი, 263, ავაგ სარგისის და, 270.
მხარგრძელი ივ ნე (I), (+1227), 8, 11, 23, 39, 44 47, 58, 60, 61, 73, 119, 139, 169, 172, 173 175, 194, 195, 211, 213, 219, 223, 224, 227, 229, 240, 242, 244, 247— 251; 253, 254, 257 270 291, 297, 299—302: 304 311, 313, 314; სარგისის ძე, 137, 159, 162— 166 184 186. 189, 189, 195, 197, 199, 202, 204 207; 237. 275 282: 295 297, ათაბაგი, 145, 146, 204, 205, 207, 257, 261: „ალ-გურჯი" (ე ი. ქართველი); 264. „დიდი ამბ ნი", 239.
მხარგრძელი ივანე (II), შაწვე I ის ძე (შანდატურთ ხუცესი), 269, 271— 274; 316, 317.
მხარგრძელი ნანე‖ვანენი, ინანა (სარგის II-ის ქალი), 278, 318.
მხარგრძელი ნრდკისი (სარგის II-ის ქალი), 278, 318.
1 მხარგრძელი სარგის ავაგ სარგის (ხოსროს ძე, ზაქარია I-ის მამა), ქურთთა გვარიდან, 189. 212, 214: ზაქარია II-ის პაპის მამა, 212.
2. მხარგრძელი ს რგის (+1187), 29, 30, 33, 34. 43, 44, 59, 64 67: 79, 83, 84, 90, 91, 93, 95, 102, 107, 118, 137, 150, 153, 156, 159— 163; 165, 166, 175, 177, 184, 185, 187, 189— 192; 214, 222, 237, 243, 244, 248, 253, 258.

275, 289, 290–296; 298, 299, 301, 315, 319, ქრ ა I-ის ძე, 247, 276–280, 283, 285 –287, 300, ამ რსა სალ რი, 195, 197; –201, 2 2–9; 270, 279, 296; ზაქ რი ნ ოშ ნი, 252; ანასის გ მგებელი, 189, 250–282.
მხრ ლ ძლი შ ||შაჰნშა (I) (+1262), 45, 167, 188 0 , 12, 2 2, 271 273, 315, 317; ზ ქ რი მხრ ძოლ ძი. 43, 44, 162, 163, 16 166, 180, 181 190, 242, 251, 259, 261, 268 270 272, 277, 299, 307, 310– 316; მან ტ რთულებისი, 46, 47, 246, 249 –251.
ი ოვძელი შ ნ (II), 251 271, 272, იოანე I ს ძ დ შაწყს შვილ შვილი, 317; მრხას ლარ ა იაბაგი, 318.
მხ რ ძელი შაჰანშა (III), ათაბაგი, ზ ზას ძე, 318.
ი ოვძელი ხორიშა (ტანქიჭა), 278.

ნ რ ნ ი (იხ დავით ნარინი).
ნერსე ათ ლიკოსი (ერ რ ეთის ან შაჰ აზიზი სი), 215.
ნესტ ნ დარეჯანი (ეფხისტყაოსნის პერსონა ჟი), 36.
ნ ზამი, 210
ნიკოლ ი, 19.
ნ ტრონი, კ 234.
ნი ოლოზი (წმ. ნიკოლოზი), 152.
ნიკოლოზ ბერ სძე (ქართლის კათალიკო სი), 87, 88.
ნოსელი გრიგოლ, 257.
ნ რ ყის (იხ მხარგრძელი ნრდყის).

ოვ ნეს კ თალიკოსი, 264.
ოვ ნე ნელ ოვ ნის (ანანიის ნიჩამძღვ რი XII ს 80-ი ნ წლებში), 139, 140, 291.
ოვლეპიას გ. 310
ონოფრე (ივ ნე მხარგრძელის უფროსი მწიგ ნობარი), 246.
ორბელი ||ორბელიანი (ორბელები||ორბელიან ბი), 9, 10, 14, 17, 62, 67, 79– 81; 83, 113, 114, 116 121; 153, 192, 200, 204, 209, 210, 223, 224, 247, 252, 276, 277, 283, 284, 286, 289 292; 295, 298, 301.
ორბელ ელიქუმ XIII ს.), 185.
ორბელ ივ ნე (I). (ლაშარიტის ძე, „დიდი სპასალარი", მანდატურთუხუცესი და ამირსპა სალარ ივ ნე თ ძღ ბენების დროს), 13, 14. 17, 18, 21, 22, 26, 96, 293.
ორბელი ივ ნე (II), სუმბატ (I) ის ძე, (ამირსპა ს ლარი და მანდატურთუხუცესი გ ორგი III ის დროს) 16, 17, 19, 20, 32, 33, 154, 155, 248, 277, 279, 280, 283 –285; 287, 288, 301, 303; ორბელიანი ივანე, 104,

რბელი იოსებ (მკვლევარი), 168. 195, 213,

–114, 22 –26, 163, 265, 266, 279, 288, 313.
ორბელი ლიპარიტ (I), (მამა ივ ნე I-ისა, დავით ღმ შენ ბლის ი ან შვილოვე), 19 –22, 258, „ ლ სარდა ა ხაზი", 23.
ორბელი ლიპარიტ (II), (სუმბატ I-ის ძე, ივანე I ის შვილ შვილი, ძმ ივანე III ის. ამირახორი 1177 წ მდე), 104, 131, 153, 154.
ორბელი სუმბატ (I) (ივანე I ს ძე, ამ რსასალარი დ მანდატურთუხუცესი), 13, 14, 17, 22 258, 279, 301 303, მანდატურთუხუცესი (1128– 1155 წწ.) 21, 126; სუმბატ სვმონ ქმხილი, 13, 14, 15.
იობელ სუმბატ (II, ივ ნე II ის ძე), 14.
ორბელი სუმბ ტ (III), (XIII ს.), 186; ორბელ ან სუმბატ, 262.
ორბელი ტ რსაჯ (XIII ს.), 207, 315, 317.
ორბელი ქაჯთარ (სუმბატ I-ის ძე, იოანე II-ის ძმა, მეკინ ბეთუხუცესი), 104, 105.
ორგანიანი მ. 193, 222, 223.
ოეს ყმა||ოისუყმ ||ოსიყმა, 37– 39; 59 62; 143 –145, 117.

პ რ ნ ნები, 204.
პატკანოვი კ. 259.
პე ტერსი პ. 125.
ეტრე (ეგვეტირის ამშენებელი), 260.
პოღოსიანი ს. 199, 247.

შორანია თ 9, 53, 75, 82, 106, 151, 152, 171, 258, 260, 273.

რ ტ სურამელი (იხ სურამელი რატი).
რისტეევან მეფე (ეფხისტყ ოსანი"), 35, 36.
როსტომაშვილი ი 49.
ოლბრუელი გეილიომ (სათრანგეთის მეფის ლუი IX ის საგანგებო ემისარი), 169, 188, 219, 269.
რუნი ნცევი, 32.
რ პიშვილი, 215.
რუსთველი შოთ 10, 22, 90, 99, 109, 114, 123, 143, 144, 146, 148, 176—182; 184, 186, 243, 290.
რუსუდან მეფე, 4, 32, 74, 78, 80, 85, 106, 148, 169, 203, 258, 263, 312, 314, 315.
რ 46 დან (რ ვ ს სულტანი), 75.

საკი, 114.
საგდ ხტი (ვარამის ასული, სარგის მხარგრძელის ცოლი), 277.
ს ღ ნი||ხატენი, 252, 280, 281.
სამოელიანი ხ. 195, 196, 201, 209, 302.
სარ ვიტი (ზაქარია მხარგრძელის დედა), 196.
სანობ ი, 37.
1. სარგის||ეგა სარგის მხარგრძელი (იხ. 1 მხარგოძელი, სარგ ს||ეაგ სარგის).

2. ს რგი მხარკრძელი (იხ. 2 მხარგრძელი სარგის)
საოკრ (I) თმოგველი (იხ. თმოგველი სარგის I).
სარვის (II) თმოგველი (იხ. თმოგველი სარგის II).
ს რგის მ მიკონიანი (იხ. მამიკონიანი სარგის).
სარგონ II, 225.
საღირ ბუზაკაგის ძე, 114.
საღირ კოლონკელისძე (იხ. კოლონკელისძე საღ ო)
სახ ი ნი პრომა, 314.
სკაბ ლანოვიჩი, 98, 99.
სკლი როსი რომანი, 125.
სიგნიელი სტეფანე, 23.
ს მეონი, 232.
სტეფნაძე ჯ. 283.
სტეფანე დოლისყანელი, 112.
სოკრატი („ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი), 36.
სუმბატ სპონ ქილი (იხ. ორბელი სუმბატ).
სულა კალმახელი (იხ. კალმახელი სულა).
სომხათაშელი, 214, 216.
სუმბატ (I). (იხ. ორბელი სუმბატ I).
სუმბატ (II), (იხ ორბელი სუმბატ II).
სუმბატ (III). (იხ ორბელი სუმბატ III).
სუმბ ტ (ტ შირ ძორ გეტის მეფე), 230.
სუძაკ ძე ამაზასპ მარზპანისა, 139—141.
სურ მელი გრიგოლ, 316.
სუქიასი, 64.

ტაოსკარელი ეზნან, 70, 128, 137, 147.
ტარიელი („ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი), 36, 180, 181
ტ რსაიანები, 252.
ტიგრ ნი (ზაქარია ამოსპასალარის შონა), 308.
ტერ ართუნი ნ შაახიზი ნი (იხ. ნერსეს არქიეპისკოპოსი)
ტერ-გრიგორიანი ტ. 224.
ტერ შოქსეიანი, 64.
ტერ-ოვანე ი ჰოვანესი, 229, 230, 232.
ტერ-ოვან ი ანი (XIX ს.), 167.
ტერ სარგისი, 232.
ტიგრან ჰონენცი (იხ. ჰონენცი ტიგრან).
ტიზენგა-ეზენი ვ. 220.
ტოთან-ემი (ახპატის წინამძღვარი), 232.
ტიშენდორფი, 114, 271.
ჩოჯარსკი ნ. 190, 209, 266.
ტოლსტოი, 253.

უოლ დაიდი (იხ. დაით ულუ).
უულუ ყ ნი, 315.
უნდილ ძ მლაქანის ძე, 114.
ურ ელი მათე, 276.

ფაალუხიშვილი, 215, 243.
ფალ ეახლიდი, 215.
ფალავანდიშვილები, 214—216.
ფ რსამიანი ე. 199.
ფალავიანი (ელდიგუზის ვ-ქიშვილი), 282.

ქ იხოსრო I (იხ. ჯაყელი ქაიხოსრო I).
ქარიმი (მხარგრძელთა წინაპრის ხოსროვის ვაჟი), 177, 190, 213, 216, 226, 227, 242, 243, 275.
ქება, 49.
ქ ჰრ‖თირქ ში აბულეთისძე (ხ აბელეთისძე თირქაში)
[ქობულისძე] იოანე (მწიგნობართუხუცესი), 85.
ქობაირელი დავით, 131, 134, 135, 169.
ქუთათელი ანტონ (იხ. ანტონ ქუთათელი).
ქურდ , 139, 140, 141.
ქსენოფონტე, 234.

ღაფადარიანი ქ. 139, 140, 167, 214, 223, 226, 227, 294, 295, 301, 311, 312, 317.
ღობაირი მურვან, 114.
ღრმელი, 226.

ჟაოხრიშვილი ს. 28, 29, 31, 48, 90, 118.
ყუბასარი (ამირსპასალარი, 1178 1185), 28, 29, 31, 33, 59, 65, 81, 83, 84, 91—93; 100, 102, 103, 105, 110, 113, 130, 131, 157, 179, 283, 287, 288, 290, 291—294; 301, 303.
ყუთლუ არსლანი (მეჭურჭლეთუხუცესი, 1178—1185), 6, 11, 28, 29, 33, 59, 63, 81, 83, 84, 93, 95, 103, 110, 111—115; 127, 130, 132, 141, 148, 288, 293.

შანიძე, ა. 45, 46, 260, 261, 262, 268, 310, 315.
შაპუიჯი („იშხანაც-იშხანი"), 214, 216.
შალვა (მეჭურჭლეთუხუცესი, შემდეგ მანდატურთუხუცესი), 49, 61.
შალვა (მხარგრძელი, სარგისის-ძე), 184.
შალვა (მხარგრძელი ზაქარიას-ძე), 175.
შალვა ჯაყელი (იხ. ჯაყელი შალვა).
შალვა ახალციხელი (იხ. ახალციხელი შალვა).
შანშე‖შანშა (I) მხარგრძელი (იხ. მხარგრძელი შ ნშე I).
შანშე (II) მხარგრძელი (იხ. მხარგრძელი შანშე II).
შანშე (III) მხარგრძელი (იხ. მხარგრძელი შაანშა III).
შაანშაჰი (ანისის ამირა აორგი III-ის დროს), 282
შარვანი, 252.
შაქნაზარიანი ას 191- 194; 210, 217, 218, 222—225; 227, 228, 230, 233, 238, 247, 248, 254, 276, 279, 285, 286.
შედადინი‖შედადიდები, 149, 283, 285.
შეთად ნი („ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი), 36.
შიომი, 191.
შოთა ართავაზის ძე, 119, 126.
შოთა 107.

შოთა ლრ გოლის ძე, 141—144.
შოთა ყოპრი, 315.
შოთა მეჩურჩლეთუხუცეს (XIII ს), 121, 145, 146.
შოშიაშვილი ნ. 10, 19. 21, 26, 37, 38, 41—43; 48, 50, 51- 54; 56, 58—61; 106, 108, 109, 111, 117, 120, 121, 129, 138, 142—146; 151, 152, 155, 156. 184, 185, 273.
შუბერკერი ე. 125.

ჩამჩიანი მ. 189, 212, 222, 226, 233, 252, 284, 285.
ჩიტაია გ. 37.
ჩუბინაშვილი გ. 122, 123.

ცინცაძე ი. 85, 86, 87. 90. 91, 92, 94, 100, 101, 127, 1 9, 187, 219, 222, 305.
ცისკარიშვილი ვ. 37, 49. 50, 54.
ცოხისჯვარელი ყუარყუარე, 182.
ცქ ტიშვილი გ. 236.

წერეთელი გ. 187, 220.

ჭიაბერი, 28, 29, 30, 33, 34, 41, 42, 43, 46, 47, 48, 57, 58, 59, 67, 68, 83, 94, 95, 102, 103, 105 110; 113, 151, 294, 297, 300, 303.
ჭყონდიდელი ანტონ (იხ. ანტონ ჭყონდიდელი).
ჭყონდიდელი თევდორი (იხ. თევდორე ჭყონდიდელი).
ჭყონდიდელი არსენ (იხ. არსენ ჭყონდიდელი).
ჭყონდიდელი გიორგი (იხ. გიორგი ჭყონდიდელი).

ხაჩატურ მოძღვარი, 64.
ხალ ლი, 114.
ხვარას (მსახურთუხუცესი), 205.
ხე რაზმშა („ეეფხისტყაოსანიო"), 36.
ხვ შაქ ლი (რატი სურამელის დედა), 113, 260. 261.
ხოსრო, 195, 213. 214, 216, 218, 232, 242, 243, 275
ხოსრო მხარგრძელი, 177, 190.
ხოსროვი, 175, 191, 226, 229, 231.
ხორ შაჰი (ტანჭრა). (იხ მხარგრძელი ხორიშაჰი (ტანჭრა).
ხორიშაჰი (ხოშ ქი შანშე მხარგრძელის ცოლი), 268.
1. ხოშაქი (მსახურთუხუცეს აფრიდონის ცოლი) 60.
2. ხოშაქი (ივანე მხარგრძელის, ათაბაგის ცოლი), 311.
3. ხოშაქი (შანშე მხარგრძელის დედა, ივანეს ცოლი), 45, 46.
4 ხოშა||ხოშაქი (ივანე ათაბაგის ცოლი), 259—262, 268.
ხო ქ ||ხოშა (ათაბ გის სარგისის ცოლი), 260. 261, 262, 270.
ხოჯა შამსადინ ||ს ჰიბ დივანი, 262.
ხუარაშანი (დავით მხარგრძელი, არდაშრისძის ცოლი), 271, 272.
ხურსიძე ივაგ. 61, 62, 99.
ხუტლუბუღა სადუნის ძე, 317.

ჯაველიშვილი ი. 4, 6, 7, 9, 12, 18, 24, 25, 26, 27, 29, 31 47, 56, 58. 64, 69, 73, 84, 85, 86, 87, 88, 90, 91, 95, 96, 98, 101, 102, 106, 110- 114; 133, 134, 146, 171, 172, 184, 188, 206 217, 222, 241, 252, 263, 273, 279, 284, 292, 293, 302, 308, 316.
ჯალაბაძ, 62.
ჯაღალიანცი ს. 64, 167, 287.
ჯალალ ედ დინი, 76, 245, 263, 313, 314.
ჯან შია ს. 3, 110, 111, 186, 187, 199, 216, 222, 253.
ჯანაშვილი მ. 111—113; 171.
ჯ ნფოლადიანი რ. 223.
ჯაყელი კრავაი, 56, 113.
ჯაყელი ჭაიხოსრო I 183.
ჯაყელი ყუარყუარე (ივანე) სამცხის სპასალარი, 50- 54; 144 148.
ჯაყელი ბოცოსძე, 113.
ჯ ყელი მეშნა, 119.
ჯაყელი სარგის I, 50, 51— 56; 269, 273.
ჯაყელი სარგის II, 53.
ჯაყელი შალვა ძე ბეჭა მანდატურთუხუცესის, 49, 50, 51, 52, 54 57; 144.
ჯაყელები, 50, 71, 111, 113.
ჯაფარიძე რ. 188.
ჯუჯა პაპი (სარგის მხარგრძელი) 191.

ჰამაზასპ. მარძპანი, 139, 140, 141.
ჰასადანი, 282.
ჰასანი (არცახის მთავარი), 278
ჰასან ქაენელი, 118, 119.
ჰასანი, 139, 140, 141.
ჰაღბაკიანები, 252.
ჰოე ნეს I, 231.
ჰოე ნეს II, 231.
ჰოვანე (ტერ-ოვანესი), 232.
ჰოვსეფი, 231, 232.
ჰოვსეფიანი გ. 202, 205, 217.
ჰონენცი ტიგრან, 44.
ჰონორიუს III (რომის პაპი), 169.
ჰორტი ჰ. 18.
ჰრანუში (სუმბატის და), 230.
ჰსელოსი (მონაზონი), 99.
პულ ვე ყაენი, ილხანი (ხოშაქის ქმარი, 1256 — 1265), 262.

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი *

ა ასაბორი, 65.
აზი , 208
აზერბაიჯანი, 282.
ათონი, 85, 114, 151, 152, 183.
აიოვ ნჭი, 291.
ლბ ნეთი, 169, 278, 284.
ამიერკავკასია, 188, 191, 214, 233, 235, 236.
ნისი, 15, 16, 27, 28, 35, 43, 44, 46, 61, 104, 149, 154, 157, 165, 171, 189, 190, 192, 207, 213, 35, 236, 248, 250, 252, 256, 259, 262, 265, 266, 267, 277, 279, 280 286; 298– 300; 304. 308, 309, 311, 313, 316.
არცახი, 278.
არტ ნი, 55, 56.
არდაველი, 304, 308.
არტანუჯის ციხე, 55.
არუჩი, 246, 251, 317.
სერასტანი ასურისტანი, 233, 254.
ათხაზთა სამეფო (დ საელეთ საქ რთველო), 99, 203.
აქემენიდთა ს მეფო, 160.
ალარწინი, 64, 65, 83, 118, 127, 131, 170, 223, 277, 287, 289, 291.
ალჯაყალა გაგის ციხე, 150.
ამოცი, 44.
აჭარა, 55.
ახპატი(ს ტი, 44, 170, 212, 216, 226, 227, 229, 232, 251, 266, 272, 274, 300 (იხ. ჰალბატი).
ახტ ლა, 260.
ხალჭალაქი, 282.
ყური, 260.

ბაბილო ი(ბ ბრაკ ნი „ბაბირაკან ხელენ" (ბაბილონ ს ქვეყანა), 176, 191, 211, 212, 213, 216, 218, 219, 224, 225, 228, 232, 236, 238, 254.
ბ გნაირი, 205, 302.
ბანუშ ჩას ხეობა, 222
ბ რე ტას ქვეყანა, 224.
ბარშუას ქვეყანა, 224.
ბ ს ნ , 41, 42, 4 46, 56, 75, 97, 100, 108, 241, 257, 303, 304, 305.
ბედია, 152.
ბეთანია, 14, 16, 17, 21, 23.
ბერთ ი[ნ]ბერდი, 44.
ბერეთი, 260, 261, 262.
ბიზანტია, 98, 99, 100, 125.
ბიჭვინთა, 76, 301.
ბოლნისი, 252.
ბორჩალო, 190, 212, 228, 251.
ბუშეტუს ქვეყანა, 224.

ბჭ 61, 117. 123, 124, 150, 205, 241, 243, 297.
განძა(განჯა, 31, 32, 97, 235, 241, 245, 248, 250, 297.
განძაკო, 46.
განძანი, 48—52; 54 58; 144.
გარეჯა, 33, 84, 87, 89, 207.
გარნისი, 259, 310.
გელათი, 82.
გელაჭონი. 137, 202. 297, 298.
გორაღელეჭი. 298.
გორაშაკანბერდი, 259
გუგარეთი, 189.
გუნია-ყალა, 6, 37, 41, 47, 48, 51, 55, 57—65; 69, 70, 143, 144.

დებედა, 247.
დვინი, 192. 206, 207, 235, 237, 266, 296, 299.
დიალა (მდინარე), 225.
დმანისი, 282.

ევროპა, 208.
ეგვაყი, 245.
ერევანი. 150. 212, 233, 252, 260.
ერისწყალი. 149.
ეჩმ ძინი, 267.

ზ იაქორი, 259.
ვ ნანდის მხ რე, 197.
ვანი (თურქეთი), 263
ვალაშკერტი, 256, 313.
ვ რძია, 60. 65, 207. 303 305.
ვაჯანის ქვაბი, 40. 169, 245, 246, 251, 258.
ვლაჭრნას (ბედიის) ღვთისმშობელი, 152.

ზაგროსი (მთა), 225, 233.
ზარზმა, 53.

* შე დგინა ალა ქაჭარავამ.

თალიში, 315.
თეთრი წყარო, 61, 99.
თეოდოსიოპოლი, 278. (იხ. კარნუ ქალაქი)
თბილისი, 62, 127 135; 141, 166, 207, 277, 278, 298.
თმოგვი, 68, 130, 156, 157, 241, 243, 247, 294, 298.
თორის ხევი, 119, 221.
თორი, 154.
თრიალეთი, 38, 60. 62, 282.
თურქეთი, 263.

იერუსალიმი, 88, 262, 271.
იკონიონი, 17.
ირანი, 202. 210, 214, 306, 308.
იშხანი, 64.

კ ენი, 65, 70, 118, 119, 131, 134, 135, 137, 149, 150, 205, 238, 288, 290, 297.
კაეწონი||კაიწონი, 118, 119, 137, 150, 205, 297.
კაკკასია, 126, 191, 214, 234, 253, 259.
კარი, 134, 135, 197, 201, 241, 256, 257, 304, 305.
კარინი, 288.
კარნუ-ქალ ქი, 62, 75, 136, 138. (იხ. თეოდოსიოპოლი).
კარალე, 225.
კარნიფორი, 55, 56
კაწარეთი, 150.
კახეთი, 60, 68, 203
კვირიკიანთა სამეფო, 275.
კილიკია, 264.
კიმოთისმანი, 58
კისის ხევი, 33, 90.
კლარჯეთი, 55, 56, 96, 134, 137, 170.
კლდეკარი, 23.
კოლა, 55, 56.
კონსტანტინოპოლი, 99.
კორიდეთი, 110—114.
კოშკი, 45, 260, 261, 268, 300, 310, 315.

ლაბეჭინი, 111, 121, 122, 124, 125.
ლანჩვანი, 122.
ლეკეთი, 126.
ლენტეხი, 123.
ლეხხუმი, 75, 99, 117, 119, 123, 125.
ლიხ ური, 53, 54.
ლიხი, 70.
ლიხთიმერეთი, 119, 124.
ლორე, 29, 61, 103, 119, 130, 140, 165, 178, 190, 192, 212, 223, 257, 259, 265, 267, 282, 28 , 289, 293 —296; 308, 311, 313.
ლორე ტაშირი, 12, 14, 230, 250, 257, 259, 274, 275.

მანა, 224.
მაიდონი , 89.
მარანდი, 241 (მ რანდელნი), 308.
მ ჰკანაბერდი||მახკ ნაბერდი, 203, 277, 288, 292.
მესოპოტამია, 233, 235.
მესტია, 121, 122, 124, 126.
მთიულეთი, 107, 108, 133, 135, 136.
მი ნაშენი, 65.
მუხრანი, 97.
მცირე აზია, 233.
მცხეთა, 109.

ნაირი ურარტუ, 225.
ნამრუ, 225.
ნიგალის ხევი, 55.
ნიკოფსია, 70, 205.
ნიკორწმინდა, 149, 152.

ოდიში, 149.
ოვანავანჭი, 167 (იხ. ჰოვანავანჭი).
ორბეთი, 70, 134, 205.
ოსეთი, 197.
ოჩამის რა (ოჩამჩირა), 122.
ოძუნი, 191, 250.

პ რიზი, 75.
პეტერბურგი, 191, 192.
პლნძაჰანჭი (ახტალა), 257, 258, 260.

ჟინვანი, 68, 107, 108.

რანი, 203.
რაჭა, 149, 152.
რკონი, 114, 273, 316.
რომგური, 306.
რუისი, 130.
რუსეთი, 3, 101, 110, 127, 278.
რუსთ ვი, 68, 97, 107, 108, 117, 128, 133— 136, 141 143; 297.

საბერიო, 149.
სამთავისი, 33. 90.
ს მშე ლდე, 61, 62, 96, 99.
სამცხე, 55, 70, 137, 145—148; 260, 261, 317.
სანაინი||სან ინი, 13, 14, 16, 17, 22, 46, 138—140; 165, 167, 170, 177, 179, 214 216; 223, 224, 226, 230, 246, 268; 272, 290, 291, 294 295, 297, 300, 308, 311, 317.
საფრანგეთი, 269.
საქართველო, 3 14; 16, 17, 21, 38, 41, 50, 55, 65, 70, 71, 73, 74, 76, 79, 84, 89, 94, 96, 97 100, 104, 107, 110, 119, 124 127; 129, 131, 136, 139 141; 147—150; 177—192;

193 208; 209 214, 216 218; 220 222; 228, 229, 232, 236, 238—241; 250, 254—256; 261, 264, 266, 267, 273 286; 288—296; 298, 299, 301 317; 319.
სვასეთი, 75, 99, 111, 117, 119, 121 –126; 149, 155.
სიუნიეთი, 13, 23, 62, 118, 119, 155, 156, 166, 206, 220, 235, 238, 254, 262, 276, 279, 280, 285, 286, 293, 308.
ინა, 56.
სომხეთი, 118, 119, 134, 139, 140, 150, 164, 167, 168, 169, 178, 186, 188– 209; 213 216; 218, 222, 225, 226, 228 233, 235, 239, 242, 244, 250, 254 257; 259, 260, 266, 276, 278, 279, 284, 285, 286, 291, 293, 300, 303, 307, 310, 312.
სორი (რაჭაში), 152.
სპარსეთი, 50, 55, 104, 178, 212, 224, 232, 233, 235, 241.
სპერი, 55.
სურმ რი, 207.

ბ ო, 55, 56, 139, 140.
ტაშეში, 61, 150.
ტანძეთი, 65.
ტ სისყარი, 55, 56.
ტ შირი, 13, 14, 119, 230, 235, 236, 250, 256, 257, 259, 274, 275, 313.
ტეარნ-ხაჩი, 65.
ტერუნაკანი, 61, 150.

შრ რტე, 225.
ურბნისი, 130.
ურმის ტბა, 225, 234.
უჯარმა, 243.
უხტიაკი (ოლთისი), 269.

შაყი, (ლენტეხის რ ონი), 123, 124.
ფოთი, 99.
ფხოკი, 109.

ქ ლდე, 191.
ქ რთლი, 97, 88, 90, 91, 104, 105, 113, 123, 128, 129 136; 138, 140, 141, 148, 149, 152—154; 183, 188, 203, 236, 238, 255, 279, 288, 289, 292, 309.
ქარპერძის ციხე 243.
ქობერი, 251, 268, 269, 270.
ქუთ ისი, 139, 140.
ქურდეჭანი, 65.
ქურთისტანი, ქურდისტანი, 176, 191, 212.

ჳ რაღაჯი, 259.
ყარაყორუმი, 313.
ყიჩ ყეთი, 97.

ყინწვისი, 98, 99.

შავშეთი, 55, 56, 70, 134, 137.
შანქორი, 27, 28, 31, 40, 83, 97, 108, 146, 241, 243, 249, 303 –305.
შარვანშა, 31.
შაჰნაზარი (სოფელი), 259.
შირაკი, 176, 227, 279.
შირაყვანი, 300, 308, 311.
შ ო ძლევის, 34, 105, 108

ციხის ჯუარი, 147.

ძორაკერტი||ძორაგეტი; 165, 171, 189, 191, 194, 200, 212, 228 230, 232, 235, 236, 254 – 257; 274, 289 292.

წალკა, 37, 38.
წირქვალი, 68.
წოფის ხეევი, 236, 237.

ჭანეთი, 55.
ჭენი (ჭანეთი), 23
ჭყონდიდი, 77, 90.

ხანძორეკსი, 222
ხ ტაეთი, 35.
ხაჩენი, 278.
ხახბის ქვეყანა, 225.
ხოშორნი||ხოჟორნი, 156, 165, 176, 189, 212, 228, 236, 237, 238, 277, 294.
ხლათი (ქურთების დინასტიის ს ტახტო ქალაქი), 235, 257, 263, 282.
ხუნანი, 16.
ხუარასანი, 306.
ხწკონჭი, 308.

ჯაყახეთი, 50, 51, 55, 56, 57, 58, 62, 90, 94, 156, 175, 241, 243, 249, 297, 298, 303, 304.
ჯვარი, 77, 114, 145, 271.
ჯინისი (ქვემო), 60.
ჯოხტაქ ვანჩი, 289.
ჯუმათი, 123 –126, 152.

ჰალალაშენი, 44.
ჰ რიუი, 35, 42, 43, 48, 108, 109, 300.
ჰლბ.ტი, 231. (იხ. ახჰატი).
ჰერეთი, 22, 79, 80, 104, 107, 108, 109, 110, 117, 119. 120, 121, 126, 127, 141, 142, 143, 203, 305.
ჰნეუანჰი, 13, 22, 250, 251, 258.
ჰოვან ვახჭი, 226, 258, 312.
ჰორომაირი, 297.
ჰორომოსი||ჰორომოსი, 300, 313, 317.

შ ი ნ ა ა რ ს ი

რედაქციის წინასიტყვაობა 3
თ ა ვ ი I. ვაჟაზიროს საკითხისათვის XII ს. საქართველოში . . 9
1. საქართველოს ფეოდალური მონარქიის სამოხელეო წყობის ისტორიიდან 12
2. ე ზირი XII ს. მეორე ნახევარში . . 24
3. გუნია ყალის წარწერა და მისი მნიშვნელობა სამოხელეო წყობის ისტორიისათვის 37
4. „ერი ნებობითა და თან დგომით" 61
5. ს ვაჟაზიროს წარმოქმნის საკითხი (დ სკვნა) . 70
თ ა ვ ი II. ს ქართველოს სამეფოს „დარბაზის რიგის" მოხელენი და მათი ვინაობა 79
1 ვაზირი მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელი 79
2. მანდატურთუხუცესი 102
3 მეჭურჭლეთუხუცესი 110
4. მსახურთუხუცესი, ჩუხჩარხი, ამირახორი 148
თ ა ვ ი III. მხარგრძელების როლი XII ს. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში 159
1. წყაროები და ისტორიოგრაფია 159
ა) წყაროები 159
ბ) ისტორიოგრაფია 189
2. მხარგრძელთა ვინაობის საკითხისათვის 209
ა) მხარგრძელთა წარმოშობის საკითხ სათვის . 209
ბ) მხარგრძელთა წინაპრების გამოსახლების დრო და მიზეზები 228
გ) მხარგრძელთა მეორე შტო . 237
დ) მხარგრძელი საგვარეულო სახელი თუ ხელწოდება? . 247
ე) მხარგრძელთა კონფესიური კუთვნილება და რელიგიური პოლიტიკა 253
3. მხარგრძელთა აღზევება საქართველოში 275
შემოკლებანი 320
საძიებელი 326

გამომცემლობის რედაქტორი გ ს ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი

ტექნიკურ. რედაქტორი ი. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი

კორექტორი ნ. ქ ა ნ თ ა რ ი ა

სბ 193

გადაეცა წარმოებას 6.02.78. ხელმოწერილია დასაბეჭდად 31.01.79

უე 06536 ს.ბეჭდი ქაღალდი № 1. 70×108. პირობითი ნაბეჭდი

თაბახი 29,75. ს ალრ. საგამომც. თაბახი 27,95.

ტირაჟი 10 000. შეკვეთის № 245

ფასი 3 მან. 33 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028. ი ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1